

114 / 2
1937



მნათობი

10

ს ე ს ე რ გ ე მ ი

ბ ფ ი ლ ი ს ი — 1937

114
1937/2

პროლეტარიატის უმაღლესი საბჭოს განკარგულებაში

საქართველოს
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-სამოღობო
ქურონალი

წელიწადი მეთოთხმეტე

10

ს ე ს ე რ გ ე მ ი
ბ ი ბ ლ ი ს ი 1 9 3 7

2043

რედაქცია:

ტფილისი, შინაბლის, 13
ფურცლოთი სასახლე
ტ. 3-55-25

კანტორა:

ტფილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მბ. რედაქტორი — ალიო მახაშვილი

პ/მბ. მდივანი — ლევან ასათიანი

შთავლ. რწმუნ. № 330068. შეკვ. № 1387. ტირაჟი 3500.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ვორესის ქ. № 5.

დიადი მოგომბარის
კავშირების

20

წლისთავი

1917 — 1937



Յ. Օ. ՆՅԵՈԵՈ



ქართული
ენობრივი



ი. ბ. სტალინი

ხალხთა ერთიანი ოჯახი

„მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის — დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არაფერ არ არის ჩვენთვის, საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“ (სტალინი).

დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წელი — ეს არის წლები კაცობრიობის ისტორიაში სსრ კავშირის ხალხთა არნახული აღმავლობისა ახალი ცხოვრებისათვის. ლეინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროში დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი სოციალისტური სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

მეფის რუსეთი იყო შავბნელი „საპურობილე ხალხებისა“. ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკა იყო კოლონიზაციის, დამონებულ ხალხთა შეუბრალებელი ჩაგვრისა და თავაშვებული ექსპლოატაციის პოლიტიკა. ცარიზმი აფერხებდა და ჰპოჭავდა რუსეთის განაპირა მხარეების სამეურნეო ზრდას, იყენებდა რა მათ უმთავრესად როგორც ნედლეულის წყაროებს. ნაციონალურ კულტურათა ყლორტებს, რომლებიც ლამობდნენ გზა გაეკაფათ მეფის თვითმპყრობელობის წყვილიდში, დაუნდობლად ახშობდნენ. „ცარიზმი განზრახ ნერგავდა განაპირა მხარეებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა მისები“ (სტალინი). ეყრდნობოდა რა ადგილობრივ თავადებს, აზნაურებს, მემამულეებსა და კულაკებს, ცარიზმი შეუბრალებლად უწევდა ექსპლოატაციას ნაციონალური განაპირა მხარეების მშრომელთა ფართო მასებს. განაპირა მხარეების ხალხები განწირული იყვნენ სრული უფლებებისა, სილატაკისა და უმეცრებისათვის. მთელ რიგ შემთხვევებში კი პირდაპირი გადაშენებისთვისაც.

კავკასიის, შუა-აზიის, ციმბირისა და სხვ. დამონებულ ხალხებს არა ერთხელ აუფერილებიათ თავის მზავრელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროსა, მაგრამ მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად უსწორდებოდა აჯანყებულებს, სისხლის მორევში ახრჩობდა მათ, ცეცხლითა და მახვილით

ანადგურებდა მათს სოფლებსა და ქალაქებს, იკლებდა მთელ მხარეებსა და ოლქებს. თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად ცაბჭიმე მუხრანთავედა თავის ნაცად ტაქტიკას — სხედასხვა ეროვნებათა ტროშკისტურ წყა-სისიანებას.

დიდხანს იტანჯებოდა ცარიზმისა და „თავისი“ თავადების, აზნაურებისა და მემამულეების ქუსლის ქვეშ ქართველი ხალხიც. შეუბრალებლად ახშობდა რა ხალხის თავისუფლების სულ მცირე გამოვლინებასაც კი, მეფის თვითმპყრობელობა ხელოვნურად აფერხებდა მრეწველობის განვითარებას საქართველოში, მიუხედავად მისი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეებისა. საუკეთესო მიწებს ართმევდნენ გლეხებს კოლონიზატორების დასასახლებლად და საუფლისწულო მეურნეობათა შესაქმნელად. სოფლის მეურნეობა დევრადაციას განიცდიდა. ძალმომრეობით ახშობდნენ შრავალსაუკუნოვან ქართულ ნაციონალურ კულტურას. ქართველი ხალხის ბრძოლას თავის შჩაგვრელთა წინააღმდეგ ცარიზმი და მისი დამქაშები — ქართველი თავადები, აზნაურები და მემამულეები — სასტიკი რეპრესიებით უპასუხებდნენ. ყველასათვის ცნობილია მეფის გენერლების სისხლისმღერელი ექსპედიციები საქართველოს რაიონებსა და ოლქებში.

ცარიზმის დამხობის შემდეგ, 1917 წელს, ქართველმა მენშევიკებმა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების დახმარებით შესძლეს ძალაუფლების ჩაგდება თავის ხელში. ქართველი ხალხის ამ გამცემელთა სამი წლის პარპაშმა კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის მდგომარეობა. მენშევიკთა მმართველებმა არა თუ არ გაანთავისუფლეს საქართველოს მშრომელი მასები, არა თუ არ უზრუნველჰყვეს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და ნაციონალური კულტურის აღმავლობა, არამედ საბოლოოდ მოშალეს ისედაც სუსტად განვითარებული სამეურნეო ცხოვრება, უღალატეს ქართველი ხალხის ინტერესებს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების სასარგებლოდ, მხარს უჭერდნენ რა საქართველოში თავადებისა და აზნაურების, მემამულეებისა და კულაკების მიერ ჩაგვრას.

მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით პირველად კაცობრიობის ისტორიაში იწყება დაჩაგრულ ხალხთა ნამდვილი განთავისუფლება, იქმნება ჩამორჩენილ ეროვნებათა სამეურნეო და კულტურული აყვავების შესაძლებლობანი და წარმოიშვება საამისო პირობები. საბჭოთა ხელისუფლების 20 წლის განმავლობაში ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრებლად განხორციელების საფუძველზე, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით სსრ კავშირში მოსპობილია წინანდელი უთანასწორობა ეროვნებათა ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. საბჭოების ქვეყნის ყველა ხალხი გაერთიანებულია ერთიან დიად, განუყოფელ სოციალისტურ ოჯახად, და ვერავითა-

რი ძალა მსოფლიოში ვერ დაარღვევს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას.

მეფის რუსეთის ყოფილ განაპირა მხარეთა სამეურნეო-საქონლურ-რული აყვავების ერთერთ ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა საქართველო. საქართველოს მრეწველობა ცარიზმის დროს ჩანასახ მდგომარეობაში იყო. ამიერ-კავკასიის რკინიგზების სახელოსნოებს გარდა თბილისში არ იყო არცერთი ცოტად თუ ბევრად მსხვილი საწარმო თანამედროვე ტექნიკით. იყო მხოლოდ წვრილი შინამრეწველური ან ნახევრადშინამრეწველური საწარმონი წარმოების ძველთაძველი წესებით.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოში შეიქმნა მძლავრი სოციალისტური მრეწველობა. ზაქესის, რიონჰესის, აჭქესის და ბევრი სხვა უფრო წვრილი სადგურის ელექტროენერჯის მოძრაობაში მოჰყავს მძიმე, მსუბუქი, ადგილობრივი და კვების მრეწველობის ასობით საწარმონი, რომელთაგან ბევრი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. რეკონსტრუირებულია და დიდად გაფართოვდა საქართველოს მარგანეცის მრეწველობა. სწარმოებს ტყებულის ქვანახშირის ძველი ბაზის რეკონსტრუქცია და შექმნილია ტყვარჩელის ქვანახშირის ახალი ბაზა, შექმნილია და სწრაფად ვითარდება მრეწველობის ახალი დარგები (დარიშხანი, ბარიტი, ანდეზიტი, ფერადი ლითონები, ნავთი). ელექტროფიცირებულია რკინიგზის ტრანსპორტის ძირითადი მაგისტრალი და გაყვანილია ახალი რკინიგზები და გზატკეცილები, აგებულია ხიდები, რომლებიც სამრეწველო ცენტრებს აერთებენ ნედლეულის წყაროებთან და მჭიდროდ აახლოებენ ერთმანეთთან ქალაქსა და სოფელს.

შექმნილია მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის კვალიფიციური კადრები, რომელთაც წარმატებით აითვისეს ახალი ურთულესი მექანიზმები და წარმოების პროცესები. ფართოდ ინერგება და მძლავრად ვითარდება სტახანოვური მოძრაობა.

ძველი ჩინოვიკურ-მეშხანური ჩარჩული დაბების ნაცვლად შეიქმნა ახალი სოციალისტური ქალაქები და სამრეწველო ცენტრები ელექტრონით, წყალსადენით, კანალიზაციით, მოასფალტებული ქუჩებით და კომუნალური კეთილმოწყობის სხვა სახეებით.

შეიცვალა ძველი თბილისის — სოციალისტური საქართველოს დედაქალაქის სახე: კავკასიის ხალხთა დამონების ძველი პოლიციურ-ჩინოვნიკური ცენტრიდან, „ეგზოტიკური“ აზიური ქალაქიდან იგი გადაიქცა საქართველოს და ამიერ-კავკასიის უდიდეს სამრეწველო ცენტრად. ახალმა მძლავრმა წყალსადენმა ნატახტარის საუცხოო წყაროებიდან, ქუჩების გატკეცილმა ასფალტმა, ახალმა ფართო მაგისტრალმა, სანაპირო ქუჩებმა და ხეივანებმა, ტროლეიბუსებმა, ათობით ახალმა დიდმა, არტიტპტურულად კარგად გაფორმებულმა შენობებმა თბილისი ჩააყენეს საბ-

ქოთა კავშირის საუკეთესო, ულამაზეს ქალაქთა მწკრივში. კოვლივე ეს შესაძლებელი გახდა დიადი რუსი ხალხის დაუღალავი დახმარების, საკავშირო მთავრობის მუდმივი მხარდაჭერის, დიდი სტალინის უპირადი უფრადლებისა და დახმარების მეოხებით.

თუ როგორ ხორციელდებოდა სტალინური ღირებულება ჩამორჩენილ ეროვნებათა ფაქტიური ეკონომიური უთანასწორობის ლიკვიდაციისა და მოწინავეთა დონემდე აყვანის შესახებ, ამას მკერმეტყველურად მოწმობენ ფაქტები. სამრეწველო პროდუქცია სსრ კავშირში 1936 წელს ომამდელ დონესთან შედარებით გაიზარდა 7,3-ჯერ, საქართველოს სამრეწველო პროდუქცია კი ამავე პერიოდში გაიზარდა 18,6-ჯერ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სრულიად გარდაიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობაც. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების სწორად გატარების საფუძველზე მტკიცედ დამკვიდრდა საკოლმეურნეო წყობილება. კოლექტივიზაციამ საქართველოში მიიღწია 76,5 პროცენტს. მაღალ დონეს მიიღწია სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ. ორი ათასზე მეტი ტრაქტორი და ათეულ ათასობით სულ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები მუშაობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებზე. უძვირფასესმა სპეციალურმა და ტექნიკურმა კულტურებმა — ჩაი, ციტრუსებმა, თამბაქომ, ვენახმა და სხვ. — მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის ნაპირებზე, იქ, სადაც წინათ მიწებზე უხვად იზრდებოდა ველური გვირა, ახლა საუცხოოდ ჰყვანიან ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, რომლებიც შეადგენენ ქართველი კოლმეურნე გლეხობის შეძლებული ცხოვრების საფუძველს. ჩაის მთელი ფართობი რევოლუციამდე 900 ჰექტარს არ აღემატებოდა. ჩაი მზადდებოდა დაბალი ხარისხის, პრიმიტიული კუსტარული წესით. ამჟამად საქართველოს ჩაის პლანტაციები გაიზარდა 40.000 ჰექტარამდე. საბჭოთა ქართული ჩაი, რომელიც მზადდება 35 სანიმუშოდ მოწყობილ ჩაის ფაბრიკაში, ცნობილია მთელი საბჭოთა კავშირისათვის და ხარისხით არ ჩამოუვარდება ცეილონის საუკეთესო ღირსების ჩაის.

თუ რევოლუციამდე ციტრუსების ნარგავებს (მანდარინს, ფორთოხალს, ლიმონს) აშენებდნენ როგორც იშვიათ მცენარეებს მხოლოდ მეფის სამსახურიდან გადამდგარ ოფიცრების ცალკეულ კარმიდამოებში ან ზოგიერთ მემამულის მამულებში შავი ზღვის სანაპიროზე, ახლა ციტრუსები გახდა კოლმეურნე გლეხობის ერთერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ შემოსავლიან სამეურნეო წყაროდ დასავლეთ საქართველოში, აჭარასა და აფხაზეთში. წელს საბჭოთა კავშირის მშრომლები საქართველოს ციტრუსების პლანტაციებიდან მიიღებენ 300 მილიონზე მეტ ცალ მანდარინს, ფორთოხალს და ლიმონს. ციტრუსების ფართობი

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა 12-ჯერ, ნაყოფის მოკრეფა — დაახლოებით 30 — 40-ჯერ.

მაღალხარისხოვანი საექსპორტო თამბაქოს საუკეთესო ბაზრების მქონდის საქართველოში. საქართველოს 21 ათასი ჰექტარი თამბაქოს პლანტაციები, რომლებიც წლითი-წლობით განუზრვლად ამიერიდან მოსავლიანობასა და ხარისხიანობას, წელს საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებისათვის და საექსპორტოდ მოგვეცემენ 18 ათას ტონაზე მეტ თამბაქოს.

მენშევიკებმა საქართველოში თავისი ბატონობის წლების მანძილზე სრულ განადგურებამდე მიიყვანეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — მევენახეობა. ფილოქსერა ათას ჰექტარობით სობდა ვაზის პლანტაციებს. ამჟამად დაიწყო საქართველოს მევენახეობის აღმავლობა. მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოები ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. ამხანაგ სტალინის ინიციატივით დაიწყო ყურძნის შამპანური ჯიშების დანერგვა და შამპანურის დამზადება.

მთელი რიგი სხვა უძვირფასესი კულტურები — ტუნგო, ეკალიბტები, ეთეროვანი მცენარეები და სხვ., — რომლებიც ხარობენ საქართველოს ჰავისა და ნიადაგის პირობებში, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ვითარდება სამრეწველო მასშტაბით. უდიდეს წარმატებებს მიაღწია მეაბრეშუმეობამ.

გრძელდება მეცხოველეობის განუზრვლადი ზრდა საქართველოში.

1937 წლის 1 იანვრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულალობა 478 ათასი სულით სჭარბობდა 1913 წლის დონეს. ამ წარმატებებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში საბჭოთა საქართველომ მიაღწია საკავშირო მთავრობის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხანაგ სტალინის სისტემატური დახმარების, მზრუნველობისა და ყურადღების მეოხებით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების მეოხებით.

მრავალი ათეული კოლმეურნეობის შემოსავალმა 1936 წელს მილიონ მანეთს გადააჭარბა. წლითი-წლობით იზრდება შრომადღის ღირებულება. კოლმეურნეთა ფართო მასები უკვე გახდნენ შეძლებულ კოლმეურნეებად და განარგძობენ თავისი მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებას. ქართველი გლეხისათვის, ახლა კოლმეურნისათვის, წარსულს ჩაბარდა აუცილებლობა — დაეტოვებინა მშობლიური სახლი და წასულიყო შორს საქართველოდან სამუშაოს საძებნელად. ახლა შეძლებულად და მხიარულად ცხოვრობენ საქართველოს ხალხები. ცხოვრება დულს და გადმოდის. და საქართველოს მშრომელთა გული აღვსილია ხიხარულის გრძნობებით, დიდი მადლობით, სიყვარულითა და ერთგულებით დიდი

ბტალიონისადმი, რომელმაც ქართველი ხალხი მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად შეძლებულ, ბედნიერ ცხოვრებამდე ჭეყვნა.

საქართველო გადაიქცა მოწინავე კულტურის და წინამძღოლმა მხედრიანი მცოდნეობის ქვეყნად. ქვეყანა დაფარულია დაწეებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების, სპეციალური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მრავალრიცხოვანი ქსელით, სადაც ასიათასობით სწავლობენ მშრომელთა შვილები. საშუალო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა წელს 16,5-ჯერ სჭარბობს საშუალო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობას 1915 წელს. საქართველოს 19 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 22 ათასზე მეტი სტუდენტი, რომლებიც ემზადებიან გახდნენ პედაგოგებად და მეცნიერ მუშაკებად, მრეწველობისა და ტრანსპორტის ინჟინრებად, ექიმებად და აგრონომებად, არქიტექტორებად და კომპოზიტორებად. ოცდაათზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება, მეცნიერთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფილი, აწარმოებს კვლევით მუშაობას სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. ბევრი ქართველი მეცნიერის სახელი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში.

ფართო გაქანება მიიღო საბჭოთა საქართველოს ლიტერატურამ, გამოვიდა რა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგებში. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მუდმივმა მზრუნველობამ უზრუნველყო ქართველ მწერალთა შეუჩერებელი იდეური და შემოქმედებითი ზრდა. აღიზარდნენ მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები. მხატვრულად, უტყუარად და წარმატად ხატავენ ისინი საქართველოს და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა იმ ბრძოლის გმირულ ეპოპეებსა და ისტორიას, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოს მწერლებმა, დახმლიეს და გაანადგურეს რა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ტენდენციები, გადაჭრით მობრუნდნენ აქტუალური საბჭოთა თემატიკისაკენ და უკვე იძლევიან სრულფასოვან მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდებით ახაზავენ დიდი სტალინის ცხოვრებას და მოღვაწეობას, სოციალისტური ინდუსტრიისა და საკლამეურნეო წყობილების გამარჯვებას, მუშათა და კლამეურნეთა ბედნიერ და სამურ ცხოვრებას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მთელი ხალხის შემოქმედებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის პირობებში გახდა შესაძლებელი გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების დღიდან 750 წლისთავის აღნიშვნა. მხოლოდ ურდვევი სტალინური მეგობრობის პირობებში გახდა შესაძლებელი სსრ კავშირის ხალხთა ის მკიდრო კულტურული ურთიერთობა, როდესაც ცალკეულ ხალხთა კულ-

ტურის უდიდესი ძეგლები მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად/ხდებიან, როდესაც უკვედავი რუსთაველის 750 წლისთავის ფესქნეშნაფუდ თანაბარი სიყვარულით ემზადებიან საბჭოთა კავშირის სხეცადნსქცა/სხესაბტბ-ლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში.

საბჭოთა საქართველოს თეატრები სამართლიანად ითვლებიან ერთ-ერთ საუკეთესო თეატრებად საბჭოთა კავშირში. აღიზარდნენ აქტიორთა და რეჟისორთა მნიშვნელოვანი კადრები, რომლებმაც დაუფლნენ სცენიური ხელოვნების ოსტატობას. აღიზარდნენ დრამატურგთა კადრები, რომლებმაც ჰქმნიან მაღალმხატვრულ პიესებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის მშრომელთა გმირული ბრძოლის მრავალფეროვან თემატიკაზე. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის რუსთაველის სახელობის თეატრი დგამს პიესას „ნაპერწყლიდან“, რომელიც გვიხატავს ამხანაგ სტალინის ბრძოლას 900-ანი წლების დამდეგს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების განსამტკიცებლად კავკასიაში. პიესაში ნაჩვენებია იქნება დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის სახეები. ოპერის და ბალეტის თეატრი დასადგმელად ამზადებს ოპერას უშიშარ რევოლუციონერზე, ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლზე — ლ. კეცხოველზე.

სტალინური მზრუნველობა სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურების ყოველნაირად განვითარებაზე განსაკუთრებული სიცხადით გამოაშქარავდა მსოფლიო პოლიტიკისა და კულტურის გულში—მოსკოვში დიდი სტალინის ინიციატივით მოწყობილ ნაციონალურ ხელოვნებათა დეკადებით. საბჭოთა კავშირის ბედნიერ ხალხებს შესაძლებლობა ჰქონდათ ეჩვენებინათ აქ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისათვის, დიდი ბელადისათვის თავისი შემოქმედებითი მიღწევები. ქართული ხელოვნების დეკადამ მოსკოვში, რომელმაც ნაწილობრივ გააცნო დიდი დედაქალაქის მშრომელებს ჩვენი მიღწევები ამ დარგში, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა და საბჭოთა საზოგადოებრივობისაგან მაღალი შეფასება მიიღო. შოთა რუსთაველის სახელობის დრამატულმა თეატრმა და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრმა მიიღეს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაეყარა საფუძველი ქართულ კინემატოგრაფიას, რომელსაც უკვე მცირე მიღწევები როდი აქვს. საქართველოს სახკინმრეწვის მთელ რიგ მაღალხარისხოვან კინოსურათებს დიდი წარმატებით აჩვენებენ მთელი საბჭოთა კავშირის კინოთეატრებში. საქართველოს ცალკეულ კინორეჟისორთა სახელებს იცნობენ ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მშრომელთა ფართო მასები. ამჟამად საქართველოს სახკინმრეწვი წარმატებით ანზორციელებს ფილმ „დიადი განთიადის“ დადგმას, სადაც ნაჩვენებია იქნება ძველ საზოგადოებაზე მი-

ტანილი დიდი იერიში, განხორციელებული რუსეთის მუშებისა და გლეხების მიერ 1917 წლის ოქტომბერში დიდი ბელადების **სტალინის** და **ლენინის** ხელმძღვანელობით.

სწრაფი ტემპებით ვითარდება საბჭოთა საქართველოს სკულპტურა და სახვითი ხელოვნება. აღიზარდნენ ყალმის და ფერადების პირველხარისხოვანი ოსტატები, რომელნიც ჰქმნიან დიდ მხატვრულ ტილოებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის, დიდი **სტალინის** ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემებზე, ძლევა-მოსილი სოციალისტური მშენებლობის, მშრომელთა ბედნიერი და საამური ცხოვრების თემებზე. ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენა, რომელიც ეწყობა ოქტომბრის ოცი წლისთავისათვის მოსკოვში ტრეტიაკოვის გალერიაში, წითელი დედაქალაქის მშრომელებს გააცნობს საბჭოთა საქართველოს მხატვრების მიღწევათა ერთ ნაწილს.

ყველა ეს გამარჯვება მუქთად როდი მოიპოვა. ქართველმა ხალხმა. ქართველი ხალხის მოსისხლე მტრები — მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატებისა და სხვათა განადგურებული ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთები, ნაციონალ-უკლონისტებთან — დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის და ქართველი თავადაზნაურობისა და კულაკობის ამ საზიზღარ აგენტურასთან ერთად — ცდილობდნენ ჩაეშალათ საქართველოს ძლევა-მოსილი სოციალისტური მშენებლობა. ჯაშუშების, დივერსანტების, მკენებლებისა და მკვლელების კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ-ბუხარინულ ბანდას, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ დასაყრდენს მასებში, განზრახული ჰქონდა აღედგინა კაპიტალიზმი, ჩამოეშორებინა აყვავებული სოციალისტური საქართველო სსრ კავშირის ხალხთა დიადი ოჯახისაგან და გადაექცია იგი იმპერიალიზმის მონურ კოლონიად. მაგრამ ხალხის საზიზღარი მტრები ანგარიშში მოსტყუდნენ!

საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტურმა პარტიამ, საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებლის — დიდი **სტალინის** მიერ გამოზრდილმა, გაანადგურა საზიზღარი ტროცკისტ-ბუხარინული ნაბოლარები და ყოველი ჯურის სხვა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური არამზადები, დაიანგრია და მოსპო მათი ბუდეები. შეუბრალებლად ანადგურებს და სპობს რა მკენებლებს, ჯაშუშებსა და დივერსანტებს, სამშობლოს საზიზღარ მოღალატეებს, საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტურმა პარტიამ ხალხის მტრებისადმი ლენინურ-სტალინური შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზარდა **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმის ერთგული ახალი კადრები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, რომელთაც პარტია გადაჭრით და გაბედულად აწინაურებს ხელმძღვანელ პარტიულ-საბჭოთა და სამეურნეო პოსტებზე.



საქართველოში

სსრ კავშირის ხალხები დიდი სოციალისტური რევოლუციის პიკეტაჟს წლისთავს ეგებებიან ისეთ პირობებში, როდესაც დამთავრებულია სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში, ლოკალიზებული არიან ექსპლოატორული კლასები და მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. მიუვალა საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება. მშრომელთა უფართოესი მასებისათვის უზრუნველყოფილია ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრება. მთელი საბჭოთა ხალხის, დიდით პატარამდე, საუკეთესო ფიქრები და გრძნობები მიმართულია იმისკენ, ვისაც თავისი ბრძნული ხელმძღვანელობით, შეუდრეკელი ფოლადისებური ნებისყოფით მიჰყავდა ჩვენი ქვეყანა განუხრელად წინ, ვინც უზრუნველყო პარტიისა და ხალხის საზიზღარი მტრების განადგურება, მიმართულია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემომქმედისაკენ — დიდი სტალინისაკენ. და როდესაც საბჭოთა ხალხი სიხარულით ემზადება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის სტალინური კონსტიტუციის ახალი საარჩევნო კანონით, ყველა მშრომელის პირველ კანდიდატს, ცხადია ამხანაგი სტალინი წარმოადგენს. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-სარემონტო ქარხნის ოთხათასიანი კოლექტივი, სადაც დაახლოებით 40 წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა მოაწყო მუშათა პირველი რევოლუციური წრეები, საცხებით სამართლიანად სწერდა თავის მიმართებაში: „რომელმა საარჩევნო ოლქმაც უნდა გაგვზავნოს შენ, ამხანაგო სტალინ, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში — შენ იქნები მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნისაგან არჩეული“.

თერთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის მწკრივში, რომლებიც განუყრელად არიან შეკავშირებულნი ხალხთა სტალინური მეგობრობის ერთ დიად კავშირად, საბჭოთა საქართველოს მალა უჭირავს ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა და გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდის. ქართველი ხალხი, მჭიდროდ დარაზმული საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის ირგვლივ, ყოველ მოწენტში მზად არის გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს გამარჯვებულ სოციალიზმის ქვეყნის ყველა მტერს ჩვენი დიადი სამშობლოს თვალუწვდენელი საზღვრების ყოველ უბანზე.

„პრამდა“, 1937 წ. 7 ნოემბერი.



ქართველთა
წერისათვის

„ახლა, როცა ფაშიზმის მღვრიე ტალღა აუშურს მთელ საქართველოს, ახლა, როცა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალახში სვრის ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალდებლო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, აქტი, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლებელი არიან. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მოკალწერი დახმარება და რეალური საზრდენი იქნება ყველა იმართვის, ვინც ახლა ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ.“

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას სსრ კავშირის ხალხთათვის. თუ კავშირის კონსტიტუციის მიხედვით ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციას მოქმედებათა პროგრამის მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირის ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლის შეჯამების, კაცობრიობის განთავისუფლების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შეჯამების მნიშვნელობა. ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნოდ და სასიხარულოდ გვმონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნოდ და სასიხარულოდ ვიცოდეთ, ჩინთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიღწიეს მათ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნოდ და სასიხარულოდ ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა. ეს სულიერად აიარაღებს ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას. ეს წინ გვამოძრავებს და გვიმალლებს კანონიერი სიამაყის ბრძოლებს. ეს განვვიმტკიცებს რწმენას საკუთარი ძალებისადმი და გვრწმუნებს ახალი ბრძოლისათვის კომუნისმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად“.

ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი — „სსრ კავშირის
კონსტიტუციის პროექტის შეხახებ“.

ოცნეცი

1917 წლის ოქტომბრის დღეებში რუსეთის მუშათა კლასმა მრავალ-მილიონიან მშრომელ გლეხობასთან ერთად ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით დაამზო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის და მემამულეების ხელისუფლება და მსოფლიო ისტორიის ახალი ფურცელი გადაშალა. მსოფლიო იმპერიალისტურ ომს—ეროვნულ ჩაგვრის, ძარცვა-გლეჯის, ყაჩაღობის, წვრილი, ჩამორჩენილი, სუსტი ერების ჩახშობის ამ მხეცურ პოლიტიკას, რომელმაც დატანჯა და სისხლისაგან დასცალა ქვეყანა — ბოლშევიკებმა უპასუხეს პროლეტარული რევოლუციით.

ოქტომბრის წინადროინდელი რუსეთი იყო ჩამორჩენილი, განადგურებული, ექსპლოატირებული, უფულებო, ტვირთძიმე, ნახევრად ფეოდალური ტექნიკის მქონე, ექსტენსიური მიწათმოქმედების ქვეყანა. ცარიზმი წარმოადგენდა „იმპერიალიზმის მოდარაჯე ქოფაკს აღმოსავლეთ ევროპაში“, „დასავლეთის იმპერიალიზმის აგენტურას“, გააფთრებული კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრის კერას. გაბატონებული კლასები, თავისი თავიდან ბოლომდე დამპალი ბატონობის შესანარჩუნებლად, ნერგავდნენ და აერცვლებდნენ სიბნელეს, უფიცობას, რელიგიურ სიდუხჭირეს, აჩალებდნენ ნაციონალისტურ შულსს ერებს შორის და უსევდნენ მათ ერთი-მეორეს. საკუთრებისა და წოდებრიობის პრივილეგიების წინაშე არარაობად იყო მიჩნეული ადამიანობა, ღირსება, ნიჭი და თვით გენიალობაც კი. ანგარებით განუკურნებლად დაავადებული, შინაგანად გახრწნილი მემამულეები და კაპიტალისტები, აზნაურები და ვაჭრები, კოლონიზატორები და მექრთამეები კანონის სახელით ძარცვავდნენ ქვეყანას ბელორუსიის საზღვრებიდან წყნარ ოკეანეს ნაპირებამდე, ყინულოვან ჩრდილოეთის ზღვიდან კოლხეთის ველებამდე ხალხის ბუმბერაზული ენერგია ბორკილებში იყო ჩაქედილი. ცარიზმი ანადგურებდა ამ ვრცელ ტერიტორიაზე მოსახლე ურიცხვ ერებს და ხალხებს ფიზიკურად და ინტელექტუალურად. რუსეთის ყოფილი იმპერია საშშობლო კი არა, ასამდე ერის ბნელი საპყრობილე იყო. შრომა უმკაცრეს, დამამცირებელ ტანჯვას წარმოადგენდა. ტლანქი კანონები და მუქარა, მათრახი და ტყვია იყო ერთადერთი ენა, რომლითაც ცარიზმი ხალხის მილიონებს ელა-

პარაკებოდა. არსებობის არაუზრუნველყოფა იყო ხვედრი არა მარტო მეშათა კლასისა, რომელიც კაპიტალისტური ფაბრიკების წევრად მუშაობდა, არამედ სიმბოლურად თავის ზურგზე განიცდიდა, ანაშენის მუშაკებისა, რომელიც მწარედ გმინავდა მემამულური სოფლის კაბალური ცხოვრების კლანჭებში. დაჭირავებული მონობა იყო საფუძველი იმ დროინდელი წყობილებისა, რომელიც ამცირებდა ადამიანს, ფეხქვეშ თელავდა მის უფლებებს.

ველურად თარეშობდა და მძვინვარებდა ენადარმთა კორპუსი ლიტერატურაშიც. მწერლობა სულშეხუთული და გამწარებული იყო. იდეენებოდა თავისუფალი აზრი, იდეენებოდა შემოქმედება, იდეენებოდნენ ხალხის საუკეთესო შვილები, რომელნიც აღვიძებდნენ აზრს და არა მარტო ოცნებოდნენ უკეთეს მომავალზე, არამედ იბრძოდნენ კიდევ. თითქმის ყველა საუკეთესო მწერალი ცარიზმის წინააღმდეგ ბრალდებლად გამოდიოდა და ამ მოქალაქეობრივ გამბედაობას თვითმპყრობელობა ტერორითა და ციმბირით უპასუხებდა. ითვალისწინებდა რა ამ საშინელ სინამდვილეს, დიადი რუსი ხალხის საუკეთესო შვილი — გერცენი სწერდა: „ჩვენი ლიტერატურის ისტორია — ეს ან მარტივად ითვლება ან კატორგათა ნუსხა“.

და მართლაც, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება: რადიშევი იჭამდნენ მიიყვანეს, რომ საწამლავი დალია, ეს თვითმკვლელობა როდი იყო, ეს იყო მკვლელობა. ჩადავევი შეშლილად გამოაცხადეს და სამუდამოდ აუკრძალეს ხელში კალმის აღება, გერცენი საზღვარგარეთ გააძვევეს, რილევი საბრძოლველზე აიყვანეს, პუშკინი მოჰკლეს, ლერმონტოვიც მოჰკლეს, გრიბოედოვი ასჩეხეს თეირანში, ბელინსკი შიმშილით და სიღატაკით მოჰკლეს, დოსტოვესკის კატორგელის ხალათი ჩააცვეს, ტოლსტოი დასწყველეს და ანათემას მისცეს, ყმობიდან ძლივს განთავისუფლებულ შეგენკოს გადასახლება არგუნეს წილად, ჩერნიშევსკი კატორგასა და სამუდამო გადასახლებაში ჩაკეტეს, ილია ჭავჭავაძეს ტყვეობით გაუგმირეს შუბლი. და განა მარტო ამით ამოიწურება ის ზიანი, რომელიც ცარიზმმა ხალხთა ლიტერატურას მიაცენა? არა, ცარიზმის დანაშაულის სია უფრო ფართოა და შემზარავი. საუკეთესო მწერლებს, ნათელი გონების ადამიანებს აწამებდნენ, ახრჩობდნენ, ექსორიას ჰყოფდნენ, მათ ოცნებას ფრთებს უღეწავდნენ და ამრიგად, ხალხის საუკეთესო შვილებს მუხანათურად ღუბავდნენ ხშირად სიკვამლის ჰასაკშივე.

ასეთი იყო ცარიზმის ლიტერატურული პოლიტიკა.

ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის და მემამულეების ხელისუფლება, დაამსხვრია ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის ბორკილები. ამ დღიდან აღარ არიან ჩვენში გაბატონებული და დაჩაგრული ერები. ისინი ნამდვილად თავისუფალ და ნამდვილად თანასწორ ხალხებად გადაიქცნენ. პროლეტარული რევოლუციის მხემ თანაბ-

რად მოჰფინა თავისი სხივები რუსეთის ყოფილ იმპერიაში ^{შემთავალ} ყველა ეროვნებას. გაიღვიძა დაჩაგრულმა აღმოსავლეთმა, ^{ემა} არიდგეს აღმოსავლეთის ხალხებმა. ლენინურ-სტალინურმა ნაციონალისტურმა ^{სტალინი} ალლორძინა და შეუჩრებელი წინსვლის გზაზე დანაშაულებრივმა ^{სტალინი} ნამდვ დაჩაგრული ხალხი. პროლეტარულმა რევოლუციამ მალა ააფრი-
ალა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობის ლენინურ-სტალინური დროში. ამ დროის ქვეშ აყვავდა ჩვენი ქვეყანა, ამ დროის ქვეშ გაიფურჩქნა მოკავშირე რესპუბლიკებში ახალი კულტურა — სოციალისტური შინაარ-
სით და ნაციონალური ფორმით.

ზრუნვა სოციალისტურ კულტურაზე, რომლითაც ჩვენ დღეს, რევოლუ-
ციის ოცი წლის თავზე ასე ვამაყობთ, რევოლუციის პირველ დღეები-
დანვე დაიწყო. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც გააფთრებული მტრების,
მთელი ურდოები მიესიგნენ ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკას, როცა მეფის
გენერლები, საერთაშორისო ინტერვენტები ყოველი მხრიდან თავს დაეს-
ხნენ ჩვენს მიწა-წყალს, — ბურჟუაზიის სამხედრო კამპილიის მუქარის
პირობებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა განსაცდელში იყო
და თოთხმეტი სახელმწიფო ცდილობდა მის ჩაკვლას — ჩვენი ქვეყანა
ფოლადის ხელით იგერიებდა მტრებს, ანადგურებდა მის ბანდებს, ანმტკი-
ცებდა მუშათა და გლეხთა კავშირს, საფუძველს უყრიდა სოციალისტურ
მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში და ამავდ დროს იწყებდა სოციალისტური
კულტურის შექმნას. ბლოკადისა და ინტერვენციის წლებში, კონტრრე-
ვოლუციური შეთქმულებებისა და მძინვარე სამოქალაქო ომის წლებში
ბოლშევიკური პარტია, ლენინ-სტალინის პარტია ერთი წუთითაც არ
იფიწყებდა ზრუნვას ხელოვნებაზე, კულტურაზე, განათლებაზე. დეკრე-
ტებს მიწის, ზავის და სახალხო კომისართა საბჭოს ჩამოყალიბების შე-
სახებ, რომლებიც მიღებულ იქნა ოქტომბრის რევოლუციის მეორე
დღეს — 8 ნოემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობაზე — ორი
დღის შემდეგ მოჰყვა სახკომსაბჭოს დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესა-
ხებ. იმავე 1917 წლის ნოემბერს სმოლნში გამოცხადდნენ ვლ. მაიაკოვსკი,
ალექსანდრე ბლოკი, ვს. მერიხბოლდი და სხვები იმისათვის, რომ საქმით
დემტკიცებინათ თავიანთი სოლიდარობა საბჭოთა ხელისუფლებასთან,
რომელიც მაშინ თავისი არსებობის მხოლოდ მეშვიდე თუ შერვე დღეს
ითვისდა. ესენი იყვნენ პირველი მერცხლები ძველი ლიტერატურული
ინტელიგენციის ბანაკიდან, რომელთაც სხვებზე ადრე გაიგეს, რომ ის-
ტორია პროლეტარიატის მხარეზეა, რომ კეშმარიტება მხოლოდ ლენინ-
სტალინის პარტიასთანაა. 1918 წლის იანვარში გამოქვეყნდა დეკრეტი
ახალი მართლწერის შემოღების შესახებ. იმავე თვეში რუსეთის გან-
სახკომთან ჩამოყალიბდა ხელოვნებისა და ლიტერატურის განყოფილება.
შედგენილ იქმნა ფართო საგამომცემლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებ-
და მსოფლიოს საუკეთესო კლასიკოსების ბელინსკის, პუშკინის, გერცე-
2 „მნათობი“ № 10.

2043



ნის, ტოლსტოის, ჩერნიშევსკის და სხვათა თხზულების გამოცემას, რადიკალურად იქნა დასმული საკითხი რუსეთის ყოფილ იმპერატორს შუამდგომლობის ხაზზე ლიტერატურის კლასიკოსების გამოცემის შესახებ. წლის ივლისში სახალხო კომისართა საბჭომ ლენინის ინიციატივით გამოიტანა დადგენილება ფილოსოფიის, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შესანიშნავ მოღვაწეთა სსრკ-ის უკუდაცყოფის მიზნით მათთვის ძეგლების აღმართვის შესახებ. გამოცემულ იქნა დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებდა წარსულის ისტორიულ საძველეთა, წარსულის ხელოვნებათა ძეგლების დაცვას და შენახვას. დაარსდა გამომცემლობა „მსოფლიო ლიტერატურა“ რომელიც მიზნად ისახავდა მონობის უფლიდან განთავისუფლებული ხალხისათვის, კლასიკური ხელოვნების ამ კემარტი მემკვიდრისათვის, გაეცნო ყველაფერი ის, რაც საუკეთესო და დიადი შეუქმნია კაცობრიობის გონებას.

მარტო ამით როდი ამოიწურება ყველაფერი. ჩვენ მხოლოდ ერთეული ფაქტები მოვიყვანეთ, რომლებიც ნათლად ამტკიცებენ, თუ რა დიდი მუშაობა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის. აღსანიშნავია, რომ მაშინაც და შემდეგშიაც ლენინ-სტალინის პარტია კულტურის მშენებლობის, ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებს ყოველთვის უკავშირებდა პროლეტარიატის ისეთი ძირითადი ამოცანების გადაჭრას, როგორცაა სოციალიზმის გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება. სოციალისტური კულტურის ზრდა, მისი ყოველი ახალი ნაბიჯი მკვიდროდ იყო და არის დაკავშირებული ძველამოსილ სოციალისტურ მშენებლობასთან, საბჭოთა, ხალხების ყოველ ახალ გამარჯვებასთან პოლიტიკურ და სამეურნეო ფრონტებზე. ხალხის ფენებიდან რევოლუციის პირველ წლებშივე დაწინაურდნენ ახალი კულტურული ძალები. ლიტერატურასა და ხელოვნებას ათობით და ასობით შეემატა ახალი სახელები. ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი გაბედულად დადგა მუშათა კლასის მხარეზე, წინააღმდეგ მწერლობის უკიდურესად რეაქციული ფრთისა, რომელიც ძველ კვებანასთან დარჩა და მასთან ერთად გაიხრწნა. არა ამქრული კარჩაკეტილობის გზით, არამედ ფართო მასობრივი ხაზით იზრდებოდა სოციალისტური კულტურა, და იგი მოიცავდა ყველა სფეროს, დაწყებული წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით და გათავებული ფილოსოფიის უმაღლესი საკითხების დაძლევით. ლენინი გადაჭრით ებრძოდა და ამხელდა „პროლეტკულტის“ მწმევიკურ ბოგდანოვისებურ თეორიებს, რომელნიც პროლეტარული ხელოვნების განვითარებას აცალკევებდნენ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლისგან, რომელნიც ნამდვილ კულტურაზე ზრუნვას ლაბორატორიულ ჩხირკედლობით სცვლიდნენ. ბოლშევიკები გადაჭრით ებრძოდნენ და



ამხელდნენ არამზადა ტროცკის კონტრრევოლუციურ თეორიას კულტურის შესახებ.

სწორედ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების მიზნით ეძლეოდა შესაძლებლობა საბჭოთა კულტურას წასულიყო წინ და ებრძოლა ახალი მწვერვალების დაპყრობისათვის. დამთავრდა სამოქალაქო ომი, დაიწყო სამეურნეო მშენებლობის დამაბული წლები. ხალხთა მილიონებმა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით არნახული სისწრაფით აღადგინეს იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების დროს დანგრეული მეურნეობა. მაგრამ ეს ზომ არ იყო საკმარისი. ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი ქვეყანა გადაგვეყვანა თანამედროვე ინდუსტრიის და მაშინიზებული სოფლის მეურნეობის რელსებზე. ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ შეგვექმნა მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, პირველხარისხოვანი ინდუსტრია, რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების სოციალისტური ფორმების განვითარების საფუძველზე მიგვეღწია ექსპლოატატორთა კლასების სრული მოსპობისათვის, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინის საუკეთესო მოწაფისა და თანამებძოლის, ხალხთა ბრძენი ბელადის აშხანავ სტალინის მეთაურობით ბრწყინვალედ განახორციელა ეს ამოცანა, კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის აშენების ამოცანა. პირველმა და მეორე სტალინურმა ხუთწლეულებმა მთლიანად გამოსცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე. აგრარული ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიის, პირველხარისხოვანი ტექნიკის ქვეყნად, რომელსაც თავისი სამრეწველო პროდუქციით პირველი ადგილი უკავია ევროპაში და მეორე ადგილი მსოფლიოში. სოციალისტური ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო მოძრაობის ბრწყინვალე გამარჯვებამ საბოლოოდ განამტკიცა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, გააძლიერა და გადააქცია იგი ხალხთა თავისუფლების, მშვიდობიანობის უძლეველ ბურჯად, სოციალიზმის აუღებელ ციხე-სიმაგრედ.

განვლილი ოცი წელი დაუღეგარი წინსვლის წლები იყო. ოც წელიწადში დიდი და ისტორიული გზა გაიარა საბჭოთა ხალხმა. ბოლშევიკურმა პარტიამ უზრუნველყო მშრომელთა მატერიალური და კულტურული ღონის განუხრელი აღმავლობა, მოუტანა საბჭოთა აღამიანს ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრება. საუკუნის ამ მეხუთედმა გააკეთა ის, რის გაკეთებაც ვერ შესძლო ყველა განვლილმა საუკუნეებმა. ბოლშევიკებმა პირდაპირ სასწაულები მოახდინეს. სოციალიზმი პროგრამიდან კოცხალ სინამდვილედ იქცა. ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია, ვოლგა-მოსკოვის არხი, თურქესტან-ციმბირის რკინის გზა, ულამაზესი საბჭოთა ფლორიდა, მეტალურგიული გიგანტები, უმძლავრეს მანქანათა მშენებლობა, სატრაქტორო ქარხნები, მსოფლიოში ყველაზე უფრო საუკეთესო

მეტროპოლიტენი, საავტომობილო მრეწველობა, თვითმფრინავთ მშენებლობა, ურცხვი ახალი ქარხანა-ფაბრიკა, მილიონური კოლექტივიზაცია — შექმნილია ერთ წერტილში ყველაფრის ჩამოთვლა. მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი საბჭოთა ხალხების წარმატებანი.

უძლიერესი შემოქმედებითი ძალებისა და დაუშრეტელი ენერჯის შემცველია საბჭოთა ქვეყანა. ადამიანები, რომელთაც დაიპყრეს ლაგვარდი, დამორჩილეს პირქუში არქტიკა, რომელთა ტრანსპოლარულმა გადაფრენამ განაცვიფრა მთელი მსოფლიო, რომელნიც უზარმაზარ მდინარეებს მარშრუტებს უცვლიან და გაუვალ ტაიგაში სასწაულებრივი ტემპებით აშენებენ ულამაზეს ქალაქებს, რომელთაც დაზგებთან შრომა შემოქმედებითს სიხარულად, სახელისა და დიდების საქმედ აქციეს და ტექნიკაში სასწაულები მოახდინეს, — დიდი აღმადრენის კონსტრუქტორები და გამოგონებლები, ინჟინერები და სტახანოველები, სარეკორდო მოსავლის ორგანიზატორები, — ეს ადამიანები მაღალი კულტურული შეგრძნობისა და მაღალი გემოვნების ადამიანები არიან. ესენი არიან ახალი კაცობრიობის წარმომადგენლები, ლეილი შეილები პირველი სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია აქვს. სტალინური კონსტიტუცია წარმომადგენს საბჭოთა კავშირის მშრომელი მილიონების მთელი წინანდელი გმირული ბრძოლის შედეგს. მასში აღბეჭდილია ბედნიერი და საამური ცხოვრება, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს ლენინ-სტალინის დიდი პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით. ეს მონაპოვარია შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობაში უზრუნველყოფის უძვირფასესი უფლებები. ეს მონაპოვარია ნამდვილი და თანმიმდევრული სოციალისტური დემოკრატიზმი, რომელიც მხოლოდ ჩვენს სამშობლოში განხორციელდა. ეს მონაპოვარია საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნები ფარული კენჭის ყრით. სტალინური კონსტიტუცია — თავისუფლების ეს დიდი ქარტია — არ იცნობს ქალთათვის საარჩევნო უფლებების არავითარ შეზღუდვას. იგი ყველა მოქალაქეს, დამოუკიდებლად ეროვნებისა და რასისა, თანასწორ საარჩევნო უფლებებს ანიჭებს. ჩვენში არ არის საარჩევნო უფლების არავითარი შეზღუდვა ქონებრივი ნიშნის მიხედვით, არ არის არავითარი შეზღუდვა ბინადრობის მიხედვით.

არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ისტორიის ძლიერადმოხილი მსვლელობა. ხალხის გაცოფებული მტრები, ფაშისტური ობრანკების დაჭირავებული აგენტები, ტროცკისტულ-ზინოვიევი-ბუხარინელი ჯაშუშები და დივერსანტები ყოველგვარი ბინძური საშუალებებით ცდილობდნენ წაერთმიათ ხალხისათვის ბრძოლებში მოპოებული თავი-



სუფლებსა, წაერთმიათ მილიონებისათვის ბედნიერი ცხოვრება და დაებრუნებინათ ხალხი კაპიტალისტური მონობის კლანჭებში.

მაგრამ ხალხმა მათ ნიღაბი ჩამოჰგლიჯა და სამგზის წყვეული გამცემლები სამარცხენო ბოძზე გააკრა. საბჭოთა ხალხი უძლეველია, იგი მკერდით სდგას თავისი საყვარელი პარტიის, ბრძენი ბელადის სტალინის და თავისი ბედნიერების სადარაჯოზე, იგი თვალისჩინივით უფრთხილდება და იცავს იმ უფლებებს, რომლებიც მოპოვებული და ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

კოტა ზიანი როდი მიაყენა მტერმა საბჭოთა კულტურასა და ლიტერატურას. არაერთხელ შეეცადა მტერი აეცლინა სოციალიზმის დიადი გზიდან საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა. კონტრრევოლუციური ტროცკიზმი და დამპალი „ვორონჟინა“, „პერეველის“ კულაკური ჯგუფი, ბანდერი ბუჩარინი, ავერბახელობა, ტროცკისტული „ლიტერონტი“, — ყველაფერი ეს ბურჟუაზიის აგენტურა იყო ლიტერატურაში, რომელიც ფეხებში ედებოდა საბჭოთა ლიტერატურას წლების მანძილზე და მისი ზრდის, მისი აყვავების შეფერხებას ცდილობდა. მაგრამ საბჭოთა ლიტერატურამ, რომელიც იზრდება ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვრო ერთგულების საფუძველზე, ჩამოიშორა მტრები, შეუბრალებლად გაანადგურა და გაანადგურებს მტრის ყოველგვარ მახინაკიებს. საბჭოთა მწერლობა ყოველ მომენტში მზად არის მომავლდინებული ლახვარი ჩასცეს სამგზის წყვეულ მტრის აგენტურას.

წინააღმდეგ მტრის დამარღვეველი მუშაობისა, განვლილი ოცი წლის მანძილზე საბჭოთა ლიტერატურა იზრდებოდა და წინ მიდიოდა. საბჭოთა ლიტერატურამ შესძლო ყოფილიყო ღირსეული მემკვიდრე საბჭოთა ადამიანის მკაცარი შინაარსით აღსაცემ ცხოვრებისა განვლილი ოცი წლის მანძილზე. სოციალისტურმა რეალიზმმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი საბჭოთა ლიტერატურაში. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებამ უზრუნველყო ნაციონალური ლიტერატურების — საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების ზრდა. ერთნაირი ვატაკებით და ენტუზიაზმით, ბეჯითი და დაუღალავი შრომით იზრდება თერთმეტ მოძმე რესპუბლიკაში სოციალისტური კულტურა — ლიტერატურა, თეატრი, კინოხელოვნება, ფოლკლორი, მხატვრობა და მუსიკა.

განვლილი წლების მანძილზე უდიდესი წარმატება მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე საბჭოთა საქართველომ — საბჭოთა კავშირის ხალხების დიადი ოჯახის თანასწორმა წევრმა. ამ წლინახევრის წინათ საბჭოთა კავშირის მარშალი და თავდაცვის სახალხო კომისარი ამხ. ვოროშილოვი ამბობდა: „მეფის დამქაშებს და ლიტერატურულ ლაქებს უყვარდათ საქართველოსათვის რუსეთის საიმპერატორო გვირგვინის ბრილიანტის დარქმევა. ეს ვაჟბატონები წინდახედუ-

ლად სდუმდნენ, რომ ეს ბრილიანტი საქართველოს მშრომელთა სრულებით და სისხლით იყო განზანდილი. ნამდვილი ბრილიანტი ქვეყნის მხოლოდ ამჟამად ხდება, ხდება ნამდვილ განძად აქამდე უცნაურ და საბჭოთა კავშირისათვისაც“.

და მართლაც, საქართველოს მრავალსაუკუნეანი ისტორია რევოლუციამდე აღსავსეა ხალხის უმაგალითო ტანჯვით და ათასნაირი ჯურის დამპყრობელთა წინააღმდეგ მისი გმირული ბრძოლის ფურცლებით. ამ მრავალსაუკუნეანმა ჩაგვრამ თავისი დაღი დააჩნია ქართული ლიტერატურის ისტორიას, რომელიც თავისი განვითარების კლასიკურ ეპოქებში ხშირად იყო გამომხატველი ხალხის ფართო მასების მისწრაფებისა და სულისკვეთების, შესაიღწმელე მისი მწუხარებისა და იმედების. ამის ნათელი ილუსტრაცია მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაა. ამ საუკუნემ ქართველი ხალხის ორმაგი ჩაგვრის — კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრის — ნიშნის ქვეშ ჩაიარა. ბუნებრივია, რომ ქართული მწერლობა ვერ ურიგდებოდა ამ ბნელ რეაქციას და „განახლებისა გრივალის ქროლასა“ ნატრობდა. ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს არა ერთხელ უოცნებიათ თავიანთ სამშობლოშიც მოესმინათ სანატრელი ხმა „ხალხთ ბორკილის მტერევისა“. კერძოდ, ილია ჭავჭავაძემ, როგორც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, გულწრფელად უბღერა შრომის სუფევას და მომავალს, რომელიც დაამსხვრედა კაცთა ცხოვრების შემფერხებელ ბორკილებს. დემოკრატიული მოტივებით იყო გაფენთილი აკაკი წერეთლის შემოქმედებაც, და ეს საუკეთესო ტრადიცია ქართული ლიტერატურისა თერგდალეულების შემდეგაც არ დარღვეულა.

საქართველოს სამეურნეო და კულტურული ცხოვრება კიდევ უფრო აწეწეს და დაანგრის მენშევიკებმა — დასაყვეთის იმპერიალისტების ამ დაქირავებულმა ლაქიებმა. მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის შემდეგ განხორციელდა ქართველი ხალხის ოცნება თავისუფლებაზე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო ქართველმა ხალხმა მთელი მკერდით სუნთქვა თავისუფლების გამაცოცხლებელი ჰაერით. ორდენოსანი საქართველო, რომელსაც ხელმძღვანელობს სტალინის საუკეთესო მოწაფე და თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამზანავი ლავრენტი ბერია, გიგანტური მიღწევებით შეხვდა ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავს. ქართველი ხალხის დაუშრეტელმა ენერჯიამ და შემოქმედებითმა უნარმა ლაღად გაშალა ფრთები და მრავალი საამაყო წარმატება მოიპოვა.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალედ და თანამიმდევრად გატარებამ შეიარაღა ქართველი ხალხი არა მარტო მოწინავე ინდუსტრებით, არა მარტო ახალი ტექნიკით, არამედ შეუქმნა მას მოწინავე კულტურა-ნაციონალური ფორმით და სოციალისტური შინაარსით.



უდიდესია ჩვენი მიღწევები კლასიკური კულტურის მემკვიდრეობის დაუფლების საქმეში. ლენინიზმი ყოველთვის გვასწავლიდა და გვჩვენებდა, რომ წარსულის კულტურის კრიტიკული შეთვისების გარეშე ლაპარაკი პროლეტარულ კულტურაზე ცარიელი ფრაზაა. სწორედ ამიტომ დაეწაფა გატაცებით საბჭოთა საქართველოს ხალხი თავისი დიდი კულტურული წარსულის შესწავლას.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითი რუსთველის იუბილეა.

საუკუნეების მანძილზე სდევნიდნენ რუსთველის გენიალურ პოემას. რამდენჯერ ყოფილა განსაცდელში ეს უკვდავი ქმნილება: ანტონ კათალიკოსი აუტო-დაფეს უმართავდა მას, ეპისკოპოსი ტიმოთე ანათემას აძლევდა, ხოლო მეფის რეგენი ჩინოვნიკები ბბილისში მისი ძეგლის დადგმას კრძალავდნენ და ქართველ მწერლებს, რომელთაც ძეგლის დადგმის საკითხი აღძრეს ასპინძისაკენ უშევრდნენ ხელს — ძეგლი იქ დაუდგით, სადაც დაიბადო.

მხოლოდ საბჭოთა საქართველოს სახით ჰპოვა „ვეფხისტყაოსანმა“ თავისი ნამდვილი სამშობლო, მხოლოდ საბჭოთა ხალხის სახით ჰპოვა რუსთველმა თავისი ნამდვილი დამფასებელი და ერთად-ერთი ქვეყნობი მემკვიდრე. ქართველი ხალხი ძეგლს უდგამს რუსთველს საბჭოთა საქართველოს მზიან დედაქალაქში. მხოლოდ დღეს — შვიდი საუკუნის შემდეგ — მიეცა ქართველ ხალხს შესაძლებლობა დაანახვოს მსოფლიოს თავისი რუსთველი, გააცნოს მისი „ვეფხისტყაოსანი“, როგორც მარად უქრობი ძეგლი და სიამაყე მსოფლიო ლიტერატურისა. რუსთველის პოემის თარგმნა სხვადასხვა ხალხის ენაზე, რუსთველის იუბილე-ყველაფერი ეს საბჭოთა კულტურის ზრდაზე ლაპარაკობს.

ილია ჭავჭავაძის ღირსეული დაფასებაც მხოლოდ დღეს ვახდა შესაძლებელი. მისი დიდების ყვაილები მხოლოდ ახლა გაიფურჩქნენ. მოწინავე, თავისუფალი და ბედნიერი, განახლებული და აყვავებული, — ასეთია ის ქვეყანა, სადაც ილია ჭავჭავაძის სახელი ქართული კულტურის სიამაყედ, მის უძვიროფასეს განმად გადაიჭტა. ცარიზმი კი ქართული კულტურის ამ დიდ ოსტატს ტყვეითა და სოკვილით გაუმასპინძლდა.

საბჭოთა კულტურის აღორძინების და კლასიკური მემკვიდრეობის ლენინურ-სტალინურად დაუფლების ნიშნის ქვეშ ჩატარდა, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის და ევნატე ნინოშვილის საიუბილეო თარიღების აღნიშვნაც.

ამრიგად, განვლილი წლების მანძილზე ქართველთა ხალხმა საქმით დაამტკიცა, რომ ის ერთად-ერთი მემკვიდრეა იმ დიდი კულტურის, რომელიც შექმნეს განვლილმა საუკუნეებმა. მაგრამ მარტო მემკვიდრეობის მიღებით როდი დაკმაყოფილდა საბჭოთა საქართველო.

ჩვენ სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ: ჩვენ უკვე შევქმენით ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურა, — სოციალისტური რეალიზმის



ლიტერატურა, რომელმაც მალალი იდეურობით, საუცხოო ოსტატობით დაგვიხატა მუშათა კლასის გმირული წარსული, ჩვენი, საქართველოში, აწმყო და რომელიც ჩადგა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძვე ლიტერატურათა რიგებში.

საბჭოთა ლიტერატურის ისტორია, რომელიც საუკუნის მეხუთედს ითვლის, არის მხატვრული ინტელგენციის კომუნისტურად აღზრდის რთული და საინტერესო პროცესი. ლენინ-სტალინის პარტია განვლილი წლების მანძილზე ზრუნავდა თითოეულ საბჭოთა ხელოვნებაზე, მის შემოქმედებითს ზრდაზე. ამ მუდმივმა და დაუღალავმა ზრუნვამ გადააქცია საბჭოთა მწერალი „ადამიანის სულის ინტენერად“.

საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა, რომელიც განვლილი წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიისა და პირადად ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით და ყოველდღიური მზრუნველობით ცანამტკიცეს და განვითარების მალალ მწვერვალზე აიყვანეს საბჭოთა მწერლებმა, პარტიულმა და უპარტიო ბოლშევიკებმა, იზრდებოდა გამწვანებული ბრძოლის პირობებში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების წინააღმდეგ. ამ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ტენდენციების გამომხატველი მწერლები ცილისმწამებლურად ასახედნენ საბჭოთა სინამდვილეს, იბრძოდნენ კლასიკური რეალიზმის საუკეთესო ტრადიციების წინააღმდეგ და ცდილობდნენ დაენერგათ ქართულ ლიტერატურაში ყველაფერი ის, რაც ოდესმე დალბა და გაიხრწნა ბურჟუაზიული ლიტერატურის ისტორიაში. ამ ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული ელემენტებით აკრულებული იყო „ცისფერი ყანწების“ ჯგუფი, „აკადემიური ჯგუფი“ რომელიც ქართული მწერლობის უკიდურესად მემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა, და „არიფიონი“, რომელიც აშკარად კონტრრევოლუციური მოწოდებით გამოვიდა. კერძოდ, სიმბოლისტური სკოლა ყველა თავის რეაქციურ იდეას, ყოველგვარ ნაციონალისტურ აგრესიულობას ბურჟუაზიული ხელოვნების არსენალიდან სესხულობდა და ქართულ ლიტერატურაში ამ იდეების გავრცელებას ცდილობდა.

სოციალიზმის გრანდიოზული წარმატების, საბჭოთა ხალხის ბუმბერაზული წინსვლის და ჩვენი საბჭოთა კულტურის გიგანტური ზრდის შედეგად ეს ჯგუფები დაიშალნენ. კერძოდ, „არიფიონს“ ძალიან ჩქარა გამოეყო მწერლობის საუკეთესო ნაწილი, და ეს უკანასკნელი რადიკალურად გამიჯნა „დამპატივებს“ ავტორის იდეოლოგიას. ასეთივე გამიჯვნის პროცესებმა ჩაიარა სხვა დასახელებულ ჯგუფებშიც. საუკეთესო ნაწილი ქართული მხატვრული ინტელიგენციისა, მოწინავე მწერლები, რომელნიც ადრე „აკადემიურ ჯგუფს“, „არიფიონს“ და „ცისფერ ყანწებს“ ეკუთვნოდნენ, საბოლოოდ გადაიარაღდნენ იდეურად, თამამად გამიჯნენ დასახელებული ჯგუფების რეაქციურ მსოფლმხედველობას და ორგანიულად შეუსისხლბორცდნენ საბჭოთა სინამდვილეს. დარჩა მცო-



რე ნაწილი. ისინი კვლავ შერჩნენ ნაციონალიზმისა და სიმბოლიზმის დამპალ ტრადიციებს და საბოლოოდ გაიხრწნენ ბურჟუაზიული კლასტურ ჭაობში. მათ თვალთმაქცობის, ფარისევლობის გზით ნაღობს სამგზის წყეული მტრების ბანაკში ამოყვეს თავი.

საბჭოთა მწერლობამ ერთსულოვნად გააძევა ეს მოლაღატენი თავიარილებიდან.

ქართულ მწერლობაში არსებობდა „ლეფელთა ჯგუფი“. ნოვატორული ხელოვნების პრეტენზიებით გამოვიდა ასპარეზზე ქართული „ლეფი“. მაგრამ ეს „ნოვატორობა“ იყო არა პოლიტიკურ-ლიტერატურული, არამედ მხოლოდ ფორმალურ-მხატვრული ხასიათისა. „ლეფმა“ თავის დროზე შეჰქმნა „ზაუმის“ თეორია და პრაქტიკა, რომლისათვის პირველ რიგში დამახასიათებელი იყო კლასიკური რეალიზმის ჯანსაღი ტრადიციების უარყოფა, ცალმხრივი გატაცება ფორმით და წვრილბურჟუაზიული ბუნტარობა. „ზაუმის“ მთავარი აზრი ის იყო, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა სიმძიმის ცენტრი პოეზიაში ახრიდან ბევრზე გადაიტანეს. ლენინი კლარა ცეტკინთან საუბარში ადრინდელი რუსი ფუტურისტების შემოქმედებას ასე ახასიათებდა: „...უაზრობაა, სრული უაზრობა... მე არ შემძლია ექსპრესიონიზმის, ფუტურიზმის, კუბიზმის და სხვა „იზმების“ ნაწარმოებნი ჩავთვალო მხატვრული გენიის უმაღლეს გამოვლინებად. მე ისინი არ მაგრძნობინებენ არავითარ სიხარულს“.

ლენინის ეს სიტყვები ახასიათებენ ქართველი ლეფელების ლიტერატურულ წარსულსაც.

ყოფილი ლეფელები უკვე განთავისუფლდნენ „ზაუმის“ თეორიებისაგან და დღეს ისინი საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე პოზიციებზე დგანან. ახლა ამ ჯგუფის მწერლობისათვის „H₂SO₄“-ის პრინციპებს მხოლოდ ბიოგრაფიული მნიშვნელობა თუ აქვს. დღეს მათა შემოქმედებისათვის დამახასიათებელია საბჭოთა პატრიოტიზმი და მაღალი მხატვრული ოსტატობა.

ამრიგად, პროლეტარიატის მხარეზე გადავიდნენ მწერალთა მთელი თაობები, რომელნიც შემოქმედებით ასპარეზზე რევოლუციის წინა ხანებში გამოვიდნენ. იგივე პროცესი მოხდა სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებში („ლეფი“), რომელიც ადრე წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის სულიერ დაკვეთას ასრულებდნენ. ამასთან ერთად პროლეტარულმა მწერლებმა ახალი შემოქმედებითი გამარჯვებანი მოიპოვეს. მათ მაღალი მხატვრული ოსტატობით დახატეს ჩვენი დროის გმირები, ახალი ადამიანები, ახალი ხასიათები, ახალი ურთერთობანი. მოხდა მთელი საბჭოთა მწერლობის ძალების კონსოლიდაცია სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი პრინციპების საფუძველზე.

ამით დაიწყო საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ახალი ეტაპი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის აპრილის დადგენილებამ უდიდესი როლი ითამაშა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებასა და წინსვლის საქმეში. აღნიშნულმა დადგენილებამ გააუქმა ე. წ. ასოციაცია „რაპი“ და მისი ფილიალები, რომლებიც ყველა ნაციონალურ რესპუბლიკაში მოქმედებდნენ. ავერბახელობა, ტროცკიზმის ეს ბინძური პირწაყარდნითი აგენტურა ლიტერატურაში, ისევე, როგორც კონტრრევოლუციური, „ლიტფრონტი“, ცდილობდა, გაეხრწნა მწერალთა კადრები და შეეფერხებინა საბჭოთა ლიტერატურის ზრდის საქმე. ავერბახელებს და ლიტფრონტელებს მიმდევრები საქართველოშიც ჰყავდათ. ისინი ავრცელებდნენ უპარტიციპობას, ჯგუფობრივობას, ისინი სცდილობდნენ პარტიისადმი უნდობლობის შხამით მოეწამლათ ქართული საბჭოთა ლიტერატურა. ავერბახელები „რაპს“ იყენებდნენ თავიანთი ბინძური, ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის. ისინი ცდილობდნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ ქართულ მწერლობაში და ყალბი გზით წარემართათ მისი განვითარება. პარტიის დირექტივებს ავერბახელები, კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ეს ნაძირალები, უხეშად ამხანჯებდნენ, აყალბებდნენ და ამით აძნელებდნენ უპარტიო მწერლების საბოლოოდ მტკიცედ გადასვლას საბჭოთა ქვეყნის პოზიციებზე.

1932 წლის აპრილის დადგენილებამ გააუქმა „რაპი“. კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ნაბოლარებმა — ავერბახებმა და მისმა მიმდევრებმა როდი შესწევითეს თავიანთი ბინძური „საქმიანობა“. მაგრამ საბჭოთა მწერლობამ ამხილა და გააძევა ისინი თავის რიგებიდან.

დღეს საბჭოთა მწერლობა მკვიდროდ დარაზმულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის დროშის ქვეშ. ბედნიერი ცხოვრება მეტყველებს ქართველი პოეტების ლექსებსა და პოემებში, რომანებსა და პიესებში. ჩვენი ეპოქის თავისუფალი სუნთქვა ისმის ქართულ ლიტერატურაში.

მოისმენთ რა სიმღერებს, რომლებსაც მღერიან ორდენოსან საქართველოს სოციალისტურ შინდერებსა და ილიალებზე, დეათვალეიერებთ რა ჩვენი მხატვრების გამოფენებს, გადაფურცლავთ რა ჩვენი პოეტების ლექსთა კრებულებს და საბჭოთა ბელეტრისტების რომანებს, შეხედავთ რა თვითმომქმედი ხელოვნების ოლიმპიადებს, თქვენ ყველგან მოწმე გახდებით საბჭოთა ხელოვნების უმაგალითო ზრდისა, ფართო გაქანებისა, სოციალისტური კულტურის დაეცეკვებისა.

სოციალისტური შრომის პათოსი, ის პათოსი, რომელიც ჩვეულებრივ აღმზიანებს გმირებად ხდის, ძალასა და სიმკვიდრეს აძლევს საბჭოთა ლიტერატურასაც. ქართულ მწერლობას შეუძლია იამაყოს იმ ეპოქალური ნაწარმოებებით, რომლებიც უკანასკნელ ხანებში დაიწერა დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ბოლშევიკური პარტიისა ისტორიის, ჩვენი დიადი სამშობლოს თემებზე. უდიდესი შემოქმედებითი სტიმული მისცა ქართულ საბჭოთა მწერლობას ამხანაგ ლავრენტი ბერიას

მოსხენებამ — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ამხანაგ ბერიას ამ წიგნმა, რომელიც უკვე კარგად გაცნობილია ბოლშევიზმის მატრიანეში, ისტორიული როლი ითამაშა ქართული მწერლობის აღორძინების, მისი სოციალისტური რეალიზმის რელსებზე, მუშათა კლასის გამორული წარსულის და ულამაზეს აწმყოს თემებზე გადაყვანის საქმეში.

ქართველი პოეტების სიმღერები და ლექსები სტალინზე ქართული საბჭოთა მწერლობის ყველაზე უფრო დიდი მიღწევაა.

ასახო ხელოვნებაში ბელადის სახე — ეს მეტად რთული და იმავე დროს წარმატაი შემოქმედებითი ამოცანაა. ჩვენმა პოეტებმა ეს ეპოქალური ამოცანა წარმატებით შეასრულეს. ქართველი პოეტები უმღერიან სტალინს, როგორც თავისუფლების დიადი ქარტიის — ახალი კონსტიტუციის შემოქმედს, სოციალიზმის გამარჯვებათა გენიალურ ორგანიზატორს. ვრცელი პოემა დასწერა ამ თემაზე გ. ლეონიძემ „ბავშობა და ყრმობა“.

საუცხოვო პოეტური ნაწარმოებები დასწერეს ბელადისა და სამშობლოს შესახებ ალ. შაშაშვილმა („სამშობლო ბელადისა“), ს. ჩიქოვანმა („ბელადის თვალი“), ი. მოსაშვილმა („ბელადს“), ს. ეულმა („დედის ნახეა“), დ. გაჩეჩილაძემ („სტალინ“), ალ. ქუთათელმა („სტალინი დედასთან თბილისში“), ს. შანშიაშვილმა („იოსებ სტალინი“), ს. ისიანმა („სევანური სიმღერა სტალინზე“) და სხვებმა.

ჩვენი ლიტერატურა, დაეფულა რა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, ხალხურ ხელოვნებად გადაიქცა. ამ ლექსებში გამოხატულია ქართველი ხალხის სიხარული, ქართველი ხალხის მადლობა და სიყვარული სტალინისადმი, რომლის მუდმივმა დაუღალავმა მშობლიურმა ზრუნვამ და ბრძნულმა ხელმძღვანელობამ ჩვენი სამშობლო უძლეველი გახადა, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით შეიქმნა ხალხთა მტკიცე და ურღვევი მეგობრობა.

ამ თემაზე მუშაობენ ქართველი პროზაიკოსებიც. დემნა შენგელაიამ დასწერა მოთხრობა „ყრმობა“, რომელიც გვიხატავს ამხანაგ სტალინის სიკბანუკის წლებს. ამხანაგ სტალინის ცხოვრების წარსულს გამოხატავს რ. ქორქიას „მზის ამოსვლამდე“ და „ბელადის თვალი“. მუშაობენ ამავე საკითხზე მთელი რიგი სხვა მწერლები.

მდიდრად აისახა ჩვენს ლიტერატურაში ისტორიულ-რევოლუციური წარსული. ამ მხრივ აღსანიშნავია შ. დადიანის „ურდუმი“, და „ნაპერწყლიდან“, ს. შანშიაშვილის „არსენა“, კ. კალაძის „როგორ“, რ. გვეტაძის „ჭიაკოკონა“ და „თეო“, დ. შენგელაიას „ცხრა თვალი“, ა. ქუთათელის „პირისპირ“ ჰ. ჩხიკვაძის „მურზაყან და დეშველიანი“, ჰ. სამ-

სონიძის „პირველი ქარტეხილი“, დ. სულეზის „ნალვერდალი“, გ. ბააზოვის „იკვარჩინაშვილები“ ქართულ მწერლობაში ფართოდ არის ნაჩვენები სოციალისტური ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, მუშათა და კოლმეურნეთა ბედნიერი ცხოვრება, ჩვენი დროის ახალი ადამიანები, სოციალისტური შრომის გმირები. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ალ. მაშაშვილის პოემა „ენგური“, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლის თავზე გამოვიდა, გ. ტაბიძის ლექსები და „რევოლუციური საქართველო“, ლ. ქიაჩელის, „გვადი ბიგვა“, კ. ლორთქიფანიძის „იმერეთი“, ალ. ქეიშვილის „ლელო“, პ. ჩხიკვაძის „სართულები“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, ს. ეულის „ჭალადი“, ე. პოლუშორ დვინოვის „იღვიძებენ მთები“, ირ. აბაშიძის, ალ. გომიაშვილის და გ. კაჭახიძის ლექსები, პ. სამსონიძის „სალტე“, ი. ლისაშვილის „ვარდნილი“, ა. ჩაჩიბაიას „გმირები“ და სხვ.

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავზე გამოვიდა ქართველ პოეტების კრებული „ახალი კოლხიდა“. კოლხეთის აღორძინებისა და ამ უდაბური ქაობის გიგანტურ სუბტროპიკულ ორანჯერად გადაქცევისათვის წარმოებულმა გმირულმა ბრძოლამ უმძლავრესი შემოქმედებითი სტიმული მისცა ქართულ მწერლობას. კოლხიდაში ბოლშევიკებმა დაიმორჩილეს ბუნება და იგი მშრომელი ადამიანის ბედნიერების, შეძლებული ცხოვრების მატერიალურ საფუძველად გადააქციეს. კოლხიდაში იბადება ახალი მატერიკი და ამ მსოფლიო ისტორიულ საქმეს ქართველი პოეტები უმდერაინ მთელის გატაცებით და გულწრფელობით. ახალ კოლხიდაზე დასწერეს საუკეთესო პოემები რ. გვეტაძემ („წალკოტი“), გ. ლეონიძემ („ფართოხალა“), ს. ეულშა „ჭალადი“, ს. შანშიაშვილმა („ოქროს ვერძი“). ლექსებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ალ. მაშაშვილის ორი სონეტი („ბორჯა), ს. ჩიქოვანის „შემოდგომის საღამოები კოლხიდაში“, ირ. აბაშიძის „კოლხიდის სავანძერი“, დ. გაჩეჩილაძის „კოლხეთს“, ვიქტორ გაბესკირიას „სურათები“, ე. გაფრინდაშვილის „ინათი და ყორათი“, კ. ბობოხიძის „პალისტომის სანაპირო“ ი. მოსაშვილის „კოლხიდის დილა“, ი. ლისაშვილის „კოლხეთის მიწა“, პ. სამსონიძის „სიმღერა კოლხიდაზე“ და სხვ.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა — თავისი ბუნებით ინტერნაციონალური ლიტერატურა — გატაცებით გამოეხმაურა ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლას. ქართველმა პოეტებმა მგზნებარე მხატვრული სიტყვით ნათელჰყვეს ქართველი ხალხის სოლიდარობა ესპანეთის ხალხ-



თან, რომელიც თავგანწირულად იბრძვის სამშობლოსა და დემოკრატიის სადარაჯოზე, იბრძვის საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ.

სოციალისტურმა რეალიზმმა ააყვავა ხელოვნების სწავლა და შექმნა ქართული მხატვრები და მოქანდაკეები, გატაცებით მუშაობენ იმ ეპოქალურ თემებზე, რომელიც ჩვენი დროის ხელოვნების წინაშე დააყენა ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენებამ — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ქართული მხატვრობის აღორძინება უკვე თვალსაჩინო ფაქტია.

რევოლუციამდე ქართული თეატრალური ხელოვნება უპატრონოდ და უმწეოდ იყო მიტოვებული. უსახსრობა ახრჩობდა მას. ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში ქართულ თეატრს და ოპერას წინსვლის არავითარი პერსპექტივა არა ჰქონდა. დღეს კი ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინება ყველასათვის ნათელია. ამის ილუსტრაციაა რუსთველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრი, მოზარდმაყურებელთა თეატრი, რაიონული თეატრები, რომელნიც საკოლმეურნეო სოფლის კულტურული ზრდის მძლავრ ბერკეტებად გადაიქცნენ. ჩვენ გვყავს ბევრი შეხანიშნავი დრამატურგები, რომელნიც კემშირითად გადაიქცნენ უმაღლესი კულტურის თეატრების წამყვან ძალებად.

ჩვენი პარტიის ც. კ.-ის მებრძოლმა ორგანომ, სტალინურმა „პრადამ“ ქართული ხალხური მუსიკა ანტიკური ეპოქის ხელოვნებას შეადარა. ეს ხომ უზარმაზარი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებაა. ნუ დაგვივიწყდება, რომ ანტიკური ხელოვნება კაცობრიობის გენიის მოუწოდებელ მწვერვალად ითვლებოდა.

ქართული საბჭოთა კინო-ხელოვნების ზრდაზე ლაპარაკობს მრავალი ფილმი, რომელთაც საბჭოთა კავშირის მაყურებლის სიყვარული და მოწონება დაიმსახურეს. ქართული კინო-ხელოვნებას მთელ რიგ ნაწარმოებებში ასახულია ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული („არსენა“ და „უკანასნელი მასკარადი“ — რეჟ. ჭიაურელი, „ნახვამდის“ — რეჟ. მაკაროვი, „დარიკო“ — რეჟ. დოლიძე და სხვ.), საკოლმეურნეო სოფლის შეძლებული ცხოვრება, „ნარინჯის ველი“, საბჭოთა ახალგაზრდობა და მისი გულწრფელი პატრიოტიზმი, მისი დაუდგრომელი მისწრაფება საავიაციო საქმის დაუფლებისაკენ („მფრინავი მღებავი“) და სხ.

საბჭოთა ხელოვნებამ სიტყვის, ფერის და ხაზის არა ერთი პირველხარისხოვანი ოსტატი გამოიყვანა შემოქმედებითს ასპარეზზე. ისინი აღზარდა დიდმა საბჭოთა სინამდვილემ, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანამ. ლენინ-სტალინის პარტიამ შეუქმნა ჩვენს ხელოვნებას წინსვლისა და აღორძინების ყველა პირობა, მისცა საბჭოთა ხელოვნებას კემშირითად უკვდავი და დიადი შემოქმედებითი პრინციპები და ღონისძიებები.

ჩვენ გადავედით ოქტომბრის რევოლუციის მესამე ათეულ წელში, ჩვენი სამშობლოს არსებობის მესამე ათეულ წელში. ეჭვირვალ მწერლობის ამოცანაა — უფრო ღრმად, უფრო ყოველმხრივად ატარებოდ ასახოს ჩვენი სამშობლოს დიადი ცხოვრება. ჩვენი ამოცანაა — ვიბრძოლოდ სოციალისტური კულტურის უფრო მაღალი მწვერვალების დასაუფლებლად. ჩვენი ამოცანაა — ვიყენებთ უფრო ფხიზლად და ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ კაპიტალისტური გარემოცვის არსებობა. განადგურებული კლასების ნაშთები, ხალხის სამგზის წყეული მტრების ნამსხვრევები და ნაბოლარები მომავალშიც შეეცდებიან ზიანი მიიყენონ ჩვენს დიდ საქმეს, ჩვენს დიად სოციალისტურ კულტურას. სწორედ ამიტომ საბჭოთა მწერლობა მუდამ ალტურვილი უნდა იყოს შეტევეთი სიფხიზლით. „საბჭოთა მწერალი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტურ სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, თავისი საბჭოთა სამშობლო, ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება. იგი უნდა იყოს გულწრფელი და გულმართალი თავის ნაწარმოებებში, იგი უნდა განამტკიცებდეს, აფართოებდეს თავის კავშირ-ურთიერთობას მშრომელთა ფართო ფენებთან“ (ლ. ბერია).

საამაყო და სასახელოა იყო მწერალი სოციალისტური სამშობლოსი. საბჭოთა პატრიოტიზმი არის კოლოსალური ძალა, რომელსაც წინ მიჰყავს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, ის არის საბჭოთა ხელოვნების, სოციალისტური კულტურის ოსტატთა კადრების ერთადერთი ქეშმარიტი გზა, რომელსაც მივყევართ უფრო მაღალი, უფრო ბრწყინვალე გამარჯვებისაკენ.



გმირი

ბაღდა

1

რა ამბავია?
 რაღაც მომხდარა?
 სტირიან, ცრემლი
 დამდგარა ღეარად.
 ნეტა აქ ვინმე
 ხომ არ მომკვდარა?
 რა ამბავია?
 რაღაც მომხდარა?..

გუშინ აქ სოფლად,
 ერთ-ერთ ოჯახში
 იყო სიმღერა,
 იყო თამაში,
 გაშლილი სუფრა,
 ხალხი მღეროდა.
 ყველამ იწამა,
 ყველას სჯეროდა,
 ოჯახს ეწვია
 ბრწყინვალე ბედი, —
 ამ სოფლის თვალი.
 დიდი ხნის ნატვრა,
 ოცნება დედის:
 ოცი წლის ვაჟმა,
 ოქტომბრის კბილამ,
 რომელსაც ჰქვია
 საბელად ილა,
 შვირთო ცოლად
 გლეხკაცის ქალი,
 ტურფა, ლამაზი,
 ამ სოფლის თვალი

დღეს კი აქ რაღაც
 ამბავი არის,
 დაქრის ზუზუნით
 ეზოში ჭარი,
 თითქოს ისიც კი
 ტირის და მოთქვამს
 (თითქოს ჭადრის ხეს
 უჭადის მოთხრას).
 დღეს აქ რაღაცა
 ამბავი არის.
 ტირიან, ცრემლის
 დამდგარა ღეარი.

რა ამბავია?
 ნეტა რა მოხდა?
 უიქველია
 აქ ვიღაც მოკვდა,
 მაგრამ კუბო რომ
 არ მოსჩანს სახლში?
 ეგებ ცხედარი
 მიჰქონდეთ გზაში?
 ან შეიძლება
 სხვა რამე მოხდა?
 უიქველია
 ვიღაცა მოკვდა.
 რა ამბავია?
 ნეტა რა მოხდა?

II

ორ შვილის აღმზრდელს,
 ორ ვაჟის დედას,

ახალ ცხოვრებას
რომ უმზერს, ხედავს,
წინ რომ უძღვება
დღეს სოფლის საბჭოს,
იბრძვის, მშრომელმა
რომ გაიმარჯვოს —
უბედურება
სწევდოდა სახლში:
უფროსი ვაჟი
რომ ჰყავდა ჯარში,
მოსაზღვრედ, მცველად
საბჭოთა ქვეყნის,
მოუკლავთ ბანდებს,
მოსისხლე მტრების.
უმცროსი ძმა კი
ამ ამბის გამო
სადღაც გამქრალა
გუშინ სალამოს,
გადაკარგულა
უგზოდ და უკვლოდ
(ალბად მან ძმის ბედს
ველარ გაუძლო).

სოფელი დადგა
ფეხზე და ღამით
ეძებდნენ ცოცხალს,
ეძებეს გვამი,
მაგრამ ვერც მკვდარი
და ვერც ცოცხალი
ვერ ნახეს, მისი
არ ჩანდა კვალი.

დაღონდა ყველა,
მთელი სოფელი,
მოაკლდათ ერთი
სტახანოველი.
ტიროდა დედა,
ტიროდა ცოლი,
სდიოდა ცრემლი
თვალთაგან ბროლის.

მოთქვამდა დედა:
— ჩემო შვილებო,
სიღარიბეში გიგზავნიყვენ
გამოზრდილებო,
როცა ცხოვრება
ბედნიერია,
როცა მშრომელნი
ყველგან მღერიან,
რომელი ერთი
გიტროთ უნდა, —
ის, ვინც ჯარიდან
არ დამიბრუნდა,
თუ ვინც დაგვტოვა
ცოლი და დედა
მწუხარების დროს
ველარ მოგვხედა,
ძმის გლოვის წუთებს
ველარ გაუძლო,
გადაკარგა
უგზოდ და უკვლოდ!

III

გავიდა დღენი
ორი თუ სამი,
ყველას ახარებს
გული სიამით.
ყველას ახარებს
ამბავი ილას, —
დედა თავის შვილს
ისევ იხილავს,
გულ-შეკრდში ცოლი
ჩაიკრავს ქმარსა
და თავის სევდას
გაატანს ქარსა.

ხარობს სოფელი
პატარა, დიდი.
ამბობენ, ამ გვიჩრს
ჩემს სოფლად ვზრდიდით.

მიულოცავენ
 ცოლსა და დედას
 ილას სიმარჯვეს,
 გაბედულებას.

იმ წამით, როცა
 ეძებდნენ ილას,
 ქალაქში გაჩნდა
 და ადრე დილას
 ილა მოაჯდა
 ფოლადის არწივს,
 ხშირად რომ აწვიმს,
 ხშირად რომ ათოვს,
 და საზღვრებისკენ
 აიღო ხაზი, —
 მტრისთვის მიჰქონდა
 შური და ბრახი.

IV

დედა და ცოლი
 ელიან ილას,
 ოცი წლის ვაჟაკს,
 ოქტომბრის კბილას,
 რომელიც ჯარში, —
 იქ, იმ ადგილას,
 საცა მისი ძმის
 სისხლი დაღვრილა,
 დგას და ცალ ხელში
 თოფი უჭირავს,

გასცქერის საზღვრებს
 თავს რომ შესწირავს
 და დაატყდება
 მტერს, როგორც მეხი,
 თუ გადმოადგა
 ჩვენსკენ მან ფეხი.
 ხშირად მის სურათს
 აცქერდებიან,
 ფრთებს შეისხამენ,
 თითქოს წვდებიან, —
 კოცნიან ილას
 და ეხვევიან.

სურათს კი ილა
 ქვეშ ასე აწერს:
 — ჩემს ძვირფას დედას,
 ჩემს ცოლს საყვარელს“...

წერილში დედას
 და ცოლს ასე სწერს:
 ვინც ჩვენი ქვეყნის
 დროშას მაღლა სწევს,
 ვინც რომ აგვინთო
 რწმენის ლამპარი,
 ბედნიერების
 გაგვიღო კარი,
 ვინც ძალას გვმატებს,
 ბრძოლას გვასწავლოს, —
 მის სურათს ვგზავნი
 წარწერით: ს ტ ა ლ ი ნ .



ვაკლავ შურული

დაკრები ბერიას

შენ გაქებენ მყინვარებიც,
ბარს რომ საქმით უქიხარ,
შენ ბელადის ბრწყინვალეების
მზის ელვარე შუქი ხარ.

შენ დიდ არწივს გაუზრდიხარ
საქართველოს არწივად,
შენ თვით ხალხის გულში ზიხარ,
მისთვის თავსაც ვასწირავ.

დარი ხატავს ცისარტყელას,
ცა კი — ლავეარდს მცინარეს,
შენ მზრუნველად ჰყევხარ ყველას —
კაცს, ყვავილს და მდინარეს.

შენ კოლხიდის ლამაზ მთაველს
ამკობ ჩაის ხავერდით,
ზრდი კახური პურის თავეფს,
წინ ბარაქით წავედით.

გრძნობ ნარინჯით ნათელ ბაღებს,
ოქროს ციმციმს ტოტიდან;
დღეს ხატიჯეც კარს რომ აღებს,
ვიმღერს ახალ ოდიდან.



სვედ ქვეყანას, სადაც კობა
 ბრძოლით სვექდა, ელაგდა:
 შენც მშრომელმა დედამ გშობა
 კობას დროშის მცველად.

ახლა მიწა ჭაობს იშრობს,
 გესმის ვაზის ალერსიც,
 ვინც სამშობლოს ლალატს ფიქრობს,
 სპობ მახვილად ნალესი.

შენ ხმალი ხარ, ხმალი ბასრი,
 ხარ სიმათლის გაჩენა,
 გზრდის საყვარელ ბრძენის აზრი —
 მთელი ხალხის მარჯვენა.

შენ სიმტკიცით სალი კლდე ხარ,
 მტრის დამლეწი, მკვეთელი,
 შენ სტალინის გულთან დგებარ,
 როგორც რკინის კედელი.



ფოლადის ქაცი და ირია

1

აქ ისვენებდა... ის ამ ჩუროდან
საქართველოზე ლექსებს მღეროდა:

„როდის იქნება აღსდგეს მამული —
სისხლ-განბანილი, ცრემლით ნამული“.

ნატრობდი შენი ქვეყნის აღდგენას,
წყლულთა მორჩენას, ვარდების ფენას,

მაგრამ დაეცი, როგორც ხეხილი
ღუშმანის ხელით გადახერხილი.

2

აბ, რომ იცოდე, დღეს როგორ შეენი!
ილიაჲ, აღსდგა დიდება შენი:

ერთდროს დაშლილი და გამოჯნული
აღსდგა მამული — შენი მიჯნური.

მორჩა გათავდა ძველი კირთება,
შენი სახელი ცეკვავს, ირთვება...

გათავდა შენი ტანჯვა და ჯვარცმა...
— შენ გაგაცოცხლა ფოლადის ქაცმა.



გორის ჩხეიძე

ხათან

მ ო თ ხ რ ო ბ ა

გუშინ შუადღისას შებვედრილმა საწყენმა ნაფხშმევეს უწია. მოულოდნელი მაინცა და მაინც არაფერი არ იყო. მაგრამ მოხუც ხათანს არღუელიანს ეგონა, სწორედ გუშინ უნდა გამოაშკარაებულყო იგი, რომ ასე მწვავედ, ერთი ათად მოსდებოდა სულსა გულს ცეცხლი და ღველფი.

გულის კოვზი ძალზე ტეხდა. ლოგინში შამფურივით ატრიალდა. ათჯერ იცვალა გვერდი. დასამშვიდებლად საფეთქლები დაისრისა დაკოვრილი ხელებით. არ იქნა და არ ეშველა, თვალი ვერ მოატყუა.

ნელა წამოდგა, ხელის ფათურით მივიდა კუთხეში, ფიჩხი აანთო, მერე ფრთხილად ჩამოხსნა კედლიდან ძველი ჩონგური და მოწყობას შეუდგა. ბევრჯერ მოხმარებია ეს საყვარელი საკრავი ხათანს ფიჭრთა გასადვენად თავიდან და გაუტაცნია კიდეეაც მის ტკბილ ჰანგებს. ფიჩხის შუქზე შეამჩნია, რომ სიმები დამჩიხულიყენენ ზაფხულში, ბოყვი კი მზეზე ნაგდები გამხმარი ყავარივით გამსკდარიყო. სიმები ხელის მიკარების უმალვე დაწყდა და დაღუმდა.

გაბრაზებით მოიქნია ჩონგური და კედელს მიანარცხა. ცეცხლი რომ ჩაილულა, ისევ მიეგდო, და მიაჩერდა სარკმელს, საიდანაც იხედებოდა ლურჯი ღამე. ამ სარკმლიდან საშუალოდ ვარსკვლავიც ჩანდა ხოლმე, როცა იგი ამოვიდოდა, და ხათანი შეხედავდა თუ არა, დგებოდა. თავის მოუთმენლობას მოხუცი იმ დასკენამდე მიყავდა, რომ მის ჯიბრზე ვარსკვლავიც იგვიანებდა ამოსვლას.

აზრები კი, ეს ოხერი აზრები — ნეტავ არ გაჩენილიყენენ მის დასატანჯავად! — ერთ წუთს არ ასვენებენ, ძილს ახლოს არ უშვებენ ზომანზე მეტად ერთგული გუშაგებივით. ხათან იღვება. კალოზე გავა, გა-

იელ-გამოივლის. კარმიდამოს დანახვა და სუფთა მთის ჰაერი დაიშვილებს. მაგრამ ჩვეულების დარღვევას, საშუალამო ვარსკვლავის ამოსვლაზე ადრე ლოგინის დატოვებას, მისი დედაბერი ცუდ ნიშნად ჩამოთვლის. გადასწვევტს, ჩემი ბერიკაცი ავად არისო და მოდი დააჯერე ქალი ფიციოთ. თუ დაიჯერა, მიზეზს მაინც ძირამდე ჩაპყვება, უკუყო და აბეზარი კოხხეებით თავს მოაბეზრებს.

ამ ფიქრებში იყო ხაფთან, რომ სარკმლიდან თვალი მოჰკრა ვარსკვლავს. პირველარი გამოისახა, ჩოხა ჩაიკვა და კარის ბრახუნით კალოზე გავიდა. ნცამ, ხაფთანის ცოლმა თავი წამოკყო და, რა დარწმუნდა ვარსკვლავის ამოსვლაში, ახირებული ვერაფერი შენიშნა და სასთუმლის სწორებით გვერდი იცვალა. მაგრამ თვითონ ხაფთან არც ეზოში გასვლამ დაამშვიდა. იხანა კიდევაც გასვლა.

ეზოში დარწმუნდა: ამ ფიქრების თავიდან მოცილება, გულიდან ამოგდება არ შეიძლებოდა. შუალამის უკუნი და მთის ღამის სიჩუმე საეპვოდ მოეჩვენა. ეზოში ფეხის ხმა ისმოდა. ნამდვილად კი იცოდა ხაფთანმა, რომ იქ არავინ დადიოდა, გარდა მამაპაპათა სულებისა.

ფეხის ხმა კი ისე გარკვევით ესმოდა, როგორც ხარის ფშენვა, იქვე რომ იწეა. ნელა დაიკუზა, თვალი გააყოლა მიწის პირს. ფეხის ხმა ისევ ესმოდა. ამან შეაკრთო კიდევაც ხაფთან, და გამბედაობის შესამატებლად ყური ენგურის მშულის მიაპყრო, ცხუმარის ბოლოს რომ ჩადის. ახლა მთვარესაც მიაქცია ყურადღება. მერე ნაგვიანვეი შეჭით განათებულმა უშბის მთის ცამდე აზიდულმა წვერმა შეიყოლია პატარა ხანს. წელს იმ წითაზე ვილაც თბილისელები ავიდნენ. ოდესღაც უშბის კლდეებზე გადაიჩეხა რამდენიმე ნასწავლი ფრანგი: „ნეტავ რას დადიან, რას ეძებენ იმ კლდეზე?“ შეეკითხა თავის გონებას და რადგან პასუხი ვერ მიიღო, ახლა ცხუმარის თავს გადმომდგარ უსახელო კონუსს შეხედა. მრავალჯერ ასულა ამ უსახელო კლდისა და მწვერვალის თავამდე. იცნობს ყოველ მის ბილიკს, ყოველ მის ტაფობს. ყოველ მის უფსკრულში ჩაცოცებულა და ამოუთრევეია ფსკერიდან მოკლული ჯიხეი.

სულ სხვა დრო იყო მაშინ, სვანი სევანობდა. ზუნტარის კლდესა და ლაჯურღულას აგრე იოლად კაცი ვერ გამოუვლიდა. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. ზუნტარზე აეტოები მისრიალებენ. ლაჯურღულაც დაუნებდა ადამიანს. იქნებ ამ აეტოებს მოპყვა ხაფთანის უბედურება? იქნებ მისი მურზუხის გაფუჭების მიზეზიც ეს არის და სხვა არაფერი.

როსტომ რომ ცოცხალი ყოფილიყო, ვერაფერს ვერ დააკლებდნენ მას დროის მონაყოლი ქარეჭი. მაგრამ სადღაა როსტომ? მისი ძელებიც კი შექმულია ცხუმარის სასაფლაოს მიწის მიერ.

— როსტომ, ჩემო. შეილო! — შეპბდავლა მოხუცმა სიჩუმეს. — ჩემი საქმე მაშინ წახდა, როცა შენმა კუბომ ჩემი სახლის საძირკველს გადააბიჯა. შენი ძმის მურზუხის ქცევით გამოდის, რომ ანსიანებმა შენი სა-

მაგიერო კუმო არ უნდა ვაიტანონ შინიდან. მურზუ ლაჩარია და ლაჩარია. ეს კიდევ არაფერი, შენი ძმისწულებიც, მურზუხის წყალობებიც, ლაჩარები და სხვანიარები იზრდებან შენი ძმის წყალობებიც. შეიცოდე შენი შერცხვენილი მამა ხაფთან!

მოხუცმა სიბნელეში ლარტყებივით გრძელი ხელები გაასაესაეა, თითქოს ოცის წლის წინად ანსიანის მიერ მოკლული როსტომის უჩინარი სხეული იქ ტრიალებს და მუხლებზე უნდა მოეხვიოსო.

მოხუცი წაბორძიკდა და პირქვე გაეკრა კალოს ხმელ მიწას. ძირს დამხობილმა ნადირივით დაიღმუვლა და ახრიალდა. გვიან მოვიდა გონს ხაფთან. მამლები ჰყიოდნენ. მეზობელ მარტებებიდან ურდულების რაზნი მოისმოდა. გოჭები ქყვიტინებდნენ.

ხაფთან არლულიანის ჯავრის მიზეზი მისი ვაჟი მურზუხ შეიქნა წუხელის. ხაფთანმა სარწმუნო წყაროებიდან გაიგო, რომ მურზუხს მრავალი ხელსაყრელი შემთხვევა ჰქონდა, მაგრამ ხელიდან გაუშვა — არ ჩაძალდა გელა ანსიანი. ერთხანს არა სჯეროდა, რომ ასე იყო, მაგრამ მისმა ბებერმა ნცამ დააჯერა, დაარწმუნა. ასე უთბრა ბებერმა: ღმერთი გულთამზილაეია და მურზუხის საქციელისთვის გესჯის კიდევაცო. ამის დასამტკიცებლად უტყუარი საბუთი მოუყვანა ხაფთანს.

პატარა ვახტანგს, მურზუხის შვილს, ოჯახის პირდაპირ გამგრძელებელს, გაზაფხულიდან ფიჭის ფერი გადაეკრა სახესა და თვალებზე. გახდა, ჩამოხმა, მოღუნდა. სამიოდე დღის წინად ნცამ აღმოაჩინა ნამღვლი მიზეზი: ხალათის საყელოს დაზმანების დროს ვახტანგს ყელის ძარღვებთან მიუგნო რკოსოდნა გამაგრებული ხორცი. დედაბერმა უმაღლე მოიხმო ხაფთან და აჩენა. გამაგრებული ხორცი ჩიყვის კერია იყო. შემდეგ საყედურები სეტყვასავით წამოვიდა.

— ჩემი გვარიდან არც სირცხვილი მომყოლია და არც ავადმყოფობა. მარგიანები სახელოვან მშობელთა ნაშიერნი იყვნენ, გარდაცვლილნიც სახელოვნად წავიდნენ, დარჩენილნიც შერცხვენლად ცხოვრობენ.

— ნცა, ყბა შეაჩერე! დაულრიალა ხაფთანმა დედაბერს და თოფნაკრავი ნადირივით გავარდა ეზოში.

არლულიანების სავარეულო კოშკის ძირას მურზუხ და გელა ანსიანი, მისი როსტომის მკვლელის ვაჟი, ერთად იდგნენ და გეგმას აწყობდნენ:

— ენგური ნაშუალამეცს იწყებს კლებას, — ამბობდა გელა. — ამ დროს მთებში თოელის დნობა სწყდება. ის ნაპრალებიც შუალამეზე ადრე არ გამოჩნდება და გათენებამდე შეგვიძლია მხოლოდ ვიმუშაოთ, ჩვენი მოგება ის იქნება; რასაც იმ დროს მოვასწრებთ.

ოცი წლის წინად მოკლა გელა ანსიანის მამამ ხაფთან არლულიანის უფროსი შვილი როსტომ. მკვლელი დაიმალა. თითქოს ეკრავინ მიხვდა.

ხაფთან არღულიანმა ეჭვი ვერავისზე ვერ მიიტანა, სანამ როსტომს გვერდიდან გასული და ბეჭის ფრთაში შეჩერებული ყირიმელი ფილის სადათვე ტყეია არ ამოუღო. მაშინ კი იტყვიცა ხაფთანმა დაქვეყნული. ანსიანი ჭირისუფლადაც მოვიდა როსტომის გასვენებაზე. ხაფთანმა არ გამოამყლავნა მოსისხლე და გადასწყვიტა არც ვაემყლავებინა გვარისათვის. სანამ მურზუხ სრულწლოვანი არ შეიქნებოდა. მაგრამ მურზუხმა აინუნშიდაც არ ჩაავდო ეს ამბავი, სრულწლოვანიც შეიქნა და ხუთი შვილიც ჰყავდა.

— მურზუხ, აქ მოდი! — დაუძახა მამამ შვილს.

მურზუხმა გელა დასტოვა კოშკის ძირას და, შევიდა თუ არა ეზოში, ხაფთანმა კარი მიხურა და ურდული გამოუგლო.

ხაფთანმა საძირკველთან გააჩერა მურზუხი და შვილიშვილს გასძახა. პატარამ უმალვე მიიბრინა უფროსებთან და სისხლნაკლული, ქუქყიანი ბავშვი მოთენთილი თვალებით შეაჩერდა მათ.

— მურზუხ, ღმერთი გვიწყრება, ვახტანგი ავადაა.

— მეც ვატყობ, — მიუგო მურზუხმა. — რამდენჯერ არ ეცადე დრო გამოძენახა და ეჭიმისთვის მეჩვენებია, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოვახერხე. თვითონ იცი, მამა, რამდენი სამუშაო მაქვს ტყეში, გზის გაყვანაზე, ოქროს რეცხაზე. ვერც შენ გაგიბედე თხოვნა. ახლა კი ამ მოგონებაზე, ნუ დამამადლი, ჭაკი შეკახმე, ვახტანგი შემოისვი და მარგანებთან აღი დედულეთს. ეჭიმი მარგანი ჩენი ნათესავია, ნურც სასყიდელს დაიშურებ, ეს ჩემს მაგივრად გადაეცო, — და შვილმა მამას ხელში ჩასჩარა ორი ახალ-ახალი სამთუმნიანი, მამამ ფული არ გამოართვა და უიმედოთ ჩაიჭია ხელი.

— მე რისთვის დაგიძახე და შენ რას მეუბნები, მურზუხ! — უთხრა ხაფთანმა.

— აბა სოჭეი, რისთვის?

— ვახტანგი ჩიყვიანია.

მურზუხს ნაცრისფერმა გადაჰკრა. მამას დაბმული ჭოფაკივით შეუტია.

— სტყუი, ვახტანგთან ჩიყვს რა უნდა?!

— საკუთარი თვალთ ნახე, საკუთარი ხელით გასინჯე, — უთხრა მამამ შვილს და გამხდარი ბავშვი ხელში ფთილასავით აიყვანა, გამოიღლიავეა, მარჯვენათი გულისპირი გაუხსნა და ორი თითი დააჭირა. დაკვერებული ზორკის ბურთულა გამოიბურცა.

მურზუხმა თავი ჩაჰკიდა და შუბლზე სიმწრის ოფლმა დაასხა, მერე მამას ხელეზში მიეარდა, შვილი გამოსტაცა, ფეხზე დააყენა და შეუყვირა — აქედან მოსცილდიო. შეშინებული ბავშვი გაიქცა, კარი გაიარა და თავქვე დაეშვა.

— აბა, ახლა რას აპირებ? — ნიშნის მოგებით ჰკითხა შვილი ნათ-
თანმა.

— რალას უნდა ვაპირებდე! — მიუგო დაღვრემილმა ^{ნაკრესული} მამამ. — დამღლებ და ისაა. არ მოსცილდი მაჩუბს, საქონლის ბინასა და ნებეს. და აი რა გამოვიდა, მამი, დამიავადე ბავშვები. ვახტანგს კიდეც ვინ ჩივა, თუ სხვები მაინც ჯანსაღნი არიან. მაგრამ რაც მოხდა მოხდა, შეჰკავზე ჰკაცი და ჩქარა მარგიანთან გასწიე. იქნებ რამე ეშველოს ბავშვს, ჩიყვის ზრდა მაინც შეუჩეროს, ყელი არ დაუღწნოდეს.

— ღეთის სასჯელს ექიმი ვერ მოხსნის ჩიყვი ღეთისგანაა. მარგი-
ანიც ვერას უშველის.

— მაშ რა ექნა, შენ რას იტყვი? — შეეკითხა შვილი, რომელსაც იმედი ჰქონდა, მამა სოფელს ექიმზე მაინც მიუთითებდა.

— სასჯელი ისევ ღმერთმა უნდა მოხსნას. ვახტანგს შეიძლება აღა-
რაფერი ეშველოს, მაგრამ დანარჩენ ოთხს მაინც დაიფარავს.

— მაინც რა დავა და გასაყოფი უნდა ჰქონოდა ღმერთს ჩვენთან? — ჩაილაპარაკა მურზუხმა და მაშინვე ენაზე იკბინა: უნებურად დააყენა მამა საჭიროების წინაშე, ეთქვა მიზეზი, რასაც ამბობდა მამა ამ სას-
ჯელს, და სწორედ ამას ერიდებოდა მურზუხ. ამიტომ მიტრიალდა და ის იყო წასვლა დააპირა, რომ მამამ უკანვე მოატრიალა.

— მურზუხ, ხომ ხარ ჩემი შვილი?

— ვარ, მამი!

— ხომ ხარ სევანი?

— ვარ!

— ხომ არ გავიწყდება არღულიანების გვარიც?

— არც ეგ, მამა.

— მაშ პირდაპირ ეთქვათ, რისთვისაც გვსჯის ღმერთი.

— გისმენ.

— ჩვენი მკვდარი წაწყმედილია, შვილი და მომავალი დაჭიანებული და ჩიყვიანი. სისხლი გვაქვს ასაღები, ესაა, რისთვისაც გვეწყრება ის და-
ლოცვილი ღმერთი.

— რას ამბობ, მამა, ღმერთი მაგისტვის რად გავიწყრება?! მეგრე-
ლები, რაქველები, იმერლები, ქართლები და კახელები სისხლს არ იღებენ, მაგრამ ამისათვის იმათ ღმერთი არა სჯის და არც ჩიყვები უნდებათ. ღმერთი კიდეცაა რომ იყოს, მაინც ვერ დავიჯერებდი ამას. ისევ ექიმს მივმართოთ, წადი ჩქარა მარგიანთან ლენჯერში, თუ შენ არ შეგიძლიან, მაშინ თვითონ მე წავალ და ვახტანგისაც წავიყვან. რაც ფუ-
ლი მიშოვია, სულ იმაზე დავხარჯავ და ბავშვს ყელს მაინც არ დაუღწ-
ნოვებ.

— მე რა გითხარი და შენ რა პასუხს იძლევი! მე სისხლის აღებაზე გელაპარაკები, შენ კი ექიმთან მგზავნი! — რისხვით სთქვა ხაფთანმა.

— ჩემი არავის არა მართებს სისხლი! — შვეიდად მიუღო მურზუხმა და კარისაკენ გასწია. უკვე დრო იყო აჩენილ ადგილამდე საღამოს ძლივს ჩაალწევენდნ და მოსამზადებელი სამუშაოც იწყებოდა. მურზუხმა და მამა მურზუხისა და მამა მურზუხის რეცხვისთვის, თანაც გადაწყვეტილება მიიღო, ხელს დილით გამგზავრებულყო ლენჯერს შეილიანად.

მაგრამ ხაფთანმა აღარ აცალა. ხელი გულისპირში სტაცა, შეაჩერა, შეანჯღრია და დორბლები ყრით ჩასძახა სახეში:

— მურზუხ, თუ ჩემზე და მთელ ოჯახზე ხელი არ აგიღია, სისხლი უნდა მოერეცხოს, ჩვენს სახელს, სისხლი..

— ჩემად, შე ჭოფაკო! — შეუტია მურზუხმა ხაფთანს, რომლისთვისაც ჯერ ხმამაღალი სიტყვა არ უკადრებია და ხელები გაუქავა. მოხუცი მოეშვა და დანებდა. მურზუხმა მოულოდნელად უშვა ხელი და ხაფთანი მთელი ტანით მაჩუბის კედელს დაეჯახა.

— გელა ანსიანის მამა შენი ძმის როსტომის მკვლელია. გელაც ხელში გყავს, ჩააძალე და მოჩი. — ამბობდა ხაფთანი და გვერდებატკივებული კენესით ზეზე ღებოდა. მაგრამ ჯერ სიტყვაც არ დაეთავეზინა მოხუცს, რომ მურზუხ ისევ მიეარდა, ხელში აიტაცა და დაემუქა:

— ენა დასაბმელო, თუ კიდევ წამოგცდა, მიწაზე დაგანარცხებ!

მაგრამ ამ დროს მკლავზე ტკივილი იგრძნო. ვილაც დაებლახა. მამას ცივად უშვა ხელი.

— წყეულომც იყავ, მამას ხელი შეახე! — მოესმა დედის ხმა, რომელიც ახლა ქმარსა და ბოძივით აყუდებულ ვაჟაკს შეიღს შორის იღვა. — ანსიანებმა როსტომი მოგვიკლეს, ახლა ანსიანების გასახარად ჰკლავ! შეილი და მომავალი ქიანი გამოვიდა, გვარი გველუბება, სოფელ-ქვეყანაში თავი მოგვექრა. თუ ამ სახელით გინდა იარო, იარე და ისეირნე!.. — უთხრა ვაჟს ნცამ, ხაფთან წამოაყენა და ბორძივით და კენესით წაიყვანა მაჩუბში.

მურზუხ შევიდა მაჩუბში.

— მამ გელა უნდა მოგკლა? — ჰკითხა მან მშობლებს.

— ან გელა, ან გელას შეილი, ან გელას მამა, ერთი სიტყვით, გვარის პირმშო, ისეთი როგორიც ჩემი როსტომი იყო! — და საკმაოდ მოზარბილებული მამა ისევ მიუახლოვდა შეილს. ახლა დაყვავებით უთხრა: — ნუ თუ აქნამდე ერთხელაც არ იკითხე, ვინ მოკლა შენი ძმა როსტომი? ნუ თუ მეც არ მითქვამს?

— შენ არ ვითქვამს, მე კი ვიცოდი, თვითონ გელა გამომიტყდა.

მოხუცი ახლა უფრო აენთო. გულში საღდაც კიდევ ჰქონდა ექვი შერჩენილი — იქნებ ტყვია გელას მამის ყირიმელის არ იყო. ახლა კი ყველაფერი თავის თავად გამოირკვა, აიხსნა და სააშკაროზე გამოვიდა.

— გითხრა და აქნამდე არ მიუზღე სამაგიერო? რაღას, უცდუღა ქრე-ტავი, ათი ათასი შემთხვევა გქონდა! ერთად დადიხარ ხმს უწყვეტად და სანადიროდაც.

— მურზუხ, გვაგვიანდება! — მოისმა ამ დროს გელას ხმა კოშკის ძირიდან.

— გელა, ერთი აქ ამოდი! — გადასძახა პასუხად მურზუხმა და კელიდან ხუთეულით გატენილი შაშხანა ჩამოიღო. ბაგის პირად მ-ვიდა და ჩაუღდა.

მოხუცები გვერდით მიდგნენ და სახე გაუბრწყინდათ სიხარულით. ამ დროს ფეხის ხმაც მოისმა, გელა ანსიანი შევიდა და შუა მაჩუბში გაჩერდა ქვაბსაკიდივით შიშისაგან გაშვებულად.

— მამი! — სთქვა მურზუხმა, — ხედავ, მე შემოძლია ამ წუთში ამოვიგო როსტომის სისხლი. მაგრამ ჩემს ზეთ შეიღს, ოთხ ვაგს და ერთ ჭაღს, იმათ შორის ჩიყვიან ვახტანგსაც ახალ სისხლს აღარ ავკიდებ. წყეული იყოს ის მამა-პაპა, ვინც სისხლის აღება გვიანდერქდა! ერთმანეთს უხოცავთ და ველეტავთ. ამიტომაცაა ხაიშს ქვემოთ ვერ გავსცილდით და ლატვარს გადაღმა სევანობისა გერცხვენიცა, ჩვენს თავზე უარს ვამბობთ. შინ კი ჩვენს საკუთარ სოფელში ერთმანეთის შიშით ურდულიანი კარი ვერ შეგვიცვლია.

თოფმა იქექა და მაჩუბს ყავარი აპყარა.



მოხუცები ჯერ კარგად არ მოსულიყვნენ გონს, რომ მურზუხი თავის ცოლით და შეილებით ეზოში გავიდნენ. გელაც იქ იღვა და ზურგს ეკიდა მურზუხის საოჯახო ბარგი-ბარხანა.

ხაფთანმა შეხედა და საჩქაროდ დაჰკეტა კარი. ურდული გამოუგდო და შიყურა. მურზუხ და გელა დაიძრნენ და პატარასანს შემდეგ მათი ხმაც კი აღარ ისმოდა.

გამწარებული ხაფთან კოშკში გავიდა. მუხლების კვეთით და ხენე-შით მოექცა სახურავზე. გაქცეულნი გასცილდნენ საყანევებს და დაკიდულ დაღმართს უკან მოუხედავად დაუყვნენ. ახლა კი ელარ მოითმინა ხაფთანმა. კისრის მტკრევით ჩავიდა, შინ გიჟივით შევარდა, წინ შემოხედრილ ნიკას ხელი ჰკრა და მხარზე ჩოხა მოიგდო, დიდი კარი ღია დასტოვა და გაქცეულთ გამოედევნა.

მურზუხ თავისი მეგობრით და ცოლშვილით ენგურს უახლოვდებოდა. სწორედ იმ ადგილას, სადაც ბეროს წყალი ენგურს ერთვის და შიგ შუა მდინარეში ვეებერთელა ლოდი გდია, ბეწვის ზიღია გადებული. მურზუხმა საჩქაროდ ვაიყვანა ყველანი გაღმა და ოქროს სამუშაოების ღამის გასათევე ქოხში დააბინავა.

ხაფთან მირბოდა და გზადაგზა ქვებს იკრებდა ჩოხის კალთაში. როცა ხიდთან მივიდა, მურზუხ გაღმა იდგა ხიდის თავთან.

— ჩაგქოლავ! — ყვიროდა მოხუცი.

— ბებერო, ქკუაზე მოდი! — გასძახა მურზუხმა და ოწინარი აუგდო ხიდს. ფიქვის ხეები გრიალით ჩაეშენენ მდინარეში.

მუხლმოკვეთილმა ხაფთანმა ჩოხის კალთას ხელი გაუშვა და უკან გაბრუნდა.

შინ გვიან მივიდა. დედაბერს არც გამოლაპარაკებია, ისე შეუგდო კარს ურდული. დიდხანს იბორიალა კალოზე. მერე წუხელის სადღაც მიგდებული ჩონგური მონახა და დიდხანს აწვალა. არაფერი არ გამოუვიდა, ვერ ააწყო, ხმა ვერ გამოაღებინა და გაჯავრებულმა კედელს მიანარცხა.

იქვე კალოს პირად თივა იდგა. ზედ მიეგდო და ენგურის შხუილს ყური დაუგდო. არასოდეს ასე სასიამოვნოდ არ მოსმენია ხაფთანის ყურს მდინარის ხმაური. მოუნდა იმის პირად ჩასვლა. წამოიწია, მაგრამ მუხლები აღარ დაემორჩილნენ და ისევ თივაში ჩაეფლო.

განაგრძო შორიდან შხუილის სმენა. იქ, გაღმა იყვნენ მურზუხ, მისი რძალი და ხუთი შვილიშვილი. დამნაშავენი, მაგრამ უზომოდ საყვარელები.

— გაღმა აღარ გამიშვეს, ხიდი ჩამიგდეს, მოსისხლეს ენდვენ. მამა კი მომიწყვიტეს გულიდან და გამრიცხეს, — ფიქრობდა ის.

ნაშუალამევს ნცა გამოვიდა. მოხუცს ნაბდის ძველა მიაფარა. ხაფთანმა იგრძნო მზრუნველი ხელი, მაგრამ ხმა არ გასცა. ენგურის შხუილი ერჩია აბლა ცოლთან საუბარს. იმედებით კი ხაფთანს მთელს თავის სი-
ცოცხლეში ერთ წუთსაც არ უცხოვრია. ნცას მეტი არაფერი შეეძლო.

სვანეთი, 1937 წელი.

ნითუდი ჯარის ასკლამყინვარზე

მათი სიმღერა და შრომა
თუ სოფლად განუყრელია, —
ჯარში მყინვარზე ლაშქრობა
მოიგონეს და მღერიან:

დავტოვეთ ქართლის ტრამალი,
და თერგიც უკანასკნელად!..
გამოგონილი რამ არი
მთა მუხლის გამოსაცდელად!

სიმღერით ავახშიანეთ
კლდეები დანისლულები! —
გზა ქედზე მოხეტიალე
და უსახლკარო სრულებით..

ჯერ უფსკრულების ქვეყანა
შავი იყო და ჩაშშრალი, —
ხევს იქეთ შემოგვეყარა
უცებ „თეთრების“ ლაშქარი!

გზა ნაპრალებად დაირღვა,
დასამარცხებლად ვინ არი? —
თეთრი სარდალი დაირქვა
თუ დათოვლილი მყინვარი?

ცად ამოჩრილა მუხლივით,
ძირს დაცემული მხრებია, —
სადაც ერთმანეთს ქუხილით
ღრუბლები ეჯახებებიან...

ველარ წამოდგა ბედკრული,
 ხეობად აჩნდა იარა, —
 და ჯარმა იგი, მხედრული
 სიმღერით გადაიარა!

მეხის დაცემა უხილავს,
 ხეობის ამოძახება!..
 და ქვემეხის ხმაც ქუხილად
 დარბეულ ღრუბლებს წაჰყვება!..

ვაკეცურ ქუსლით ვთელავდი
 კაკეასიონის აღმართებს —
 და ჭანდაკება ბელადის
 მყინვარზე მალლა ავმართეთ!..

მხოლოდ მუჭარა ყოფილა,
 მთებში ქარბუქის თარეში!
 და ისევ ფეხაწყობილად
 ძირს, ხეობაში დავეშვიტ...
 .

გულითად შთაბეჭდილებით
 შემოგვეგება სოფელი, —
 ხაზზე მდგარ ქალიშვილების
 ღიმილი გამართობელი...

გრგვინვად ისმოდა მთის მიმართ
 ჩვენი სიმღერა მთაბარში...
 ბავშვების გუნდიც გზისპირად
 თან მიგვეყვებოდა თამაშით!

შორს, მყინვარები ჯერ ისევ
 მოჩანდნენ დანისლულები,
 ზე ამართული ელვისებრ
 ელავდენ თოფის ლულები.



ახალი ცხოვრებისაკენ

მოთხრობა

მზის ჩასვლისას ხეატი მინელდა.

ტრამეის მომლოდინე მგზავრები ჩრდილს აღარ დაეძებენ, ღვანან ბაქანზე და კისერი ქუჩის მოსახვევისკენ მიულრეციათ.

ვაგონი იგვიანებს.

მგზავრები მატულობენ. ხანგრძლივი მოლოდინის გამო წამდაუწუმ საათს მისჩერებიან. ოხრავენ, ადგილს ინაცვლებენ.

მომლოდინეთა შორის მხოლოდ ერთს, ჩალისქუდიან ქაბუკს არ ემჩნევა მღელვარება: დგას ბაქანის კიდეზე, პაპიროსს ამოღებს და დამცინავი თვალებით გადაპყურებს მოთმინებაგამოღებულ მგზავრებს.

ვაგონი იგვიანებს.

— ქუჩების მოასფალტება მოუნდათ... ტრამეის მოძრაობის მოწესრიგებაზე კი თავს არავენ იტკივებს, — წაილულულა ერთმა.

— Даа! — თითქო თანხმობის ნიშნად აღმოხდა ლიპიან მგზავრს ისე, რომ პირველ მოსაყვედურესათვის არც კი შეუხედავს.

ჩალისქუდიან ქაბუკს თვალში მოხვდა ლიპიანი მგზავრი. მის გამობერილ გულისჯიბებს დააკვირდა, იქვე მდგომ ოცი წლის ყმაწვილს რაღაც ანიშნა და გარინდდა.

ლიპიანმა ხელი მოივლო ჯიბეზე. მოეჩვენა, თითქო ხელი მოუფათურეს.

მოსახვევში ვაგონი გამოჩნდა.

შეწრილდნენ მგზავრები. ერთმანეთს მიენარცხნენ.

ლიპიანი ნება-ნება მიჰყვა ხალხის ტალღას.

ასავალ კიბეზე ვილაც გაიჩხირა.

— გაიარეთ!

— ვინ ოხერია! — მიაყვირეს ერთხმად.

— შედით, ამხანაგო! — დაიბოხა ხმა ჩალისქუდიანმა და ოდნე ჩაუჯიკავა შესასვლელში გაჩხირულ ახალგაზრდას. ის შემეჭრეველად ჩალისქუდიანს შეუბღვირა და მუშტიც უჩვენა... **გამგზავნიყუქა**

შეჯგუფებულ მგზავრებში მღელვარებამ იმატა. ვაგონი დაიძრა. მხოლოდ ის ჯიუტი მგზავრი გაჰყვა ვაგონს. ჩალისქუდიანმაც კი ველარ მოასწრო ასვლა. განზე გადგა და მუქარა გააყოლა გაქანებულ ვაგონს... ქაბუკი დაიხარა, შარვლის ტოტები გაიფერთხა, ფეხსაცმელზე ხვევრდის ნაქერი გადაისვა და ფილაქანზე მოფუსფუსე ხალხის ტალღას შეუერთდა.

— ვაიმე, ფულო, დოკუმენტები! — გაისმა დარჩენილ მგზავრთა შორის.

შეწორილდნენ მგზავრები. ერთმანეთს გადახედეს.

მოვიდა მილიციელი. დაზარალებული იკითხა.

ლიპიანზე მიუთითეს.

— რამდენი ამოგაცალეს? — თანაგრძნობის კილოთი ჰკითხა მილიციელმა.

— ფულს ვინ ჩივის... დოკუმენტები... პასპორტი, პარტი...

კრიკა შეეკრა. შუბლი ცივი ოფლით შეეპენქა.

— ე, რა მომივიდა! — ამოიხენეშა ლიპიანმა და ერთხელ კიდევ მოივლო ხელი ვულისჯიბზე, თითქო არ სჯერა, რომ წელიწადი ფულითა და დოკუმენტებით საცხე ჯიბე ახლა ცარიელია და შუაზე გაფატრული

— სალამოს გაზეთი!.. სალამოს გაზეთი!... — ახმურდნენ გაზეთის გამყიდველები.

ხალხი მიაწყდა სალამოს გაზეთს.

— ახალი კონსტიტუცია!.. სტალინური კონსტიტუცია!.. — არ ცხრებოდნენ შეგაზეთენი.

ჩალისქუდიანმა ჯიბეები მოიფათურა. გროშები შეაგროვა და გაზეთი იყიდა. ის ყოველდღე კითხულობდა სალამოს გაზეთს. მას მხოლოდ მეოთხე გვერდის მასალა აინტერესებდა. განსაკუთრებით „სასამართლო“ და „შემთხვევები“... დღესაც მეოთხე გვერდს დაეძგერა ჩასათვალაო ერებლად.

ლიპიანმა თვალი გააყოლა ჩალისქუდიან ქაბუკს.



შებინდებისას დაბრუნდა შინ ჩალისქუდიანი ქაბუკი. გაზეთი ხელში ეკირა. გზადაგზა კითხულობდა. მხოლოდ ეზოში შესვლისას ერთხელ, ორჯელ მოაშორა გაზეთს თვალი. ზანტად გაიარა ჭუჭყიანი ეზო, ბაკიბუკით ათვალა ენგომოდებული ზვეული კიბე და ოთახის კარი შეაღო.

მეზობლებმა თვალი გააყოლეს ჩალისქუდიანს. ყველას ეუბნებოდა მისი დინჯი სიარული და უფრო მეტად გაზეთის კითხვა. მათგან ყველაზე მეტად დღემდე ჩალისქუდიანი ჰქაბოდა გაზეთს შესახებვედ ხმარს: მისი ყველა ყოველ დღე მიჰქონდა და მოჰქონდა იღლიაში ამოდებული ამანათი... დღის ბელკარიელი დაბრუნდა. სამაგიეროდ გაზეთი ეჭირა ხელში და კითხულობდა.

თახი განათებული დაუხვდა ჩალისქუდიანს. გვერდზე არ მიუხედნია, ტახტს მიაშურა. წამოიდგო და გაზეთის კითხვა განაგრძო.

— რად დაგავიანდა, სეროიკა? — ჰკითხა თანამოზინადრემ.

ჰქაბოდა არაფერი არ უპასუხა, თითქო არც კი გაუგონიაო ამხანაგის შეკითხვა.

— ამნისტის კითხულობ, თუ რამ გაგიტაცა?

— თავი დაჰანებე! — მკვახედ მოუჭრა სეროიკამ და მონუსხული ჩიტივით მიაშტერდა კონსტიტუციის 135 მუხლს. რამდენჯერ გადაიკითხა მან ეს მუხლი... რამდენჯერ აინთო და ჩაიფერულა, მაგრამ გული მაინც ვერ იჯერა.

გაზეთი ზელიდან გააგდო. წამოჯდა. გაცეცხლებულმა მთელემარე ამხანაგს დაუღრიალა:

— ეს არის სამართალი? ვახო, ეს არის რევოლუციის კანონ-სამართალი?!

ვახო შეერთა.

— რა მოხდა, სერგეი ივანიჩ! — მოკრძალებით ჰკითხა ვახომ.

— არაფერი... — დაიდაბლა ხმა სეროიკამ, — ამერიიდან, ჩემო ვახო, მხოლოდ მე, შენ, ჩვენი ხელობის ხალხი და შეშლილნი ვართ უფლებაყრილნი...

— ეგ ხომ დღემდეც ასე იყო, — დამშვიდებით მიუგო ვახომ.

— მიჰქარავ! არაფერი ვაგეგება! უცოდინარი ხარ! გაზეთს არ კითხულობ. რას მიყურებ? შემთხვევებსა და სასამართლოს ვარდა სხვა რამესაც უნდა კითხულობდე...

სეროიკა გაწითლდა. დღემდე თვითონაც არ კითხულობდა არაფერს, სასამართლოსა და შემთხვევებს ვარდა. დღეს მთელი გაზეთი კონსტიტუციის ტექსტს ეჭირა. ნიკიტინმა. მეოთხე გვერდი რომ ჩაათვალიერა, გაზეთის გადაადება მოინდომა, მაგრამ შემთხვევით დახვდა გაზეთის პირველ გვერდს და რაკი სახელმწიფო ძირითად კანონზე იყო ლაპარაკი, გზადაგზა მთელი გაზეთი გადაიკითხა. 135 მუხლს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია...

— რას ვაბლუებულხარ? — განაგრძობდა ნიკიტინი. — აიღე გაზეთი და წაიკითხე!.. წაიკითხე, აი ეს მუხლი წაიკითხე!

სეროიკამ ფიცხლად მიუბრუნია ვახოს გაზეთი, 135 მუხლს თითი დაადო და ერთხელ კიდევ გაუმეორა, წაიკითხეო.

გახომ გაზეთს არც კი შეხედა. უკან მიუგდო. პაპიროსს და როცა კვამლით გული იჯერა, დამწვიდებით ჰკითხავს: —

— სერგეი ივანიჩ, შენ ისა სთქვი, ბევრი იღრიალა პიანმა? დოკუმენტებში პარტიბილეთიც კი აღმოჩნდა.

— მართლა, სად შეინახე დოკუმენტები?! — ერთბაშად გამოერკვა ნიკიტინი და ტრამვაის სალოდინო ბაჭანი მოაგონდა.

— მანდ ჰყრია... — გულგრილად მიუთითა გახომ ქუჩყიანსა და პაპიროსის ნამწვავებით საესე მაგიდაზე. — მართლა, დროა დავწვა ისინი... გახო წამოდგა.

— დაცა! — შეაჩერა ნიკიტინმა გახო და დოკუმენტებს დაუწყო თვალეირება. — გიორგი ბუჭურაული. 43 წლის. პარტიის წევრი 1912 წლიდან... კაი სტაეი ჰქონია...

— ბუჭურაული... ნაცნობი გვარია... ეს ხომ ჩემი უფროსი დის მამამთილია... ფული რამდენი იყო? — მიუბრუნდა გახოს.

— ცოტა.

— მაინც რამდენი? — აუწია ხმას ნიკიტინმა.

— რას ღრიალებ?! ორმოცი თუმანი და რალაც ბუჭუყი... სასთუმალს ქვეშ გიწყვია.

სერიოჟა გაწითლდა.

გახოს მოეჩვენა, რომ მან შეარცხვინა ნიკიტინი. ნიკიტინს კი სწორედ ახლა მოაგონდა, როგორ კობტად ვაფატრა ლიპიანის გულისჯიბე, როგორ გაეჩხირა გახო შესასვლელში და ნიკიტინმა გახოსთან ჩხუბის დროს როგორ მოხდენილად გადასცა მას ნადავლი ბუჭურაულის ჯიბიდან.

— არამზადა! — დაიღრიალა ნიკიტინმა.

გახო აენტო.

— მე ვარ არამზადა? — წაიმკლავა კიდევ.

— კარგი ერთი... განა შენზე ვიძახი... მე ვარ არამზადა. ანგელოზი არც შენა ხარ, გახო, მაგრამ მე... მე ნამდვილი წამზდარი კაცი ვარ...

— შენ ავად ხარ, სერიოჟა! — შეშინებული ხმით წამოიძახა გახომ და ნიკიტინს შუბლი გაუსინჯა. თვალეზშიც ჩააშტერდა.

ნიკიტინმა გადიხარხარა და ძალად მოიშორა გახოს ხელი...

— ჩვენ, გახო, სხენაირი ავადმყოფები ვართ. სიცხე როდი იცის ჩვენმა ავადმყოფობამ... გადამდები არ არის... რას მიცქერი? განა შენ მე არ დავასწეულე?

— რითი? — შეჰყვირა გახომ სასოწარკვეთით.

— მე ჭურდი ვარ, გახო, ჭურდი... და შენც ხომ ამ გზაზე დავაყენე...

მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს ნიკიტინს. ჩემად იჯდა, გახოსკენ ერთხელაც არ გაუხუტავს. განუწყვეტლივ პაპიროსს ჭაჩაღებს. ჭაჩაღის თვალს არ აშორებდა. ხან ფეხზე წამოიჭრებოდა, ბოლოს სკივრით კედელს ველარ პოულობდა მოსვენებისათვის. ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. დაბალი ქერი თითქო თავზე აწვებოდა და სულს უხუთავდა. ვიწრო კედლები არტახებივით უჭერდნენ ტანზე.

არც ვახოს ეძინა. ერთხანს ეგონა, ნიკიტინი ხუმრობსო. ბოლოს გაიფიქრა, უთუოდ ავად არისო და... ჩაეძინა კიდევ.

ნიკიტინი პაპიროსის წევით ერთობოდა. გათენებისას ისიც შემოეღია. ახლა კიდევ უფრო შეეხუთა სული ხელის ოდენა ოთახში. გარეთ გავარდა. პროსპექტს მიაშურა. მეგზოვნივეები ქუჩებს რწყავდნენ. ჯერ ხალხის ჭკპანება არ იყო. არც პაპიროსი იშოვებოდა.

— გავგვიტეხები უთუოდ!

მეგზოვეს მიადგა. პაპიროსი სთხოვა.

წეკო შესთავაზა მეგზოვემ.

ნიკიტინმა ხელის კანკალით თითის სიმსხოდ შეახვია წეკოს პაპიროსი, მეგზოვეს მადლობა გადაუხადა და გზას გაუდგა.

დიღბანს დაეხეტებოდა უგზოუკვლოდ. გათენდა კიდევ.

ამოძრავდა ხალხი... ტრამვაი... ავტოები. გამოცოცხლდა ქალაქი.

დილის გაზეთებიც გამოიტანეს. სერიოზა მშვიერივით დაეძგერა გაზეთებს.

— იწონებენ სტალინურ კონსტიტუციას... მოსახლეობა აღფრთოვანებით ეგებება ახალ კანონ-სამართალს... — ბურტყუნებს თავისთვის ნიკიტინი. — მე რაღა დავაშავე? რა დავაშავე იმისთანა, რომ ბედმა ქურდებისა და მაწანწალების ამხანაგი გამხადა?!

ნიკიტინის გულში ერთბაშად იფეთქა ადამიანური ღირსების ფარულმა გრძნობამ.

— ვის შეეებრძოლო, ვის? საზოგადოებას, ხელისუფლებას, რომელსაც დღემდე ვემტერებოდი. თუ ჩემ თავს?!

ნიკიტინი ჯერ კიდევ ბურანში იყო გახვეული.



სამი დღეა „სამუშაოზე“ არ გასულა ნიკიტინი. არც ვახოსთვის მიუცია რაიმე დავალება.

— სანამ უნდა ვიჯდეთ აგრე გულზელდაკრეფილნი?! — ჰკითხა ვახომ ფიქრებში წასულ ნიკიტინს.

ნიკიტინმა ხმა არ გასცა.

— იქნებ ჩემთან „მუშაობა“ აღარ გინდა? — არ ეშვებოდა ვახო, რაკი შეატყო, რომ სერიოზა მოჰამულ გუნებაზე იყო.

ამ სიტყვებმა შეაშფოთეს ნიკიტინი. გახოს ლობიერებს თვალებით შეხედა:

— არა, გახო, შენ ჩემთან დარჩები... შენ მე დაგლუბე... მაგრამ გამოსავალსაც მე მოვეძებნი...

გახოს ეუცხოვა ნიკიტინის ნათქვამი. დაჩვეული არ იყო ასეთ გულაჩუყებულ სიტყვა-პასუხს. ბავშვობიდანვე შეითვისა ბრძანების უხმოდ შესრულება. მბრძანებელი სერგეი ნიკიტინი იყო. დღეს დაღუპვასა და გამოსავალზე ჩამოაგდო სიტყვა ნიკიტინმა... „ოთახში კაცს რა დაღუპავს? — ფიქრობს გახო. — კაცი შეიძლება დაშავდეს და დაიღუპოს ტრამვაის გაქანებულ ვაგონზე ახტომის ან ჩამოხტომის დროს... მეორემესამე სართულიდან გადაეარდნის ან მატარებლის კატასტროფის დროს“.

გახოს მოაგონდა, თუ როგორ გადმოეშვა ამას წინად მესამე სართულიდან წყალსადენ მილის საშუალებით... ხელი რომ მოუსხლტდა და ფილაქანზე ბრავვანი მოადინა... მოაგონდა, „დარბაზი“-ს „შაიკიდან“ ერთმა დანა რომ დაჰკრა ბარძაყში და ორი თვე ძაღლივით კოჭლობდა... ისიც მოაგონდა, რომ დღეს უფულოდ იყო და ნიკიტინს ფული სთხოვა.

— რამდენი გინდა?

— სახარჯო... „სამუშაოზე“ აღარ გავდივართ, მაგრამ ჭამა ხომ გვინდა... თუ არ გემეტება, ნუ მომცემ! — უსაფუძვლოდ გაცხარდა გახო.

— ნუ ფიცობ, გახო! აი, ფული... სამუშაოს ჩვენ ყოველთვის ვიშოვით... ჯიბიდან ამოცლას რა დიდი შრომა უნდა...

გახომ ფული გამოართვა და უხმოდ გაიხურა ოთახის კარი.

აფორიაქებული ნიკიტინი კი ფიქრებს აედევნა.



მიდიოდა დღეები.

ნიკიტინი მალულმა დარღმა შეიპყრო. საოცრად გამოიცვალა: გახდა, გაფერმკრთალდა, მშვიდად საუბარს გადაეჩვია...

გულის ხეაშიადი ვერავისთვის გაუმხელია ნიკიტინს. მშობლები და ახლო ნათესავები მისთვის არ არსებობენ. არც სერიაოკა ნიკიტინი არსებობს მათთვის. ერთად-ერთი მახლობელი გახდა. მაგრამ გახო ხელქვეითიც არის ამავე დროს... გახოს ენდობა ნიკიტინი, თუმცა ხეაშიადს ასე ადვილად ვერ გაუზიარებს... შეიძლება ვერც მიხედეს გახო. ამას წინად ხომ ყველაფერი შორი-ახლო ჩაუქარაგმა ნიკიტინმა... გახო ვერ მიუხვდა.

ზის ნიკიტინი ყრუ და ბნელ ოთახში... გაზეთებს აღარ უშვებს წაუკითხავს... ნიკიტინი სხვას ფიქრობს. პრესაში სულ სხვა აზრებს კითხულობს ყოველ დღე.



„სიამაყის გრძნობით ავიესე, როცა სტალინური კონსტიტუციის პროექტი წაეკითხე. ჩვენი ქვეყანა ერთად-ერთია მთელს მსოფლიოში, სადაც ქალსა და კაცს თანაბარი უფლებები და ნივთიერი პირობები აქვთ შრომისა, სწავლისა და დასვენებისთვის. ვიდრე სიტყვას, ერთი წლის განმავლობაში დავამყარო პარაშუტით შეყოვნებული გადმოხტომის მსოფლიო რეკორდი.

„პარაშუტისტი ლენა ნიკიტინა“.

სერიოჟამ საშინელი გულსტიკივილი იგრძნო. მოეჩვენა, თითქო რაღაც უჩველიტეს გულმკერდში.

— პარაშუტისტი? რეკორდი? ეს ხომ ჩემი და ლენაა... ჩვიდმეტი წლის გომბიო რეკორდებს ეპოტინება...

სერიოჟამ მოსკოვის გაზეთები აიღო ხელში... ჩაათვალიერა.

„თავს დაედებ, თუ ჩვენს სანუკვარ სამშობლოს საზღვრებს ვინმე მოადგება.

ორდენოსანი კომდივი შტალბერგი“.

ლოყები აეწეა ნიკიტინს.

— ეს ხომ ანიას ქმარია. სურათიც რომ გამოუქიმავეთ მისი. ორდენი... თუმცა, კაი კაცია ჩემი სიძე... აქ მრისხანედ გამოიყურება, ცხოვრებაში კი — გულკეთილი და უაღრესად... სისულელეს ეროშავ... შტალბერგი არ იყო, მილიციაში რომ ამომაყოფინა თავი... ისიც ისეთივე მგელი იყო ჩემს მიმართ, როგორც...

ალარ დაასრულა, ფიჭრი სხვა გზით წარმართა:

— მაშ, ასე... მშრომელი ოჯახის შვილი, წარჩინებული პარაშუტისტის ძმა და ორდენოსანი კომდივის ცოლისძმა ჯიბგირი... ქურდი... მაწანწალა...

„გაუფრთხილდით ჯიბგირებს“, — მოაგონდა ნიკიტინს სადგურებში გაკრული პლაკატები. — ვის ჯიბეში ჰყოფ ხელებს, სერიოჟა ნიკიტინ?! ვის ზურგს უმარჯვენ ბებუთს დასაკრავად?! დის, ძმის, სიძის... ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანების?

გაზეთი ხელიდან გაავლო.

— გამისქდა თავი... თითქო საცეხველი მიდვას ტინში...

ოთახში გახო შემოვიდა. ჩამოჯდა. ნიკიტინს არაფერი ჰკითხა, არც არაფერი უამბო, როგორც ეს წინად სჩვეოდა გახოს.

ორივემ პაპიროსს მოუკიდეს. ეს იყო უხერხულობიდან გამოსვლის ერთად-ერთი საშუალება.

ღუმლილი გახანგრძლივდა. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გამძლეობაში.

— იცი რა, გახო? — მოგვიანებით დაარღვია ნიკიტინმა მყუდროება.

— რა ვინდა? — ცალი ყბით უპასუხა გახო.

— ვიყვარვარ, გახოჯან?



— ?!

— პასუხიც ვიძნელდება. სჩანს, აღარ გიყვარვარ... ვერცნულა

— რომელი „ბარიშა“ შე ვარ, სიყვარულს შეკითხვებსა... ნიკიტინს მწარედ გაეცინა. ცოტა ხანს უკან ისევ შეეკითხა:

— გამომყვები, გაბო, საცა უნდა წაგიყვანო?

გაბოსთვის მოულოდნელი იყო ასეთი შეკითხვა. ოცი წლის გაბდა გაბო. რვა წელიწადია, რაც ნიკიტინს დაუმეგობრდა და მას პირველად ესმის ასეთი შეკითხვები: „შეგიძლია“, „გიყვარვარ“, „გამომყვები“?... დღემდე გაბო ასე იყო დაჩვეული: „წადი“, „გატეხე“, „იშოვე“, „მოიტანე“... გაბო უხმოდ ასრულებდა დავალებას.

დღევანდელმა შეკითხვებმა გაბო შეაყოყმანა. იფიქრა, რაკი ნიკიტინი მეკითხება, თუ გამომყვებიო, სჩანს არჩევანიც შესაძლოა. ჩემი გაყოლა რომ სავალდებულო იყოს, მეტყოდა: გაბო, გამომყე, წავიდეთ...

— სად მიპირებ წაყვანას?! — მოგვიანებით ჰკითხა გაბომ.

— საცა მე წავალ, შენც იქ წაგიყვან, გაბო!

კვლავ შეყოყმანდა გაბო... ნიკიტინის ხმაში სისუსტე აღმოაჩინა.

— იქნებ შენ „იქ“ აპირებ წასვლას... „იქ“ ვერ გამოგყვები... — თვალით ანიშნა გაბომ რალაც ადგილზე და ნიკიტინი უმალ მიხვდა, რას ნიშნავდა „იქ“ წასვლა.

— მე რომ წავიდე?!

— ?!

— მიპასუხე! — დააძალა ნიკიტინმა.

— ვერ წამოვალ... მარტო „ვიმუშავებ“ და ვერ წამოვალ.

ნიკიტინისთვის ყველაფერი ცხადი გაბდა... ბრძანებას დაჩვეული გაბო არჩევანს გაუდიდგულდა. არც ნიკიტინმა დაატანა ძალა.

— მაშ, ნახვამდის, გაბო! — გაუწოდა ხელი ნიკიტინმა.

მოულოდნელი იყო ეს გაბოსთვის. თვალებში მიაშტერდა.

— ჩამომართვი ხელი... — გაუმეორა ნიკიტინმა.

— მართლა მიდიხარ?! — ხმის კანკალით ჰკითხა გაბომ.

— თუ შენც წამოხვალ... გვიან არ არის.

— გამომიტყდი, სერგეი ივანიჩ, „იქ“ მიდიხარ?!

— ჰო დე! — მიუკიბავად უპასუხა ნიკიტინმა.

გაბო დიდხანს იდგა გაშტერებული. ყოყმანობდა. ბოლოს თავი გააქნია და აღარაფერი უთხრა რვა წლის მანძილზე ჯამისა და ლუქის მოზიარე ნიკიტინს.

ნიკიტინი ჩუმად გავიდა ოთახიდან.



სისხლის სამართლის მილიციის სამმართველოში სიწყნარეა. მოსადეღელ ოთახში რიგს ელოდებიან.



— ნიკიტინ! — გამოიძახეს უფროსის კაბინეტიდან. კობტად ჩაცმული ჭაბუკი შესასვლელად შეემზადა... იერი შეეყვა უფროსის კაბინეტში.

— დაჯექით! — მიუთითეს ნიკიტინს სავარძელზე.

დაჯდა. ჩალის ქუდი მაგიდის კუთხეში გადმოაპირქვეავა.

— გისმენთ, მოქალაქე!

უფროსმა პაპიროსი გააბოლა. ჩვეულებებს ვერ უღალატა და ნიკიტინსაც შესთავაზა.

ჭაბუკმა თავი გაიქნია უარის ნიშნად.

— მე დიდ დროს წაგართმევთ... — მოგუდული ხმით დაიწყო ნიკიტინმა და ქუდს ადგილი გადაუნაცვლა.

— საქმიანი საუბრისთვის ჩვენ დრო არა გეშურს, — ჩაურთო უფროსმა და ცნობისმოყვარე თვალი მოაეღო უცნაურ კლიენტს.

ნიკიტინი წათამამდა... ჩაახველა და განაგრძო:

— მოქალაქე უფროსო! იქნებ მე გაგვიკვირვოთ ჩემი თავგადასვლით, მაგრამ გთხოვთ, ბოლომდე მომისმინოთ... ველაე და... ნუ შემაწყვეტინებთ... მე ქურდი ვარ...

უფროსმა ყური სცქეცა, ზომ არაფერი მომეყურაო...

— დიახ, ქურდი ვარ, რეკლდივისტი... — გაიმეორა ნიკიტინმა და საჯლო შეისწორა, თითქო უპერდა კისერში და უმძიმებდა სუნთქვას... — ათი წელიწადია ქურდობას ვეწევი. თვრამეტი რეგისტრაცია მაქვს. შეიდგერ ვარ გასამართლებული. სამჯერ გადასახლება მქონდა მოსჯილი... სამივეჯერ გამოვიქეცი გადასახლებიდან, „ვმუშაობდი“ მოსკოვში, ხარკოვში, როსტოვში, ბაქოში და თბილისში... უკანასკნელად ხარკოვში გამასამართლეს. ორი წლით იძულებითი სამუშაო მქონდა მოსჯილი... წელიწადნახევარი მოვიხადე... შემდეგ მოვახერხე გაქცევა. აქ ჩამოვედი... ექვსი ვალად მაწევს... უკანასკნელად ცამეტ ივნისს გავექურდე ვიღაც მოქალაქე... დაზარალებული ჩემი დის სიმაპრი აღმოჩნდა — გიორგი ბუქურაული...

— ბუქურაული?! — გამოკოცხლდა უფროსი, მაგრამ უმაღვე დაჩუმდა, ნიკიტინის გაფრთხილება მოაგონდა.

— იმ დღიდან აღარ მიჭურდნია, — განაგრძობდა ნიკიტინი, — არც მიძინია და არც არაფერი მიჭამია ამ ხნის განმავლობაში... ათი წელი ქურდობასა და ლოთობაში გავატარე. ეს ათი დღეა ღვინის ქაშნიკაც არ გამისინჯავს. ცამეტ ივნისის საღამოს გაზეთმა მიყო ყველაფერი გაზეთებს წინადაც ვკითხულობდი... მაგრამ იმ დღეს... სულ სხვა აღმოჩნდა... სისხლი ყელში მომებჯინა... ღვინისა და საღაევათს ვივინებოდი. როგორ... ყოფილი ზალხი ხმის უფლებით ისარგებლებს და მე, მშრომელი ოჯახის შვილი პარტიზანის შვილი... სერიოზა ნიკიტინი...

— პარტიზანის? — გაიკვირვა უფროსმა.

— დიახ, წითელი პარტიზანის... 1918 წ. მამაჩემი ^{დაქვინებული} განდებს ებრაოდა. ოც წელს ტყვედ ჩაუვარდა თეთრებს და... ^{დასწრებულ} დასწრებულს... ამოიოხრა ნიკიტინმა. წყალი დაისხა და დამოშმინდა.

— დარჩა დედაჩემი, — განაგრძობდა ნიკიტინი: — ექვსი ობოლი შევრჩით სარჩენად. ექვს ბავშვში მარტო მე ვიყავი ბიჭი... მაშინ მე შევიდი წლის თუ ექვსეზოდი. გაჭირვებული ვცხოვრობდით. ლუკმა პური გვენატრებოდა. 1925 წელს დედაც მოგვიყვდა. ლეთისანაბარად დავრჩით. მე სწავლა მინდოდა... მაგრამ სახსარი არ გაგვანდა ოჯახში... მეხუთე ჯგუფში ვიყავი... მივატოვე სწავლა. ქუჩის ბიჭებს დავუმეგობრდი... იმათ მასწავლეს ქურდობა. შემაჩვიეს იოლ ცხოვრებას... ჩქარა, ოჯახი სულ მივატოვე. თვეში ერთხელ თუ მივაკითხავდი ჩვენებს... ცოტა ხანს უკან უფროსი დები დათხოვდნენ. ამიტყდნენ, თავი გამენებებინა ქუჩაში წანწალისათვის, სამუშაოზე მოწყობა დამიპირეს. მაგრამ უკვე გვიან იყო. მე პროფესიონალი ქურდი ვიყავი და გამომწელდა თავის განებება. ამხანაგები ძალას მატანდნენ. ფიცი გვჭონდა დადებული. მოლაღატეს დანა არ ასცდებოდა. ასე გავატარე ათი წელი. დახვდებოდა ქურდობაში. პირველობა დავიჩემე. ქურდებშიც არიან მოწინავეები. ხანდახან ისეთ რამეს ვაკეთებ, თვითონვე გამიკვირდება. იქნებ გაგიგონიათ, თქვენს წინამოადგილეს ნაგანი რომ ამოაცალეს... მე ამოვაცალე...

უფროსს გაეცინა:

— ჩემს წინამოადგილეს კი არა, მე ამომაცალეს ნაგანი. მაშ, თქვენ ამომაცალეთ? განაგრძეთ...

სერიოზა გაწითლდა.

ასეთია მოკლედ ჩემი თავგადასავალი. ამჟამად მე უბასპორტო კაცი ვარ. ექვსი თვე მიკლია ხარკოვის სასამართლოს განაჩენით სასჯელის მოხდას... მოვედი თქვენთან და... გთხოვთ, დამაპატიმროთ და გამგზავნოთ ბანაკში, საიდანაც გამოვიქეცი: ათი დღე-ღამე ვებრძოდი ჩემ თავს... მეძნელებოდა დაბრუნება... მაგრამ მოვერიე წარსულს... მე ხომ ახალგაზრდა კაცი ვარ... ცხოვრება წინ არის... აი მოვედი და... დარწმუნებული ვარ, დაკარგულ დროს ჩქარა ავინაზლაურებ...

ნიკიტინი დაჩუმდა. გავგნებული დარჩა მილიციის უფროსი. ხმის ამოღება ვერ მოახერხა.

— ერთი სათხოვარიც მაქვს, — დაარღვია სიჩუმე ნიკიტინმა და გულისჯობიდან რაღაც დოკუმენტები ამოალაგა: — გადაეცით ეს პარტიზანული ბუქურაულს და გაათვითხილეთ, რომ ფულთან ერთად არასოდეს არ შეინახოს პარტიზანული და დოკუმენტები საერთოდ... ჯიბგირები სასტიკად იგინებინან, როცა ფულთან ერთად დოკუმენტებსაც ამოაყოლებენ ხოლმე. წინად ვუბრუნებდით დოკუმენტებს. ხან რაიკომში ვგზავნიდით,

ხან მილიციაში... ეს ერთი ხანია, ვწვავთ... ან წყალში ვყრავთ... ნობელ ბუქურაულს, რომ ფულს ფოსტით გადმოვუგზავნი ბანაკიდან.

ნიკიტინი წამოდგა. უფროსმა ღიმილით ჩამოართვა დოკუმენტები და აღუთქვა, ყველაფერს ხვალვე ვაცნობებო.

— კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს, მოკ. უფროსო! თრიალეთის ქუჩაზე № 7 სახლში მალულად ცხოვრობს ჩემი ამხანაგი ვახუ გაგნიძე. ჩვენ ერთად „ემუშაობდით“ ეს რვა წელიწადია. ბანაკიდანაც ერთად გამოვიქცეთ და დღემდე ერთად ვცხოვრობდით. დაბრუნება არ ისურვა. ბევრი ვერინინე, მაგრამ ვერ მოვტეხე... ჭკვიანი ყმაწვილია. მენანება. გთხოვთ, დააპატიმროთ ისიც და გადმოგზავნოთ ჩემთან ერთად... ბანაკში მე მოვუვლი. მე ავაცდინე სწორ გზას და ვეცდები მე თვითონ დავაყენო ადამიანურ გზაზე.

— კეთილი!—დათანხმდა უფროსი.—მაგ თხოვნასაც შევსრულებთ... ელზარის ღილს თითი დააჭირა. შემოვიდა მორიგე.

ნიკიტინი პატიმრის პოზაში შეეგება მორიგეს.

უფროსმა შესაფერი განკარგულება გასცა ნიკიტინის დაპატიმრებისა და ბანაკში გაგზავნის შესახებ. მობრუნდა და ნიკიტინს ხელი გაუწოდა.

— მშვიდობით, ნიკიტინ!

ნიკიტინი შეცოყმანდა... ვერ მიუახლოვდა უფროსს:

— მაპატიეთ, მოქალაქე უფროსო! მე დღეს თქვენ ხელს ვერ გამოგიწვდით... ჩემი ხელი ჯერ კიდევ უწმინდურია...

თავი ჩალუნა და მორიგეს ისეთი თვალით შეხედა, თითქოს ემუდარება — ჩქარა წამიყვანეო.

— მოვიხდი სასჯელს და... და თუ მერე შევხვდებით... მაშინ აღარ შემრცხვება ხელის ჩამორთმევა, — დაასრულა ნიკიტინმა.

— მაშ, ნახვამდის, ნიკიტინ! — გააყოლა ღიმილი უფროსმა მორიგესთან ერთად მიმავალ ნიკიტინს.



შვილისთვის აკვანთა

ახლაც კარგი გაქვს გავლა, იერი,
 დრომაც ძლიერმა წელში გავმართა;
 გაღიმებული და ბედნიერი
 წინ აივანზე ზიხარ აკვანთან.

რა გულმკერდი აქვს და რა კისერი,
 გიწევს და, აი, რას მოესწარი!
 შიგ შვილიშვილი — ვაჟი ფხიზელი
 ეფხვებად შობილი სწორედ ეს არი!

აღბათ, ვიქნებით გძირის მზაბველი,
 ჩანს, არ გაუშვებს დროს უბარაქოდ..
 და გინდა, უკვე ილაპარაკოს.

ჯერ მან არ იცის დედის საბელი
 ის ორი კბილიც, ორი ალმასი,
 წინ რომ ამოდის, გსურს დაგანახოს,
 დინჯად მოაელოს თეალი ლამაზი
 ეზოს, ტყიან მთებს და საბალახოს.

მამა მინდვრად ჰყავს, კაკი ყმაწვილი,
 გასაჭრელი აქვს არხი გოლიათს...
 დედაც მამაცი, სოფლის გზაწერილით
 ჩაის საკრეფად ხალხს გაპყოლია.

გახსოვს: ჭიშკართან თოფი გავარდა,
 როცა იგი რძლად შინ მიგიყვანეს;
 როგორ დაათრო შემდეგ თამადამ
 ერთი ვეება თქვენი მოყვარე.

არ არევიან სუფრას გზა-კვალი,
 ძილი მაყრიონს არ შეშხებიან...



ახლა კი გვერდით გიდგას აკვანი,
 გყავს შვილიშვილი და ხარ ბებია.
 ხუმრობ: გაგიჩნდა თითქოს გამცლენი.
 ნეტავ, მიწისქვეშ ქმარი არ გყავდეს,
 რომ ბაბუობის ტყბილი განცდები
 მის გაუტეხელ გულშიც აყვავდეს.
 ის დღეს დაწნავედა რძლის დავალებით
 ჩაის საკრეფად ლამაზ კალათებს...
 რომ დაფიქრდები, მისი თვალეში
 ახლაც ჭიშკრიდან შემოვანათებს.
 გტანჯა ქვრივობამ, სად არ გატარა,
 მაინც მხნედ ხარ და აკვანს უყურებ;
 შიგ შვილიშვილი, ვატი პატარა,
 შეზღვადაშლილი მისთვის ღულუნებს.
 ვერ მოშორდები, უნდა იცადო,
 სანამ ჩასთვლემდეს,—ჯერ ხომ ერთობა!
 თითქოს მოგიჩნდა, კვლავ განიცადო
 ახალგაზრდობის დრო და დედობა!



ცრები და შაქარი

ეპიზოდი შორისის ცხოვრებიდან

I

დილიდანვე აფორიაქდა ეიტომირი: ყუმბარასავით გაეარდა ხმა: ბოლშევიკები მიდიან, ქალაქს სკლიან. შორისის დივიზია დღეს დაიხვეს უკან.

ივლისის მზემ დილიდანვე მწვავედ მოუქირა ქალაქს. დადგა ბული და გაქირდა სულის მობრუნება. მაგრამ მზისაგან ისე არა სცხელოდათ ეიტომირლებს, როგორც ქალაქის მოსალოდნელი ევაკუაციისაგან.

დუქნები დაკეტეს, სახლები გადარაზეს. ქუჩაში ხალხი გაუჩინარდა.

ცენტრში, სადაც ყოფილი მდიდრები სცხოვრობდნენ, თეთრების მოსვლის იმედმა იელვა. მუშათა უბნებში კი გული ჩაიხურეს და ამოიკვნესეს.

ქარხნებმა შესწყვიტეს ხმაურობა და ქალაქი გაინაბა.

მუშათა წარმომადგენლები დივიზიის შტაბში გამოცხადდნენ. შორისის შტაბი უკვე რკინის გზის სადგურზე გადაეტანა.

— სამხრეთის ფრონტი გარღვეულია. დენიკინი მოსკოვისაკენ უტევეს. კიევი აღებულია. ეიტომირის დაცვა შეუძლებელია. ჩვენი დივიზია კოროსტენ-გომელისაკენ იხვეს, — უხსნიდა მუშათა წარმომადგენლებს შორისი — მაგრამ ჩვენ ისევე მოვალთ, ამხანაგებო!

შორისმა უკრაინულად დაშვებულ უღვაშებზე ხელი გადაისვა და ხშირ წარბებ ქვეშიდან ცეცხლი გამოანათა.

მუშებმა თავი ჩაქჩინდრეს. მძიმე დუმილს შოლოდ პირველი კლასის კედლის საათის ქანქარა არღვედა.

— ისევე მოვალთ, — განაგრძო შორისმა. — შოლოდ დაბრუნების დასაჩქარებლად თქვენი მუშაობის გაძლიერებაა საჭირო.

— ეგებ დაეიცვათ ქალაქი, — სთქვა ერთმა მუშამ. — არყის ქარხანა მთლიანად გამოცვა.



ქართული

— აგურის ქარხნებიც, — დაუმატა მეორემ.
 — საპნისაც, — ჩაერია მესამე.
 — თამბაქოს ქარხნის ქალებიც... ოღონდ გვითხარით, საპნისა და
 შროსს... — და დელეგატმა ქალმა აღლევებისაგან თავშალი მოიხსნა. —
 თეთრები ხომ არ დაგვინდობენ...

— პარტიამ გადასწყვიტა და უნდა შეეასრულოთ, — აუხსნა შროს-
 სმა. — განა ეოტომირია მთავარი. ომის საკითხს ეოტომირის დაცვა არა
 სწყევტს.

ქაქანიტ შემოვარდა წითელარმიელი და გამოეჭიმა შროსს:

— ამხანაგო დიუმეთაურო! ქალაქში ზულიგნებს არყის საწყობი გაუ-
 ტებიოთ. დებოშს ახდენენ.

შროსს ნაცრისფერმა გადაჰკრა. თავი შეიკაფა და დელეგაციას მიუბ-
 რუნდა:

— ამხანაგებო, თქვენი ძალა ახლაა საჭირო ქალაქში. ზულიგნები და
 შვეი ძალები შეეცდებიან რბევა და ცარცვა-გლეჯა მოაწყონ და ბოლშე-
 ვიკებს დააბრალონ. ისინი მოინდომებენ წითელ არმიას სახელი გაუტე-
 ხონ. ეს არ ეარგა. ეს არ უნდა დავუშვათ. მე წესიერად უნდა გაეიყვანო
 წითელი ჯარი ეიტომირიდან და მისი რაიონიდან. თქვენ კი გვეალე-
 ბათ, ქალაქში წესიერება დაიკვათ. აი, სადაა თქვენი რაზმები საჭირო.
 რკინის გზის სახელოსნოების მუშები ხომ იცავენ რკინის გზის რაიონს.
 თქვენც ასე მოიქეცით.

— რკინისგზელი რამდენია თქვენს რაზმში? — საყვედურით გააწყვე-
 ტინა არყის ქარხნის წარმომადგენელმა.

— განა მარტო რკინისგზელები... — ჩაიკუნა შროსსმა. — სულ მუშე-
 ბისა და გლეხებისაგან არ შესდგება წითელი არმია? — და დინჯად დაუ-
 მატა: — გამოჰყავით პატრულები, დაიცავით ქარხნები, ქალაქი, ხოლო
 როცა საჭირო იქნება, პარტია ნიშანს მოგცემთ და დასცხეთ მაშინ.

— მესმის! — მხედრულად მიუგო მუშამ, გადაიგდო თოფი და გავიდა.
 შროსი წითელარმიელს მიუბრუნდა:

— გადაეცი ქალაქის შტაბს, რომ ქალაქს წითელარმიელების ნაც-
 ვლად მუშები დაიცავენ.

დელეგატები კი დაარიგა:

— პატრულებს ხელზე თეთრო ნიშანი უნდა ჰქონდეთ.

შორიდან გრგვინვა მოისმა. ზარბაზნებმა ახლოსაც იგრიალეს-ეტყო-
 ბოდა, შორეულს უპასუხეს. რამდენიმე ფანჯარას წკრიალ-წკრიალით ჩა-
 მოცვივდა მინები.

დარბაზი გარინდდა. შროსი წელში გაიმართა.

— წესრიგი და სიმტკიცე, ამხანაგებო! — ცივად სთქვა შროსსმა და
 ბაქნისაკენ გასწია.

მას ამალასავით გაჰყვენ ყველანი...

სადგურზე ორომტრიალი იყო.

— დააყენე! დააყენე! სად შიგყავს მატარებელი, შე მამაძაღლო?! — უყვიროდა შემანქანეს კონდუქტორი.

— პირველ რიგში ნეეინის პოლკი ნიღის, არ გესმის? — გაჰკიოდა ერთი ახალგაზრდა მეთაური. — განრიგება დაიცავით!

— ეინ ვითხრა, პირველ რიგში ნეეინის პოლკი? — ცხარედ შეეკამათა ახალგაზრდა მეთაურს სადგურის უფროსი. — პირველ რიგში დაქრილები და ავადმყოფები მიდიან. ასეთია შტაბის განკარგულება.

ქშენითა და ზათქით, ხმაურით და ქოთქოთით ჩამოღდა პირველ ხაზზე მატარებელი. ორთქლმავლის ბოლი სადგურს მოედო და ყველაფერი დაფარა.

— გააფუტა აქაურობა, თითქოს გერმანმა¹⁾ გაზები გამოუშვაო. — იოხუნჯა ერთმა ხანში შესულმა წითელარმიელმა.

— ძველი ვაგასხენდა და ვაგახარდა? — ოხუნჯობითვე უთხრა ხანში-შესულ წითელარმიელს მეორე წითელარმიელმა. — აქ პაერი ვააფუტეს და შენ კი ხახა დააღე...

ირველივე სიცილი მოისმა.

შიორსი რომ ბაქანზე გამოჩნდა, ღრიანცელმა იკლო. მეთაურებმა ყვირილი შესწყვიტა, წითელარმიელებმა სირბილი. მხოლოდ კონდუქტორები განაგრძობდნენ სტვენას, რბენას და შეძახილს.

უცებ ბაქანის ბოლოში მყვირალა ჯგუფი გამოჩნდა. ყვირილით, ყაყანით, ვაი-უ-უ-ით მოდიოდა ეს ჯგუფი.

— კომენდანტთან! კომენდანტთან! სადაა კომენდანტო? — ისმოდა ჯგუფში.

— სული წააგდებინე შაგ მამაძაღლს! სახელს გვირცხვენს! — ყვიროდა ერთი რკინისგზელი მუშა.

— წამოდა... ცემთან წამოდა... სენ მამაძაღლო! — ყველაზე მეტად ბრაზდებოდა ერთი ჩინელი წითელარმიელი და ეილაც მოკუნტულს კისერში ჩაბლაუჭებოდა.

— ხელი არ ახლოთ! უფროსებს გადაცემთ! არიგებდა ჯგუფის მებღვაურის ფორმაში გამოწყობილი წითელარმიელი.

— წამოდა... სე ქურდო!.. იმას ნახოს... ფუ!.. ფუ!.. სენ ჩენი არა... სენ თეთრა... თეთრა... — და ჩინელი წითელარმიელი ცეცხლს აფრქვევდა თავის ვიწრო თვალებიდან.

დაქერილიც ჩინელი იყო. იგი მოკრუხუელიყო ძიგძიგებდა, ხელში რალაც ჩაებლუჯა და მკერდზე მიეკრა.

¹⁾ გერმან — გერმანელი. ასე შემოკლებით ეძახოდნენ რუსი ჯარისკაცები გერმანელებს შოფლო ომის დროს.



ჯგუფი ხმაურით და აღშფოთებით შეჩერდა შჩორსის წინ.

— რა ამბავია? ხელი გაუშვით! — ბრძანა შჩორსმა.

— აი, ამხანაგო შჩორს, ანან ქურდა... საქარი მოიპარა ჩინელმა წითელარმიელმა, ხელი უშვა ქურდ ჩინელს და შჩორსის წინ მხედრულად გამოიჭიმა.

— შაქარი მოიპარა?... — წყენით იკითხა შჩორსმა და დააკვირდა მოკრუნხულ ჩინელს, — სად მოიპარე?

შჩორსს მორიგი კომენდანტი გამოეჭიმა, ქესლი ქესლს მიარახუნა, დეზები ააელარუნა და მოახსენა:

— ქურდებს საწყობის კარი გამოუჭრიათ, შაქარი წაუღიათ. ამას მივესწარი.

— ვინ არის? — იკითხა შჩორსმა.

— ერთი თვეა, რაც ჩამოვიდა, — უთხრა შჩორსს რკინისგზელმა მუშამ. — აქ მუშაობს ჩვენთან დარაჯად. დღემდე არაფერ ცუდში არ შეგვინიშნავს.

— ამანა ქურდა... უ... უ... სენ! ისევ გაბრაზდა ჩინელი წითელარმიელი და თავის თანამემამულეს ზიზლით შეხედა.

ქურდი ჩინელი იღვა და ძივძივებდა. მის პატარა ვიწრო თვალებში შიში ჩამდგარყო. მალალსა და დანაოქებულს შებლზე ოფლი გადმოსდიოდა. ხალათი გახეული ჰქონდა და მკერდი გაღელილი. მკერდზე ქუდი მიეკრა. ქუდი ბურთივით გამობერილი იყო.

— სად არის შაქარი? — ჰკითხა შჩორსმა.

ჩინელმა მკერდიდან დაქმუქნული ქუდი ჩამოიღო. გაშალა. მხეზე თეთრი შაქარი აბრჭყვიალდა.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა შჩორსმა ჩინელს.

— მე... მე... ხან-მი, ხან-მი, — უპასუხა ჩინელმა.

— საიდანა ხარ?

— ცეში... ცეში არის ცინეთიდან. სორს აქედან, — და ჩინელმა ხელი სივრცეში გაიჭია.

— მუშა ხარ?

— მე მუსა ხარ, ზურგით ატარე ბატონები. იქ მე ცოლი ყავდა, ორი სვილი ყავდა. იქ მე ვალი გქონდა. სვილები გაყიდა. ცოლი მოკვდა. მე გაიქეცა, — ლულულელებდა ჩინელი.

შჩორსმა წარბები შეიკრა. შეირბა, თითქოს ვააერკოლაო.

ჩინელი ისევ კანკალებდა, თითქოს ციოდაო, და დამფრთხალა თვალებით შეჰყურებდა ხან შჩორსს, ხან ჯგუფს, ხან თავის თანამემამულეს.

თანამემამულე მზად იყო იქვე გაეხლიჩა ხან-მი. ჯგუფი მზად იყო, მაგრამ მიებეგვა იგი. ხოლო შჩორსის თვალებს ვერა გაუგო რა ჩინელმა. თვალებს ხშირი წარბები ეჩრდილებოდა. სდუმდა შჩორსი, თითქოს მძიმე რასმე ფიქრობსო.

3



უცებ შჩორსმა თავი აიღო და ჩინელს ჯიქურ ჰკითხა:

— მაშ შენ მუშა ხარ?

— მუსა... მუსა... — დაუქნია თავი ჩინელმა.

— კარგად ცხოვრობენ ჩინეთში მუშები? — ჰკითხა შჩორსმა ჩინელს.

— ოჰ! — ამოიგმინა ჩინელმა. — ძაღლები... ცვენი ცხოვრობთ

ძაღლებზე.. ბატონები კარგად... მუსა, გლეხა ცუდათ, ძაღლად.. აი, მე... ზურგი ნახე.

და ჩინელმა მარცხენა ხელით ხალათი აიწია. შჩორსს ზურგით ძიუბ-რუნდა:

ჩინელის ზურგი დასერილი იყო ლურჯი ზოლებით.

ჯგუფს გააყრეოლა. ყველამ ჩინელის ზურგისაკენ მიიწია.

ჩინელმა წითელარმიელმა თავი იბრუნა, ოფლი მოიხოცა და ოხვრით უთხრა შჩორსს:

— ჩვენს ქვეყანაში ასეა. მეც ასე მაქვს ზურგი. — და ღრმად ამოიოხ-რა. — ეხ, როდის იქნება ოქაც ლენინის რევოლუცია?

ლენინის ხსენებაზე ჯგუფს სიხარულმა დაურბინა.

— გესმის, რა სიტყვა შენმა მეზობელმა? — ჰკითხა შჩორსმა ხან-მის. — შენ ლენინი გაგიგონია?

— გაგიგონია, — დაუდასტურა ხან-მიმ.

— ლენინი ჩვენი მამა და ამხანაგია. — დაიწყო შჩორსმა. — მამაა ყვე-ლასი, ვინც ჩაგრულია, ვინც სხვისთვის მუშაობს, ვისაც ბატონები — ბურ-ჟუები და მემამულეები — ამუშავებენ და სცემენ... გესმის?

— გესმის! — თავი დაუქნია ხან-მიმ.

— აი, ხედავ, ესენი მუშები არიან, — ანიშნა შჩორსმა წითელარმი-ელებზე და მუშებზე. — ჩვენ ავლდექით ლენინის წინამძღოლობით და დავამხეთ ბურჟუები და მემამულეები. ორი წელიწადია, რაც ბრძოლა გრძელდება. თუ იმათ გვაჯობებს, ჩვენ ყველას ისე გაგვიხდიან ზურგს, რო-გორც შენ გაგიხადეს შენმა ჩინელმა ბატონებმა.

შჩორსმა იგრძნო, რომ ხან-მის ყველა მძის სიტყვა არ ესმოდა და სთხოვა ჩინელ წითელარმიელს:

— ამხანაგო ჩან-გუ, გადაუთარგმნე კარგად!

ჩან-გუმ გადაუთარგმნა. ხან-მიმ გადახედა გარს შემომდგარ წითელ-არმიელებს. თვალებში რაღაც სხივმა გაუელევა.

შჩორსმა განაგრძო:

— ლენინი ყველა მშრომელის მამაა. აი, ჩინელი ჩან-გუც ჩვენთან იბრძვის. ის ჩვენი ძმა და ამხანაგია.

ამ სიტყვებს ჩან-გუმ თავის მხრივ დაუმატა:

— ეს ჩემზე ამბობს, გესმის? ჩემზე. ეს დიდი უფროსი და მე ამხა-ნაგები ვართ. გესმის?

ხან-მიმ გაკვირვებით შეხედა შჩორსსა და ჩან-გუს.
 ჰო და... — განაგრძო კვლავ შჩორსმა, და შჩორსის სიტყვებში ჩაქუჩბა
 ვით ეცემოდა ჩინელის თავს, ახალ აზრებს უჭედავდა ტენიში — როცა
 ჩვენ გავიმარჯვებთ ყველაფერი ხალხისა იქნება. მიწა ქარხნები სახლები.
 შაქარი... შაქარიც, გაიგე? რაც შაქარია ჩვენი ქვეყნის საწყობებში, სულ
 ხალხისა იქნება. ყველასი, ვინც ჩვენთან იბრძოდა, ხელს არ გვიშლიდა
 და სახელს არ უტეხდა ლენინის საქმეს.

და შჩორსმა ხელით აჩვენა:

— ჩემი... შენი... ამისი... იმისი... მიხედი?..

ხან-მის ხელები ისევ აუკანალდა. ცრემლები გადმოსქდა.

შორს კვლავ გაისმა ზარბაზნების ჭექა. ახლოდან კვლავ უბასუხა შო-
 რეულს. მაგრამ ჯგუფში არავინ შეინძრა.

ხან-მი თითქოს რალაცას მიხედა, თითქოს რალაცა გაიგო. მკერდზე
 მიხუტებული ჭული ჩამოიღო და შაქარი წითელარმიელებს ჩამოურიგა.

— ცემი... სენი... ამისი... იმისი... — ამბობდა ხან-მი, არიგებდა შაქარს
 და თან მსხვილი ცრემლი ცვიოდა შაქარზე.

შჩორსს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, გაულიმა და გაუწოდა შაქარი.
 ჭუთუთოებზე კი დიდი მრგვალი ცრემლი ეკიდა.

— ეს სენი... სენი... — უთხრა ბავშვური ღიმილით.

შჩორსი დააკვირდა შაქარს. ოთხკუთხი შაქარი შიგ შეუგულში გახ-
 რულიყო ცრემლისაგან.

შჩორსს გააქრეოლა, თითქოს ხიშტი გაუყარესო მკერდში. გამოტან-
 გული თვალით დააკვირდა ხან-მის. მარცხენა ხელი მხარზე დაადო. მარ-
 გვენა შაშხანიან წითელარმიელს გაუწოდა.

წითელარმიელი მიუხედა და შაშხანა ხელში ჩაუღო.

შჩორსმა ასწია შაშხანა და აჩვენა ჩინელს.

ხან-მიმ მათხოვარივით გაუწოდა ხელი და შეეხვეწა:

— მეც ამხანაგი... მეც სენთან... მომეცე თოფი...

შჩორსმა დაინახა: ჩინელს ხელში ცრემლისაგან გამოხრული შაქარი
 ეჭირა.



სიმკერა ქოჩაჰნაბზა

გულივით შემოტანილი
სმა გედღენა მთა და ბარისა
დიდო ქარტიავ სტალინის
ხალხში დაღვრილო ხალისად.

ქვეყნის გულითქმა დიადი
გადავა ყუთში ხმებიტა
ბარი გუფუნებს ზვიადი
და ჩანჩქერები მთებიდან.

ხმას გაძღევს მთელი სამშობლო,
სადაც სიამე ანთია,
სტალინის სიბრძნით ნაშობო
უღიადესო ქარტიავ.

ხმას გაძღევს ხალხის ხალისი,
მისი გულითმა დიადი,
სამშობლო ქვეყნის მისი
და ჩანჩქერები ზვიადი.

კოლხეთის ველზე მშრამელი,
მალაროელი მედგარი,
მესაზღვრე გმირის მშობელი
და ხეესურეთში მხედარი.



ხმას გაძღვეს ჩვენი წარსული
მთელი ბუნება მზიანი
მთიდან ფშაველას ძახილი
და რუსთაველის წკრიალი.

უსაყვარლესო, ანთია
ჩვენს გულში შენი სახელი,
უღიადესი ქარტია
სიამის გამომსახველი.

ჩვენი ხმა, ჩვენი გულია
გუგუნებს მინდორ, ველადო
ცხოვრება, — სიხარულია.
შენკენ მოძღვნილი ბელადო.

მაშ გაიხარე სამშობლოვ,
მთები, ტყეები მღერიან,
ჩვენ წინ მიგვიძღვის სტალინი
ახალ სამყაროს გენია.

ხალხის გულის თქმა დიადი,
მოზღვევდა ძალა ხმებისა,
ბარი გუგუნებს ზვიადი
და ჩანჩქერები მთებისა.



ვის ვემღერით

— საით მიხვალთ ყრიამულით
და დროშების ფარჩის ქარით?
— ბედნიერ და მზიან გულით
არჩევნებზე მივიჩქარით!

— მზე სად მიგაქვთ, ხმას ვის მისცემთ,
ვინ ახარებს მშრომელთ მიწას?
— ვინც გამორულად და გულმტკიცედ
საბჭოეთის დროშას იცავს!

— ვის შეხარის ბავშვის ენა,
ვის ვუმღერით კაციც, ქალიც?
— ვინც ცხოვრება გაგვითენა —
ჩვენს მამას და ბელადს სტალინს!

— აქ ვის ანდობთ გულის ნადებს
და ქართველი ხალხის საქვს?
— ბერიას, ჩვენს მოამაგეს,
სტალინური რკინით ნაქედს!

ვინც დღეს ახარებს
სამშობლოს საყვარელს
და ჩვენს გულებს აძლევს ხალისს. —
გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს!



სიმლოჯე არჩევნებზე

შენ, სამშობლოს წმინდა ზეცავ,
სულ ბრწყინავედე ოქროსფერად —
ჩვენ საბჭოში ვირჩევთ მზესა,
ჩვენს დიდ სტალინს, ჩვენს დიდ ბელადს.

ვინც უსხედან გვერდში დიადს,
ვით შექურა ვარსკვლავები...
სტალინს ძმებად გაუზრდია,
ჩვენს ამ გმირებს მივცეთ ხმები.

ვინ ქაობშიც — ბალებს გვიჩენს,
სტალინური ზრუნვით გვალხენს,
ჩვენ ბერიას ამოვირჩევთ,
ქართველ ხალხის სიამაყეს.

დე! სულ ასე, ცაში, მთებთან,
მფრინავთ გუნდი ნავარდობდეს...
ჩვენ ხმას მივცემთ ყველა ერთად
დიდ ბელადის გაწვრთნილ ორბებს.

და ვინც ჩვენი ფართო სივრცე
გაზაფხულად აბიზინეს,
ჩვენ გულსა და ჩვენ ხმას მივცემთ
თავდადებულ შრომის გმირებს.

შენ, სამშობლოს წმინდა ზეცავ,
სულ ბრწყინავედე ოქროსფერად:
ჩვენ საბჭოში ვირჩევთ მზესა,
ჩვენს დიდ სტალინს, ჩვენს დიდ ბელადს.



ღსი ნადი

დავბერი ღანჯვა წამებით,
ავადმყოფობა ძმა მიხდა,
მაგრამ დღეს ეხარობ სულითა,
შრომა ტყვილად არ წამიხდა.
სიზმარშიაც რო ვნატობდი
მოვესწარ, ცხადლივ ამიხდა,
კაცების თვალში მეცა ვარ,
წამი საათად გამიხდა.

ფანქარსა კოცნით ხელთ ვიღებ,
ვეაღერსები რვეულსა,
ახალ ქვეყანას გილოცავთ,
მეფეს გადავჩრით წყეულსა,
მოუსწრო ჩემმან თვალემან
მის ფლაგებს ჩამოხეულსა,
უკეთესს ველი მომავალს,
ნაღდად ვსაუბრობ წრეულსა.

ახალ ქვეყანას ვაშენებთ
მოკვდა, დავმარხეთ ძველია,
წითელ ვარსკვლავსა შეეხარით
ბოლოს ქვეყანა ჩვენია,
თუმც შრომა დიდი სჭირდება
განა მუშისთვის ძნელია,
საძირკველი გვაქვს მაგარი, —
შესრულდა ოცი წელია.



უნდა გასწორდეს ქვეყანა,
 საცა უვალი ღრე არი,
 სიღარიბე და სიმწარე
 ჩვენგან განვლილი წრე არი,
 მსოფლიო მუშის მნათობი
 საბჭოთა ქვეყნის მზე არი,
 საღამი ბელად სტალინსა,
 ეულოცავ წმინდა დღე არი.

მუქთა ხორეზსა ეყოფათ,
 ცხოვრება მუშის ჯერია,
 სოციალიზმის სამოთხე
 ხარობდეს ყველა ერია,
 წითელ ჯარს დროშა ლენინის
 საფიცათ დაუჭერია,
 ქართველი ხალხის მარჯვენი —
 ცოცხლობდეს ჩვენი ბერია,
 გამარჯვება და საღამი
 იეთიმ გურჯს მიმიწერია.



ბენახეული ოდისი

გზა და გზა

გნახე მორთული ლამაზ პალმებით
შენ, — საყვარელო ოდიშის მხარეც,
მოვდივარ, ვუღლით მოგესალმები
და განახლება შენი მახარებს!

როგორ მინდოდა ადრე შენახე,
დღეს ჰხიბლავ ხალხს და შენზე მღეროან,
— ჩემი სალამი ბალებს, ვენახებს
და მზეში გაზრდილ კრიბტომერიას!

ევკალიპტები ფარავენ ქუჩებს,
ნარინჯთა ველი ნაყოფს გვირდება,
სალამი ტუნგოს და ჩაის ბუჩქებს
ამ მთებს და ველებს მზით რომ ინთება!..

აღვის ხეც მხედება მორცხვი ბოდიშით
არ დაივიწყა ჩვევა მეგრული...
ჰა, საყვარელი მხარე ოდიშის
და მშობლიური გიყი ენგური!

მესმის საამო სოფლური ჰიმნი —
კოლმეურნენი, როგორ მღეროან:
— გაქრა ნალველი, დაგვიდგა ლხინი
და ჩვენი დროშა ოქტომბერია!

კვლავ მოჩხრიალებს ხევში მდინარე
და აღარ ცხრება ჰანგი მაყრული,
მზიბლავს მიდამო პირმომცინარე
და შემოდგომის ხეავი ნახული!



მატკობს, მახარებს მიდამო ლალი
 ამ უღიადეს ცხოვრების გზაზე:
 — აი, წამტაცი ოდიშის ბალი,
 მისი შშვენება და სილამაზე!..

ჯიხასკარი

ჩემი სალამი შენ ჯიხასკარო,
 განახლებული პირველად გნახე,
 აწ, მტერმა ხელი ვერ მიაკაროს
 შენს ჩაის ბურჭებს, ყანებს და სახლებს!

დღეს შენი ზეცა ნისლებს არ იხვევს,
 დუხჭირი ყოფნა შრომაში მოსპე —
 და მაღალ მთიდან დაგყურებს ციხე,
 გადასულ დროთა უსიტყვო ზოწმე!

მრისხანე იყო წარსული შენი,
 ვახსოვს მრავალი ტანჯვა, სიმწარე;
 დღეს განახლებულ მიდამოს შვენის
 მანდარინების ბაღის სიმწეანე.

ღრონი იცვალენ. ციხის გულშიაც
 შრომის საამო სიმღერა ისმის;
 თითქოს ნანგრევიც სიხარულშია, —
 და მრისხანება დამცხრაღა მისი.

მშვიდობით. პოეტს სოფელში შობილს
 მიმყვება თქვენი ველის ცვარები,
 დაფასდა თქვენი შრომა და ოფლი,
 დროთა საოცარ ფერის-ცვალებით!

მშვიდობით. თქვენი შრომის ჰიმნები
 ჩემს გულში დარჩა, როგორც ალერსი.
 — სიმღერა ქვეყნის აღორძინების
 და სიყვარული უმხურვალესი!..



პანო გორბაძე



სიძლარა სამშობლოსა ნითელ ურძიაზა

სამშობლო

ამწვანებულა მინდორი, ყანა,
ცაზე ვარდივით ჰყვავის ცისკარი,
ვერსად ვერ ნახავ ისეთ ქვეყანას,
როგორც ჩემი სამშობლო არის.

გახედავ სივრცეს: ვერ წვდება თვალი,
ზოგან ვაკეა, ზოგან მთიანი,
ხარობს სამშობლო თავისუფალი
და ბედნიერი ადამიანი.

ბელადის სიბრძნით განათებული
ახალი ქვეყნის ბრწყინავს ქარტია:
მასში ბრძოლებით მოპოებული
თავისუფლების ცეცხლი ანთია.

დაუმონია ნათელ გონებას
ბუნების ძალა მიუწვდომელი;
საამურია ჩვენი ცხოვრება
და სიხარული განუზომელი.

უბედნიერესს სტალინურ ხანას
ყველა მშრომელი გულით შეჰხარის,
ვერსად ვერ ნახავ ისეთ ქვეყანას,
როგორც ჩემი სამშობლო არის.





მესაზღვრის სიმღერა

ზღვებიდან ზღვამდე, ვით კლდე შაგარი,
 მოუდრეკელი რკინის კედელი,
 გაშლილა ჩვენი ქვეყნის საზღვარი,
 ვით ოკიანე უზარმაზარი:
 ხევით, ველებით, მწვანე ქედებით.

ბაღში ვარდია მოსილი კდემით,
 ცაზე—კრილა ვარსკვლავთ კრებული,
 მთაზე—მყინვარი, ტალღებზე—გემი
 და ქვეყანაზე—სამშობლო ჩემი
 ბელადის ფიქრით დამშვენებული.

საზღვარზე ავი, დაუნდობელი
 დაძრწის ჯამუში—მგელი მშიერი.
 ყოველი ჩირგვი, სახლი ყოველი
 გავხადოთ მისთვის მიუწოდომელი,—
 გავანადგუროთ, გავსრისოთ შტერი!

დღითა და ღამით, ფხიზელი თვალით
 მშობლიურ საზღვრებს ვდარაჯობთ, ვიცაფთ,
 და, როს გმირული მოითხოვს ვალი,
 დავიგრიალებთ, ვით ქარიშხალი,
 მტლად დავედებით სამშობლოს მიწას!



კვალი მუკა



გაგრძელება *)

XXII

სანარიელების მოსვლა საზეიმო იყო. მაგრამ დახვედრაც არა ნაკლებ საზეიმოდ მოეწყობოთ ორკეთლებს.

სტუმრები საკუთარი ავტომანქანით ჩამოვიდნენ. სამტონიანი იყო მანქანა და ფოლადისფრად ახალი შეღებილი. დროშებითა და აფერადებული პლაკატებით მოერთოთ. გერშემო, ფერდების გაყოლებაზე, წითელი ჩითის არშია შემოეკრათ და ზედ ვერცხლივით მოკიაფე ასოებით დღის შესაფერისი რამდენიმე დევიზი წაეწერათ. ყველაზედ უფრო მკაფიოდ იკითხებოდა:

„წინ სოციალისტური შეჯიბრების გაშლილი დროშით“.

არშიის ერთ გვერდზე იწყებოდა:

„სოციალისტური შეჯიბრება არის სოციალიზმის მშენებლობის გზა“...

სანარიის დელეგაცია მრავალრიცხოვანი იყო. ძლივს ეტეოდნენ მანქანაში. ფეხზე იდგნენ. მოწოდებიანი არშიის ზემოდან გადმომზირალი მათი თავები ერთ კისერზე ასხმულების შთაბეჭდილებას სტოვებდა. მანქანა ზღაპრულ ასთავიან დევს დამსგავსებოდა. ქმინვითა და რახრახით მოიმართებოდა. ცეცხლს მოაფრქვევდა და ვითომ ქადილით მოიძაბოდა:

— მოვიდვიარ და, ვინც ხარ ვაეკაცი, დამიხვდიო.

ალაყაფის კარებთან მანქანამ სვლა შეანელა. აქ სტუმრებს პირველად ელიკოს მიერ ფერებით ნახატი, კარის თავზე ატანილი, დიდი აბრა შეეგება.

სურათზე თვალი შერჩათ სანარიელებს. მან ცოტა არ იყოს დაჩრდილა მათი მანქანის ბრჭყვიალა მორთულობა. მაგრამ ამ გარემოებას სტუმ-

*) დასაწყისი იხილე „მნათობი“ № 8-9



რები უმაღლვე შეურიგდნენ, როგორც კი აბრაზე დიდისეფრეხუბუღა-
ხატული სანარჩელის სურათი დაინახეს.

ელიკოს სურათი ორი კოლმეურნის ძმურს შეხვედრას წარმოადგენ-
და. ერთი ვითომ სანარჩელი იყო, მეორე — ორკეთელი. ის, ვინც ელი-
კოს სანარჩელად ეგულისხმებინა, ისეთი ნიშნებით იყო შემკული, რომ
დელეგატებმა იგი ერთი შეხედვისთანავე გამოიცნეს.

სანარჩელი კოლმეურნე ტანშალალ კაცად იყო დახატული. ვაჟაკუ-
რი. გრძელი წვერი მკერდზე ფართოდ ეფინა. შავი ჩოხა ეცვა და წელზე
ხანჯალი ერტყა. მის პირდაპირ ტანშორჩილი და უბრალოდ ჩაცმული
ორკეთელი იდგა. როგორც დამბდურს შეეფერება, მორიდებულად, მაგ-
რამ მხიარული სახით სტუმარს სალამს აძლევდა, ბედნიერ მოსვლას ულო-
ცავდა. მისი სიტყვები აბრაზე იყო წაწერილი.

ამ ორი ფიგურის დაპირისპირებიდან სხვა აზრის გამოტანა არ შეი-
ძლებოდა: უპირატესობა აშკარად პირველს ჰქონდა დათმობილი.

ეს გარემოება ორკეთლების მხოლოდ ზრდილობას არ მიეწერებო-
და. გარდა იმისა, რომ მათ მასპინძლური თავაზიანობა უკარნახებდა
პატივი ეცათ და ესიამოვნებიათ სტუმრისთვის, ასეთ საქციელს ნამდვი-
ლი საფუძველიც ჰქონდა.

ცნობილი იყო საყოველთაოდ, რომ სანარჩელებს გამოჩინებული
ჩაცმა-დახურვა და იარაღის ტარება უყვარდათ. შანაურობაში თუ არა,
გარეთ იშვიათად მოხდებოდა, რომ ტოტათ თუ ბევრად თავმომწონე
სანარჩელი ხალხს უჩოხოდ და უხანჯლოდ გარეოდა. რაც შეეხება წვერს,
არც ისე შორეულ წარსულს ეკუთვნოდა სანარჩელების წვერის სიგრძე-
სიგანის ამბავი, რაც ძველად საარაკოდაც კი დადიოდა მთელს ამ კუთ-
ხეში.

თუმცა სანარჩელები ამეამად ხანჯალსა და ჩოხას მაინცდამაინც არ
მისდევდნენ, ზოლო ახალ თაობას სულაც კი აელო მათზე ხელი, მაგ-
რამ დელეგატებს მაინც ესიამოვნათ, რომ საჯაროდ გამოფენილ აბრაზე
ღირსეულად იყვნენ წარმოდგენილნი.

მიუხედავად იმისა, რომ ორი კოლმეურნის ფიგურებს თითქმის თავი-
დან ბოლომდის მთლიანად აევსოთ აბრა, ელიკოს მაინც მოეხერხებინა სუ-
რათის პერსპექტივის არეში ორივე სოფლის ახალი სამეურნეო სახეც
გამოეჩინა:

სად მანდარინისა და ლიმონის ხეივანი გაკვრით აებიბინებინა. სად კი-
დეე ჩაის ჭოჩორა ბუჩქების შწვანე ლივლივი დაეყენებინა. მარჯვნივ და
მარცხნივ კუთხეებში საქარხნო მილებიც აემართა და მათგან გამომავალი
კომლი ბამბის ჭულსავით რამდენსამე ადგილას ცაზე მიებერტყა.

გარდა ამისა სანარჩელის ვეება ლაჯებშუა დარჩენილი ადგილიც გა-
მოყენებია, შიგ გზა გაეყვანა და გზაზე თავამდე დატვირთული მანქა-

ნები გაემწყვრივებინა. ორკეთელის მისასაღმებლად გაშლილ მკვლავებში კი დაუმთავრებელი მაღალი ოდების სილუეტები მოებზახებოდა. სანამ სანარიელები აბრას ათვალეობდნენ და მის წარწერებს კითხულობდნენ, მათმა მანქანამ ღია კიშკარში თავი ფრთხილად შერგო.

აქ ზემოც დაწყო.

უცებ მდგარმა ვაშამ და ტაშის ხმამ შესძრა ჰაერი და ეზოში შესულ მანქანას ხალხის ტალღა თავშეუქცევებლად შეეხეთქა.

— ჩვენ ძმებს გაუმარჯოსო, — ისმოდა ყოველი მხრიდან ორკეთლების ყიყინა და ძახილი.

არ მოელოდნენ ასეთ ამბავს სანარიელები.

არა ნაკლებად ჰქუხდა ვაშა და ტაში ხეებზედაც. — სერიის უფრო მომარჯვებულ საცქერად ორკეთის გოგო-ბიჭები სულ ხეებზე ჩარიგებულ იყვნენ, თან ატანილი პაწაწა დროშები მაღლიდან გადმოფინათ და სტუმრებს იჭიდან ეგებებოდნენ.

როგორც კი დადგა მანქანა სანარიის კოლმეურნეების აღელვებულმა თავმჯდომარემ, რომოელსაც ორკეთლებიც კარგად იცნობდნენ, ხელი მაღლა შემართა და ხალხს ანიშნა: სიტყვის თქმის ნება მომეცითო.

ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო ტაში, რომ სწორედ ამ დროს ეზოს უკანა კუთხის მესრებს ზემოდან თავი გადმოჰყო გვადი ბიგვამ. წამდელი ყაჩაღის თვალების ერთი მოსმით ჯერ შეათვალეირა იჭაურობა და მერე ყაჩაღისვე სიმარდით და თავგანწირულობით შიგ ეზოში გადმოეშვა. ძირს ბრაგვანი მოადინა.

სანარიის თავმჯდომარის მოსასმენად გამზადებულ ხალხს დაქიმული თვალი და ყური მანქანისკენ ეჭირა და უკან, სადღაც კუთხეში, რა მოხდა, ამას ვინ შენიშნავდა.

გვადიც არავის დაუნახავს.

გაცუნცულდა და ხალხის ბოლო რიგში ჩამოდგა. დელავდა. სწორად ვერ სუნთქავდა.

მას შემდეგ, რაც გერას გამოეპარა, ტყეში გავარდნილ ყაჩაღად გრძნობდა თავს და შიშით კაცს ახლოს არ ეკარებოდა. ასეთმა მდგომარეობამ მთელი ერთი საათი გასტანა.

მაგრამ ბოლოს ვერ მოითმინა და გადასწყვიტა, ზეიმზე ფარულად მაინც გამოცხადებულყო.

სხვა დროს და სხვა ვარემოებაში გვადი, რასაკვირველია, ასეთ ზეიმზე პირველ რიგში ჩადგებოდა და სტუმრებს უთუოდ თავისებურ საამო საუბარს გაუმართავდა. მაგრამ ახლა ეშინოდა გერას თვალში არ მოეხედეო.

ხალხის ზურგის გარდა ძველი თხმელაც მოეშინებებინა საფრად.

სანარიელი ორატორი აღნიშნავდა იმ წარმატებებს, რომლებსაც სანარია ეწეო ორკეთლებთან გამართული სოციალისტური შეჯიბრებებსა წყნლობით.

— მოწინავე რომ ხართ, ამხანაგებო, ჩვენც ამიტომ კვალდაკვალ მოგდევით, — ამბობდა იგი და დაწინაურებას ორკეთის კოლმეურნეობის გამგეობის თაოსნობას მიაწერდა.

გვადის უკვე დაეწყო მისი სიტყვის შეფასება და ოდნავ გამოსულიყო კიდევაც საფარიდან, რომ ამ დროს ზედ მის თავთან მოულოდნელად ჰკირიმის ხმა გაისმა:

— ბაბაია, შემომხედე, სად ვალო.

გაკვირვებული გვადი განზე გახტა და ხეს ახედა.

მისი ჰკირიმია თხმელას და მის ტანს აყოლებულ ძველ ვაზს შუა ჩაქედლიყო, არც ისე მალლა, და ძირს ბაბაიასკენ კისერმოქცეული იცქირებოდა. ყავრის ნატეხიდან გამოჰკრილი ხმალი გვერდით ქამარში გაერქო და ხელში პატარა დროშა დაეჭირა.

— შეც აქა ვარ, ბაბაია — მოისმა ახლა უფრო მალლიდან კუმუნის ხმაც.

გვადიმ რომ ხეს თვალი ააყოლა, ნახა, რომ მისი ბლარტები სულ ამ ხის ტოტებზე მოკალათებულიყვნენ. მხოლოდ ბარდლუნია არ სჩანდა. სულ კენწეროზე ბარდლუნის მომყოლი ლუტუნია დალანდა გვადიმ. შეეშინდა, უთუოდ ჩამოვარდებიანო. თავის ყოჩაღობაც დააეიწყა, რიდიც და შიშიც.

— ძირს ჩამოდიო, თქვე გასაწყვეტლებო, — აყვირდა და ჰოლოკს რასმეს დაუწყო ძებნა, რომ ბავშვები ძირს ჩამოერეკა. ამ დროს ბარდლუნიაც გაჩნდა საიდანაც თავისი ახალი წითელი საყელურით და ტოლების თანხლებით.

— ნუ გეშინია, ბაბაია, — დაამშვიდა მან მამა. — ჰკირიმია მე შევსვი ხეზე. იქ უფრო საიმედოდ არის. ძირს ხალხს ფეხებში ეტანებოდა. — მერე მიუახლოვდა და საიდუმლო ხმით დასძინა:

— წელან გერა გეძებდა, ნახე?

— სუ, — მიაყვირა ამაზე გვადიმ და ხელი პირზე ატაკა. სწრაფად მოშორდა ბარდლუნის და ახალი საფარი მონახა.

ამსობაში სანარიის თავმჯდომარეს თავისი მისასალმებელი სიტყვა დაესრულებინა. ახლა ვილაც სხვა ლაპარაკობდა. მაგრამ გვადიმ იგი ვერ დაინახა. რადგანაც სტუმრები მანქანიდან უკვე ჩამოსულიყვნენ და როგორც მოსულები, ისე ორკეთის თავაკები ქვედა სართულის აივანზე მოთავსებულყვნენ. ეზოში მყოფი ხალხიც მათკენ მიქცეულიყო.

კრებას საქმიანი სახე მიეღო.

გვადიმ ყური მოჰკრა რამდენიმე ნაცნობი სანარიელის სახელსა და გვარს. რომლებიც ახალმა მოლაპარაკემ ჩამოსთვალა. ხალხმა ტაში

დაუკრა. ახლა გვადიმაც მოიმარჯვა სატაშოდ ხელები და სხვებს აპყვა. რამდენიმე დასახელებული მისი ნაცნობი აღმოჩნდა.

— რა ამბავია, ნეტავი, რატომ ასახლებენო, — მოეკიდა ცხობის მოყვარეობა გვადის. დაინტერესდა და წინ წაიწია.

მალე გამოერკვია, რომ სანაჩიელი იმ კომისიის წევრებს ასახლებდა, რომელსაც მშენებლობისათვის თვალყური უნდა ედევნებია, წესი დაცვა და შეჯიბრების შედეგები შეემოწმებინა.

— ჰო, ჰო, ჰო, — ახლა ხმაც მოუვიდა გვადის. შეთამამდა. — სულ თავაკცები არ ჩაუბამთ საქმეში! — გაიკვირვა.

მერე უცებ ტაშმა იგრიალა და ყველა მხრიდან გაისმა:

— ამხანაგ გერას გაუმარჯოსო.

გვადიმ პირი მომუწა. ვითომ გულში ემდღუროდა გერას, წელან რომ შეჯიბრების პირობებზე ლაპარაკობდა.

აიენიდან ახლა გერა ვადმომდგარიყო და ორკეთელების სახელით შეჯიბრების პირობებზე ლაპარაკობდა.

არ გასულა დიდხანი, რომ გერაც შეუდგა იმ ორკეთელების დასახელებას, რომლებსაც შეჯიბრების შემამოწმებელ კომისიაში უნდა ემუშაებინათ.

გვადიმ პირველ რიგში ყური მოჰკრა ზოსიმეს სახელს, რომელსაც ტაში დაუკრეს.

შემდეგ მარიამის სახელი და გვარიც გაისმა აიენიდან. ტაშმა იმატა.

— ჰო, ჰო, ჰო! გაუხარდა გვადის.

მარიამის სახელის გაგონებამ განსაკუთრებით შეათამამა იგი. საფარი დაავლო და ხალხის წრეში შერგო თავი. ცერზე შესდგა. აიენისკენ გაიხედა. დაინახა, რომ ზოსიმეს და მარიამს ხალხი გზას უთმობდა და აიენისკენ ტაშითა და დიდი პატივით აცილებდა.

— აქეთ მობრძანდითო, — უძახოდნენ მათ აივანზე მდგომნიც.

რალაც განსაკუთრებული თავმომწონეობა იგრძნო გვადიმ, როცა აიენის კიბეზე ამავალ მარიამს მოჰკრა თვალი. სახე გაუბრწყინდა.

და ამ დროს ნამდვილი მეხივით გავარდა აივანზე:

— გვადი ბიგვა!

უმაღვე მთელმა ეზომაც დაიგუგუნა.

— გვადი ბიგვა!

თვალები დახუჭა გვადიმ.

ვითომ ნამდვილად გვადის გამოუძახეს, თუ ვისმე სხვას? იქნება, სხვა მეორე გვადიც არსებობს ქვეყანაზეო.

ხალხი ყვიროდა:

— გვადი ბიგვა სად არის? გვადის დაუძახეთ.

ვითომ რა საფიქრებელიაო, რომ ვაშა და ტაში მე მეტუფენისო ამბობდნენ მისი შეფეთებული თვალები.

გვადის ტაშის დანახვამ სულ ერთიანად შესძრა ესთმისა და კუთხიდან კუთხემდე გაისმოდა:

— ვაშა, გვადი, ვაშაო!

— გვადის გაუმარჯოსო!

რაკი ამას ბოლო არ უჩნდა, ნაიამ აივნიდან ჩამოიბრინა და გვადისკენ გამოიქცა.

— რა მოგივიდა, გვადი? წამოდი ჩქარა. შენი ადგილი დაიკირე. აგირჩიესო.

— მე არა... ქირიმე, მე არა! — სლუკუნით ამბობდა გვადი და ტაშის კერას განაგრძობდა.

ამ დროს ხალხის წრიდან ბარდლუნია გამობტა, მამასთან მიიჭრა და დაბლად შესტურჩულა:

— რას შერები, ბაბაია? მოგელიან ამდენი ხანია!

გვადიმ შეიღს რომ შეხედა, ხელით წაეპოტინა.

— მიდი, ბაბაია... შენ მიდი ჩემ მაგიერ, ქირიმე! — შეევედრა იგი უფროს შეიღს.

ბარდლუნია შენიშნა, რომ ბაბაიას თვალები ცრემლით აცხებოდა, თავს ძლივს იჭერდა, რომ სულ არ ატირებულყო. ეს ისე გაუკვირდა, რომ უმალვე მოშორდა თავის უცნაურ ბაბაიას და ისევ ხალხში მიიშალა.

ნაიამ მაინც მოიტაცა გვადი, ხელი ჩაავლო მკლავში და აივნიდან წაიყვანა.

— ხალხში გამრიეთ, ქირიმე, არა?... უღირსი რომ ვარ, მაინც მალა ამწიეთ, არა?... კაცად მიცანით და პატივი დამდეთ?..

თითქოს მოსთქვამსო, ისე ლულულულებდა გვადი გზადაგზა. ანლა თავად ჩასქიდებოდა ნაიას ხელს და არ სცილდებოდა.

კიბენ რომ მიუახლოვდა, ხალხმა ტაშს მოუხშირა. გვადი ანლა წამდა-უწყუმ მარჯვნივ და მარცხნივ იცქირებოდა და ხალხს დაბლად თავს უკრავდა.

— ღირსი არ ვარ... შშებო... მე არა, ქირიმე!.. ამბობდა იგი აცრემლებული ხმით.

ერთგან ონისეს ჩხიკვის სახესაც მოჭკრა თვალი. განსაკურებულად ენიშნა რატომღაც, რომ ის ტაშს არ უკრავდა. გვადისთვის შურით საესე თვალები მიიღივნებინა, ნისკარტა ახირი უფრო წავეგრძელიბინა და დასიცხული ბალახის ფერი ბუძგურა წვერი უცნაურად აეცანცარობინა.

— ვასწი ჩქარა, ყაზახო, რატომ გვაცდენ? — შეპყვილა მან გვადის თითქოს წუწუ ძაღლს დაუცაცხანაო.

ამის გაგონებაზე, გვადიმ ნაბიჯი შეანელა და ონისეს მიუბრუნდა:



— ონისე, შენ მიდი... უფრო შეგაფერება: წვერი მაინც კვანძობს-
რა მან ონისეს უცნაური ჩაქირქილებით და გზა განაგრძა.

ვინც ეს გაიგონა, ძალაუნებურად ონისესკენ მიიხედა: რა წვერი არისო
ამისთანა!

შეხედეს ონისეს წვერს.

და უცებ სიცილი ატყდა:

ონისეს წვერმა უნებლიე შედარება გამოიწვია სანარჩელების განთქ-
მულ წვერთან.

ამ დროს კიბესთან ერთი ხანჯლიანი და შაქოხიანი სანარჩელი შემო-
ეგება გვადის.

— გამარჯობა შენი, ამზანაგო გვალი. ამდენი პატივი რად დაგქირდა?
შენს სახლში ხარ... რატომ გერიდება, მობრძანდი. — მიმართა და აიენი-
დან ხელი გადმოუწოდა.

გვალი ვერ მიხვდა ჩამოსართმევად გამოუწოდა იმ პატიოსანმა სანარჩე-
ელმა ხელი, თუ კიბეზე ასაყვანად, რადგანაც ნაბიჯი ეშლებოდა და თა-
მაშად ვერ მიდიოდა.

ყოველ შემთხვევაში გვადიმ მანამდე არ მისცა ხელი, სანამ ზედ კარ-
გად არ დაიხედა და არ დარწმუნდა, რომ ცერი და ნეკი მოკეცილი
არ ჰქონდა.

XXIII

საზემო სხდომიდან წამოსულმა გვადიმ, სანამ შინ მივიდოდა, გზაშა-
ვე გადასწყვიტა, რომ თავის ხელოვნებულ სკივრს ამავე დამეს ჩამოი-
ღებდა სხვენიდან. რაც შიგ განძი ჰქონდა დაცული, სინათლეზე გაქლიდა
და ავკარგიანობას შეუმოწმებდა.

ცხადი იყო: დღეს ამას იქით გვადის უკვე აღარ შეეფერებოდა ის,
რაც ცანს ეცვა. რაკი ისეთი დიდი საქნის მეთვალყურეთ აირჩიეს, როგო-
რიც არის ორი კოლმურწნობის სახლთშენებლობა, უდიდესი პატივი
დასდეს და ნდობით აღჭურვეს, გვადიმ ეს უნდა შეიფეროს კიდევაც და
თავი არ შეირცხვინოს.

ესთქვათ, ორკეთიდან რომ ფეხის გადგმაც არ მოუხდეს, შინაურობა-
შიც როგორ შეათავსოს გვადიმ არჩეული კაცის საბატიო სახელი ამ დაფ-
ლეთილ იოხასთან, ამ დაგლჯილ ქუდთან ან კიდევ ამ ძირმოქცეულ,
გაცვეთილ ქალაშნებთან.

მოდო ენახოთ ერთი, გვალი სანარიაში გაიწვიეს.

მოულოდნელი აქ არაფერია, რა თქმა უნდა. პირიქით, რომ არ გა-
იწვიონ, თავად უნდა წავიდეს, რადგანაც ეს მის მოვალეობას შეადგენს.
პო და, ესთქვათ, რომ გაიწვიეს... მობრძანდი, დაგხედე, რას და რო-
გორ ვაკეთებთო.

მთელი სანარია ფეხზე დადგა, რასაკვირველია:

— ჩვენი მუშაობის ზედამხედველი და შემამოწმებელი ^{ცენზორი} ^{გენერალ-პროკურორი} კაცი ჩამოდისო.

საჩივრები გაამზადეს მოსართმევად, რაც გაჭირება და სათხოვარი დაგროვებოდათ, სულ ყველას თავი მოუყარეს მოსახსენებლად.

მიბრძანდა გვადიც. შეხედეს.

— ეს ვინ მოთრეულა, რომ არ ჰხურავს და არ აცვიოაო. თავისთვის ვერ მიუხედავს და ჩვენ რას გვიშეელისო.—იტყვიან შეხედვისთანავე და სიცილსაც დააყრიან ჩვენს მოწონებულ გვადის.

და სოლომონ მეფის ჭკუა და სიბრძნეც რომ გამოაჩნდეს გვადის, ახლოს არაეინ გაიკარებს. ასე მოხდება შინაც და გარედაც. ის კი არა, შეიძლება პალურიც კი ამოჰკრან, თუ არ მოეშვა და შეეჩხირა. — დაგლეჯილ კაცსა ძაღლიც კი ჰკბენსო.

სოლომონი რომ მეფე არ ყოფილიყო, ჩემო ბიძია, ფარჩა არ ცმოდა, ოჭრომარგალიტით მორთული, და ხელშიც ბასრი ხმალი არ სჭეროდა, მისი ჭკუის ამბავს ვინ დაიჯერებდა ან მის ბრძნულ განაჩენს ვინ გაუწედა მაინცადამაინც ანგარიშს.

რამდენი იყო აღბად ჭვეყანაზე სოლომონზე უფრო ბრძენი და ჰკვიანი — უჩინრები, საწყლები, საღდაც მიმალულები. მაგრამ მათი არც სახელი დამახსოვრებია კაცს და არც გვარი.

გვალი ამ ჭეშმარიტებაში დღესაც დარწმუნდა, როცა ზეიმის შემდეგ არჩეული კაცების თათბირი გაიმართა ცალკე ოთახში. თათბირზე გვადიც მიიწვიეს. გარეთ საღამოს ბინდი ჩამომდგარიყო და ოთახი ელექტრონის სინათლით იყო გაჩაღებული. როცა გვალი ბინდიდან ამ განათებულ ოთახში შევიდა, იქ მყოფთ პირდაპირ სასწაულივით გამოეცხადა. მისი ჩაცმულობა ისე ეცა თვალში როგორც სტუმრებს, ისე ორკეთლებსაც, რომ ყველა გაოცებით მიაშტერდა: ეს ვინ ოხერი შემოგვრევიოაო.

თვითონ გვადიც კი შეფეთდა, ისე გამოუჩინა იმ წყეულმა სინათლემ ყველაფერი, რაც ბინდში შეუმჩნეველი ჰქონდა.

გვადიმ კარგად დაინახა, რომ მას თავი გაარიდეს. არც გაუმტყუნებია ამისთვის არაეინ. თვითონაც მზად იყო საკუთარ თავს გარიდებოდა, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო.

მაგრამ ამას კიდევ გაუძლებდა გვალი, არ შეიმჩნედა, რომ მარიაიმ არ მოახლოვებოდა და ჩუმად ყურში არ ეთქვა:

— უკან მიდევ, კაცო, არ ჭაცვიოაო.

უთხრა თუ არა ეს მარიამმა, თვალეზიკ გადმოუქაჩა. თითქოს ვა-
ვარეზარებული შანთები დაატაკაო, ისე დაუდალა დაკონკილი ჩონა და
მოქცეული ქალამნები. ხოლო სამსარის ადგილას მრუდელ მჭკნებში
ჩერის ჯიბეს ნამდვილი ცეცხლიც კი შეუქადა, ზედ ისტორიის
შეაყენა თვალეზი.

რა უნდა ეთქვა გვადის? მარიამი ცამდის მართალი იყო.

ძალიან კარგად მოიქცა გვადი, რომ არა თუ მარიამს არ შეუბრუ-
ნა სიტყვა, იმ თათბირზედაც კინტი არ დასძრა. კუთხეში მიდგა უკან და
პირში წყალი დაივუბა. არც კი დაახველა, რათა მისკენ არ მოეხედნათ.
მერე ლაპარაკს რომ შეჰყვენენ მოთათბირენი, მალე დაავიწყდათ კიდევაც,
რომ გვადი იქ იმყოფებოდა.

საკვირველია, როგორ მოხდა მაინც, რომ გვადი ასეთი ამბით აი-
ჩიეს და ამისთანა ხალხში გარიეს? უარიც კი არ ათქმევინეს. სულ ტა-
ში უკრეს და ვაშა უძახეს.

რა დამსახურებისათვის, რა გამოჩინებისათვის.

ხალხი, ესთქვათ, ქვევრია ცარიელი: რასაც ჩასძახებ, ამოგძახებს.
მაგრამ გერას რამ ჩააგონა აზრად ამდენ ხალხში, ისეთ დიდ კრებაზე
გვადის დასახელება? დაიჯეროს ეითომ გვადიმ, რომ არ იცოდა მისი
ამბავი და მდგომარეობა.

— გვადი ბიგვა!

თითქოს ქვემეხმა დაიგრილაო, ისე გამოიძახა. ასე ხმამალლა სხვა
არავინ დაუსახელებია. კილოც ისეთი ჰქონდა, თითქოს ბრძანაო:

გიხაროდეთ, რომ გვადის ვირჩევთო.

ამასწინათ გერა დაჭერასაც კი უპირებდა გვადის, როცა სამი თითი
დაუნახა. გვადის იმ წაშში მართლა ეგონა, რომ საიდუმლოება გაუგეს
და დაილუბა. დაიბნა და შეეშინდა. ეს კარგად ახსოვს. მეორედ რომ
ეკითხა მისთვის გერას: ასე რატომ გაქვს ხელზე ორი თითი მოკეცილი
და სამი გამართულიო, თანაც თავისებურად ერთხელ კიდევ შეეხედნა თვა-
ლებში პირდაპირ, გვადი უთუოდ გამოტყდებოდა. ეს იმიტომ, რომ გე-
რას თვალებს ვერ უძლევს რაღაც. მათი შიშის აქვს და ხათრიც. ან
ერთი ათქმევინებდა სიმართლეს ან მეორე. კარგია, რომ დროზე მოასწ-
რო გაპარვა.

მერე კი, როცა გონს მოვიდა, მალე მიხვდა, რომ ტყვილა შეეშინ-
და: გერა მართლა გულთმისანი კი არ იყო და მისი სამი თითის ამბავი
საიდან ეცოდინებოდა.

ეს არჩევა მაინც რა იყო?

შარშან გერამ გვადი მწყემსადაც არ დანიშნა. დაიწუნა. უფრო პა-
ვლას ენდო და ის დააწინაურა. დღეს კი საცოდავი პაზეულა სულ რა

სახსენებელია, როცა ნამდვილად ღირსეულ დამკვრელზედაც უფრო წინ დააყენა. ხოლო ის ჩხიკვის თავი ონისე ისეთ საგონებელზე დაეფიქრა, რომ უბედური შურისაგან უთუოდ თვალებს დაითხროს და დაანებეს და დროზე არ გააკოცეს.

ხო და, შეცდა ვითომ გერა, რომ გვადი ასე აამაღლა.

უკვე ღამე იყო და ბხელოდა, როცა ნახვევი თობარიკით შინისკენ მიმავალი გვადი ამ ამბავზე ფიქრობდა. ეგონა, უფრო მიფრინავდა, ვინემ მიდიოდა, ტანში იმდენი ახალი ძალა შემატებოდა და შინაგან აღფრთოვანებასაც ფრთები შეესხა.

შინისკენ ასე გამაღლებით სხვენზე გადამალული სკივრი იზიდავდა. ამ სკივრს არა ერთი და ორი იმედის გამართლებას უკავშირებდა. დარწმუნებული იყო, რომ შიშიორებდა თუ არა თავის დაფლეთილ ტანსაცმელს, მაშინვე მართლა სხვა კაცი გახდებოდა და სულ სხვანაირი პატივიც დაედებოდა.

მარიამის დამოკიდებულებაც მისდამი ძირფესვიანად შეიცვლებოდა. მთვარე ჯერ კიდევ შორეულ მთებსა და გორებს იყო ამოფარებული. მისი სინათლე ზევიდან ძირს კი არ ეშვებოდა, არამედ პირუკუ: ქვეიდან ზევით ცერად აღიოდა მთების თხემზე ასხლეტილი. ამიტომ ცა განათებული სჩანდა, ხოლო დედამიწას თავისივე ჩრდილი გადაფარებოდა. ჰაერში, არც ისე შალლა, ცხადად დინახებოდა ორი ფერის ჭიდილი: შავისა და ვერცხლისფერი თეთრის. ხან ერთი სჯობნიდა და მეტს სივრცეს იკავებდა, ხან კი — მეორე. თუმცა მთვარე არ სჩანდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ იგი გვადის უკან იყო მოქცეული, რადგანაც როცა გორებს შორის გზა ეხსნებოდა, გვადის უკნიდან წამოეწეოდა. ლანდს მოსტაცებდა და წინ მეკვლესავით გაუგდებდა.

ძალიან შალალ ოზონებზე შემდგარ, საკვირველად ტანწაგძელებულ რასზე არსებას ვაგდა გვადის ლანდი. ისე ევლებოდა თავზე ხეს, ლობეს, ყორეს და თხრისს, თითქოს ოთურმას მისთამაშებოს.

მის ყოველ გამოჩენაზე გვადის ეგონა, რომ ნაცნობი, ათასჯერ ნახული გარემო, რომელიც მყარად და უცვლელად ჰქონდა წარმოდგენილი, ამ ლანდთან ერთად მის წინ სულ ყირაზე დგებოდა ცელქი ბავშვივით და გვადისაც მოუწოდებდა ასევე მოქცეულიყო.

მაგრამ გვადის რა ასეთი მოწოდება სჭიროდა. მისი ცხოვრების სინამდვილედ ახლა ისე იყო აყირავებული და მისი აზრები ისეთ ვეება ნახტომებს აკეთებდნენ, რომ გვადის მთელი დედამიწაც კი ეცოტავებოდა მათ დასატყვად.

რა სათქმელიაო, უბრუნდებოდა დროგამოშვებით გვადი ისევ თავის ბრჩევის ამბავს, თითქოს გერა შემცდარიყოს, რომ დღეს იგი ასეთი ნდობით აღიჭურვა.

ამას წინათ რალაც ეკვი რომ აწუხებდა, ახლა სისაცილოდაც არ ჰყოფნიდა. თანდათანობით ისეთი აზრი უმტკიცდებოდა, ~~ქარქენ მთქქას~~ ორკეთში არჩევის ღირსი სხვა არაეინ იყო და იმის წსქმოდგენას კი არ შეიძლებოდა, რომ მის მაგიერ ვინმე სხვა აერჩიათ.

ამაზე უფრო შორსაც მიდიოდა გვადი. მისი წარმოდგენით, მთელ ქვეყანაზე ისეთი სანდო, საიმედო და პატიოსანი კაცი, როგორიც გვადი იყო, მეორე არ მოინახებოდა.

გერა ამდენ ხანს უნდა მიმხვდარიყო ამას — დაენახა, ეგრძნო, გაეჭვრიტა. დღეს კი არ შემცდარა გერა. პირიქით, შეცთომა გამოასწორა.

მედიდურობით კი არ მოსდის გვადის, რომ ამას ამბობს. ვითომ რაკი არჩეულია, კიდევაც ტრაბახობსო.

არა, გვადი ასე თავისი სრული შეგნებითა და მთელი არსებით ფიქრობს, იმიტომ რომ არაეინ იცნობს გვადის ისე, როგორც თვითონ გვადი.

შორს გვადისაგან ყოველნაირი ექვის ნატამალიც კი.

ასე გადაჭრილად მსჯელობდა თავის კარმიდამოს მიახლოვებული გვადი და თვითონაც ვერ შეემჩნია, თუ როდის და როგორ მომხდარიყო მის შემეცნებაშიც ასეთი ყირამალა გადასვლა ძველიდან ახალში.

— ჰოპოპო... ასე ჰირიმე... ჰოპოპო... ასე ჰირიმე! — გასძახოდა გვადი ფიქრს და ფიქრს შუა თავის ლანდს, როცა იგი რომელიმე შალალი ხის კენწეროზე გიჟივით ავარდებოდა.

ლანდის ასეთ ავარდნას გვადი იმიტომ შეხაროდა, რომ იგი თავის საკუთარ აღმაფრენად მიაჩნდა და თავის თავისაგან არც ლანდს განასხვავებდა.

XXIV

ალავერდნილი ფიჩხის ცეცხლის პირას, ჯარგელის კერიის გასწვრივ, სხენიდან ჩამოღებულ გვადის საგანძური იდგა თავახდილი, მოგრძო და დაბალი სკივრი, კუთხეებში რკინით მოსალტული.

სიძველისა და საჭვარტლეზე გდებისაგან გარე ფერდები ნახშირივით გაშავებოდა. ხოლო შიგნით კი ძველი ხის კომლშეუხებელ ბსკერსა და კედლებს თეთროყოყვითალო სპილოს ძელისფერი ვადაჰკროდა, ცეცხლის სინათლეზე აპრიალებული.

გვერდზე გადაწვენილი ახდელ ხუფზე გვადის ავლადიდება იყო გადაფენილი — ჩოხა, ახალუხი და ყაბალახი. იქვე ეწყო წყვილი წულა, ახლად გაქონილი. სკივრის კუთხის კიდზე კი განდაგან ესვენა ძველებური გრძელი ყაბა, რომელსაც მომსხო ბალთებასხმული ჭამარი ჰქონდა ქარქაშს გარშემო შემოკრული.

ახალ ნაბანზე ცეცხლის სითბოს მიტანებოდა. ბუის ხშირი სავარცხელი ეკირა ხელში და წვერულვაშს ივარცხნიდა. ეტყობოდა, რომ ცეცხლის სითბოზე უფრო ნაკლებად არც ვარცხნა სიამოვნებდა, რადგანაც მისგან კანის საამო ქაეილი აშლოდა. დროთ ტბილად ჩაიკრუსუნებდა კიდევაც თავისთვის ჩუმად. ეს მაშინ ხდებოდა, როცა სავარცხლის კბილები თმაში ღრმად ჩასწვდებოდნენ და აქაეებულ ადგილს მოფხანდნენ.

— არიქა, ცეცხლი და სინათლე არ დამაელოთ, ბაბაეებო, სანამ ჩავიცვამდე. ფიჩი ბლომად შემოიტანეთ, — ხურმის ძირში ყრია. პატივი მეციოთ დღეს ბაბაიას. ბარდლუნია, ქრაქს მიხედე, ნავთი არ ამოილიოს. ჩალმატე, თუ შეატყო. ასე, ჩემო ბაბაეებო. ტაშს ნუ დამიკრავთ და ვაშს ნუ შემომძახებთ. თქვენგან არაა საკირო. მაგრამ რაც გითხრათ, ის კი გამიგონეთ ამიერიდან, არჩეული კაცო ვარ და პატივდებული.

სკივრთან შექუჩებულ ბავშვებს როდი ეცალათ ბაბაიას პატივისცემისათვის. მისკენ არც კი მოუხედავთ და ყურადღება არ მიუქცევიათ. იქნება, არც კი ესმოდათ მისი სიტყვები, ისე გაეტაცნა ისინი საკვირველი ყამისა და ქამრის ცქერას.

მაგრამ გვადი თავად მიბრუნდა მათკენ, რას შერებთან რომ ხმას არ იღებნო. რა ნახა, თუ რითაც იყენენ ვართულნი მისი ბალები, მოეწონა. ერთხანს უცქირა.

— ასე, ასე, ბაბაეებო. მაგის მეტი რა დაგიტოვათ უბედურმა ბაბუამ, რომ შეხედვა შეიძლებოდეს. — წააქეზა გუნებაში.

მერე ვითომ ხელს არ შეუშლიო შეილებს, ისე თავ ზევით გადააწვდინა ხელი ჩოხა-ახალუხის ასალებად, მაგრამ მკლავის სიგრძე არ ეყო. საკირო იყო ერთი ნაბიჯის გადადგმა. დაენანა ფეხის ვასვრა.

— ბარდლუნია, — უხმო ხმამალა უფროს ვაეს — მომაწოდე, კირიმე, ის ჩოხა და ახალუხიო.

მაგრამ სიტყვის დასრულებაც კი ვერ მოასწრო, რომ სკივრთან უმაღვე ერთი აურზაური ატყდა და ქიდილი გაიმართა. გვადის ვაეებმა ყველამ ერთად მოინდომეს მამისათვის ჩოხის მიწოდება. შეეცილნენ ერთმანეთს. უმცროსებს აშკარად არ უნდოდათ ბარდლუნიასთვის დაეთმოთ ეს პატივი. ბარდლუნია კი, რაკი ბაბაიამ მას მიმართა, ძმებს არ უთმობდა. შეძიძგლავდნენ.

სხედასხვა ხმაზე ვაისმა:

— გამიშვი.

— მე ავიღე.

— ხელი მეთქო, გობრძანებ.

— უშვი.

გვადის მიერ მოწიწებით გაფერთხილი, გაწმენდილი და დაქუცხული ჩოხა-ახალუხი ბურთივით ხელიდან ხელში გადავიდა. მერე მუხიდან ებმა წრეც შეჭკრეს. საჭმე ღონეზე მიდგა. ბარდღუნისაჲ წებო: იმყოფეს ქებოძოლებოდა. საეჭვო იყო მისი გამარჯვება.

ჭირიშია განზე გამდგარიყო. მას ზეიმის შემდეგაც თავისი ყავრის ხმალი არ ჩამოესხნა და ახლაც ქამარში ჰქონდა გარკობილი. წრე რომ შეიკრა, გამიტხავენო მოიაზრა წინდანედულად და უფროს ძმებს თავი გააჩიდა. სამაგიეროდ სალოცი თითი პირში ჩაიჩარა და ყვირილი მორთო:

— მე მოგცემ, ბაბაიაო!

მთელი ეს ამბავი სულ ერთ წამში დატრიალდა. გვადი ცოტა გვიან მიხვდა, რომ ჩარევა იყო საჭირო.

— ჰო, ჰო, არიქა, არ დამიხიოთ! გაეცალეთ! მასრები არ დამიკარგოთ! — აყვირდა იგი. მაგრამ უფრო მოიგონა, რომ ყვიროდა, რადგანაც გაწყრომა ვერ მოეხერხებინა. მეტად მოსწონებოდა შეილების მისდამი ასეთი გულმოადგინება. ჩოხის დახვეის რომ არ შეშინებოდა ერეთხანს უყურებდა კიდევ მათ ჭიდილს და ბევრსაც იცილებდა.

ბოლოს იკადრა ნაფოტებიდან ჩამოსვლა და ბავშვებს ხელიდან თავისი ავლადიდება გამოსტაცა. წულებსაც წაატანა ხელი და კერიისკენ მიიქცა რომ ჩაცმა-დახურვას შესდგომოდა...

როგორც კი წაუვიდათ ხელიდან ჩოხა-ახალუხი, ბავშვები იმწამსვე დასცხრენ. როგორც ერთი კაცბ, ისევ სკივრს მივარდნენ და ისევ ქამარ-ხანჯალს შემოერტყნენ. გაინაზნენ. ჩოხა-ახალუხი დროებით გამხდა-რიყო ბავშვების დავის საგნად, თორემ მათ მთავარ ინტერესს თავიდანვე ბაბაიის ყამა შეადგენდა.

ყამა მართლა უჩვეულო რამ დიდი იყო, გრძელი და ფართო. ტარი რქისა ჰქონდა, მსხვილი და მოგრძო, ხელის მოსაკიდზე ნაპირებ შემოცვეთილი. სამაგიეროდ ამ ადგილას აშკი ჰქონდა ორფად შემოტრული. ზედ ორი თავწოწლოკონა რკინის კოპალი აჯდა ენგის ხორკლ მორეთული. რკინისავე ვადასა და ბურნუქს აქაიქ ნაწყვეტებად, გვირისტის ნაკვალევივით, თეთრი წინწკლები ეყარა, რომლებსაც ბჭრუყვიალი გაუდიოდა. ეტყობოდა, რომ ყამის ეს ნაწილები აწ ამოლუული და წაშლილი ხშირი ვერცხლის ზარანაშით იყო ოდესლაც მოხატული. ქარქაშს ალაგალაგ კემუხტი შემოძარცოდა და ხარეხებში ხის ტყეჩინდა.

ბურნუქს თეთრი ბოლო-კოპალი ჰქონდა მიმაგრებული, რომელიც ცეცხლის შექზე მართალი ვერცხლივით ეღვარებდა. მტრედის კვერცხის ოდენა იჭებოდა. ირყეოდა, თითქოს წამოდრომამდე ცოტა უკლიო.

ამ კოპლის მხრით ჭირიშია იდგა. ქამრიდან ამოჩრილი მისი ხმლის ტარი ისე მიბჯენოდა კოპალს, რომ ძნელი გასარჩევი იყო, ყამას ეკუთ-



ნოდა იგი თუ ხმალს. ყოველ შემთხვევაში ჭირიმის ხმალსაც მშვენივრად ნამდვილი იარაღის სახეს აძლევდა. ბავშვს კოპალზე თვაღის შესაქმნელად და ეტყობოდა, რომ თავს იკავებდა, თორემ ხელი ერთ ადგილას არ უდგებოდა. სახეზე სისხლი მოსწოლოდა და მრგვალ თვალებს ბუსავით ატრიალებდა. ეჭვი არ იყო, ხელსაყრელ დროს ელოდა, რომ მოეტაცნა და მიეთვისებინა.

ჭირიმის ეს ფარული განზრახვა ძმებს შეემჩნიათ და ათასნაირ უსიტყვო ნიშნებს აძლევდნენ შესაშინებლად — არ გაბედოო. ზოგი კოპალს არ აცილებდა თვალს, ზოგი კი თვითონ ჭირიმის, და მისავარდნად მზად იყვნენ. ლუტუნია კი მთელი ტანით მისწოლოდა პატარას, რომ იმ ადგილიდან მოეშორებინა, მაგრამ ჯიუტი ჭირიმია როდი ნებდებოდა. კაჟით შემკერივებულყო.

ბავშვების ასე უცები და მოშინება და დაწყნარება გვადის თუმცა გაკვირებოდა, მაგრამ მიზეზის ძიებისათვის არ ეცალა. ახალუხი ჩაეცვა და ღილებშეუკრავზე ზედ ჩოხაც მიეყოლებინა. მთავარი ჩოხა იყო, რასაკვირველია, და გვადი ტანზე ღილი გაფაციცებით ირგებდა. მზრებზე რომ კარგად მოადგა, სიხარულისაგან ცას ეწია. სამასრეების ბოლოები იღლებში კარგად მიიყენა და მასრებს თავები გაუსწორა, ზოგი ასწია, ზოგი დასწია. ბეჭები გაიმართა. შეარხია, შემოარხია. გაიჯგამა.

— აბა, ასე უნდაო, დაატანა თავმოწონებით.

არ გაჭირვებია ზედა ღილები, ისე შეიბნია ახალუხზედაც და ჩოხაზედაც. ჩაჰყვა ქვევით. აქ სახეზე უცებ შიშვარული გაცემა გამოეხატა და თითების მოძრაობაც უცებ შეუწყდა. მუცელზე არც ახალუხი შემოსწყდა და არც ჩოხა. ეს როგორ იქნებოო და საჩქაროდ ერთხელ კიდევ სცადა შებნევა, მაგრამ ამაოდა.

მაშინ მაგრად ამოისუნთქა, მუცელი ჰაერისაგან დაიცალიერა და რამდენადაც ძალა შესწევდა შიგნით შეიგდო. ხელმეორეთ სცადა ღილის კილოსთან მიტანა. ღილიც გაუსხლტა თითებიდან და კილოც, თითებს დააბრალა, არ იჭერენო. ნერწყვით დაისველა, მაგრამ ამანაც არ უშველა. ორი ქვედა ღილი შეუბნეველი დარჩა.

თავი დახარა და ზედ დაიხედა; ეს რა მჭირსო.

შეკრულ ღილებს ზევიდან მუცელი ძირს დაეხვეტა და ღიპს სწორედ იმ ადგილას ებრუნა გარეთ გამოსავალი და პერანგიც თან გამოეტანა, სადაც ღილ-კილოების შესაბნევი იყო. ძალზე გაბერილ და გატყცივებულ ბუმსტს ჰგავდა.

ეს რომ დაინახა გვადიმ სასოწარკვეთილებამ მოიცვა.

ალბათ, სინათლე მაკლია და თვალი მატყუებსო, თორემ ამ უკანასკნელ დროს ამ ვასახეთქ მუცელს გვადი თითქმის არც კი ვრძნობდა, ისე ჰქონდა დაპატარავებული. ტყობიც კი არ აწუხებდა იმდენად, იგონებდა თუ არა.

ბინა: მამის მუცელს შუბლით მიბჯენოდა, რომ უფრო შეეწია. იქით
 კინთვით და კბილებს კრაქუნით დაეჭაბა ღილ-კილო, რომე გველმე
 ღარ გაუძლო ამდენ შემკვირებას.

— მომეცალე, მომეცალე, ქირიმე, არ შემიძლიაო — შეევეღრა და
 მოიცილა. — აი რა გითხრა, ბაბაია. მარიამის გარდა მე ახლა სხვა ვერა-
 ვინ მიშველის. მეტი გზა არ არის: წელში ნაჭერი უნდა ჩავაყერებინო.
 ტყვილია, ღილების გადასმა არ იკმარებს. ვაეარდი ერთი, თუ ჩემი თა-
 ვი გინდა, და ჩენი ღობიდან გადაიხედე. გამიგე, თუ მარიამს სინათლე
 უნთია.

— მოვიყვანო? — შეეკითხა ბარდლუნია, სანამ კარისკენ ნახტომს გა-
 აეთებდა.

— არა ქირიმე, სინათლე თუ უნთია მეთქი. მე შივალ, აქეთ როგორ
 შეაწოხებ. ღობიდან შეხედე მეთქი.

ბარდლუნია მაშინვე გარეთ გაეარდა.

გვადი კი ყამასთან შეჭურბულ ბალღებს მიუახლოვდა. რა ვერ დაი-
 ნახეს, ამდენს რომ უყურებნო. ერთხანს უთვალთვალა. გული აუწუ-
 და რაღაც. მერე თავისდაუნებურად ჩემად ამეტყველდა:

— უყურეთ, ბაბაიებო, უყურეთ. თქვენი ბაბუას ყამაა. სულ მუდამ
 წელზე ერტყა უბედურს. შინ იყო თუ გარეთ, არ იცილებდა. ყანაშიც
 კი არ მოიხსნიდა, ისეთი ჩვეულება ჰქონდა... დრო იყო საშიში და, ალ-
 ბად, ამიტომ, თორემ ისე დალია სიცოცხლე, რომ არც ერთი კაცი არ
 მოუკლავს. შტერი კი ბევრი გვყავდა მაშინაც, ბაბაიებო, და კი უნდა
 მოეკლა ორი-სამი მაინც, ვერ ბედავდა თუ არა. გლეხი იყო და იმდენი
 გული არ ჰქონდა. ალბათ, ეშინოდა დამარბევენ და ოჯახი დამელუპე-
 ბაო. შთამამავლობისათვის ზრუნავდა ის უბედური. თუმცა მაშინ თქვენ
 არ იყავით, მაგრამ თქვენთვის სწევდა უღელს საცოდავი კაცი. სარებს
 კი თლიდა, ბაბაიებო, მაგ ყამით, როცა ნაჯახი გაუფუჭდებოდა. ნათურ-
 ქალი არის და რკინასაც კი გასჭრისო, ამბობდა. ვაზსაც მაგით სხლავ-
 და ხშირად, როცა მაღალ ხეზე გაეიღოდა. წალღზე უკეთ იმარჯვებდა
 ის დალოცვილი, როცა ხეზე იჯდა...

გვადის ხმა ცრემლიანი იყო და ისეთი სათუთი გრძნობა ამოჰქონდა
 მისი გულიდან, რომ თვითონვე სტკებოდა მისი მოსმენით. შეიძლება,
 კიდევ განეგრძო თავისი მოგონება გვადის, რომ ამ დროს ბარდლუნია
 არ შემოპირილიყო ჯარგვალში და არ დაეძახა:

— მარიამი შინ არის, ბაბაიაო.

გვადი უმაღლე გამოცოცხლდა. დაფაცურდა. ყაბალახი აიღო და თავ-
 ზე შემოიკრა ძველებურ ყაიდაზე. მერე ბალღების თავებს შუა ხელი ჩაპ-
 ყო და თვალის დახამხამებაში ყამა მაღლა აიტაცა.

ბოლო კობალზე ჭირიმიამ მაინც მოასწრო ხელის მოჭიდება აბლავლ-
და, მომეტო. მაგრამ გვადიმ გამოგლიჯა ხელიდან, *კუჭქუჭუნ და* და
ქამარხანჯალი წელზე შემოირტყა. *განჯაღიწიწიქა*

ქამარი რომ მოიჭირა, შეუტრავი ღილებიდან გამომძვრალი ღიბი ცო-
ტით დაიმალა. ზედ ყამის ტარიც აფეარა.

ქარქაშის წვერი ქვეით მუხლამდე წედებოდა გვადის, ხოლო ყამის
ტარი მარჯვენა სამასრეზე ებჯინებოდა.

ჭირიმიას არ უნდოდა მაინც ძმების ჯინაზე კობალი ხელიდან გაე-
შვა. მაგრამ ჩოხა-ახალუხში ჩაცმული და ყამით შეიარაღებული ბაბაია
რომ დაინახა, უცებ უკან დაიხია.

— ვინაა? — გააბა შეშინებული ხმით. და ბარდლუნის დაუწყო ძებ-
ნა თავის შესაფარებლად.

— ლეკია, ჭირიშია, ლეკი! მოეშვი, თორემ მოგკლავსო, უთხრა ეშ-
მაკმა ლუტუნიათ ისედაც შეშინებულ ძმას.

— აბა, შენი ხმალი, ჭირიშია, და ჩემი ხანჯალი! — შეუტია ახლა გვა-
დიმაც ჭირიმიას. — ამოიღე, თუ ვაეკაცი ხარ!

ბაბაიას ხმა რომ აიგონა, ჭირიმიას სითამამე მოემატა.

— ბაბაია ყოფილაო, უთხრა ლუტუნის და წინ წადგა ფეხი.

— აბა, ამოიღე ხმალი! — ჩააკვიდა გვადი. — უნდა გავისინჯო, თუ
გიჭრის. უნდა ვნახო, რაც ბიჭი ხარ!

თვითონ ყამის ტარსა და ვადაზე ჩაეველო გვადის ხელები და საომრად
გამზადებულიყო.

ძმები მისცვივდნენ ჭირიმიას და შესძახეს:

— ნუ გეშინია, ჭირიშია, ამოიღე ხმალი!

ჭირიმიამ მართლა ამოიღო თავისი ყაერის ხმალი და ბაბაიასკენ გა-
აშვირა.

გვადიმაც ამოსწია ამ დროს ყამა. მაგრამ ქარქაშიდან ვერც კი დას-
ძრა. კიდევ მოსწია, კიდევ ვერ დასძრა.

— ვაიშე, ბაბაიებო, ვერ ამოვიღე. უთუოდ ჩაეანგებულა. მიშველე,
ბარდლუნია!

ბავშვებს სიცილი აუტყდათ.

ჭირიმიამ დრო იხელთა და ბაბაიას თავისი ხმალი ჩოხის კალთებზე
შემოკრა.

— მაჯობა, მაჯობა! — ხითხითებდა გვადიც.

მაგრამ ყამა მაინც უნდა ამოეძრო. რაკი წელზე დაკიდებულს ვერა-
ფერი უყო, სულ ჩამოისხნა ქარქაშიანად. ბურნუკი ბარდლუნისა გაუ-
წოდა და თვითონ ტარი დაიჭირა. ბარდლუნისა ძმებიც მიეშველნენ, გას-
წიეს გამოსწიეს.

ქსილო მთაში

რომანი

თავი მუშვიდი

ჯერ კიდევ ანათებდა დასავლეთისკენ დახრილ მთვარე.

მთის წელი წიაღი ოდნავ არხვედა გაშლილ თმას ეთერისა და ნოდარის თავებზე. ქვაზე ჩამოსხდნენ. ახალი ძალით, ახალი აღგზნებით ეხვეოდნენ ერთმანეთს.

და როგორღაც მოულოდნელად მოხდა ყოველივე. თითქოს სრული ბედნიერება იშვა იქ მთის მოხრილ კონცხთან, თითქოს მთის სუფთა პაეტიც გრძნობდა მათი შეხვედრის უტკბეს ყრუანტელს.

დასავლეთისაკენ გადახრილი ნახევარმთვარე ტყისკენ დაეშვა. წიაღი თითქოს უფრო გაცივდა, ხმა აიმაღლა ჩანჩქერმაც, რომელიც იმავე კონცხიდან ეშვებოდა.

ენებათა ღელვის პირველმა ტალღამ გადაიარა. ახალგაზრდა ქალეაფის აღზნებულ შეხვედრას სიმშვიდე მოჰყვა. არც ერთი სიტყვა, აღარც რაიმე ოდნავი მოძრაობა. ახლა ისინი რაღაც შემცნობი, მსინჯავი თვალებით მისჩერებოდნენ ქვეყანას: ხრამებს, მთებს, უღრან ტყეს, რომლებსაც ეხლა ერთნაირი მძიმე ფერი გადაჰკროდათ...

ყოვრად ნოდარმა ეთერს შეხედა და სულ სხვა თვალები აღმოაჩინა. ტანში შეაჯრკოლა, ხმა არ ამოუღია და ეთერის უცრად შეცვლილი გამომეტყველების გამოცნობას შეეცადა.

— რატომ მიცქერი? — ოდნავი ღიმილით ჰკითხა ეთერმა.

— არა, მე, ისე... — გაუბედავად მიუგო ნოდარმა. — მინდა, ეთერ, რომ შენი თვალები მუდმივი სიხარულით ციმციმებდნენ.

*) დასაწყისი იხ. „მნათობი“ №8 — 9.

— უჰ! — ცივად მიადიხა ეთერმა. — განა ეგ ყველაფერი? შენ ხომ გმირობა გაკლია, ნოდარ, გმირობა!

— როგორ თუ გმირობა? — წყენით იკითხა ნოდარმა ^{ნაქვედულე} ~~ფიქრობდა~~ თოვლა.

— მართალია, გიყვარვარ, მაგრამ გმირი მაინც არა ხარ. გამიგონია... ეისაც უყვარს, თავსაც ვასწირავსო.

— როგორ?

— უმაგისოდ როგორ იქნება!

— ჯერ თავი უნდა გავსწირო და შემდეგ გეყვარები? — ჰკითხა ნოდარმა:

— დიახ, მაშ არ იცი?

— რას ნიშნავს გმირობა, რა უნდა გეთქვა?

— შეყვარებულის გულისათვის ყველაფერი უნდა ჩაიღინო. ყველაფერი! შენ კი ისე, უბრალოდ, უმსხვერპლოდ... რა გმირობაა ეს?

ნოდარი მთლად აირია სიარული დაიწყო — ვერ მიხვდა, რის თქმა უნდოდა ეთერს.

— კი, მაგრამ, რას ნიშნავს, ეთერ, ეგ? ხომ არ გინდა ვიქტურო, ვიყაჩაღო? თუ ნამდვილად გიყვარვარ, განა შეგიძლია ასეთი რამ მიჩიო? ასეთ „გმირობას“ სიკვდილი სჯობს.

— სიკვდილი! — გველნაკბენივით დაიძახა ეთერმა და ზეზე წამოიჭრა. — არა, შენ ღირსი არა ხარ, შენ... თქვენ ყველანი ასეთები ხართ! მამაჩემი ხომ გინდათ გადაასახლოთ? შენ კი არ ფიქრობ გმირობა გამოიჩინო. მამა რომ წავა, მეც ხომ გავყვები, შენ კი დაჯექ აქ და ამით დაამტკიცე სიყვარული.

ნოდარი ვაფითრდა, გამოიცვალა. მას ეგონა ეთერი, რომელთანაც ამ რამდენიმე წუთის წინათ თავს ისე კარგად რომ გრძნობდა, გაიპარა მაშინ, როდესაც იგი ტკბილად ჩაძინებულ სოფელს დასცქეროდა, და მის ადგილას მოვიდა სხვა, სულ სხვა ეთერი. მაშ ღღემდე სად იყო, სად იყო ამდენი გესლი და სიძულელი?

ნოდარს უფრო ის აკვირვებდა, თუ როგორ მოხდა, რომ იმავე საყვარელ არსებაში უეცრად, მოულოდნელად აჯანყდა ვიღაც. ვინც ღღემდე მასში ფარულად ცხოვრობდა, თავს არ აჩენდა. მეორეს მხრივ, მას თითქოს ახლა გაახსენდა საფრთხე, რომელზედაც ეთერი ლაპარაკობდა:

„წაიყვანენ, წავა და გამშორდება!“

ამ სასტიკმა კითხვებმა ტკივილით გაიქროლა მის გონებაში.

— ეთერ! — ათრთოლებული ხმით შესძახა ნოდარმა, — შენც უნდა წახვიდე? არა, შენ უნდა დარჩე, რამდენჯერ გთხოვე. იყავი ჩვენი, ჩამოშორდი უღირს დედ-მამას. რა საჭიროა, შენ ხომ...

— მე ეგ არ მითქვამს!—გააწყვეტინა სიტყვა ეთერმა. — მამ სთქვი, სთქვი რა უნდა ექნა? შენ ხომ მამაკაცი ხარ, შენ უნდა უნდა გასწავლო?

— ერთი-მეორეზე აყრიდა ეთერი სიტყვებს და არ მშვიდდებოდა.

ნოდარი ფიქრობდა, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავდა.

ეთერი ეშმაკურად უყურებდა აბნეულ ნოდარს. მან უკვე შეითვისა მამის სიტყვები. ის ჯერ კიდევ არაფერს ამბობდა, მაგრამ აი ისევ გაილიმა, ისევ მიუახლოვდა ნოდარს, ხელი მოხვია და ორივენი ქვაზე ჩამოსხდნენ.

— შენ ბავშვი ხარ, ნამდვილი ბავშვი, ნოდარი! — ხმადაბლა, ტკბილი ღმით ამბობდა ეთერი და მომლიმარე ტუნებს ნოდარის სახეს უახლოვებდა, — შენ ხომ ჩემი ხარ, ჩემო სიცოცხლე! ჩვენი დაშორება ჩემი სიკვდილია... მაგრამ სხვანაირად აღარ ხერხდება...

რალაც კიდევ უნდოდა ეთქვა ეთერს, მაგრამ თავი შეიკავა და ხმა გაკმინდა.

— შეუძლებელია, შეუძლებელი! — წამოიძახა ელდანაკრავმა ნოდარმა, რომელიც მოელოდა, რომ ეთერი ტკბილად დაწყებულ სიტყვას ასევე ტკბილად დაასრულებდა.

— სხვანაირად არ შეიძლება, — იმავე ტონით განაგრძო ეთერმა. — მე ხომ ჩქარა წავალ აქედან. მე უნდა შევძლო სხვა შევიყვარო. დაივიწყე ჩვენი ბავშობა, საშუალო რომ ერთად დავათავეთ, მაშინდელი მშვენიერი დღეებიც დაივიწყე...

როგორ ტკბილად და მასთან როგორ სასტიკად ეჩვენებოდა ნოდარს ეთერის სიტყვები! როგორი თბილია მისი კილო და როგორ მწვეავე მისი შინაარსი! აქამდე დაგუბებულმა მოთმინებამ ერთად ამოხეთქა, ზეზე წამოიჭრა, შალერის ორივე ჯიბეს სინჯვა დაუწყო, თითქოს იქ დაეძებს სიკვდილის წამალსო, და ხმამალა შესძახა:

— ეთერი! მე შემიძლია, ახლავე... — და ანთებული თვალი ირგვლივ მიმოაელო, როცა მის მხარს კვლავ შეეხო ეთერის სათუთი, რბილი თითები.

— შენ უჩემოდაც უნდა იცოცხლო, ნოდარი, ხომ ხედავ, ქვეყანა როგორი დიდია, მე კი აი, როგორი პატარა ვარ.

— გთხოვ შეაჩერო, შენი ტუნები ტყვიას მახვედრებენ! — შესძახა ნოდარმა და ეთერის ტუნებს ხელი მიაფარა. ნოდარის თვალბში ეს პატარა, მთვარის მკრთალ შუქზე ამოძრავებული ტუნები სიყვარულის ნაცვლად თითქოს ტყვიას უშენდნენ.

— მე რას გიშველი? — განაგრძობდა ეთერი და სწრაფად ამოძრავებული ტუნებით უფრო მწვეავე სიტყვებს ისროდა. — მე შენგან მოველოდი შევლას მაგრამ, ვგრძნობ, იმედი გამიცრუვდა... შენი გამბედაობის საზღვრები ვიცი და იმედი ჩემში არ დარჩა. ზედმეტია, რაც დრო დავკარგე.

ნოდარის თავშეუკავებელმა, აშკარა აღშფოთებამ უფრო გათამამა, უფრო გაბედული გახადა ეთერი ვაჟის მიმართ, და უფრო მეტად მოგველობით, ბასრი ხანჯალივით მოქნეული სიტყვებით მართოლვარე გულს.

ეთერმა იგრძნო, რომ სასწორი უკვე გადაიხარა, რომ ყოველი მისი სიტყვა ნოდარისათვის უკვე გარდუქვალ კანონად გადაიქცა, რამაც უფრო გაამახვილა მისი გონება, და ყველაფერ ამან ბრძანებლის როლი მიანიჭა მას.

ნოდარმა ახლა გაიგო ეს, მაგრამ გვიან იყო: მიხვდა, რომ რაც უფრო შორს მიდის მისი აღშფოთება და ამ ქალთან დაშორების შიში, მით უფრო შეუპოვარი ხდება ეთერი, მით უფრო მეტად შორდება და უფრო მწვავე კრილობებს აყენებს.

რატომ აჩქარდა? ყველაფერი დაუფარავად გადაუშალა ამ „ტყბილად“ მოსაუბრე ჯალათს — გული უჩვენა, რომ იგი თავისუფლად გაიქცეს წინ და ნოდარის ღირსება ფეხქვეშ გათელოს...

— მე უნდა ვიცოდე, რა შემოძლია! მე ხომ მზათა ვარ! — შესძახა აქლოშინებულმა ნოდარმა და შეამჩნია, რომ მის წინ ხელებით, ტურებით, თითქოს სახის ყველა ნახაზით ამეტყველებული ქალი ეთერი კი არა, თითონ ენება იყო, რომელიც ტბად იქცა და მის სარკეში ნოდარი საკუთარ სახეს ჩასცქერის, შიგ იძირება და იღუპება.

— რა უნდა ვითხრა? შენ შორს ვერ წახვალ, ჩემო ძვირფასო! — ბოლო სიტყვები ისევ შეარბილა ეთერმა.

— უნდა სინჯო, ეთერ. უნდა მითხრა... მე ხომ...

— ესინჯო? ვინ იცის, ეგებ უსამართლოდ გამცირებდი? შენ ხომ ჩემი ხარ, ჩემი, ნოდარ! — და გაიღიმა, ნოდართან მივიდა, ხელი წაავლო და კვლავ ჩამოსხდნენ.

„ო, როგორ მათამაშებს!“ — უსაყვედურა ნოდარმა თავის თავს.

— აი, ნოდარ. — განაგრძო ეთერმა, — მინდა გამოგცადო. უშენობა მეც აღარ ძალმიძს. უნდა გავიქცეთ, ნოდარ, გავიქცეთ აქედან... შენ შეიძლება ეს გეუცხოვოს, გადამეტებულად გეჩვენოს შიში, მაგრამ იცოდე ჩემი სიტყვები დახშულ ყურებთან მეორედ ხარს აღარ ჩემორეკს, მაშინ უკვე გვიან იქნება.

— გავიქცეთ? უნდა გავიქცეთ? — იკითხა ნოდარმა. — მერე როგორ? ეს ხომ... მაგრამ მხოლოდ შენთან, მხოლოდ შენ ერთთან! მე ხომ მაინც მივდივარ ქალაქში, მხოლოდ სექტემბერში, სწავლა რომ დაიწყება. თანახმა ვარ.

— არა მე ახლავე მინდა, მაშინ უკვე გვიან იქნება.

— კარგი, ეთერ! უნდა მოვახერხოთ, რამე ვიღონოთ, მე ხომ მაინც შენთან ვიქნები. აღარ მეშინია!

ნოდარმა ძლიერი აღზნებით ეთერი თავის მაგარ მკლავებში ჩაქე-
ტა და მისი მრგვალი, ლამაზი თავი მომღიმარე ტუჩებზე გულში ჩა-
იკრა.

გული სიამით უცემდა. კიდევ დიდხანს უნდოდა ნოდარს ყოფილიყუ-
ნენ ისინი ამ მდგომარეობაში და თავის გულში ეთერის სიახლოით ან-
თებული სინათლე აღარ ჩაეჭრო. მაგრამ ეთერს დრო არა ჰქონდა, მას
იმევე საკითხის დასრულება გადაეწყვიტა და თავი ასწია.

— კი, მაგრამ, რატომ არ იცი, ნოდარ, რომ გაქცეულ კაცს ერთი
წლის საგზალი თან უნდა ჰქონდეს...

— ერთი წლის საგზალი?!

— ეს ცოტაცაა, მაგრამ... ვიმყოფინებთ.

— შე ხომ... შენც იცი.....

— შენ რა გაწუხებს! — შეაჩერა ეთერმა. — დღეს ხომ კვირაა, ზევ
სამშაბათი, დასვენების დღე....

— მერე, მერე? — ნოდარს უეცრად მოაგონდა გუშინ საღამოს კომ-
კავშირის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება და კატასტროფის სიახ-
ლოვემ შეაკრთო.

— ამ დღეს ღამის თერთმეტ საათზე იარაღით მოხვალ მუხასთან.

— იარაღით? — უფრო აღშფოთებით შესძახა ნოდარმა.

— იარაღით! — მტკიცედ განაგრძო ეთერმა. — შენთან მოვა ორი
ამხანაგი. თქვენ სხვა მხრიდან ჩამოსულ კულაკს ცოტა შეაშინებთ. იმან
ბევრი ცხვარი გააყიდა.... ფული ეჭნება!

— კარგი გეყოფა შენ საძაგელო! — შესძახა ნოდარმა და ზეზე წამო-
იჭრა.

ეთერიც გველნაკბენივით წამოეარდა. მისი მრისხანე, გაფითრებული
სახე ჰგავდა იმ უდაბნოს, რომელზედაც გრივალმა გადაიარა, ხოლო მისი
სასტიკი თვალეები ამ გაძარცულ უდაბნოს მიწიდან შორს წასული, წყვილ
ვარსკვლავებს.

— ოჰ, შე ლაჩარო! შენ მუდამ ასეთი იყავი! მე ვიცი ეს! მშვი-
დობით!

იგი მიტრიალდა და სწრაფად გაშორდა.

ნოდარის თვალეებში უცბად დაბნელდა, ფეხი აუცდა და ძირს დაეცა.

თამი მირამი

თვალი გაახილა.

ცივა.

რა სიბნელეა!

სად არის? თავზე ხელი მოისვა და ცივი თითები სისველეს შეხვდა.
რა არის ეს, სისხლი? გვერდით კამეჩივით გაწოლილ ქვას თვალი შე-



ავლო. ყველაფერი ცხადი შეიქნა. აი აქ ამოვარდა თითქოს ქვეყნის მთელი მელმაც იგი უგრძობლად დასცა. შემდეგ წავიდა გადაჯიქვითა და რა დარჩა აქ?

სიბნელე, სიცივე, სიცალიერე!

და აღარ სურდა ზეზე წამოდგომა. გაუნძრევლად, ყოველივე მოსაზრების, ფიქრის და ყურებით კიდევ დიდხანს ეგდო მიწაზე.

შეუძლებელია! ალბათ ამ ტკივილებმა საესებით უნდა ჩააქრონ ის სიტბო, რომელიც ნოდარს კიდევ ამოძრავებს, ან უნდა გააყვეს მას უკანასკნელ საზღვრამდე. სხვა გზა არ არის, და ამ ძალამ იგი ზეზე წამოაყენა.

თვალეები გარკვევით ვერაფერს ხედავდნენ, და იგი ზღვის ტალღებზე შეტორტმანებული გემის ანძასავით ირხეოდა. ქვემოთ, ჩაძინებულ სოფლისაკენ ბორძიკით ეშვებოდა.

როგორ, სახლისაკენ?

არა, არა!

ნოდარის ნერვები იქ ვეღარ მიბედავენ, და იგი სხვა მიმართულებით წავიდა, თემშარას გადაუხვია და მდინარის ნაპირს მიადგა. მდინარე ჩვეულებრივად ბუტბუტებდა. ნოდარმა ყური მიუგდო და წარმოიდგინა, რომ მთელი ბუნება მდინარის ენით ლაპარაკობს. რომელშიაც, მსგავსად ადამიანთა სიტყვისა, გესლი და შხამი არ არის ჩაღერილი.

მაგრამ ნოდარისათვის სანუგეშო იქ არაფერი არ ისმოდა. მან შხოლოდ ახლა გაიგო ბუნების ამ მშვენიერ ძალთა მთელი უძღურება იმ მწუვავე განცდების წინაშე, რომელიც ცხოვრებიდან მომდინარეობს.

მას სურდა ახლა, ენაზე ვინმე თავისი მეგობარი, რომელსაც მოხზდარ ამბავს გაუხეხელდა, რომ სამით ოდნავ ჭაინც შეემსუბუქებია ის ტკივილები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ. ნოდარი მალე დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელია, რომ მის მეგობართა შორის ასეთის ნახვა არ მოხერხდება: ყველა ისინი უკან დაბრუნებას ურჩევენ, რის შესრულებაც ასე უძძიმდა.

„ვალეიკო?—გაიფიქრა და მოაგონდა, რომ ისიც ქალაქში იყო წასული. ფიქრი განავრძო: რა იქნებოდა მთელი სიცოცხლე იმასთან რჩებოდე, ვინც შენ გაგიგო და ვინც შენში ვარდის ბუჩქივით ამოიზარდა“...

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა და მოესმა მახლობელი წისქვილის ხმაური.

შეჩერდა.

წისქვილის ხმაურმა ნოდარს თითქოს გზის მიმართულება უჩვენა და უმიზნო ზეტიალს აზრი უპოვა.

წინ გაეშურა.

ახლოს მივიდა.

წისქვილის მორბალზე დამსხვრეული მდინარის თქრიალი ახლო უფრო გარკვევით ისმოდა, და ღია კარიდან ჭრახის მიმქრალ ნაკვეთს წინა მოხუც ონოფრეს თეთრად გაპენტილი, დახრილი თავი.

მოხუც ონოფრეს კბილით ტომარა დაეკირა და შიგ ჩამოფრქვეულ პურის ფქვილს ჰყრიდა. ნოდარი უფრო ახლოს მივიდა. კარებთან შეჩერდა.

— გამარჯობა, ბაბუა ონოფრე! — ძლივს წამოსთქვა და წისქვილში შევიდა.

შემკრთალმა ონოფრემ უეცრად მიიხედა. მან უმაღლეს წისქვილში შემოსული ადამიანის ჩრდილი შენიშნა. ფქვილის ასალები ნიჩაბი ხელიდან გააგდო, ტომარაც მიაგდო და ძლივს წარმოსთქვა:

— ვინ.. ვინა ხარ?

მოხუცმა პასუხი ვეღარ მიიღო. ნოდარს ძალა აღარ შესწევდა. ონოფრემ სახეზე ჭრახი მიანათა შემოსულს.

— აა, ნოდარი? — ძლივს იცნო მოხუცმა სახე შეცვლილი ნოდარი, რომელსაც სახეზე მოგრძო თმები გადმოეყარა. ის ღონე მიხდილი ლოგინზე ჩამოჯდა, ორივე ხელი მუხლებზე დაიდო და თავგებისაგან დახრულ იატაკს თვალი მიაშტერა.

უფრო მეტად გაოცებული ონოფრე ახლოს მივიდა, ჭრახი იქვე, ძელის ლოგინზე დადო და დაბალ კუნძზე ჩამოჯდა.

— შენ, ბაბუა... შენ... — სთქვა ონოფრემ და ღია კარიდან ცალი თვალით, რომელიც მოგრძო თეთრ წარბებს ქვემოთ ძლივს მოსჩანდა, ჩამობნელებულ სივრცეს გახედა...

ჯერ კიდევ ბნელოდა.

— ალიონი იწყება მგონი. ფერი აღარ გაქვს, ფერი, — და შვილდევით წელში მოხრილმა მოხუცმა წარბებს ქვეშიდან წვრილი თვალები გამოაჩინა.

— ფერი, ბაბუა? ფერი? — აბნეულად ამბობდა ნოდარი.

— ღამის თევაში იქნებოდი. სიკვდილმა ხომ არ შეგაშინა, ბაბუა? ალიონი გვიახლოვდება. ის ოხერი ამ დროს ეპარება სიცოცხლეს. უჩუპრად თავს დაეცემა და გაიტაცებს. იწყება ხმაური. თითქოს მგელმა ბატკანი მოიტაცაო. რა განსხვავებაა, ჰუ!

და ონოფრემ უკმაყოფილოდ ხელი ჩაიქნია, თითქოს ახლოს მოსული სიკვდილი ამით დააფრთხოვო.

— არა, ბაბუა ონოფრე, არა! სხვას კი არა, მე თვითონ... — თითქოს უნებლიედ აღმოხდა ნოდარს და გამშრალი ნერწყვი ძლივს გადაეცაპა.

ონოფრე უეცრად შიშმა შეიპყრო. ბებერი თვალები წისქვილის გამჭვრეტელ კედელზე შემოატარა, თითქოს შემოსულ სიკვდილს დაეძებო, და ბოლოს ისევ ნოდარს მიაჩერდა.

„სად არის იგი, მე ხომ არ შეპარება? ასე ამბობდა ონოფრეს თვე-
ლებში ჩამდგარი შიში და ხმა ვერ ამოეღო.

ნაკონუნული
ბიბლიოთეკა

არა, ბაბუა. მე შენთან მოვედი. ოო, რა ძნელია!

— ძნელია? — გაკვირვებით იკითხა ონოფრემ და წერილი თვალეში გამოაჩინა.

— ყელში მიჭერდა, ბაბუა, ყელში, შენ ვერ გაიგებ, ბაბუა! მე ახლაც მიჭერს. რა არის იგი?

მეტის ატანა ველარ შესძლო: მოთმინება მთლად დაკარგა და თავის-დაუნებლიედ აღელვებით ლაპარაკობდა.

განცვიფრებულმა ონოფრემ თავი დახარა. უეცრად ნოდარის სიტყვებსა და ქცევაში რალაც ახლობელი აღმოაჩინა: საკუთარი თავი, ოცი წლის ონოფრე დაინახა, და ოთხმოც წელს გადაცილებული მოხუცის ჩამქრალი გული კვლავ გამოცოცხლდა.

კარგა ხანს დაჰყურებდა იგი წისქვილის დამბალ იატაკს, რომლის ქვე-შოთაც მდინარის თქრიალი არ წყდებოდა. და როგორ გაცოცხლდა იგი წარსული: თითქო ყველაფერი აქ არის აქ! აი, ეს არის, ხელით უნდა შეეხოს იმ ცოცხალ სახეებს, იმ ცოცხალ ამბებს, რომლებიც ოდესღაც ასე აღელვებდა, ასე ტანჯავდა და ახარებდა. ოჰ, რა საოცარი სიჩქარით გარბის ყველაფერი!

და წისქვილის უწყვეტი ხმაური, წყლის თქრიალი, ნოდარის ბავშვ-რი, ფერმკრთალი სახე, გრძნობის ტალღებზე აცურებული მისი სიტყვები, ყველაფერი, ყველაფერი ხომ ამის შესახებ ლაპარაკობს ამ ეამად? ერთხელ ონოფრეშიაც სრულიად შეუმჩნეველად ამოჰყო თავი ახალ-გაზრდობის დიადმა ყვავილმა, რომ მისი სურნელება ონოფრეს ბატონ-პატრონის ახალგაზრდა ქალის ყნოსვამდე მისულყო. და როგორი ტკბილი იყო მაშინ იგი წუთები!

შემდეგ კი, შემდეგ?

ქალმა ჩქარა მონახა თავისი ადგილი. გულწასული ონოფრე მარტო დატოვა და თვალს მიეფარა...

მას შემდეგ, მას შემდეგ...

რატომ არ შევიდა გულში არაფერი? ასე უშინაარსო ცხოვრების კუნ-ძულზე გარიყულმა გაატარა მან, თავისი სიცოცხლის უფერული დღეები და მის ახლოს შემთხვევით მოხვედრილ უგულო ქალებს შეაღია მთლიანად ბურანში წასული სიცოცხლის ძალა.

ოჰ! როგორ მოხუცდა, როგორ გვიანია! ახალი სიცოცხლის აღმოცე-ნება რომ ხერხდებოდეს ამ ნახევრად გაზრწნილ გვამიდან, მაშინ შესაძ-ლოა ახალ ნიადაგში ახალმა ფესვებმა უფრო იხაროს! მაგრამ არა: ცხო-რება ხომ მდინარეა, რომლის ზვირთები უკან აღარ დაბრუნდებიან..!

ონოფრემ თვალი მოაშორა დამპალ იატაკს, სადაც ^{მთელი წარსუ-} ლის სურათებს ხედავდა. ისევ ნოდარისავენ მიბრუნდა და წერილი თვა-
ლები უფრო აანთო.

— ბაბუა, ბაბუა! — თითქოს აღვიძებსო მოხუცი ^{ბებლეჩქნუქსა} ნოდარს, — ა, ბა-
ბუა! — მე გული მტკიავა... იგი ქალია, ბაბუა, ქალი!

ნოდარს თითქოს მოულოდნელად გულზე ხელი მოუჭირესო, გააფთ-
რებულმა მოხუცს შეხედა.

— მე ძველი ძალი ვარ, ჩემო ბაბუა! — განაგრძო ონოფრემ, ჩიბუ-
ხი თამბაქოთი გაავსო, ადგა წისქვილის მეორე ნაწილში მიწაზე გაღვი-
ვებულ ცეცხლთან მივიდა, ჩამოჯდა, გრძელ ტარიანი ჩიბუხი ლადარში
გაატარა და მადიანად მოსწია.

— რატომ, ბაბუა, ერთხელ მეც ახალგაზრდა ვიყავი. იყო დრო. მო-
დი აქ, მომიახლოვდი. აი, ამ ლადარს ჩაზედე. რა განსხვავებაა? ჰმ! —
ქვლავ გულჩათხრობით დაიძახა მოხუცმა, ჩიბუხი პირიდან გამოიღო და
ბრაზმორეულმა ცეცხლს დააფურთხა.

ონოფრეს ბრძანებით ახლოს მისული ნოდარი ხმას ვერ იღებდა. მო-
ხუცის ყოველ სიტყვას, ყოველ მოძრაობას გაფაციცებით თვალყურს
ადევნებდა.

— ჰა! — ონოფრემ უეცრად თეთრ წარბებ-წამოფარებული წერილი
თვლებიდან ნოდარის სახეს რისხვა შეაფრქვია და ცალი ხელი მუხლზე
დაირტყა. — ახლა სხვა დროა! ხომ არ გაგიქვია! მე კი აი! — და აკან-
კალებული ხელი მკერდზე მიიღო, რომ იქიდან თავის ახალგაზრდობაში
ღრმად ჩამარხული უბედურება გარედ გამოეტანა და ნოდარისათვის
ჩვენებინა. ის ბანჯგელიან მკერდზე კარგა ხანს განაგრძობდა გაძვალ-
ტყავებული თითების ფათურს, კანკალებდა, მაგრამ იქ ვერაფერს პოუ-
ლობდა. იქ აღარ იყო ახლა მისი ახალგაზრდობა, რასაც მოხუცი თვი-
თონაც კარგად გრძნობდა, მაგრამ საკუთარი თავისადმი დაცინვის აღსა-
ნიშნავად იქ არსებულ სიცალიერზე მხოლოდ ამით ლაპარაკობდა.

მოხუცმა ხელის ფათური შეაჩერა და თავის წერილი, წყლიანი თვა-
ლები ისევ ნოდარს მიანათა სახეში.

— ჩემო ბაბუა! — უფრო ტკბილად ამბობდა ახლა: — შენი დროა...
მაგრამ, ბაბუა, მე ამას გეტყვი: თუ სიყვარული გულშია, მაშინ ვიხა-
როდეს, მაგრამ თუ ყელში ამოვიდა, შესაძლოა დაგადრწოს... ქვეყნის
სადაფეები ხელში გიჭირავთ. ყველაფერი თქვენიია. ხომ არ შეგეშალა? ეს
რას ნიშნავს, ა? — ხმა მალლა დაიძახა და კვლავ მიაჩერდა. — აქ შემომ-
ხედე, მე ხომ არ ვცდები? დამდგარ წყალში გაზრდილ კალმახებს გემო
არა აქვს, სუნნი უღის, ბაბუა, და ჩქარა იხრწნება. ერთდევ...

და ონოფრემ თავი დახარა.



ოპ, როგორ შეუყვარდა ახლა ნოდარს ეს საცოდავი მოხუცი. არასოდეს თავის სიცოცხლეში ფიქრადაც არ მოსვლია, თუ სიცოცხლეში დაპერწყლებიდან თითქმის საესეებით დაცარიელებულ ონოფრეს გულში ამოდენა შინაარსი და ასეთი გრძნობა იქნებოდა შემონახული, თუ მოხუცის ეს მიმკვნიარი შუბლი ასეთ სიბრძნის შუქს გამოსცემდა...

იგი მუხლებზე დაეცა, მოხუცს ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა.

— ჩემო ბაბუა, ჩემო ბაბუა! — იძახდა ნოდარი და სხვა სიტყვებს ვეღარ პოულობდა.

ონოფრეს სუნთქვა შეეკრა, გაჩაღებული ჩიბუხი გრძელ თეთრ წვეროში გაებლანდა, კინალამ ცეცხლი გაუჩნდა. მოხუცი შიშმა აიტანა, ფერი ეცვალა.

— გა... გა... მიშვი! ეი... ეი... — ძლივს ისმოდა მისი დამუწული ტუჩებიდან, მაგრამ მოხუცის სუსტი, გამშრალი ძვლები დამტკრეული კიშკარივით ჭრილებდნენ ვაკეციის მკლავებში, და ვეღარ იძროდა.

ცეცხლთან, მიყრუებულ წისქვილში, ორი ადამიანის სახით შეერთებული ორი საუკუნე მოახლოვებული განთიადის ფონზე, რაღაც საოცარ, მდიდარი შინაარსის მქონე სურათს ჰქმნიდა.

წისქვილმა ხმას აუწია, და დაცარიელებულ ოფიჩოს უსიამოვნო რაკ-რაქმა გრძნობა-მორეული ნოდარიც კი გამოაფხიზლა.

ის შეშინებული დააცქერდა მოხუცის ფერწასულ სახეს, დახუჭულ თვალებს და ხელი შეუშვა. ონოფრემ აკანკალებული ხელები მიწას დააყრდნო და წელი ძლივს ასწია.

— სიგიჟე, სიგიჟე! — აღმოხდა მას, მერე წისქვილის საკვებ გამოლეული ქვებისაყენ წაფორზილდა, მარცვლით საესე პატარა კოთხოს ძლივს წამოავლო ხელი და მარცვლი ოფიჩოში ჩაყარა. შემდეგ ისევ ნოდარს მიუბრუნდა და მრავალმეტყველი თვალებით სახეში მიაჩერდა. მოხუცს გაჯავრება ვერ გადაეწვიოდა, ვერც სანუგეშო სიტყვა მოენახა, ვინაიდან აშკარად ხედავდა, რომ ახალგაზრდა ნოდარის გრძნობები უკვე წრეს იყო გადასული.

მას კვლავ მოაგონდა თავისი წარსული და ნოდარისადმი სიბრალულის გულწრფელი გრძნობით აივსო. ორივე ხელი ძირს ჩამოუშვა, თავი დახარა და ოდნავ გასაგონად, თითქოს საკუთარ თავს უჩივისო, ძლივს წარმოსთქვა:

— სისუსტე, სისუსტე, სისუსტე! აი, მტერი, ჩემო ბაბუა! აი ჩვენი ჯალათი! — და რადგან ნოდარის ნერვიულ მოძრაობაში წასვლის სერიული გამოისახა, განაგრძო: — წადი ბაბუა, წადი და გასხვდეს...

ნოდარმა უხმოდ დასტოვა წისქვილი. იგი აჩრდილივით გააქრა უეცრად, ონოფრეს მისთვის აღარ შეუხედავს. მოხუცი კიდევ დიდხანს ჩაყურებდა ქვემოთ, იატაკის ზვრელიდან, განთიადის შუქზე შევეროცხლილ

მდინარეს, რომელიც სწრაფად ვარბოდა. და მოხუცმა ონოფრემ ამ სირბილს შეადარა ადამიანთა ცხოვრების სირბილი.

გარედ გასულმა ნოდარმა განთიადის მკრთალ სინათლეზე ერთხელ კიდევ გადახედა ლამენათევ ლოთივით ამორძიკებულ პატარა წისკვილს, რომელმაც ლამით ღვინის მაგიერ ამოდენა წყალი დალია: „ვის წყალი ათრობს, ვის ღვინო, ვის სიყვარული და ვის კიდევ ვინ იცის რა?!“ — გაიფიქრა და გზა განაგრძო.

ისიც ხმამ მოთვალა, ისიც ბორძიკობს...

მან ძლივს მოასწრო ოთახში შესვლა, რომ აივანზე გამოსულ მამის მძიმე ფეხის ხმა მოესმა.

ნოდარმა პპოვა ძალა, და უკვე სამუშაოზე გამოსულ ამნანაგებს გაჰყვა.



იმავე ღამეს თავის ოთახში შესულ ეთერს საკუთარი სახე აღარ შეჰყოლია. იგი მთლად არეული, აფორიაქებული გამოიყურებოდა. ლოგინზე ჩამოჯდა, თავი კალთაში ჩასდო, ზედ ორივე ხელეში მოუჭირა და და აქვითინდა.

არასოდეს არავის ასეთი მკვებე, მოუხეშავი სიტყვებით არ მიუმართავს იმისთვის. მით უფრო არ მოელოდა ასეთ რამეს ნოდარისაგან „მე მაინც მიყვარს, მიყვარს იგი! და როგორ ვაბედა? ახ, მამა ჩემო!“

ფეხსაცმელი გაიძრო, გაბრაზებულმა შორს გადასროლა, გაუხდელად ლოგინში ჩაწვა და თავი ჩამალა. თავს ატყუებდა, რომ ეძინა, ნამდვილად კი ეს ძილი კი არა, ბურანი იყო.

დილით როგორც სიზმარში ჩაესმა ეთერს ნაცნობი ხმა:

— ნუ შფოთავ, შეილო! ცოტა კიდევ და მოტყუება, რისი გეშინია?

ეთერმა საბნიდან თავი გამოჰყო და უძილო, შეწითლებული თვალებით ძლივს გაარჩია თავზე წამომდგარი მამის მსხვილი, შუაზე გაპობილი წითელი ცხვირი.

— მე აქ ვარ, შეილო, — სთქვა პავლემ, საწოლს განშორდა და ფანჯარა გააღო.

— კარგი, კარგი! იკმარე! ახლა ხომ... — და გაანჩხლებულ ეთერს სიტყვა გაუწყდა. თან აქვითინდა.

პაულე მობრუნდა, შეილის ახლოს ჩამოჯდა, რამდენიმე სიტყვა გამოსტყუა. იგივე დარიგება გაიმეორა და როცა გარეთ გავიდა, გაიფიქრა: „მოტყუება გამომდის, მაგრამ დეე იწვალოს კიდევ, რატომ შეიყვარა. ჩვენი მტერია!“

ღია ფანჯრიდან შემოსულმა გრილმა ნიავმა, გაზაფხულის მზის უტკბილესმა სხივებმა და ხეხილის ყვავილების სურნელებამ ოთახი

სიამით აავსო, მაგრამ ყოველივე ამას ეთერისთვის სიამოვნებას ნაცვლად ტკივილები მოჰქონდა. თვალწინ მამის სახე ედგა. მას ხომ უფროც უფრო ხემაძღე გაწვრთნილმა, ცხოვრების ამინდებში თავისებურად მამამ ასწავლა ყველაფერი, — სად როგორ უნდა თავის დატყერა, რამდენად უნდა უფროსოდეს ადამიანი თავისი ნამდვილი აზრებისა და გრძნობების სხეებთან გამხელას.

მაგრამ დღეს ეთერის თავდატყერამ და გამძლეობამ უკიდურეს სახლვარს მიიღწია, რომლის გადალახვა მას აღარ შეეძლო. ახლა ოდნავი სიციხე, ტემპერატურის ოდნავი აწვევა იყო საჭირო, რომ მოთმინებითა და ღარიბებებით საცეს ტურქული ნამსხვრევად ქცეულიყო.

თაში მისხრა

ის დღეც ჩვეულებრივად დაიბადა. სამუშაოდან სახლში დაბრუნებული ნოდარი კარგახანს გახელილი თვალებით იწვა ლოგინზე, შერე ზეზე წამოდგა.

აღარ შეეძლო აეტანა სიმძიმე, რომელიც თავზე ასე აწევებოდა. კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან მივიდა. მოწაფეობის დროინდელ წიგნებს თვალი შეავლო და მოაგონდა, რომ შეიძლება იქ კალმისტარი იპოვოს. საჩქაროდ მოსძებნა. აი წამალი! თავის მოტყუება ხომ მაინც შეეძლო.

მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო:

„ეთერ! მე ვწერ. კალმის წვერიდან ჩემი სისხლი იღვრება ქალაღმე კი არა, ჩემი არსებაა შენთან დარჩენილი. რა სიახლოვეა, და მე კი არა, ჩემი არსება შენთან დარჩენილი. რა სიახლოვეა, და რა სიშორე! შენ ჯალათი ხარ და საზიზღარი! შენ ჰაობი ხარ! ახლა გავიგე, ფეხი დავადგი — შიგ ჩავიძირე! ვგრძნობ გვიანაა. მაგრამ შენში მგელიც ყოფილა მოთავსებული და მსხვერპლს მოითხოვს. უამისოდ ვგრძნობ შენ აღარ ძალგდის. შენ ჩემი დაღუპვით უნდა გადარჩე. რაც მე მახარებდა, შენში არ არის, მაგრამ რაც დარჩა, ჩემი ტანჯვაა. მე კარვად ვიცი, შენი გზა ჩემი საფლავია. ეს კი გავიგე, მაგრამ მაინც დავიწყე წერა, ალბათ იმიტომ, რომ ცოცხალი ვარ და სუნთქვა შემიძლია!“

დიდხანს განაგრძობდა წერას, ქალაღლი აავსო, მაგრამ შეება მაინც ვერ იგრძნო.

ნოდარი გრძნობდა, რომ იქ, სადაც იწყება სიყვარულის გამოდევნება, იქვე წყდება მისი საკითხი და, საომარ მოქმედებისაგან განსხვავებით, მისდევს არა ის, ვინც გაიმარჯვა, არამედ ის, ვინც საბოლოოდ დაპარცბდა.

ზეზე წამოდგა, წერილი ფრთხილად დაეცა, ჯიბეში ჩაიდო და ფანჯარასთან მივიდა.

თემშარაზე დაგვიანებული ურმები მიჭრიალებდნენ. ისმოდა მეურ-
მეთა ღინჯი შეძახილი და შოლტის ტყლაშუნი. ნოდარს კი უნდოდა ვინ-
მეს მისთვის დაერტყა შოლტი, რომ იქნებ ამის შემდეგ მოეხება საკუ-
თარი თავი.

ურმებმა გაიარეს.

მეურმეთა შეძახილი და შოლტის ტყლაშუნი მიწყდა, როცა ზემო-
დან გარმონის ქულიპინი და ახალგაზრდების მზიარული კრიამული მო-
ისმა. ნოდარს გაახსენდა, რომ დღეს სახალხო სახლის შენობაში წარ-
მოდგენა იყო დანიშნული.

„ხვალ ხომ გამოსასულელი დღეა, როგორ მოახლოვდა?“ — გაიფიქ-
რა მან. პალტო ჩაიცვა, ქუდი აიღო, მკრთალად განათებული ოთახის
ერთ კედელს, სადაც მამის მიერ ნაჩუქარი თოფი ეყიდა, თვალი შეავ-
ლო და გარედ გავიდა.

იქ ყოველი ხე, ყოველი ქვა და ღობის ყოველი სარი მისთვის ახლო-
ბელი, ნაცნობი იყო, მაგრამ დღეს ამ ნაცნობ საგნებს შორის თითქოს
უცნობი სახეები გაჩენილიყვნენ, რაც ყოველ საგანს რაღაც სხვანაირ ელ-
ფერს აძლევდა.

წყლისა და ფოთლების შრიალი, გარმონის ხმა და ადამიანთა შეძა-
ხილი, ერთად ესმოდა, მაგრამ ყოველივე ეს სიხარულის მაგიერ რაღაც
უცნაურ შიშს ჰკვრიდა.

თემშარაზე თვალი მოჰკრა სახალხო სახლის შენობისაკენ დიდის
ხმაურით მიმავალ ხალხს. ნოდარს არ უნდოდა მათთან შეხედრა. იგი
შეჩერდა, ხალხმა გაიარა და მხოლოდ მაშინ დაიძრა ადგილიდან.

უკვე ყველანი სახალხო სახლის ეზოში იყვნენ. ნოდარი გაურბოდა
ხალხს. იგი შორიდან უვლიდა ჯგუფად შეყრილებს, სადაც გახურებუ-
ლი ცეკვა-თამაში და გარმონის განუწყვეტელი ქყინი იყო.

ამ უთავბოლო ბორიალის დროს უნებლიედ ორიოდე ამხანაგს წა-
აწყდა. შეაჩერეს, რამდენიმე კითხვა მისცეს, მაგრამ ნოდარმა მოკლე
პასუხით მოიშორა და მარტო დარჩა.

უკვე პირველი ხარი დარეკეს. მოცეკვავეთა აურზაური უეცრად შე-
წყდა და ყველანი სახალხო სახლის შენობისკენ წაიქნენ.

ნოდარი კენტად დარჩა. მის თვალწინ ფარშევანგივით გაიჭროლა სა-
ხალხო სახლისაკენ მიმავალმა, საუცხოვოდ ჩაცმულმა ეთერმა, რომელ-
საც მკლავ-გამოდებული გიგო მიაცილებდა.

ეთერმა ცალი თვალით გადახედა მარტოდ დარჩენილ ნოდარს.

ნოდარს უნდოდა ხმა ამოეღო, რაღაც დაეძახა, მაგრამ ძალი არ შეს-
წევდა. თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირაო, ხმის ამოღება ვერ მოახერხა.
ამ დროს თითქოს ვიღამაც ყურში მოხუც ონოფრეს სიტყვები ჩასძახა:
„სისუსტე! სისუსტე! სისუსტე! — აი, მტერი, ჩემო ბაბუა!“



და ძალა მოემატა. წინ გაეშურა.

სახალხო სახლის მომცრო შენობა ხალხით იყო გაძედილი. წინ მოდგენის წინ ამტყდარი ჩოჩქოლი მცირე დარბაზს აყრუებდა. ნოდარი მალულად შევიდა დარბაზში და ჩუმად ჩამოჯდა სულ უკანა კუთხეში, მისმა ფართოდ გახელილმა თვალებმა მალე მონახა ისინი. ნოდარს წარმოდგენის დაწყება არ შეუძმნევია, მას აინტერესებდა ის, თუ როგორი თვალით შეხედავდა ეთერი გიგოს, მიატყვედა თუ არა ეთერი ყურადღებას.

ზოგჯერ წარმოდგენასაც გადახედავდა ხოლმე, მაგრამ ყველაფერი, რასაც იქ ხედავდა, საკუთარი თავის დაცინვად მიაჩნდა.

აი, მისმა ამხანაგებმა სცენაზე დაანარტეს ვიღაც კაცი რომელსაც გამობერილ მუცელზე ვერცხლის ქამარი ერტყა. დარბაზში სიცილი ატყდა. არ იცინოდა მხოლოდ ეთერი და მასთან გიგო. ისინი თავიანთ უჩუქმარ საუბარს სწორედ მაშინ იწყებდნენ, როცა მაყურებელთა შორის მოქმედების ეფექტიური ადგილები მზიარულ სიცილს იწვევდა.

ნოდარი თვალს ადევნებდა ყოველ მათ მოძრაობას, ყოველ საქციელს: მთელი სხეულით თრთოდა, კანკალებდა და ტუჩებს იკვნეტდა, რომ სულიერი ტკივილები ფიზიკური ტკივილებით დაეცხრო. მაგრამ სულიერ ტკივილებს ეს ვერ ანელებდა.

წარმოდგენის მესამე მოქმედება დასრულდა. ნოდარი შესვენების დროსაც არ შორდებოდა თავის ადგილს, ჩადგან მის პირდაპირ მჯდომი ეთერი და გიგო ადგილიდან არ იძროდნენ.

დაიწყო უკანასკნელი მოქმედება. ნოდარს უნდოდა, ამ მოქმედებასაც ჩქარა გაეგლო. ძალზე ააღელვა იმ გარემოებამ, რომ ეთერმა თითქოს უფრო გაახშირა გიგოსთან რაღაც ჩუმი საუბარი — უმატა სიცილს და შაი თვალების თამაშს.

„მოხდის, რაც მოხდება!“ — თავის გულში ბუნდოვანად იმეორებდა ნოდარი, მაგრამ თითონაც არ იცოდა, ამის შემდეგ რა უნდა მომხდარიყო.

წარმოდგენის უკანასკნელი აქტიც მიიწურა. — დარბაზში უდიდესი სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი მოქმედების საბოლოო შედეგს დაჭიმული ინტერესით ელოდნენ. მაგრამ აი, ვათავდა: სცენაზე მიღებული დიდი გამარჯვება თითქოს მაყურებელთა გამარჯვებაც არისო, ატყდა ხმაური და ტაშის გრილილი...

ფარდა დაეშვა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და ათასნაირი შთაბეჭდილების გაზიარებით კარებში გავიდნენ.

დარბაზი უკვე დაცარიელდა. სანთლები ჩაქრა და მილეული ხმაური კარის უკანასკნელ მიხორვამ დაასრულა, რომ შიგ დარბაზში დაუსრულებელი სიჩუმე დარჩენილიყო.

ეთერი მიწაში ჩარჭობილი ისარივით ადგილიდან არ იძროდა. მსლოს მისულ ნოდარს მტკიცედ დაუხვდა:

— რა გინდა? მე არ შეშინია, ხომ ხედავ?

ნოდარის მღელვარება თითქოს შეანელა ეთერის სიმტკიცემ. ეთერს მკლავში ხელი მოჰკიდა და რბილად უთხრა:

— არა, მე ხომ არას გერჩი! რატომ გიყვები! ახ, ეთერ!

ეთერმა ოკან დაიხია. შეეცადა ხელის განთავისუფლებას, მაგრამ ვერ მოახერხა და სახე ანთებულმა ნადირის სულში მთელი გესლი ერთად ჩაანთხია:

— აღარ მინდისარ, ნოდარ! ხომ გაიგონე, აღარ მინდისარ.

ნოდარმა ხელი მიაფარა ამ საბედისწეროდ ამეტყველებულ ტუჩებს.

— ეთერ! — ხმა მალლა სიტყვა. მან, — ხომ გაიგე?!, ხომ გაიგე?!

ეთერმა ნოდარის ხელი ტუჩებიდან ძლიეს მოიშორა და იმავე მრისხანებით მიადახა:

— არა, არა! ძალით რა იქნება! აღარ მინდისარ! უნდა მომშორდე!

როგორ დამძიმდა დედამიწა! არასოდეს აზრადაც არ მოსვლია ნოდარის, თუ ავრე სასტიკად გასწირავდა ადამიანი, რომელიც უწინ ამ ქვეყანაზე ყველაზე ახლობლად, ყველაზე სათნოდ მიაჩნდა მას. და ყველაფერი, რაც ახლა მის თვალწინ ხდებოდა, სიზმარი ეგონა. სახეში მიაჩერდა ეთერს, უნდოდა იქ ძველი ეთერის ნასახი მაინც ენახა, მაგრამ ყველა ის ხაზი, საიდანაც უწინ დაუშრეტელი სიხარულის ჩანჩქერი სჩქეფდა, ახლა სიმძლავისა და მოუკარებლობის სისხლის წვეთებს აევსო.

უწინ ხომ უჩინარი იყო ყველაფერი ეს: რამდენადაც დიდი იყო სათნოება, იმდენადვე დიდი აღმოჩნდა ბოროტება!

— შენ ალბად ხუმრობდი, ეთერ! რომ იცოდე... — სიტყვა ელარ იპოვა ნოდარმა.

— რატომ? იცოცხლე, რა საჭიროა? — რაღაც გულცივად, თითქოს დამცინავად, ჩაუერთო ეთერმა. — რა უნდა გიყო? აქ ყველაფერი დაცალიერდა! — მკერდზე ხელის მიდებით დაასრულა და გვერდზე გადგა.

თითქოს მის ხმაში ნაძალადევი შეტოდების კილოც ისმოდა, რამაც ნოდარი უფრო გაამწარა, რადგან ასეთ „შეტოდებაში“ ყველაზე საშინელი, საზღვარს გადასული დამცირება იყო მოქცეული.

ეთერის გულსაკლავი სიტყვები თითქოს შეორდებოდა ნოდარის ყურებთან, რომლებსაც იგი სმენას არიდებდა და სურდა კვლავ ასულიყო იმ სიმალღეზე, საიდანაც დაგორდა, მაგრამ რამდენადაც უფრო სცილობდა მალლა ასვლას, მით უფრო ეშვებოდა უფსკრულში.

ეთერი თითქოს დარწმუნდა, რომ ნოდარის მზე ახლა მის ფეხებთან ჩაესვენა, რომ ვაჟმა უკვე დაჰკარგა ის, რაც დღემდე ეთერს მოსვენებას

არ აძლევდა, და ახლა ზედმეტად, უსარგებლოდ ჩასთვალა მან, რაც უკვე დაიმორჩილა. ამიტომ მას თითქოს სიმშვიდე უნდა განეცადა, კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმავე განადგურებულ, დასუსტებულ საყვებით მიინც არ ჰქრებოდა ის, რაც ეთერის საბოლოო სიმშვიდეს ფეხზე არ აჩერებდა.

ეს უფრო ამწვავებდა ქალის სიჯიუტეს და იგი მზად იყო ვაეის გული ბასრი ხანჯლით გაეკეთა, რომ იქიდან მისი ღირსების უქანასკნელი, მაგრამ უმთავრესი ძალა წაეღო. ამ უმთავრესის შესახებ კი ნოდარი არაფერს ამბობდა, თითქოს ეს საკითხი მისთვის გაჭრაო, რასაც ეთერი ველარ იტანდა და ვაეის უსაზღვრო თავხედობად სთვლიდა ასეთ მოგონილ გულმავიწყობას.

ამიტომ ეთერი ისევ მიუბრუნდა ვაეს და მწარე სიტყვა გესლით მიახალა:

— ხომ არ დავაეიწყდა? მე კი... მე მახსოვს!

— მე არ მავიწყდება. სჯობს გაჩუმდე. აი, წაილე, მინდა წაიკითხო, — სიტყვა და დაკმუქნული ბარათი ეთერს ხელში ძალად ჩაუღო.

— რა არის ეს? რა საჭიროა?

— მინდა წაილო. ნახე, წაიკითხე.

— იმის შესახებ?

— არა, იმის, რაც მე მაწუხებს.

„ჰმ! — ირონიულად გაიღიმა და წერილი უბეში ჩაიღო. — შენ ეს მითხარი, მიხვალ თუ არა? მე დრო აღარ მაქვს. შენ მეზიზღები. მივდივარ, კმარა!

ეთერი ადგილიდან დაიძრა. ნოდარმა ხელი სტაცა და ძლივს შეაჩერა.

— ხვალ საღამოს უქანასკნელად შევხვდეთ იქ. ხომ მოხვალ, ეთერ. ეს ერთხელ შევხვდეთ და ამით დავათავოთ.

— გამიშვი! არა, მე აღარ მინდა! ხომ არ შეეჩვიე? მოვკედი, გამიშვი!

— ვერ გაგიშვებ! ერთი სიტყვა და წაიღო.

— კარგი! — ნაძალადევედ დაიძახა და როცა ნოდარს განშორდა, სიტყვა: — ენახოთ, არ ვიცი!

— შენ მოხვალ, ეთერ! — ერთ ადგილას გაშეშებული ნოდარი ეძახდა არა იმდენად წასულ ეთერს, რამდენადაც საკუთარ თავს, ვინაიდან ამ რწმენის გარეშე დარჩენა უმძიმდა.

ეთერი უკვე თვალს მიეფარა. თითქოს შეუერთდა ის იმ ფიქრთა კვამლს, რომელიც ნოდარის თავიდან გამოდიოდა, და იდგა ნოდარი გამშრალი, გახევებული, როგორც ზღვის პარად სილაში გაჩიყული, ყალყზე დამდგარი როკის ხე.

ნოდარს მდინარის მშუილი მოესმა, რომელიც ტკივილებად მოწოლილ გრძნობებს კი არ ამშვიდებდა, უფრო ამწვავებდა. რასაც უწინ

სიამოვნების მოტანა შეეძლო, ახლა შებრუნებულის ძალით მოქმედებდა.

ის კი არ მიდიოდა, — თითქოს ქვეყანა მიდიოდა. **ქვეყნის** ასე ჩაცურდა იგი თემშარაზე. თავისი ეზოს კიშკარი შენიშნა, უსიამოვნო გრძნობამ შეაჩერა და პირი იბრუნა. აღმოსავლეთით, მთვარის შუქით ოდნავ განათებულ თემშარაზე, არაინ იყო, და ეს გზა წყდებოდა მოსახვევში, რომლის პირდაპირ, კლდეზე მოსჩანდა ძველი ციხის ნანგრევები. ამ ციხეს უძველეს საქართველოს მეომართა მაგიერ ახლა სდარაჯობდნენ ნაძვის ხეები, რომლებიც თითქოს იმ დაცემულ მებრძოლთა გვაშებზე ამოიზარდნენ.

ნოდარს მოეჩვენა, რომ ციხის ნანგრევებთან დარჩენა უფრო შეუფერებოდა იმ გრძნობას, რომელმაც ახლა იგი შეიპყრო.

და იგი აჩქარებით გაეშურა ციხისაკენ, რომ უკან მოტოვებულ განსაცდელს მეტი მანძილით დაშორდებოდა.

აი, აღმართს შეუღდა, ჩქარა ნანგრევებს უნდა მიადწიოს. მაგრამ დარწმუნდა, რომ ვასაქცევი გზა აღარ არის: ის, რაც, მისი აზრით, უკან დასტოვა, ნანგრევებთან წინ მიეგება და ათრთოლებულ ხელს გამოუწვდის.

ციხის ნანგრევებს ძლივს მიატანა. მთვარის შუქში ჩასუდრული ციხის ნანგრევები, ტყის ბუნებასთან შეერთებული, ჩანჩქერის ხმები წარუშლელ კვალს სტოვებდნენ ნოდარის გულში.

ამ ნანგრევთა შორისაც ბუნების მიერ შექმნილი წესრიგი მის უწყსრიგო, აფორიაქებულ სულსა და გულს უფრო მეტად ანადგურებდა. ვალმა, სადაც პავლიას სახლი შეამჩნია, იქ, იმ ჭუჭყიან ბოსლის მახლობლად მაინც მეტ ინტერესს გრძნობდა. იქ იყო ის და შორს გაექცა, მაგრამ სიშორემ სიახლოვის წყურვილი აღძრა.

იგი მაინც შეჩერდა აქ. მერე ახალი ბალახით შემოსილ ნანგრევებზე ავიდა, მალღით ჩამოჯდა და თავი დახარა.

თვალი მიაშტერა ნანგრევის ქვებს, სადაც ბევრი რამ სჩანდა. მაგრამ ეს სახეები არაფერს ამბობდენ: ისინი გაყინულიყვნენ ერთნაირ მდგომარეობაში და გავლილი დროის მრავალკეც სიღრმეს გაოცებული თვალთ დაჰყურებდენ.

მაგრამ, აი, თითქოს გამოჩნდა, თუ როგორი სიჩქარით ეშვებოდნენ ცხოვრების ფენები ერთი მეორეზე: ყველა ახალი სიძველეს იწვევს, ყველა სიძველე ახალში მოდის. და ამ უზარმაზარი ბორბლის ტრიალში კარგად ამჩნევდა საკუთარ თავს, რომლის ადგილი სპასცილომდე პატარა იყო. მოუხედავად ამისა, ამ პატარა წერტილიდანაც კი ხედავდა იგი იმ ვეებერთელა ქვეყანას, რომლის სიღიადგე უზომო იყო, სადაც უდიდესი გრძნობებისა და მიზნების ზღვა იყო გაშლილი.

მას არა სურდა ყველაფერ ამას უქმად ჩაეელო. ეს ამუფუნველი მიმდინარე უდროოდ მოსულ სიბნელეს დაეხშო და ეს ჰიფილუსის მხარეზე ანგრევდა მას იმ ძველი ციხე-სიმაგრესავით, რომლის თლილ ქვებზე, თითქოს ძველებზე, ის დამჯდარიყო.

ზეზე წამოდგა.

მთვარე არ სჩანდა. ჩამობნელებულ ცას შეხედა და ქვევით დაეშვა. იმ ღამეს სახლში აღარ შესულა. დიდხანს იარა მდინარის პირას რომ წყლის თქრიალით გაეყუჩებია ის ხმაური, რომელიც საკუთარი მკერდიდან ისმოდა. მხოლოდ განთიადის მოახლოვებამ გააძევა იგი აქედან. კვლავ თავის ოთახში შევიდა და, როცა ლოგინზე პირალმა გაიშალა, თავის თავს უთხრა: „ღამე დღედ გადამექცა და დღე ღამედ. ალბად, მე ძალიან ცუდად ვარ“.

თვალეზი შეუმჩნეველად დახუჭა და ჩქარა ჩაიძინა.

თავის მხრივ ეთერი, როდესაც იგი ნოდარს განშორდა, ძალიან დელავდა, ვერ ისვენებდა, მაგრამ ამ მღელვარებასა და მოუსვენრობაში იმედი სჩანდა. სახლში რომ შევიდა, თავშეუყავებელი სიცილი დაიწყო. ამ უადგილო სიცილმა განსაკუთრებით გააკვირვა მისი ბიძაშვილი თამარი. როცა ეთერი თავის საწოლ ოთახში გავიდა, ისიც თან გაჰყვა და ლოგინზე ჩამოჯდა. სურდა გავეგო, თუ რამ აღძრა ეთერში ასეთი, ჭარბუჭივით მოვარდნილი სიცილი. პასუხი მაინც ვერ მიიღო. ეთერის ყოველ სიტყვას სიცილი აღრჩობდა.

ბოლოს დატმუჭვნილი წერილი ამოიღო უბიდან, გაშალა, ჩუმად წაიკითხა და უფრო თავშეუყავებელი სიცილი ასტეხა.

— ეს მართალია! აქამდე მამაჩემი მეგონა მგელი. ამ სასოწარკვეთილი წერილის შემდეგ ჩემშიც იგივე მგელი გაცოცხლდა! ო, რომ იცოდე! — აღმოხდა მას და თავის ლოგინზე პირალმა გავორდა. — რომ იცოდე, როგორ მიხარია! — კვლავ ზეზე წამოიჭრა. ორივე ხელი ფართოდ გაშალა, თითქოს ცაზე უნდა ახტესო, და ოთახში ცქცვით ჩამოუარა.

— გავნათვისუფლდი! ხომ ხედავ. თამარ, გავნათვისუფლდი! რაც მასში დარჩა, იმასაც ჩქარა წავიღებ! — ეთერი თამარს მიმართავდა, მის სახელს იმეორებდა, მაგრამ სინამდვილეში თავის იმ კითხვებს უპასუხებდა, რომლებიც უწინ არ ასვენებდა და ძალიან ხშირად ღამეებსაც ათევენებდა.

გვიან დაწყნარდა.

მეორე ოთახში გავიდნენ. ერთად ივახშმეს. მალე ეთერმა მამის ქება დაიშაბურა. ესეც შეირგო და იმ ღამეს ტკბილად მოისვენა.

თავი მათე



ქართული
საბავშვო ჟურნალი

იმავე დასასვენებელ დღეს, საღამო ხანს, მრავალი კონსტანტინეპოლისელი ხალხი სახლის ეზოში შეკრებილიყო და ქვეყნის ამბებზე საუბრობდა.

— მე ვამბობ, რომ... აი, ხალხნო, ხომ ხედავთ, როგორ გარდაიქმნა ესტატე. სოლომონს კითხეთ, — სთქვა გიორგიმ და მის წინ მჯდომ, თავდახრილ ესტატეს შეხედა.

— დღეს ხომ ხარები არ მოუყითბავს? — იოხუნჯა ვილაცამ და ხარხარი ატყდა.

სოლომონმა გაჩაღებული ჩიბუხი მოქაჩა, გააბოლა და ესტატეს მიაჩერდა. მას არაფერი უთქვამს. ესტატესათვის, მაგრამ მისი დიდრონი თვალები სიტყვის, დაუხმარებლათაც ბევრ რამეს ამბობდნენ: რალაც დიდი აღზნება, სიყვარული და პატივისცემა სჩანდა ამ თვალებში. და როგორც სოლომონი, ისე სხვები გრძნობდნენ თუ რის შემძლეა საერთო ძალა.

ოდნავი სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს გიორგიმ ყურადღება მიაქცია იქვე მოედანზე მოშორებით მჯდომ ნოდარს, რომელსაც თავზე ხელო შემოედო და მიწას ჩაჰყურებდა.

— რა დაემართა ნეტავ იმ ბიჭს? თქვენ პეი, ბიჭებო! — მიმართა გიორგიმ იქვე მახლობლად მჯდომ ახალგაზრდებს, — მე ვამბობ, რომ მას უნდა მიხედოთ! აგრეც არ შეიძლება?

სოლომონს უეცრად სახე მოელრუბლა. გიორგის სიტყვებმა გული გაუჯაწრა და შეიღს შეხედა.

სოლომონი ძველ მუხას ჰგავდა, რომელსაც ბნელი დღეების სასტიკმა გრიგალმა ვერაფერი დააკლო. მაგრამ როცა ამინდმა მოიღარა და შეცვლილ ქვეყანას მზემ ჩამოხედა, მის ერთადერთ თესლს რალაც მატლმა გული გამოუხრა და ახლა მის თვალწინ საცოდავად კანკალებს. სინამდვილეში სწორედ პირიქით უნდა მომზდარიყო, და სოლომონს ბრაზი ახიზბდა. გული მოსდიოდა თავის შეიღზე და საკუთარ თავზე.

ნოდარმა იგრძნო, რომ მასზე ლაპარაკობდნენ. ზეზე წამოდგა, ცოტა შეჩერდა და უკან მოუხედავით ქვევით დაეშვა.

გალმიდან, სადაც ნაძვის ხეების რაყა მოსჩანდა, მოისმა ქალივითა საერთო ხარხარი, რამაც სახალხო სახლის ეზოში მყოფ კოლმეურნეთა ყურადღება მიიპყრო.

— ჩენი ბიჭებია, — დინჯად ჩაილაპარაკა სკრთმა, ხანში შესულმა კოლმეურნემ და ჩიბუხს მადიანად მოსწია.

— მაშ სხვისი ბიჭები ხომ არ იქნებიან? — შენიშნა მეორემ.

— მაშ ეს ვილაა? — ჩაერია მესამე და თვალი მიაპყრო გიგო კურნოზა-შვილს, რომელიც ცდილობდა წინწასულ პავლიას ვაეს დასწეოდა.

— მაგითანები არიან, ალბათ, მთაში ნახირს რომ გეინადგურებენ? — დაუმატა მეოთხემ.

— პავლია ხომ კარგს არაეის მონახავდა. შორეულში...
 ვარქუხულში

— პავლიას დანაშაულს მაშ ეგაც ემატება...

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

მახლობელ მთის ფერდობზე გაწოლილ ნისლს ფერი დაეკარგა და მოახლოებულ სიბნელეს სიგრილე მოჰყვა.

კოლმეურნეები ზეზე წამოდგნენ, ერთხელ კიდევ გადახედნენ ერთმანეთს და თავიანთ სახლებსკენ გაემართნენ.

ქვევით დაშვებული ნოდარი მდინარეს გავიდა. მეორე მხარეს კარგად ნაცნობ გზაზე გადაუხვია და იმ ადგილას შეჩერდა, სადაც სხვა დროს ეთერს ხედებოდა.

არაფერს ამბობდნენ ცამდე აწედილი ნაძვისა და ფიჭვის ხეები. ღამე ბნელი უნდა ყოფილიყო. რადგან ნახევარმთვარის მომკრთალო შუქი ღრუბლებს დაეხშო. ნოდარი გრძნობდა, რომ ყოველივე ეს მის ჯიბრაზე ხდება, რომ შეიძლება ბუნებამ იცის, რა ელის მას. ქვევით ისევ ხმაურობდა სოფელი. ეს ხმაური, ალბად, ხვალინდელ საქმეებს შეეხებოდა.

ნოდარის საქმეები კი კინალამ მოინელა აკვირებულმა ფიჭვმა და ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ დაეღწია თავი მისგან.

„თავი რომ დამეღწია? — შეეკითხა საკუთარ თავს, — ხომ არ შეიძლება უფულო იყო, გრძნობა არ გქონდეს? ასეთი სიცოცხლე მაინც არ ღირდა. სხვაში შენახა? სხვა ხომ სხვა არის?“

გულგაკაწრული, ნალვლიანი თვალებით დიდხანს დაკყურებდა მისთვის ჯერ კიდევ გაუგებარ სოფლის ცხოვრებას. გრძნობდა, რომ ამ გაყინულ ზედაში აზრი არ იყო, ხოლო მის თვალწინ გაწოლილ სოფელში, ვინ იცის, რამდენი ბრწყინვალე აზრია აჩქეფებული, რამდენი სიახლეა, რომლის ვულში შეჭრილი სიხარული მზესავით ელვარებს. სახლის ფანჯრებიდან გამომკრთალი შუქიც ხომ ამას ადასტურებს; დიდი ნაწილი თითქმის ერთად აენთო, დანარჩენებიც აუჩქარებლად მიჰყვენენ, და თითქმის ყველა ქობი გამოცოცხლდა.

„როგორი მსგავსებაა. სოფელელებიც ხომ ასეთები არიან: დიდი ნაწილი გაერთიანდა, შემდეგ ფეხდამძიმებული გლეხებიც მიჰყვენენ და, ალბად, სულ მალე ყველა სახლსა და ქობში ის შუქი დაისადგურებს“...

კარგა ხანი გავიდა. შიში და სიბნელე ერთნაირის ძალით ძლიერდებოდნენ. ნოდარი პავლია შარაძის სახლისკენ მიმავალ ვიწრო გზას გაკყურებდა, რომელზედაც არავინ მოსჩანდა.

ყოველთვის ხომ აგრე იყო: ჭიშკრიდან გამოსული ეთერი დაადგამდა თუ არა ფეხს ამ გზას, ნოდარი მაშინვე იგრძნობდა ფეხს და უკუდგებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა და მისი სული კმაყოფილების უმაღლეს მწვერვალამდე აიწვედა. ქალი კი მოდიოდა, მოდიოდა და მისი მოახლოვებული სიტბო სიცოცხლეს მატებდა...

ახლა?

ნუ თუ ამ გზაზე დადგმული ფეხი აღარ მოუტანს ნოდარს ბედნიერ წუთებს?

არა, დღეს ამ ბედნიერ წუთებს ვერ ეღიროსება. თუ მოვა იგი, მათი შეხვედრა იმ სიხარულს აღარ მოიტანს.

ეთერის მოსვლის იმედი გაუტრუფდა...

მაგრამ კიდევ არ სურდა შეეგნო სინამდვილე, თავს ძალას ატანდა და მისი აზრები რაღაც უცნო მირაევებს ჰქმნიდა.

სიჩუმე გაძლიერდა. ნოდარმა შეაჩერა აშლილი ფიქრები. ნაძვის ხეს მკლავი მთხვია და ჩაეყრა: „მიყვარხარ, მიყვარხარ!“ — წამოიძახა. მაგრამ ეს სიყვარული ხისადმი კი არა, საკუთარ სიცოცხლესადმი იყო მიმართული.

გული იჯერა.

ნაძვის ხეს გაშორდა. ჰვევითკენ გაიქცა.

როცა პავლიას ჭიშკარს მიუახლოვდა, გული აუჩქროლდა. რომ უარესი არ დამართნოდა, პირი იბრუნა, თავი მოიყრუა და ჰვევითკენ დაეშვა. როცა ეიწრო ბილიკიდან თემშარაზე გავიდა, შეამჩნია, რომ ცას ღრუბლები გადაერთვა და მთვარის შექს გზა მოეკალა.

ნოდარი ბორძიკით მიაბიჯებდა. მან შორიდან შენიშნა მოხუცის თეთრად გაპენტლი, დახრილი თავი. იგი ჯოხით ხელში უახლოვდებოდა, ფეხის ყოველ გადადგმაზე თავს ისე უკრავდა მიწას, თითქოს, ეუბნებოდა ჩქარა მოვალეო. მოუახლოვდა. დახრილ თავიდან ნოდარს წეროლი თვალებით გახედა. იცნო და გაკვირვებულმა შეაჩერა.

— ბაბუა, შენ ხარ?

— შე ვარ, ბაბუა! — უპასუხა ნოდარმა.

— წადი, წადი ბაბუა! ჰკუთას დაუძახე, — ონოფრემ კანკალი დაიწყო, ჯოხს უფრო მეტის ძალით დაეყრდნო. ნოდარი უხმოდ განშორდა მოხუცს, რამაც ონოფრე უფრო შეაშფოთა, და გაწვერილებულ ყანყარატოდან ძლივს აღმოხდა:

— შე... შეჩერდი, ნოდარი! შე... შე...

მაგრამ ნოდარს აღარაფერი ესმოდა. იგი გზას განაგრძობდა. თითონაც არ იცოდა, სად წასულიყო. მიდიოდა პირდაპირ, შინისაკენ არც კი მიუხედავს. როდესაც ხილს მიადგინა, ამხანაგის ხელმა შეაჩერა და: თითქოს ახლა გაიღვიძაო, უეცრად შეკრთა.

— სალამი, ნოდარ! — მოესმა და თავის ახლო მეგობარს ვალიკოს შეხედა.

ნოდარს ამ წუთში ეგონა, რომ ყველაფერი დაძლიებულია, რომ კოვა გამოსავალი, და ახლო მეგობარს გრძნობით მოეხვია, გულში ჩაიკრა. მხოლოდ ხუთი, დღე იყო გასული, რაც არ ენახა და უცბად ასეთი გრძნობა?

ვალიკოც კი ჩააფიქრა ნოდარის ასეთმა უჩვეულო გრძნობებმა. მეგობარს ხელი გამოსდო და ერთად წავიდნენ.

ნოდარმა იცოდა, რომ მეგობარს ღვინო უყვარდა. აღარ მოისურვა, მეგობრის ასეთი ჩვეულებისათვის დღეს წინააღმდეგობა გაეწია. მუსიკის ხმამ ახლად გახსნილი სასადილო მოაგონა, — იქითკენ წავიდნენ.

სასადილოში მთებიდან ჩამოსული მწყემსები ისხდნენ. ვიოლინოს დამკვრელი და პიანისტი ხმაშეწყობილად აეღრიანებდნენ ნაირ ჰანგებს, უფრო ისეთებს, რომლებიც გასაგები, ახლობელი იყო აქაურ მსმენელთათვის.

ნოდარს კინალამ სულთქმა დაეხშო, ცალკე ოთახში ძლივს შებარბაცდა და სკამზე დაეშვა:

ცხადი იყო მისთვის რომ მეგობარის ნახვამაც ვეღარ უშველა. ამ წამლის შედეგი წუთმა წაიღო და ახლა უფრო მძიმე წუთები დადგა.

ოჰ, რომ შეწყდებოდეს, რომ შეწყდებოდეს მუსიკის ხმა!

მეგობარმა ღვინო დაუსხა და დააძალა:

— დალიე, ნოდარ, დალიე! ჩქარა გაივლის!

ნოდარის სახეზე მთელი მისი სულიერი მდგომარეობის ამოკითვა შეიძლებოდა.

— მართალი ხარ! — შესძახა ნოდარმა: — კარგად გაიგე! — გრძნობდა, რომ მეგობრობისათვის საიდუმლოს გამხელა მცირე შემსუბუქებას მაინც მოუტანდა.

მეგობარმა გულიანად გადიხარხარა, მაგრამ როცა ნოდარის სახეზე ღიმილიც კი ვერ შენიშნა, თავი შეიკავა და სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— შენ აღარ ხუმრობ, ნოდარ. რა მოგივიდა? მართლა მძიმეა? დალიე, გაივლის!

ნოდარმა ხელი მოჰკიდა ჭიქას, პირთან მიიტანა და ძლივს წამოსთქვა:

— ეელში არ ჩაღის, ძმაო, ზომ ხედავ? ღვინით გაბრუნება თავის მოტყუება იქნება ხომ, თავის მოტყუება!

— დაახი კიდევ, მე დამიჯერე!

და მეორედ გადაჰკრა, მისი ხელის თითები პირთან მიტანილ ჭიქაზე ნერვიულად თრთოდა, კანკალებდა და სავსე ჭიქიდან ღვინის წვეთები სუფრაზე იღვრებოდა.



ნოდარს, აოცებდა ეს სასწაული: უბრალო სიტყვა — „ადამიანი“, რომლის ფანტაზია რას არ მიწედედა, რომლის გრძნობები (შქსნქს — ხმებთან შეერთებული), როგორი სიმძაფრით, როგორი სიღრმით სიტყვებს გულში! და თითქოს მაშინ ყოველი ძარღვი, ყოველი ნერვი — ხელის თითებიც კი რამეს განიცდიან!

ის გაედევნა მუსიკის ხმებს და საღ არ მივიდა:

აი მწვერვალი, სხივ-შეფრქვეული. აი ოკეანე თავისი სიღრმით და სიფართოვით: გემები მიმოდინან. ღელვა იწყება, ცა გრიალებს. ისევ შორეული ლაქვარდი, ისევ სიწინარე, ახალი სივრცე, განთიადი, სულის მოთქმა და კვლავ შეჯახება!

ეს ტალღასავით მოძრავი წარმოდგენები სავესებით ემთხვევოდა ნოდარის ახლანდელ სულიერ მდგომარეობას და მუსიკის ხმებს. ისინი თითქოს ერთად მალღებოდნენ, შემდეგ ეშვებოდნენ და სრულის თანხმობით განაგრძობდნენ გზას.

როცა ნოდარის შორს წასული ფანტაზია ამ გასაოცარ სურათებს ჰქმნიდა, მისმა მეგობარმა უკვე მოათავა თავისი ამბავი ქალაქში გამგზავრებისა და იქ კომკავშირში აღდგენის შესახებ. იგი ახლა გადაჭრით აცხადებდა, რომ მომავალში აღარ ილოთებდა, მეტ თავდაპერილობასა და სიმტკიცეს გამოიჩენდა, მაგრამ მთელი ამ ამბიდან ნოდარმა გაიგო მხოლოდ ის, რომ მეგობარი უკვე აღადგინეს, რამაც ასე ბედნიერი, ასე მზიარული გახადა იგი.

სასადილოში მთვრალი ხალხის ხმაური იზრდებოდა, ხოლო მუსიკამ, თითქოს დაიღალაო, ხმა დაუწია და ღვინისაგან შეხურებულ ადამიანთა ჩოჩქოლში ძლივსღა ისმოდა.

ორი მეგობარი ხმის ამოუღებლად თითქმის ერთად წამოადგა ზეზევარეთ გავიდნენ. ორივე რალაც სიმძიმეს გრძნობდა.

ვალეკოს უკვირდა, თუ როგორ მოხდა ასეთი ვარდატება, რომ მისმა მეგობარმა ახლა პირველად თავის სიცოცხლეში ამოდენა ღვინო დალია. მკლავებ-გაყრილნი ბარბაცით მიდიოდნენ შუა ქუჩაში. ვანშორების წინ ვალეკომ უთხრა:

— უკანასკნელი იქნება ეს, ნოდარ, უკანასკნელი!

— უკანასკნელი... — თითქოს თავისთვის წარმოსთქვა ნოდარმა. დაშორდნენ.

ბარბაცით მიდიოდა ნოდარი. ლობის სარებს ხელს ავლებდა და ისე იმაგრებდა თავს, როდესაც ოთახში შევიდა, ეგონა. თავის ქალაზე წყლით სავესე ჭვები აქვს ჩადგმული, რომელიც დულს და შეხეფებს აფრქვევს.

მაგიდაზე კერძი შეამჩნია. საინი ხელში აიღო და გაცივებულ კერძს დააჩერდა.

კარგა ხანს უაზროდ დაპყრებდა მოხუცი დედის გამბდაობაზე. ბელ-
ბით მოტანილ კერძს, თითქოს უკვიროსო, რატომ იწუხებენ, ასე ფეხში-
სი მშობლები უღირსი შვილისთვის.

საინი დასდო. კედლისაკენ მიიხედა. შეაყრეთოლა: მიმჭრალ შუქზე
აელვარებულმა იარაღმა შეაერთო.

უკან დაიხია, თითქოს საფრთხე იმ კედელთან მოდისო, და თავის
ლოგინს მიეყრდნო. საშიშ საგანს თვალს არ აშორებდა.

ოთახი პატარაა, უკან დასახევი ადგილი აღარ არის. გაჩერება კი არ
შეიძლება...

თუ საფრთხე მოგდევს და ვერ გაეცეცი, თვითონ უნდა შეუტოო, იქ-
ნებ ძალით მოახერხო მისი გატეხა. ამ წუთიერი მერყეობის წერტილზე
შემდგარი ნოდარი ძლივს სუნთქავდა. ერთ წუთში მისი მღელვარე ოც-
ებების უკრანზე ათასმა მშფოთვარე სახემ გაიზინა. ისინი გასაოცარი სის-
წრაფით მოსდევდნენ ერთმანეთს. თავბრუდამსხმელ მოძრაობაში თითქოს
რალაც უწესრიგო ხმები ისმოდა, რაც კედლის ნგრევას უფრო წააგავდა.
„ნეტავ რა დროა, ნეტავ რა დროა?“ გაუელვა თავში. იარაღის დანახვამ
მასში ახალი ძალა წარმოშვა, რამაც თითქოს გადასძლია ღვინის ძალას,
და გადასდგა ნაბიჯი წინ.

მისი თვალეები კედელზე დაკიდულ იარაღს მისჩერებოდა. ახლოს მი-
სული ოდნავ შეჩერდა, თავი დახარა:

„ეინ არიან ისინი? ხომ არ გაბედავენ ნეტავი წასვლას? და რომ გა-
ბეღონ? მე მოლაღატე გამოვალ მაშინ, — მაინც მოლაღატე! რატომ დაე-
ჩუმდი, რატომ არ ვიყვირე? ხომ არ მეძინა? შესაძლოა წავედნენ კიდევ!
აღბად გვიანაა! ოო, აღბად მე უკვე მოლაღატის სახელი მჭვია და ვერ
გაევივ!“.

თვალეები დახუტა და კინალამ ქეითინი დაიწყო. მაგრამ ჩქარა ხელი
აღმართა და იარაღს მისწვდა:

„უნდა შევაჩერო, უნდა შევაჩერო! მე ვარ დამნაშავე! — დაიძაბა მან.
მამის ნაჩუქარი „ბერდანა“ კედლიდან ჩამოგლიჯა და ელვის სისწრა-
ფით გარედ გაიჭრა. ისიც კი გრძნობდა, მწუხარებამ რა სწრაფად წარ-
მოშვა როსხვა, რომელიც ასე გრიგალივით მიაქროლებდა.

გარბოდა მუხისკენ, სადაც იმ ღამეს, ეთერის სიტყვით, ორი უც-
ნობი უნდა შეხვედროდა.

ორ წუთში ქოშინით ავიარდა პავლიას ეზოს ზევიდან გადმომდგარ
გორაკზე. მუხასთან მისულა ვერ გადასწყვიტა და მხოლოდ შორიდან
გასცქეროდა.

არავინ სჩანდა. გულის ფანქალით ახლოს მივიდა, ფიჭვის ხეს ამო-
ეფარა და ფრთხილად ჩაჯდა.

სრულ სიჩუმეში ისმოდა მხოლოდ იმავე ფიჭვის იღუმალი შრიალი,
რომელიც საშიშ გზაზე დამდგარ ნოდარს თითქოს აფრთხილებდა. მიუ-

ხედავად ამისა, ამ ვებერთელა, საოცარ ქვეყანაში ყველა მიმართულია განსხილ გზაზე ის გამოსავალს მაინც ვერ ხედავდა. და უდიდესი სულიერი დაძაბულობით იმ საბედისწერო წუთებს უცდიდა, რასაც შემდეგ ლოვე მან უკვე იგრძნო.

ქარგა ხანი გავიდა ასე. მოთმინებას ჰკარგავდა, რომ ჯერ კიდევ არავინ სჩანდა და მაგრად ჩაბლაუტებულ თოფს მიწას ურტყამდა. მან უკვე ნახა ხელის მოსაკიდებელი, — აი, ეს თოფი, რომელმაც იგი გარკვეულ შედეგამდე უნდა მიიყვანოს. როგორ გაუშვებებს ხელს! ეს ხომ უკანასკნელი იმედია! ამ ცივმა რკინამ მორევში ჩაძირული ნოდარი ისევ ზედაპირზე უნდა ამოატყროს... ნოდარს არა სჯეროდა, რომ აქ, საშიშარ ადგილას არა ოცნებით, არამედ საკუთარი ფეხებით.

ქარმა უფრო მაგრა დაუბერა.

დარხეულ ხეთა შრიალი ტალღების თქრიალს უფრო დაემსგავსა და იგრძნობდა, რომ რაღაც ახალი უნდა მომხდარიყო...

ნოდარმა თავი დახარა? თვალწინ დავარდნილ შოლტივით გაქიმულ ბილიკს ღრმად ჩააჩერდა, და უნდოდა ეყვირა, როცა უტბად მოახლოებულ ადამიანთა აჩრდილები შენიშნა. ზეზე წამოიწია, იარაღს უფრო მაგრა ჩასჭიდა ხელი და კინალამ იმათკენ გაიქცა.

ჩქარა გონს მოვიდა, თავი შეიკავა და იქვე ჩაჯდა.

ისინი სწრაფი ნაბიჯით ახლოვდებოდნენ. სჩანდა, რომ თავებირი ჩაბლახებით ჰქონდათ ახვეული, თითქოს მთიდან მომავალი მეჯოგეები არიანო ჯოხების მაგიერ თოფებს ებჯინებოდნენ.

მოახლოვდნენ, ხესთან შეჩერდნენ და მუხისკენ გაფაციცებით დაიწყეს ცქერა.

ნოდარმა მეორე მხრიდან შემოუარა, ნაძვის პატარა ჩქოლებში შევიდა და ფრთხილის ნაბიჯით ძლიერ ახლოს მივიდა მათთან. ისინი ისევ იქ იდგნენ და თითქოს მერყეობდნენ: ხელებს იჭნევდნენ, ტრიალებდნენ, კამათობდნენ, მაგრამ წინ ვერ იძროდნენ.

ნოდარის სმენამდე მხოლოდ რამდენიმე სიტყვამ მიალწია:

— გაიგებს?

— არა მგონია, ეგ არ იცის?

— ხომ სთქვა, თუ არ დაგხვდეთ, აღარ წახვიდეთო.

— ჯანდაბას! სულ ერთია... წავიდეთ!

ბოლოს ერთმა მათგანმა, მარცხენა ხელი ჩაიქნია, მარჯვენათი თოფი დაიჭირა და წინ გაეშურა. მეორეც გაჰყვა.

დაღმართი საჩქაროდ ჩაირბინეს. ხიღს გვერდი აუქციეს, მდინარის ქვებზე ხტომით ვალმა გავიდნენ და მუშათა დასასვენებელ სახლებსაკენ გაეშურნენ. აღარც ნოდარი ჩამორჩა მათ, ისიც დიდი სიფხიზლით მისდევდა. სურდა გაეგო, სად მიდიოდნენ. ერთი კი ვერ შეიცნო მან.

„ნუ თუ ისინი სწორედ იქ მიდიან? შესაძლოა თუი დაიბნეოს... და მაინც წავლენ? არა მგონია, რალა საჭიროა?“

ასე ფიქრობდა ნოდარი, რადგან ის ჯერ კიდევ ^{სტრეზინსკის} დარწმუნებული, რომ მათი საერთო ბედნიერების გულსათვის ურჩევედა ეთერი თავდასხმის მოწყობას. თითონ ეთერსაც ასე ეგონა. ეს ორი ადამიანი ხომ მათი სურვილების იარაღი უნდა ყოფილიყო? მაშ ახლა რაშია საჭმე?..

„არა, არ წავლენ!“ — კვლავ გაიფიქრა. მაგრამ რადგან მათი საქციელი მაინც უცნაურად ეჩვენებოდა და იქვებს იწვევდა, ნოდარი შორიახლოს მისდევდა წინწასულთ და თვალს არ აშორებდა.

ამ დროს ქვევიდან მომავალი მატარებლის გუგუნე მოისმა. იგი რკინის გზის სადგურს ეგებებოდა.

მატარებელი შეჩერდა. ხალხი ძირს ჩამოვიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ნოდარმა შენიშნა მუშათა დასასვენებელი სახლისაკენ მიმავალთა პატარა ჯგუფი. სჩანდა, ისინი ქალაქიდან დასასვენებლად იყვნენ ჩამოსულნი. ნელა მიდიოდნენ და, ნიშნად დიდი სიხარულისა, რალაც ამბებზე ხმამალლა ლაპარაკობდნენ.

ჩქარა მიეფარენ.

ისევ სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ მოშორებით ისმოდა ბაკურიანის მიმართულებით წასული მატარებლის ძლიერი ხენეშა.

ერთი წუთით ნოდარის ყურადღება ამ სურათებმა მიიპყრეს მაგრამ ეს მცირე დროც საკმაო გახდა, რომ მას თვლიდან დაეკარგა ისინი, ვისაც უკან ურუმრად მისდევდა.

იგი აღელდა, უფრო აიბნა და კვლავ წინ გაეშურა.

კოტა კიდევ და უკანიდან ფეხის ხმა მოესმა. შემკრთალმა მიიხედა: მთვარის მიღეულ შუქზე ძლივს შეამჩნია ორი სწრაფად მომავალი ადამიანი, რომლებიც სადგურიდან იმავე მუშათა დასასვენებელ სახლისაკენ მიიჭაროდნენ.

ნოდარმა გვერდზე გადაუხვია და ფიჭვნარში მიიმალა.

უცნობებმა უკან მოუხედავად გაიარეს და რკინის გზის ხიდს სწრაფად გადავიდნენ. იქიდან იმავე წუთს რალაც უჩვეულო ძახილი მოესმა:

— შეჩერდი!

— გააგდე ხელიდან!

— აჰ!..

— გააგდე ხელიდან!

და თოფმა იგრილა.

ნოდარს ვერაფერი გაეგო. ლელვამ აიტანა და იმავე მიმართულებით უაზროდ გაიქცა.

— მიშველეთ, ამხანაგებო! — მოისმა იქიდან, კვლავ გაისროლეს და კვლავ გულსაკლავი კენესა, ძახილი.

ნოდარი გადავიდა რკინის გზის ხიდს და ქვემოთ ჩაირბინა, სიღრმად თოფის ხმა მოესმა, მაგრამ იქ აღარაინ იყო.

და მან მხოლოდ ახლა გაიგო, თუ რა მიუტოვებელი შეცდომა დაუშვა. თოფზე დაეყრდნო და მიწას დააჩერდა.

აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. არც სურდა ფიქრი. თითქოს გულიც გაუჩერდა.

მხოლოდ ორიოდ წუთი გავიდა. ცოტა ზემოთ. დასასვენებელ სახლებსაკენ ჩოქოლი ატყდა, რომელიც ახლოვდებოდა. სიტყვები გარკვევით ისმოდა:

— მხარში დაიჭრა?..

— იარაღმა გვიშველა, თორემ...

— ბუჩქებში?

— ველარ გაბედეს!

— აი, წაიღე, აქ არის, აქ!

— წაიღეთ ფული, დაჭრილიც წაიყვანეთ!

— წავიდეთ, წავიდეთ!

ხმა გაკმენდილი, ფრთხილი ნაბიჯებით ნოდარს ზურგიდან რამდენიმე კაცი უახლოვდებოდა. ზოგ მათგანს ხელში ამოწვდილი რევოლვერი ეჭირა.

ნოდარმა მხოლოდ ახლა მიიხედა, თითქოს არაფერი დაუნახავსო, კვლავ თოფზე დაყრდნობილმა თავი დახარა. იგი გაბეგებული იდგა.

— გააგდე თოფი! — მოესმა ნოდარს მკვებე შეძახილი, მაგრამ იგი არ იძროდა, თავს არ იღებდა, არაფერს ამბობდა.

— ვინა ხარ შენ, რა გინდა აქ? — მოესმა კვლავ მკაცრი შეკითხვა, და ხელი სტაცეს.

— მოიტა აქ!

თოფი უხმოდ გადასცა მოსულს და უმოძრაო, უსიცოცხლო გამოჩეცველებით, თითქოს შუშის თვალები აქესო, სახეში მიაჩერდა, უცნობს. რაღაც გაუვალი უბედურება ჩანდა მის თვალებში.

— გასწი, გაიარე!

და იგი მიტრიალდა, ნაბიჯი გადადგა და შენიშნა, რა სისწრაფით ახლოვდებოდნენ სოფლიდან წამოსული მისი ამხანაგები.

ისინი მოვიდნენ. ნოდარი თავს არ იღებდა. კომუჯრედის მდივანმა ტარიელ კვეყაძემ ხმამაღლა დაუძახა:

— ნოდარ?!.

— მე ვარ, ტარიელ, მე, დამნაშავე! სიკვდილი მინდა, სხვა არაფერი! — ძლივს წარმოსთქვა. მის ხმაში მხოლოდ ერთი სურვილი ისმოდა: შურისძიება საკუთარ თავზე!

იგი წაიყვანეს. ყველას სიტყვა წაერთვა, ვული ჩაქურდეს. თითქოს მკედარს მიახენებენო, სამარისებული დუმილით ვატარეს ნოდარი სოფლის თემშარაზე.

თავი მეთერთმეტი

იმ ღამეს აჩოჩორლებული სოფელი მეორე დღესაც აღარ ისვენებდა. სამუშაოზე გასვლის დრო იყო, მაგრამ აღუღებულ ხალხს ეს თითქოს აღარ ახსოვდა.

დაობდნენ, ივინებოდნენ. მომხდარი ამბების შესახებ თავიანთ შეხედულებას ერთმანეთს უზიარებდნენ, და რამდენიც კაცია, იმდენი ამბავი იყო.

ჯერ კიდევ იმავე ღამეს სახალხო სახლის შენობასთან ორი განათებული ოთახის თვალები დილაამდე ერთმანეთს უტკეროდნენ. აქ კომუჯარედისა და კომკავშირის კრება გრძელდებოდა.

წოლოდ მზის სხივებმა დააჭრეს დილით განათებული ოთახების თვალები და იქ მყოფი მოქანცული, ძილგამტყდარი სახეებით გარედ გამოვიდნენ. ისინი ეზოში შეგროვილ ხალხს შეუერთდნენ, და ძალაუბნებურად სოფლის საერთო კრება მოეწყო.

თითქოს ახსნეს აქ ყველაფერი. ყველაფერი გამოარკვეეს, თუმცა ნოდარის საქციელი მაინც გაუგებარი რჩებოდა. არავის სჯეროდა, რომ იგი მსგავს რამეს ჩაიდენდა.

კრება დასრულდა, მოედანი დაცარიელდა, მაგრამ მსჯელობა მაინც არ წყდებოდა, დიდხანს გრძელდებოდა იგი ძალზე აღშფოთებული სოფლის მცხოვრებლებს შორის.

— მოკვდება ნეტავი?

— დასასვენებელ სახლში დააწვინეს.

— შპარში აქვს ტყვია... ახალგაზრდაა.

— შეხი კი დავაყარე! — ნოდარის მისამართით ამბობდნენ ქალები და კიდევ დიდხანს განაგრძობდნენ ლაპარაკს.

სოლომონი იმ დღეს არავის უნახავს. გარედ არ გამოსულა და როცა მის ოთახში უკვე ჩამობნელდა, იგი შუქს არ ანთებდა. ლოგინად ჩავარდნილ ირინეს ფეხებთან იჯდა. თავი დაეხარა და ხმას არ იღებდა.

დიდხანს დაპყურებდა იატაკზე დაშვებულ სიბნელეს, რამაც ის წარსულ ბნელ დღეებს დაუყავშირა.

თითქოს ხედავდა ყველაფერს, თითქოს წარსულის გამჭრალი ჩრდილები ისევ წამოდგნენ, აღაპარაკდნენ, მოძრაობა დაიწყეს.

იგი საბანში გახვეულ დედაბერს ველარ ხედავდა ღრმა სიბნელეში.

— მო, ხომ ცოცხალი ხარ? — ჩასძახა მან ხმაგაკმენდილ ირინეს და

ირინემ ძლივს დაიკენესა ლოგინში. ქმრის შეძახილმა გამოიკვირვა, მაგრამ თვალი არ გაუხელია.

ხომ გახსოვს ირინე, ხომ გახსოვს? მინდა ვიამბო... პიტიტოტქიტქიტა? ხელი შეავლო.

— რა იყო, კაცო? — აღმოხდა დედაბერს და თვალი გაახილა.

— ჰო, მე აქ ვარ, აქ. — წარმოსთქვა სოლომონმა და, წინააღმდეგ ჩვეულებისა, დაიწყო თავისი ძველი ამბავი, როცა მას შესაპყრობად დას-დედნენ.

— ჰო, აი ტყეში ვარ, მთაში ვარ. მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. იქ ორნი ვიყავით მაშინ. ძლიერ ჩამოხნულდა. შავი ღრუბელი დააწვა ტყეს. თითქოს გულს დააწვა იგი. ადამიანის ხმა არ ისმოდა. სიჩუმე იდგა. ქარმა შეარხია უღრანი ტყე. ჩვენ კი ვიფიქრეთ, სიცოცხლეს არ-ხევსო. ჩქარა გუგუნნი დაიწყო ცაზე. ისე სკექდა. ისე ელავდა... ჩვენ ხეს-თან ვისხედით. ელვისაგან გაშუქებულ უფსკრულს ჩავსცქეროდით. იგი ჭრებოდა, ისევ ინთებოდა. წვიმაც წამოვიდა. ჰო, ზეზე წამოვდექით... ქარი გაძლიერდა. ხეები თითქოს წვებოდნენ მიწაზე. გამოქებაულს მივე-შურეთ და ცეცხლი გავაჩაღეთ. ჩემი ამხანაგი ჩემს პირდაპირ იჯდა. თავი ჩაელუნა, ლაღარს ჩაპყურებდა, ხმას არ იღებდა. მე შეუტრე, მაგრამ... ცრემლი ვადმოვარდა გაბელილ თვალიდან.

— ჰეი, რა მოგდის?! — ვუყვირე მე.

ხმას არ იღებდა. ასე მეგონა, გონება დაკარგა. მეც შევშფოთდი. ხელით შევანძრიე. ვიცივით შემომხედა. გაოცებული მიცქეროდა.

— რა მოგდის, კაცო? — დაუყვირე ისევ. მან გაიკვირვა ჩემი შე-კითხვა. უტბალ სახეზე ხელი მოისვა. ყველაფერს მიხვდა. ცრემლი მოი-შრო და გააფურთხა.

— წახდა ჩემი ვაეკაკობა! — წარმოსთქვა მან, თავის თავს შეაგინა და ღიმილით მითხრა: — ეჰ, რა ტკბილია, ძმაო, ცხოვრება. ცოლი მყავს, შვილები მყვანან... პატარები არიან. დღეს რომ დაეშორდი... — და ისევ ცრემლი მოერია, მაინც განაგრძო: — მათ რომ დაეშორდი... ძნელია, ძმაო... სჯობს გაჩუმდე, — თავი დახარა, თვალები დახუჭა, მაგრამ ცრემ-ლი მაინც სდიოდა. — ახ, რატომ მომდის ეს? — კვლავ წამოიძახა ჩემმა მეგობარმა. — ცხრა თვის თუ არის. თითქოს ბავშვიც გრძნობდა განშო-რებას. იგიც ტიროდა... რატომ მომდის? გული აღარ მაქვს... როგორი სასტიკი ღამეა, სოლომონ!

ეს მითხრა და გაჩუმდა. გაშრა. იმასაც ჩემსავით ხანშესულს შეერთო ცოლი და მეც მომაგონდა...

— სამი წლის ნოდარი? — თითქოს სამარიდან მკედარმა დაიძახაო, აღმოხდა ირინეს.

— კარგი, გაჩუმდი, — ჩასძახა სოლომონმა და ისევ განაგრძო: — მე ცეცხლს შეუტეთე, რომ ყველა მხრიდან მოწოლილი უბედურება შიგ

ჩამეწვა. მაგრამ გარედ სასტიკი ქარი ჰქროდა. ტყე გრიადებდა და ცას ქექა-ქუხილი არხევდა. მეგობარმა ჩანთიდან ქალაღში შეჭყუტულ საქმელი ამოიღო. მაზარა დაავო, ზედ დალაგა. მიუჯექით სხივებზე შევუდევით სახლიდან მოტანილ ვარიის ქამას. იგი თბილი იყო. ჩანდა, მეგობრის ჩანთაში სულ რამდენიმე საათის წინ ცრემლებთან ერთად ჩაედო მის მეუღლეს. შეაერჯოლა. გახრული ძვალი ცეცხლში ჩააგდო და თვალი დააშტერა. აღარ გამოველაპარაკე. ზეზე წამოდგა. მაზარა დაავო და მკვდარივით მივედო.

— აღარ შემიძლია, სოლომონ! — გმინვით აღმოხდა მეგობარს. — ახლა შენ დადექ, გამოვალედიქ.

მე თოფი ავიღე და გამოსავალთან მიველ. ქვაზე ჩამოვეჯექ და ზევიდან დავეურებდი განრისხებულ ქვეყანას. თითქოს ქრილობა გაეხსნა მხეცს და ვერ ისვენებსო. ღამე ღრიალებდა. გრიგალის სტვენა უფრო და უფრო მატულობდა დაბურულ მთებში. რიაც საოცარმა ფიქრებმა შემიაყრო. ამ უზარმაზარის მთის ორწოხებში მხოლოდ ჩვენა ვართ — ორი მეგობარი. ტყედ გავარდნილი. გაგიეებული სუნთქავდა მთა. ელვის სინათლეზე ხეები წვებოდნენ, მტირალი ქალებივით თმას იგლეჯდნენ, იწეწებოდნენ. ამ დროს მეგობრის კენესა მომესმა. სწრაფად მივირბინე.

— არ გაუშვა! ძაღლია, ძაღლი! — ბოდაედა და ხელებს შლიდა.

გამოვალედიქ. უხმოდ მიყურებდა. გვიან გამოერკვა და თავი დახარა.

— იცი, სოლომონ? — დაიწყო მან, — იგი გაიქცა. აქეთ მოვდიოდით. გულში მახელივით ჩამეჭრა. როგორი თვალები ჰქონდა? ფარისეველური. შემპარავი, მუხანათური. ჩქარა მიეფარა. ხიდზე რომ გამოვედი, თითქოს იგივე თვალები მომჩვენა და ისევ გაჰქრა. ცუდად ვარ, სოლომონ. ხასიათი არა მაქვს, სოლომონ. ვერ მოვისვენე...

ძლიეს დავამშვიდე მეგობარი. ისევ დაწვა. ჩქარა ჩაეძინა. მე კვლავ ვდარაჯობდი იმ სასტიკ ღამეს. შუალამე გადავიდა. ძილი მერეოდა და მეგობარი გამოვალედიქ. მიმჭრალი ცეცხლი გავაჩაღეო. გავგულიანდით. ერთი მეორეს მეგობრული თვალი შევავლეთ, და როცა იგი თოფით ხელში გასავალთან ქვაზე ჩამოჯდა, წავეწეკი. თავი დავდე თუ არა, დამეძინა... ხომ ცოცხალი ხარ? — ჩასძახა კვლავ სოლომონმა ქვეშაეგებში ჩაფლულ ირინეს, რომლის სუნთქვა ძლიეს ისმოდა.

— კარგი, სოლომონ... კი, ცოცხალი ვარ... — დაიკენესა ირინემ.

— ჰო, მძიმედ ჩამეძინა, — განაგრძო ამბავი სოლომონმა. — მგონი თენდებოდა. თოფის ხმა მომესმა. ზეზე წამოდექ და... მეგობარი ჩემს წინ დაეცა.

— სოლომონ, სოლომონ ცუდათ ვარ, სოლომონ! — ძლიეს წამოიძახა. ამით გაათავა. თოფზე ხელი მაგრა მეჭირა. გარედან ხშირი სრო-



ლა ისმოდა. უცბათ სიკვდილის სიახლოვე ვიგრძენ. გამოსავალი არაღ
იყო, და მაშინ მომაგონდა...

— ჩენი უბედური... ნოდარი, სოლომონ?...
გამზავნიყუყუა

— ჰო, — დაიძახა ხმამაღლა სოლომონმა. — ამან მაიძულა — თოფი
შემემართა. წინ ჩემი ნაბადი გადავისროლე. სროლა აუტუნეს და მე გავ-
ვარდი. ერთხელ კი გავისროლე. არაფერს ვხედავდი და სიბნელეში მა-
ინც გავრბოდი. ასე გადავჩრჩი... შვილი მყავდა და სიცოცხლეს ვეჭიდე-
ბოდი. ახლა? ახლა? — დაიყვირა მოხუცმა. სუნთქვა შეეკრა.

კარგა ხანს იღვა ღუმილი.

— ანთე, სოლომონ! — დაარღვია ღუმილი ირინემ.

— სიბნელე მიჩვენია, სიბნელე. ჰო, ცოტა მამშვიდებს. სირც-
ხვილს არ ვხედავ.

— ანთე, სოლომონ! — უფრო შემფოთებული ხმით წამოიძახა ირი-
ნემ, თითქოს ეწინოდა, მძიმე სიბნელემ სუნთქვა არ წამართვასო იგი
ოდნავ შეირხა, ძლივს ამოისუნთქა და ხელები გაასავსავა.

ამ დროს ყურშავას ზანტი, მოწყენილი ყეფა მოისმა. ვიღაც აივან-
ზე ამოვიდა. იატაკმა ქრიალი დაიწყო. სოლომონი სწრაფად წამოდგა.

— ჰეი, მასპინძლო! უკვე გძინავთ? — მოისმა იქიდან.

— ვინ უნდა იყოს? — იკითხა სოლომონმა, კარი გამოაღო და აივანზე
გავიდა. — ჰო, ტარიელ! მობრძანდი, მობრძანდი, ტარიელ!

— რა მოგივიდათ, როგორი სიბნელეა?

— სიბნელეში ძნელია, ტარიელ, კაცის დანახვა, სირცხვილს მალავს.
მაინც მოხვედი. მიხარია... მეგონა... დანაშაული მე თვითონ ჩავიდინე...
ჰო, მეც ჩავიდინე: შვილია ჩემი.

სოლომონმა სანთელი აანთო. მაგიდას მიუსხდნენ. ირინეს ხმა აღარ
ისმოდა. მისი ჩამომხმარი სხეული საბნის ქვეშ არც კი ემჩნეოდა.

— ცუდია, სოლომონ... შენ ხომ ჩენი ხარ, სოლომონ? ბავშვი არა
ხარ...

საშუალო ტანის, შავგვრემანი ქაბუკის ტარიელის გულწრფელმა სიტ-
ყევებმა შეება მოჰფინეს სოლომონს. გულში შეუმჩნევლად შესული იმე-
დი დიდრონ თვალებს უფრო მეტად უფართოებდა. ტარიელმა განავრძო:
— ცუდია, კარგი არ არის... რას გეცხარ? ბნელი ქოხი. თავზე დაგი-
ხურავს. გამავრდი! პარტიზანი იყავი. კლდის არ გეწინოდა. რატომ და-
გლანბდი? კომუნისტი ხარ!

კარგად გრძნობდა სოლომონი, რაოდენ გულწრფელობა და ადამიან-
ური გრძნობა იყო ტარიელის სიტყვებში. მაგრამ სოლომონი მაინც
აღელდა. საკუთარი თავი მან თითქოს ეს არის ახლა აღმოაჩინა. თითქოს
შეიგნო, ვინ არის იგი. არ სურდა, მასში დაფარული ღირსება ასე უბ-
რალოდ, ასე უღირსად ყოფილიყო შეფასებული.

— ჰო, ტარიელ... მესმის... თითქოს ყველაფერი ჩემთვისაა... ისე, მართალია, კომუნისტი ვარ.

— დღეს გარეთ არავის უნახავხარ, — განაგრძო ტარიელმა. — უჯრედს არ გაეკარე. კრება იყო. სოფელი შეიძრა. გაგრიცხავთ! — უფრო და უფრო გული მოსდიოდა ტარიელს. მაგრამ სოლომონმა ხმა არ გასცა და ტარიელი დამშვიდდა, ხმას დაუდაბლა და განაგრძო: კულაკების ბრალია... ნოდარიც ჩააგდეს. ჩვენ კი გვეძინა. ხუმრობა აღარ გამოვიდა. ჯერ მაინც ვერაფერს ვიტყვით. ფრთხილად ვიყოთ. შენ კი კომუნისტი ხარ და დილით სამუშაოზე უნდა გამოხვიდე. მშვიდობით! — ადგა და წისვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს მოულოდნელად საწოლიდან ეჭენსა მოისმა:

— ტარიელ! შვილია, ტარიელ!

ტარიელი მიბრუნდა, გაოცებული საწოლს დააჩერდა და როცა სასთუმალთან ირინეს გამხდარი სახე შენიშნა, ახლოს მივიდა და ანუგეშა:

— ვეცდებით... თქვენ კი გამაგრდით!

ცოტა ხანს შეჩერდა. უხმოდ გავიდა.

სოლომონს ჯერ კიდევ კარგად ვერ გაეგო, რა მოხდა: მხოვინა მასთან უჯრედის მდივანი, ჰეკა ასწავლა, კიდევაც ანუგეშა, მაგრამაც შეახურა, ბრძანება გასცა და წავიდა. და ეს ყველაფერი რამდენად ძვირფასი იყო იმისთვის.

მას შემდეგ, რაც მან თოფი ხელში აიღო და ტყვეს მიეფარა, სოლომონისთვის ხმა არავის აღმალღებია; გადაკრული სიტყვა არავის უთქვამს, რადგან იცოდნენ, რომ სოლომონი ამას არ მოითმენდა. ახლა კი უბრალო, შუშის ქარხნიდან მოსული მუშა პარტიიდან ვარიცხვასაც კი დაემუქრა და რა არ აკადრა. მაგრამ სოლომონი, როგორც ბავშვი უფროსის წინაშე, ხმას არ იღებდა და საყვედურიც კი უფრო ადიდებდა გულითად გრძნობებს ტარიელისადმი.

„ჰო, რა დიდი განსხვავებაა“, — გაიფიქრა სოლომონმა, როდესაც მტრისა და მოყვრის საყვედური ერთმანეთს შეადარა.

ამ დროს ნოდარის საყვარელი ძაღლის ყმუილი მოისმა გარედან. ძაღლი დღეს გამუდმებით იცრემლებოდა, საქმელს არ სჭამდა. ზეზე დგებოდა. ძაღლის ყმუილმა გული შეუტყმშა სოლომონს, ზეზე წამოდგა, ლოგინთან მივიდა და გაუხდელად პირაღმა გაიშხლართა. დიდხანს არ დახუჭულა მისი თვალები. მთელი წარსული და მომავალი ნოდარის ბედს დაუჯავშირა. ყველა ავკარგი აქედან განსუკრიტა. ბოლოს ისევ უნუგეშო დასცენას დაადგა.

„შვილი თუ დაიღუპა, თუ დაიღუპა, ვიღა შეიმაგრებს მოხუცის ძვლებს?! როგორი ღამეა!“ — და ჩაეძინა.



ამ დროს პავლია შარაძის ოჯახში დიდ გამოცოცხლებას განიცდიდა ადგილი. გარეგნულად თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი წესით მიდიოდა: დაღამებისას ოთახი ჩვეულებრივ დროზე გაანათეს, ჩვეულებრივ დროზე ჩააქრეს სინათლე. თუმცა იმავე სახლში იყო ერთი ოთახი, საიდანაც შუქი გარედ არ ვადიოდა: ოთახში ჩაკეტილ შუქზე იყვნენ ისინი, რომელთა სიტყვები ისე მკრთალი და უღონო იყო, როგორც ის შუქი, რომლის გარშემო ისინი ისხდნენ.

— სხვა გზა არ არის, — დაასვენა პავლემ, — შენ თავი უნდა მოარიდო. ცუდათ მოეწყო საქმე. გიგო უკვე ყაჩაღია, თუმცა არ იციან. რამდენიმე კაცი შეგროვდა. შეეშინდა, რომ გაიგებენ. შესაძლოა ნოდარმა იქვე აიღო, გაამხელს. ენახოთ, რა იქნება, — მიმართა მან თავის უფროს ვაჟს სერაფიმონს და ხორთუმით ძირს დაშვებული ვეება ცხვირი, რომელიც შუაზე იყო გაჩეხილი და ორი ცხვირის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაღლა ასწია.

კარგა ხანს უხმოდ უცქეროდა იგი უფროსს ვაჟს გაშტერებული თვალებით და ბოლოს კუთხეში მჯდარ ეთერს შეხედა.

— თავი რომ ჩამოგიგდია, გამაგრდე უნდა! ისეთი ბიჭები — რამდენიც გინდა. ახლა კი გათავდა. ფასი არა აქვს. მგონი არ ვაგწიროს, მე ასე მიფიქრია. აი, ჩქარა დაიწყება აქ სეირნობა. მოაგარაკენი რამდენიც გინდა. იგი ექიმიც ჩამოვა. ახლა მაინც გამოიღვიძე. თუ შენც არ შეგეხენ, უნდა იჩქარო. გეძებონ მერე. გზა აურიე. ახლა ვიგოც აღარ გამოდგება. შენ თავს მასაც შეუბირდი. საჭირო იყო. ვეცდები, რამე მოვიგონო, მენი წასვლით არ ვაეჯადერო. მანაც არ ვაგვეცეს.

— რო, ვიგოს?! მასაც შეპირდი?! — იწივლა ეთერმა და ქვითინი დაიწყო. — გამიშვით, კმარა! აღარ შემოძლია! დუქანი დაკეტეთ და ახლა ჩემით დაიწყეთ ეპქობა!

— ჰი, ჰი, ჰი! — ნაძალადევად ჩაიცინა პავლემ და ცხვირი მოისრისა. — შეილი ხარ, მშობლებს უნდა გაუგონო. ცუდს ხომ არ გირჩევ? ახლა გზა მაინც არა გაქვს. გინდა არ გინდა, სულერთია...

— არ მინდა, არა! მეც ხომ გული მაქვს! მეც ხომ... — და სიტყვა ქვითინად შეიცვალა.

მან თითქოს ახლა გამონახა თავისი ადგილი, თითქოს ახლა მიავნო სიძარითლეს საიდანაც შესაძლოა უფრო ღირსეულ გზაზე გავიდეს. მაგრამ შეჩერდა მეტის თქმა ვეღარ მოახერხა.

პავლეს სახე შეივლიდა. გაცობულმა უფროსს ვაჟსა და ცოლს გადახედა, ზეზე წამოდგა და წელში წახრილი ეთერთან მივიდა.

— ხომ ხედავ, იქცევა ქვეყანა. შენ კი გველის წიწილი ჩაიხანე მუცელში და აღარ ეშვები! ძალლი პატრონს ველარ ცნობილად შენსად რომ ძალლი ხარ, რომელმაც პატრონი ველარ დაინახა! — ცხრის ზეგონებაში გაიქნია პავლემ, თან ფეხი მაგრა დაარტყა იატაკს. — გაგიფიქრეთ რაღა, გადარიეთ! — ახლა ორივე ხელის პაერში აშვერით შესძახა მან. — ჩენი სიცოცხლის საკითხი დაისვა: ვიყოთ თუ არა! ხვალ-ზევ სიკვდილი იქნება... შენ კი გულის საკითხებზე შესაუბრები! გავონილა?! არაფერი აქვში მაინც თანახმა იქნება... ბავშვის საკითხსაც ის მოაგვარებს...

თავჩაქინდრული ეთერი ხმას არ იღებდა. მამის რისხვაზე სუნთქვაც შეაჩერა. ფერდაკარგული ზეზე წამოდგა, სასტრკად შეხედა მამას და ფეხაკრეფით გარედ გამოვიდა.

— მიხედე! — ცოლის მისამართით ბრძანა პავლემ. ხელეწი ააპკრო ზევით და ახრიალდა: — ასეთია... მართალია, შეილსაც ვატყუებდი, მაგრამ... მე ხომ მარტო ვარ. ჩემო თავო, დაეცი ბარემ! თითქოს აი კარებთან არის! როგორ მიცქერის მშვიერი ძალლი! სუნი თუ ეცა! ჩემი ნაწლავები სურს დაითრიოს. სადა ხარ, სადა?

სერაფონი კვლავ გაუნძრევლად იჯდა მაგიდასთან. პავლეს ხმაურზე აკანკალებულ შექს უცქეროდა და ხმას არ იღებდა.

დღეა მისი გარეთ გავიდა. ოთახში წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა. იმედგაცრუებული, მოქანცული პავლე ლოგინზე დაეშვა.

თავი მეთორმეტი

რამდენიმე დღის შემდეგ აგარაკი შეამთა სრულიად გამოიცვალა: განუწყვეტლივ მოდიოდა ხალხით დატვირთული მატარებლები. მოდიოდნენ საქართველოს ყოველი კუთხიდან.

მოეწყო ბაზრები, ამუშავდა სანატორიუმი, ამბულატორია, აფთიაქი და ზამთრობით დაყრუებულ ბევრ სახლში სიცოცხლე სჩქეფდა.

მთის ფერდობზე ნაზად და შრიალით ირხეოდნენ ნაძვისა და ფიჭვის ხეები.

ადგილობრივი მცხოვრებნი თავისუფალ დროს უდიდესი ინტერესით ათვალისწინებდნენ დასასვენებლად ჩამოსულ მოქალაქეებს, ეცნობოდნენ მათ და საუბარს აბამდნენ.

სიცოცხლე იქაც კი აღწევდა, სადაც ზამთრობით დათვებისა და მგლების ბუნავი იყო. და ეს თბილი, ახმაურებული სიხარული უფრო ახლა, უფრო მგრძობიარედ ეკრობოდა ბუნების სპეტაკ მკერდს.

მიუხედავად ამისა, სიცოცხლისა და ბუნების ამ თბილ და მეგობრულ შეხვედრაშიაც სჩანდა, რომ აქ მათი პაემანი დროებითია, რომ სულ ჩქარა მთა განრისხდება, ახლოს მიტანილ მკერდს დააშორებს და სუსხიან მკლავებში ჩააქრობს გრძობას. შემდეგ კი აქ დარჩება ისევ მთის სო-

ფელი სიცივით და მყუდროებით ფრთებ-შეკვეცილი. დაქრქი ქნს წყნარ-ლობით შადრევანივით ავარდნილი სიციცხლე მთის წვერზე. მთის მხრით გადადის, მოვა ზამთარი, ისევ დაეშვება იგი და შუამთის ფსკერზე ოდნავ დარჩება, რომ მისი კვალი არ წაიშალოს.

და ეს მოძრაობა — მოავარაყეთა და მთის ბუნების ყოველწლიური სადღესასწაულო შეხვედრა და განშორება — უფრო მეტად ალამაზებს მთას, რომ ხელახალი შეხვედრის დროს იგი ახალი სისპეტაკით, სიუხვით მკერდადსებული მიეგებოს ზაფხულის სტუმრებს.

ქვემოთ, სოფელში, ზამთრობით მთასთან დარჩენილი რამდენიმე ადამიანი ფეხის ნაკვალევსაც კი ვერ სტოვებს ევება მთებში. ისინი მხოლოდ მოწმენი არიან, თუ როგორ ბანაობენ მწვერვალზე კოკისპირული წვიმების დროს, როგორ ისუღრებიან ისინი თოვლის თეთრი ნაბდებით, რომ შიგ მომწყვდეული თავიანთი ქალწულური უმანკობა ფრთხილად შეინახონ.

ახლა კი ზაფხულია.

მზის სხივებში შეცურებული, სიმწვანეში ჩაკარგული ადამიანი სუნთქავს ხეებთან, მდინარეებთან — ერთი სიციცხლით ყვავიან ისინი, ერთი სიციცხლით!

ზოგჯერ კი მოუქნევს ქარი, ქალის გრძელ თმასავით გაიშლება ნისლი მწვერვალის თავზე, ქვემოთ კი ისევ ადამიანი, ისევ სიმწვანე და სიხარული.

დაღამდა.

დღეს არაჩვეულებრივი, ტყესა და ნისლებში სასწაულმომქმედი ფერების კრთომით ჩავიდა მზე.

სანთლები აინთო. ხალხი გაიფანტა, მაგრამ სიმღერა და სიცილ-თამაში კიდევ დიდხანს არ შეწყვეტილა.

ამ დროს ადგილობრივ მილიციაში, ერთი პატარა სახლის ქვემო სართულში, რომელსაც „სატუსალო“ ერქვა, ოთხი ადამიანი იჯდა.

იქ შუქი ჯერ კიდევ არა სჩანდა. ნახევარ-სარდაფში მერხებზე ჩამოხჯდარი ოთხი ტუსალი ხმას არ იღებდა.

სიჩუმე იყო.

ცოტა კიდევ და მოულოდნელად ოთახი განათდა. ტუსალები წელში გაიმართნენ, თითქოს აჭამდნენ შავი ლოდი ედოთ თავებზედო.

მხოლოდ ნოდარი შეაკრთო შუქმა. თავი დაეხარა. დასცქეროდა მტკრით სავსე იატაკს, დასცქეროდა დაქინებით, თითქოს იმ მტკერში ხედავდა სულის თანატოლს, რომ თავი დაიმკიროს, უფრო დაისაჯოს.

სხვა ტუსალები ლაპარაკობდნენ თავიანთ დანაშაულზე, ამ დანაშაულის სიდიდესა და მიზეზების შესახებ, ხმაურობდნენ, ილანძლებოდნენ.

ერთი მთვანე დაბალი ტანის ახალგაზრდა ოსი, ნახევარი საათის წინათ შემოავდეს ამ პატარა ოთახში. სიბნელეში იგი არაფერს ამბობდა,

მაგრამ სინათლემ ენა ჩაუდგა, გამოაცოცხლა. გამოირყვა, რომ ეს ცხვირის ქერდობისათვის დააპატიმრეს თითონ ოსებმა სოფ. გვეჯანთქვეს.

— კი, სენი წირიმე, — ამბობდა იგი, — ველარ მოგასწარი. სოფელში გამიგეს და... ისე კი, სენი წირიმე, ვაზიკაცი ხარ, ნამდვილი ვაზიკაცი ხარ. ცემი ხელობა ძვირფასად შევისწავლია მას. გუჯარეთი მინდა, ჯავახეთი მინდა, თუ რა მინდა, სულ, სულ ჩემი ხარ.

დანარჩენნი ორნი თავშეუტყავებლად იცინოდნენ და დედის გინებით მიწასთან ასწორებდნენ იმათ, ვინც ეს ახალგაზრდა ოსი დააპატიმრა.

— ჰაი დედასა! — ამბობდა მეორე. — ერთი კი მივადე იმ სატანა მილიციელსა... მაგრა ჩავეტე... ხოშიანად მივებგვე! ოჯახი დამინგრევა, ამყარეს...

— კურო ხარო! — ჩაურთო მესამემ და ხარხარებდნენ.

ახალგაზრდა ოსმა პირი იბრუნა, თაჩაქინდრულ ნოდარს მიაჩეოდა:

— ეს ვილა ვარ, ბიწოსა? ხომ არ მოკვდების შენა?

სხევებს გაეცინათ და ერთმა მათგანმა, ქერა მიტომ უკმეხად მიუყო:

— მაგას კუმო აკლია... არაფერს მიირთმევს. საქმლის მაგიერ საკუთარ ენას სჭამს, მას.

ნოდარი კვლავ სდუმდა, არც კი იძროდა, იჯდა გაქვავებული.

ახალგაზრდა ოსი არ ისვენებდა. ახლოს მივიდა, დაიხარა და ნოდარის გამხმარ, გაფითრებულ სახეს თვალი მიაშტერა.

— სენი წირიმე, ნოდარი! მიცანი ვაზიკაცი? აი ბიწოსა! აგერ ვარ! კონსოლარობდი კიდევ! ჰაი, ბიწოსა! ახია მას!

ნოდარმა თავი ასწია და წითურ ოსს მიაჩერდა. კარგა ხანს უუერებდა გაუნძრევლად.

— მომშორდი, დაიკარგე! — შესძახა შემდეგ შემზარავი ხმით. თვალეზი გადმოეკარკლა, სახე დაუნაოჭდა.

ოსი უკან გადახტა, ფერი ეცვალა და კითხვის ნიშანივით წელში მოხრილი შეჩერდა.

— გავიზღის, მასა! როგორ უბედავ ვაზიკაც ბიწოსა? სენი ქალი ხომ არა ხარ! სეკვარებული ექიმს რომ... გაფრინდა! ჰაი და! სეკვარებული..

— გაფრინდა? ექიმი? — შესძახა ნოდარმა.

— ჰეი და... წაიყვანეს, სენი წირიმე, სეკვარებული მასა!

— უკვე წაიყვანეს?! — მიადახა აფორიაქებულმა, შეძრწოლებულმა ნოდარმა. თვალთ დაუბნელდა, საწოლი მოსინჯა, ზედ გაიშლართა და ორივე ხელი თავს მოუჭირა...

არც ყვიროდა, არც ტიროდა. თვალეზი დაბუქა და ისე გაშეშდა.

წითური ოსი კი არ ისვენებდა და განავრძობდა ლაპარაკს. ყოველი მისი სიტყვა, თავზარდამცემი მენზი იყო ნოდარისთვის, მაგრამ ყოველივე ეს თითქოს სიხმარში ხდებოდა.

— ექიმმა ამბულატორიაც კი მიატოვოს, ქალმა ექიმზე მოიხატოს, ორივენი უფრო-უფროდ დაიკარგოს, მასა!

დანარჩენები კი ხარხარობდნენ. ისედაც სასტიკი, მძიმე ამბავი უნ-ვერი გინებით უფრო მეტად შეაზავეს და მათი გაუთავებელი ხრიალი აღსასრულის „სიმღერად“ ესმოდა ნოდარს.

დიდხანს გრძელდებოდა ეს მკაცრი „სიმღერა“, და ნოდარს ისე ეჩ-ვენებოდა, თითქოს ამ გაუთავებელ პროცესიაზე სიკვდილი ცეკვავსო.

ბოლოს შეწყდა, დაჩუმდა ყოველივე.

შუალამე იყო. თვალი გაახილა. თავი წამოსწია, მიმოიხედა და ძლიერ გონს მოსულმა შეამჩნია მოგრძო მერხებზე აქა-იქ მიგდებული სამი ადამიანი...

მათ ეძინათ. აღარ ხრიალებდნენ, და ამ დაბეჩავებულებიხადმი, ცხოვ-რების გზიდან გარიყულთადმი სრულიად მოულოდნელად სიბრალული იგრძნო ნოდარმა.

„შეც ხომ უბედური ვარ, — გაიფიქრა მან. — მეც ხომ ვიტანჯები, ისინი კი იციან. მაინც შგანია, რომ უგუნურ სიცილში უფრო დიდი უბედურებაა“.

გაჩუმდა. გაშრა.

გული გაებზარა. ისევ საკუთარ თავს გაუღიმა და ზეზე წამოდგა.

ცოტათი მომალლოზე მოთავსებულ პატარა ფანჯრიდან დაგვიანე-ბული მეტრმის შეძახილი მოისმა.

ისევ შეძახილი, ოდნავი პაუზა და ტკბილი ურმული...

მთვარიანი ღამეა.

„ოჰ, რა ტკბილია, ძვირფასო ძმებო“, — გაუელვა თავში. თვალწინ პავშვობა დაუდგა. ახალი ცხოვრება შეადარა მას და დაინახა, თუ რო-გორ „ცოტა“ არის საჭირო, რომ დიდი დღესასწაული უფრო დიდ მარ-ტად გადააქციო.

კვლავ პრიალებდა ურემი. ხან-დაყოვნებით გაიტყლანუნებდა ხა-რების ზურგზე გადაქიმული სახრე. აყვფდებოდნენ ძაღლები, მერე დაკ-რებოდნენ, და მთვარესთან ერთად ვიღოდა მეტრზე ნაირ სიმღერებით.

აქ, კი სარდაფში, განთიადისას ფერდაკარგული სანთელივით ბე-ტავდა ნოდარი, დადიოდა, მაგრამ ამ მოძრაობაში აზრი არ იყო. შე-ჩერდა, ისევ ჩამოჯდა და მერე, თითქოს შეწყდა ყოველივეო, განთავი-სუფლდა. რაც აწუხებდა, რაც სტანჯავდა, იგი გადაწყდა.

და როგორი მძიმეა მაინც ასეთი „თავისუფლება“.

„ჩემი ბრალია: იქამდე მივდიე სიყვარულის შემცდარ ნაკვალევს, სა-ნამ აქ არ შემომიყვანა... ასე გამომეტა? მე კი... ო. რომ ვიცი, ვინ იყვნენ, ისინი! პქონდა თუ არა ჩემი სიყვარული?“ — შეეკითხა თავის თავს ბოლოს ნოდარი. „ცრემლებს რომ ღვრიდა! მახსოვს ცრემლი იმის თვალეებზე. როგორ სუნთქავდა იგი ჩემს მკლავებში გამოშწყვედილი.

გახელილ, ცრემლებით საესე თვალებს რომ ჩავსცქეროდი, როგორ მეხვეოდა...
 ვაქინუნი
 გიგლიჩიშვილი

და ამ სურათის წარმოდგენაზე ტანში შეაჯრეოლა, წამოწვა და თვალი დახუჭა. ახლა იგი თავს ძალას ატანდა და ყოველ ფიქრს ძალით აჩერებდა ამოდ: არ იქნა, თავის გზით წასული ფიქრები ვერ მოაშორა იმ საბედისწერო ბილიკებს, რომლებიც მან უკვე გაიარა დიდი სისწრაფით, მღელვარებით. ის გზა საესე იყო სიამით და მწუხარებით. ახლა კი, ახლა მხოლოდ ერთია დარჩენილი: მოსაწყენი, გაუთავებლად ბნელი მწუხარება. როცა მალღებოდა მღელვარე გული, როცა მოულოდნელ, მწვავე შეეჯახებას მოულოდნელი სიხარული მოჰყვებოდა — ვინ იცის, იქნებ მაშინ წუღებოდა ნოდარის გამარჯვების თუ დამარცხების საკითხი. ალბათ, ამ დღიღწეში, ამ განუწყვეტელ ტალღისებრ მიმოტყევაში იგი ბრმადებოდა და მიწა ეყრებოდა იმ ნათელ გზას, რომელზედაც მას უნდა გაეველო. და რატომ მოხდა ასეთი შედეგი? — აი, საკითხი, რომელიც აბრაზებდა ახლა ნოდარს.

„შე სუსტი ვიყავი, იგი ძლიერი? იგი თითქოს სათუთია, და შერე საიდან ეგ სიძლიერე?“

ვერ გავგო ის დაუჯერებელი, საოცარი წინააღმდეგობა, რომ დიდი სისუსტე ზოგჯერ განუსაზღვრელი ძალის შემცველია, მისი ფიქრი იქამდეც ვერ მივიდა, რომ ეთერში სხვა ძალაც აღმოეჩინა, რაც აგრე ხშირად და მოულოდნელად იწვევდა მისი ხასიათის ცვალებადობას. ისე გონა, თითქოს ეგ ცვლილებები და მოულოდნელი „აჯანყებები“ საკუთრივ ეთერისგან გამოდიოდა, ყველაფერი გულწრფელად ხდებოდა, რაც უფრო მეტად ართულებდა მდგომარეობას, აღრმავებდა და ამწვაებდა ნოდარის სიყვარულს.

და ახლა როგორ ნათელი გახდა ყველაფერი, ახლა, როცა დასრულდა ეს შეეჯახება, როცა დაყუტდა ტალღის ხმაური და ვერაგი ქალის ხელში დაქერილ დროშას ბნელ საკანიდან მისჩერებოდა.

ახლა ეთერს, ალბათ, ისიც აღარ აფიქრებს, რაც უწინ ნოდართან ძალზე სტანჯავდა. რა იყო ეს: სიყვარული თუ სიყვარულზე გამარჯვების წყურვილი? ვინ იცის, შეიძლება ერთიც და მეორეც. მაგრამ ახლა ეთერისათვის ეს საკითხები ზომ აღარ არსებობს. იგი თითქოს დასრულდა ქალის გამარჯვებით, და ამ „გამარჯვებამ“ მოსპო თვით სიყვარულს მასზე გამარჯვების წყურვილი, რამაც ეთერი უკვე „თავისუფალ“ ქალად აქცია.

შესაძლოა თუ არა შებრუნდეს „ქვა“ და მოხდეს პირიქით? ვინ იცის იქნებ შესაძლოა, მხოლოდ სხვა დროს და სხვა პირობებში, თუმცა ეს კანონი სავალდებულო სრულიად არ არის. ის ზომ საესებით ემყარება საფუძელის სიმტკიცეს, რომელიც შესაძლოა მომავალში შეიქნეს.



შედევად დარჩა მხოლოდ ორი „თაენსუფლება“: ეთერისა და ნოდარის „თაენსუფლება“, და რა დიდი განსხვავებაა ამ ორთა შორის! იგი წევს, საყანაშია. თითქმის არ იძვრის, მაგრამ ჰგონის, რომ მოგნაურობს — აქ აღარ არის. გუშინდელ დღეს ახლა აფასებს, ბავშობას იკონებს და ცხოვრობს ყველგან, სადაც ბავშობიდან უცხოვრია. აი, სურათები, ისევ სურათები, როგორი ტყბილია, როგორი მწარე! ტყბილია რადგან სიმწარე იცის და მისი გემო გამოუტყლია. აი, გაირბინა პატარა ბავშვმა ცერიან ბალახზე. დედა დაეწია, ხელში აიყვანა, გულში ჩაიკრა. ტაროდა დედა, ცრემლი იღვრებოდა ბავშვის სახეზე. ისიც ატირდა. რატომ სტიროდა ნეტავი ბავშვი? „მამა, მამაშენი, ჩემო შეილიყო“, — ამბობდა დედა. მერე რას ნიშნავდა? იცოდა კარგად, რომ დედის ცრემლი მამას ეხებოდა, მაგრამ რატომ? ეს არ ესმოდა. ასეთი იყო ბავშვის კითხვა და მისი პასუხი. როგორი ტყბილი იყო დედის მკერდი, თბილი გრძნობებით, და როგორ მწარე მისი ცრემლები!.. ვილატები მოვიდნენ. ყვირილი ატეხეს. სახლს შეესივნ და... რა დარჩა იქ? არაფერი. ტიტველი მიწა. არსად ნუგეში. იქ, სადაც უწინ ღამეს ათევენდნენ, იმ ადგილას ძალი გულსაკლავად ყმუოდა. ალბათ, ძალღს გაუყვირდა მათი საქციელი. დედა კი ხელით ატარებდა ტიტველა ბავშვს და ცრემლისათვის აღარ ეცალა. იგი გააფთრებული ვეფხვივით ანთებდა თვალებს. ირგვლივ დარბოდა. დაცალიერებულ ეზოს გააქურებდა და, თითქმის საკბენად ემზადებო, კბილის ღრუვებით ცალხელს პაერში იჭნევდა. წამოვიდა წვიმა და ქარი. დედა კვლავ დარბოდა ეზოში, თავშესაფარს ეძებდა. ხის ქვეშ მივიდა, ძლიერი ქარი წეწავდა მის თმას. მოგორავდა შავი ღრუბელი. დედამ კლდისაკენ გადაიხედა... თითქოს ეს კლდე იზიდავდა მის არსებას, და ღიმილით მიუახლოვდა. ნისლით ამოვსებულ უფსკრულს რაღაც შვებით ჩახედა, ისევ გაიღიმა. მაგრამ როდესაც წელში აიშართა და გაგიჟებულის სახე მიიღო, უეცრად ვაჟკაცის ხმა მოისმა:

— ირინე, ირინე. არ შეცდე! მე აქ ვარ, მე ცოცხალი ვარ!

ეს იყო მამა, სუნთქვა შეკრული რომ გამორბოდა. დედა წაიქცა. ტიტველა ბავშვი მკერდზე დაეცა. იგი ტიროდა. ძლიერი ქარი კენჭებივით აყრიდა წვიმას. მოვიდა მამა. ორივენი ხელში აიყვანა. ხეს მოაფარა...

რამდენიმე დღე გავიდა. ფხვით მიდიან, ნოდარი მამის კისერზე ზის. დედა უკან მიჰყვება. სურამის ქედზე ამაღლდნენ. მამის კისერზე წამომაჯდარი ბავშვი არწივის ბარტყივით გასცქერის სიერცეს. მამინ გაიფიქრა: ნეტავი ცაზე ხომ არ ავდივართო. აი, გადმოვიდნენ... უკვე დაღამდა დაღლილი ბავშვის თვალიც დაიხუჭა და თითქოს დასრულდა ერთი ამბავი...

ბავშვი ისევ დედასთან არის. პატარა ოთახი. დედა რეცხავდა, აუთოვებდა დილიდან საღამომდე. მამა აღარ სჩანდა. ზოგჯერ ღამით დე-

დის საწოლიდან მოისმოდა ფუჩუნნი, რომელიც ჩქარა ისევ შემწებებრდა ხოლმე. ბავშვის შუბლს მოულოდნელი ამბორი შეეხებოდა. „ჩემო შვილო“, ჩასძახებს ის და ისევ გაპჭრება. ბავშვი თვალს გაშტუტს და მუხუხუხადებს. არაფერ არის...

შემდეგ გაიგო, რომ ბორჯომში არიან. მისი დედა მეფის მოხელესთან მრეცხავედ მსახურებს.

შუამთაში ამოსვლა და აქ პატარა ქოხის წამოდგმა. პავლეს დუქნის კარებთან დგომა.

დრო მიდიოდა.

აი, რველუტიაც. მამის შინ დაბრუნება და სიხარული. სწავლა და... შემდეგ კი, შემდეგ... ო, როგორ მიძიმეა. ფიქრიც კი ვერ იტანს.

თითქოს ხედავდა ახლა, როგორ ირბოდა ეთერის ქაერში აწვდილი ხელი, როცა შორდებოდნენ. და ეს მოჯადოვებული, ნიაღვარივით მოვარდნილი, დაუსრულებელი სიცილი!

თითქოს ამ სიცილში თვითონ იგი იყო ჩაყვინთული. ზოგჯერ ამოიწვოდა, იელვარებდა, კვლავ ეშვებოდა, ქრებოდა.

მაგრამ არა! მაშინ ხომ ეს მზე ეთერის არსებაში, მის სულში იყო ღრმად დაფარული, რომ ეს სიხარული სხვებს არ გაეგოთ. რომ ზოგჯერ გამომჟღავნებული სინათლის დანახვა მხოლოდ ნოდარისთვის ყოფილიყო შესაძლებელი.

და ამ სინათლეს თითქოს მაშინაც კარგად ხედავდა ნოდარი, როცა გარეგნულად აღარ ელვარებდა. და ეს ხელი, რომელიც ნოდარს აღერის ამცნობდა, თითქოს დანარჩენ ქვეყანას ეუბნებოდა: „აი, აქ არის, ყველაფერი აქ არის! ჩემშია მოთავსებული ის, რასაც თქვენ ვერ დაინახავთ, ვერ გაიგებთ. შე კი უკვე მიედივარ, გავერბივარ წინ და თქვენ უამედევნეთ, რადგან ის, რაც ამ ქვეყნად ყველაფერზე ძვირფასია, ყველაზე სათნოა და უმთავრესი, ჩემშია მოცემული! უამისოდ აღარც თქვენ ივარგებთ“. და მართლაც იგი თითქოს გაიქცა, გააღო ჭიშკარი და თვალს მიეფარა.

დარჩა თუ არა აქედან რამე? სად არის წინანდელი ეთერი? რომელია ნამდვილი — მაშინდელი თუ ახლანდელი ეთერი? როგორ შეიძლება მოთავსდეს ერთად ამდენი ჭუჭყი და სისპეტაკე? დიდი სულის სპეტაკი მწვერვალი და მყარალი ჭიოზი?

ვინ იცის: იქნებ ნამდვილი ეთერი ნოდარს არასოდეს არ დაუნახავს და ყველაფერი, რასაც ამ ქალის შესახებ ფიქრობდა, თავიდან ბოლომდე შემცდარი იყო. ანდა იქნებ ერთი იყო მხოლოდ მიზეზი, რომ მისი საშუალებით ნოდარის ფანტაზიას საკუთარი სულისათვის შესაფერი არსება შეექმნა.

მაგრამ ამოდ: ეთერი იმადვე დარჩა, რაც იყო. სასტიკმა სინამდვილემ ნოდარის ფანტაზიისადმი წინააღმდეგობის საზღვარს და მოხდა მარცნი, მოხდა კატასტროფა, რომელსაც იგი არ შეეძლო დაეხმოს. „ალბათ, აცინებს ჩემი სისულელე“, — გაიფიქრა და ზეზე წამოდგა. მიმოიხედა. ყველას ეძინა. ჯიბიდან დედის მიერ გამოგზავნილი ბარათი ამოიღო. უფერულ შექს მიუახლოვა. ბარათს დააჩერდა და ერთი ადგილი შესამედ გადაიკითხა:

„მე რა ვქნა, შვილო! შენი ძალი დავმარბეთ გუშინ, რომ აღარ სჩანდი, არაფერს სჯამდა. მე კი ცოცხალი ვარ. სთქვი, შვილო, სიმართლე. სიმართლე, შვილო. რა მოგივიდა? რატომ ჩაიდინე? ცოცხალი დამირჩი, შვილო. სხვა რა გაეწყობა! ათი წელი ჯანდაბას, შვილო, — შეგამცირებენ. სიცოცხლეს კი ვეღარ დაიბრუნებ. სიმართლე, შვილო, უბედური დედის რძე თუ გიწოვია“. ბოლოში მიწერილი ჰქონდა: „ეს წერილი შენმა თემურმა დამიწერა. ის არ მივიწყებს მე უბედურს. შენი დედა ირინე“.

ჩამოჯდა: „აჰ, დედა ჩემო! სიმართლე? ისე მოეწყო, განა შეიძლება სიმართლის აღდგენა? ვინ დაიჯერებს? მაგრამ სიმართლე სრულად მამართლებს? სასამართლო ჩქარა იქნება. შემდეგ კი ციხე. უფრო შვიდი იქნებოდა სიკვდილი. კედლებს ჩამოანგრევს ამდენი ფიქრი“.

ჯიბიდან წინასწარ მომზადებული ქალაღი და ფანქარი ამოიღო და ასე დასწერა: „ჩემი ამბავი“:

მან სწორედ იქიდან დაიწყო, სადაც იწყებოდა მისი ეთერისადმი ბავშვური სიყვარული. ბავშვობის ხანა უკვე გაიარა. სწავლისა და სიყვარულის მხიარულ დღეებს მიაღწია. ესეც მოათავა. შემდეგ ვნებიანი დღეები დაიწყო. სიყვარულის მღელვარების ამბავს რომ სწერდა, ძარღვები „უთამაშებდა“. თვალეები დახუჭა და ფანქარი გააგდო, მაგიდაზე შებლით დაეყრდნო, აღარ იძროდა. თითქოს ახალ ძალას იკრებსო. იყუჩა დიდხანს. შემდეგ ისევ ასწია თავი, ფანქარი აიღო და წერა განაგრძო:

„მაგრამ მე გრძნობა მაწუხებდა. ეს ხომ ჩემი ავადმყოფობის შემტევა იყო. მე ამ სენმა ბოლო დროს ჭკუა წამართვა. გონება დამიხშო. მე ხომ ისეთი სასმელი შევესვი... როგორ დამათრო! ეს ღვინო კი არა, რაღაც სხვა იყო... იყო?“ — აქ კითხვის ნიშანი დასვა და მერე განაგრძო: „მონღლება ვეღარ მოვახერხე. მაგრამ რაც დარჩა და ვეღარ შევსვი, იმან, ასე მკონია, უფრო ვაადიდა ჩემი სისულელე. ალბათ, მართალია: თუ ლოთმა არ დალია — მოკვდებაო. ამხანაგებმა წყალი დამასხეს. თვალი გავახილე. გონზე მოვედი: აი, ნამდვილი წამალი! როგორ გადავჩრი. — ფიქრობდი მაშინ. სახლში ებრუნდებოდი; მაგრამ... დამიჯერეთ, ამხანაგებო, დამნაშავე მე კი არა, ჩემი სისუსტეა, და ჩემი სისულელე. ყურში ჩამწიეის მამაჩემსავით იმერეთიდან გამოქცეული მეწისქვილე ონოფრეს სიტყვები: — სისუსტე, სისუსტე, სისუსტე. — აი მტერი, ჩემო ბაბუა!“ ჩემი სისუსტე! ჩემი სისულელე კარგად გავიგე. ყველაფერი ვიცოდი,

მაგრამ სრულად ვერ დაეძლიე. მე უკვე მოწამლული ვეყავი, მაგრამ მაშინვე და მამაჩემმა და მოხუცმა თხოვეს, ასე მგონია დაიჯივნიყო და ხომ დაევივდიან. როგორ ტყბილად დაიწყო — როგორ გამწვავდა! შემკანარ ყვავილს სულს უბერავდი. გაცოცხლება მინდოდა, მაგრამ ამით უფრო ვაქრობდი, ვცნოსავდი, ესუნთქავდი იმ გასაოცარ, სურნელოვანი ყვავილის ჰაერს. იგი მის გულში იყო, ვფიქრობდი, მოთავსებული (ეჰ, როგორ ვცდებოდი). მეშინოდა, არ დამკნარიყო. ვართოდი, ვკანკალებდი. ის ჩემი იყო — ჩემი სასწაული! მე მასში ვარსებობდი?.. სუნთქვა წამართვა. ის თითქოს სათუთი იყო. მაინც ძლიერი. ბავშვებიდან ვწერდი წერილებს, პატარა ლექსებს. თითქოს აზროვნებაც სიყვარულმა მასწავლა. მაგრამ ბოლოს მანვე წამართვა და გადაშრია. გამიგეთ ამხანაგებო! ჩემი დანაშაული მაინც დიდია. თქვენ მაინც უნდა გამიგოთ, რადგან საკუთარი თავი დაეკარგე და ვერ გამეგო, სად იყო ის. ცული არ მინდოდა. ეს კარგად ვიცი, მაინც დამნაშავე გამოვედი. ეს მართალია, მიზეზი უკვე გაიმბეთ... მაგრამ ჩემი სისუსტე და სისულელე ხომ მაინც ისე ჩემი ბრალია?“.

ამის შემდეგ დაწერილებით ასწერა, თუ როგორ მოხდა მისი ჩაყვარება. ბოლოს ისევე თავისი ახლანდელი მდგომარეობის აღწერაზე გადავიდა.

წამოდგა, ნაწერი დაკეცა, ჯიბეში ჩაიღო და ვიწრო ფანჯარასთან ბარბაცით მივიდა.

განთიადთან ერთად წამოშლილი სოფლებების განუწყვეტელი ხმაური სარდაფშიაც მოისმა. თითქოს ეს ხალხი ზეიმში მიდისო — ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა ნოდარზე მათი ხმაური. თავის საწოლს ძლივს მიატანა და ზედ წაიქცა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



პიროსპირო

რომანი
მეოხე წიგნი

„რადგან მე არ ვიცი ქურდ-ბაცაცების უბანთა
ენა და არც მათი ჩვეულებანი, აგრეთვე არც ის მრ-
გალენობრივი საუბრები, რომლებიც, მაღალი წრის
რომანისტების აღწერით, სალონების მბრძანებელ პო-
ეტებს სჩვევიათ, ამიტომ იძულებული ვარ, თქვენის
ნებაართვით, მოკრძალებით მივეცე ხელი საშუალო
ხაზს, შევარჩიო ის სცენები და ის პერსონაჟები, რო-
მელთაც მე ყველაზე უფრო კარგად ვიცნობ“.

უ ლ ი ა მ მ ე დ ი კ ს ი ს ტ ე კ ე რ ე ი :
„ამაოების ბაზრობა“. ტ. I, თავი VI.

გ ა ნ ხ ა შ ი *)

ტერეზა სტუმრებით ისევ კარისმერეთში ჩავიდა. შუადღე გადასული
იქნებოდა, როცა კორნელი და „ჭრისტეს ფეხის მკამელი“ და „მაკვარან-
ცი“ აგოია მსხალზე ავიდნენ. აგოია მწიფე და ქარვისფერ მსხლით იე-
სებდა უბეს. მერე მიწაზე ეშვებოდა, კასრში ჰყრიდა და ჭაში უშვებდა
ოწინარით. ძლიერ უყვარდათ მხეიძეებს ჭაში ჩაცვივებული მსხალი. აგოია
ხეს კენწეროში მოეჭვა. თრითინასავით ბტოდა ტოტიდან ტოტზე. კორ-
ნელი კი კაკვით იწვედა მეზობლის ეზოსკენ ვადაზნეჭილ ტოტს. მოუ-
ლოდნელად გაისმა ზარის გუგუნნი. აგოიამ მუხლი მოღუნა. მაიმუნით
ჩამოეკიდა ტოტს და განცვიფრებული თვალები მიანათა კორნელის: რა
დროს ზარის რეკააო? მერე თოფის სროლა ატყდა. ტყვიამ გადაიწვილა
კენწეროზე და კორნელის ხელიდან კაკვი გაუსხლტა. ნაღვლიან ძახილით

*) იხ. „მნათობი“ № 4, 6 — 7, 8 — 9.

აიშალნენ მახლობელ ხეებიდან მალაღურები. აივანზე ქალებზე დაიძახეს: რა ამბავიაო.

განუწყვეტლივ რეკდნენ ზარს და ისროდნენ თოფს.

— ჩამოდი! — დაუძახა კორნელიმ აგოიას და ხიდან მიწაზე ჩახტა.

იონა, კორნელი და აგოია ბაზრისაკენ გაეშურნენ. ყოველის შხრიდან მორბოდნენ შეიარაღებული ჯარისკაცები და გლეხები. ერთმა მათგანმა უთხრა იონას:

— განგაშია!

რაზმელები ეკლესიის გაღვეანთან გროვდებოდნენ. ბიძინა შარაბიძემ იონას წასტორჩულა:

— ქუთაისიდან წამოსული მთავრობის ჯარი ყვირილას მოსდგომია. ცუდად არის აჯანყებულების საქმე.

გაღვეანთან, უზარმაზარ ცაცხვების ქვეშ, შეიარაღებული ხალხი ტრიალებდა. ნიკო გოცირიძე, კირილე მეძმარიაშვილი, მუშა ფრუიძე, გალაქტიონ გელაშვილი და რაქდენ ტურიაშვილი ცალკე იდგნენ.

— დადექით! — დაიძახა გელაშვილმა. რაზმი დაეწყა.

ისევ გაისმა გალაქტიონის ძახილი:

— სმენა! — მწყრივში ოთხოთხი დააყენა, — ნაბიჯით იარ! — დაიძახა და რაზმი გზაზე გაიყვანა.

ბიძინას გაეცინა:

— გალაქტიონი მეთათური გამხდარა!

იონამ უპასუხა:

— შეხედე, რა კარგად მიდიან!

ნიკო, კირილე, მუშა ფრუიძე ეტლში ჩასხდნენ, რაზმს გადაუსწრეს და დაოთხილმა ცხენებმა გააქროლეს. ბაზარში ესტატე და პლატონიც გამოსულან. ახალმა ამბავმა დიდად შეაშფოთა ესტატე:

— ხათაბალა თუ გინდა — ეგ არის! როგორც ჩანს, ქუთაისიდან ჩამოსული ჯარი ბრძოლით დაიკავებს აჯანყებულ სოფლებს. აჯანყებულებს დიდძალი და ჩინებული რაზმი შეუდგენიათ. კარისმერეთიც ბრძოლის უბანში მოექცევა. ქალების აქ დატოვება სახიფათოა. როგორმე უნდა ჩავიდეთ შორაპანში და თბილისისკენ მიმავალ მატარებელს ვავეყვით!

გიგო თაყაიძემ მოკრძალებით უპასუხა თავადს:

— ვშიშობ, შორაპანამდე უხიფათოდ ჩახვიდეთ, ბატონო. გზები შეკრულია და მგონი შორაპანიც აჯანყებულთა ხელშია.

ბაზრობა დღე იყო, მაგრამ ახლომახლო სოფლებიდან თითო, ორორი გლეხი-ლა ჩამოსულა სავაჭროდ. გლეხები ამრეზით ისმენდნენ ნასწავლი ხალხის საუბარს. ვაჭრები და ტერეზას ყანის მოზიარე გლეხი ჯაჯანა მენჯავიძე კი დიდის ამბით მიესალმენ იონას, კორნელის, ესტატეს და პლატონს. ჯაჯანამ ნაბდის ქუდი მოიხადა და აქაქანდა:

— არა დაუჯერეს, ბატონო, ბერიკაცს. მე მუდამ ვაფრთხილებდი იმ აცერცეტებულ ბიჭებს: მოიცადეთ, მთავრობა დღეს თუ ხვალ მიწის დგვირიტებს მეთქი. — მერე გლეხებს მიუბრუნდა და უთხრა: უკახვე უკახვე — ძანდით და დაუდევით წინ მთავრობის ჯარს!

— დაუდგებით. ახლა გაიგე? შენ კი მოწყდი აქიდან... — დაუყვია მოძველებულ ჩოხაში გამოწყობილმა შავწვერა გლეხმა. შაშხანა ჩამოიღო. ხელი ჰკრა ბეჭში და შინ წასვლა უჩიბა.

შავწვერა — ვაბო შველიძე იყო. ნიკო გოცირიძის მეზობელი, რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. იგი ორმოცდახუთი წლის კაცი იქნებოდა. ქერა რაზმელი, ერთი ნოქარი და ადგილობრივ სკოლის ორი მოწაფე ახლდა. ესენიც შაშხანებით იყვნენ შეიარაღებული. ჯაჯანა გაჯანჯლდა.

— ვინ მოგცა უფლება, სიტყვას რომ მართმევ და მოხუცებულ კაცს ხელს მკრავ? მე ჩემი აზრი მოვასხენე ამ ხალხს!

— შენი აზრი შინ შეინახე! დამიჯერე, ჯაჯანა, ასე აჯობებს! — უბასუხა შველიძემ და კიდევ მიაწვა ხელით და ბაზრიდან გააგდო. მერე სამკითხველოს წინ შეკრებილ ადგილობრივ ინტელიგენციას. — ეჭმს, პრაეზორს, მასწავლებლებს და სტუდენტებს — წინადადება მისცა დაშლილიყო.

ხალხი წავედწამოვიდა. იონა, ესტატე და პლატონი შინ წავედნენ, ხოლო სტუდენტმა ბიძინა შარაბიძემ სთხოვა ამხანაგებს, გიორგი თავაძეს და კორნელის, სამიკიტნოში შესულიყვნენ, პური ექამათ და ერთი ბოთლი ლვინო დაელიათ. ამათაც ხათრი აღარ გაუტეხეს.

კარისმერეთის ბირჟა

რაკდენ გენძეხაძის სამიკიტნო ყველაზე უკეთესი იყო კარისმერეთში და აქაურები „ბირჟას“ და „რესტორანს“ უწოდებდნენ.

მთავრობის ჯარის ყვირილზე მოსვლა ელვის სისწრაფით მოსდებოდა კარისმერეთის ბირჟას, ბაზარს, მთელ დაბას... ყველანი ამაზე ლაპარაკობდნენ. განსაკუთრებით სოფელ ქინგურიდან ჩამოსული მეეტლეები: კანია, სელოლი, პავლია და ბუკუია.

ჯამბაზად წოდებული ახოვანი და დევივით ღონიერი ზეინკალი ესაუბრებოდა თავის ბიძას — შეძლებულ ვაჭარს, ნიკოლოზ ჩხარტიშვილს. ნიკოლოზს ამავე დროს მამულიც ჰქონდა ჭიათურის მაღაროებთან.

იქვე იდგა ჭიათურის მრეწველი ახალაძე. ქერა, აღნაძული, ჩასუჭებული, შუახნის კაცი, ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი. გულჯიბიდან ოქროს ძეწვეიანი ოქროსავე დიდი საათი ამოიღო. „სამის ჩეთვერიო“, განაცხადა და მეეტლე პავლია ღვანცელაძე დააჩქარა.

ვაჭარს ნიკოლოზ ჩხარტიშვილს ღიპზე ძლივს სწევდებოდა ჩოხა. ტოტებიანი შარვალი და „რაგოვის ტუფლები“ ეცვა. თავზე კილის სწ-

ზაფხულო შლიაპა დაეხურა. ასე იყო შეხამებული მის შორეთელობაში აზია და ევროპა. ნიკოლოზი ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. მრეწველს ახალაძეს მიაცილებდა ქიათურაში და საიდუმლოდ მუშაობდა. გერმანულ ფირმასთან ავალეზბდა მოლაპარაკებას მის მამულში მუშაობის დაწყებისათვის. ბოლშევიკების გამარჯვება თავზარსა სცემდათ.

ამ დროს იასონ ჯანჯღავა შემოვიდა. იასონს ყველამ თავმდაბალი სალაში მისცა. უფრო კი ვიგო თავაძემ. სტუდენტური ქუდი მოიხადა და თავი მიწამდე დაჰხარა. იასონი დახლთან მივიდა, მიკიტანს რაედენს ერთი ჩარეჭა ღვინო ჩამოასხმევინა. რაედენმა პურის ნამცეცი დასჭრა. უზარმაზარი საათის გასაღები და ჯაჭვივით მსხვილი ძეწკვი მკერდზე სცემდა. თევშზე დაწყობილი ორი ნაჭერი ყველი და კიტრი შემოსდგა დახლზე და იასონს ქვევიდან აჰხედა: „რას იბღვირები? რაც მოგიტანე. ესეც არამია შენისთანა კოტორისთვისო!“ — ფიქრობდა. ჯიბეზე აკვირდებოდა: „ფული უზიკინობს თუ არაო“. იასონმა დაუძახა ახალაძეს, ნიკოლოზ ჩხარტიშვილს და ზენიკელს — ჯამბაზს. ბირჯაზე გალაზღანდარებული მეეტლე ნედილიცნეები პავლია და მისი ამხანაგები — კანია, სელოლი და ბუკუია შორი-ახლოს იდგნენ და ჰფიქრობდნენ: იასონი დაგვიძახებს თუ არაო. თუთუნს ახვევდნენ გაზეთის ქაღალდში და ღვინით ავსილ ქიჭებს თვალს არ აშორებდნენ.

— მოკიდეთ ქიჭას ხელი — სთხოვა მათ იასონმა.

პავლიამ სვანური ქუდი მოიხადა, გაიღიმა და დაჭრილი ქორციით მხარჩამოგდებული წავიდა დახლისაკენ, მას სელოლი და ბუკუიაც მიჰყვნენ. პავლია ყვირილისკენ წამოსულ ჯარისა და სოფელ სარბევთან მომხდარ ბრძოლის ამბავს უყვებოდა დილიდანვე ხალხს:

— გაეარდა თუ არა თოფი, იმავე მინუტში ვწვავთე უფე ცხენებს კნუტი. ვოყები მიუშვი. დევეშვი და დევეშვი. შემეშინდა: ფაიტონს კალოსები არ მოძერესთქვა. ტყვიები, მაღლა კოზლაზე რომ ვიჯექა, ყურთან მიარდა. შემეშინდა: მაგ შობელძაღვლებმა არ მომარტყან თქვა! — პავლიამ დალოცა იასონი და ღვინო გადაჰჭრა. ჩამოტყავებულ თვალში ცრემლი ჩაუდგა. კარისმერეთის ბირჯაზე „სვინტალად“ წოდებულმა, ქერა უღვაშზე ხელი გადაისვა და იასონის ქებას მოჰყვა:

— იცოცხლე, იასონ, დიდხანს! კაცი ხარ ქვეყანაზე: პურმარილიანი და მხარჯველი! კაცს ფულის შოვნის შნოც უნდა ჰქონდეს და პურმარილისაც! — მრეწველ ახალაძეს და ეაქარს ნიკოლოზ ჩხარტიშვილს გადახედა. ესენი დასტურის ნიშნად თავს იჭნევენენ, მაგრამ პავლიას სიტყვიდან მხოლოდ „ფულის შოვნის შნო“ უჯდებოდათ ჭკუაში, ხოლო რაც შეეხება „პურმარის“ და ჭეიფს, ეს სრულიად უანგარიშოდ მიიხნდათ. მიუხედავად ამისა, პავლიას მაინც ცბიერად ემოწმებოდნენ, კვრის უკრავდნენ, მაგრამ უღვაშებში ქვეშ-ქვეშ იღიმებოდნენ და ასე ფიქრობ-

დნენ: „დიახ, როგორ არა? ნეტავი დედა ჩვენს: თავი გადავდევნო ველ-
ლიტოთ და ვიქუცოთ, ფული და ჭონება ტანჯვით შევიძინეთ და მერე
თქვენისთანა აუარებთან შევქამოთ! მეტი არ იხარა თქვენს მხედველას
დაწვა და არ ადგა თქვენი გვერდები!“

— ღმერთმა დასწყევლოს კრიტიკი კაცი! — ჩაერია ლაპარაკში მი-
კიტანი რაქდენიცი.

— იასონ, შენ რომ მეზობელი გყავს, იმისგან მართლაც ღმერთმა
დაგიფაროს, კაპიტსაც ვერ გააგდებები! — შიძახა იქვე სუფრაზე თავის
ამხანაგებით მოქიფემ, ყოფილმა სტუდენტმა ვანიკო ლოლაბერიძემ.

— რომელი? — ჰკითხა იასონმა და ბუზრის ქუდი თავმომწონედ გაის-
წორა.

— სამსონი! — უპასუხა ღვინით აჭარხალებულმა, ცქრიალა, უგონო
და მხიარული თვალებით ვანიკომ.

ახალადის მეგობარი სამსონიცი ქიათურის მრეწველი იყო. ვანიკოს მიე-
შველა პაველია:

— ამბობენ ალესილი დანა უღვეს ჯიბეშიო!

იასონი ღიმილით შეეკითხა:

— რათ უნდა, ბიჭო. სამსონს ალესილი დანა ჯიბეში?

— რათ უნდა და ჯიბეში ფულის ამოსაღებათ ხელი რომ ვინმე ჩა-
მიყოს, ზედ შეაქრიოს!

იასონმა, ვანიკომ და მისმა მეგობრებმა გადინახარეს. მრეწველი და
ვაჭარი უზერხულობას გრძნობდნენ, მაგრამ ძალაუნებურად ისინიც ილი-
მებოდნენ.

კუთხეში ისხდნენ კორნელი, გიგო თავიანთ და ბიძინა შარაბიძე. ისინი
გულისყურით უსმენდნენ სამიკიტნოში მოქიფე ხალხს. სწავლაზე და-
ხარებულნი სტუდენტები თავს არ უყადრებდნენ გალოთებულ, გალაზ-
ლანდარებულ თავიანთ ამხანაგებს, უფრო კი მეეტლეებს. კორნელისთვის
სრულიად ახალი სამყარო იშლებოდა.

— ფულს, ის პატრონმკვდარი სამსონი, ამხანაგობაში არ შექვამს,
გაქვირებაში და ვაყვაცობაში არ გამოგადგება. აბა, რა ჭირად მინდა მა-
გის ფული! — ტრაბახობდა ღვინით შეზარხოშებული სპეკულიანტი
ანტუშა ნიორაძე, რომელიც უმასპინძლდებოდა სამიკიტნოში ვანიკო
ლოლაბერიძეს, გალოთებულ სტუდენტს სერგო ჩხეიძეს, მასწავლებელს
ანდრია კოვზირიძეს და პროვიზორს მიშა წეროძეს.

სპეკულიანტი ანტუშა ნიორაძე ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. ან-
ტუშა და მისი სტუმრები ღვინის სმითა და ქეიფით შეკავშირებული მე-
გობრები იყვნენ. ამ უსაქმო და ლოთ ახალგაზრდებს ღვინის სმა და ქეიფი
ესიზმრებოდათ ყველგან, სადაც კი დანა-ჩანგალი და საინი გაიხზო-
ლებდა. ანტუშა ცოლშვილიანი იყო. ცოლად ნასწავლი ქალი შეხვდა.

თითონ სამოქალაქო სასწავლებლის ოთხი კლასი ჰქონდა დამზავებული. ამ გარემოებით ერთგვარად დაზარალებული, იგი ე. წ. კარისმეურთის ინტელიგენციას“ მისწებებოდა. ევროპულ კოსტუმში გახდებოდა. ბინაც ევროპულ ყაიდაზე მოეწყო და ცოლი ბიანინოზე აბრაზუნებდა. ანტლუშამ ვანიკოს აკოცა და შემდეგ ენაბრგვილი სიტყვა წარმოსთქვა:

— მე თქვენდონი კლასიკური ცოდნა არა მაქვს, მაგრამ, უნდა გითხრათ სიმართლე, მე არ მომწონს გიგო და ბიძინასთან ხალხი, მუდამ წიგნს რომ ჩიჩქნიან და თავი პროფესორებად მოაქვთ.

კორნელი იშვიათი სტუმარი იყო კარისმეურთისა, მას არ იცნობდნენ და ამიტომ გადაარჩა. გიგომ გაიგონა ეს სიტყვები და ენამწარედ მოუქრა:

— წიგნი, ბიჭო, რა შენი საქმეა!

— არა, უკაცრავად, სრულიად არა! — ცხარობდა ანტლუშა, — მე სწავლის და წიგნის წინააღმდეგი არ ვაზღავარ, მაგრამ არ უნდა გამოწყდეს კაცი ტოლსა და ამხანაგებში!

— მარტო წიგნი რა ჩემ ფეხებად მინდა? გამოათხელებს კაცს: დალუბე იქით! — ამბობდა პავლია, რომელიც სამოქალაქო სასწავლებელში იყო ერთ დროს მოწაფედ, მაგრამ შემდეგ წაეტეხნა ფეხი ანტლუშასავით.

— სწორია! — დაუდასტურა პავლიას ბუკლიამ.

— ესეც შენი ამხანაგები და მეგობრები! — დაუძახა გიგომ.

— როგორ, ესენი ადამიანები არ არიან თუ? შენ ხარ, შე ჩემო ნალა, ამის შემდეგ სოციალისტი? — დაიძახა ბრაზით ანტლუშამ.

— რაცა სოციალისტია, იმასაც გევიგებ, დედა ეტირება! — შესძახა პავლიამ.

— პროფესორები! — დამცინავად დაიძახა ანტლუშამ და მის მიერ დაპატიებულ ამხანაგებს მოაგონა: — გიგოდან, მშაო, ერთი ბოთლი ლვინოც კი არაღვის ახსოვს! ვისაც ლვინო და პურმარილი არ უყვარს, მისი არც სოციალისტობა და არც სწავლა მჯერა!

— შენისთანა ხედავთან შეეკამ, ბიჭო, მე პურს? — გადასძახა გიგომ ბრაზით.

იასონს გაუკვირდა: ეს რა ამაყი ვინმე ყოფილაო.

— ვის უბედავ, შე ჭირიანო, ხედავგის დაძახებას? შენი... — დაიღრიალა ანტლუშამ და ჯიბეზე ხელი მოისვა, მაგრამ ბიძინა შარაბიძე სწრაფად გახტა განზე და რევოლვერის ამოღება მოასწრო. მრეწველი და ვაჭარი კარში გაეარდნენ.

ამ დროს იასონმა დასუტქა:

— ანტლუშა, დაჯექი მე შენ გიბრძანებ! შენ ეი, ყმაწვილო, ნუ ვაეკოცობ... ენა ჩაიგდეთ, ხმა არ გამაგონოთ, გული არ მომასვლევინოთ, თორემ! — გასცა განკარგულება თვალების ბრიალით იასონმა და მყისვე წეს-

სტუდენტები. კორნელი თოფნაკრავივით შემოტრიალდა, ტენატურად უბრწყინავდა თვალეზი. მტკიცე ნაბიჯით გამობრუნდა და მისი მხიანვე გამომეტყველება ჰქონდა, რომ მისი შემხედვარე კარგი უმეტესად უმეტესად ბოდა. სწრაფად გააქანა და შემოჰკრა მუშტი სახეში პავლიას, პავლია იატაკზე გაგორდა. ტუჩი გაუსკდა და ხახა სისხლით ავესო, წამოდგა. წამოიჭრა ანტუშაც. გამოდით, თქვენი დედა!.. დაიძახა კორნელიმ, კუნთები დაქიმა. მოემზადა და საბრძოლველად დაერქო ერთ ადგილას.

იასონი შუაში ჩავარდა. ანტუშა და პავლია გააჩერა. მერე ხელი მოჰხვია კორნელის, კარში გაიყვანა და სტუდენტებს უთხრა:

— წადით, მოშორდით, მეეტლებთან ჩხუბი რა თქვენი საქმეა! — როდესაც სამიკიტნოში შებრუნდა, სიცილი ველარ შეიკავა:

— ეს რა უბედურად დაგარტყა?! ბოქსი სკოდნია იმ შობელ ძალს! პავლიამ სისხლი მოინოცა. ორი კბილი აკლდა. სისხლის დანახვაზე აებთო. ხორცის საჭრელ ფართო დანას წაავლო დახლზე ხელი და გარეთ გავარდა. იასონი მიჰყვა, ხელი სტაცა და სამიკიტნოში ბურთივით შეავლო:

— ვიზე იღებ, ბიჭო, შენ დანას? იცი, რა უდიდესი ხირურგის და მეცნიერის ძმია მაგი?

ბახარში თავმოყრილი ხალხი კარებს მიაწყდა თვალის სეირისათვის. მალე სამიკიტნოში გაბო შევლიძე შევიდა და იკითხა: რა ამბავიაო?

— არაფერი ამბავი არაა, ბიძია! — უპასუხა ავდებულად იასონმა.

მასწავლებელი ანდრია შარაბიძე წამოდგა, შევლიძესთან მივიდა, ყურში რაღაც წასურჩულა. ამის შემდეგ გაბო შევლიძე კარში გავიდა.

— შენ რას ჯაშუშობ? რა უთხარი შევლიძეს? — ჰკითხა იასონმა.

— არაფერი... აუხსენი: არაფერი ყოფილა ისეთი მეთქი, — უპასუხა ანდრია.

ამის შემდეგ ისევ დაიწყეს ქეიფი.

იასონს სამი ცარიელი ბოთლი ედგა წინ. მიუხედავად იმისა, რომ სამიკიტნოში გაისმოდა ესოდენი ჭება პურმარილიან და მხარჯველ ადამიანისა, ვაჭარი ჩხარტიშვილი და მრეწველი ახალაძე ამ ანკესზე არ ეგებოდნენ, არც ერთ ბოთლ ლეინოს არ ითხოვდნენ და სდუმდნენ. იასონმა რაქდენს ჩაულაპარაკა:

— ორი ჩარექი კიდევ მოიტანე!

მიკიტანმა წაუყრუა. იასონმა გაუმეორა:

— ჩამოასხი მალე ორი ჩარექი!

რაქდენი ისე დააცქერდა, თითქო ეკითხებოდა: „გაქვს თუ არა, შევილოსან, ფული, ასე რომ გულუხვობ?“ იასონი გაბრაზდა. თვალეზის ბრიალით უთხრა:

— რას მომჩერებხარ? ლეინო, მალე!

რაქდენს შეეშინდა. თავი ჩალუნა და ტიკებისკენ აბურდღულულებული დათვივით წავიდა:

— შენ გადამიშენდი მანდამაინც, იასონ! შემოჩენილიაქ თუ უთხარი რამე, ჩხუბს და ყაილას ამიტხავს!

ორი ჩარეჭი შემოდგეს დახლზე. კანიაშ პავლიას გადახედა: თვალე-ბი კატასავით უბრწყინავდა, თითქო ეუბნებო: გამოაქყიტე, შე უპატრო-ნო, ეს დასაწვავი თვალეები, ხომ ხედავ მუქთ კუბოში ჩავეჭკითო! მაგრამ პავლიას ღვინის თავი არა ჰქონდა და მალე გაიპარა სამიკიტროდან.

პ ა ტ ი მ რ ა მ ბ ი

სტუდენტები ენდელაძის სამიკიტნოს პატარა ოთახში ისხდნენ. ქადს, სულგუნს, ძმარგადასხმულ პამიდორს, კიტრსა და შემწვარ წიწილს შე-ექცეოდნენ. სასიამოვნო ღვინო იყო და ამიტომ მესამე ბოთლს სცლიდ-ნენ. ქუთაისიდან მთავრობის ჯარის მოახლოვება და კარისმერეთში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარება აღელვებდა მათ და ყოველი-ვე ეს მსჯელობის საგანს შეადგენდა.

— აჯანყებულებს ეგონათ, რომ ქვეყნის შიგნით შექმნილ ანარქიას ასე ადვილად აპატიებდნენ! — დაიწყო შეზარბოშებულმა ბიძინამ.

— ჩემად ილაპარაკე. გვერდზე უცნობი პირები სხედან და ყურს გვიგდებენ, — გააფრთხილა გიგო თავაძემ.

— იოკიმე აბულაძე და სტეფანე სირბილაძე დაატუნალეს. ციხე თა-ვად-აზნაურობით აავსეს. გარეთ აღარავინ დარჩა, რომ ხალხს უხელმძ-ღვანელოს. არც ერთი ყოფილი ოფიცერი. კორნელი, შენ მხედარი ხარ, ომში ნამყოფი და უნდა მონაწილეობა მიიღო ნოდარ ყიფიანის მიერ ფართლად შედგენილ რაზმში — განუცხადა კორნელის ბიძინამ.

კორნელი შეკრთა:

— მართალი ვითხრა, ჩემს სამშობლო სოფელში მე არ მინდა... არ შემიძლია ნიკო გოცირიძეს, გალაქტიონ გელაშვილს, ყოფილ ჯარის-კა-ცებს და ადგილობრივ გლეხებს ვეომო... ოსმალეთთან და გარეშე მტრებ-თან ბრძოლა სხვა არის...

— რა დროს მერყეობაა! — შერისხა კორნელი ბიძინამ. — აბა, რო-გორ გინდა!? მე უკვე ჩავეწერე ნოდარ ყიფიანის რაზმში...

-- რამდენი კაცი ჰყავს ნოდარს? — შეეკითხა გიგო.

-- იასონ ჯანჯღავა, ზეინკალი ჯამბაზი, ოტია მდივნის მოურავი, ვანიკო ლოლაბერიძე, ანტუშა... ბევრი!

მეტეთე ბოთლი მოიტანეს. ბიძინამ დიდი ჭიქა აავსო და ამხანაგებს მიმართა:

-- გაუმარჯოს საქართველოს!

კორნელიმ ჭიქა აიღო და უპასუხა:

— გაუმარჯოს, მაგრამ ისონ ჯანჯღავას და ანტუშას იმედი... — არ დაუმთავრებია კორნელის, რომ გამო შევლიდემ თუ ვინმე დასწია და ორი რაზმელით შიგ შევარდა:

— გაასწორეთ ანგარიში და წამომყევით, თქვენ დაკავებული ხართ! — გამო შევლიდემ ფერმკრთალი იდგა. ფერი ეცვალათ შეხარხოშებულ სტუდენტებსაც.

— რისთვის გვატუსახებთ, ჩვენ ხომ შეთქმულებას არ გიწყობთ? — აუკანკალდა ხმა გიგოს.

— არ გრცხენია, გამო, შენ გვიპირავ? დალიე ლენინო... — უთბრა ბიძინამ თავის მეზობელს.

— შე თქვენთან ლენინოს არ დავლევ... მალე, წამობრძანდით!

— რას ებოდიშები? — დაიძახა ქერა რაზმელმა და შაშხანა გადმოიღო.

— ვისი განკარგულებით გვატუსალებთ? — შეეკითხა კორნელი.

— რევეკომის!

— არაფერი მესმის! — გაუკვირდა კორნელის.

სტუდენტები გაძალდნენ. მაგრამ გამომ ხელი ჰკრა გიგოს და ბიძინას. ქუჩაში გამოჰყარა. დარცხენილი სტუდენტები თავჩაღუნული მოდიოდნენ შუა ქუჩაზე. ბაზრის ხალხი და ვაჭრები აკვირდებოდნენ. ერთმა ახალგაზრდა ვაჭარმა თავში შემოირტყა ხელი და მეზობელ მიკიტანს უთბრა:

— ბიძინა და გიგო დაუქერიათ და რაღა გვეშველება?

კორნელიმ გაიგონა ეს სიტყვები და ისედაც ნაღვინები ჰარხალივით წამოწითლდა სახეზე. ტუსალები ბანკის შენობის და სამკითხველოს წინ გაატარეს და ბაზარში შემოსავალ ქუჩით წაიყვანეს. მილიციის ეზოში შეიყვანეს და ქვითყარის ლობესთან გააჩერეს. გამო შევლიდემ სახლის მეორე სართულზე ავიდა მაღალი კიბით, მილიციის სამართველოში. ქვედა სართულში სატუსალო იყო. კორნელიმ დაინახა რკინის კარებთან შეაჩაღებული დარაჯი და რკინის რიკულეზიანი პატარა სარკმელი. იქიდან ტუსალები იცქირებოდნენ. მეორე სართულის აივანზე ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი მილიციის უფროსი გამოვიდა: სტუდენტებს გადმოხედა და დაიძახა:

— შეჰყარეთ ციხეში!

— აბა მალე! — აგდებულად მიჰმართა რაზმელმა, ვილაც ჰბატყმა სტუდენტებს. უკან დაიხიეს და შაშხანები მოლოჩრეს. ციხის დარაჯმა დიდი ვასალები შედო საკეტში. ქუჩიდან და მახლობელ სახლის აივანებიდან ხალხი იცქირებოდა. გიგო და ბიძინა შეშინდნენ. კორნელის ჩაულაპარაკეს: შევიდეთო. გამომ მიიყვანა ისინი კარებამდე. კორნელი აღვილიდან არ იძროდა. სისხლი ყელში მოაწვა. თვალები აემღვრა. გაბრაზებული რაზმელი ახლოს მივიდა, შაშხანა გამართა და შესძახა:

— წადი, მე შენ გეუბნები!

კორნელიმ შაშანაში სტაცა ხელი. რაზმელმა გააფრთხილა.

— ხელი გაუშვი, თორემ გესვრი!

თავდაღწევაამდე მისული კორნელი ყვიროდა:

— მესროლე! რისთვის უნდა ჩაუჯდე ციხეში! მე ჯარისკაცი ვარ, ოსმალეთის ფრონტიდან დაბრუნებული. მე ხომ თქვენ არ გებრძოდი?! მესროლე, მე სიკვდილის არ მეშინია. მესროლე!..

მილიციის სამართველოს კიბეები ჩამოირბინეს რაზმელებმა და კორნელის ალყა შემოარტყეს. ამ დროს მილიციის გვერდით სახლის აივანზე ჭალის კაცილი გაისმა:

— კორნელი, არ გაბედო... კორნელი, შედი ციხეში!

კორნელიმ აივანზე დაინახა მოსამართლე დორეთე ვაწაძე და მისი ცოლი მაშო. დორეთე ძმა იყო ბოლშევიკის, ექიმის პოლიკარპე ვაწაძისა. კორნელის დედის ნათესავმა მაშომ და დორეთემ ურჩიეს კორნელის ციხეში შესვლა: ეხლავე პოლიკარპეს და იონას შევატყობინებთო. კორნელი შეაგდეს ციხეში. მოზრდილი ოთახი სავსე იყო ხალხით. იქ დაუხვდა აგრეთვე ვანიკო ლოლობერიძე, სპეკულიანტი ანტუშა და სხვანი. კედლის გასწვრივ ტახტები იდგა. ხალხი შემოესია სტუდენტებს. იმუქრებოდნენ: ოხ, თუ გავედით აქედან, მაგათ ოხტში კი ამოვალთო. შემდეგ ახალი ამბები გამოჰკითხეს, ვანიკომ დიდი ნესვი გაჭრა და ერთი ნაჭერი კორნელის მიართვა. კორნელის ცეცხლი ეკიდებოდა გულზე. ფრონტიდან დაბრუნებული, ნაბრძოლი და ქვეყნისთვის თავდადებული მებრძოლი დამიჭირეს, ჩემი თავმოყვარეობა ფეხქვეშ გასთელეს და ციხეში ჩამაგდესო, — ფიქრობდა. ტახტზე ჩამოჯდა. საერთო ყაყანს და ბოლშევიკების მიმართ ატეხილ ლანძღვა-გინებას ყურს არ უგდებდა. მოაგონდა დედა, ნინო. ვაი თუ ამ ციხეში დიდხანს მამყოფნო, — გაიფიქრა და კინაღამ არ იტირა. სრულიადაც არ სურდა მოესმინა ციხეში შერეულ ხალხისათვის: ღიბიან მიკიტნისათვის, მამლაყინწა ანტუშასათვის და ჯარისკაცივით უფერულ ტანსაცმელში გამოწყობილ ჩანჩურა ოფიცრისათვის, რომელიც მუშტების ქნევით ემუქრებოდა ბოლშევიკებს და მათი სახლკარის დაწვასა და გადაბუგვას აპირებდა. თავი ჩაჰკიდა და ყოვლად უცნაური ფიქრი ეწვია:

„მთელი ზაფხული გაატარა ნინომ კარისმერეთში. ერთი ხეირიანი კოცნაც კი ვერ მოეპოვებინა და ეხლა ამ ბრბოში უნდა ვიყო და ამათ ლაყბობას უნდა ვესმინო“. ბრაზით გადახვდა ხალხს. ეს ფიქრი თითქო ამოიკითხეს მის თვალებში ტუსაღებმა: აღარავინ არ ეკარებოდა მას. კოცნა ხნის შემდეგ დარაჯმა კარი გააღო და კორნელის გვარი დაიძახა. გიგომ და ბიძინამ გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს და როცა კორნელი გავიდა, გიგომ ბიძინას უთხრა:

— თავადებს და აზნაურებს ფეხებზე ჰკიდიათ საქართველო. იონა ბოლშევიკებს უძვრება და, ალბათ, კორნელიც გადაიბეჭდის. კორნელის მილიციის უფროსის ოთახში იონა დაუხვდა. მილიციის უფროსი, ყოფილი ჯარისკაცი, დაბალი და ბრგე ვაჟკაცი იყო. კუშტად იჯდა საწერ მაგიდასთან შებლშეკრული, ხელში ქალაღს ატრიალებდა, მრისხანე სახით კითხულობდა და გაოცებული ამბობდა:

— როგორ თუ გიგო თავაძეც და ბიძინა შარაბიძეც გავანთავისუფლო? მაშინ ბარემ ვასხნან ციხის კარები და ყველა მენშევიკი და კონტრრევოლუციონერი გამოუშვან!.. არა, მე წინააღმდეგი ვარ. მე მათ ზურ გავანთავისუფლებ.

— რას ამბობ, ერმოლოვ. მე თავდებათ დავდექი. პოლიკარბემ გავანთავისუფლა ეს ხალხი და შენ პარტიის წინააღმდეგ მიდიხარ?

— პარტიის წინააღმდეგ კი არ მივდივარ, ექიმის პოლიკარბე ვაწადის განკარგულებისა. შენ არ იცნობ ამ ხალხს, ამხანაგო იონა, და არც შეგიძლია პასუხი ავო... არა, თქვენ დამიცადეთ აქ და მე ვინახულებ პოლიკარბეს.

იონამ და კორნელიმ დაუცადეს მას ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ მილიციის უფროსი შეწუხებული სახით მობრუნდა. მაგიდასთან დაჯდა. იონასთვის არც კი შეუხედავს. ფანქარი და კალმის ტარი ნერვიულად ისროლა, თანაშემწეს მიახალა ქალაღდი და უხეშად უთხრა:

— გამოუშვი ეს ხალხი! ჩვენც ვმუშაობთ რაღა?!

— ამ კაცის შაშხანა, ნაგანი და ხმალი წამოიღეს, — უთხრა იონამ.

— ჯარში რომ უიარაღოთ დავბრუნდე, ხომ იცით, — განუცხადა კორნელიმ.

მილიციის უფროსი გაბრაზდა: რევიორლვერი, რომელიც ბიძინას ჩამოართვეს, გადასდო და უკმეხად უპასუხა:

— ახლა ისღა მაკლია, კონტრრევოლუციონერები ჩემის ხელით შევიიარაღო! არა, ბიძია, არ დაუბრუნებ მე მაგ ხალხს იარაღს! — ისეთის გადაწყვეტილებით განაცხადა ერმოლოვმა, რომ იონას და კორნელის იარაღის დაბრუნებაზე სიტყვა აღარ დაუძრავთ.

შინ გულშემოყრილი დედა და ნინო დაუხვდა კორნელის. ასეთი ამბების მოწამე ვახდა იგი ფრონტის უკან, ზურგში.

ფ რ ო ნ ბ ი



„... საქართველოს დამოუკიდებლობისთვის შეტანილ ხიშტებისა და მენშევიკურ ხეტოვანობისთვის შირი ბოლშევიკურ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“.

ლ ე ნ ი ნ ი: საკ. ცაკ.-ის შეერთებულ სხლ-
მაზე წარმოთქმულ სიტყვიდან. 1918 წლის
29 ივლისს.

რიონის ველისა და აჯამეთის ტყის იქით ერთბაშად აწვდილან მთაგორები. ვიწრო ხეობაში შესავალ კარიდან გამოდის აქაფებული მდინარე ყვირილა და ზედ შემდგარი ხიდის გარეშე შეუძლებელია ხეობაში შესვლა. ქუთაისიდან წამოსული ათასეული პოლკოვნიკ რევანიშვილისა და სამთო ბატარეა კაპიტან ხიდაშელის მეთაურობით მიუახლოვდა ამ ხიდს, მაგრამ ფიცარი და მოაჯირი აყრილი აღმოჩნდა, აჯანყებულ გლეხებს აეყარათ იგი და მდინარისათვის გაეტანებიათ. მშვერავი რაზმი უკანვე გაბრუნდა და ეს გარემოება პოლკოვნიკს რევანიშვილს შეატყობინა. ხიდანვე შეიდი კილომეტრი იქნებოდა და პოლკოვნიკი ბრძოლით დაკავებულ სოფელში — სარბევში შეჩერდა იმ განზრახვით, რომ ხიდზე ფიცარი დაეგო, ჯარი ყვირილაზე გადაესხა და ასე შესდგომოდა აჯანყებულ სოფლებს დამორჩილებას.

რევოლუციური შტაბი — ნიკო გოცირიძე, კირილე მემშარიაშვილი და მუშა ფრუიძე — სოფელ ქონგოურაში ჩავიდა.

გლეხები და ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, თითქო ღრეობააო, ისე დამსხდარიყვნენ ჯარჯარად სკოლის ეზოში კაკლის ქვეშ. ზოგს ფეხზე გაეძრო, ზოგი ქადა და ყველს შეეპტეოდა, თუთუნს სწევდა და ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს უსმენდა. გლეხები წამოდგნენ და მიესალმენ ნიკოს.

გალაქტიონ გელაშვილს და რაჭდენ ტურიაშვილს გაუგზავნიათ მცარე რაზმი, რომელსაც ციხისთავის ხეობაში შემოსავალი კარი დაუქერია. მთაზე, საფარში, მუშა ფრუიძის მიერ ჭიათურიდან ჩამოტანილი ტყვიამფრქვევი დაუდგამთ. ტყვიამფრქვევი ყოფილ ჯარისკაცისათვის გიორგი აბესაძისათვის ჩაუბარებიათ. გოცირიძე კმაყოფილი დარჩა რევოლუციური შტაბის წევრის გელაშვილის მოხსენებით და მებრძოლებს გადახედა. ერთს შაშხანა გამოართვა, საკეტი გამოაძრო, ლულაში ჩაიხედა და ცუდით უელიო შენიშნა. შორი მანძილისთვის საჭირო დამიზნება აუხსნა.

— კაცს თუ თვალი მოვატანე, არ დავაცილებ! — დაიტრაბახა გლეხმა.

— შაშხანა სანადირო თოფი კი არაა, ას საფანტში რომ ერთი მო-
არტუა! — დასცინა ჯარისკაცმა.

— ჯავრი ნუგ გაქვს, ამხანაგო, ბერდანითაც მინადევი, — უთხრა გლეხმა.

— ამას რა დაემართა? — იკითხა ნიკო გოციბოძემ და მიწაზე მჯდომ ჯარისკაცს დაჰხედა შიშველი ფეხის იარაზე. გლეხს კოჭზე გადატყაოდა და ანთება ეკიდებოდა. სულს უბერავდა. კირილემ ჩანთა გახსნა. იოლი წასცხო და ბინტით შეუხვია. ჯარისკაცი დაიჯღანა:

— ოცი ვერსი გამოვიარე ამ დასაწვავ გლანებით და ფეხი დამიშავდა..

ნიკომ განკარგულება გასცა და კარისმერეთში მობილიზებულ იქნა ყველა დილიჩანი, ეტლი და ორთველა ბოლშევიკური რაზმისათვის.

წინა დღეს ოცი კილომეტრი გაიარეს ჯარისკაცებმა. ეხლად დასვენებული იყვნენ. ომში ნამყოფი ჯარისკაცები სახელდახელოდ ასწავლიდნენ რაზმელ გლეხებს და მუშებს შაშხანის ხმარებას და სამხედრო წყობილებას. დღისით ეზოში იყრიდნენ თავს რაზმელები, დამით კი სოფელ ქონგურის გლებთა ბინებში იძინებდნენ: აივანზე და იატაკზე წვებოდნენ. გარეთ დარაჯებს აყენებდნენ და პაროლიც შემოიღეს. აჯანყებული გლეხები იმედიანად იყვნენ. გვარდიის დამარცხებაზე და ქუთაისის აღებაზე ოცნებობდნენ. კარგ წესრიგსაც იცავდნენ. სოფლის ჰორნახულს და ხილს ხელს არ ახლებდნენ. ნიკო, კირილე, ფრუიძე, ჭიათურისა და ტყუბულის მუშები აწყობდნენ ჯარში საუბრებს მიმდინარე ამბებზე.

კაკლის ქვეშ მეთრმე გლეხები ისხდნენ: ვალაქტიონის მამა გოჯასპირ, რაქდენის მამა ნესტორ და სხვანი. სოფლელებს თავიანთი ურმებით მოჰქონდათ რაზმისათვის საჭირო მასალა, სურსათი. ნიკო, კირილე, მუშა ფრუიძე, ვალაქტიონი და რაქდენი მეთრმეებთან მივიდნენ. მოლზე წამოწვენენ და სოფლელებთან საუბარი გააბეს. მეთრმეები პურს სჭამდნენ. მოხუცმა გოჯასპირმა საგზლად წამოღებულ პატარა ტიკტორიდან ღვინო ჩამოასხა. საესე ჭიჭა ნიკოს მიაწოდა:

— დალიე, გაქვირებული გლეხკაცობის მშველელი და ჩვენი წინამძღოლი ყოფილხარ. ტანი მრთელი გქონდეს და ღმერთმა ბედნიერება ნუ მოგაქვოს!

კირილემ იცოდა აჭაური სოფლელების სისუსტე: ღვინის ზედმეტად სმა. მისი აზრით, ღვინო აჭაურ ხალხს შრომის უნარს უკარგავდა, ამიტებდა. ლბინს, უზრუნველ ცხოვრებას, ლაყბობას და ოხუნჯობას იჩვევდა. ამიტომ გლეხები გააფრთხილა:

— ახლა ბრძოლაში ვართ და ღვინის სმას უნდა ვერიდოთ.

— შე კაი კაცო, ეს რა ღვინის სმაა! — მიუგო ოთხმოცი წლის მოხუცმა გოჯასპირმა.

შეზარბოშებული და გადაკლავებული მეთრმეები ღიმილით შესცქეროდნენ კირილეს და ნიკოს და ეტყობოდათ ღვინის სმის გუნებაზე მოსუ-

ლიყვნენ. მზად იყვნენ სიმღერაც კი წამოეწყათ. გოჯასპირმა ვაღიოში გამოიღო პირიდან, გააპურქყა, არყის ხის ქერქისფერი მოღებულ ბით შეხედა კირილეს და უთხრა:

— აკი გითხარი, ღვინო ძარღვში მიღის და მკლავში და მუხლში ძალას გვმატებს თქვა! მაღე დალიე, ქიქას ნუ აცდენ, ბაბუა!

კირილეს გაეცინა და ჰკითხა:

— რამდენი შეგიძლია, გოჯასპირ, ქეიფში დალიო?

— ქეიფს გააჩნია! გაბმულ ქეიფში ბევრი დამილეცია, — უპასუხა გოჯასპირმა. ვეება ხელის გული გადაისვა თეთრ წვერზე.

დალეულმა ბერიკაცმა — შეურამემ მუხლში წაატანა ხელი და ყველის ვაქარივით ჩაიხითხითა:

— გაბმულ ქეიფში ერთ ჩაფზე მეტს დალევს გოჯასპირ!

ნიკო გოცირიძე დააკვირდა ათას კაცში გამოსარჩევ მოხუცს და შეეკითხა:

— რამდენი შეილი გყავს, ბაბუა გოჯასპირ?

— ათი მყავდა. ახლა შეიდი ქალ-ვაფი დამრჩა და ოთხი შეილი შეილი.

— აუ! — დაიძახა კირილემ.

გოჯასპირმა გადახედა ჯუჯა, ნაყევილევ სტუდენტს და ჰკითხა:

— რა გაგვიკვირდა! შენ რამდენი შეილი გყავს, ბიძია?

— მე ცოლი არ მყავს და შეილი საიდან მეყოლება? — მიუგო დარცხენით კირილემ.

— რა ღმერთი გაგიწყრა მერე! — ჩააფუგუნა გოჯასპირმა.

— კარგი ქალი მე არ წამომყვა და არც მთლად გლახა მინდა, ბაბუა გოჯასპირ, — გაეხუმრა კირილემ.

— შე დალოცვილო, ყველაზე ლამაზ და პირველ ქალს შენ ვინ მოგცემს! შენი ტოლი კი ბევრია იმერეთში, ეძიე. იმას მოკიდე ხელი და ის შეირთე, ბიძია, — დაარიგა ქეთაზე გოჯასპირმა.

ნიკომ და ჯარისკაცებმა გულიანად გადაიხარხარეს.

ამის შემდეგ ნიკომ ქონგურაში საველე ტელეფონი დადგა. ჯარისკაცები შეარჩია და ციხისთავის კარზე დაბანაკებულ რაზმისკენ უბძანა მათულის გაყვანა. ერთი საველე ტელეფონი ეტლში ჩაიდგა და კირილესთან და მუშა ფრუიძესთან ერთად გაეშურა ციხისთავის კარისაკენ.

რაზმს მალალი და მოხერხებული ადგილი დაეპირა. ხელისგულივით მოსჩანდა ყვირილას ხიდი და ველიდან მომავალი გზა. გიორგი აბესაძე დაწვა. ტყვიამტრქვევი გამართა. ხილს დაუმიზნა და დაიკვება:

— ერთ კაკალ კაცს არ გავატარებ ხილზე.

სალამომდე ვაათავეს ტელეფონის მათულის გაყვანა ჯარისკაცებმა და ქონგურა ციხისთავის კარს შეუერთეს.



ქართველთა
მწიგნობართა კავშირი

ლამე იყო. მაღლა, მთის კალთაზე, შეფენილ სოფელს ქონგურას ეძინა. ვარსკვლავები თითქო უფრო დიდი სჩანდნენ მთიდან და ცაზე უცნაურად კაშკაშებდნენ. ღობესთან მუხის მორები ეწყო. ნიკო ზედ ჩამოჯდა. მას მიბაძეს კირილემ, მიზა ფრუიძემ, გალაქტიონმა და რაქდენმა. ისინიც მორებზე ჩამოსხდნენ, და ამ ღამით რევოლუციური შტაბის სხდომა გაიმართა. ითათბირეს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბოლშევიკური რაზმის საომარი მოქმედება. ნიკომ კეშტი სახით დაიწყო:

— გვარდია ყოველნაირად შეეცდება ხელთ იგდოს ხიდი. შეეცდება, არ გაუშვას ჩვენი რაზმი ხეობიდან ველზე. გარდა ამისა, გვარდიის ერთ ნაწილს შეუძლია ზურგიდან შემოვლა და მაშინ, ციხისთავის კარიდან და ზურგიდან ვზაგადაჭრილი, ამ ვიწრო ხეობაში მოვემწყვდევი და ჩვენი დამარცხება ადვილი საქმე იქნება.

ეს გარემოება აწუხებდა ნიკოს და ეს შეადგენდა მის მთავარ საზრუნავს. გალაქტიონმა და რაქდენმა ერთმანეთს გადახედეს. თავი ჩალუნეს უნუგეშოდ, მაგრამ გვარდიის მოსალოდნელ და შესაძლებელ ლაშქრობას ნიკომ თავისი საბრძოლო გეგმა დაუპირისპირა. აჯანყებულ გლეხთა რევოლუციური რაზმი 450 კაცს უდრიდა. ნიკომ გადასწყვიტა 200 კაცის დატოვება ქონგურაში ციხისთავის კარზე მისაშველებლად, ხოლო დანარჩენი 200 კაცი უნდოდა ორად გაეყო და მარჯვენა—მარცხენა ფრთებზე გაეგზავნა მაღლობების დასაქერად და ხეობაზე ზურგიდან მოსალოდნელი თავდასხმის უზრუნველსაყოფად. შტაბმა მიიღო ნიკოს გეგმა. კირილემ შენიშნა:

— ციხისთავის კარის დასაცავად ორმოცი კაცი არ კმარა.

კირილეს აზრით, მთებს შორის დაჭერილ ხეობიდან აჯანყებულები ჯერ ხნობით არ უნდა ვასულიყვნენ ველზე. ციხისთავის ვიწრო კარი უნდა დაეცვა ას კაცს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთმო მენშევიკური გვარდიისათვის ყვირილაზე უნაგირივით დადგმული ხიდი.

— ციხისთავის კარი ისეთი ხელსაყრელი და მონებრებელი ადგილია, რომ იქ ოცი კაციც იმდენსავე გააკეთებს, რამდენსაც ასი, — უპასუხა ნიკომ. ამის შემდეგ ყველანი წავიდნენ, ხოლო კირილე ნიკოსთან დარჩა, მორზე დაწვა და დაღლილს მალე ძილი მოეკიდა.

ორგვლივ ეზოში და სახლის აივანზე ეძინათ აგრეთვე ჯარისკაცებს.

ნიკომ გადახედა კირილეს და ცოტახნის შემდეგ ისიც მორზე გაიშოლტა მთელის ტანით. თავიქვეშ ამოიღო ხელები და თვალები დახუჭა,

მაგრამ მალე გააღო. დიდრონი ვარსკვლავებით მოჭედნილ ცას მიაშტერა და და ასეთმა ფიქრმა წაიღო:

„ნეტავ, რა ამბავია სამეგრელოში და აფხაზეთში? ჩვენს მსოფლიოში და სოხუმი აულიათ. თუ ჩვენი რაზმის ბრძოლა გამარჯვებით დასრულდა, მთელი ზემოიმერეთი გასაბჭოვდება და მაშინ ორის მიმართულებით შეუტევთ ქუთაისს: სამეგრელოდან და ზემოიმერეთიდან. ქუთაისის აღების შემდეგ მთელი დასავლეთი საქართველო ჩვენს ხელში იქნება. უნდა გამოვაცალოთ რევოლუციის და მუშათა კლასის მოღალატე მენშევიკებს უკანასკნელი მათი თავშესაფარი. საქართველო მათ ფეხებზე ჰკიდიათ. პირველ შემთხვევისათანავე მიჰყიდეს მათ გერმანელებს სამშობლო და თუ ხვალ დასჭირდათ, ინგლისელებს და ფრანგებს მიჰყიდიან. რა ჩინებულად და ამომწურავად დაგვისურათა შამქორში რევოლუციური ჯარისკაცების დახურეტის გამო დაწერილ თავის წერილში ამხანაგმა სტალინმა მენშევიკების ჭეშმარიტი სახე. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებელი, მისი სულისჩამდგმელი და დიდი მასწავლებელი სწერდა: „უკანასკნელმა ამბებმა საბოლოოდ ჩამოხადეს სოციალიზმის ნიღაბი მენშევიკურ სოციალ-კონტრრევოლუციონერებს“. ისინი ცდილობენ ჩააკლან ქართველ მუშებში და გლეხებში ინტერნაციონალური შეგნება, რასაც ასე უწელიდა და აღვივებდა საქართველოში და ამიერკავკასიაში მუშაობის ეამს ამხანაგი სტალინი და რასაც ასეთი გმირული თავგამოდებით ემსახურება და ანხორციელებს იგი ლენინთან ერთად იქ, რუსეთში. მენშევიკები ეხლა იჩემებენ თვალთმაქცურად სამშობლოს დაცვას და მის სიყვარულს. მათი სამშობლო ვაჭრებისა და მემამულეების სამშობლოა. მენშევიკები საბოლოოდ გადავიდნენ ნაციონალური ბურჟუაზიის მხარეზე. რევოლუციური სამშობლოს სიყვარული და მისი დაცვა კი ჩვენი — ბოლშევიკების, მუშებისა და გლეხების საქმეა. ვერავენ ვერ დაიცავს და ააყვავებს მას ჩვენზე უკეთ. მთავარი დასაყრდენი საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისათვის ამიერკავკასიაში მაინც ბაქოა, მისი პროლეტარიატი. კავშირი უნდა დავიჭიროთ აგრეთვე ჩრდილოეთ-კავკასიის საბჭოებთან. მათი შემწეობით უნდა მოვფინოთ საბჭოები მთელ ამიერკავკასიას. ზურგს გავვიმაგრებს შავი ზღვის რევოლუციური ფლოტი. შეუერთდებით რუსეთის რევოლუციურ მუშებისა და გლეხების მთავრობას. შევქმნით უძლიერეს ქვეყანას. საბჭოთა რუსეთთან ერთად დავიცავთ რევოლუციურ სამშობლოს. მაშინ ოცდახუთ წლამდის კი არა, ქუდზე კაცოც გამოვა: თვრამეტიდან სამოც წლამდე და არა თუ ოსმალეთი, არამედ მთელი ევროპის იმპერიალიზმი რომ ფეხზე დადგეს და თავს დაგვესხას, ვერას დაგვაკლებს“.

სასიმიინდესთან დაყირავებული ურმების იქით რამდენჯერმე გაისმა კაცის ქშენის მსგავსი ხმა. ლამეში ვერ შეამჩნია ნიკომ, ვინ იყო. ადგა.

ურმის ქალს წააეღო ხელი და გადაიხედა. ხარები იწვევენ და ნიკო იმ-
მუშნებოდნენ მუშაობისაგან დაქანცულნი. აბრიალებდნენ და წყლის ღამეში, თით-
ქო ტვირთშიძივითა და მაშვრალთა ტანჯვა და ოსვრა აღმოხდათო. ასე-
თი აზრი ამოიკითხა ნიკომ ამ ქვეყანი პირუტყვეების ზენეში.

ნელა ავიდა აივანზე. მძინარ ჯარისკაცებს დახედა. ეზოში ბორი-
ალი დაიწყო, დარაჯი ინახულა და როდესაც ნაშუაღამევს მამლებმა ყი-
ვილი დაიწყეს, გალაქტიონ გელაშვილი გააღვიძა, განგაში აატეხინა და
გლებთა რევოლუციური რაზმი შეაკრებინა სკოლის ეზოში. რაზმელები
მოდოდნენ შაშხანით, ჩანთით და ფალასკებით.

პირველი ასეულის უფროსი გალაქტიონი იყო, ხოლო მეორე ასეული-
სა — რაქდენ ტურიაშვილი. რაზმის დაწყობას და დალაგებას დიდძალი
დრო დასჭირდა ამ ღამეს. პირველ ასეულს მარჯვენა ფრთის მალღობები
უნდა დაეჭირა, ხოლო მეორეს მარცხენა. ნიკო გამოემშვიდობა გალაქ-
ტიონს, რაქდენს და გამარჯვება უსურვა. ისინი წავიდნენ თავიანთ ასე-
ულებით ჩაბნელებულ ხევისაკენ. ხევის პირად მიმავალი გზა გაიქვედა
რეზმელებით. სიჩუმეში ფეხის ხმა, ხეელა და სურსათით დატვირთული
ურმის ჭრიალი და ისმოდა.

ვათენებამდე უნდა მომზდარიყო რაზმელების გადაჯგუფება და ასე-
ულებისათვის მიჩენილი ადგილების დაკავება. აქედან უზრუნველყოფ-
დნენ ისინი მარჯვენა და მარცხენა ფრთას; თუ გვარდია ზურგიდან და-
აპირებდა შემოტევას, გალაქტიონი და რაქდენი შემოტრიალდებოდნენ,
მალღობებიდან იწყებდნენ სვლას. გზას გადაუჭრიდნენ მათ და ჭონგურა-
ში დატოვებული მარქაფიც მიეშველებოდათ. ამის შემდეგ ნიკომ და
კირილემ წაიძინეს, მაგრამ დილის 5 საათზე ტელეფონის ზუზუნმა ატყ-
და და გიორგი აბესაძემ ციხისათვის კარიდან შეატყობინა ჭონგურაში
მოთავსებულ შტაბს:

— ხიდს ოცამდე კაცი უახლოვდება. უკან სამი ურემი და ექვსი ცხე-
ნოსანი მოყვება.

ნიკომ გააფრთხილა:

— მიუშვით მდინარემდე და ხიდამდე. დააკვირდით: ცხენოსნები გვარ-
დიელები ხომ არ არიან? თუ ხიდის დაგება და მდინარეზე გადმოსვლა
დააპირონ, გაანადგურეთ...

— მესმის! — უპასუხა აბესაძემ.

ამის შემდეგ ნიკომ ჩასთვლემა, მალე ისევ გაისმა ტელეფონის ზუ-
ზუნი:

— ცხენოსნები გვარდიელები არიან. ურმით ფიცრები მოიტანეს და
'არბევიდან გამორეკალ გლებებს ხიდს აგებინებენ... ვიწყებ სროლას.



— შენ ნუ ესერი... ტყვიამფრქვევი სხვა დროს დაგვჭრებდა, მოარჩიე კარგად მსროლელი ხუთი ჯარისკაცი. იჭნებ ეს საკმარისი აღმოჩნდეს — გააფრთხილა აბესაძე ნიკომ.

ციხისთავიდან შაშხანამ დაივრიალა. გრიალი გადავიდა მთიდან მთაზე. შეკრთნენ ხილზე მომუშავე გლეხები. მთას გაჰხედეს და მერე ისევ დაიწყეს მუშაობა. კიდევ გავარდა ზედიზედ შაშხანა. გიორგი აბესაძემ კარაბინი დაუმისწა ცხენოსანს. გაისროლა. ცხენი ყალყზე დადგა. უმოწყალოდ დაიწყო თავის ჭნევა, თითქო წელკაცი დაემართათ, და მიწაზე დაეარდა. დანარჩენი ცხენოსნები გაიქცნენ. ცხენები თბრილში ჩააყენეს და ციხისთავის კარისკენ დაიწყეს სროლა. მთიდან უპასუხებდა ხუთი შაშხანა. გლეხებმა მოაბრუნეს ურემი და ბუჩქებს უკან საფარში დააყენეს. გვარდიელმა ასტეხა ყვირილი: სად მიღიხართ? უკან! დააგეთ ფიცარიო. შეშინებული გლეხები ისევ გამოაბრუნდნენ ხილისაკენ. თბრილიდან უფრო გულდაგულ ასტეხეს ეხლა სროლა გვარდიელებმა. მაგრამ ხილზე ერთი გლეხი დაეცა. მკლავში დაიჭრა, და ყველანი უკანვე გაიქცნენ. მათსა და გვარდიელებს შორის საშინელი ყაყანი ატყდა.

გათენდა. მთიდან ერთი რაზმელი კისრისტებით გამოიჭეა აბესაძისაკენ:

— გიორგი, გამატანე ხუთი კაცი, ჩემი საფარიდან ხელის-გულივით მოსჩანან თბრილში ჩამჯდარი გვარდიელები და ყველას დაეხოცავთ.

ამის შემდეგ ყვირილაზე გადამდგარ კლდიდან გაჩაღდა განუწყვეტელი სროლა. ტყვია მიწას სთხრიდა. მიწა და მტვერი თავზე ვყრებოდათ გვარდიელებს. წამოცვიდნენ. ცხენებს მოაბტნენ და მახლობელ ტყეს მიაშურეს ჭენებით. მაგრამ ერთი უმაღლე დაემხო და მერე ხურჯინივით გადმოეკიდა უნაგირზე.

ხილის დაგების პირველი ცდა ასეთი მარცხით დასრულდა.

ნიკო გოცირიძემ და კირილე მემშარიაშვილმა ჭონგურაში დასტოვეს მიხა ფრლიძე, ციხისთავის კარში ჩავიდნენ და რაზმს მადლობა გამოუცხადეს. მტერთან პირველმა შეხვედრამ და იოლმა გამარჯვებამ აღაფრთოვანა და საომარ განწყობილებამზე დააყენა რაზმელები.

ნიკო მადლობზე ავიდა, დურბინდი ამოიღო და რიონის ველს და სოფელ სარბევს გაჰხედა, მაგრამ სოფელ სარბევისაკენ მხოლოდ რამდენიმე ცხენოსანი და ურემი მიდიოდა. სხვა არაფერი დაუნახაეს. რაზმელები ტყვიამფრქვევს დაეხვიდნენ, სინჯავდნენ და ათვლიერებდნენ. გიორგი აბესაძე ისე თავმოშობილედ იდგა ტიქნიკურად მთელს რაზმში ყველაზე უფრო თვალსამინო იარაღთან, თითქო ტყვიამფრქვევი მძიმე ყალიბის ქვეშეხი ყოფილიყო.

— ბრძოლაში არაფერი სჯობია ამ დასაწევს, — ზღაპრულად მოჰყვა კარბატებში ბრძოლის ამბავს. სწუხდა: დიდი ბრძოლა იქნებოდა არ ეყოფოდა. ამ დროს ქონგურიდან ფრუიძის მიერ გამოგზავნილი ურმები ამოვიდნენ სურსათით, ვაზნებით და რაზმელებს ქაღი, ყველი და ტარანი დაურთვეს. ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დამთავრებული პურის ქაშა, როცა ზარბაზნმა დაიგრილა. ნიკოს გულმა რეზნი უყო.

— ბატარეიაც გამოუგზავნიათ, — უთხრა კირილეს.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ გავარდა ზარბაზანი და კირილე წამოვიარდა. რაზმელები თავთავიანთ ადგილს ჩაესაფრნენ. მათ ხელმძღვანელობდა ყოფილი ჯარისკაცი ფარნა კვესიტაძე. იგი ფარგასავით გამხდარი, ჩია ტანის კაცი იყო, მაგრამ ფოლადივით მჭრელი თვალები ჰქონდა და გამყვივანი, კაპასი ხმა.

— ადგილებზე, მალე! — გააბა მან ისეთის ცივი, მრისხანე ხმითა და სახით, თითქო დივიზიას შესძახაო. მასაც ნაგანი და მოკლე კარაბინი ეკიდა გალაქტიონ, რაქდენ, გიორგი აბესაძის შსგავსად.

ნიკო მალლობზე ავიდა და ისევ მოიმარჯვა დურბინდი. ველზე გვარდიელების მოძრაობა შენიშნა. ისინი ყვირილისაკენ მოდიოდნენ. შორს ჯაგებსა და ბურჭებში ცეცხლის ალმა ზედიზედ გაიელვა, თითქო გავარდებული ელექტრო-ლუმენის კარი გამოაღეს და ისევ დაკეტესო. ამის შემდეგ მალე მოაღწია ზარბაზნების გრიალმა. კიდევ გავარდა ზარბაზანი, ყუმბარამ გაიშრიალა რაზმელების თავზე და მათ ამართულ მთის მწვერვალზე გასკდა.

— საარტილერიო მზადებაა. ამის შემდეგ შემოგვიტევენ, — უთხრა ნიკომ გიორგი აბესაძეს.

— ამ ზიდთან და მის არემარესთან არავის გაევაქაქანებ! — უბასუხა გიორგიმ და დასძინა:

— შესაძლოა გვარდიელები დაბლა ფონზე გავიდნენ და იქიდან მოგვიარონ.

ნიკომ აიღო ტელეფონის მილი და მიხა ფრუიძეს დაურთვა ქონგურაში:

— დილიწებით, ეტლით და ცხენებით სასწრაფოდ მომაშველე ორმოცდა ათი კაცი.

გვარდიელები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ზიდისაკენ წამოვიდა, მეორე ფონისაკენ გაეშურა, ისე, როგორც გიორგი აბესაძე მოელოდა. მაშველების მოსვლამდე გრიალებდნენ ზარბაზნები და სკდებოდნენ ყუმბარები ციხისთავის კარის და ახლო-მახლო მთების მწვერვლებზე. ერთი მებრძოლი მსუბუქად დაიჭრა თავში. მეორე კი მკლავში, რაზმელებს

უბრძანეს და ისინი ხევში ჩაცვივდნენ. კირილე მეძმარიაშვილმა მოსწმინდა რაზმელს იარა და შეუხვია.

გარკინაშვილი

ზარბაზნების გრიალი შესწყდა. რაზმელებმა კვლავ ღმრთობის კვლევას დაიწყეს. ცოტახნის შემდეგ დილიელებიც მოვიდნენ, და ნიკომ მარჯვნივ, ყვირილის ფონზე გადამდგარ მალღობზე გაგზავნა რაზმელები და უფროსად ყოფილი ჯარისკაცი დაუნიშნა. აბესაძემ პოზიცია გამოიცვალა. ხილსა და ფონს შუა მოთავსდა, ისე რომ ორივე მიზანში ამოელო. ჩაესაფრა და მტრის მოძრაობას დააკვირდა. გვარდიელები ველზე გავიდნენ. ჯაგებმა და დაბალ ტყეს შეაფარეს თავი და სათითაოდ დაიწყეს გადარბენა. ყვირილისაკენ მორბოდნენ და მოხერხებულ ალაგას წვებოდნენ. ასე მიუახლოვდნენ ისინი ხიდს და ფონს. ჯერ კანტიკუნტად დაიწყეს მთისკენ სროლა და მერე მოუხშირეს. ციხისათვის კარიდან რაზმელებმა უპასუხეს. ბრძოლა დაიწყო.

მარჯვნივ გაგზავნილი 50 რაზმელს ჯერ კიდევ არ მიეღწია დანიშნულ მალღობისათვის, როცა ათი გვარდიელი წამოდგა, ყვირილისკენ გაიქცა და მდინარეზე უხიფათოდ გადავიდა. გიორგი აბესაძე აენტო: ალაბათ, რაზმი ჯერ არ ასულა მალღობზეო. როცა მდინარეზე გადასვლით გათამამებული მთელი ჯგუფი — ორმოცამდე გვარდიელი — წამოდგა და შუა მდინარეს ისე მიაღწია, რომ რაზმელთა ერთი შაშხანაც არ გაეარდნილა. აბესაძემ ველარ მოითმინა: ტყვიამფრქვევი შეატრალა. ხოშკაცალივით დასკვივნდა ტყვია და გვარდიელებს შეეფები მიაყარა. გვარდიელები უკუიქცნენ, მაგრამ ნაპირისათვის ბევრს ალარ მიუღწევია. ზოგის გვამი მდინარეში ააცურა და ზოგიც გასისხლიანებული თითებით ხოკავდა ჭეშვიან ნაპირს და წელში გადაჭრილი მუცლით მიხობხავდა. ამის შემდეგ ტყვიამფრქვევი დადუმდა და როცა დახოცილთა უკან, ჯაგებში ჩასათრებულმა გვარდიელებმა სროლა ასტეხეს, მათ უპასუხეს უკვე მალღობზე ასულმა რაზმელებმა. ამის შემდეგ აღარავის გაუბედნია მდინარეზე გადასვლა, ხოლო, ნაპირს გასული ათი გვარდიელი მთის ძირს ეფარებოდა და შიშისგან კანკალებდა.

რაზმელთა ტყვიამფრქვევი მოულოდნელი იყო ათსეულის უფროსის რეგიაშიშვილისათვის. იგი განრისხდა და ბატარეის ოთხოს სერგო წადაშელს უბრძანა, დაეშინა ყუმბარები ფონის თავზე ამართული მალღობისა და ახლო-მახლო მითამოებისათვის. ხიდაშელმა გადასწყვიტა რეგია-მფრქვევის მოძებნა და მანვე მომოშავითა განადგოვრება. ამიტომ მოითმენლად ელოდა იგი, თუ საიდან ასტეხდა სროლას რეგიამფრქვევი, რომ ის ადგილი აჩიმიბინა და ცეცხლით მოერწყო. უმოწყალოდ აგრძელდა ოთხივე ზარბაზანი. ნახევარ საათს ისროდა ბატარეია. ცეცხლი გადაჭონდა ერთ მალღობიდან მეორეზე და ფოლადის წვიმით რწყავდა. ამ

განუწყვეტელი ცეცხლის დროს, პოლკოვნიკ რევაზიშვილის ბრძანების თანახმად, მეთაური მიწიდან წამოვარდა და სირბილში დაიხიდა, მწყრივად გაშლილმა გვარდიელებმა მდინარეს მიაშტამეს და ისევე სცადეს რამდენიმე ადგილას მასში გასვლა. ჯოჯოხეთურ ცეცხლისგან გადარჩენილი ტყვიამფრქვევი კვლავ აკაანდა, გვარდიელები დიდძალი ზარალით კვლავ უკუიქნენ. მაგრამ ხიდაშელმა დაიხსომა ის ადგილი, საიდანაც ტყვიამფრქვევი აკაანებდა და ოთხივე ზარბაზნის ჯვარედინი ცეცხლით დაჰფარა.

ხუსტად ისროდა იმპერიალისტურ ომში სახელგანთქმული კაპიტნის სერგო ხიდაშელის ბატარეია. ბათობთან და ნატანებთან თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეონილი, გამოცდილი მებრძონი სტუდენტები და ჯარისკაცები უებრად მუშაობდნენ და ქარიშხალს აყენებდნენ. ყუმბარის ნამსხვრევებმა შარცხენა ფეხი დაუვლიჯეს გიორგი აბესაძეს. მან ხელი წააგლო ტყვიამფრქვევის კოტას, ხევისკენ ჩაცოცდა, ბორბლებით ჩამოაგორა განუწყრელი თვისი მეგობარი და დაჭრილი ფეხიდან გადმოდენილი სისხლით დანაშა მწვანე ბალახი. თავი გამოქვაბულს შეაფარა სისხლით შეღებილ შარვალსა და ხალათზე დაიხედა. ჩექმის გახდა დაიწყო. ამ დროს კირილე მეძმარიაშვილი და ორი ფერშალი ამოვიდნენ, იარები მოსწმინდეს და შეუხვიეს.

— ჩექმის ყელს რომ არ ეშველნა, ნამსხვრევი ძვალს დაგიშავებდა — უთხრა კირილემ.

ჯარისკაცმა ჩექმას დაგლეჯილი ყელი გადასჭრა, უყელოდ წამოიგო დაჭრილ ფეხზე და ამხანაგს უთხრა:

— ამბატანიე ტყვიამფრქვევი იმ მთაზე.

ჯარისკაცი და დაკოქლებული გიორგი შეუდგნენ აღმართს.

ამ ბრძოლის დროს ფონის თავზე გამაგრებულ რაზმელებს მოუკლეს ორი ამხანაგი და დაუჭრეს რეა. ყვირილისაკენ წამოსულ გვარდიელებს ორმოცი რაზმელი ესროდა და მდინარეზე გადმოსვლის საშუალებას არ აძლევდა. ამის შემდეგ გვარდიელებმა თავი გაანებეს მდინარეზე გადასვლას და უფრო ქვევით შეუდგნენ ფონის ძებნას. მდინარე ამ ადგილას კარგა დიდი მანძილითაა მოშორებული მთას.

მეორე დღეს, ნაშუადღევს 4 საათზე, ნიკო გოციროძემ შენიშნა გვარდიელების იქითკენ სვლა. ზარბაზნები დადუმდნენ. ესლა ხიდიან, ფონთან ჩასაფრებული გვარდიელები მხოლოდ ისროდნენ და მდინარეზე აღარ გადმოდიოდნენ. პოლკოვნიკ რევაზიშვილს სურდა რაზმელთა ყურადღების შეჩერება ფონზე, ხიდზე, ხოლო მთავარი ძალებით ქვედაფონით გადასვლა. ნიკო მიუხედა განზრახვას. ციხისთავის კარიდან ოცი, ხოლო ფონისთავიდან ათი კაცი მოხსნა და ეს ჯგუფი ქვედა ფონის და-

საცავად გადაისროლა. ტელეფონით გადასცა ქონგურაში ფრუღა, შეეტყობინებინა ციხისათვის რაზმელის საშუალებით ვალაქტონის ვადამდელი ლისათვის, რათა ეს უკანასკნელი ქვედაფონისაკენ წამოსულიყო.

ვალაქტონი დროზე მივიდა და გაშალა თავისი ასეული მალლობზე. ამის შემდეგ ციხისათვის კარიდან და ფონის თავიდან მოხსნილი რაზმელები დაბრუნდნენ თავთავიანთ ადგილას. გვარდიელები აგვიანებდნენ ქვედაფონით გადასვლას. ქონგურასა და საბრძოლო უბანს შორის განუწყვეტლივ დაჰქროდნენ დილიენები და ეტლები მოკლულთა, დაჭრილთა, სურსათისა და ტყვია-წამლის გადასაზიდად. ნიკო გოცირიძე გელაშვილისაკენ გაეშურა. გიორგი ამესაძის მოხერხებული ადგილი აერჩია და არ ანებებდა ჯარისკაცს ტყვიამფრქვევს. შარვალ აკარწახებული, გაბინტულ ფეხით, ტუჩებდახეთქილი ამბობდა:

— შე კიდევ უტირებ მათ დედას!

ფერმკრთალი იყო. დიდრონი, შავი თვალები ამოჰლამებოდა ნაეად-მყოფარსავეთ.

ვალაქტონმა ბრძოლის ამბავი გამოჰკითხა ნიკოს. სწუხდა, რომ სხვანაირად ვაგზავნეს თავისი ასეულით და არ შიადებინეს მონაწილეობა ბრძოლაში. ნიკომ რაზმელები დაათვალიერა და გამოჰკითხა, მშვიდნი ხომ არ იყვნენ.

— ფრუღემ დროზე გამოგზავნა ურემი სურსათით, — მიუგო ვალაქტონმა.

ნიკომ დურბინდში გაიხედა. ყვირილისაკენ გროვდებოდნენ გვარდიელები რადგან ყვირილსა და მთებშორის კარგა დიდი მანძილი იყო, ამიტომ ნიკომ და ვალაქტონმა გადასწყვიტეს, ეცლიათ გვარდიელებით ერთ ნაწილისათვის მდინარეზე გადმოსვლა და როდესაც მთავარი ძალები შევიდოდნენ ყვირილაში, მხოლოდ მაშინ გაეჩაღებინათ ცეცხლი და გაენადგურებინათ მდინარის აქეთ, რიყეზე გამოსული და მდინარეში შემოსული გვარდიელები.

გვარდიელები მიუახლოვდნენ ყვირილას. უკანა წრეში საშინელი სროლა ასტეხეს. სროლა ასტეხეს აგრეთვე ზედაფონზე და ციხისათვის კართან და ამ საერთო ცეცხლის ქვეშ გადავიდნენ შეტევაზე გვარდიელები. გაიარეს მდინარე და რიყეს მოეფინენ. ამ უხიფათო გადასვლის შემდეგ მთელი ასეული წამოდგა ფეხზე და ჯარჯარად შევიდა მდინარეში. სწორედ მაშინ დაუშინეს ვალაქტონის რაზმელებმა და აბესაძემ. ტყვიამფრქვევი განადგურებული ეგონა კაპიტანს ხიდაშელს. გოაცდნენ. გვარდიელები ჰერეხებივით ეცემოდნენ რიყეზე, ველზე და მდინარეში. დაჭრილნი შაშხანებს აგდებდნენ, ცოცხლებს ეკიდებოდნენ, წყალში ჰყვინთავდნენ, იძირებოდნენ...

აქ მოკლულ იქნა ოცამდე, გვარდიელი. ორმოცამდე დივიზია და თუმცა ძალზე გაავებული უშენდა გალაქტიონის ასეულს, ეხლა ზიდაშელი ყუმბარებს, მდინარეზე გადმოსვლა ამიერიდან მტერს აქავე უწყობია.

ზარბაზნები დადუმდნენ. კანტიკუნტად ისმოდა საღამომში შაშხანის სროლა და მერე ისიც მიწყდა. ასეთის დამარცხებით დასრულდა 5 აგვისტო პოლკოვნიკი რევაზიშვილისთვის.

აღმოდებული მზე ჩადიოდა აჯამეთის ტყის იქით, თითქო ძოწისფერი ზღვაში ეშვებოდა.

სხივებით ავარვარებულ ყვირილის ტალღებს მიჰქონდა წყლის ზედაპირზე აცურებული გვამები.

მეორე დღეს მხოლოდ შაშხანის სროლა ისმოდა და ასე შორიდან სინჯავდნენ ერთიმეორეს სანგრებში ჩასაფრებული მოწინააღმდეგენი.

გავიდა რამდენიმე დღე და მერე პოლკოვნიკ რევაზიშვილს ქუთაისიდან ქვეითი და ცხენოსანი გვარდიის ნაწილები და კაპიტან ახალაძის საველე ბატარეა ჩამოუვიდა. ეხლა პოლკოვნიკს ორი ბატარეა და ათას ხუთასი კაცი ჰყავდა. იგი სწორედ ისე მოიქცა, როგორც ნიკო გოცირიძე მოელოდა: ორასი გვარდიელი მარჯვენა ფრთის შემოსავლელად ვაგზაენა და ორასიც მარცხენა ფრთისა.

დილით შეუტიეს მათ გალაქტიონ გელაშვილსა და რაჭდენ ტურიაშვილის ასეულებს. რაზემელები თავგამოდებით იბრძოდნენ და არ უთმობდნენ გვარდიელებს პოზიციებს. მაგრამ დილის ათ-საათზე რვა ზარბაზნის გულშემზარავი გრიალი ატყდა. ციხისთავის კარს, ზედაფონს და მახლობელ მწვერვალებს ისევ დაუშინეს ყუმბარები. ქვეითი ჯარი შეტევაზე გადავიდა. მერე ზარბაზნების გრიალი ერთბაშად შესწყდა და წამით საოცარი დუმილი ჩამოვარდა. ამ სიჩუმეში უცნაური რამ გუგუნი შემოესმათ. გიორგი აბესაძემ მალა ცას გაჰხედა და დაიძახა: თვითმფრინავები მოდიანო:

— თვითმფრინავები გერმანული სარდლობის უფროსმა, გენერალმა ფონკრესმა ათხოვა ფორდანიას! — სიტქვა ნიკო გოცირიძემ და ღურბინდი მოიმარჯვა.

— რისთვის ერევა ეს პირძალლი ჩვენს შინაურ საქმეებში? — დაიძახა ბრაზით ფარნა კვესიტაძემ.

— დამოუკიდებელი საქართველო! — დაცინვით ჩაიქნია ხელი აბესაძემ.

— დამოუკიდებელი საქართველო წმინდა წყლის სიცრუეა.

— ეს ოკუპაციაა და საქართველოს სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ. — უთხრა ჯარისკაცებს კირილემ.

ნიკოს ლენინის სიტყვები მოაგონდა. ღურბინდი მოიხსნა და სიტქვა:



— ლენინი ამბობს: საქართველოს დამოუკიდებლობა მანულის ბიჭების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგო.

ბრაზისგან ყბის ძვალზე კუნთები შეუთამაშდა. ისეე გაჰხედა დურბინდით ცას. ცოტა ხნის შემდეგ ერთი თვითმფრინავი ციხისთავის კარისკენ წამოვიდა, დაეშვა და მისი ძრავი საშინლად ავუგუნდა. რაზმელები შეშინდნენ. ზოგმა შაშხანა მოიმარჯვა. მხოლოდ აქა-იქ გავარდა ცისაკენ დამიზნებული შაშხანა. მაშინვე თვითმფრინავმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოავდო. ერთს მეორე და მესამე თვითმფრინავი მოჰყვა. თავზე გადაუარეს რაზმელებს, მწვერვალებს მოეფარნენ და ისეე გამოჩნდნენ. არწივის მსგავსად გააკეთეს ცაში ირაო და ციხისთავის კარისაკენ და ზედაფონის მწვერვალისკენ გამოემართნენ. კვლავ ჩამოჰყარეს ყუმბარები. მფრინავებს ცული ორიენტაცია ჰქონდათ, ვინაიდან ყუმბარები ეცემოდნენ არა იქ, სადაც რაზმელები იყვნენ ჩასაფრებული. მანქანები აბეზარი გრიალით ევლებოდნენ მწვერვალებს თავზე. მერე ქუთაისისკენ აიღეს გეზი. გახელებულ კრაზნასოდენად იქნენ და მალე წერტილებად მიიწურნენ.

ამის შემდეგ ისეე აგრიალდნენ ყვირილის ახლოს მოტანილი ზარბაზნები. მათ შაშხანები, ტყვიამფრქვევები წაეშველნენ და გვარდიელები ყვირილაზე გადავიდნენ. ობლად აკაკანდა გიორგი აბესაძის ტყვიამფრქვევი უთანასწორო ბრძოლაში და, სასიკვდილოდ განწირულს, მალე ხმა ჩაუწყდა. ხევში ჩაავორეს გიორგიმ და მისმა ამხანაგებმა. ცხენს აჰკიდეს კურტანზე და ჭონგურისაკენ წაიღეს. გვარდიელები იერიშზე გადავიდნენ. ციხისთავის კარი, ზედაფონი, მწვერვალები დაიკავეს. და ესკალრონი ჭონგურისაკენ გაეშურა. მალე ჭონგურაც აიღეს საერთო ძალით.

დამარცხებული რაზმელები ტყეში გაიხიზნენ. ნიკო, კირილე, მუშა ფრუიძე, ვალაქტიონი, რაქდენი და სამოციოდე რაზმელი ზედაზენზე გადავიდნენ და რაქისაკენ აიღეს გეზი, რათა აქედან ჩრდილოეთ-კავკასიაში გადასულიყვნენ.

გლეხები დილიცებით, ღინეიკებით და ურმებით ბრუნდებოდნენ კარისმერეთში, სარკოიაში, ქიპიკონაში, შიდალგორასა და ზედაზენში. ძვირად დაუჯდათ ამ სოფლებს დამარცხება.

აჯანყებულ გლეხთა სახლებს გვარდიელებმა ცეცხლი წაუკიდეს. პოლკოვნიკი რევინიშვილი მთავარი ძალებით კარისმერეთში ჩავიდა. მეორე დღეს წმ. გიორგის ეკლესიის წინ, მოედანზე, მიტინგი გაიმართა.

მ ი ბ ი ნ ე ბ ი



გერმანული
ბიბლიოთეკა

„ლოზუნგმა: „მოელი ძალაუფლება მუშებს და გლეხებს“ ქუთათელით მოიარა ქვეყანა და ფეხზე დააყენა დიხატული მსგები. და როდესაც ჩრდილოეთ რუსეთში დარხელმა ამ ძახილმა დაიწყო ცხოტრებაში ხორცმეხმა, მაშინ ამიერ-კავკასიის შეძლებულმა კლასებმა ნათლად დაინახეს, რომ ოქტომბრის რევოლუციას და საბჭოთა ბელისუფლებას მოაქვს მათთვის უფრო სიკვდილი“.

ს ტ ა ლ ი ნ ი : „ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნილაზში“. პრაედა, № № 55, 56. 1918 წ.

ნათალი ქვისგან აგებულ ძველ ეკლესიას ირგვლივ ქვეთიკრის მაღალი გალავანი უდლის. გალავანი თავის ქონგურებით და სათოფურებით კარისმერეთის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა ოდესღაც, ომიანობის ეამს. ეხლა კი ჩამონგრეულ კედლებზე სურო გასულა, აქა-იქ ლეღვისა და თუთის ხე აღმოცენებულა.

გალავნის ერთ კუთხეში სამრეკლოა ამართული. ზედ დიდი და პატარა ზარები ჰკიდია. აღდგომა დღეს, როცა ზოსიმე დიაკვანი სამრეკლოზე გავიდოდა, დიდი ზარის გაჭიმულ თოკს ფეხს დაადებდა და ოსტატურად დაარისხებდა ორივე ხელში დაჭერილ თოკებით ცხრა ზარს, იშვიფი საგალობელი და ჰიმნი ზედაზენამდე ისმოდა.

გალავნის წინ გოლიათ ქოლგასავით გადაშლილი ცაცხვებია, რომლის ტანს ოთხი ვაეკაცის მკლავიც კი ვერ შემოსწვდება. უზარმაზარი ფესვები მიწიდან ამოზორცილან და გველებივით დაკლაკნილან. ცაცხვის დაზნექილი ტოტების ჩრდილ ქვეშ წარჩინებულ პირთა საფლავეებია.

გალავნის გვერდით ხის პატარა სახლის აივანზე ხალხი იდგა. იქ მღვდლების დასასვენებელი ოთახია, დანარჩენი ოთახები მთავარდიაკვანის, დიაკვანის და ეკლესიის სხვა მსახურთა ბინებად გადაუქციეიათ. წინად ამ სახლში საეკლესიო სკოლა ყოფილა.

მოედნის ბოლოში კარისმერეთის ბაზარი იწყება. ყველაზე დიდ და მაღალი თეატრის, სკოლის, საავადმყოფოს, ხაზინის და ფოსტა-ტელეგრაფის შენობებია. დღეს ყველა სავაჭრო, ყველა დაწესებულება დაკეტილი იყო. ბაზრისა და სოფლის ხალხიც ეკლესიის წინ გაშლილ საბურთალო მოედნისაკენ მიდიოდა.

მოედანზე დიდძალი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი შეგროვილა შახანითა და ტყვიამფრქვევით. წინ ოფიცრები იდგნენ. გვარდიის თავში მზეერავი რაზმი ჩამწყრივებულა. ჩაცმულობის მხრივ გვარდია რეგულა-

რულ ჯარზე ბევრად უკეთ გამოიყურებოდა. რადგან მენშევიკური ხელისუფლება გვარდიას ეყრდნობოდა, ამიტომ ეს უკანასკნელი დიდი უბრაბრატობით და შეღავათებით სარგებლობდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე გვარდიელი დასჯილიყო უგვანო საქციელისთვის: ყველა მოქმედებისთვის. ეს იცოდნენ ყაჩაღებმა, ქურდ-ბაცაცებმა, თავზეხელაღებულებმა და ამიტომ გვარდიაში შედიოდნენ. ამ ხალხმა ისიც კარგად იცოდა, რომ გვარდიაში შესვლის შემდეგ მათი ბნელი საქმე მოიხსობოდა.

აი, ასეთ საქვეო პირთაგან შესდგებოდა მზვერავი რაზმი. მიუხედავად ამისა, ეს ყაჩაღები და სისხლის დამნაშავენი რევოლუციონერებს უწოდებდნენ თავიანთ თავს. კობტად ეცვით. თავზე ბუხრის ქუდები ეხურათ. წელზე ვაზნებით საცხე ფალასკები, ხელით სასროლი ყუმბარები ერტყათ. კარაბინა და კანდახზე დაგებული მაუხერი ეკიდათ. დაპყრობილ სოფელს და ქალაქს ყველაზე უფრო სასტიკად სწორედ ისინი არბევდნენ და სძარცვავდნენ. საკმარისი იყო შეგვებენათ მზვერავი რაზმისთვის, რომ დარწმუნებულიყავით, თუ როგორი ხალხისაგან შესდგებოდა იგი მეტწილად. რაზმში იდგნენ ახოვანი, ჯმუხი და მოღუშული ტულუში, აფაქიდის მწვეარივით მაღალკანჭებიანი ქოლოკავა, მუხასაეით მყარი, მაგარი და მკერდგანიერი ტუკია, ჯუჯა კაცი—გონჯა და სხვები. ყველაზე ახოვანი ტანი და საამო სახე მაინც გრამიტონ ლაბაძეს ჰქონდა. მას პოლიტიკურ ტერორისტს ეძახდნენ. როგორც გვარდიის ჯარისკაცები, ისე ოფიცრები და სხვები თავაზიანად ეკიდებოდნენ. აივნის წინ თავადები და აზნაურები იდგნენ. ზედაზენიდან ჩამოსული მემამულე, ოტია მდივანი ბედნიერი თვალებით შესცქეროდა ჯარს და ამბობდა:

— ჩვენმა ნაყმევმა, უნიფხვო ყაზახებმა აობრება მოგვინდომეს, მაგრამ ახლა თითონვე ეტირათ დედა!

გაძვალტყავებული, ჩამოკონკილი და შეშინებული გლეხები ტყვედ ჩაქარდნილ ჯარივით იყვნენ შექტრებული.

ოტიას შეუღლე ბაბოც ჩამოსულიყო ზედაზენიდან. ტერეზასთან, ვარდოსთან და ნინოსთან იდგა. ისიც მოლიმარი სახით ამრიალებდა შვეთვლებს და მოედინისკენ მომავალ ძმას დათას გასცქეროდა. დათა ცხენოსან რაზმს მოუძღოდა. მერე გამოჩნდა ნოდარ ყიფიანის მიერ შედგენილი ე. წ. თავდაცვის რაზმი. რაზმში შედიოდნენ: იასონ ჯანჯღავა, ჯამბაზი, ყოფილი ყაჩაღები: ცვარია, ნიაფი, მუხელა, ვაქრები, მიკიტნები და სპეკულიანტი ანტუშა, სტუდენტები: ვანიკო ლოლაბერიძე, ბიძინა შარაშიძე და სხვები. ბოლშევიკური რაზმის დამარცხების შემდეგ ნოდარ ყიფიანმა გაანთავისუფლა დათა და მისი დამსჯელი რაზმი. ნოდარის ზალბი სოფლად დაძრწოდა, ანიარალებდა, ატუსაღებდა გლეხებს და ყოფილ ჯარისკაცებს. მოედანზე მოვიდნენ აგრეთვე ნოდარ ყიფი-

ნის მიერ განთავისუფლებული ყოფილი ბოქაული, ეხლა კი კარისმერეთის მილიციის უფროსი, ელიზბარ ბაქრაძე, დათა ყოფილი მწიგნობარი ჩხეიძე და წულუკიძე, გვარდიის შტაბის ინსტრუქტორი ვაჭარაძე, ფოფხაძე პატარა სახლის — ყოფილ საეკლესიო სკოლის — აივანზე ავიდა. ქუთაისიდან ჩამოსული მენშევიკური მთავრობის რწმუნებული ილია ტრაპაიძე ელაპარაკებოდა კარისმერეთის კომისარს იოკიმე აბულაძეს, პოლკოვნიკ რევაზიშვილს, კაპიტან ხიდაშელს, კაპიტან ახალაძეს, ესტატე მაყაშვილს, იონას და პლატონ მოგველაძეს. კორნელი დედას, ბაბოს, ვარდოს და ნინოს ეფარებოდა. მალულულდ შესცქეროდა არტილერიის ნაცნობ კაპიტანს ხიდაშელს და უხერხულეზას გრძნობდა, რადგან მისი შვეებულება უკვე გათავებული იყო, ის კი ისევ სოფელში იჯდა და ჯარში დაბრუნებას აღარ ფიქრობდა. ბევრი ნაცნობი მეთაური და ამხანაგი დაინახა კორნელიმ, მაგრამ ამდენ ხალხში იგი არავის შეუმჩნევია. თავადებისა და აზნაურების უკან ზღვა ხალხი ირეოდა. გლეხებს თავი ჩაეკიდათ, დარცხვენით იცქირებოდნენ და ჩუმად ჩურჩულებდნენ:

— არ ვითხარი, აღმასხან, ჩვენ ნებაზე არაეინ გაგვიშობსთქვა! — დაიწყო ჯაჯანა მენჭავიძემ.

— ამ ჯარს რა შეინახავს? ხომ დაგვაქციეს და აგვაოხრეს! — ამოიოხრა აღმასხანმა.

კარისმერეთის მილიციის უფროსი ელიზბარ ბაქრაძე მოედანზე წესრიგს ამყარებდა. მილიცია გამოიყვანა, აივანზე მოზღვავებულ ხალხს უკან დააბეინა. ჯარი მოშორებით იდგა. ჯარსა და ხალხს შორის მოედანზე მოზრდილი მანძილი რჩებოდა. ელიზბარი ოფიცრის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, მხოლოდ სამხედრო ნიშნები არა ჰქონდა. აივანზე მდგარ მთავრობის რწმუნებულისკენ ხშირად იხედებოდა, რათა მას დაენახა ოფელში გაწურული, ჩასტკებული მილიციის უფროსის ერთგულება და საკმეინობა. როცა ქუდი მოიხადა და ცხვირსახოცი მელოტი, გაპარსული თავი მოიწმინდა, მას უცნაურად დააცქერდა მზვერავი რაზმის ჯარისკაცი გრამიტომ ლაბაძე. მეთაურის დაუკითხავად დასტოვა ლაბაძემ მწკრივი, მოედანზე გავიდა და ელიზბარ ბაქრაძისკენ გაეშურა. კონდახზე დაგებულ მაუზერით მიაბოტებდა ტლუ და ახოვანი ვაჟკაცი. შეჩერდა და ელიზბარს დაუძახა. ჯარი და ხალხი განცვიფრებული შესცქეროდა შუბლშეკრულ ჯარისკაცს.

— შენ ელიზბარ ბაქრაძე არ ბრძანდები?

— დიახ! — უპასუხა შეშინებულმა მილიციის უფროსმა.

— ყოფილი ბოქაული?

— დიახ! რა ვნებას?

— მე ვერა მცნობ?



— ვერა!

— აბა, ეხლა მიცნობდე! — დაიძახა ლაბაძემ, მაუხერის მხრებზე და მკერდში ტყვია დაახალა. შეტორტმანდა ყოფილი ბრძანებელი და დანზე ჩაიყვია. ლაბაძე მივარდა, ფეხი დააბიჯა და ტყვიებით სულ მთლად დაცხრილა.

ხალხს თავზარი დაეცა. ქალებმა და ბავშვებმა წივილ-კივილი ასტეხეს. ბევრი გაიქცა. ოფიცერი იყვირა, ლაბაძეს ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს და პოლკოვნიკ რევიაზიშვილისაყენ წაიყვანეს. როცა ლაბაძე აივანზე ავიდა, პოლკოვნიკი შეშინდა, რევოლვერზე ხელი დაიღო და ისე შეეკითხა:

— რა ჩაიდინე?

— ბოქაუელი მოვკალი, მეფის ჯამუში და გამცემი... განაგრძეთ მიტინგი! — მიუგო ლაბაძემ.

— როგორ იქნება!? თვითგასამართლებას მიმართავთ საქვეყნოდ ამ ჯარისა და ხალხის წინაშე? — გაჯავრდა პოლკოვნიკი.

— მაგ უცხვირაპირომ არა ერთი და ორი რევოლუციონერი გამოასალმა წუთისოფელს, ჩააღობინა ციხეში და გადაასახლებინა ციმბირში, — მოუჭრა ლაბაძემ ისე მშვიდად, თითქო ამ რამდენიმე წუთის წინად კაცი კი არა, ქათამი მოეკლას.

— მერე ჩვენ განა ხალხი არა ვართ? განა ჩვენ სახელმწიფო არა გვაქვს. კანონები?! დაატუსაღეთ! — იღრიალა პოლკოვნიკმა.

ლაბაძემ უკან დაიხია, მის მშვიდ სახეზე ეხლა ყაჩაღივით იელევეს თვალებმა, მაუხერი მოიმარჯვა და ქუთაისიდან ჩამოსულ მთავრობის რწმუნებულს ილია ტრაპაიძეს დაუძახა:

— ილია, ხელი მიშვას პოლკოვნიკმა! შენ მაინც ხომ იცი, იმ პირძალღმა ბოქაულმა ბაქრაძემ ღამით რომ სტრაჟნიკები დამასია, გამოთოკა. ურემზე დამაკრა, კონდახით გამიტეხა შუბლი და ციმბირში მაკვრევინა თავი?

ამ დროს მხვერაფი რაზმი მოიხსნა, პატარა სახლს ალყა შემოარტყა და პოლკოვნიკს ლაბაძე მოსთხოვა. ტრაპაიძემ დააწყწარა ისინი და პოლკოვნიკს რალაც უთხრა. ცოტა ხნის შემდეგ ლაბაძე გაუშვეს და რაზმელები ლაბაძითურთ ისევ ჩადგნენ მწკრივში. მოედანზე ხალხის ქოთქოთი ისმოდა. განცვიფრდა კორნელი: „როგორი ჯარი გვეოლია, ეს რა ამბავია!“.

პოლკოვნიკი ღელავდა და მხოლოდ ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებდა:

— სკანდალია, სკანდალი... — მერე კაპიტან ხიდაშელს წასჩურჩულა. — ეს ჯარი კი არა ავაზაკთა და ყაჩაღთ ბრბოა...

ტრაპაიძემ უთხრა:

— სამწუხარო ამბავი მოხდა. მაგრამ ეხლა მაგის გარჩევაში ვერ შევალთ. — ელიზბარ ბაქრაძის გვამი უკვე წაიღეს მოედნიდან. ბატონო პოლკოვნიკო, გახსენით მიტინგი!

დამფრთხალი ხალხი ისევ მორეკეს მოედანზე. მერე ტრაპაიძემ, ფოფხაძემ და იოკიმემ ოფიცრებთან თათბირი გამართეს. ცოტა ხნის შემდეგ არტილერიის ოფიცერი აიენიდან ჩავიდა. პოლკოვნიკმა წაბლისფერი უღვაში გაისწორა, აიენის მოაჯირზე გადმოდგა, წარბი აზიდა, მრისხანე თვალი მიმოავლო ხალხს, ჯარსა და ლითონის ხმით დაიძახა:

— მოქალაქენო, წითელი გვარდიის სამხედრო ნაწილების, კარისმერეთისა და მისი რაიონის მცხოვრებთა საერთო მიტინგს გახსნილად ვაცხადებ!

ქვეყნის მაშინდელი „მესვეურნი“ — მენშევიკები თავიანთ გვარდიას „წითელს“ უწოდებდნენ. გვარდია ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოს სახელით მოქმედებდა და ეს გარემოება თავგზას უბნევდა ხანდახან მშრომელთ. საბჭოებში უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ, და ნამდვილად გვარდიას „წითელი“ კი არა, „შავი“ გვარდიის სახელწოდება შეეფერებოდა, რადგან მენშევიკები და მათი გვარდია შემამულეთა ინტერესებს იცავდნენ და გლებთა აჯანყებებს ცეცხლითა და მახელით აჭრდნენ. თავადაზნაურთა ოჯახებიდან გამოსული ოფიცრები სიამოვნებით შედიოდნენ გვარდიაში, შველოდნენ მენშევიკებს ამ საქმეში, ბოლშევიკებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მიტინგის გახსნის შემდეგ პოლკოვნიკმა დაიძახა:

— სიტყვა ეძლევა რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულს!..

ვერ მოასწორო წინადადების დამთავრება პოლკოვნიკმა, რომ კოსტიუში გამოწყობილი ჩია კაცი წინ წამოიჭიმა აივანზე. მურისფერი სახე ჰქონდა, მრისხანე და კუშტი. დიდხანს იდგა დადუმებული, ხალხს ნუსხავდა შედიდური და სიტყვას არ იწყებდა. ხალხი გაინაბა. იმავ წუთს სულ ახლოს ივრიალა ზარბაზანმა და ხალხს ზუსტად გადაუარა ყუმბარამ და მალლა, მთის კალთაზე შეფენილ სოფელ კიპიკონაში ჩავარდა. ხალხი შეშინდა. უფრო მიინაბა. კიდევ ივრიალეს ზარბაზნებმა: მოედანზე უძრავად იდგა თავზარდაცემული და დადუმებული ხალხი.

— რა საჭიროა უიარაღო და დამორჩილებული ხალხის დაშინება?! — სიტყვა კორნელიმ ბრაზით, რადგან ისიც ხალხში იდგა და უზებრულობას და ერთგვარ შეურაცხყოფას გრძნობდა.

— რისთვის ისჯიან? — შეეკითხა შეშინებული იონა მენშევიკების მთავრობის რწმუნებულს.

— მე ვთხოვე პოლკოვნიკს, გაეფრთხილებია წინასწარ ჩვენი არტილერია, რათა მას ვაესროლა რამდენიმე ყუმბარა მიტინგის გახსნის დროს. ზარბაზნები კარგ ზეგავლენას ახდენენ ხალხზე... — უპასუხა მას ევრო-

პულ ტანისამოსში გამოწყობილმა, ტანმორჩილმა, ფერმკრთალმა და წაშავებულ თვალებიანმა კაცმა.

— გახუმდით და უსმინეთ! ხომ ხედავთ ამათ ზარბაზნაშვილებს როპლანები აქეთ, ბოლშევიკებს კი მარტო უფარგისი თოფები! — ეუბნებოდა დამფრთხალ გლეხებს ოტია მდიენის მოურავი ბეგლარი.

გლეხები შიშითა და მოკრძალებით გასცქეროდნენ ჯარს, აივანზე გადმომდგარ ჩასგრმულ და ზიზილპიპილიან ოფიცრებს, თეთრწვერა დეკანოზს, აიენის წინ შეგროვილ თავადებსა და აზნაურებს. ნიკოლოზის დრო მოაგონდათ გლეხებს.

ტრაპაიძემ წინადადება მისცა ადგილობრივ მცხოვრებლებს, დაუყოვნებლივ აღედგინათ წესრიგი, გაეცათ აჯანყების მომწყობნი, მონაწილენი და ჩაებარებინათ იარაღი, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მთელი სოფლები იარაღით დაეიმორჩილოთ და ქვას ქვაზე არ დაეტოვებთო.

ამის შემდეგ პოლკოვნიკმა გლეხობას მოსთხოვა განსაზღვრული რიცხვი და ოდენობა საკლავ საქონლისა, პურისა და მჭადისა.

ხალხი საგონებელს მიეცა. პოლკოვნიკმა ისევ გაუმეორა გლეხობას ტრაპაიძის წინადადება, ერთი დღის ვადა მისცა და დაემუქრა:

„თუ არ შეასრულებთ მთავრობის წინადადებას, ტყვედ ჩავარდნილ აჯანყებულებს დაგზერტავთო“.

შედგენილ იქნა სამხედრო-საველე სასამართლო, რომელშიაც შევიდნენ: პოლკოვნიკი რევაზიშვილი, კაპიტანი ხიდაშელი და კაპიტანი ახალაძე. მეორე დღეს, ღამით დახვრიტეს აჯანყებული გლეხებისა და ბოლშევიკების პირველი წყება. დაიწყეს დატუსაღება, გადასახლება, სოფლების „გაწმენდა“. კარისმერეთის რაიონს ისევ მოეწოდნენ ყოფილი ოფიცრები და პოლკოვნიკები მენშევიკური კომისრების და მოხელეების სახით. გლეხებს ანაზღაურებინებდნენ თავადაზნაურთათვის მიყენებულ ზარალს, ხოლო გლეხების მოდავე თავადებს ამ საქმეში ეჭომაგებოდა გერმანიის ჯარის უფროსი ფონ-კრესი.

(გვერძელება იქნება)



ლოკოი

ლოქიანი

გაგრძელება *)

თავდაცვის ჰეპტარი

— ბიჭო, რას გადამეკიდე! კაცი არ იქნება ამ კვირა დილით საბჭო-ში. რაზე ვინდა მათრიაო ტყუილ-უბრალოდ აი ბერიკაცი! მოგცემს იმ ოხრად დასარჩენ ხუთ მანეთს სიპიტო! ეუბნებოდა აფთიაქის აივანზე მდგომი სეფე გიე კოსანდილას.

— რაეა არ იქნება, მე რომ დილას მოვდიოდი ჯარი ხალხი ჩანდა, დიდი ამბავია საბჭოში. აბა, მიდიდეთ ჩემი გამტყუნებიზა...

სეფე ფეხს ითრევედა, არ უნდოდა კოსანდილას საჩივარში ჩარეული-ყო და სიპიტო მოემდურებია. კოსანდილა კი არ ეშვებოდა.

— მომეხმარე რამე, თვარა შემომაკვდება მაგი უბედური და მერე ვინცა იტყვის, კოსანდილა გიჭიპო, — კალთაში სწვდა სეფეს და თითქმის ძალად წაათრია.

ორღობიდან თემშარაზე გადავიდნენ. საბჭოს ეზოში მართლაც უჩვე-ული ამბავი ხდებოდა. შენობის უკან კანტიკენტი სროლა ისმოდა და ხალხი ირეოდა. შეიარაღებული ახალგაზრდები ცხენებს დააქენებდნენ.

როგორც კი შეაღეს კიშკარი, მაშინვე გაისმა საყვირის ხმა. აივან-ზე სკაჩია ვადმომდგარიყო და რადიოს მოშლილ რუპორს აჩხავლებდა. ყველა დაფაცურდა. საიდანღაც აირწინაღებიანი ხალხი გაჩნდა. ზოგს სა-კაცე მოჰქონდა, ზოგი ხელურებს მოაგორებდა, რალაც ნახერხს აბნევდენ ეზოში. ისეთი ცხარე სუნი იდგა, რომ სუნთქვა სჭირდა.

გაისმა ძახილი:

— დაჭრილ-დამწვრები პირველი დახმარების პუნქტისაკენ. საკაცეებიანი ხალხი სეფეს მისცივდა.

— დაწეკით, დაწეკით, მოწამლული ხართ!

*) გაგრძელება — იხ. „მნათობი“ № 8 — 9.



სეფე გაოგნებული იდგა, ვერ გაეგო, რატომ იყო მოწამლული მკვლელები რამ მოფიჭრების დრო აღარ მისცეს. ფეხებში სწედნენ, სკანდალური ხმებით აწვინეს და საეკიმო პუნქტისაკენ გააქანეს. კოსანდილემ მიშველება სცადა, მაგრამ ეს საოცრად მორთული ხალხი მასაც მივარდა, — დაწეკი, შენც მოწამლული ხარო.

— ვაი დედა! — დაჭრილი ნადირივით დაიღრიალა კოსანდილემ, ფეხი იშვირა და თავის სიმაღლე ღობეზე გადაეკვლო. მესრის წვერს ფეხი წამოჰკრა და მიწაზე გაიშხლართა. წამოხტა და ბუზარა მიმჯდარი მოწვერივით მოჰკურცხლა. დიდხანს ვარზოდა დაფეთებული. როცა თავი სამშვიდობოს იგრძნო, უკან მოიხედა — სეფეს რა მოუვიდაო.

საბჭოს ეზოდან აირწინალიანი მხედარი გამოდიოდა. შაშხანა მხარ-ილივ ჰქონდა გადაკიდული. კოსანდილემ იფიქრა, ნამდვილად მე მომ-ღვეს დასაქურად ეგ ოჯახტორიო, და ყანაში გადაეშვა. ჩაის ბუჩქებზე და თბრილებზე ხტებოდა, სიმინდს მიწაზე აფენდა, ღობიოს ბურღოებს ჰგლეჯდა. მაგრამ ცხენის ფრუტუნი კვალდაკვალ მისდევდა. კოსანდი-ლე ღობესთან ჩაცუცქდა და როცა მხედარმა ჩაუჭროლა, წელში გამოარ-თა და ისევ გაიქცა. ხეტყის ქარხანას რომ გაუსწორდა, გაუბედავად გა-ხედა თემშარას და კიდევ ის აირწინალიანი მხედარი დაინახა. ქარხნის წინ იდგა. ცხენს ყალყზე აყენებდა, რალაც განკარგულებას აძლევდა. კა-მეჩის ყროყინივით მოისმოდა მხედრის ხმა აირწინალიდან.

— ცეცხლი თუ გაჩნდეს... — მოჰკრა ნაწყვეტ სიტყვებს ყური.

ქარხნის წინ ფაცაფუცი ატყდა. სახანძრე საქაჩავეები გამართეს ზოგ-კიბე მოჰქონდა, ზოგს წყლის კასრი. მხედარი მანდარინის ფარდულისა-კენ გაემართა. კოსანდილემ იფიქრა, ალბად მე დამეძებს ის ცხენოსანო, და დაწვით ემუჭრება ქარხნის გამგესო, ფერღობზე გაღირბინა, გზა მო-იარა და გაცოფებულივით მიიჭრა სეფესას. ღობეზე შედგა და დაიყვირა:

— არიჭა უშველეთ!

ალვასი სამშანდის წინ სარეცხს რეცხდა.

— რა ამბავია, ბიჭო, ჩენს თავს! — შეჰყვირა თავზარდაცემულმა და სანის ქაფში მოსერილი ხელები ლოყაზე შემოიკრა.

უიმისოდაც საშიში შესახედავი იყო თმაბურძენული, სახეარეული კო-სანდილა. ახლა კი სულ გაცოფებულს ჰგავდა, ტანისამოსი ღობიოს ფოთ-ლით და ბირკებით ჰქონდა დაფარული, თვალებს საოცრად აბრია-ლებდა.

— სეფეს უშველეთ... ჯალამბერზე დასდევს, საბჭოში წაიღეს, სო-ლაა საბჭოში, ცხენოსანი მოდის! — არეულად მიაყვირა კოსანდილემ.

ამ დროს შარაზე მართლაც გაისმა ცხენის ფეხის ხმა.

— არიჭა მოდიან! — იღრიალა კოსანდილემ და ღობეზე გადახტა.

ალეკსის გული გადაუბრუნდა. ქმრის შეეშინდა: გულს დაეჭრა ქონდა და შარშან დამბლაც მოუვიდა. გიჟის მოტანილ ამბავზე შეცხადება მაინც ვერ გაბედა. ტანთ გადაიცვა და სიპიტოსას გახრჩვეულად ციციროს იქ იყო. პუპულას ეშველებოდა საკერძოში: ეს არის ალარ შევიდა, ქიშკრიდან დაუძახა.

— არიქა, საბჭოში მიმყევით, სეფეს რალაც მოუვიდა!

ციცინომ შეპყვილა და მყის ქიშკართან გაჩნდა. პუპულაც ჩამოგორდა კიბეზე. სამივენი საბჭოსკენ გაქანდნენ.

სეფეს მიგნება ადვილი არ აღმოჩნდა.

ეზო ქლორიან ნახერხით იყო მოთეთრებული.

არეულ ხალხში გაფხორილ ინდაურივით მიდიოდა პუპულა, აირწინალიანი ახალგაზრდები წამდაუწყუმ ეჯახებოდნენ... პუპულას ხელსახოცი ცხვირთან ეკირა და ტურნებ აბრუტყვით იძახდა:

— დედა რა ამქორებულია აქაურობა! ნეტაი სად გააქრეს ის ბერიკაცი?

საექიმო პუნქტის წინ ახალგაზრდები იპრიტისაგან თავდასაცავ ტანისაშის იცვამდნენ. საფრთხობელებს ჰგავდნენ ყვითელი კალენჯორის მოსასხამებში, შირის ხელთათმანებსა და ჩექმებში. დათვებივით დაბაჯებულდნენ. შეშინებული ძაღლები ჰყეფდნენ, პატარა ბავშვები ღრიალებდნენ, მოზრდილები კი ამ უცხოელ მორთულთ უკან დასდევდნენ, სახეში უჭკრეტდნენ და ეკითხებოდნენ:

— რომელი ხარ, შენ, რომელი?

ვერც აქ ნახეს სეფე. ახლა მეორე ჯგუფისაკენ გაემართნენ.

იქ სარდიონი ქალების სანიტარულ რაზმს ავიარჯიშებდა. „საპაერო ბომბარდიერების მსხვერპლთათვის პირველი დახმარება უნდა აღმოეჩინათ“. „დაქორილები“ „დამწვრები“, და მოწამლულები“ საევაკუაციო პუნქტზე უნდა გადაეყვანათ. მინდორზე გაზეთები გაეფინათ. სანიტარებს დაქორილები უნდა აეკრიფათ, მაგრამ შემოჯარულ ხალხში ქალიშვილებს მიწაზე დაწოლა ენათიერებოდათ. ყველა უკან იხევდა, ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ — შერ გადი პირველადო. ბოლოს ჟონა გამოვიდა მწკრივიდან.

— რას იბრანქებით უშნო პატარძალივით! — შეუტია ჟონამ. მარგალიტას და კლეოპატრას და გაბედულად გაწვა გაფენილ გაზეთზე. მარგალიტაც მოეშველა, მუხლებზე გადმოფენილი კაბა ჩაუსწორა.

— უი, დედა, რა უტყფარია! რაფერ წამოიკვავა ამ ევროპია ხალხში ეს აბტაუჯა! ყველაფერი პირველად მაგან უნდა გაბედოს! — გესლიანად ჩაილაპარაკა პუპულამ.

ციცინო შეკრთა, მიმოიხედა — ხომ არაეინ მოპკრა ყური პუპულას სიტყვასო. ნაბიჯს აუჩქარა და პუპულას და ალეკსის გაუსწრო. ციცინო უიმისოდაც დამნაშავედ გრძნობდა თავს ამხანაგების წინაშე. მის

თვალწინ მოძრავ სურათივით გაირბინა წარსულმა კვირამ, როცა წვედამ-
დელუბმა შრომისა და თავდაცვის ნორმების ჩასაბარებლად წვედამდელის
ვარჯიში.

თავდაცვათავეთაჟიშის ინსტრუქტორი ხალისიანად მოეკიდა მეცადინეო-
ბას. მთელი სოფლის ახალგაზრდობა ჩააბა ვარჯიშობაში. ციციწომაც
სხვებთან ერთად ჩაეწერა. განსაკუთრებით სროლა ახალისებდა და ქა-
ლიშვილებში ყველას სჯობნიდა. მისი ნასროლი იშვიათად ასცდებოდა
ნიშანს. მისი ნასროლის შეფასება დაუსრულებელი მოწონებისა და ოხუნ-
ჯობის საგანი იყო.

ახალგაზრდებს ეჩვენებოდათ, რომ ტანმორჩილი და შკვრივი, ხაკის
ფრენისა, გალიფესა და ყვითელ გეტრებში გამოწყობილი ინსტრუქტორიც
თვალეებს „უბრაწვედა“ ციციწოს. და თითქოს მის გამოსაჯავრებლად
წამდაუწუმ ეკითხებოდნენ: როგორი თვალეები უნდა ჰქონდეს კარგ
მსროლელსო.

— ეუუენა თვალეები ნანატრია კარგი სნაიპერისათვის, — სიცილით
უპასუხებდა ხოლმე ინსტრუქტორი.

როცა შრომის და თავდაცვის ნორმები ჩააბარეს, ინსტრუქტორმა თა-
ვით შეიტანა წინადადება — ერთი კვირა კიდევ ვიმეცადინოთო, საპაე-
რო ჭიმიური თავდაცვის ნორმებიც ჩავაბაროთო. წასაქვებლად დაპირ-
და, ვინც ნორმებს საუკეთესოდ ჩააბარებს, საფრენოსნო სკოლაში მოხ-
ვდებაო. ციციწომ მაშინვე წამოიძახა:

— მეც ჩამწერეთ საფრენოსნო სკოლაშიო.

მეზივით ვაგარდა ეს ამბავი სეფეს ოჯახში. ალესიმ შეიცხადა, ლო-
ყები დაიხოჭა — გოგო გადამერიოო. ციციწოს დაემუქრა, სახლში და-
გაბამ და არსად ვაგიშვებო. კოსტა ყალყზე შედგა. ვადაეკარგები, სახლ-
ში აღარ შემოვალ, თუ შენ საფრენოსნო სკოლაში შეხვალო. სეფესაც აუ-
ჩუყდა გული. სად უნდა წახვიდე, შარშან დამბლა დამეცა, ჩემი გული
ბეწვზე ჰკიღია, იქნებ ცოცხალს ვერ ჩამომისწროო. მთელს ოჯახში მარ-
ტო ბაჭურია იყო ციციწოს მომხრე. პუბულაც ჩაერია საქმეში. ცეცხლ-
ზე ნავთს ასხამდა.

— სადღაც ქალაქში კურსებზე როგორ წავა პატიოსანი ქალიშვილი.
მაგფერ ვარემოებაში ქალი თავს ვერ დაიჭერს, ერთხელ რომ გაუტყდე-
ბა ქალს სახელი, შერამე წასულია მისი საქმე, ვერაფერი ვეღარ უშვე-
ლის! — გაიძახოდა ზვიადამის ქალი.

ციციწომ მართლაც დაამწყვდიეს. — საეარჯიშოდ კი არა, სამუშაო-
დაც აღარ უშვებდნენ ბრიგადაში. გული ბოლოით ევსებოდა, როცა სა-
ეარჯიშოდ მიმავალ ახალგაზრდებს დაინახავდა. სულ თვალწინ ედგა
საბქოს კედელზე გაკრული პლაკატი — ყვაილის ფარფლივით ჰაერში
მოფარფატე პარაშუტი, ლურჯ კომბინეზონში გამოწყობილი ჭერა ქა-
ლიშვილი, ვაკეატურად მოლიმარი სახით, მიწაზე დასახტომად გამზადე-

ბული. ერთ წუთს წარმოიდგენდა, რომ ეს თვითონ იყო და მიშარევი სიხარული გულს აუტოკებდა, მაგრამ მაშინვე უფრო ჩაქვეყნდა და სიტყვები: „თავს ვერ დაიჭერ, სახელი გაგიტყდებაო.“ და შერის ჩაუჭრებოდა ოცნება საფრენოსნო სკოლაზე.

არეულად მიდიოდა ახლა ციციწო, პუპულას გაურბოდა, კიდევ რამე არ წამოროშოსო, ამხანაგებში არ შემარცხინოსო.

— რას იტყვიან ამხანაგები, თვითონ გამოგვეთიშა და ახლა პუპულასთან და ალვასისთან ერთად მოსულა და უბად გვიღებსო, — ფიქრობდა ციციწო.

ისე გაოგნებული მიდიოდა, რომ ამ ჯარ ხალხში ალვასი და პუპულაც დაკარგა. სეფეს დაეძებდა, ყველას ეკითხებოდა, ხომ არ გინახავთო. ძლივს მიაგნეს მის კვალს. „მოწამლულ ოთახთან“ იღვა და გაოცებული შეკუთრებდა ქიმიური რაზმის ვარჯიშობას.

„მოწამლული ოთახი“ აირების სახაროლებელ კამერას შეარქვეს, საბჭოს უკანა ოთახში რომ მოეწყოთ. დიდი ჰედვა იყო იქ. სეფე ძლივს იღვა ფეხზე. ციციწომ პირველმა გაარღვია წრე. სეფესკენ მიიწედა. უცებ ქიშვარდის და სილოვანას მოპკრა თვალი, აირწინაღებს რომ იცვამდნენ.

სახის მკრთალ ფერზე და უჩვეულოთ თეთრ ხელებზე სილოვანას ჯერ კიდევ ემჩნეოდა გამოვლილი ავადმყოფობა. შეშფოთებული ელისაბედი უკან დასდევდა, ეზინოდა არ გამიცვიდესო.

— გაოფლიანდება და ისევ შეუბრუნებს, დედა, რა მეშველება ახლა! — იძახდა აფორიაქებული ელისაბედი და ინსტრუქტორს ფეხებში ებლანდებოდა.

სილოვანა ბრაზობდა — დამეთხუე, ნენა, რას დამდეე კუდში. მეძუძური ბალანა ხომ არ ვარო.

ის პირველი შევიდა კამერაში. თავგზააბნეული ელისაბედი უკან დაედევნა, კინოლამ უაირწინალოთ შეკვეა შვილს „მოწამლულ ოთახში“. ძლივს მოუსწრო კარებში ინსტრუქტორმა და გარეთ გაიყვანა. ქალებმა შეკვივლეს — ელისაბედი მოიწამლო.

— ვაი სულო, ნეტა მაგი კვიმატი სილოვანა გაიგუდებოდეს, მაგან დაგვაკარგვია მთლად ნაცხვარი! — გესლიანად გადაულაპარაკა პუპულამ ალვასის.

ქიშვარდი ამ დროს აირწინალის გაორთქლილ სათვალეებს სწმენდდა. იქით გაიხედა, სადაც ელისაბედი გაიყვანეს. ციციწოს მოპკრა თვალი — დაფეთებულ ელისაბედთან რომ მიიქრა. ეუცხოვა მისი აქ ყოფნა. არ იყოდა, თუ რატომ მოსწყდა ასე უცბად ციციწო ვარჯიშობას, ისევ ბონდომ თუ აიყოლაო! ბონდოც წვევამდელი იყო, მაგრამ ლელობურთში ნაღრძობს კოქს იმიზეზებდა და ვარჯიშობას თავს არიდებდა.

მთელი სოფელი ფეხზე იდგა. პარტკომის მდივანი ებიფანე ფითონ წავიდა ჩაის ქარხანაში სახანძრე მოწყობილების ჩამოსატრეფ მუშაკელებზე, აგროტექნიკოსები, საეკიმო პუნქტის თანამშრომლებსა და მუშაკებლად ეხმარებოდნენ წვევამდელებს. სარდიონი თავისდღეში კაცს არ შესვამდა თავის იორლაზე. ყველას ეუბნებოდა — ურაა, ფეთიანი, დავამტერვესო. მანაც ვერ გაუტეხა ხათრი წვევამდელებს. მაინც ლელავდა ქიშვარდი. ეზინოდა, რაიმე მოულოდნელ დაბრკოლებას ხელი არ შეეშალა. თავდაცვის ჰექტარის კაფეაც უნდა დაეწყოთ ამ დღეს და ყველაზე მოულოდნელი დაბრკოლება შეიძლებოდა ამინდს შეექმნა. წუხელ როგორღაც ამინდი აირია და ქიშვარდი ისე ლელავდა, თითქოს ამინდისათვისაც ის ყოფილიყო პასუხისმგებელი. საღამოზე ვასაკები გულშემზარავად ყაპყაპებდნენ და ეს საადროდ ჰქონდათ „დაცდილი“ სამღეთოში. საღამოდანვე უთვალთვალებდა ქიშვარდი დასავლეთის მხარეს.

ზღვის კაბადონზე იისფერი ფარდა ეშვებოდა, საღლაც ფარდის მიღმა ელავდა. თითქოს ვიღაცას უხილავი ხელი წამდაუწუმ ლამპარს ანთებდა და აქრობდა. ელეა ღრუბლის საბურველში ვერ ატანდა. მხოლოდ დამფრთხალი ლანდივით გაიჩნებდა ფარდის უკან. ჟამიჯამს ყრუდ დაიგრუხუნებდა, და მაშინ შემფოთებულ ქიშვარდი ფარნასთან მიიჭრებოდა, აღვიძებდა და ბარე მეთვეჯერ ერთსა და იმავეს ეკითხებოდა.

— გადაიტანს ამინდი თუ არაო.

— ნუ გეშინია, ბიჭო! რამ დაგაფეთა, შენი საკედარო ქვეყანა ხომ არ იქცევა! — ამშვიდებდა ფარნა.

ქიშვარდის მართლაც ეჩვენებოდა, რომ ეს დღე განსაკუთრებით მშნიშენელოვანი უნდა ყოფილიყო მის ცხოვრებაში. მას ენდო კომკავშირის ორგანიზაცია. მას დააკისრა საპაერო განგაშის მომზადება და ეს ნდობა უნდა გაემართლებია. ეზოში დადიოდა და შემურულ ცას შეკუყრებდა. ისე სწუხდა. თითქოს თვითონ მას აწვა გულზე ღრუბლები, ცაში რომ ირეოდნენ. მზათ იყო ცის თალისათვის ხელი შეეყრდნო, რომ წვიმა შეეჩერებინა. მთელი ღამე ამინდს უთვალთვალებდა.

დღეს დილიდანაც არ ასვენებდა ამინდი. საყორნიის მწვერვალი ვერაგულად ბოლავდა. ხეებში ნისლი მიბობლავდა. საპაერო განგაში სრულდებოდა, წვევამდელები კალენკორის მოსასხამებს იხდიდნენ, საქურველს ალაგებდნენ. ცულები და ბარები გამოჰქონდათ კოლმეურნეობის საწყობიდან. ახლა საკაფავში უნდა წასულიყვნენ.

— თუ წვიმამ აქ მოგვისწრო, ხალხი სულ დაიფანტება, ფიქრობდა ქიშვარდი.

სკაჩია და სეფე ამინდის შესახებ კამათობდნენ.

სეფე გაწყალებულ თვალებს ხუტავდა, ხელებს იჩრდილებდა შუბლზე, დასავლეთის მხარეს გასცქეროდა.

— ანგარიშით ახლა მაგი სადაროც არის და საადროც. მორახის მხარე ამოკუპრული რომ არის და ზღვა რომ ყვირის, მაგას აედარის ნანგარიში აქვს. იქიდან აწვება, ღრუბელი. მარა ზენაქარი ზენაქარი ჩაეარდა, მაშინ დაიწყებს წვიმას. აი მშვეც რომ წავსვამს ფოთის მხარეს, მაგიც დარის ნიშანია.

— ნანატრი ამინდი იწნება, ძვირფასი ამინდი. მაი მე შკითხე, შენ! — იძახდა ყოველთვის იმედიანი და გულგაუტეხავი სკაჩია.

ამ დროს ბიძინამ მოაგელვა სარდიონის აქაფებული იორლა. ინსტრუქტორს უბატაკა:

— ნება მომეცით, მოგახსენოთ, ამხანაგო ინსტრუქტორო: ხე-ტყის ქარხანა, სასაქონლო ფერმა, მანდარინის ფარდული, სანერგე მხად შეხედნენ საპაერო განგაშს.

სკაჩიამ განგაშის დასრულებიხ ბუკი დააყვირა და ყველანი ნაციხვარისკენ დაიძრნენ.

ამ დროს პუპულა თემშარაზე მიგორავდა. ბრაზისაგან ტანის სიძიმეს ველარ გრძობდა. აღვასი ძლიეს ეწეოდა. ციციხო კი ფეხს ითრეედა. პუპულას წყველაკრულვამ გული გაუწყალა. აფთიაქთან შეჩერდა.

— წავალ, ბაბას წამოვყვები. სამხედრო სწავლებასაც ვუყურებ. — მიუბრუნდა ციციხო დედას ისეთი მუღარა ეხატებოდა თვალეში, რომ აღვასი შეყოყმანდა.

— შენ გგონია მართლა სწავლობენ რამეს! — გაწიწმატებით წამოიძახა პუპულამ, — ახტრუტებულია გოგოები, უხარიათ ბიჭებთან ღლაბუკი. მერე რაცხა „მოწამლული ოთახი“ რომაა, იქ გოგოებს ატიტვლებენ თურმე.

ციციხოს სირცხვილის აღმური მოედო სახეზე, უკმაყოფილოდ გადახედა პუპულას. ამითთან რას გახდებდა კაციო. გაიფიქრა და ნაბიჯს აუჩქარა.

ამ დროს დასავლეთის მხრისკენ ყრუდ დაიქუხა და შებოლილ ცაზე ელვა დაიკლანა. ქარმაც მძლავრად დაუბერა.

— გაეჩქაროთ, თორემ წვიმა მოგვისწრობს. — სთქვა შემფოთებულმა აღვასიმ და ქარზე მოფარფატე თავშალი კისერზე შემოიხვია.

— ისემც უქნია, წარღვნა მოსულა! — სთქვა პუპულამ და მუღარით აღაპყრო ზელები ცისკენ. — თუ დაიწყეს ნაციხვარის კაფვა, მერე რომც მოვიდეს ის ქალადი, რალას მიშველის. აი ყაძახი სად დაიკარგა მაინც? — სასოწარკვეთით წარმოსთქვა და თემშარას გახედა.



გზის გაყვანისას სიპიტოს ეზოს კუთხე რომ ჩამოაჭრეს, პუპულა ტფილისში წავიდა საჩივლელად. სიპიტო დიდ იმედებს ამყარებდა პუპულას

ვეტილობაზე, მაგრამ ზვიადაძის ქალი გაწვილებული დაბრუნდა ტფილისიდან. მაინც „იხტიბარს“ არ იტებდა. ამბობდა, დამპირდნენ რაიონში მოწერილობას გამოვვზაენით, სილოვანას და შერმანდნას, ზეკუნის დავეყენებთო, სიპიტო და პუპულა სულ იმ ქალაქის მოლოდინში იყვნენ. მაგრამ ეს „ჯადოსნური“ მოწერილობა ჯერ არსად სჩანდა.

ამასობაში კი ჭირი ჭირს დაერთო. ჯერ იყო იმ წყეული პანტების დაბლერტისათვის მთელი საქმე შეუყენეს. ამას კოსანდილესთან დაეკომპყვა, ახლა კიდევ წვევამდელებმა და კომკავშირელებმა თავდაცვის პეტტარის მოწყობა განიზრახეს. აქაც სიპიტოს დაადგეს ბებერაზე ფეხი. კოლმეურნეობამ წვევამდელებს თავდაცვის პეტტარისათვის სიპიტოს ნაქონი მამული — ნაციხვარი გადასცა. კოსანდილასთან ჩხუბის შემდეგ სიპიტომ თითქოს გადაიწყვიტა ნაციხვარის დაბრუნების იმედი. მესერიც აიღო. მაინც რალაცას მოელოდა მოუსვენარი სიპიტო. გეგმებს აწყობდა. შეილთან გაყრას აპირებდა, იქნებ ნაციხვარი ბონდოს შეახვედრონ წილშიო. როცა კოლმეურნეობის დადგენილება გაიგო, სიპიტომ ქვა ისროლა და თავი შეუშვირა. მთელ დღეს დაობდა სოფლსაბჭოში.

— თუ გადასავდებად გინდოდათ ის მამული, მე რალას მართმეულით! — ამბობდა სიპიტო.

ყვირილით რომ ეერას გახდა, ამ დილით რაილმასკომში გაიქცა — იქნებ მოვიდა ტფილისიდან ის მოწერილობაო. ამიტომ გაპყურებდა ახლა პუპულა თემშარას, მაგრამ სიპიტო არსად სჩანდა.

აივანზე ავიდნენ. ციციხო ისევ საკერავ მანქანას მიუჯდა. პუპულას სიბრაზეს თითქოს ნიავ-ქარი ამოჰყვა. აივნის წინ აზრდილი კვიპაროსის ტოტები ოდის სვეტს ეხეთქებოდნენ და სურნელოვანი წიწყები მაგიდაზე გაშლილი საკერავს ეფინებოდა.

ზვიადაძის ქალს საბახმაროდ ჰქონდა ფრთები აწყობილი. კაბას აკერებინებდა ციციხოს, პალტოს აბრუნებინებდა. ალვასისაც გაუჩინა საქმე:

— შენც უნდა ვაგსარჯო დღეს — სიტქვა და პალტოს სახელოები მიჩაჩა დასაბლანდავად. — იქნებ ამ კვირაში მოვათავო საკერავი. კიდევ რამდენი მოსახაზირებელი მაქვს. ელიზბარა დამპირდა — დღეის სწორს წაგიყვან ბახმაროზეო. ყველაფერი ჩამოგვართვეს. ეზოც ვაგვიფილეკეს. მარა მაგენის ჯინაზე მაინც არ დავგლახდები. ბახმაროზედაც წაველწელს და წყალტუბოშიაც.

და მართლაც, არ ეტყობოდა პუპულას, რომ დაგლახებას აპირებდა. დიდი ჯავრი გულისხეთქა გადაიტანა გზის გაყვანის გამო. მიუხედავით ამისა, უფრო მეტად ჩავიდრებულყო. წელი აღარ აჩნდა და კისერი. ძველ პალტოში აღარ ეტეოდა. ციციხოს თავგზა დაეგზა მისი თათბირით. არ იცოდა, როგორ გამოეყვანა პალტო ძველი ნაჭრებისაგან. პუპულამ ძველი მუფთა გამოიტანა. საყელოზე და სახელოებზე ეს ბეწვი მოაყოლო. ციციხომ რამდენჯერმე გაზომა. მაინც არ ჰყოფნიდა საპალტოედ.



— გულისპირად კაცეტები ჩამიდგი. კაცეტა ივკიის კოლა თუ დაშვენდება, მე ხომ არ დამაუწნოვებს, გასაგრძელებლად ეტყვიან მუხუდობა დაატანე, სთქვა პუპულამ და ძველი ატლასის ნაქერი გამაფრთხილა. კილონოს, სიტყვა „აბრაშემს“ რალაც განსაკუთრებული შარიშურით წარმოსთქვამდა, თითქოს ამ გამოთქმით უნდოდა მოსაუბრისათვის ეგრძნობინებინა, რომ მარტო ის იყო ჩვეული. „ფარჩა აბრაშემის“ ტარებას.

— მართლა, სად გამოსკდა ახლა, ქალო, ამდენი პალატრო, ამდენი კრებდიშინი! უწინ კაცს რომ არ ენახა, ჯემპრი ჯემპრზე, ბოტი ბოტზე აცვიათ ამ გოგოებს! — დაიწყო წიაე-წიაეა ხმით ალევასი.

— ვისაც არაფერი ჭონია მიდღეში, იმას უხაროდეს! — ამოიხრა პუპულამ, — მერე ჩვენ რა! რაც მოდის, სულ დამკვრელებზეა, მაგნს დაპკრავს ლახვარს წმინდა გიორგი! ამას წინათ რომ მოვიდა მანუფაქტურა, შერმანდიას შევებვეწე, ჩვენც გვახვედრე რამე თქვა, იცი რა მიპასუხა? გაჭირებული თუ ხარ, იმუშავე, აი პარტია მანუფაქტურა შრომადღეზეა მოსულიო. აბა! ასე გამომოსტუმრა მაგ გლახამ. მამაჩემი რომ იტყოდა, შექი მოგხედესო დიდი გორისო, სწორით მართალი ყოფილა. სტუმარი რომ მოუვიდოდა შერმანდიას, საბნისთვის ჩემსას მორბოდა მისი ქოლი. ლომის ჩალაზე ეძინა მის ბაღებს, ახლა რამეს რომ ვთხოვ, დამიშტომავს თვალებს. იმუშავე, იმუშავე, მუშისაა ახლა ყველაფერიო. რაფერ უნდა ვიმუშაო ახლა, ალევასი, კოსტა ნუ მოგიკვდება? რაფერ უნდა ამოუდგე გვერდში მაგ დრუნცებს! — გაბრაზებით ამბობდა პუპულა და სიანჩლისაგან იყო თუ თვალს დაპკლებოდა, ნემსის ყუნწში ვულარ უყრიდა ძაუს, ნერვიულად აკენეტდა ბოლოს. ფუნთუშა თითებში გრებდა, მაგრამ ყუნწს მაინც აცდენდა.

— ჩვენს ოჯახში ძროხას არ დაგვაკავებიებდენ ხელში საბალახოთ, ქაკ ცხენებზე როგორ შეგვაჯენდნენ ქალებს, სედლო და ამაზონკა თუ არ გვჭონდა, ეზოდან ფეხს არ გადაედგამდით — ჭოთქოთებდა და ისევ ნემსის ყუნწს ჩაპკირკიტებდა პუპულა.

— ჰო, არც ჩვენ გვარში მოვსწრებივარ ქალის მუშაობას, ვინმე გაჭირებული თუ ჩადგებოდა თოხით ყანაში. ყანა კი არა, ბოსტანი რომ ბოსტანიო, იმასაც ყაძახი დაბარავდა და ჩვენ თუ ჩავთესავდით, იგივე დიდი საქმე იყო. — არ უთმობდა ზეიადამის ქალს ალევასი.

— პუპულა ისევ ძველებურად ჰყეტს, მაგრამ დედაჩემი რალას აპყოლია. — გაიფიქრა ციკინომ და დედას უქმაცყოფილოდ გადახედა.

— მოუსრულებიათ კოლექტივის სახლი ბახმაროზე, დამკვრელებს აგზავნიან თურმე საპაეროდ, წამოიწყო ალევასი.

— ენ დამკვრელებს, ქალო? — უბამოქცევით იკითხა პუპულამ.

— არ იცი, ვის სცემენ ამ დროში პატრვს? თონას ან ასინეთს გაგზავნიან ალბად, გაზეთში რომ გამოხატეს.

— დედა! დედა! რათ უნდა ახლა მაგ დრუნცებს ბახმარო? — აღუღდა ისევ პუბულა. — გაიდობენ ყაძახივით თოხს მხარზე, მარჯვენა მხარეს მამულეებში სამუშაოდ. მაინც რა გაცოფებულია ყოლიქსტ მისი სხეულებზე. რაფერ წახდა ქვეყანა! ესტატეს საპაეროდ გამოუგზავნია ახალმოყვანილი ქალი ტფილისიდან, აპყოლია აი ნასწავლი ქალი ჟონას და ასინეთის, მოუყიდა გოდორი ზურგში, მიჰყვება ამ დრუნცებს ჩაის საკრეფში. რას ფიქრობს ნეტა ახლა მისი ქმარი? გევისწრო უნდა ბახმაროზე, თეარა მეც არ გამაჩერებენ სახლში უმუშევრად. შენც წამოდი, ქალო, ბახმაროზე. ძროხა ქე გყავს, ფქვილს ქე წამოიღებ, რა დაგიჯდება იმდენი? მაგი დრუნცები თუ მიდიან საპაეროთ, ჩვენთვის ზეცა ხომ არ გადახურულა!

„ჩვენთვის ზეცა ხომ არ გადახურულაო,“ ჩასწედა ყურში ციციონოს საკერავი მანქანის გრიალში. რა ყალბად და ფარისევლად ისმოდა ეს გამაერთიანებელი სიტყვა „ჩვენთვის“. თითქოს ალევასი და პუბულა ყოველთვის ერთ ბედქვეშ ყოფილიყვნენ. უწინ ხომ არავინ უნდა თვალში ზვიადაძის ქალს. მაშინ ხომ არ იტყოდა პუბულა თავის თავზე და ალევასიზე „ჩვენ“-ო. წყალი რომ შემოუღდა, ახლა უყადრებს თავს პუბულას ალევასი, ახლა ცდილობს სეფეს ოჯახს მიეკედლოს — ფიქრობდა ციციონო და გაბრაზებული აგრილებდა საკერავ მანქანას.

ამ დროს თემშარაზე მწყობრი ნაბიჯის ხმა გაისმა.

— მოდიან, მოდიან! — დაიძახა ციციონომ, საკერავი მიატოვა და მოაჯირს გადაადგა.

ვარჯიშობიდან მომავალი ხალხი თემშარაზე გამოიფინა. მეწინავედ წვევამდელები მოდიოდნენ ლაშქრული სიმღერით. ოცეულის ფეხის ხმა მკვეთრად გამოისმოდა ლიანგის გუგუნში. მწყობრის თავში აღისფერი დროშა ფრიალებდა და ბაჭურია, რომელიც წინ ზურგშექცევით მორბოდა, ღირიფორივით იქნევედა ზელებს. წვევანდელებს შაშხანების ნაცვლად ცულები, უროები და ბარები გაედოთ მხარზე, მაგრამ ისე გაჯგიმული მოდიოდნენ, თითქოს ალღუმზე მიემართებინათ, — ორი კვირის სამწყობრო ვარჯიში ნაბიჯსა და თავდაპირაზე დასტყობოდათ. მკერდი ამაყად გადმოგდოთ წინ, ქამრები ისე შემოეკირათ, რომ წელი გაწყვეტაზე ჰქონდათ. ფეხებს ცერად იღებდნენ და თავგამეტებით სცემდნენ მიწას. კისრები გაშეშებული ეკირათ, მაინც ღმილით თვალი შეავლეს. მოაჯირზე გადმომდგარ ციციონოს; პუბულას კი მოეჩვენა, თითქოს წვევამდელებმა გამომწვევად შემოხედეს სიპიტოს სახლის აივანს, თითქოს იქაინებოდნენ, აბა მივდივართ ნაცხვარზე იერიშის მისატანადო. განსაკუთრებით სილოვანა მოხვდა პუბულას თვალში ბირდაბირი რომ გაედო მხარზე.

— თავდაცვის ჰექტარის საკაფავად მიდიან, — აღტაცებით წარმოსთქვა ციციონომ.



— ეაი მაგ სილოვენას გულზე ენახე დადგმული ექატერინა^{*)}, ადრე და მალე! — შხამიანად გაუროთმა წყველა პუპულამ. — მაგია ჩვეტი დედას მომთხრელი და დამქცევი! — პუპულას იმედი გადაუწყდა, რომ სიპიტო ამოუსწრებდა „ჯადოსნური“ მოწერილობით და კაფვას შეაჩერებდა.

— ასეა, ქალო, ჩვენთვის ვერ გავიმეტეთ ის წიფლები მოსაჭრელად და ახლა მაგენმა უნდა გადაჩეხონ, — სთქვა დამმარებულმა პუპულამ და თითქოს მუხლები მოეკვეთათ, ტახტზე დაეშვა.

წვევანდელების მწყობრს ქალიშვილების ჯგუფი მისდევდა. ეონას გეკო გაედო მხარზე, მარგალიტა და კლეოპატრა წალღებით მიდიოდნენ.

— დედა, თოფი მიაქვს ეონას! — წამოიძახა ციცინომ და კიბისკენ გაიწია.

— თოფი არა, არიოპლანი არ გინდა! დაეტიე მაქანა! — დაუცაცხანა ალვასიმ.

— დედა, რა უტიფარია მაგი ეონაიე! — წამოიძახა პუპულამ და სიბრაზემ ისეე წამოაგდო ზეზე. გამოიარა ქალო წუხელი და ჩემ მამულის საკაფავში დამპატიეა, წავეხმაროთ წვევანდელებს, თავდაცვის ჰეჭტარის მუშაობაზეო. შენი ბიჭიც ხომ წვევანდელიაო! მისპო მია ახტაუჯა! რაფერ გამიბედა! მაგი უზრდელი! უზრდელი! გადაუღვია ფეხი ფეხზე, გამოუჩენია რუშინი იუპკა, გაუბზეკია თითი, ატარტალებს ენას: ამხანაგებო! ამხანაგებო! — და პუპულაც ისე გატხარებული ატრიალებდა სათითე წამოცმულ თითს ალვასის ცხვირთან, რომ ალვასიმ თავი განზე გასწია, თვალი არ გამომთხაროსო. — რა ჩემი ამხანაგია, ახლა იეაკიის დრუნცი?!
— აბა, ჩვენსასაც იყო წუხელის დასაპატიეებლად. — სთქვა ალვასიმ, სკამი მოაჯირთან მიდგა, რომ ნაციხვარზე მიშავალ ხალხისათვის ექტირა და ისეე სახელს ბლანდვას შეუღდა. — მარა იცოცხლე, ვიფრინე, შენს მამულში რაეა გავყევბოდი საკაფავად! მაგი კი არა, სეფეს ბილეეთი აელო საბჭოში ნაციხვარზე წიფლის მოსაჭრელად და კინალამ მოკვალი იმის გულშია... დედა, ჩემი სიკვდილი! — შეპევირა მან უტეებ და ზეზე წამოფარდა, როცა ქალიშვილების ჯგუფის უკან მიშავალი სეფე შენიშნა, — რაეა აყოლია მაგენს აი გამოშტერებული ბერიკაცი. ნეტა სად მიჩანჩალებს, სული კბილით რომ უჭირავს! მოდი, ჰკითხე ახლა მაგას ჭკუა! — მობოდიშებით გადახედა პუპულას და თავაუღებლად განაგრძო ბლანდვა.

ციცინოც საკერავ მანქანას მიუჯდა. წვიმამ მართლაც მარტო საკაფავში მისვლა დააცადა წვევანდელებს. როცა ნაციხვარზე ავიდნენ, ზენა ქარი ჩადგა და დასაეღეთის მხრიდან დაუბერა. ზღვაზე გაწოლილ ქულა ღრუბლები აიშალნენ და ზიზინით მალ-

*) საფლავის ქვა.

ლა მალა წავიდნენ. ნისლი მთის კალთებამდე ჩამოწვა. ეკლის ბარდებით, შერით და სურიანი თხემლებით დაფარულ ფერდობს ქვეყნის ქვეყნობა რბილში ჰქონდა გამჯდარი. ცივად უბერავდა და რადიკალურად ქახუბებდნენ შაშვები, ცა კი თანდათან შებლს იკრავდა. კვამლის ფერი ღრუბლები ცის თაღს მისდევდნენ. სახეზე უკვე იგრანობდა მოახლოვებული წვიმის წვეთები. ერთი მძლავრად დაუბერა ქარმა. ამრიალდნენ ყურებადაცქვეტილი რცხილის ფოთლები, თქორი წამოვიდა. ფოთლებს შარი-შური და წვიმის შხაპუნი ერთმანეთში აირია. შემდეგ ქარი თითქოს ჩადგა, ფოთლების შრიალი შეწყდა და მხოლოდ წვიმის ხმაური აესებდა იქაურობას. წვიმისგან დამფრთხალი ხალხი დიდი წიფლის ქვეშ მოგროვდა.

ყველას ეზარებოდა ამ ღეშში საკაფავად ჩასვლა ფერდობში, სადაც ბარდი ბარდზე ისე იყო გადაბმული, რომ „ჩიტი კურკანტელს ვერ გაიტანდა“.

— აბა გაუშვათ ცეცხლი, თორემ ამ ეკალს ვერ მიუღვებითო, — გავთბებით კიდევ — სთქვა სილოვანამ, რომელსაც მოსწყინდა გამოდარების ლოდინი.

ის და ქიშვარდი პირველად გამოვიდნენ წვიმის საფარიდან. ჯლები თავზე გადაიხურეს და ბარდს წალღით ძირები გამოუცელეს. ბაქურიაშ ხმელი ევერი მოარბენინა. დანამული ევერი ერთ ხანს იმრიზებოდა, ცეცხლს არ იკიდებდა, მაგრამ ცოტა რომ შეშრა, გულჩახვეულად იწყობოდა. მოლურჯო ბოლში აქაიქ ცეცხლმა ყურები სცქვიტა.

— იშოვა ცეცხლმა ალი, — დაიძახა გახარებულმა ბაქურიაშ და, მართლაც, გახურებული ალი თვალის დახამხამებაზე გეინძის*) კენწეროზე ავარდა. ეკლის ფოთლები თითქოს შორიდან იტაცებდნენ ცეცხლის აღს. გახურებული ღეროები შიშინებდნენ და ტკაცანით სკდებოდნენ. ცეცხლა გუგუნებდა, ჰაერში ფერფლის ღრუბელი დადგა. ერთბაშად ისე დათბა, რომ ყველამ კორტოხზე აირბინა.

საღლაც ახლოს დაიქეჭა.

— ახლა, თუ უნდა, ცაი ფეხათ ჩამოვიდეს, რას დავგავლებს! — იმედინად დაიძახა სკაიამ. რომელიც ეკლის ბარდებს აყრიდა ცეცხლს, ავარდნილი ალი ჰაერშივე აშრობდა წვიმის წვეთებს. ცეცხლმოდებული ბარდებიდან ცხელი ქარი მოდიოდა. ცეცხლის გუზგუზი გულს იმედით აესებდა. წვიმა ისევ უტლაშუნებდა, მაგრამ მას აღარავინ აქცევდა ყურადღებას. ყველა საკაფავს შეესია.

პირველმა მოქრილმა წიფელამ იხუვლა და ღელეში გადაწვა. კენწეროთი კოლმეფრნეობის პლანტაციის ჩაიხერგა და ნაპირზე დარგული ტუნგოს ხე გადაამტვრია.

*) ზვინისებურად ხეებზე და ბუჩქებზე გაზრდილი ეკალი.



— მაგი წიფელა მისი პატრონივით ზარალში წავიდა. არ ვხედა დელეში ჩაიხრანგება, თუ აღმართში არ წამოვაქციეთ — დეფეტე ტყეშიც. თოკი მოიკითხეს. დაეწყებოდათ. ბაქურია გაიქცა თოკის მოსაწყანად. ცელეების ქახანი ერთ წუთს შეწყდა, მხოლოდ შყერს ჩებდენ ღელის პირას.

„კვირ კვირ!“ გაისმა წვიმის ხმაურში და გაწუწული კვირიონები წიფლის კუნწებებზე შემოსხდნენ.

— აბა, მოიტა გეკო. ახლა გამოჩნდება ვინ არის კარგი ვოროშილოვის მსროლელი, — სთქვა კაპიტონამ და მუცელზე ბობღვით იწყო მიპარვა. უკან ხელს იქნედა, ჩუმაღ იყავითო.

შყერის ჩეხას თავი ანებეს. კაპიტონა სველ ბარდზე მიფორთხავდა, თან ისე ვულმოდგინეთ ეფარებოდა ხეებს, თითქოს ხარ ირემს ეპარებო. როგორც იყო სათოფეზე მიუახლოვდა, გეკო შემართა და დაუმიზნა. ყველამ სუნთქვა შეიკრა. კაპიტონა უკვე სასბლეტის გამოშლას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ნაციხვარის კორტოხზე კეწეწის მტვრევის ხმა გაისმა. კვირიონები დაფრთხნენ, ერთი შეშფოთებულად დაიკვირკვირეს და გაფრინდნენ. ყველამ უკმაყოფილოდ მიიხედა კორტოხისაკენ, ეგონათ ბაქურია „მოგლიჯინობს“ ასეთის ხმაურითო. მაგრამ მალალ შყერის ბტქებში ყაისარას მოჰკრეს თვალი, ფერდობზე ჩამოდიოდა, წერილ კისერზე კვახივით წამოცმულ თავს მოაკანტურებდა.

გაბრაზებულმა კაპიტონამ შეუყურთხა — კისრის ტეხაო. სხეები კი ყოყინით შეხედნენ: ყაისარაც მოსულა, ყაისარაცო.

ყაისარა ჭიჭისფერ თვალებს წყურავდა, ვერ გავეო თუ რატომ შეხედნენ ასეთის ყოყინით.

სრულიად მოულოდნელად მოხდა ყაისარა ამ შაბათობაზე, კოპერატივიდან მოდიოდა. ნაციხვარის ფერდობიდან წყნელის ჩეხვის ხმა შემოესმა. იფიქრა, სიპიტო თუ სჭრის შყერს თავის ნაქონ მამულშიო. გადმოიარა, საქმეც ჰქონდა სიპიტოსთან. ერთად აპირებდნენ ხილისა და არაყის გაგზავნას ფოთში. ახლა გაოცებული იდგა და შეჰყურებდა: მთელი სოფელი ნაციხვარს შესეოდა საკაფავად. შეეშინდა ხომ არ გამოიგეს, რისთვის მოვიდიოდიო: გაფონილი კი ჰქონდა, ნაციხვარს წვევამდელებს რომ აძლევდნენ თავდაცვის ჰექტარის მოსაწყობათ, მაგრამ ისიც იცოდა, რომ სიპიტო სადაოდ ხდიდა თავის ნაქონ მამულს. ახლა უკან დახევა, მუშაობაზე უარის თქმა უხერხული იყო. ძალაუნებურად მზიარული სახე მიიღო და საერთო ქრიაშულში ჩაერია.

— შევესიეთ ხომ ნაციხვარს, — თითქოს ხუმრობით სთქვა ყაისარამ, და ფერდობზე დაეშვა, თან კორტოხს გაჰყურებდა შემკრთალი, სიპიტო ხომ არ მოდისო.

* *

ცეცხლის ალი კი ისევ გიზგიზებდა და ქარს ალუქებდა. მისი მძვინვარეობა მიჰქონდა. გულშეწუხებული პუპულა წინ და უკან დაიძვინვარებდა. საკერავს აიღებდა და ისევ დააგდებდა. თავს ძალას ატანდა და ნაცხვარს თვალს არიდებდა. მაგრამ ნაცხვარზე ავარდნილი ცეცხლის ალი თითქოს კისერს უღრვავებდა, სახე არეული ისევ ცეცხლს გაჰყურებდა.

და თითქოს პუპულას ახელებსო, სწორედ ამ დროს ნაცხვარის კორტოხზე ამართულმა ტოტებ გაშლილმა წიფელამ ლაწანი მოადინა მიწაზე. პუპულამ ხელეწი გაასაფხავა:

— კუბოთ სილოვანას! კუბოთ!

ციცინოს კანი აებურცა ზურგზე ამ შხამიან წყველა-კრულვაზე. გაცხარებული აგრიალებდა მანქანას, რომ პუპულას ქოთქოთი დაეყრუებინა, მაგრამ საკერავი მანქანის გრიალში ისმოდა პუპულას წყველა.

— სად დეიკარგა აი ყაძახი? აღარ შემიძლიან მეტის ატანა! წამოიძახა სიპიტოს ლოდინით გულგაწყალებულ პუპულამ. წამოდი ალვასი გავიაროთ, იქნება გზაში შევხვდეთ. სიპიტოს ამოსვლამდე ქე გაატიალებენ იქაურობას, მერე რაღას მიშველის იგი მოწერილობა! — ოთახში შევარდა გაროზი მოიხურა, ოთახის კარები მიახეთქა და კიბეზე დაეშვა. ალვასიმ საკერავი ტახტზე მიადინა და პაპულას გამოუდგა.

ციცინო? თავისუფლად ამოისუნთქა, სული შეეხუთა პუპულას წყველაკრულვამ, ფიჭრით შაბათობაზე იყო. ახლა იმედი მოეცა, იქნება დაუსხლტე დედაჩემს ხელიდანო. ისიც ნაცხვარისკენ გაემართა.

* *

— ვინ ავა ახლა ამ ქვეაში ხეზე? — სთქვა სეფემ, როცა ბაქურიაშ თოკი მოარბენინა. ფარნამ თვალეები მოიჩრდილა და ცად აწვილ წიფლის კენწეროს შეხედა.

— ზევიდან დავაჭრათ და ფერდიდან მოვაწვიეთ, — სთქვა სეფემ.

— სულერთია მაინც ქვევით გადასწონის, ისეთი კაცისაა მაგ ხე, რომ უსათუოდ დაგვაზარალებს, — სიცილით სთქვა ივაკიამ.

სანამ მოზრდილები თათბირობდნენ, ბაქურია ციყვივით აცოცდა უშტოვო წიფელაზე და ზევიდან გადმოსძახა, — აბა თოკი ამომიგდეთო. სეფემ ეს მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა ბაქურია უკვე ხის შუატანზე იყო დაფეთებულმა დაუყვირა:

— ჩამოდი ამ წუთში ძირს! ხე სოველია ჩამოვარდები!

მაგრამ ბაქურია სულ ზევით და ზევით მიმობღავდა. პირველ ტოტს ხელი დაავლო და შეისვენა.



შებნედე ამ ეშმაკის ფეხს! — მოწონებით სთქვა სილოვანამ, — პუბუ-
ლამ რომ უთხრა, კვიკიკა მომირეკო, მაშინ ხომ არაფრან, ვეფელუშეიარ
ავიდა ზეზე. ახლა კი, შეხედე რაფერ ტრიასავით აშმა ამ [ქვემოთ] სქესე.

პუბულას ხსენება და მისი გამოჩენა ნაციხვარის კორტოხზე ერთი
იყო.

არიკა, მტრის დაზვერვა მოდის! — დაიძახა მოჭრილი წიფლის ტო-
ტებზე შემდგარიმა კაპიტონამ.

ბაქურიაშვიც გადმოიხედა, წერილ ტოტზე ეკიდა ხელი, შტო მოიხ-
ლიჩა და ფარფატით წამოვიდა ძირს. ქალიშვილებმა შეჰკივლეს, კორ-
ტოხზე გადმომდგარი პაპულა, ალვასი და ციციწო სირბილით გაიქცნენ
ღელის პირისკენ. პუბულა უკან ჩამორჩა, ალვასი და ციციწო კი ხელად
გაჩნდნენ ხის ძირას. ბაქურია, თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე გა-
მოძვრა შვერნალიდან.

— შეეშინდა ბალანას, დეიზაფრა, იმიტომ ჩამოიჭრა ხიდან, — ჩაილაპა-
რაკა ელისაბედმა და ზვიადამის ქალს გადახედა.

ამასობაში პუბულაც მოიჭრა, ელისაბედის საყვედურს ყური რომ მო-
ჰკრა, შეერთა, მივარდა და ბაქურიას მოეხვია:

— დედა შვილო, ჩემი რაზე შეგეშინდა? ჩვენ რაღა გვეკუთვნის ნა-
ციხვარზე, მე როვა გეტყოდი რამეს? რა გეტყინა, შვილო?

ალვასიც წაღმუჯულმა აატრიალებდა თავის ვაქს, — სინჯავდა, ხომ
არაფერი მოიტეხაო. — ბაქურია იოლად გადარჩენილიყო, მხოლოდ კანი
გაფხაჭუნოდა იდაყვზე.

— პარაშუტივით ჩამოფრინდა ძირს, — ამბობდა შეეტუხა ყარაშანა
და წიფლის ტოტს არხედა, ბაქურიას რომ მოუხლიჩა.

ალვასი დაფაცურდა:

— არიკა, მიწა მოთხარეთ მაგ ხის ქვეშ; ნახშირი იქნება უთუოდ.

ახალგაზრდებმა ყბად აიღეს ალვასი, ყრუობის დრო ხომ არ არისო.
მაგრამ სეფემ და ფარნამ მთელი ხის ძირი გადათხარეს. მართლაც აღმო-
აჩინეს სადღაც ნახშირის ნატეხი. ალვასიმ დანაყა, წყალში ჩაყარა და
ბაქურიას მიუტანა — დალიე, უფმური არ აგვეცსო, მაგრამ ბაქურია დედას
ხელიდან დაუძვრა, წაქეულ წიფელზე ამობლდა და ტოტების სხებვას
შეუდგა. ალვასი აღარ ეშვებოდა, დალიეო. ბაქურია დიდ ხანს უარობდა,
ბოლოს გაბრაზებულმა ჭიქას ხელი ჰკრა:

— მაგისტანა აბდლურს კი არ გვასწავლიან პიონერ ორგანიზაცი-
აშიო! — და წიფლის ტოტების სხება განაგრძო.

ალვასი გაცეცხლდა, კალათში სტაკა ხელი და უყვიროდა:

— ამ წუთში წამოდი შინ, შენ ღღეს მართლა მოიტებ კისერს, ისე
ხარ ატეხილიო.

ყანსარამ ამ დროს პუბულა დაიხელთა, განზე გაიხმო და უბოდიშებდა:

ჩემზედ ცუდი არაფერი იფიქრო პუპულას კირომე! ამფერო ცეცხლი ნახე ჩემს ოჯახში, თუ მე რაზე მცოდნოდეს ნაცხვარის უფუფუნე უფუფებზე. ნაჯახის კაცუნი გავიგონე, მეგონა, სიპიტო მუშაობდა გქი და: მუშაობდა მუშაობდა მოვიარე.

პუპულა ამშვიდებდა — შენგან ღალატს როგორ მოველიო.

ძლივზ მოაცილა ალვასიმ ბაქურია წიფლის ტოტებს. ძალად მიათრევდა ბიჭს შინისკენ. სეფესაც უყვიროდა პუპულას ვასაგონად, შენც წამოდი, კიდევ არაფერი მოგივიდესო.

ციკინომ დრო იხელთა, ალვასის გაექცა, მამასთან მივიდა.

— შენ მართლა ნუ დაიღლები, გულზე არ გაწყინოსო — უთხრა მამას, თავსაფარი შეკრის ბურჭზე გადააფინა და ქალიშვილებში შეერია.

— სეფეს აწი რალა გაუჭირდება, ისეთი შიში აქამეს დღეს, რომ წრეულს აღარ გააცივებს. — სთქვა სკაჩიამ. — მართლა არაფერი იყო, სეფე, რომ გეცენ ქლიკში და დაგდვეს ჯალამბერზე?

— იკრიკე შენ, იკრიკე! მართლა ომი რომ დაიწყოს, მაგას არ გაკმარებენ ქლიკში კი არა ყორყში გეცემიან, თუ მომზადებული არ დახვდი. ახლანდელი ომი ძველი „პახოთობა“ კი არაა, ყაისარამ რომ მიიღო ზახრატულტის შენდალი, — ვერ ნახე წუხელის, მანიერების სურათს რომ უჩვენებდნენ კინოში?

— გახსოვს ფარნა, ცხრაას ხუთში რომ ვემზადებოდით პლასტუნების დასახვედრად, რამოვრერას თოფები რომ დაგვირიგეს, ზღვის პირას, — მიუბრუნდა სეფე ფარნას: — შენ რომ გკითხა ასისტავმა, ბარიკატებს, რაფერ გააკეთებო, ცხენოსანი რომ წამოვიდეს იერიშზეო.

ფარნა ჩემზემად ილიმებოდა ულვაშებში. სეფე კი იამბობდა, თუ რა უპასუხა მაშინ ფარნამ ასისტავს:

— ჯერ ჭიჭის ნამტვრევებს დაუყიწი წინ, ცხენებმა რომ ფეხი დააქრან — ჭიჭამ თუ ვერ შეაჩერა, ხეებს წავაქცევ; ტოტებს ჩაუჩხვავ, ხემაც თუ ვერ შეაჩერა, მაშინ რალას იქო, — შეეკითხა ფარნას ასისტავი მაშინ უკამანდრებ ნახიშტუმო. გახსოვს, ფარნა, ასისტავმა რომ ვითხრა, შამფურს ხომ არ წამოაცვამ რამოვრერას თოფზე, ხიშტები რომ არ გვაქო.

ახალგაზრდები სულ-განაბული უგდებდნენ ყურს.

აბა ახლა რომ ჯარი გვეყვს, იმის მესანედი რომ გვეყოლოდა, მაშინ, პლასტუნები ხომ ვერ გადაგვეწვავდნენ ჩამოართვა სიტყვა ივაკიამ.

— არა იგი რა იყო დღეს, ბიძინა რომ მოაჯლივიანებდა ეჭიშის ცხენს, ოფლათ რომ ვახეთქა, რას ყვიროდა, ცეცხლი არ გაჩნდესო? — ჩაერია საუბარში ყაისარა.

შენ ჭერში ხომ არ მჯდარხარ, ვერ გეიგე — მანიერები იყო, ისე წარმოადგინეს, ვითომ მტერი დაგვეცა აეროპლანებით. — დაიწყო სეფემ — ხოდა ამდენ ჭონებას დაცვა არ უნდა? უწინ ცეცხლი რომ გაჩენილიყო სოფელში, რა დაგეწობოდა კაცს, ერთი ფაცხა და ნალია. ახლა რამდენი



ქონების პატრონი ვართ: სახერხი ჭარხანა ვარო, გარაგი ვარო, სახერხე ვარო, მანდარინის ფარდული ვარო, საქონლის ფერმა ვარო, ვაჭარობდა სეფე და კაუჭა თითებს ჰკაცავდა. მხოლოდ მაშინ შესწავლავდა მათ, როცა ხელეებზე თითები აღარ ეყო. — რა ვიცი რამდენი რა ახლავს კოლექტებს!

ამ საუბარში წვიმამ გადაიღო კიდეც და ღრუბლების საბურველში მზის სხივმა გამოჰკიტა. ჭიშვარდის მოავონდა, თუ რამდენი სამუშაო ედოთ წინ. რასაც დღევანდელ შაბათობაზე მოასწრებდნენ, ის იქნებოდა და ის, თორემ ამ ვახუტრებული ჩაის კრეფის დროს ამდენ ხალხს კიდეც როდის მოუყრიდნენ თავს.

— აბა ჰე, დავტრიალდეთ, დაიძახა მან და ხმში ლითონის ელერა იგრძნო, თითქოს მეთაურობამ ძალა შეჰმატა.

თოკი ჭამარში გამოიბა და ბობღვით აჰყვა წიფლის ტანს, რომლიდანაც ბაჭურია ჩამოვარდა. მამია და ყარამანა ცულებით მიადგნენ ხეს და სანამ ჭიშვარდი ხის წელამდე ავიდოდა, მათ უკვე შუაგულამდე ჩაუჩხეს ხეს ტანი. ჭიშვარდი დაიჭანცა. ერთობ მაღალი ხე იყო. გადმოიხედა, ციციონოს თვალებს შეხვდა მისი თვალი და თითქოს სულ დაავიწყდა დაღლილობა. სწრაფად მიბობღავდა ზევით. მალე კენწეროში მოექცა. თოკი სიზაბა და ძირს გადმოავდო. სანახევროდ მოჭრილი ხე უკვე ირყეოდა და ფერდისკენ იზნიჭებოდა. ხალხი ხეს თოკით ექაჩებოდა კორტოხისაკენ.

— ჩამოდი ძირს! — უყვიროდნენ სეფე და ფარნა ჭიშვარდის.

მამიამ და ყარამანამ ცულები დაუშვეს. ხე ოდნავ გადაიხარა კორტოხისაკენ. ყველა შეშფოთებული შეჰყურებდა ხის კენწეროზე შერჩენილ ჭიშვარდის. ახლა ძირს ჩამოსვლაც გვიანი იყო. ჭიშვარდი კი დამშვიდებული იჯდა კენწეროზე. ხეს განგებ არყევდა, თითქოს ისედაც დაფეთებული ხალხი უნდა დააფრთხოსო. თითონაც არ იცოდა, მუდამ მოკრძალებულს საიდან გაუჩნდა ასეთი თავხედური გამბედაობა. ფარნა უყვიროდა — ჩამოდი, ბიჭო, ძირს ნუ გაგვიხეთქე გულიო. ყმაწვილებს მოსწონდათ ჭიშვარდის სითამამე. აქეზებდნენ აბა გამავრდიო. ქალიშვილები კი შემკრთალნი შეჰყურებდნენ. ჭიშვარდიმ შენიშნა, თითქოს ციციონოს სახეზე მუდარა იყო აღბეჭდილი. ნეტა რას იზაშს, მართლა, რომ ჩამოვარდე? გაუელვა თავში.

ამ ფიქრში იყო გართული, როცა ხის გადატეხილმა ტანმა დაიჭექა. ქალების კვილი და კაცების შეყვირება ერთმანეთში აირია. ხის ტანი გადაიზნიჭა და მხელით დაეშვა ძირს. ყველას ეგონა, რომ კენწეროში შერჩენილი ჭიშვარდი ხესთან ერთად მიწას დაენარცხებოდა. მაგრამ როცა მოჭრილი წიფელა გვერდით მდგომ სუროიან თხემლას დაშორდა, დაინახეს, რომ ჭიშვარდი თხემლის ტოტზე ეკიდა და ნებიერად ირწეოდა. თხემლისა და წიფელის ტოტები ერთმანეთზე იყო გადახლართული და

სანამ წიფელა წაიქცეოდა, ქიშვარდომ თხემლის ტოტზე ხელის მოკლება მოასწრო.

— რაა, კაცო, მოგვკალი შიშით, ჩამოდი ძირს! — ხელის მოკლება მოასწრო.
მაგრამ ქიშვარდი აინუნშიც არ იგდებდა, ის მხოლოდ ციციხოს უფურება და მის გაბრწყინებულ თვალებში მოწონების შუქს ხედავდა.

— თოკი ამომივდე! — დაუძახა ბოლოს მამიას, რომელიც წაქცეულ ხის ტოტებს თოკს ხსნიდა.

— აბა, გააბი სატელეფონო ქსელი! — დაუძახა მამიამ. თოკი დაავორგალა და ქამანდასავით შესტყორცნა.

ქიშვარდომ თოკი თხემლის კენწეროს გამოაბა.

— არის სატელეფონო კავშირი! — პატაქის ხმაზე ჩამოსძახა წვევამდელებს.

— აქ ნამდვილი სათვალთვალო პუნქტია ბიჭებო.

მამიამ თოკის ბოლოს კოთხო გამოაბა, ვითომ ტელეფონის გამართვას შეუდგა. „სახელურს“ ატრიალებდა.

— აბა, რას ხედავ? — შესძახა მამიამ.

ქიშვარდომ დურბინდევით მიიღო თვალებზე ხელები და არემარეს გადახედა, ირაოზე გასული ქორჯაჯები დაინახა.

— ერთი ყუმბარმშენი და ორი გამანადგურებელი! — თითქოს დაფეთებულმა ჩამოსძახა ზევიდან.

— აბა, საზენიტო ქვემეხები და ტყვიამფრქვევები, გაისმა ძახილი.

წვევამდელები დატრიალდნენ. ხის მორები მოავორეს და საზენიტო ქვემეხებით დააყუდეს. ხის ტოტებით ნილბადდნენ „ქვემეხებს“.

ხეზე მჯდომი ქიშვარდიც გაიტაცა ამ სახელდახელოდ მოწყობილმა მანევრებმა. მისი ფანტაზია ვაცხარებით მუშაობდა. ჩაის ბუჩქებით მოფარდაგებულ სერებს გასცქეროდა და, წუხელ კინოში ნანახი არმიის მანევრები აგონდებოდა.

ჩაის ქარხნიდან მომავალი საბარგული და ორი ცხენოსანი შეამჩნია და წვევამდელებს ჩასძახა:

— არიქა ტანკები და კავალერია მოდის!

— აბა! შეფერხება ტანკებისთვის! — დაიძახა ინსტრუქტორმა, რომელიც ჩაერია ახალგაზრდების ხალისიან ფუსფუსში.

სახელდახელოდ ტანკების შესაფერხებელი ორმოები — ესკარპები ამოთხარეს.

— აბა გრიგალისებური ცეცხლი! — დაიძახა ხმაჩახლეჩილმა სკაჩიამ.

და ცეცხლის ალი მართლაც ავარდა, იეაკიამ და კალინიკამ, ორკაპებით ეკლებს რომ ავუნდავებდნენ, გვინძლს ცეცხლი წაუკიდეს. ამ დროს ქარმა მძლავრად დაუბერა და ცეცხლის ალი გაიტაცა. ესკარპების მოწყობით გართულმა ახალგაზრდებმა ვერ შენიშნეს, თუ როგორ მოედო ცეცხლი ეკლის ბარდებს, ცეცხლი იმ ხისკენ გაიქცა, რომელზედაც ქიშ-



ვარდი იჯდა. მან კი მხოლოდ მაშინ იგრძნო საფრთხე, როცა ხანძარს ცეცხლის სუნთქვა სახეზე მოხვდა, და თავზე ფერფლი გადაჰყარა. ამ შემთხვევაში შვეიცარიაში გახელდებული მიმორბოდნენ ცეცხლის ენები.

— აბა დახვდით! ცეცხლს გზა მოუჭერით. ლობისკენ არ წავიდეს! — იძახდნენ ივაკია და კალინიკა და აღმართზე არბოდნენ.

ყველა შვეიცარის შეესია და თავაწყვეტილი ცეცხლის გარშემო ქრალის გავლებას შეუდგა.

ჭიშვარდიმ ძირს ჩაიხედა. იქ ცეცხლი გულგულზედა. ცეცხლის ენები ქარის შებერვაზე ისე ირწოოდნენ, თითქოს სამაიას ცეკვავდნენ. იგი ახლა ფიქრობდა, თუ როგორ ჩამოსულიყო ხიდან. ცეცხლი იქით მიიწევა, სადაც შვეიცარის ბუჩქზე ციცინოს თავსაფარი იყო გადაფენილი. ციცინომ შეპყვირა და ცეცხლთან მიიჭრა.

— მოიცა! — დაუყვირა ჭიშვარდიმ. თხემლაზე მიბმულ თოკზე ჩამოეციდა და სრიალით დაეშვა თავკვე. ხის ტოტებს ამტვრევდა, დაბურდულ სუროს მოარღვევდა. ქვევით შვეიცარიაში კი ცეცხლი კვლავ გიზგიზებდა გახელდებულ ცხოველივით მიმორბოდა.

მიწას, რომ დაუახლოვდა, ჭიშვარდიმ თოკი წელზე მიიბა, ხის ტანს ფეხი ჰკრა, საქანელასავით გაქანდა, ცეცხლმოდებულ შვეიცარის გადაეგლო, დასწვდა და ცეცხლს პირიდან გამოსტაცა აბრეშუმის თავსაფარი. ისევ უკან გამოქანდა, მაგრამ თოკი დაიგრიხა, ჭიშვარდიმ მიმართულება დაჰკარგა და ცეცხლმოდებულ ბარდს შეეღწეა. ბოლისაგან და ხანძრის სიმხურვალისაგან ერთ წუთს სუნთქვა შეეკრა. შემდეგ მოქნევის ძალამ ისევ შემოაბრუნა, ცეცხლმოდებულ შვეიცარის გადასცდა და ეკლის ბარდზე დაეარდა. მაგრამ ხელათ წამოხტა, ხალათის კალთაზე ცეცხლი მოსდებოდა. წარბწამწამი და წინწამოყრილი ქოჩორი შეტრუსოდა. კალთაზე მოდებულ ცეცხლს ხელით იჭრობდა, ციცინოს თავსაფარი მაინც იანე მოჰქონდა, თითქო მტერს ალომი წაართვაო. პირისახე ეწოდა, მაგრამ როცა სახეგაბრწყინებულმა ციცინომ თავსაფარი ჩამოართვა და წყლიანი თვალემა აღერსიანათ შეანათა, დამწვარი კანიც თითქოს დაუამდა.

ახალგაზრდები შეეგულფდნენ. ყველა ჭიშვარდის „გაფრენის“ შესახებ ლაპარაკობდა. სახეგაბადრული ჭიშვარდი კი იღვავა, ცეცხლისაგან შეტრუსულ ქოჩორს ისრესდა, შერუჯულ წარბებზე ხელს ისევამდა და ჩვეულებისამებრ გვერდით იცქირებოდა, თითქოს სურდა მარტო დამტკბარიყო იმ სიხარულით, მის გულს რომ აესებდა. სიხარულიც აღარ ასვენებდა, თრთოლვასავით უვლიდა ტანში, ცულს დაავლო ხელი და თავგამეტებით დაუშინა წიფლის მორს. კრიალა ნაფოტებს ცაში ისროდა, თითქოს სურდა მათთვის გაეტანებია ეს სიხარული, გულში რომ აღარ ეტეოდა.

— საფრთხემ გაიარა, განგაში დასრულდა! — გამოაცხადა სიტყვით ინსტრუქტორმა. — ამდენს ჩვეულებრივი წესით ორ დღეს ვეძღვებოდით.

— აბა ახლა ბარი დავკრათ, ცოტა კვალი დავაჩინოთ! — სთქვა სილოვანამ. — ამ საკაფავს ქე მოათავებენ ივანიკა და კალენიკა. ბარები მოიტანეს.

ფერდობში ისევ გაისმოდა ცულების ჩახა ჩუხი, ისევ ბოლავდნენ კუზიანი კუნძები, ღულუნით მიფრინავდნენ ცაში კრიალა ნაფოტები, წვევამდელები კი ბარებით შეესიენ ახოს.

— აბა თქვენ დაგვაწყვეთ, ვინ სად დავდგეთ, როგორ წავილოთ ნაპირი, ახალგაზრდების თაოსნობაა დღევანდელი მუშაობა, — სთქვა, სეფემ.

— შენ უნდა გასწიო დღეს ბრიგადირობა — უთხრა სილოვანამ ქიშვარდის.

ბარების ამორჩევას შეუდგნენ. ყაისარამ ყველა ბარი დაიწუნა.

— ამას მრუდე ტარი აქვს, იმას ჩემსავით მოცვეთილი კბილი, ეს რა ბარები მოგიტანიათ, იარაღი ამუშავენს კაცსო. — ბუზღუნებდა.

— კაცსაც აქვს მნიშვნელობა, — მიუგო გაბეზრებულმა ქიშვარდომ და თხმელის კუნძთან დადგა. — ჩვენ, წვევამდელები, ვოროშილოვის ნაპირს წავიღებთ, — სთქვა მან და ხარბად მოიზომა ფართო სვრელი. დროშა დაასო რცხილის კუნძთან. — შე და სილოვანას ნაპირი ამ ვენახიან თხმელას და პანტას შუა იყოს.

შე და შამია ფრონტის ამ მხარეს გავამაგრებთ — სთქვა კაპიტონამ და პანტას იქით გადაიზომა სვრელი.

— შე და ყარამანა მარცხენა ფრთაზე დავდგებით, — სთქვა ბიძინამ.

ორი კვირის ვარჯიშს წვევამდელების სიტყვახმარებაზედაც დაეჩინა კვალი.

ბარვას შეუდგნენ. მოჭრილი წიფლის ძირიდან კიდევ ისმოდა ყაისარას წერილი ხმა:

— შე ამ ბარით ვერ ვიმუშავებ სწორედ, ასეთი ბარით ამ ძირნალას რა გადააბრუნებს.

სანამ ყაისარა დაობდა. ბარები უკვე გაინაწილეს. ყაისარა ხელცარიელი დარჩა. იმასაც ეს უნდოდა.

— შე რაღა ვქნა ახლა. ხელით ხომ ვერ დავებარავ! — დაიძახა მან ეითომ გულმოსულმა.

ერთხანს იწრიალა, შემდეგ სვრელის შარჯვენა მხარეს გადავიდა, სადაც მასწავლებელი, აგროტექნიკოსი და ინსტრუქტორი მუშაობდნენ. გადაჭრილ კუნძზე წამოჯდა.

— ქაქების სატკივარი მაქ, აი რწყეული რემატიზმით ვარ შეპყრობილი, სულ აღარ მაქ საძრავი, — მიმართა მან ინსტრუქტორს, როგორც

უცხო კაცს. — წყლებზე სიარულს ვიყავი შეჩვეული და წალკელთა მოვახერხე წასვლა. თქვენთანაც პირშავად დავრჩი, სულ ვეფხვებოდი სამუშაოზე. — მიუბრუნდა ყაისარა დანიელას, — შევესარულეთ თუ ვინაა წარევიანდელ გეგმას?

დანიელა და აგროტექნიკოსი ნაბარავ ყამირს სინჯავდნენ, ყური არ ათხოვეს ყაისარას, ყაისარა ისევ ინსტრუქტორს მიუბრუნდა:

— ამ თვის გეგმას კი მოვასრულებთ, მგონი, მარიამობისთვის თუ არ ქამა სირცხვილი.

— ჩვენ თუ ვერ შევასრულებთ შენი თხები მაინც შევასრულებენ კოლექტივის ჩაის გადახერხის გეგმას. — გადასწვდა სკაჩია ყაისარას. — მას აქამდე ვერ მოენღებია, ყაისარას თებებმა თორმეტი ძირი მანდარიონა რომ გადაუხერხეს. — რომ წამომგდარხარ მაგ ჯირკზე კიკოსავით, შენ გგონია, ბარის გულიზა მოგაცდენ ასეთ კარგ მუშას? ბარი თუ გინდა, თუთხმეტს გაეაჩენ ამ წუთში! — სთქვა მან და თავის სახლისკენ გასწია.

— აბა შენ იცი, რასაც ივაყვაცებ, — დაციინეთ მიუფო ყაისარამ.

— ჩვენთვისაც წამოიღე ბარები, ქალებიც ვიმუშავებთ... — მიამახა ეონამ სკაჩიას, რომელიც უკვე კორტონზე ასულიყო.

ახალგაზრდების მხარეზე ქიშვარდიმ დაჰკრა პირველი ბარი. ბარის პირი შეერის ძირს მოხვდა, ქიშვარდიმ ძირს ხელი დაავლო ამოსაგდებათ. დიდხანს ეძიძგილავებოდა.

— კბილით დააფრინდი და ისე ამოგლიჯე! — გადასძახა კუნძზე მჯღომმა ყაისარამ ქიშვარდის.

— ბარს მოკიდე ხელი, თვარა ისე დავაფრინდები რომ ამ ფერდში დაგაგორებ, დაუყვირა ყაისარას უკვე დაბრუნებულმა სკაჩიამ. გაოფლიანებული მოდიოდა. შთელი შეკვრა ბარები წამოვლო. ქალიშვილები სკაჩიას დაეხვიენენ და ბარები დაინაწილეს.

ეონამ ქალიშვილები ქიშვარდისა და სილოვანას მხარეზე დააყენა. ციკინო ქიშვარდის გვერდით დადგა. ამან იგი კიდევ უფრო გაახალისა.

— აბა ჰე, ვრა! — დაიძახა ქიშვარდიმ და იმოდენა ბელტი ვადმოაბრუნა, რომ კინალამ ბარის ტარი ვადაამტვრია.

სილოვანა პანტას ძირს უბარავდა, ფეხს ვაცხარებულს სცემდა ბარის საფერხულს, დაღვლაკნილ ფეხებს ბარის პირით ხლენთა, მაგრამ მძიმე სულთქმაზე ემჩნეოდა, რომ ნაავადმყოფარს ბარვა ემძიმებოდა.

ქიშვარდის თითქმის სირბილით მიჰქონდა სერელი სილოვანასაკენ, ახლოს მიეჭრა. გზა ვადაუღობა და მზრუნველობით ჩაულაბარაკა:

— არ ვაოფლიანდე ბიჭო, არ შეგაბრუნოს!

შენც ერთი, ნენა ვამიხდი! რა ეშმაკი ვამაცივებს; — სთქვა სილოვანამ და ვეება ძირი ვადაჩეხა ბარის პირით, თან ქოშინებდა, მაგრამ ნიზს არ იცვლიდა, ცდილობდა ქიშვარდისთვის თავი დაეველო.

ქიშვარდი კი სულ ვარს დასტრიალებდა, ადგილიდან დაძვრის სურველობას არ აძლევდა, ეუბნებოდა, შეისვენე ცოტათ, სხვებს უნდა შეუძლებლად გასძახოდა:

— აბა მიდით მიდით! — და ბარის ტარს ისე უჭერდა ხელს, თითქოს სურდა წვენი გამოედინა.

ქალიშვილებმაც დაიწყეს ბარვა მარჯვენა მხარეზე.

— აბა ვინ ვის აჯობებს! — გადმოსძახა ჟონამ ყმაწვილებს.

ქიშვარდომ ახლა ციციოსკენ წაიღო სერული, მის ნაპირში შეიჭრა.

— აბა ჰე, დასცხე! იძახის ქიშვარდი და ყმაწვილების წასაქვებლად ნადური წამოიწყო, სიმღერის ხმაზე სცადა ბარის შეწყობა: — ეიო ბეხა, — დაიწყო მან და სხვებიც აპყენენ.

ფარნამ და სეფემ ჩამოართვეს სიმღერა და შეძახილი ოხო. ო...ხო...ხო... ხევეში გახმაურდა და სადღაც ჩაიკარგა. ყველა აიტაცა სიმღერის რიტმმა.

ფარნა ჩუმჩუმად გაცქეროდა შვილს, მაქოსავით, რომ გარბოდა სერელის ერთი ბოლოდან მეორისკენ, გული სიამაყით ეცხებოდა მოხუცს. თვითონაც გაცხარებული ბარავდა. სეფეც ცდილობდა არ ჩამორჩენოდა, მაგრამ უჭირდა. წელი თავშალით ქონდა გაკრული, მუშაობის დროს თავშალი წამდაუწყებ უვარდებოდა. ყაისარა კი ისევ ბუზღუნებდა:

— რა ბარი ჩამოუტანია და დასახრჩობ სკაჩის!

ბოლოს ზოზონით და ტაატით ჩაეიდა ნაპირზე. სულ კორტოხს გაპყურებდა შეშინებული, სიპიტო ხომ არ მოდისო, ერთი ორი პირი ჩამობარა.

— მოდი, სეფე, დეითქვი სული, დავისვენოთ პატარა. ქიშვარდის და სილოვანას თუ აპყევი, ცოცხალი ვერ ააწევ ამელამ შინ. მაგენი დღეში ერთ ქცევა ლომს გამარგლავენ. სოქვა ყაისარამ. — ქამარში გარკობილი ჭინჭის ქისა ამოიღო, უი, დედა, წელიო, დაიკვნესა და ნაპირზე ჩამოვდა. — მოდი ფარნა შენც, თუთუნე მოსწიე, რა გეჩქარება, ხვალაც ამ თვისაა. ამ ძირნალში ნახევარ ნორმასაც ვერ გააყეთებს კაცი, რა ვადაბარავს ამას! შე ზომ ვამბობდი — ამ ძირნალს ტრაქტორიც ვერ ვადაბარუნებს მეთქი. ტყვილა დაუკარგეს მის პატრონს იგი მაშული; არაფრათ არ გამოდგება, სპოტია, *) ხელად ჩამორეცხავს. — სოქვა მან და ქისაში თუთუნს ფშენა დაუწყო, სხვებმაც წამოიწყეს ყაისარას ქისისკენ. ყაისარაც დაუხარებლად აწოდებდა ქისას, ყველას აოცებდა ხელმოკერილ ყაისარას დღევანდელი გულუხვობა.

— არ მოკვდეს ყაისარა, რა ხელგაშლილია დღეს — სოქვა კალენიკამ.

*) დაკიდული ფერდობი.

— აბა, ქალიშვილებო, წამოებმარეთ ერთი ყაისარას, თორემ მოკვება
კაცი მუშაობით. ორა მტკაველი უკვე გადაბარა! — დაიძახა სკაჩიამ, რო-
მელიც არ ასვენებდა და სულ ყაისარას დასდევდა უკან. ^{გამბეჭდილი}

ჟონა მართლაც გადავიდა ყაისარას ნაპირზე და ისე დატრიალდა,
რომ ერთ წუთში გამიქასწორა ჩამორჩენილი სვრელი. გადაბარა ნაპირი
და ყაისარა შიგნით მოაქცია.

— შარვალი მაგას უნდა ეცვას და არა ყაისარას, — მოწონებით სთქვა
სკაჩიამ.

— აბა ჰე, დასცხეთ, ავაჭენოთ ეს ნაპირი კორტოხამდე! — გადასძახა
ქიშვარდიმ ახალგაზრდებს იმნაირ კილოზე, რომ უფროსებისათვისაც
ეგრძობონ-ნიბინა ჯერ შეჩერების დრო არ არისო, ოფელში გაწუწული,
კალთებ შემომწვარი ხალათი გაიხადა.

— აბა ვიო ბენა! — წამოიწყო მან ისეც ნადური და ბარეა განაგრძო.
ყაისარას ხალხი შემოეცალა...

ახალგაზრდების ნაპირმა თითქოს ფეხი აიდგა და თითონ გარბოდა
კორტოხისკენ. ყაისარა კი ისეც ნაპირზე იჯდა, ყალიონს აბოლებდა და
ვითომ დიდის გულმოდგინებით ჭალანგარით ბარს ლესავდა.

— ნამიკარი კი ნუ აწვებით მაგ ბარს, ტრიკი არ ჩამოვივიდეთ! —
ვასძახა მან მუშაობით გახელებულ ახალგაზრდებს.

ყაისარას შენიშვნაზე ქალიშვილებმა სიცილი ასტეხეს.

— შენ ირისთავთან რომ იყავი მოურავად, ძიან ერთგულობდი
მაშინ. გათენებამდე ჩამოხვიდოდი სიმინდის ტეხაზე, ჩემს ბატონს არა-
ფერი დააკლდესო, — ისეც შეება სკაჩია ყაისარას.

ყაისარა ჩაჩუმდა, არ იამა, ერისთავის მოურაობა რომ მოაგონეს. „ვი
დედა წილის“ ძახილით წამოდგა და ბარეა დაიწყო. მაგრამ ამ დროს ნა-
ციხიარის კორტოხზე ქორმა გადაიარა. რალაც თოკის მაგვარი ეჭირა
კლანჭებში. საოცრად იკლანჭებოდა. ყაისარამ ისეც გაავლო ბარი ხელი-
დან. ბეჭობზე აირბინა.

— მოდი, შეხედე, კაცო! რა მიაქვს იმ წყეულს! — დაუძახა ყაისარამ
სეფეს.

— რა არის ვითომ? — სთქვა სეფემ და თვალეზი ცან მიაშტერა. ჯა-
ჯა მიფრინავს, არ გინახავს ამის მეტად თუ?

— უხსენებელი მიაქვს კლანჭებით, ხედავ, რაფერ იკლანკება!

ყველამ თვალეზზე ხელი მიიჩრდილა, და ქორს დაუწყო ცქერა.

— მართლა უხსენებელია, — თითქმის ერთხმად წამოიძახა ყვე-
ლამ.

— იცი, სეფე, რატო იციან, როცა უხსენებელი შევა ვინმეს ოთახში, იმ კაცს მდინარის გაღმა გეიყვანებენ.

— რაზე? რაზე? — სთქვა სეფემ და ბარის ტარს დაგვრდნენ. ბისმოყვარეობით მოწყურა თვალები და მიაშტერდა. სეფეს ხომ არ შეეძლო საინტერესო რამე ამბისთვის ყური არ დაეგდო.

— უხსენებელი რომ შევიდეს შენი მტერის და ავის ოჯახში, — დაიწყო თავის კანტურით ყაისარამ, — ეის ოთახშიც შევა იმის ინტერესი აქვს, იმას ემტერება. ჰო და ჰირუსუფლებმა იგი კაცი უნდა გადამალონ, მდინარის გაღმა უნდა გეიყვანონ.

— შენი ჰირიმე! ვაოცებით წარმოსთქვა სეფემ.

ისეთი საიდუმლო ხმით იამბობდა ყაისარა, რომ სხვებიც შეჩერდნენ და მისკენ მოიღრციეს კისერი.

— ჰო და ოთახის პატრონს რომ ვერ ნახავს, უხსენებელი ძებნას დაუწყებს, ყველაფერს ჰკითხავს, ხეს ჰკითხავს, მიწას ჰკითხავს, ყველა სულიერს და უსულოს ჰკითხავს — სად წავიდა ესა და ეს კაციო. უხსენებელის მოტყუება არ შეიძლება. ყველამ მართალი უნდა უთხრას. ეტყვიან აქეთ წავიდაო. მდინარესთან რომ მივა, იგი ეტყვის, მე არ ვიცი, არ მინახავს, მე მივმდინარეობო. იგი კაცი რომ გადავიდა, მაშინდელი წყალი ხომ ჩარებული იქნება.

— შენი ჰირიმე! წარმოსთქვა ისევ სეფემ.

აბა აგი თუ გაქვს ვინმეს დაცდილი გველმა რომ გიკბინოს სიზმარში, მტერი მოგერევა, თუ მოჰკალი, მტერს მოერევი, — ჩაუთოო კალენიკამ.

— მართლა გასაკვირალი არაა? სულ რომ არ გვიფიქრია, იმფერო რამე დაგეისიზმრება და აგისდება. თევეზი დამეისიზმრა წუხელ და აგერ ნახე, თუ დიდი წვიმა არ მოვიდეს, — სთქვა სეფემ.

— ჰო, მე დაცდილი მაქვს, ცხენი თუ დაგეისიზმრა, — ქარი იცის, შეაწია თავისი წვლილი საუბარს ივაკიამაც.

— აბა ეის გინდათ სიზმრის ახსნა, აქეთ მოდით ყაისარასთან! დაიძახა სკაჩიამ.

— ხედავ, რა ამბავშია ყაისარა, სულ გააჩერა ხალხი. რა ეშმაკმა მოათრია დღეს მაი! — უთხრა ჰიშვარდიმ სილოვანას. განგებ შერება მაგას, უნდა ხალხი მოგვაცდინოს ამ წილადობილა ლაბარაკით.

— აბა ჩქარა, — გადასძახა სილოვანამ, — რას შერებით მაქეთ, რაგა გაჩერებულხართ!

ისევ ამოძრავდნენ ბარები, ყაისარამაც ისე გამეტებით დაჰკრა ბარს ფეხი, რომ ბარის ტარი გადაუტყდა.

— რა წამოგიღია, ბიჭო, აგი! — მიუბრუნდა სკაჩიას. ამით როგორ იშუშავება, იგი ფუნის ასახვეტი ბარია.



-- ჰო და სწორედ საშენო ყოფილა, — მოუჭრა სიტყვა სკაჩიამ /
ყაისარას სიცილი დაეყარეს.

ქაქუცავაძის

— მტერს შეუწინადა სკაჩია, — დაიძახა მოწონებით მანამ, სანამდრე
კბილის კიაა.

— შენ ნამეტანი ნუ წეიგრიძელე ენა, შეუტია ყაისარამ სკაჩიას. —
ამისთანა უზრდელთან რაეა იმუშავებს კაცი! — უკმაყოფილოდ ჩაილა-
პარაკა მან, წალდი აიღო და იქითკენ წავიდა, სადაც მასწავლებელი და
ინსტრუქტორი ბარაედნენ. — მე აქ ვიმუშავებ, ნასწაველ ხალხში, რამე
ორ ღერ ჰყვიანურ სიტყვას გავიგონებ და ისიც ფული ღირს. — წაქცეუ-
ლი რცხილას ტოტი მოსჭრა და ბარის ტარის გამოთლას შეუდგა. დიდ
ხანს სთალა, თან ფიჭრობდა, როგორ გამოეწყო საუბარი მასწავლებელ-
თან. სიპიტოს ნაქონ მამულში მუშაობა არ უნდოდა და ცუდად ყოფნაც
ეუხერხებოდა. ვათლილ ტარს გახედა, დაიწუნა, გადაავლო. ახალი ტოტი
ჩამოსჭრა რცხილას.

— რას უჩაკუნებ ამდენ ხანს ყაისარ? ეფისკოპოზის ჯოხს ხომ არ
თლი? — გადმოსძახა ისევე სკაჩიამ.

ყაისარამ წაიყრუა შენიშვნა, თითქოს პასუხის ღირსიც არ გა-
ხადა. მასწავლებელი მიუბრუნდა, გაცხარებული რომ ბარაედა ბაბილო-
იანი თხმელის იქით.

— აი დედამიწა თუ გაიხვრიტება ნეტა მეორე მხარემდე, ბურთივი-
თაო, რომ ამბობენ, თუ უცდია მაგი ვინმეს?

მასწავლებელი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: რომ არ ებასუნ-
ნა ხალხი იფიჭრებდა, ყაისარამ ჩასჭრაო. შესდგა და გრძელ ახსნა-გან-
მარტებას შეუდგა დედამიწის აგებულობის შესახებ.

— მთლად არა და სამ ალაბზე *) კი ვაიხვრიტება, შენ რომ ჩაე-
ტოო, ყაისარ, — გააწყვეტინა სკაჩიამ მასწავლებელს.

სიცილ ხარზარი ატყდა. ყაისარამ ახლაც არ გახადა სკაჩია პასუხის
ღირსად. ერთხანს ბარის ტარი თალა, შემდეგ ისევე მასწავლებელს მიუბ-
რუნდა.

— ქრისტემდე რომ ამბობენ, თუ იყო ახლა მაგის მინამსგავსი კაცო
ისტორიაში.

მასწავლებელი გულში ბრაზდებოდა, — რას ვადამეკილა ამ გაცხარე-
ბულ მოშაობის დროს ეს ყაბაყაბა ყაისარაო. ბარვის შეუწერებლად დაუ-
წყო ახსნა: ისტორიულ წყაროებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება
ქრისტეს არსებობის შესახებ და არც ყოფილა სინამდვილეში მაგისთანა
კაციო. ისევე შეჩერდა მუშაობა, შესწყდა ბარის პირებზე ფესვების ღელი-
ჯინი ყველანი სულგანაბული უსმენდენ მასწავლებელს. ყაისარას კი ეშ-

*) ადღზე.

მაკურად მოლიმარი ჭიქის ფერი თვალები მიეპყრო მასწავლებლისათვის და თანხმობის ნიშნად თავს უკანტურებდა.

— ხო! ხო! მასეა ალბათ, — ეთანხმებოდა ყაისარა მასწავლებელს; — ძიან მორწმუნე მიდღემში არ ვყოფილვარ, მარა ავი არ მისჯდებოდა. შეი, ამ ახალმა დრომ ნამეტარი რომ დააშორა სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთს.

— გაათავე ერთი შირიან, მაგი ლექცია, თვარა ყაისარასთან ლაპარაკს მოუნდებით დღეს, — გადმოსძაბა კორტოხიდან სილოვანამ.

ინსტრუქტორი, რომელსაც გეტრები ვაგებდა და ისე ბარავდა ცნობისმოყვარეობით შეწყურებდა ყაისარას.

— ისე მოგწონს იგი ახალი დროება, ბიძია? — შეეკითხა ინსტრუქტორი.

ახალგაზრდებმა დააყურეს, რას ეკითხება ინსტრუქტორი ყაისარა ყაპყაპასო.

— სიტყვაზე, პოლიტიკის ბევრი არაფერი მესმის ამ გამოყრუებულ ბერიკაცს, მარა ამ მთავრობას, კარგათ შევეწყვე- თუ კარგად იმუშავენ, კარგად დაგიფასებს.

— მაგია მთავარი. ყაისარ, აბა სულ ველარ შესწყობიხარ და ისაა! — არ ასვენებდა სკაჩია ყაისარას, ჩვენ რომ გვეყოფა, იმდენი საკუთარიც ჭე გვაქვს და საერთოც. მარა ზოგიერთი იმფერ საკუთრებას მისტირის, ძველებურად როა შეედლოს სხვას დაადგას ზურგზე ფეხი. — შენ რომ გველისათვის ნატერის თვალი მოგეპარა, მართალი სიტყვი. რას ჩაუთქვამდი ყაისარ, იცი მე მყავდა ერთი ხაზინი პლენში, — დაიწყო მან ისევ თავისებურად.

— არა, რავე შევეწყვე? — წამოიძაბა დაფეთებულმა ყაისარამ და სკაჩიას ტყვეობის ამბავი გააწყვეტინა. — მარა ასეა კაცის ხასიათი. ახლა ერთი კალათი ატამი რომ მოიტანოს აქ კაცმა, ყველა ხომ დაესევა და მის მისდა უკეთესს და უკეთესს ამოირჩევს. ასე ხარბია კაცის გული, შენ ჩემობას ვერ მოიშლის.

— მაგასაც აქ ანგარიში. — ჩაურთო ისევ სკაჩიამ. — აბა მე თუ მკითხავთ, შენდა რომ მიეცა უწინ ვინმეს ერთი კალათი ატამი, საკუთარი თავიზა ერთ ცალს ვერ მოიმატებდი, სულ ერთისათვის წაუღებდი ძღვნად. — მიუგო სკაჩიამ, სიხარულისაგან ცქმეტავდა, რომ ყაისარას სიტყვა მოუჭრა. — ახლა ქალები რომ მოიყვანონ, ყაისარ, შენ რაფერ ჭალს ამოირჩევდი, ბარიშნას დაავლებდი ხელს არა?

— აბა რა გგონია შენ, თუ იცი? — წამოიძაბა ყაისარამ და თვალები ეშმაკურად დაახამხამა; გაუხარდა საუბარმა ისევ სახუმარო კილო რომ მიიღო. — ჩემისთანა ბერიკაცს უნდა გათორთქოლებული ჭალი, თვარა შენისთანა დელიყანტი მოლაზონსაც არ დეიწუნებს?



— ო, შენ დეირჩვი, ყაისარ! — მოაძახეს ქალიშვილებმა ახტედ-
ბულ ბერიკაცს.

— აბა ჩქარი! — გამოსძახა სილოვანამ. — რას შერებით მაქეთ? რა-
ვა ავიყოლიათ ყაისარას ლაპარაკმა!

სილოვანას და ქიშვარდის სერელი ისე გარბის წინ, თითქოს ფეხქვეშ
ნიადაგი გახურდა და მომუშავეებს მიერეკებაო. ბარის პირის ქვეშ ნია-
დაგმა ფერი იცვალა, გამოჩნდა ლატერიტის წითელი გული.

ქიშვარდის მზე მოკიდებული ძარღვიანი მკლავები მზის სხივებზე
ბზინავენ.

— შეხედეთ სად ავიდა ქიშვარდი! — ისმის ყოველი მხრიდან.

— რა ტანაჯორივით ბრუნავს! ძან მაგარი და რისკიანი მუშაა, —
ეუბნება სეფე ფარნას.

— არ დაიღალე ვარდქიშ — ეკითხება ციციწო და ამ სიტყვებში ქიშ-
ვარდი რაღაც სინაზეს გრძნობს, ერუანტელივით რომ უვლის ტანში.
როგორ შეიძლება დაღლილობას გრძნობდეს ქიშვარდი, როდესაც ციცი-
წო შესცქერის?! ისე ხელამოთ ბარავს, რომ ბათმნიან ბელტებს ბურთი-
ვით ისვრის ზევით. თითქოს ბელტებს წონა დაუკარგავთ. ერთი ბელტი
ჯერ კიდევ ჰაერშია, რომ მეორეს არღვევს და ისვრის. ციციწოსაკენ არ
იხედება, არ უნდა აგრძნობინოს, რომ მისი მშერა ესოდენ ახალი-
სებს.

დანიელამ რულეტი გაშალა. სილოვანას და ქიშვარდის სერელი გა-
დაზომა.

— ოთხ ნორმას შეასრულებს დღეში ქიშვარდი, — სთქვა მან. — ხე-
დავ, ყაისარ, შენ რომ ამბობდი, ძირნალაში ნახევარ ნორმას ვერ შეას-
რულებს კაციო.

— მაგი ტყვილია აფარებს მიწას ბელტს, ნახევარს ალბად დაუბარავს
სტოვებს, ქალიშვილებს აწონებს თავს, — თითქოს ხუმრობით სთქვა ყაი-
სარამ.

ქიშვარდი გაქევედა, ისე შერჩა ფეხი მიწაში სანახევროდ ჩასულ
ბარზე.

— აბა გასინჯე, თუ არ არის კანონიერად დაბარული! — წამოიძახა
მან.

— კაცო, ვერ ხედავ თუ აფარებს, ცოდვის უმძიმეს ბელტებს ყრის!
მაგფერი ბიჭი არ არის ქიშვარდი ეს რომ იკადროს, — გამოეჭომაგა ქიშ-
ვარდის სეფე.

აგროტექნიკოსმა შკერის ჯოხი გამოსკრა და ნაბარავის სიღრმე გა-
ზომა. ფარნაც იქითკენ წავიდა, აღელვებული იყო, შვილს რომ სიყალბე
დასწამეს. ნაბარავი დაწესებულზე უფრო ღრმა გამოდგა.

— ბრანწი შენ!—ნიშნის მოგებით ვადმოსძახა სკაჩიამ. — კიდევ რა გნუს
უსწრობს, ერთი შენი ნაჩხიკნი უნდა ვაზომოს კაცმა.

— პო, მაგი, ალბად, ორდენზე მიდის და ჩვენ რაზე უნდა ვაჩხიკნივ
დეს ფირფიცა, — არა ცხრებოდა გაწბილებული ყაისარა.

ჩამავალი მზე შუბის ტარზე იყო, როცა ნაციხვარს უკანასკნელი ბა-
რი დაჰკრეს და შინისაკენ დაიძრენ.

ხმაურით და ხორხორით ჩაუარეს სიბიტოს ეზოს. ელიზბარა და ბონდო
ჭიშკართან იდგნენ.

— თქვენ საცხა ჭურის თავზე გადაგივლიათ დღეს, შორიდან გასძახა
სკაჩიამ ელიზბარას. ელიზბარას და ბონდოს მართლაც ეტყობოდათ, რომ
შექვიფიანებული იყვნენ. ისე ბანდალობდნენ, თითქოს დაწნულ ბონდზე
გადადიანო. ელიზბარას თავისი განუყრელი მეგობარი, ინგლისური ჯო-
რი „ჯიმი“ გვირა აღვირით და ექაჩებოდა; ჯორზე ამხედრებას ლამობდა,
მაგრამ შეზარხოშებული წონასწორობას ვერ იკერდა. რამდენჯერმე სცა-
და შეჯდომა, კეხის ტახტას ორივე ხელი მოავლო, უზანგის სახედ გა-
მონასკველ ბაწარს უმიზნებდა ფეხს. „სუ, ჯიმი!“ ტუქსაედა ჯორს.
თუმცა პატრონივით ახმახი და ფერდებჩავარდნილი ჯიმიამ მშვიდად
იდგა. როგორც იყო, ფეხი უზანგში მოახვედრა და ტანი აიქნია, მაგრამ
ფეხის მოსართავი მიშვებული დარჩენოდა, თავი ვერ შეიმაგრა და გადა-
ყირავდა. ფეხი ჩამოუცურდა და მხედარი პირუტყვის მუცელზე მოექცა.
მარყუტიდან ფეხის გამოლება ველარ მოასწრო. მის ბედზე თვინიერი ჯი-
მიამ ადგილიდან არ იძროდა და თანაგრძნობით შეჰყურებდა თავის გასა-
ვათებულ პატრონს. რის ვაიევაგლახით წამოდგა ელიზბარი, მათრახი უკი-
რა უდანაშაულო ჯიმიას „მამალმა მგელმა გაგაძრო ტყავიო“, — შეუ-
კურთხა გაბრაზებულმა, თითქოს ჯიმიამ ყოფილიყოს დამნაშავე. შემდეგ
კეხი ჯაუსწორა, თხრილში ჩააყენა. ბარბაცით მივიდა და მუცლით კეხზე
გადააწვა.

მაგრამ მოსართავის მოჭერა ისევ დაავიწყდა და, კეხი ისევ გადაყი-
რავდა და ელიზბარა თხრილში ჩავგორდა. ყმაწვილებმა ხარხარი მორ-
თეს. ძლივს ძლივობით წამოდგა თხრილიდან ელიზბარა. სახე ლაფით
ჰჭონდა მოსვრილი, აქარულად მოხვეული ყაბალაზი კეფაზე მოღრეცი-
ლად ედო, შარვალი მუხლზე გადახეთქოდა, ფეხზე ველარ მაგრდე-
ბოდა.

— არიქა მიეშველეთ, თორემ დამარცხდება მაგი უბედური. — დაი-
ძახა სკაჩიამ.

მამიამ მიიბზინა და ვადმობრუნებული კეხი გაუსწორა, მოსართავი
მოუჭირა. სხვებიც მიეშველნენ და ჯორზედ შესვეს ელიზბარა. ჯორმა
ისეთი ტლინკები შეჰყარა, რომ ფაფარში ჩაფრენილი ელიზბარა კეხზე
ძლივს მაგრდებოდა.



— რა დაემართა ამ სამგლეს. — ყვიროდა გამწარებული ელიზბარა.

როგორც იყო, დაიძრა ადგილიდან ჯორი და ტლინგებმა ცეცხლს გაქენდა თემშარაზე. მხოლოდ ახლა შენიშნეს თხრილში ჩაეარდნილი საოფლე.

— რა გიქნია ბიჭო, საოფლეს დადება დაგვიწყებია, დაიძახა სკაჩიამ. — გადაყვავებულ ზურგზე დაგვიდგამს კეხი, იმიზა ხტოდა ასე ვაყოფებელივით საწყალი.

მამია ელიზბარას დაედევნა, უყვიროდა, მობრუნდით. ბევრი ეწეალა ელიზბარა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოაბრუნა გამწარებული პირუტყვი. გასათავებულ მხედარს თავი წაართვა და მალე ორღობეში მიიმალწნა ჯორიც და მხედარიც.

— რა უყო ახლა ამ საოფლეს. — სთქვა შეწუხებულმა მამიამ.

— მაგი აგერ ქიშვარდს დაადგო, ვაოფლილია, არ დაქაროს, წამოიძახა ბონდომ. — ქე მოუქლავს დღეს ამ უბედურს თავი რაცხა შაურის გულისათვის.

ბონდოს სიტყვები საერთო ხარხარმა დაფარა, ციცინოც კი გულანად იცინოდა, ციცინოც, რომელიც ერთი წუთის წინად აღტაცებით უამბობდა ბონდოს ქიშვარდის მუშაობის შესახებ.

ქიშვარდის ტყვიასავით მოხვდა გულში ქალიშვილების სიცილი. ციცინოს კისკისმა ხომ სულ ჩაუშხამა მისი დღევანდელი სიხარული. განმარტოვებით იდგა გამეხებული.

„შაურის გულისათვის“, „შაურის გულისათვის“ — ქეზაფივით ჩაეწვეთა გულში. ჰო, ეს მართლა წურბლების მოდგმა, შაურობით და კაპიკობით რომ ზომავს ცხოვრებას. მათ ხომ არასდროს სხვა არაფერი არ ააღელვებს და აამოძრავებს, არც ადამიანის გაჭივრება, არც საზოგადო საქმე, და კვლავ გაახსენდა ქიშვარდის სასწოროს — ენაზე მიშტერებული სიბიტოს თვალი, მისხლობით რომ სწონიდა ისლში და ტალახში შესერილ თოვლს, იმ დროს, როცა სილოვანას სიციხისაგან თავი უსკდებოდა ისიც მოაგონდა ქიშვარდის, სიბიტოზე რომ იამბობდნენ სოფელში, როცა პლასტუნები სოფლის დასარბევად და გადასაწვავად მივიდნენ, სიბიტომ თურმე პანტა და არაყი გაიტანა კანცელარიიაზე პლასტუნების მისაყიდად. ეს ჩარჩების მოდგმა ყველაფერს შაურით ზომავს! ახლა უნდა სახეში მიახლოს ეს ბონდოს, მაგრამ უკვე გეიანი იყო: ბონდოს ბოროტმა ხითხითმა დაიპყრო შემოჯარული ახალგაზრდების ყურადღება, ონა, პელო და მარგალიტაც გულიანად კისკისებენ, ისინი ვერ გრძნობენ ბონდოს ხუმრობაში ჩანთხეულ გესლს, ქიშვარდის კი ეჩვენება, რომ ქალიშვილები ოფლისაგან გაშავებულ ტანზე მიკრულ მის პერანგს დასცინიან, მის დღევანდელ თავ-დადებულ მუშაობას ყბად იღებენ. რატომ მაშინვე

არ ეცა პირში ბონდოს, რატომ საკადრისი პასუხი არ გასცა. მაგრამ კოველთის ასეა მუდამ დაგვიანებით აგონდება ქიშვარდის მკვლელობის პასუხი, ახლა მზათაა მიწასთან გაასწოროს ბონდო, — მაგრამ მკვლელობის სია. ბონდომ უკვე მოასწორო მისი დაგვესლა. ციცინოს, პელოს და მარგალიტას სიცილი თითქოს გალავანივით არტყია გარს ბონდოს. პონა და პელო ხომ საუკეთესო დამკვრელები არიან. მაგრამ ბონდოს მტრულ ხითხითს მაინც ყური ათხოვეს.

უმწეო ბრაზი აბრჩობს ქიშვარდის, რა უნდა ჭნას, ბონდოს დაეტაკოს და მიწაზე დაანარცხოს. ასე ხომ სულ თავი მოეკრება, რას იფიქრებს ციცინო, იტყვის, ჩემ ჯიბრზე ემტერება ბონდოსო. თანაც ბონდოს ისეთი მიაპიტი სახე აქვს ამ წუთში, ქიშვარდისაც ისე შესცქერის, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარიყოს. ქიშვარდის შერცხვა, რომ საერთო ყრიამულში ასეთი მოკუპრული სახით იდგა და ვერაფრის თქმა ვერ მოეხერხებინა.

ნაცემი ძალივით გაშორდა იჭაურობას. ამ საერთო ხორბოცში ვერაგინ შენიშნა მისი წასვლა, თემშარას გადაუხვია და საცალფეხო ბილიკით შინისკენ წავიდა.

ნუთუ ციცინომ სამუდამოთ იბრუნა მისგან პირი? ნუთუ სავსებით მოიძულა? ნუთუ ახლაც ბონდოს მხარეზეა? ნუთუ ისიც ბონდოს აპყვა როცა ამ უჭნარამ ქიშვარდის სტახანოველობა სამასხაროდ გახადა? მაშ რისგან იყო. რომ მთელი დღე წინანდებურად გულთბილად ეპყრობოდა, მისი სიყმის საალერსო სახელი — ვარდქიშიც გაიხსენა.

ამ ფიქრებში გართული გადავიდა ნაცხვარის ბილიკზე. მხოლოდ ახლა გრძობდა მოქანტულობას, — ახლა ამწნედა, თუ როგორ ეკვროდა მზისაგან დამწვარ მხრებს გაოფლილი, კალთებ შემომწვარი ხალაით. ნაცხვარის კორტოხზე შესდგა და ფერდობს გადახედა. გული სიამაყით აეცსო, ერთ წუთს დაუყუჩდა ბონდოს მიერ მიყენებული ქრილობა. რა გატაცებით ემზადებოდა ამ შაბათობისათვის! რა მღელვარება გამოიარა სანამ ყველაფერს თავს მოაბამდა, რა მზიარული ბრუნდებოდა შინ და როგორ ჩაუშხამა ყველაფერი ბონდოს გესლიან ოხუნჯობამ.

დღე და ღამე იყრებოდა. ჩამავალი მზეს ზღვის ნაწიბურზე ესვენა. თვალთ შეუღვამი სხივების სამოსელი გაეხადა. დედიშობილა იდგა. ოქროსთმებიან ქალს ჰგავდა, საბანაოდ რომ ემზადებოდა და თითქოს მნათობის კდემამოსილებას უფრთხილდებოდა, ცამ ვარდის ფერი ნისლის ფარდა ჩამოეშვა. და მაშინ ოქროს ბურთი ზღვის ნაწიბურს მიეკვლო, სიმრავალე დაჰკარგა, ნელა ნელა იწყობ ტალღებში ჩაძირვა. შუამდე ჩაეშვა ზღვაში. შემდეგ, თითქო ტალღა გადაეგლო ერთბაშად გაჭრა. კანაბურცულმა ზღვამ მომწვანო ფერი მიიღო, ერთბაშად ბინდი ჩამოწვა.



ვასაყები ნაღვლიანი ყაბყაბით შეხედნენ დღისა და ღამის გაყრას. ნაცხვიარის კორტოხზე მონავარდუ მერცხლები დედამიწასე დაეფუფუნნენ; ერთმა ისე ახლოს ჩაუჭროლა, რომ კინაღამ ფრთა შემოაჭკობს კანკანტუქს ბულ ქიშვარდს. იგი შეკრთა. თავი ასწია, ამ დროს ფიჩხის მტკრევის ხმა მოესმა. მიიხედა. ორი ლანდი მიაბიჯებდა ფერდობზე, სიბიტო იცნო, მოკრილ ტოტს ფეხი რომ წამოაჭრა და წაიფორჩილა. ხალათის სახელოთი ოფლს იწმენდდა შუბლზე. საკინძე გახსნილი ჰქონდა. ქიშვარდი თითქოს ზინდუნდშიც ხედავდა მის მწითურ ბანჯგვლით დაფარულ, ძელიან მკერდს.

— რა ჰენი იმ ქალაღდის, ხომ არ ჩამოსულა. — ჰკითხა მეორემ და ჩახჩახა ხმაზე ქიშვარდში ყაისარა იცნო.

სიბიტომ პიჯაკის უბეზე გაიკრა ხელი, რაღაც ქალაღდი ამოიღო.

— მოსვლით კი მოსულა, აგერ ასლი გადავადებე, მარა რა ვიცი, თუ გასჭრა, — გჳვიტ წარმოსთქვა სიბიტომ, ქალაღდი გაშალა და თითქოს მწუხრის მიღუულ ნათელზე კითხულობსო, გაზეპირებული რეზოლუციის შინაარსი ჩაიბუტბუტა: „გამეინკლიეთ სილიბისტრო ქილიფთარის საქმე და კანონიერათ დააყმაყოფილეთ“.

— წაღმა ყოფილა შენი საქმე, წაღმა! — შეჳყვირა ყაისარამ, ქალაღდი ჩამოართვა და თვალებიდან შორს დაიჭირა, რადგან დღენათელშიც გაჭირვებით არჩევდა უსათვალბოდ: — „გამოიკვლიეთ სილიბისტრო ქილიფთარის საქმე და კანონიერების ფარგლებში დააკმაყოფილეთ,“ — სწერდნენ ტფილისიდან რაიაღმასკომს.

— წაღმა ყოფილა შენი საქმე, წაღმა, — წარმოსთქვა ისევე ყაისარამ და ხელის გულზე გაშლილ ქალაღდს ხელი დაჰკრა.

— რა ვიცი, თუ შერმანდიე და სილოვანა არ ჩამიდგნენ ჯიბრში... მარა მე ცოცხალი თავით არ დავანებებ ნაციხვარს. სიბიტო ვარ მე, სიბიტო, — წამოიძახა მან და ნაკაფავში თავგვე დაეშვა. — აგი რა უჭნიათ, როვა მუუსორომგორომეზობათ აქაურობა, მაგენის ოჯახი ვნახე ასე მოსორომგორებული! — ბუზღუნებდა სიბიტო და ვაზიან ხეზე მიყრილ შორებს გარს უღლიდა. — მოდი, წამომიკარი ერთი ხელი, ამაწვეიე ერთი აგი ქორთუხი, — სთქვა სიბიტომ და მორის ერთ ბოლოს დასწვდა.

— გაკეთებულია შენი საქმე, რაღა გაქ სამწუხარო, — დაამედა ყაისარამ და მორის მეორე ბოლოს მოეჭიდა.

— რა ვიცი, რა ვიცი, — ჩაილაპარაკა სიბიტომ და მორი ფერდობზე დააგორა. — ვინ აქცევს ახლა მაგას ყურადღებას.

სიბიტომ უიმედოთ ჩაიჭნია ხელი.

მეისპო ყველაფერი ქვეყანაზე, საღლაა საკუთრება, გაქრა მისი სახსენებელი. ქვეყანა მე გადამეკიდა, ფარნამაც როგორ მიღალატა — შენც ქე გაე-

რაც თურმე ჩემს ცოდვაში! მომდურავ კილოზე წარმეფუქვან ზღვირთ, —
შგონი შენც ფარნასავით შობი: შენდებოდეს შეგწაჭი: სტეცაჭაჭეს შე-
სივო.

ყასარა თოფნაკრავივით შეხტა, გაქუცული კრაველის ქული მოიშე-
ლიბა და თავგამეტებით დაახეთქა მიწაზე.

— ასე დააქციოს მამა ზეციერმა ჩემი ოჯახი, თუ მე მაგ საქმეში გავ-
რულდითო. აზრში არ ვიყავი, ასე ხელათ თუ შეესიოდნენ საკაფავად.
შენ აქ მეგულდებოდი და შენ რომ იცი, იმ საქმისათვის ვადმოვიარე. ხალ-
ხი დამხვდა ჩამიპირეს და არ გამომიშვეს, რა უნდა მექნა, მარა ჩემს
ორი ბიჭი არ მომიკვდება, ორად ორი ბარის პირი გადავებრუნე მგენის
თვალის მოსატყუებლად. გლახა არაფერი იფიჭრონ ჩემზე მეთქი.

სიპიტო ცოტათი დაამწვიდა ყასარას ერთგულების ფიცმა. იხვე ნა-
კაფავის დათვლიერებას შეუდგა. უცებ ფეხი დაუტდა ორმოში, ტან-
კების შესაფერხებელ ესკარპებათ რომ ამოთხარეს წვევამდელებმა. რის
ვივივალახით ამობობლდა, ქიშვარდის ძლიეს შეიმაგრა სიცილი.

— უთამაშიათ, თუ რა ქვია ახლა მაგას, რაზე მოუთხრიათ აგი ორ-
მო. — სთქვა სიპიტომ. შემდეგ აყუდებულ მორებთან შეჩერდა, წვევა-
მდელებმა საზენიტო ბატარეასავით რომ გამართეს. — თი, მაგენის ოჯა-
ხი ვნახე ასე მოსორომგორემებული.

— რა ვიცი, დიდიდან რაცხა მანიერები ჰქონდათ, ვარჯიშობა მო-
აწყვეს, მთელი ქვეყანა შეირყა საბჭოს ეზოში, არ ვიცი რა ამბავი იყო.
და ამ სიტყვებზე ყასარამ სიპიტოს მკლავში ხელი წააღო და ისე დაუ-
წია ხმას, თითქოს ეშინოდა, არავინ გაგვიგონოსო.

— იცი, ისეთ მზადებაში არიან, რომ რაცხა კია მაგენის თავს.

— აი ღმერთო! სასოწარკვეთილად ამოვიმინა სიპიტომ და ბანჯგე-
ლიან მკერდზე ისე მაგრად დაიკრა ხელი, რომ ბაგა-ბუვის ხმა ქიშვარდი-
საც შემოესმა.

ყასარა და სიპიტო ქიშვარდისაკენ წამოვიდნენ. ქიშვარდი ჩემად
წამოვდა. ფეხის წვერებზე მიდიოდა, რომ კეწეწის მტვრევის ხმაზე არ
გაეგოთ მისი იქ ყოფნა. კორტოხს ვადმოსცდა და სირბილით შინისაკენ
გაექანა.

ეზოში რომ შევიდა, უკვე ბნელოდა, ფანჯრიდან არ კიაფობდა ლამ-
ფის შუქი, ალბათ შინ არავინ იყო.

სახლის კარი შეაღო და მოწყვეტით მიეგდო ტახტზე. ოფლით გალი-
ფული პერანგი შემოეკრა ტანზე და კვლავ მოაგონდა ბონდოს გესლიანი
ოხუნჯობა. „საოფლე ქიშვარდის დაადგით ზურგზე. არ დაქაროსო“. მთელი
ღღის შთაბეჭდილებებმა ერთ წუთს თვალ წინ გაურბინა. თით-
ქოს ცხადლივ ჩაესმა ყურში სიპიტოს მკერდის ბაგაბუვი და სასოწარკვე-

თილი ამოძახილი „აი ღმერთო“. სიბრაზით აეცხო გულს და მისი ცოცხლობენ თურმე ეს წუპაკები.

ძველი დროის მობრუნებაზე ოცნებობენ, იმ დროს შენატრიან, სამღკთოში რომ პარაპაშობდნენ. ავონდება ქიშვარდის, ბავშვობის გაუხარული დღეები, რა დრო იყო, თითქოს ქიპით იყო მაშინ მიკრული ქიშვარდის ოჯახი სიპიტოს ოჯახზე. მოჯამაგირე — მობარებულებით ტრიალებდნენ ესმა და ფარნა სიმდიდრით გალაღებულ ნათესავის ოჯახში. მაინც გაუხარებულად არ გაჰყვებოდათ წლის მოსავალი. გამარტებაზე დადგებოდა მათ სასიმინდეში თავის სუნი და დაიწყებოდა რბენა, წრიალი თითო ბათმან სიმინდის საშოვნელად. სიპიტოს და ყაისარას კი ამ დროს „გამძიმებელი“ სასიმინდეები ედგათ უნაგირაზე. სიპიტოს ხელის შემეყურე იყო ქიშვარდის ოჯახი. სხვა გზა არ ჰქონდათ, მას უნდა მისდგომოდნენ კარზე. ესმას კი საამაყოდ და სასიქადულოდ მიაჩნდა, სიპიტოსთანა კაცი რომ გამოერია ქილიფთარების გვარში. ჩენი გვარის მასაზელებელიაო, ამბობდა ესმა. გაჭირვებით წელში გატეხილს ეჭვენებოდა, რომ სართულზე წამოდგმული, ლურჯათ შეღებილი სიპიტოს ოდა როგორღაც მათ ღარიბულ ფიცრულსაც ფენდა შექს.

— რა შეუგნებელი იყო ნენა, რა შევილივით შეიცხადა, სიპიტოს გარკულაკება რომ დაუპირეს გაიფიჭრა ქიშვარდი.

კომკავშირის ღია კრებაზე იყო მაშინ ქიშვარდი, აქ შემოესმა დედის ცივი შეკვივლება, კრებიდან გამოიპარა, კომკავშირში შესვლას აპირებდა იმ დროს და ამ შეცხადებამ დააფრთხო, შეეშინდა; კომკავშირში რომ ვიქნები, სიპიტოსთან მომიხდება შეგჯახება და ნენა თავს მოიკლავსო. რატომღაც მამასაც ერიდებოდა. ვერ გაერკვია კი რატომ. ფარნამ თითქოს მაშინვე იგრძნო ის შეგების სიო, კოლმეურნეობას რომ მოჰყვა. პირველ დღიდანვე გულდაგულ ჩაება კოლმეურნეობის მუშაობაში. მისი ხელით იყო მთლად შექმნილი სამღეთოს „წითელი სანერგე“. „ეს იქნება ჩვენი ამშენებელი, აგია ჩვენ რომ ამოგვიყვანს სიღარიბიდანო“ ამბობდა... დღე და ღამ სანერგეში ტრიალებდა. ზოგჯერ დასაძინებლადაც არ ამოდიოდა შინ.

— მარა ბაბაც ვერ იყო მთლიანად გარკვეული მაშინ — ფიქრობდა ქიშვარდი. აბა რა იყო კულაკების ამწერ კომისიაში რომ დაასახელეს და უარი განაცხადა — მაგას ვერ ღიკისრებ, რაც უნდა იყოს სიპიტო ჩენი ნათესავიაო. ამიტომ დაიხია მაშინ უკან ქიშვარდი. განცხადების შეტანაც ვერ გაბედა, ახლაც შენახული ჰქონდა იმ დროს დაწერილი განცხადება.

— ნეტა რას ვწერდი მაშინ. — გაიფიჭრა მან, ზეზე წამოდგა, ლამფა აანთო და ჩრჩილით დაქმულ კარადის უჯრიდან გულმოდგინეთ დაკეცილი განცხადება ამოიღო. ტახტზე წამოწვა, გაშალა და პირველი სტრიქონები ჩაიკითხა.

„გთხოვთ მიმიღოთ ლენინურ კომკავშირში, ვინაიდან ^{მეტრ-მოყვარე} უკვე ღირსეული კომკავშირელი“.

— არა, ქიშვარდის მაშინ არ გააჩნდა ღირსეული კომკავშირელის თვისებები, გამბედაობა აკლდა. რომ ნამდვილი კომკავშირელი იყო, მართო თავდადებული მუშაობა არ კმარა ბრიგადაში. ფიქრობდა ქიშვარდი. მტერ-მოყვარის გარჩევაც უნდა შეგეძლოს, ნამდვილი მტერ-მოყვარის.

ქიშვარდის მოაგონდა სიბიტოს სიტყვები, სათოვლესთან რომ უთხრა თავის მოსაქრანავად „შენ სხვა ოჯახის შვილი ხარ, ჩვენი სისხლი და ზორცი, რას აპყოლიხარ მაგ სილოვანას მაგას მისი „აჩიკის“ მტერ არაფერი სწამს, მტერ-მოყვარის ცნობა არ იცისო. ნათესავი და მოყვარე არაფრად მიიჩნიაო“. არა, სილოვანამ სწორეთ იცის მტერ-მოყვარის ცნობა და ახლა ქიშვარდიც კარგად გრძნობს, თუ ეინ არის ნამდვილი მტერ-მოყვარე. ეს სიბიტო და ყაისარაა, მკერდზე მჯიღს რომ იცემენ და ძველი დროის მობრუნებას ნატრობენ. ოპ, ეს თავკანტურა ყაისარა, რამდენი მიწის ზევით არის, ორი იმდენი მიწას ქვეშაა. ხალხში რომ გამოვა ხიდის გლახასავითაა. თავს ისაწყლებს, „რეემატიზმით ვარ შეპყრობილი, ჭაჭების სატკივარი მაქვსო“, შინ კი ფოცხვერივითაა, მამიას წალდით გამოენტო, ბრიგადაში სამუშაოდ რომ გამოიწვია.

— წელეებს გაგათრევენებ, დილით არ ჩამომძახო ჩხიკვივით ეზო-შიო!

— რასაკვირველია სიბიტოს და ყაისარას ხელს არ აძლევს შრომადლის შემოსავალი. მათ არაყით სპეკულიანტობა ურჩევნიათ. აკი სიტქვა სკაინიმ: სიბიტო და ყაისარა არაყს დაათრევენ ფოთშიო. ელიზბარაც კი აიყოლიეს მაგათ. მოჩხუბარ მამალივით მუდამ გაბღღენილი ელიზბარა. ის შველის სიბიტოს სპეკულიანტობაში. თითონ კი მუდამ შემოგლვევილი და მშიერი დადის.

— მეც რომ შემიკვეთა მაგ ტურამ, ბრიგადირი მოატყუეო, ხარი მიშოვნე ნერვის გასაპარებლადო. მე მაგას ვუჩვენებ ბრიგადირის მოტყუებას, ვაიფიქრა ქიშვარდი. ერთბაშად მოწოლილმა სიბრაზემ ტახტიდან წამოაგდო, ჭალალდი მოსძებნა და განცხადების წერას შეუღდა. სხვაგვარი დასაწყისი მაინც ვერ მოიგონა.

„გთხოვთ მიმიღოთ ლენინურ კომკავშირის რიგებში, ვინაიდან მსურს გავხდე ღირსეული კომკავშირელი“. დასწერა მან, ერთხანს შედგა და მერე სწრაფად დაასრულა. „და ჩემში აღმოვფხრა ყოველგვარი სილაჩრე, რომელიც არ შეფერის კომკავშირულ ფორმას და ეიბრძოლო იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლისათვისაც იბრძვის კომუნისტური პარტია.“

როდესაც საერთაშორისო პირობები ასე გართულებულია, მეც მინდა ეიდგე სადარაჯოზე, მეც მინდა ვიყო იმათ ჯგუფში, ვინც პარტიას



უღვას მხარში ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. ვიდრე კომკავშირულ სიტყვას, რომ გულითადად შევასრულებთ პარტიულ-კომკავშირულ დავალებას“. ერთხელ გადაიკინებნა განცხადება, დაკეცა, გულის უბეში ჩაიდო და სირბილით წავიდა საბჭოსკენ. კრების დაწყებამდე სურდა გადაეცა განცხადება სილოვანისათვის.

ადრე დაურჩა მისვლა. ჯერ არაფერი მისულიყო კრებაზე. მარტოდ დადიოდა სოფსაბჭოს აივანზე. ღამენათევე თვალის უბესავით ამოშავებული იყო მთელი დასავლეთის მხარე. სიბნელეს წაეშალა საზღვარი ზეცისა და ზღვის შორის. მხოლოდ ელვა გაანათებდა ჟამისტამ და სიბნელით შეერთებულ ზღვას და ზეცას ერთმანეთს დააშორებდა და თითქოს კუპრ-მოსხმულ ზღვას გაშლიდა ჰორიზონტამდე. თავმოხსნილ ვეება ბარდანებს გავდნენ ზღვაში ჩაშვებულნი საწვიმარი ღრუბლები, წუხანდელივით წუთის წუთს ელავდა. დამფრთხალ ლანდივით დარბოდა ელვა ღრუბლების უკან და თითქოს გამოსავალს ეძებსო, ცის კამარის ხან ერთ კუთხეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს; იტყოდი სხედასხვა მხრივ ფრონტები იხსნებო. მერე ელვა ძალას მოიკრეფდა, ცის კამარას გააპობდა და თავგასრესილ გველივით დაიკლაკენებოდა შემურულ ცაზე. მაშინ მოლურჯო ნათელში ბუმბერაზულად ამოიზრდებოდნენ მთავრებილები.

ქარის სუნთქვაზე ფრიალებდნენ საბჭოს კედელზე გაკრული პლაკატები. ელვა ანათებდა აფრასავით გაშლილ ალისფერ დროშას, ბელადის სახის დინჯ და მტკიცე ნაკვთებს, ქარხნების პანორამას, და შორს საბჭოეთის საზღვარზე მდგომ ზოლებიან ბოძს. იქ იმ ზოლებიან ბოძის მიღმა დგებიან ომის ღრუბლები. იქ კიდევ პარპაშებენ სიპიტოს და ყაისარას თანამომეები. აქ კი ბუნაგებში მიმალულან ყაისარა და სიპიტო, ფოცხვერივით ყნოსავენ ჰაერს, ყაისარა ქიქისფერი თვალით გაპყურებს ამ საზღვრის მიღმეთს და გაგულული ხმით იძახის „რაცა კი არის მაგენის თავსო“. სიპიტოსაც მოთმინება ელევა, მჯიღს იცემს მკერდში და სასოწარკვეთილად იძახის „აი ღმერთო“, მაგრამ არ მოესწრებათ ის დღე. უღრეკად დგას ჩვენი ქვეყნის საზღვარზე წითელი ლეგიონები, რომ რისხვად დაატყდეს ყველას, ვინც ჩვენი ქვეყნის საზღვრებისაკენ მტრულად წამოიწევს. არა, სიპიტოს და ყაისარას არ დაუდგებათ ნანატრი დღე. ქიშვარდიც ხომ მტკიცედ დადგება სადარაჯოზე.

ქიშვარდი იმედლიანად გახედა სივრცეს. სადღაც ცაზე ბზარი გაეფლო, სადღაც ერთი ყრუდ დაიგრუნუნა, შემდეგ ზეცა თითქოს ნაკერავზე გაირღვა, რაღაც საშინელის ძალით მოსკდა და გრუნუნის ხმა მთავრებილებს გადაეგლო. დასავლეთიდან მძლავრად დაუბერა. ქარი წელში ზრიდა საბჭოს ეზოს ირგვლივ ჩამწყრივებულ ალვის ხეებს და შემოსვრილ ევერს აივანზე ფანტავდა. წვიმის წვეთები ფინთხივით არახუნებდნენ სახურავზე.

ამ დროს თემშარაზე ხმაურობა და შეძახილები გაიშალა. უკვესკვანათებაზე გამოჩნდნენ საბჭოსკენ მორბენალი ახალგაზრდები. ყმაწვილები თავდახრილნი მოიჩქაროდნენ, რომ აივანზე შემოესწროთ წვიმისათვის. ქალიშვილებს ქოლგები გაეშალათ. პირქარი ხელიდან გლეჯდა ქოლგებს და ადგილიდან დაძვრის საშუალებას არ აძლევდა.

სილოვანამ პირველმა ამოიბინა აივანზე და დალუმბული ქოჩორი ხელით გადაივარცხნა.

ქიშვარდიმ განცხადება მიაჩენა ხელში.

— აი დაეწერე, რომ გეუბნებოდი გუშინ, ნახე თუ გამოდგება.

სილოვანამ კარი შეაღო, ლამფა აანთო, მაგიდას მიუჯდა და განცხადება გაშალა.

ქიშვარდიმ მაგიდას გადაეყრდნო და მისი თვალიც გაფაციცებით მისდევდა დახრილ სტრიქონებს.

— გამოდგება? მოუთმენლად ჰკითხა ქიშვარდიმ.

— განცხადებაც გამოდგება და შენც გამოდგები, უპასუხა სიხარულით სახე გაბადრულმა სილოვანამ, ზეზე წამოდგა და ისე მაგრად დაჰკრა მზარზე ხელი, რომ კინაღამ მოამტვრია.

გაგრძელება იქნება

გვ. ჟღანტი

ქართული საბჭოთა პოეზია

საქართველო უძველესი პოეტური კულტურის ქვეყანაა. მარტო ის ფაქტი, რომ მსოფლიო პოეტური ეპოსის ერთ-ერთი შესანიშნავი შედევრი — რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ქართველმა ხალხმა შექმნა რვა საუკუნის წინაღ, თავისთავად მეტყველებს ქართული ლექსის დიდი ტრადიციის შესახებ.

ორი სამყაროს — აღმოსავლეთისა და დასავლეთის — კულტურების მიჯნაზე ჩამოყალიბებული ეს ტრადიცია სწორ. ხაზობრივად ვითარდებოდა. ქართული ლექსის მრავალსაუკუნეიანი ისტორია, როგორც მთელი ქართული კულტურის ისტორია, შეიცავს აღმავლობისა და დეკლანსის პერიოდების თანმიმდევრობას, ორიენტაციის ცვლას, მკაცრ ტეზილებს.

ქართველი ხალხის ტრაგიკული ბედი წარსულში — განუწყვეტელი სისხლისმღვრელი ომები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამპყრობელთა შემოსევა, ხშირი ხანძარი და განადგურება ღრმა ზეგავლენას ახდენდა ქართული პოეტური კულტურის ევოლუციაზედაც. მაგრამ ჩვენი პოეტური კულტურის ინერცია საოცარი გამძლეობით იცავდა მემკვიდრეობის კანონზომიერებას. ხალხი დიდის სიყვარულით და მზრუნველობით ინახავდა თავისი პოეტური მეტყველების საუკეთესო მონაპოვარს, როგორც ახალი პოეტური ფორმაციების აღმოცენების საფუძველსა და წინაპირობას. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა პოლიტიკურად დამონებული და უფლება-აყრილი ხალხი სწორედ პოეტურ შემოქმედებაში გამოავლენდა წოდებულ მთელ თავის სასიცოცხლო სწრაფვას და პოტენციას. ამის საუკეთესო მაგალითს თუნდაც მე-19 საუკუნე წარმოადგენს, როცა თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიალიზმის ბრწყალბებაში მოქცეულმა საქართველომ, ეროვნული შემოქმედებითი შესაძლებლობის ყოველშრივი შებოჰვის მიუხედავად, წარმოშვა პოეტების ბრწყინვალე პლეადა — ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი.

თავისი განვითარების ამ მრავალსაუკუნეიან გზაზე ქართულმა პოეტურმა მეტყველებამ არა ერთი, დღემდე მიუღწეველი და გადაულახავი მწვერვალი შექმნა. ქართული კლასიკური პოეზიის ოსტატთა სიღრმე

მათი თანამედროვე სინამდვილის ასახვისა და ეპოქის მოწინააღმდეგე იდეათა პოეტური განსახიერების საქმეში, მათი ლექსის შემოქმედებაში და ხალხის აზრსა და გრძნობასთან აქტიური სიახლოვე დღესაც უკვე დაკარგულია. მოადგენს თანამედროვე საუკეთესო ქართველი პოეტებისათვის.

მაგრამ საბჭოთა ქართული პოეზიის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ანარეკლია ქართველი ხალხის ისტორიის ყველაზე ბედნიერი და ყველაზე ბრწყინვალე ეპოქისა. მას ზრდის და ასახრდოებს სოციალიზმის მშენებლობის სინამდვილე, მშრომელი ხალხის გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის გარემოცვა.

ამიტომაც საბჭოთა ქართულ პოეზიაში აღარ გაიშმის სევდისა და გოდების ის მოტივები, რომლებითაც ხასიათდებოდა თითქმის მთელი კლასიკური ქართული პოეზია.

დავით გურამიშვილის უმძაფრესი ლირიკული ექსტაზი აღმოცენებულია სამშობლოდან გადახვეწილი, სულიერი მარტოობის ტყვეობით შეპყრობილი პოეტის განცდაზე. მე-18 საუკუნის დამლევის მეორე დიდი ქართველი პოეტი — ბესიკ გაბაშვილის შემოქმედებაშიც ეროტიულ ვნებათა ლელვის აღზნებულ საგალობელთა ფონზე შეაფიოდ გაიშმოდა პანგი „სევდის ბაღს შეველ დანაღონები“. ტკბილი ხმოვნების ამ დიდმა ვირტუოზმა, ქართულ პოეზიაში აღმოსავლური ლირიკის ტრადიციის ამ უკანასკნელმა მოგვიანმა, მთელი თავისი პოეზიით ღრმად გამოხატა მწუხრისა და დეკადანსის ის განწყობილება, რომლითაც გატენილი იყო მე-18 საუკუნის მიწურულში საქართველოს პოლიტიკური ატმოსფერა და წარმოშობი კლასის — თავადაზნაურული არისტოკრატის — სულისკვეთება.

მე-19 საუკუნის უდიდესი ქართველი ლირიკოსის — ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელი პოეტური მსოფლშეგრძნობა სოციალურ გარემოცვასთან გამძაფრებულ კონფლიქტსა და შეუთანხმებლობაზე არის დაყრდნობილი. ეს „ქართველი ბაირონი“, დიდი პუშკინის თანამედროვე, უნაზესი გრძნობებისა და მაღალი ინტელექტის პოეტი „ბედის საზღვართა მიღმა“ მიაჭოლებდა თავის პოეზიის „მერანს“. და თუმცე ბარათაშვილს სწამდა, რომ „ტყვილა ზომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება და გზა უღალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დაჩრება“, — მაინც ეს განწირული სულისკვეთება თავისი დროის საზოგადოებრივ გარემოცვაში თავშესაფარს ვერ პოულობდა და ტრაგიკულად ისწრაფვოდა ნოლიანად გათქვეფილიყო ბუნების სტიქიაში:

„წივი ყორანი გამითხრის საფლავს მდნლოთა შორის ტილის მინდვრის და ქარიშხალი ზარით, ღრიალით ძვალთა შთენილთა მიწას მომაცრის!

გასული საუკუნის მესამეოცე წლების ქართველი პოეტების შრომებში, ქართული რეალისტური ლირიკის ტრადიციის შემოქმედებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ბრძოლა გაუმართეს სოციალურ-რევოლუციურ-ტეხილობისა და რომანტიული განწყობის პოეზიას:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დაკარგულა,
 „რაც უდროო დროს ხელით დანთქმულა.
 „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი.
 „ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს.
 „ჩვენ უნდა ჩვენით ვშვათ მყოობადი.
 „ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.“

ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებში გამოიხატა სოციალური რეალობისადმი ფხიზელი დამოკიდებულების ის პოეტური დეკლარაცია, რომლის განაღდებასაც წარმოადგენდა მთელი ქართული კრიტიკული რეალიზმის შემოქმედებითი პრაქტიკა.

ილიას და აკაკის მეთაურობით მებრძოლი ლიტერატურული მიმდინარეობა თავის ერთადერთ დანიშნულებად ისახავდა ხალხის საბრძოლველად ამოძრავებას, მასში მომავლისადმი რწმენის გაღვივებას. მაგრამ მათი პოეზიაც არ იყო თავისუფალი წარსულისაგან რომანტიული უკანდაბევისაგან, არსებული უკმაყოფილების ნიადაგზე წარმოშობილი სევდიანი და ნალვლიანი ჰანგებისაგან.

მაშინაც კი როცა თავისი ქვეყნის ბუნების სილამაზეს შთაგონებულად უმღეროდა, ილია ჭავჭავაძე ვერ ივიწყებდა ხალხის ჩაგვრისა და მონობის სინამდვილეს:

„კარგი რამა ხარ ჩემო ქვეყნავ,
 ლამაზად მორთულ და მოკაზმული,
 მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
 იმდენად უფრო მიკვდება გული.“

ხოლო აკაკი წერეთელმა თავისი დიდებული ჰიმნი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ სამშობლოსადმი — ლექსი „განთიადი“ ასეთი დრამატიზმით გამძაფრებული აკორდით დაავიროვინა:

„დედაშვილობამ, ბევრს არ ვთხოვ,
 შენს მიწას მიმბარეო,
 ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
 ჩემო სამშობლო მხარეო.“

ვაჟა-ფშაველაც, რომლის მონუმენტალური პოეტური ეპოსი, — მთის ბუნებისა და მთის ხალხის ცხოვრების ეს მდიდარი მხატვრობა, — ღრმად არის გამსჭვალული მებრძოლი ნებისყოფით და გმირული სულის-

კვეთებით, თავისი უღარესად ორიგინალური, თვითმყოფადი სიმღერების
 უღერაში ასეთს ნაღველით სავსე კითხვას ჩაურთავს:

„ნეტავ თუ კიდევ სხვასაც
 ჩემსავით გული სტკიოდეს?“

ეპიკურული
 გიგანტიუმი

და ეს მწვავე გულისტკივილი მოტივირებულია პოეტის დამოკიდებუ-
 ლებით საზოგადოებრივ გარემოცვასთან. აკი ვაჟა-ფშაველამ თავისი
 მშობლიური ხალხის, თავისი ქვეყნის იმდროინდელი ვითარება დაჭრილ
 არწივს შეადარა, რომელიც:

„ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
 ეწადა ბეჩავს აღგომა,
 მაგრამ ველარა დგებოდა“.

ამგვარადვე განიცდიდა თავისი ქვეყნის ბედს აკაკი წერეთელი, რო-
 მელმაც თავისი დამონებული სამშობლო წარმოიდგინა კავკასიის მაღალ
 მთებზე მიჯაჭვულ ამირანად, რომელსაც

„ყვავ ყორანი ესეოდა,
 დაფლეთილი ჰქონდა გული“,

და რომელსაც:

„ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
 გულს ცეცხლი არ ნელდებოდა.“

საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზიის ერთ-ერთ ძირითადი თავისებურე-
 ბა, რომელიც განასხვავებს და გამოჰყოფს მას ქართული პოეტური
 კულტურის წინა საფეხურებისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ თანამედ-
 როვე ქართული ლექსი აღტაცებული უმღერის აღორძინებულ და თავი-
 სუფალ სამშობლოს. სოციალური სევდისა და გოდების მოტივი გაჭრა
 ქართულ პოეზიაში. იგი შეიცვალა ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის
 ჯანსაღი ოპტიმიზმით.

აი დამახასიათებელი სტრიქონები ამ აღფრთოვანებულ პოეტური
 სიმღერებისა:

„გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
 მფეთქავი ძალა არეს ფენია.
 სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,
 შეხედე, ეხლა რაოდენია.
 მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს
 მათ განახლებას ეუბნება ბანს.
 ეს გაზაფხული უხარებს დღეებს
 და არხებს ახალ სიცოცხლის აკვანს.“



ეს სტრიქონები პოეტ ვალაქტიონ ტაბიძეს ეკუთვნის, იმ პოეტს, რომელიც რევოლუციის წინა პერიოდში მთელი ქვეყანა-დენტური პოეტური კულტურის პლეადაში განირჩეოდა „წიშედობისა“ და სევედის ყველაზე მძაფრი მოტივებით. ეხლა ვალაქტიონ ტაბიძის ლექსი სიცოცხლისა და სიხარულის აღზნებულ საგალობელს წარმოადგენს. „გაშუქდი დიდო ბედნიერებაე“, — მიმართავს პოეტი ჩვენი დროის გამოჩენულ სინამდვილეს და ამ სინამდვილის გარემოცვაში პოეტი ბრძოლისა, შემოქმედებისა და წინსვლის განცდებით არის შთაგონებული.

თანამედროვე ქართველი პოეტის სიამაყისა და სიხარულის საგანს შეადგენს აყვავებული და საბოლოოდ აღორძინებული სამშობლო, განსხივოსნებული სოციალიზმის დიადი იდეებით. ამ გრძნობითა და აზრით არის განსჭვალული პოეტ ალიო მაშაშვილის ლექსი „სამშობლო ბელადისა“. ეს ლექსი დამახასიათებელია პირველყოვლისა იმ მხრივ, რომ მასში პოეტი უმღერის ქართული ბუნების სიდიადეს და ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ბედნიერი ცხოვრების ჰარმონიულ მთლიანობას. ეს მოტივი სრულიად ახალია ქართულ პოეზიაში. ჩვენი დიდი კლასიკოსები ქართული ბუნების მომხიბლავ პეიზაჟებს, გაზაფხულს, გაღვიძებული ბუნების ზეიმს თუ ბუნების ძილის დიად იდილიას ხატავდნენ იმისათვის, რომ ამ სიდიადისა და მშვენიერების კონტრასტის სახით უფრო მკაფიოდ გამოეჩინათ ხალხის დაბეჩავებული და დამონებული ყოფა.

ამ წინააღმდეგობის მოხსნისა და მთელი ხმით, მთელი გრძნობით ახალი სამშობლოსადმი სიყვარულით ამღერების ეს ახალი თვისება, რომელიც დამკვიდრებულია თანამედროვე ქართულ პოეზიაში, მკაფიოდ გამოსჩანს ალიო მაშაშვილის დასახელებულ ლექსის ყოველ სტრიქონში.

„ჩემი ქვეყანა, ეგრე ლამაზი, შავი ზღვის პირად აღმართულია,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას, მისგან ღრუბლებიც
დაფანტულია,
ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ, ხან ვენახებით დახლართულია,
მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი, ცა ფიროსმანის დახატულია.“

პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი საბჭოთა პატრიოტიზმის უწინდესი იდეით შთაგონებული ჰიმნით — ლექსით „ჩემო ქვეყანაე“ უმღერის თავის სამშობლოს, როგორც ბრძოლისა და შემოქმედების ზორცქესხმულ სიმბოლოს:

„მიყვარხარ, როცა „ბელომორის“ აგებ ჯებირებს
და უღაბნოში ლიანდაგი გაგყავს ტურქსიებით,
ქარი შენს სახელს აღტაცებით გაიზვიერებს
და ისევ ახალ მიღწევებით დაიყურსები.“

მიყვარხარ, როცა უპასუხებ სტალინს მქუხარედ
 — ვასრულებ გეგმას და ვიმარჯვებ შენს თაოსნობით,
 კომუნიზმის მზე ხალხთა შორის გამხიარულებს **პარტინულნი**
 ბარაქით, შრომით, ხელშესახებ შენი ოცნებით.“ **ბიბლნიქისეჟა**

ეს ფაქტები თანამედროვე ქართულ პოეტურ კულტურაში გამონაკლისის არ შეადგენენ. პირიქით, ეს მოტივები საერთოა ქართული ლექსის მთელი მთავალფეროვნობისათვის დღეს. ასე შეიქცალა ქართულ პოეზიაში დაკარგულ და დამონებულ სამშობლოზე გოდების ტრადიცია თავისუფალ და აღორძინებული სამშობლოსადმი აღტაცებული ჰიმნის ტრადიციით.

მაგრამ თვითონ ცნებამ „სამშობლო“ მოიპოვა ახალი აზრი და დიაპაზონი ქართულ საბჭოთა პოეზიაში. თანამედროვე ქართველი პოეტისათვის სამშობლოს ცნება უფრო ფართოა, ვიდრე საქართველოს მიწა-წყალი. ეს უკვე სრულიად ახალი მოტივია ქართულ ლექსიკის მთელ ისტორიაში.

ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინად პოეტი ს ი მ ო ნ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ ა მართავდა რევოლუციურ რუსეთს:

„დიდო ქვეყანავ, სამშობლო ხარ ჩემი სამშობლოს,
 დიდო მინდვრებო, დამბრუნებო ქართა ბორობლების.“

ქართულ სინამდვილის ფარგლებით იყო განსაზღვრული ქართული კლასიკური მწერლობის ჰორიზონტი. მართალია დ. გურამიშვილმა ქართულ ლექსში შემოიტანა უკრაინის ხალხის ყოფისა და უკრაინული სასიმღერო ფოლკლორის მასალა, ილია ჭავჭავაძემ ღრმა აზრით გამსჭვალული ლექსი მიუძღვნა პარიზის კომუნართა ბრძოლას, მაგრამ ასეთი ფაქტები მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდებიან მე-18 და მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. ეს გარემოება საფუძვლით გასაგებია ხალხთა ურთიერთ დაშორებისა და გათიშვის იმ პირობებში, რასაც ასეთი გულმოდგინებით ანხორციელებდა იმპერიალისტური თვითმპყრობელობა. ასევე ბუნებრივია და გასაგები ის, რომ ხალხთა სტალინური ძმობისა და ურყევი მეგობრობის ატმოსფეროში აღმოცენებული პოეტური საიტყვა გატაცებით უმღერის პროლეტარული რევოლუციის ამ ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს.

უსაზღვროდ გაფართოვდა ქართველი პოეტის მხედველობის არე: გ. ლ ე ო ნ ი ძ ე მღელვარე ლექსით ესალმება აზერბაიჯანის პოეტებს და ამ ლექსში აღიღებს იმ სინამდვილეს, რომელმაც საქართველოს და აზერბაიჯანის ხალხთა შორის ურყევი მეგობრობა დაამკვიდრა, რომელმაც ერთს ჰანგზე აამღერა ამ ორი ხალხის მოეზია:

„მოდი, აქ ძველად რკინის ქანგებით
ჩვენი ცხენები დაჯახებულა,
დღეს დაეჯახათ ჩვენი ჩანგები,
მხარე საღეჭსოდ გაჩაღებულა“, —



მიმართავს გ. ლეონიძე აზერბაიჯანის პოეტებს და ამ სტრიქონებში იძლევა ხალხთა სტალინური მეგობრობის ცხოველმყოფელი გზით განათებული სინამდვილის დაპირისპირებას ხალხთა ურთიერთ შეუღლითა და მტრობით დადასტულ წარსულთან.

სიმონ ჩიქოვანმა დახატა ინდუსტრიალური დონბასის პეიზაჟი. მისივე ლექსების ციკლი „მგზავრის წერილები“ მთლიანად გაშლილია მოძვე ხალხთა განახლებულ ცხოვრებისა და რევოლუციური შემოქმედების თემებზე. რა ედენ გვეტაძემ, ილო მოსაშვილმა და ა. ქუთათელმა ქართულ პოეზიაში პირველად გამოხატეს ბელორუსიის ხალხის გმირული წარსული და მისი თავდადებული ბრძოლა ახალი სოციალისტური ცხოვრების განმტკიცებისათვის. მათი ლექსების მეოხებით პირველად ქართულ პოეზიაში გამოჩნდა ბელორუსიის ხალხის ყოფითი თავისებურება, ბელორუსიის ბუნების სპეციფიური პეიზაჟი, დახატული დიდი სიყვარულით და მშობლიური განცდით.

პოეტმა ს. ეულმა თავის ლექსში „სომხეთის პოეტებს“ გამოსთქვა ქართველი საბჭოთა ხალხის ძმური სიყვარული სომხეთის ხალხისადმი, რომელთანაც მას აერთებს არა მარტო ტერიტორიალური მეზობლობა, არამედ ისტორიული ბედის ერთიანობა და ღრმა კულტურულ-ტრადიციული ურთიერთობა მრავალ საუკუნის მანძილზე.

განსაკუთრებით მდიდარია ქართული საბჭოთა პოეზია დიადი რუსი ხალხისადმი, რევოლუციური რუსეთისადმი მიძღვნილი ლექსებით. ამ მხრივ ქართულმა საბჭოთა პოეზიამ შესძლო გამოეხატა ქართველი საბჭოთა ხალხის აზრი და გრძნობა იმ დიდი ხალხისადმი, რომელმაც პირველმა შეარყია გამანადგურებლად იმპერიალისტური თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრე და, გაინთავისუფლა რა თავი, თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებისკენ გზა გაუხსნა ჩვენი სამშობლოს ყველა და სხვა ხალხსაც.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეის ღრმად დამკვიდრების საბუთს ქართულ საბჭოთა პოეზიაში წარმოადგენს აგრეთვე ის შემოქმედებითი გამოხმაურება, რომელიც ჰპოვა ქართველ პოეტთა ლექსებში ესპანეთის ხალხის გმირულმა ბრძოლამ საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ.

ისტორია, ხალხის წარსული, ყოველთვის შეადგენდა პოეზიის შემოქმედებითი შთაგონების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ეს თვისება დღემდე შერჩა საბჭოთა ქართულ პოეზიას. ჩვენი სოციალისტური სინამდვილის კონკრეტულ მოვლენათა ამსახველ ლექსებში ხშირად ვხვდებით ისტო-

რიული ანალოგიების მოტივებს, წარსულისაკენ გადახედვისა და გადასახების ცდებს.

მაგრამ თუ მე-19 საუკუნის ქართველი პოეტებისათვის წარსულის იდეალიზირებული მხატვრობა საჭირო იყო იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკის ბრწყალბაში მგმინავი ხალხის ცხოვრების სიდუხჭირე საბჭოთა ქართველი პოეტებისათვის, პირიქით, ისტორიული ანალოგიები პოეტურ საშუალებას წაოზადგენენ განახლებული და აღორძინებული ქვეყნის დღევანდელი სინამდვილის უფრო მკაფიოდ, ღრმად და რელიეფურად გამოხატვისათვის.

აქეთ ისტორიულ კონცეპციაზეა აგებული ს. ე უ ლ ის გ. ლ ე ო ნ ი ძ ი ს, კ. კ ი ბ ი ნ ა ძ ი ს, ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ს და სხვათა მთელი რიგი ლექსები.

მე-19 საუკუნის მთელი ქართული პოეზია ცხოვრებისა და ადამიანის გარდაქმნას უმღეროდა. მაგრამ იგი უფრო პოეტის სწრაფვას გამოხატავდა არსებული სინამდვილის რკალის გარღვევისაკენ. თვით ხალხის შეგნებულ აქტივობა, თავისი ცხოვრების განახლებისა და გარდაქმნისაკენ მიმართული, არ სჩანდა ქართულ კლასიკურ პოეზიაში. იგი ხალხს უმრავლეს შემთხვევაში ხატავდა როგორც დიდი სიყვარულისა და მზრუნველობის ობიექტს, მაგრამ სოციალური უკუღმართობის წინაშე ქედმოხრილ და შერიგებულ პასიურ ძალას, ან კიდევ ისეთ სტიქიას, რომლის პროტესტის სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ვერ პოულობდა სინამდვილის გარდამქმნელ მიზანშეწონილ ფორმებს.

ქართული საბჭოთა პოეზიის თავისებურება ამ მხრივ იმაში მდგომარეობს, რომ იგი, უმღერის რა ახალ ცხოვრების მშენებლობის სინამდვილეს, გამოხატავს ხალხის მეტრძოლ აქტივობას, ადამიანის სწრაფვას ისეთი სრულყოფისაკენ, როგორისკენაც მას ეზიდებიან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანები და შესაძლებლობანი.

სიმონ ჩიქოვანის „უშგულის კომკავშირ“-ში ჩვენ ვხედავთ მრავალსაუკუნოვანი ჩამორჩენილობის მდგომარეობიდან გამოსული და განახლებული სევანეთის კომკავშირული თაობის ბრძოლას ძველი პატრიარქალური ყოფის რღვევისა და სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრებისათვის. იმავე პოეტის ლექსი „შემოღამება ხაზმატში“ გამოხატავს ახალგაზრდა ხევისურის ბუნებაში გაღვიძებულ ძლიერ სწრაფვას - დასძლიოს კარჩაკეტილობის ძველის-ძველი ტრადიცია და შეუერთდეს ბარის, ქალაქის კულტურის ახალ ყოფას, მთელს ქვეყანაზე გაშლილ შემოქმედებითი ბრძოლისა და შრომის სინამდვილეს.

ახალი ადამიანის მეტრძოლი და მშენებელი აქტივობის ასახვის თვალსაზრისით ქართულ საბჭოთა პოეზიაში მრავალი საყურადღებო პოეტური ფაქტი მოგვეპოება საკმარისია დაეასახელოთ ი. მოსაშვილის „მარია დემ-

ჩენკო“ და კ. ლორთქიფანიძის „მუშა გამომგონებელი“, რომ ვასაფქვი გახდეს თანამედროვე ქართული სალირიკო პოეზიის ტენდენციური მოხატოს სოციალისტური მშენებლობის გმირის, სოციალისტური მშენებლის თან თუ საკოლმეურნეო მინდვრებში აღზრდილი ახალი ადამიანის სახე.

ქართულმა საბჭოთა პოეზიამ, ისევე, როგორც მთელმა საბჭოთა პოეზიამ, განვლო განვითარების ერთი გზა განყენებული აბსტრაქტული სქემებისა და პლაკატური ამსახველობიდან რევოლუციური სინამდვილის კონკრეტულ-სახეობრივ მხატვრობისაკენ.

უკანასკნელი წლების ქართული საბჭოთა პოეზია სწორედ განახლებული საქართველოს სინამდვილის კონკრეტულ გამოხატულებების დომინანტით ხასიათდება.

თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის თემატიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ, თუმცა პოეტური ფრონტი და მთელი მწერლობა საერთოდ ჩამორჩება სოციალისტური მშენებლობის ტემპებსა და ამოცანებს, პოეტთა კოლექტივი მაინც ცდილობს გამოეხმებოდეს ჩვენი სინამდვილის ყველა ძირითად პროცესს, ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას.

რამდენადაც მრავალფეროვანია და მრავალმხრივი ჩვენი რევოლუციური თანამედროვეობა, იმდენად მრავალფეროვანია ამ სინამდვილის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული საბჭოთა პოეზიის თემატიური და ენროობრივ-სტილბრივი ბუნება.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში ერთ-ერთ მაგისტრალურ თემატიურ ხაზს სამოქალაქო ომის, რევოლუციური ქარიშხლის, საბჭოთა ხალხის გმირული წარსულის გამოხატვის ამოცანა განსაზღვრავს.

გ. ტაბიძისა და ალიო მაშაშვილის მთელი რიგი შესანიშნავი ლექსები, მიძღვნილი ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეებისადმი, რაყდენ გვეტყვის „მერკვილადის დები“, ს. ეულის ლექსების მთელი ციკლი, აგებული საბჭოთა საქართველოსათვის ბრძოლის ეპოპეის მასალაზე, და მრავალი სხვა პოეტური ფაქტი მხატვრული მეტყველების სხვადასხვაგვარ ფორმებში აღადგენენ ჩვენი ხალხის გმირული რევოლუციური ბრძოლების დაუფიწყარ ეპიზოდებს.

თითქმის ყოველმა თვალსაჩინო თანამედროვე ქართველმა პოეტმა უმღერა ახალი კოლხიდის მშენებლობას, იმ გამძაფრებულ ბრძოლას და შრომას, რომელსაც აწარმოებს ამჟამად საბჭოთა საქართველოს ხალხი დაქობებული კოლხიდის გადაჭყევისათვის ციტრუსოვან კულტურების აყვავებულ ბაღად.

ქართველი საბჭოთა პოეტების შთაგონების ერთ-ერთ ძირითად იმპულსს წარმოადგენს აგრეთვე წარსულში განსაკუთრებით ჩამორჩენილი მთა რაიონების სოციალისტური გარდაქმნა. სვანეთის, ზეესურეთის, ფშავეთის ხალხის ცხოვრებაში მიმდინარე დიდი ძვრებისა და გარდატეხების პროცესებს გვიხატავენ ქართული საბჭოთა პოეზიის ისეთი ნიმუშები, რო-

გორიკაა ს. ჩიქოვანის უკვე დასახელებული ლექსები, ალ. აბაშელის „ვაჟა-ფშაველას ლექსების მთელი ციკლი“, ალ. აბაშელის „ვაჟა-ფშაველას ლექსები“, ალ. აბაშელის „ვაჟა-ფშაველას ლექსები“ ეპიურ პოეტურ ქმნილებათა მთელ ციკლში გამოხატა პოეტმა კარლო კალაძემ განახლებული აქარის დღევანდლობა, რისთვისაც მან ფართოდ გამოიყენა აქარის ხალხის ყოფაცხოვრებითი სპეციფიკა.

ინდუსტრიალური თემატიკა სოციალისტური მრეწველობის ზრდის პროცესები მკაფიო გამოხატულებას პოულობენ მთელ რიგ ქართულ პოეტთა შემოქმედებაში. განსაკუთრებით მრავალფეროვნადაა დამუშავებული ეს თემა გ. ტაბიძისა და ალ. მაშაფილის პოეზიაში.

ქართული საბჭოთა პოეზიის ძირითად თვისებას წარმოადგენს სწრაფვა — გამოხატოს ხალხის საუკეთესო მისწრაფებანი, მასების აზრი და გრძნობა. მთელ რიგ შემთხვევაში ამ მიმართულებით ქართულმა საბჭოთა პოეზიამ უდავო წარმატებას მიაღწია.

პოეტური სიღრმით და ლირიკული გულწრფელობით აღბეჭდილი მთელი რიგი ლექსებით ქართულმა საბჭოთა პოეზიამ თავისი წვლილი შეიტანა მთელი საბჭოთა ლიტერატურის იმ უდიდესი შემოქმედებითი ამოცანის განხორციელების საქმეში, როგორცაა ოქტომბრის რევოლუციის გენიალური ორგანიზატორისა და ბელადის ლენინის პოეტური პორტრეტის შექმნა.

ალ. მაშაფილის, ვალ. ვაფრინდაშვილის, ს. ეულის, გ. ტაბიძის და სხვათა ლექსები ლენინზე რომლებშიაც მკაფიო პოეტური საღებავებით არის გადმოცემული ხალხის უძირო მწუხარება ლენინის გარდაცვალების მომენტში და ის საბრძოლო ოპტიმიზმი, რომელიც ერთი წუთითაც არ დაუკარგავს ლენინიზმით შეიარაღებულ საბჭოთა ხალხს, უეჭველად შედის იმ პოეტურ ქმნილებათა ფონდში, რომელიც საერთოდ საბჭოთა პოეზიამ მიუძღვნა ამ დიდსა და ამოუწურავ თემას.

ხალხის აზრებისა და გრძნობების გამოხატვის უნარი გვიჩვენა ქართულმა საბჭოთა პოეზიამ ხალხთა დიდი ბელადის სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებში. ჩვენი ხალხის უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული კომუნისტების გენიალური ხელმძღვანელისადმი გადაიქცა უმძლავრეს შემოქმედებითს იმპულსად ქართველ საბჭოთა პოეტების მთელი კოლექტივისათვის. ქართული პოეზიის ყოველმა მნიშვნელოვანმა ძალამ მიუძღვნა ამ შემოქმედებითი განზრახვის განხორციელების საქმეს თავისი მხატვრული პოტენციისა და ნიჭის მაქსიმუმი.

ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობაში საბჭოთა ქართულმა პოეზიამ ფართოდ გამოიყენა ქართული კლასიკური პოეტური კულტურის საუკეთესო ტრადიციები — დიდი სოციალური იდეების ლირიკულ ასპექტში გააზრებისა და გამოხატვის უნარი: მეტაფორების მანველი ოსტატობა, პეიზაჟის პლასტიური მხატვრობა, ბუნებისა და სოციალური სინამდვილის მოვლენათა პოეტური ანალოგიები, გმირობისა და უკვდავ საქმე-

ების გამოსახატავად მიღწეული პოეტური საშუალებებიც, *ქართული პოეზია* ნალი.

აქ შეუძლებელია რამდენიმე ლექსის დასახელებით ან ციტატის მოყვანით მოვხდინოთ ქართული პოეზიის ამ დიდი მიღწევის ილუსტრაცია. ქართველი პოეტების ლექსები და სიმღერები სტალინზე, ქართულ საბჭოთა პოეზიის იდეური სიმახვილისა და შემოქმედებითი მომწიფების შესანიშნავი საბუთია.

ქართველი პოეტები მუშაობენ მონუმენტალური პოეტურ ნაწარმოებთა შესაქმნელად დიდი სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის სახელოვან ისტორიის თემებზე.

ქართულ საბჭოთა პოეზიას უფრო მაღალ საფეხურზე აყვავებს ის დიდი საზოგადოებრივი ავტორიტეტი, რომლითაც სარგებლობდა ყოველთვის ქართველი ხალხის მასებში პოეტური კულტურა.

ამ გარემოების საუკეთესო საბუთს წარმოადგენს თუნდაც ქართველი ხალხის მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-15 წლისთავთან დაკავშირებით დიდი სტალინისადმი გაგზავნილი წერილი.

ასეთია თანამედროვე ქართული პოეზიის იდეურ-თემატური შინაარსის ძირითადი ზომენტები. ცხადია, ამით არ ამოიწურება იმ პრობლემათა მთელი მრავალფეროვანება, რომელთა მხატვრული გადაწყვეტისათვისაც იბრძოდა და იბრძვის ქართული საბჭოთა პოეზია პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში.

საკოლმეურნეო სოფლის ახალი ყოფა, ჩვენი დიდი სამშობლოს თავდაცვის უნარიანობა, სახელისა და გმირობის საქმედ ქცეული სოციალისტური შრომის პათოსი, კაპიტალისტური გარემოცვა და კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლა, — ყოველივე ეს თავისებურ შემოქმედებითს გამოხმაურებას პოულობს ქართველ პოეტთა შემოქმედებაში.

ყველა ის თვისება, რომელიც განასხვავებს ქართულ საბჭოთა პოეზიას წინა ეპოქების პოეტური ფორმაციებისაგან, ნაკარნახევი და განპირობებული ჩვენი სოციალისტური სინამდვილის გარემოცვით, რომელიც ქართული საბჭოთა პოეზიის შთაგონების ძირითად წყაროს წარმოადგენს. ამ სინამდვილის მიერ მწერლობის წინაშე დასახული ამოცანები განსაზღვრავენ აგრეთვე იმ ძვრებს და სიახლეს, რომლებიც განუცადა ქართული ლექსის ტექნოლოგიამ უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე.

მაგრამ თანამედროვე ქართული პოეზიის თავისებურების გასაგებად აუცილებელია აგრეთვე გავითვალისწინოთ კლასიკური ქართული პოეზიის ტრადიციების ზეგავლენა თანამედროვე ქართული ლექსის კულტურაზე.

რომ არ ვილაპარაკოთ რუსთველის გარდაუვალი და სოციალ-დემოკრატიული ზეგავლენის შესახებ მთელი ქართული ლიტერატურის განვითარებაზე, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართველ პოეტთა შემოქმედებაში შეაფიოდ გაისმის გურამიშვილის, ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას პოეტური მემკვიდრეობის რეზონანსი.

გურამიშვილის ლირიკული სიმძაფრე, ბარათაშვილის პოეტური აზრის ფილოსოფიური სიღრმე, გრ. ორბელიანის პლასტიკური პეიზაჟები, ილიას ლექსის იდეური დატვირთულობა და სოციალური სიმახვილე, აკაკის ლირიკის გამსჭვირვალობა და მართლაც გენიალობამდე ამაღლებული სისადავე, ვაჟა-ფშაველას პოეზიის გმირული სული, ასულდგმულუბული ბუნების ვაჟასებური მხატვრობა, — ქართული კლასიკური პოეზიის ეს ტრადიციები სცოცხლობენ თანამედროვე ქართულ პოეტურ კულტურაში და შეადგენენ საბჭოთა ქართული პოეზიის ერთ-ერთ მამოძრავებელ ფაქტორს.

თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს აგრეთვე სწრაფვა მეტად მდიდარი ქართული პოეტური ფოლკლორის ფორმებთან დაახლოებისა და მისი გამოყენებისაკენ. ამ მხრივაც ქართულ პოეზიას დიდი ტრადიცია აქვს. განსაკუთრებით ფართოდ გაამდიდრეს თავიანთი შემოქმედებითი ლაბორატორია ხალხური ზეპირსიტყვიანობის მარგალიტებით აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ. ამ გარემოებამ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის საქმეში.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა ლიტერატურულმა სკოლებმა შესწევუნეს ქართული პოეზიის ასეთი ურთიერთობის ტრადიცია ხალხური შემოქმედების წყაროებთან. მაგრამ უკანასკნელ წლებში კვლავ იჩინა მთელის ძალით თავი პოეტური ფოლკლორის ზეგავლენამ ახალი ლექსის კულტურისათვის ბრძოლაში. ეს აიხსნება, ერთის მხრით, საბჭოთა პოეზიაში გაშლილი ბრძოლით სისადავისა და ხალხურობისათვის, ხოლო მეორე მხრით იმ არაჩვეულებრივი აყვავებით და გაძლიერებით, რომელსაც ამჟამად განიცდის თანამედროვე ქართული ხალხური პოეზია.

სანდრო შანშიაშვილის, გ. ლეონიძის, ალ. ქუთათელის პოეტურ მემოქმედებაში ეხვედებით ხალხური პოეტური ზეპირსიტყვიანობის ჯანსაღ ნაკადს. მართალია, ზოგჯერ ადგილი აქვს პასიური მიმზიდველობისა და იმიტაციის შემთხვევებსაც, მაგრამ საერთოდ ხალხური პოეზიის ფორმებისაკენ სწრაფვამ უკვე მოგვცა თანამედროვე საბჭოთა პოეზიაში დადებითი შემოქმედებითი შედეგები.

ქართული საბჭოთა პოეზიის თანამედროვე ვითარების გაგება შეუძლებელია აგრეთვე იმ ზეგავლენის გათვალისწინების გარეშე, რომელსაც ახდენდა და ახდენს მასზე რუსეთის რევოლუციური პოეტური კულტურა.

თუ მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში აშკარად გვესმის პოეტის და ლერმონტოვის შემოქმედების რეზონანსი, გარკვევით შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს უქველად შეადგენენ საბჭოთა ეპოქის რუსული პოეზიის საუკეთესო მიღწევები.

განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას რევოლუციის უდიდესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებაზე, რომლის უძლიერესი პოეტური ხმის მკაფიო გამოძახილსაც ჩვენ ვხვდებით ისეთს ერთმანეთისაგან განსხვავებულ პოეტურ ინდივიდუალობათა შემოქმედებაში, როგორც არიან ვ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, ა. მაშაფილი.

უკანასკნელ წლებში კი ქართველი პოეტებისათვის მისაწვდომი გახდა ის უმდიდრესი საგანძური, რომელსაც შეიცავს ჩვენი დიდი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხების — უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანის თანამედროვე და კლასიკური პოეტური შემოქმედება. თითონ ქართული პოეზიაც თანდათან ხდება ჩვენი მოძმე ხალხების საუკეთესო პოეტთა ცხოველი დაინტერესების საგნად.

ცხადია, ეს ურთიერთობა ახალი შემოქმედებითი შესაძლებლობით გამდიდრებს ქართულ საბჭოთა პოეზიას და აიყვანს მას განვითარების ახალ საფეხურზე.

2

სოციალისტური ღირსების ის თვისებები, რომლებიც ეხლა ასე მკაფიოდ გამოხატა თანამედროვე ქართულ პოეზიაში, რა თქმა უნდა, თანაბრად არ ახასიათებენ საბჭოთა ეპოქის ქართული პოეტური კულტურის განვითარების ყოველ საფეხურს და ჩვენი პოეტური კოლექტივის ყოველ შემოქმედებითს ძალას.

ის შემოქმედებითი ბირთვი, რომელიც დღეს ქართული საბჭოთა პოეზიის მოწინავე პოზიციებზე იბრძვის, შესდგება სხვადასხვა სოციალური წარმომადგენლის, სხვადასხვა ფორმაციისა და თაობის პოეტური ძალებისაგან.

ბევრი მათგანი სოციალისტური პოეზიისათვის ბრძოლის აფანგარდში ჩადგა თავისი ძველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეური ტვირთის დაძლევისა და იდეური შემოქმედებითი გადააირაღებრის გზით. ზოგნი საბჭოთა პოეზიის იდეურ პოზიციებზე დამკვიდრნენ წვრილ-ბურჟუაზიული რადიკალიზმის გზიდან თანდათან ევოლუციით ჩვენი რევოლუციური სინამდვილის ღრმად გაგებისა და მის მიზნებთან და ამოცანებთან ორგანიულად დაკავშირების მიმართულებით.

პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში წარმოიშვა და აღიზარდა პოეტების მთელი თაობა, რომელიც ჩვენი პოეტური კულტურის შემომქმედი კოლექტივის აფანგარდს წარმოადგენს.

რევოლუციის წინაღობის დედა პოეტთა თაობის იდეურ-შემოქმედებითი გადაიარაღება რთულ წინააღმდეგობათა გზით მიმდინარეობდა. საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში ოქტომბრის წინააღმდეგ პოეტთა საგრძნობი ნაწილი თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში მკაფიოდ გამოხატავდა რეაქციული კლასების სულისკვეთებას და მხატვრული სიტყვის იარაღით ცდილობდა დაპირისპირებოდა გამარჯვებული მუშათა კლასის საქმის ძლევაში მის წინააღმდეგობას.

ამ პერიოდში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბანაკის ხედვრითი წონა ქართულს ლიტერატურაში, ჯერ კიდევ ძლიერი იყო იმ რეაქციული იდეების ინერცია, რომლებითაც გაკლენთილი იყო ლიტერატურული ატმოსფერა პროლეტარული რევოლუციის წინა პერიოდში — მენშევიკური კონტრრევოლუციის დიქტატურის წლებში.

ცნობილია, რომ კონტრრევოლუციური მენშევიზმის ბატონობის წლებში მთელი ქართული კულტურისა და კერძოდ ქართულ პოეზიის განვითარების ისტორიაში უმაგალითო დეკადანსის, იდეურ-შემოქმედებითი დაკნინებისა და ვალატაკების პერიოდს წარმოადგენს. ამ პერიოდის გაბატონებულ პოეტურ მიმდინარეობებს შეადგენდნენ, ერთის მხრივ, ბურჟუაზიულ-დეკადენტური სკოლა „ცისფერი ყანწები“, ხოლო მეორეს მხრივ ე. წ. „დემოკრატიული პოეზიის“ სკოლა, რომელმაც ზურგი შეაქცია ქართულ კლასიკურ მწერლობის საუკეთესო პროგრესულ და დემოკრატიულ ტრადიციებს და მენშევიზმის „ოფიციალური“ მწერლობის, „სასახლის პოეზიის“ ფუნქციით განისაზღვრა.

დამახასიათებელია, რომ საქართველოში მენშევიზმის ბატონობის ხანას არ წარმოუშვია არც ერთი ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა, არ წამოუწვდია არც ერთი ახალი შემოქმედებითი ძალა. ამ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ვაკანალიის მესვეურთა გემოვნებას და სულისკვეთებას, ალბად, სავსებით შეესაბამებოდა ბოჰემურ-დეკადენტური სკოლის „ცისფერი ყანწების“ და გადაგვარებულ ებოგანური „დემოკრატიული მწერლობის“ ჯგუფის იდეურ-შემოქმედებითი პოზიციები.

საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში ეს ლიტერატურული ფენები აქტიურად ანხორციელებდნენ დამარცხებულ კონტრრევოლუციურ კლასების „სოციალურ დაკვეთას“. „აკადემიური მწერლობის“, „ცისფერი ყანწების“ და უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბებული „არიფიონის“, სახელწოდებით ცნობილ გაერთიანებებში შეფარებული პოეტური ძალები მთელი რიგი წლების მანძილზე ცდილობდნენ დაენერგათ საბჭოთა ეპოქის ქართულ პოეზიაში ნაციონალისტური განსაზღვრულობისა და კარჩაკეტილობის იდეა, ცდილობდნენ გამოეთიშათ და განეყენებიათ პოეტური შემოქმედება რევოლუციური სინამ-

დვილის, სოციალისტური აღმშენებლობის გარემოცვისაგან, ცდილობდნენ დაემკვიდრებიათ პოეზიაში უიმედობისა და დაცემულობის განწყობნებულსა. ასეთი იდეური მიზანმისწრაფებით იყო ნაკარნახევი თსკქმის მსსკტსის პოეტური მასალა, რომელც „კავკასიონის“, „ლომისის“, „ქართული სიტყვის“, „ბახტრიონის“, „ილიონის“, „საქართველოს სამრეკლოს“, „მეოცნებე ნიამორების“, „არიფიონის“ და სხვა ამგვარ გამოცემების ფურცლებზე ქვეყნდებოდა.

ამ ლიტერატურულ გაერთიანებათა ლაბორატორიაში გამომუშავებულ რეაქციული იდეურ-შემოქმედებითი ტრადიციების გავლენა მაშინვე როდი ამოფხვრილა, როგორც კი სოციალიზმის ძლევამოსილმა წინამსვლელობამ და პროლეტარული კულტურის ზრდის ლეგიამ ანტიპროლეტარულ ლიტერატურულ გაერთიანებათა დაშლა გამოიწვია. ამ გავლენის ნარჩენები ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ინტენსივობით თავს იჩენენ ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების მთელს მანძილზე და არა მარტო ხსენებულ ლიტერატურულ გაერთიანებებიდან გამოსულ მწერალთა შემოქმედებაში. ქართული საბჭოთა პოეზიის ისტორიამ იცის არაერთი ისეთი შემთხვევა, როცა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ნაშთებმა, დეკადენტური ესტეტიზმის გავლენამ გამოხატულება ჰპოვეს ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის უარყოფითი, გამზრწნელი და შემაფერხებელი გავლენა, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებამდე ინარჩუნებდა ქართულ პოეზიაში „ციხფერ ყანწების“ ბოჰემურ-დეკადენტური ტრადიცია.

ამ ყოფილი ლიტერატურული დაჯგუფების ზოგიერთი მესვეური დიდხანს ცდილობდა და ახერხებდა კიდევ „რევოლუციური“ ფრაზეოლოგიით შეენიღბა თავისი ცინიკური და ნიგილისტური დამოკიდებულება ჩვენი გმირული სოციალისტური სინამდვილისადმი, ჩვენი ხალხის სახელოვანი წარსულისადმი და ბრწყინვალე კულტურული მემკვიდრეობისადმი. მათ აღმოაჩნდათ მიტმასნებისა და თვითრეკლამის უნარი, რომელიც მომარჯვებული ჰქონდათ იმისათვის, რომ საბჭოთა პოეზიაში დაემკვიდრებიათ საბჭოთა ხალხისათვის უცხო და მტრული იდეურ-შემოქმედებითი ხაზი.

ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ტრადიციები იქმნებოდნენ და ყალიბდებოდნენ „ციხფერ ყანწელთა“ ბოჰემურ-დეკადენტური პრაქტიკის წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლაში და ეს ბრძოლა „ყანწელობის“ ნარჩენებთან დღესაც არ შეიძლება სავსებით დამთავრებულად ჩაითვალოს.

აქ ლაპარაკია „ყანწელობის“, როგორც გარკვეულად რეაქციული იდეურ-შემოქმედებითი პოზიციის ნარჩენების წინააღმდეგ ბრძოლაზე, და

ცხადია, ეს არ შეეხება იმ პოეტებს, რომლებიც წარსულში „საუფერ ყან-
წელთა“ კორპორაციის ეკუთვნოდნენ, ხოლო დღეს სოციალისტური ლი-
რიკის შემოქმედი კოლექტივის მოწინავე რიგებში დგანან.

ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში დიდი იყო აგრეთვე „ლე-
ფურ“ — ფორმალისტური ტრადიციების შემადგენელი გავლენა. მარ-
თალია, ქართველი „ლეფელები“ თავიდანვე ემიჯნებოდნენ მწერლო-
ბის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ბანაკს და რევოლუციური ხელოვნე-
ბის მშენებელთა პრეტენზიებით გამოდიოდნენ, მაგრამ მათი ფორმალის-
ტური ორიენტაცია არსებითად ბურჟუაზიულ-დეკადენტური ხასიათისა
იყო და მკაცრად ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური ლიტერატურის გან-
ვითარების გზს.

უკანასკნელ ხანებში ქართული „ლეფის“ საუკეთესო შემოქმედებითა
ძალები მტკიცედ დგებიან საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე,
მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ფორმალიზმის რეციდივები საესე-
ბით აღმოფხვრილიყოს თანამედროვე ქართულ პოეტურ კულტურაში.

ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაშიაც მკაფიო გამოხატულე-
ბა პოეზია იმ მავნებლურ-მოღალატურმა „მოღვაწეობამ“, რომელსაც საბ-
ჭოთა ლიტერატურის ფრონტზე ეწეოდა ე. წ. „პროლეტარულ მწერალ-
თა ასოციაციის“ კონტრრევოლუციურ-ავერბახული ხელმძღვანელობა.

ავერბახელთა ეგრეთწოდებული „გენერალური ხაზის“ ყალბი და მავ-
ნებლური „შემოქმედებითი ლოზუნგები“ მიმართული იყო იქითკენ, რომ
სწორი გზიდან აეცდინათ, ჩაეშალათ და შეეფერხებინათ მთელი საბჭო-
თა ლიტერატურისა და, კერძოდ, საბჭოთა პოეზიის განვითარება. „რაპ-
პელ“ კრიტიკოსთა ბრძოლა ლირიკის წინააღმდეგ, მათ მიერ პოეზიაში
პეიზაჟის პრინციპული უარყოფა, მათ მიერ ვადმოსროლილი ლოზუნგი —
„პოეზიის გადემიანურება“, მათი ბრძოლა ჩვენი რევოლუციის უდიდესი
პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის წინააღმდეგ, — ყოველივე ეს მომართუ-
ლი იყო საბჭოთა პოეზიის დაკნინებისა და გაღარიბებისაკენ, მისი გამო-
ფიტვისა და გაერთფეროვნებისაკენ, საბჭოთა პოეზიის საუკეთესო მონა-
პოიარის განადგურებისაკენ და პოეტური კადრების დეზორიენტაციისა-
კენ.

კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ლიტერატურული აგენტურის
მეორე სახეობა — „ლიტფრონტი“ ცდილობდა სქემატიზმისა და პლაკატუ-
რი აგიტკის გეზი მიეცა საბჭოთა პოეზიის განვითარებისათვის.

„ლიტფრონტის“ ქართველი ნაბოლარები იბრძოდნენ იმისათვის, რომ
საბჭოთა პოეზიას ზურგი შეეჭკია კლასიკური ქართული პოეზიის საუ-
კეთესო ტრადიციებისათვის. ისინი ყალბად გაგებულნი რევოლუციური
რომანტიზმის აპოლოგის გზით ცდილობდნენ საბჭოთა პოეზია აეცდი-
ნათ ჩვენი დიადი სინამდვილის ასახვის ამოცანისაგან, ჩაეხშოთ საბჭოთა
პოეზიაში სოციალისტური რეალიზმის ჯანსაღი ტრადიციები.

ასეთია ის ძირითადი წინააღმდეგობანი, რომელთა გადალახვისა და დაძლევის გზით ვითარდებოდა ქართული საბჭოთა პოეზია ~~მრავალფეროვანი~~ რევოლუციის ეპოქის მთელს მანძილზე.

როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურის, ისე კერძოდ ქართულ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ, რომელმაც არა მარტო გამანადგურებელი მხვეილი ჩასცა კონტრრევოლუციურ-ტროცისტულ „ავერბახელობას“ და „ლიტფრონტს“, არამედ ბოლო მოუღო ყველა ვაცალკეეებული ლიტერატურული დაჯგუფების არსებობას და გადაიქცა ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს დიადი პარტიის გარშემო მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო ძალების იდეურ-შემოქმედებითი კონსოლიდაციის მძლავრ ფაქტორად.

საბჭოთა პოეზიის განვითარების ისტორია გვერდს ვერ აუვლის აგრეთვე ისეთს დიდ საერთაშორისო კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენას, როგორც იყო საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა.

საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტერმა ბუხარინმა სცადა ამ ყრილობის ტრიბუნა გამოეყენებია სოციალისტური ლიარიკის საუკეთესო თვისებათა წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მან სცადა უარეყო ე. შაიკოვსკის პოეტური მემკვიდრეობის მნიშვნელობა, გაეზიარებინა პროლეტარული პოეზიის მიღწევები, და საბჭოთა პოეზიის სანიმუშო მონაპოვრად გამოეცხადებია იმ პოეტების შემოქმედება, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაშორებული ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს, საბჭოთა ხალხის საბრძოლო მიზნებსა და იდეებს, რომლებიც უფრო მეტად არიან ჩაჭედილი თავიანთ ინდივიდუალისტურ-ესთეტიურ ნაჭუჭვში.

საბჭოთა მწერლების პირველმა საკავშირო ყრილობამ მკაცრი წინააღმდეგობით უპასუხა ვერაგულად შენიღბული კლასობრივი მტრის ამგვარ გამოსვლას და ეს ყრილობა გადაიქცა სტალინური ეპოქის დიადი იდეებით შთაგონებული, მაღალ-მხატვრული პოლიტიკური პოეზიის პრინციპის ნამდვილ ტრიუმფად.

ამ ყრილობამ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა პოეზიის იდეური სიმანვილისა და ხალხურობისათვის ბრძოლის საქმეში, იმ იდეური მთლიანობისა და ერთსულოვნების დამყარების საქმეში, რომლითაც დღეს იბრძვიან საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ოსტატები ჩვენი დიადი სოციალისტური სინამდვილის ამსახველი მაღალ-მხატვრული სოციალისტური ლიარიკისათვის.

მაგრამ ასეთი მთლიანობა სრულიადაც არ იწვევს პოეტური შემოქმედების სტანდარტიზაციას. პირაქით. უნდა ითქვას, რომ არასოდეს ქართულ პოეზიაში ადგილი არა ჰქონია შემოქმედებითი პოზიციების, სტი-



ლებრივი მიმდინარეობის მხატვრული ინდივიდუალობისა და განარების ისეთ მრავალფეროვნებას, როგორსაც ვხედავთ დღეს ქართულ საზოგადოებაში პოეზიის სინამდვილეში.

თავისებურ და განსხვავებულ პანგად ეღერს ქართული საბჭოთა პოეზიის მრავალხმოვან ოკესტრში გალ. ტაბიძის ლექსი. გ. ტაბიძემ რევოლუციის წინადროინდელი მხატვრული ინტელიგენციის მთელი მასიდან ყველაზე ადრე და ყველაზე გაბედულად გაარღვია საკუთარი შემოქმედების მისტიურ-დეკადენტური რჯალი და მისთვის ჩვეული ლირიკული სიღრმითა და უშუალოებით გამოეხმაურა ახალი ცხოვრების მშენებლობის გმირულ სინამდვილეს.

იდეური სიმახვილე და აქტუალობა, თემებისა და პოეტური მეტყველების საშუალებათა ამოუწურავი მრავალფეროვნება, სოციალური გარემოცვის მოვლენებთან მღელვარე და გულწრფელი მიდგომა ახასიათებს მის ლექსებს რომლებიც თავიანთი მომხიბლავი მუსიკალობით, ღრმა და ორიგინალური სახეებით, ემოციური დატვირთულობით უდიდესი ზემოქმედებითს ძალას აღწევენ.

შედარებით მკრთალია გ. ტაბიძის საღებავები და შეზღუდულია მისი პოეტური გაქანება, როცა სინამდვილის კონკრეტულ მოვლენათა სურათს ხატავს. სამაგიეროდ უსაზღვროა მისი ფანტაზიის დიაპაზონი და პოეტური ექსპრესია, როცა ახალი ადამიანის მებრძოლ განცდებსა და განწყობილებებს ვადმოგვცემს, როცა მისი შთაგონების საგანს შეადგენს დიდი სოციალური იდეების მხატვრული განსხვავება, ან რევოლუციურ ბრძოლათა ქარიშხლიანი ეპიზოდების ასახვა თუ ბუნების სტიქიას გამოხატვა. ვაგიხსენოთ თუნდაც რამდენიმე სტრიქონი მისი ერთერთი შესანიშნავი ლექსიდან „ქალაქი წყალქვეშ“:

„რომ დააყარა ქარმა ფაფარი
უზარმაზარი გორების ეტლებს,

„პოსეიდონის ძველი ზღაპარი
ეხეთქებოდა ფოლადის კედლებს.
ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით
ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოკრებას,
მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი
ცხოვრების ჩემის აბოზოქრებას.
გადმოანგრეე შენი ზვირთები,
რომ მზარებებმა მზარეს გაასწროს,
იქუხე — გასწყრი! არ ავტირდები,
არც შებრალებას ვითხოვ არასდროს“.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად ფართოა პოეტურ საშუალებათა ის დიაპაზონი, რომელიც უნაზესი ლირიკული მელოდიებიდან

(„მთაწმინდის მოვარე“, „მერი“, „თქვენი ბინა წყლის პირას“ (ი. სხვა)). ასეთ მძაფრად და დამაბულ აკორდამდი აღწევს.

და არა მარტო პოეტური რიტმის ან საღებავების მრავალფეროვნებით გამოირჩევა გალაქტიონ ტაბიძე. იშვიათია პოეტი, რომელსაც ასე ფართოდ გაეშალოს თავისი პოეზიის თემატიკური არე და თანაბაროს მღელვარებით განეცადოს და განესახიერებინოს დიდი სოციალური ძვრები თუ უაღრესად ინტიმური თემები.

უახლესი ქართული პოეტური კულტურა ბევრითაა დავალებული გალაქტიონ ტაბიძისაგან. განსაკუთრებით დიდია მისი გავლენა ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე.

სრულიად სხვაგვარი შემოქმედებითი ბიოგრაფიისა და მხატვრული ინდივიდუალობის პოეტია ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი. მისი ძალა უმთავრესად ბუნების პეიზაჟის მხატვრობაშია და ყოფაცხოვრებითი მასალის რეალისტურ ასახვაში.

მისი ლექსები „იოსებ სტალინს“ და „დღისერთა ლენინთან“ პოეტის განახლებული შემოქმედებითი ცხოვრების საუკეთესო დოკუმენტებია. ამ უაღრესად აქტუალურ თემებზე მან შექმნა მკაფიო კოლორიტული ლექსები.

მეტად ორიგინალური ფიგურაა ქართულ პოეზიაში ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი. იგი ძველი ტფილისის პოეტური ფოლკლორის სათავეებიდან გამოდის. იგი თანამედროვე ქართულ პოეზიაში აღმოსავლური ლირიკის ტრადიციებს აღადგენს. მას უძნელდება დასძლიოს თავისი შემოქმედების დამახასიათებელი სოციალური ინდიფერენტობაში, გამონახოს თანამედროვე სინამდვილის მოვლენათა გამოსახატავად შესაფერი საღებავები.

პოეტი სცილობს კიდევ თავის „ლექსებში გადაიმტვირთოს შემოქმედების ახალი სახრე“, სწერს ლექსებს „ახალი სოფელი“, „პუშკინი და ილია“ „ფოლადის კაცი და ილია“, უმღერის კოლხეთის ველზე გაშლილ გმირულ შრომას, მაგრამ ყველა ამ ლექსში ვერა ვგრძნობთ იმ გრიშა-შვილისებურ სპეციფიურ კოლორიტს. ლექსის ისეთ თავისებურ იერს და ძალას, როგორითაც იგი „ხელთათმანის ღილს“ უმღეროდა ან „ძველ ტფილისს“ ეთხოვებოდა.

ი. გრიშაშვილი თითქმის გრძნობს, რომ მისი პოეტური სწავფვა მოვლენათა მახვილი სოციალური გააზრების გარეშეა მოქცეული, და თვითონვე ამბობს:

„მაგრამ არ მინდა აუკინძველად
ჩემი ლექსები იქცეს ჩრდილებათ.
მე რას დავეძებ, ვინ იყო ძველად,
ვის ჰქონდა ბედის დამორჩილება.



მე მხოლოდ მინდა შევსვა სურნელი
 ამ მიწის წვენი, ამ ტევნებისა,
 რომ მეც შევიგრძნო ხელი მზრუნველი
 ცაში დაკიდულ შადრევნებისა“.

ა. ლ. აბაშელი, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში დიდის მანძილით იყო დაშორებული საბჭოთა პოეზიის იდეურ პოზიციებს და შეიძლება ითქვას, ყველაზე მძაფრად გამოხატავდა თავის ლექსებში მომაკედავი სოციალური ფენების განწყობილებებს, ნელის ნაბიჯით და ერთგვარის მოკრძალებით, მაგრამ მაინც თანმიმდევრულად გადადის თანამედროვე სინამდვილის აქტუალურ თემებზე.

უკანასკნელი წლების მის პოეზიაში უკვე აღარ გაისმის წარსულის დატირების უიმედო მოტივი. იგი უკვე გულწრფელი აღფრთოვანებით ხატავს განახლებული ტფილისის სურათს, სიხარულით შესცქერის და ასახავს მთის ხალხის აღორძინებულ ცხოვრებას.

„ახალი ძალა იგრძენით,
 გამოგეცვალათ გუნება,
 აღარ ინდომეთ წარსულით
 მომავლის დაბაუნება.
 გახარებთ რკინის არწივის
 მწვერვალზე შემობრუნება,
 ვეფხვის ნატოტარ ბეჭობზე
 მანქანის აგუგუნება.“

ქართული თანამედროვე პოეზიის საუკეთესო ოსტატების მთელ კოლექტივთან ერთად ისიც უმღერის ამ განახლებული ცხოვრების შემომქმედსა და სულისჩამდგმელს:

„გოგოთურს გვირი უხმობსო,
 იმედი მთის და ბარისა,
 კაცი ბელადად შობილი,
 ფოლადაურის გეარისა.“

გაბედული თანმიმდევრობით და გულწრფელობით უკუაგლო პოეტმა გ. ქუჩიშვილმა ე.წ. „დემოკრატიული პოეზიის“ ყოფილი სკოლის ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული ტრადიციები და თავისი მკვეთრი პოეტური ხმით უმღერის განათლებულ საქართველოს სინამდვილეს. იგი ერთგულად აგრძელებს ქართული კლასიკური რეალისტური ლირიკის ხაზს და ინარჩუნებს პოპულიარობას მასებში. მისი ლექსი ზოგჯერ მშრალად პუბლიცისტურია, მაგრამ მას ყოველთვის თან ახლავს რაღაც თავისებური შინაგანი პათოსი და რომანტიული ფერმენტი, რომელიც ზე-

მოქმედებითს ძალას მატებს ქუჩისშვილის ყოველ ლექსს. მისი პოეტური ფორმა სისადავით განირჩევა. მისი ლექსის თავისებურება **ქვემოთაა** წოდებითი ტონით განისაზღვრება.

ქართული პროლეტარული პოეზიის ერთ-ერთი პიონერთაგანი, ს ა ნ დ რ ო ე უ ლ ი, რომელიც სუსხიანი რეაქციის გარემოცვაში შეუერთდა თავისი მხატვრული სიტყვით მუშათა კლასის მებრძოლ ავანგარდს, ენერგიულად განაგრძობს ბრძოლას ქართული საბჭოთა პოეზიის ფრონტზე. მისი უკანასკნელი პერიოდის ლექსები გვიჩვენებენ, რომ პოეტი ისწრაფვის დასძლიოს კოსმიზმისა და სქემეტიზმის ის ტრადიცია, რომელიც ერთ დროს დამახასიათებელი იყო პროლეტარული პოეზიის პირველი თაობისათვის საქართველოში.

ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ლექსები „სომხეთის პოეტებს“, „მამა დელეგატი“, „ეარსკვლავები კრემლზე“, „დედის ნახვა“, „ქალადიდი“ და სხვა. ამ ლექსებში პოეტმა დასძლია განყენებული მხატვრობის ტრადიცია და დახატა ცხოვრების კონკრეტულ მოვლენათა პოეტური სურათები.

ს. ეული იდიდი ნაყოფიერებით მუშაობს პოეზიის დარგში. იგი მტკიცე იდეურ საფუძველზე აშენებს ლექსს. მთელ რიგ პოემებში იგი მოგვითხრობს ჩვენი ხალხის გმირული რევოლუციური წარსულის შესახებ, ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით წარმოებულ ბრძოლების შესახებ.

ქართული პროლეტარული პოეზიის მებრძოლი ტრადიციების შემქმნელ პირველ თაობას ეკუთვნის პოეტი პ ე ტ რ ე ს ა მ ს ო ნ ი ძ ე ც. უკანასკნელი წლების პოეტურ შემოქმედებაში იგი უდავოდ გამოსჩინა, როგორც ქართული თანამედროვე ლირიკის ერთერთი აქტიური და საყურადღებო ძალა. მისი ლექსი მკითხველს იპყრობს ემოციური უშუალოებით და გულწრფელი ლირიზმით. მისი პოეზია ჯანსაღი სოციალური ოპტიმიზმით არის შთაგონებული. მას უეჭველად აქვს საკუთარი პოეტური ხმა და თემის გახსნის თავისებური მანერა, თუმცა ზოგჯერ იგი დაუდევრობას იჩენს პოეტური მეტყველების ელემენტალური და აუცილებელი კანონების მიმართ.

ყოფილი ბურჟუაზიულ-დეკადენტური სკოლის „ცისფერი ყანწების“ ზოგიერთი მონაწილე პოეტი უკანასკნელი წლების განმავლობაში თანმიმდევრულად იბრძვის სიმბოლისტურ-ბოჰემური ტრადიციების აღმოფხვრისათვის და აქტიურად მონაწილეობს ახალი სოციალისტური პოეზიის გამტკიცების საქმეში.

მეგალითად, პოეტი ვ ა ლ ე რ ი ა ნ ვ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, რომელიც ქართულ პოეზიაში ყველაზე ონტოდოქსიალურ სიმბოლისტად ითვლებოდა და ერთ დროს თითქმის მთლიანად გადახიზნული იყო ფანტომებისა და ორეულების სამყაროში, უკანასკნელი პერიოდის თავისი პოეტური შემოქმედებით უფრო და უფრო ეუფლება არა მარტო რეალურ თემატიკას, არამედ პოეტური მეტყველების რეალისტურ საშუალებებსაც.

მისი ლექსები „ჩემო ქვეყანავ“, „ოქტომბრის სტრიქონები“, „ოცნება ბელადზე“ და სხვა-რევოლუციური ეპოქის ქართული პატრიარქალური შედიან და აშკარად მოწმობენ, რომ პოეტის შემდგომი ევოლუციონარული ამ ხაზით მიემართება.

ვალერიან გაფრინდაშვილი ყოველთვის ორიგინალური კუთხით ხედავს და აწუქებს საგნებს. იგი თავისებური და ინტიმური კავშირით მიდის თემასთან და ძლიერი ფანტაზიით ჰქმნის სრულიად მოულოდნელ მაგრამ ღრმად დამაჯერებელ სახეებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსები „ზღვა“, „ქვიშხეთის ქარი“ და სხვა.

პოეტების ამავე ფორმაციას ეკუთვნის გ. ლეონიძე, მაგრამ მის პოეზიას თავისებური ტემბრი და კოლორიტი აქვს. იგი ფართოდ ამდიდრებს თავის შემოქმედებას ხალხური ზეპირსიტყვაობის ტრადიციებით. იგი მძაფრად გრძნობს ქართული სიტყვის სპეციფიკას და დიდი შინაგანი ამღერებით სჭედავს სოციალური აზრით შთაგონებულ ლექსებს. მისი შემოქმედებითი ევოლუცია მიემართება ხალხური ზეპირსიტყვაობის ფორმათა იმიტაციის და თემატიური მასალის სტილიზაციის საშიშროებათა თანმიმდევრული დაძლევის გზით.

უკანასკნელ დრომდე მის პოეტურ ბუნებაში პარალელურად ვითარდებოდა და თითქოს ერთმანეთს ებრძოდა ორი გეზი: ერთის მხრივ, ევზოტიური სტილიზაციისა და უსაგნო ამღერების გზა, ხოლო მეორეს მხრივ ბრძოლა ჩვენი დროის დიდი იდეებით შთაგონებული ლექსისათვის. პირველ შემთხვევაში იდეურ უმწიობას თან ახლდა მდარე პოეტური ფორმაც მაგალითად: „ტფილისის განთიადები“, ხოლო ჩვენი თანამედროვეობის იდეებით შთაგონებული, აქტუალურ თემებზე გაშლილი მისი ლექსები ყოველთვის უეჭველი პოეტური პოტენციის და ფორმის მონოლიტობით ხასიათდებიან.

გ. ლეონიძის პოეტური ევოლუციის უმაღლეს საფეხურს განსაზღვრავს მისი ახალი პოემა, რომელიც მიძღვნილია ხალხთა დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინისადმი: „ჯერჯერობით ამ ფართოდ მოფიქრებული პოეტური ნაწარმოების მხოლოდ რამდენიმე თავს ვიცნობთ. მაგრამ პოემის უკვე გამოქვეყნებული ნაწილი გვიჩვენებს, რომ პოეტი დიდი შემოქმედებითი აღფრთოვანებით და პასუხისმგებლობით მუშაობს ამ უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო შემოქმედებითი განზრახვის განხორციელებისათვის. გ. ლეონიძე ღრმად განიცდის და დიდის ფერადოვნებით ხატავს ბუნებისა და ყოფის იმ სპეციფიურ გარემოცვას, რომელშიც გაატარა ყრმობისა და ბავშვობის ხანა ხალხთა გენიალურმა ბელადმა დიდმა სტალინმა.“

რაჟღერნ გვეტაძე უნაზესი გრძნობებით დახატული ლირიკული პეიზაჟების გვირდით ჰქმნის ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულისა და აგრეთვე თანამედროვე საბჭოთა სინამდვილის მასალაზე აგებულ პოე-

ტური ებოსის ნიმუშებს. ასეთია მისი „მერკვილადის დებე“ და სხვა.

უკანასკნელ წლებში კვლავ აქტიურ ძალად გვევლინება კოლაუ ნადირაძე. მისი ლექსი ღრმად ემოციურია და უმუქველის პოეტური ხელოვნებით შესრულებული. მაგრამ მის პოეზიას აკლია სოციალური სიმახვილე, საზოგადოებრივი აქტუალობა. ამ მხრივ უფრო გაბედულად და თანამიმდევრულად ისწრაფვიან ჩვენი დიადი სინამდვილის თემები-საკენ ამავე ფორმაციის პოეტები შ. აფხაიძე და ი. ყიფიანი.

ქართული საბჭოთა პოეზიის მთელ მრავალფეროვნებაში მკაფიოთ გამოირჩევა პოეტ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი პოზიცია. იგი პროლეტარულ რევოლუციის გარემოცვაში აღზრდილი პოეტია. მან განვლო ლიტერატურული მოღვაწეობისა და პოეტური მეტყველების ახალ ფორმებზე ლაბორატორული მუშაობის რთული გზა „ლევფორ“-ფორმალისტური ტრადიციებიდან საბჭოთა პოეზიის იდეური პოზიციებისაკენ. თავის უკანასკნელი წლების საუკეთესო ლექსებში პოეტმა დასძლია სახეთა ბუნდოვანების საფრთხე და პოეტურ ფორმათა სიმძიმე.

იგი მძაფრი ლირიკული აზრის პოეტია. ს. ჩიქოვანი ფხიზელი და გამჭრიახი თვალთ შედის ჩვენი სინამდვილის მოვლენათა არეში და იდეური მიზანშისწრაფების კარნახით ხატავს ცხოველ სახეებს, რომელთა მეშვეობითაც ღრმად განგვაცდევინებს ქართული ბუნების ფერადოვნებას, ახალი ადამიანის მებრძოლ სულისკვეთებას, ძველი და ახალი ყოფის მძაფრ კოლიზიებს. იგი კონკრეტული სახეობრივი ნაბატის ნიადაგზე აშენებს ლექსს, მისი პოეტური საღებავი ყოველთვის საღია და ღრმად თავისებური.

ს. ჩიქოვანის პოეზიაში ბუნების მხატვრობა ყოველთვის შთაგონებულა ჩვენი დროის სოციალისტური პრობლემატიკით, თანამედროვეობა დიადი იდეებით.

თუ მის ლექსებში „შემოღამება ხახმატში“ და „უშგულის კომკავშირი“ მთის ბუნების რელიეფურად გამოკვეთილი პეიზაჟის ფონზე მკაფიოდ გამოსჩანს მთის ხალხის განახლებული ცხოვრების სინამდვილე, მისი „სამეგრელოში შთაგონებული საღამოები“ და კოლხიდისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი თანაბარის ძალით გვაგრძნობინებს კოლხეთის ველის ბუნების სპეციფიკას და ამ მიდამოებში გაშლილ გმირულ ბრძოლას, აყვავებული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას.

ლექსში „გორის ციხე“ პოეტი ხატავს ქართლის ბუნების ფართო პანორამას, მას რთული ისტორიული ანალოგიების არეში შევყავართ. მაგრამ ყოველივე ეს დაქვემდებარებულია დიდი სოციალური აზრის თემცველი შემოქმედებითი განზრახვისადმი — გვაგრძნობინოს და განგვაცდევინოს, თუ:



„როგორ გაუჩნდა ღარიბ კერიას
 ბავში ბრძენი და არწივის გვარი,
 როგორ უმღერდნენ ბავშვის გენიას
 ხელოსნები და მუხრანის ქარი,
 როგორ შეირგო დედის ძუძუთი
 ქართლის სიტკბო და წაიღო თითქო,—
 გორის ციხე და მტკვრის დუღენი
 და რუსთაველის სტრიქონის სითბო.
 როგორ შეიგრძნო გულივით ახლო
 ხალხში მცხოვრები ცეცხლი ფარული,
 დასძრა ტფილისი, ბათომი, ბაქო
 და ჩრდილოეთის ყინვის ყლარენი.
 როგორ იხილა გორიდან კრემლი,
 ემშო მარადის რუსულ გენიას
 და განუმარტა ველების ცრემლი
 გორში დანთებულ ღარიბ კერიას“.

საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზიის ერთ-ერთ მოწინავე ძალას წარმოადგენს პოეტი ალიო მაშაშვილი. იგი ღრმა ტემპერამენტის და მძაფრი ექსპრესიის პოეტია. მისი ლექსი ნამდვილი საბრძოლო მოწოდებაა, რომელიც მთლიანად გამსჭვალულია რევოლუციის ქარიშხალში ნაწრთობი პროლეტარული ახალგაზრდობის შემოქმედებითი პათოსით და ენტუზიაზმით. იგი თანაბარი ძალით ხატავს სამოქალაქო ომების მგზნებარე ეპიზოდებს თუ სოციალისტური ინდუსტრიის დაზვებთან გაშლილ გამირული შრომის სურათებს. ალიო მაშაშვილი ქართული პროლეტარული ლირიკის საუკეთესო ტრადიციების ერთ-ერთი შემომქმედი.

მის პოეზიაში შეაფიოდ არის გამოხატული ის საუკეთესო პოეტურა ლირსებები, რომლებიც შემოიტანა და დაამკვიდრა თანამედროვე ქართულ მწერლობაში პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში აღზრდილმა, მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსულმა პოეტურმა თაობამ.

უალრესის გულწრფელობით და შთაგონებით უმღერის იგი ჩვენი განახლებული და აღორძინებული სამშობლოს დიდებას:

„ჩემო სამშობლო, დღეს შენი ერი
 განახლებული ქართლის ერია,
 ასე ხშიერად და ბედნიერად
 შენ არასოდეს არ ვიმღერია,
 აღისფერია შენი მიდამო,
 ეგ შენი დროშაც აღისფერია,
 შენი სიციცხლე არის სტალინი,
 შენი მარჯვენა არის ბერი“.

აღიო მაშაშვილის პოეზიის ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ჩვენი სამშობლოს ურყევი ძღვევითსილების დიადი რწმენით: **ეპიკურული გინგლინიუსა**

„როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა —
 პატარა, მაგრამ მარჯვე წელისა,
 რომელმაც შობა გმირი სტალინი,
 დამამზობელი ქვეყნად ბნელისა,
 როგორ დაქცნება მთების მშვენება
 ან სურნელება მინდორ-ველისა,
 როგორ იქნება ჩაუქრობელი,
 ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?“

აღიო მაშაშვილის ახალი პოემა „ენგური“ თანამედროვე ქართული პოეზიის უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. იგი ამკვიდრებს ჩვენს პოეზიაში თანამედროვეობის სოციალური პროცესების ამსახველი, ჩვენი დროის გმირი ადამიანის გამომხატველი პოეტური ეპოსის ტრადიციას. ამ პოემაში ორგანიულად შეთავსებულია პოეტური მომთხრობელობისა და პოეტური აღწერილობის ელემენტები, რათა სიუჟეტურ მაგისტრალზე დამყარებული პოეტური სურათებით გამოხატოს სოციალისტური სოციალისტური მშენებლობისა და ყოფაცხოვრების ტიპური ეპიზოდები, გამოკვეთოს სოციალისტური ეპოქის გმირის, ახალი ადამიანის სახე, მისი მებრძოლი და შემოქმედებითი გაქანება, მისი ხასიათის სპეციფიკა.

პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში აღზრდილი პოეტური თაობის მეორე თეალსაჩინო შემოქმედებითი ძალა კარლო კალაძე უფრო პოეტური მეტყველების ორიგინალური ფორმებით გატაცებული პოეტია. მას უფრო სიუჟეტური კომპოზიცია და ეპიური ფორმები ემარჯვება. იგი უფრო ბუნების მხატვარია. მის ლექსს ნაკლებად ახასიათებს ემოცია და გრძნობის სიმძაფრე, თუ მისი პოეტური ნიჭიერება და პოტენცია უდავოა, სამაგიეროდ მისი შემოქმედებითი პოზიცია უთუოდ შეიცავს ისეთ თვისებებს, რომლებიც ხელს უშლიან მის ლექსს მივიდეს ფართო მასების აზრთან და გრძნობასთან. იგი ხელოვნურად ართულებს პოეტური ხედვისა და ხატვის აპარატურას, აბუნდოვნებს აზრს, ზოგჯერ ეპიურულად ხატავს ყოფისა თუ ბუნების სურათებს. მის პოეზიაში იშვიათი არაა იდეური გაურკვევლობისა და სოციალური ინდიფერენტისმის შემთხვევები.

შინაგანი აღზნებით და მღელვარებით არის გამსჭვალული ჩვენი ახალგაზრდა პოეტური თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ირაკლი აბაშიძის ლექსები, მაშინაც კი, როცა მისი ლექსი გარეგნულად სიუჟეტური თხრობის პრინციპზეა აშენებული. მას აქვს

მთავარ საგანს შეადგენს სამოქალაქო ბრძოლების ეპოპეიკა-
შობლოს თავდაცვითი ძლიერება, თუმცა ამით როდი განსაზღვრება
მისი პოეზიის თემატიური არე.

უფრო და უფრო მკაფიო პოეტურ ინდივიდუალობად ყალიბდება თანამედროვე ქართული ლექსის ერთ-ერთი მოწინავე ოსტატი ილო მონაშვილი. იგი თავისი ლიტერატურული ბიოგრაფიით ეკუთვნის პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში აღზრდილი პოეტების პლეადას, თუმცა მისი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები დიდად იყო დაშორებული საბჭოთა მწერლობის იდეურ-თემატიურ გეზს. შემთხვევითი როდი იყო ის გარემოება, რომ იგი ერთ დროს აშკარად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ლიტერატურულ გავრთიანებას „არიფიონს“ მიეკედლა. შემდეგ მონაშვილი პოეზია განწყნებული პეიზაჟისა და უსაგნო ესთეტიზმის ტენდენციით ვითარდებოდა. უკანასკნელ წლებში მან გაბედულად უკუაგლო ასეთი შემოქმედებითი პოზიცია და ნამდვილი პოეტური აღფრთოვანებით ამუშავებს ჩვენი თანამედროვეობის აქტუალურ თეზებსა და პრობლემებს.

იგი თანაბარის ძალით ხატავს უკრაინის საკოლმეურნეო მინდვრების გმირის თუ განახლებული ქართული სოფლის მშენებელთა პორტრეტებს, ბელორუსიის პეიზაჟებს თუ ახალი კოლხეთისათვის ბრძოლის კოლორატულ სურათებს. მის პოეზიაში გარკვევით გაისმის ჩვენი გმირული ეპოქის პულსი, იგრძნობა ჩვენი დიდი თანამედროვეობის პათოსი.

ეხლა მოსაშვილის მთავარ შემოქმედებითს საშიშროებას პოეტურის საღებავის და რიტმის ერთფეროვნება წარმოადგენს.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში არსებული სხვადასხვა გვარი შემოქმედებითი პოზიციების გამომსატველ პოეტთა შორის უნდა აღინიშნოს აგრეთვე კონსტ. ჭიჭინაძე. იგი ლექსის კარგი ოსტატია, იგი რთული პოეტური სახეების პრინციპზე აშენებს ლექსს. მას თითქოს განზრახ გადააქვს თავისი პოეტური ხედვა დრულ-სივრცული ლოკალის გარეშე. მას უფრო გეოლოგიური და ბიოლოგიური კატეგორიები იზიდავენ, უფრო აბსტრაქტულ-ფილოსოფიური თემები იტაცებენ, ვიდრე ჩვენი დროის დიდი სოციალური ძვრები და მღელვარე პრობლემები.

აქი მისი საუკეთესო ლექსი „რიონის აპოლოგია“ ასახავს ბუნების სტიქიას და ხატავს სოციალურ გარემოცვას სრულიად გამოთიშულს და რაიმე კონკრეტული საზოგადოებრივი იდეებისაგან განტვირთულ სურათებს, რომლებიც თავისთავად უმკველის ხელოვნებით არიან შესრულებულნი. ასეთი შემოქმედებითი კონცეპტია დაკავშირებულია იდეურ ბუნდოვანებასა და ცივ, უსულგულო პოეტურ საღებავებთან მის შემოქმედებაში.

კ. ჭიჭინაძის, როგორც საბჭოთა პოეტის შემდგომი ზრდა სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს იგი გადალახოს ასეთი



ტრადიცია და თავისი ლექსი ჩვენი სოციალისტური სინამდვილის თემ-
ბითა და იდეებით აასულდგმულს.

ქართული საბჭოთა პოეზიის აქტიურ შემოქმედებითი ძალის წარმო-
ადგენენ აგრეთვე კ. ლორთქიფანიძე, ი. ლისაშვილი, დ. გაჩეჩილაძე, ალ. ქუთათელი, ვ. გორგაძე, ვ. გაბესკირია, გ. ცეხლაძე, ვ. ეურული, პოეტი ქალი მარიჯანი, ი. ვაკელი, ხ. ვარდოშვილი, ს. თავაძე.

ჩვენ თავს შევიკავებთ მათი ინდივიდუალური დახასიათებისაგან, არა იმიტომ, თითქოს ამ პოეტების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ქარ-
თულ პოეზიაში უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე იმ პოეტებისა, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. დასახელებული პოეტები უკვე დი-
დი ხანია სარგებლობენ ლიტერატურული კრიტიკისა და მკითხველი მა-
ისის დამსახურებული ყურადღებით.

მაგრამ—რამდენიმე თანამედროვე ქართველი პოეტის ესკიზური პორ-
ტრეტებიც, რომელთა მოხაზვაც ჩვენ აქ ვცადეთ, საკმაოდ ასაბუთებენ
აზრს იმ მრავალფეროვნებისა და მრავალხმოვანების შესახებ, რომელიც
დამახასიათებელია თანამედროვე ქართველი პოეტური კულტურისათვის,
რომელიც გვიჩვენებს ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების ძირი-
თად ტენდენციებს.

ქართული საბჭოთა პოეზიის ფრონტს ემატებიან ახალგაზრდა პოეტუ-
რი ძალები. ჩვენი პოეტური ახალგაზრდობის შემოქმედებითი ზრდის
მჭკრმეტყველურ საბუთს წარმოადგენენ გრ. აბაშიძის, მარიკა
მიქელაძის, ამისულიაშვილის, უბილაგას, კა-
ლანდაძის, ვალ. ისიანის მთელი რიგი ლექსები. ზოგიერ-
თი მათგანი უდაო პოეტურ ღირებულებას წარმოადგენს და სარგებლობს
კიდევ მკითხველი საზოგადოების ყურადღებით.

ჩვენი მიმოხილვა აღნუსხავს ქართული საბჭოთა პოეზიის მხოლოდ
ძირითად და დამახასიათებელ მონაპოვარს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა,
ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს თანამედროვე ქართული პოეზია
თავისუფალი იყო მუშათა კლასისათვის უცხო და მიუღებელი იდეებზე
ნაშთებისაგან, ბურჟუაზიულ-ლიტერატურული სკოლების ისეთი რეცე-
დივებისაგან, როგორიცაა სინამდვილესთან ემპირიულ-ზედაპირული მიდ-
გომის, თვითმიზნური ესთეტიზმის, განყენებული პეიზაჟების, ცივი და
უსულგულო საღებავების შემთხვევები. ქართული საბჭოთა პოეზიის
პრაქტიკაში იშვიათი არ არის მდარე პოეტური ფორმების, მხატვრული
მეტყველების ხარისხისადმი დაუდევრობის ფაქტები.

ქართული საბჭოთა პოეზიის ერთერთ ძირითად ნაკლს წარმოადგენს
მასში მონუმენტალური პოეტური ფორმების—ეპიური ეპარის სისუს-
ტე. თანამედროვე ქართულმა პოეზიამ ვერ მოგვცა პოეტური ეპოსის იმ



დიდი ტრადიციის განვითარება, რომელიც დამახასიათებელია ქართული კლასიკური პოეზისათვის.

მთლიანად ქართულ საბჭოთა პოეზიაში სათანადო სიღრმით და ძალით ვერ გამოიხატა ის გვიანტური ძვრები, რომელთა შეოხებითაც საქართველოს ორდენოსანი რესპუბლიკა ჩვენი დიდი სამშობლოს მოწინავე რესპუბლიკების პირველ რიგში ჩადგა.

ქართული საბჭოთა პოეზიის საერთო მდგომარეობას სავესებით ზუსტად ახასიათებს ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიერ საქართველოს ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში გამოთქმული აზრი:

„მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ჩვენს გმირულ საბჭოთა სინამდვილეს ჯერ კიდევ არ უპოვნია მასში ღირსეული მხატვრული სრულფასოვანი ასახვა“.

ქართული საბჭოთა პოეზიის მთელი შემოქმედებითი კოლექტივის წინაშე ჯერ კიდევ მთელის სიმწვავეით სდგას სისადავისა და ხალხურობისათვის ბრძოლის პირველხარისხოვანი ამოცანა.

ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის პოეტური სიტყვის ოსტატების დიდ არმიასთან ერთად ქართველი საბჭოთა პოეტები თანმიმდევრულად იბრძვიან ამ ამოცანების წარმატებული განხორციელებისათვის დიადი, სტალინური ეპოქის შესაფერი პოეტური კულტურის მშენებლობისათვის.



ლევან ასათიანი

ქართული საბჭოთა კროზა

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძნულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ქართველ ხალხს შეუქმნა ყველა პირობები ფართო კულტურული აღორძინებისათვის. ქართულმა ხელოვნებამ და მწერლობამ უდიდესი განვითარება და აყვავება ნახა საბჭოთა წყობილების არსებობის მანძილზე. განსაკუთრებულად ეს უნდა ითქვას უკანასკნელი 5 წლის პერიოდზე, როდესაც ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ ერთერთი პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა მოწინავე მოძვე ლიტერატურათა რიგში.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ინიციატივით მიღებულმა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ ლიტერატურულ-მხატვრულ ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ. ამ ისტორიულმა დადგენილებამ ხელი შეუწყო ქართული საბჭოთა ლიტერატურის უფრო მძლავრ განვითარებას და წინმსვლელობას, მის ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლას.

ამ დადგენილებამ ბოლო მოუღო „რაპის“ ტროცკისტულ-ავერბახულ ნაბოლარების კონტრრევოლუციურ, დამარღვეველ „მოღვაწეობას“ ლიტერატურის დარგში, და მათი მავნებლური საქმიანობის წყალობით ხელოვნურად მიჩქმალული და შეზღუდული საუკეთესო სამწერლო ძალები გამოიყვანა ფართო შემოქმედებითს ასპარეზზე, შთაუნერგა მათ უდიდესი სტიმული ჩვენი დიადი სოციალისტური სინამდვილის მხატვრულად ასახვისათვის, მუშათა კლასის მსოფლ-მხედველობით გასხივოსნებული ახალი ნაწარმოებების შექმნისათვის.

ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა უკანასკნელი წლების მანძილზე მოგვცეს მთელი რიგი მაღალი იდეურ-მხატვრული ღირებულების მჭონე ნაწარმოებები, რომლებიც დარჩებიან საბჭოთა ეპოქის ლიტერატურის ოქროს ფონდში, როგორც ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლისა, შემოქმედებისა და ახალი ბედნიერი ცხოვრების ამსახველი მხატვრული დოკუმენტები.

განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას თანამედროვე ქართულ საბჭოთა პროზაზე. სრულიად თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ საბჭოთა პე-

რიოდი ქართული პროზის ისტორიაში წარმოადგენს მისი მრავალფეროვან ეპოქებზე გამოვლენის იდეურად ზრდისა და განვითარების პერიოდს.

რა შედარებაა ამ შემთხვევაში რევოლუციის წინა წლებში მწიგნობრული ბატონობის პერიოდის ქართული პროზის მდგომარეობასთან! ამ დროს იგი დეგრადაციის გზაზე იყო შემდგარი. ზოგიერთი, ძალიან მცირე ნიმუშების გამოკლებით, ამ პერიოდის ქართული პროზა მოკლებული იყო ფართო სოციალურ შინაარსს და პროგრესიულ იდეურ მიზანდასახულობას: იგი გაფლენილი იყო მისტიური, ნაციონალისტური განწყობილებებით, დეკადენტური დაცემულობის სულისკვეთებით. ლატაკი იდეური შინაარსი ქართული პროზისა ამ ხანებში განაპირობებდა მის ფორმასა და ენობრივ სახეობასაც: მეფის რეჟიმისა და მენშევიკური ბატონობის ხანის ქართული პროზისათვის დამახასიათებელი იყო „მცირე“ ფორმები — ესკიზები, მინიატურები, ეროტიული შინაარსის ნოველები, ზღაპრები და სხვ. მენშევიკურ პერიოდში განსაკუთრებით აქტივიზირებული დეკადენტების „ცისფერ-ყანწულების“ ჯგუფმა წამოაყენა ფორმულა „მარტო სათაურებისა“ პროზაში, რაც მათის აზრით ნიშნავდა მხატვრულ ნაწარმოებში სიტყვიერი მასალის ისეთს „დაწურვასა და ეკონომიას, რომ დიდი ტომების მაგივრად დაწერილიყო მხოლოდ სათაური, სადაც ყველაფერი ნათქვამი იქნებოდა“. ცხადია, ასეთი უბადრუკი „თეორიის“ წამოყენება წარმოადგენდა მწერლობის სრულს პროფანაციას, ხალხის ცხოვრებაში ლიტერატურის როლისა და ამოცანების, მისი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის სრულ შეუფასებლობას.*) აი, სადამდე იქნა დაქვეითებული დიდი ტრადიციები ქართული პროზისა, რომელმაც მე-5 საუკუნეიდან მოკიდებული თავის ისტორიულ განვითარებაში შექმნა მთელი რიგი შედეგებისა და მოგვცა ისეთი ოსტატები, როგორც იყენენ მერჩული და საბა-სულხან ორბელიანი ძველ მწერლობაში და ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ე. გ. ნინოშვილი და სხვები მე-19 საუკუნეში.

მხოლოდ საბჭოთა პერიოდის პროზამ, ისე როგორც საერთოდ მწერლობამ, აღადგინა შესანიშნავი ლიტერატურული ტრადიციები დიდი ქართველი კლასიკოსებისა. რუსეთის რევოლუციონური დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე აღზრდილი ილია ქავჭავაძე, როგორც ვიცი, მწერლობისაგან მოითხოვდა ხალხის ცხოვრების ასახვას, მის საკეთილდღეოდ სამსახურს: „დაე, ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავისი ხალხის ცხოვ-

*) აღსანიშნავია, რომ ამ „თეორიის“ რეალიზაცია მოგვცეს ქართველმა ფილტურისტებმა თავის პირველ პერიოდის მუშაობაში, ეტრნალ $H_2 S_2$ -ში წარმოდგენალ „პროზის“ ნიმუშებში.

რებასა... ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვსო, — სწერდა ი. ჯავახიანი 1863 წელს, — ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარწმუნოებრივობა გარდმოიციეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავეს უსტრუქსის ცხსკტად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ“.

საბჭოთა პერიოდის მწერლობამ შესძლო ქართული პროზის განვითარებაში არსებული ხარვეზის ამოკლება და კავშირის აღდგენა დიდი ქართველი რეალისტი მწერლების მხატვრულ ტრადიციებთან. იგი შეიქმნა გამომხატველი ჩვენი ხალხის დღევანდელი ბედნიერი ცხოვრებისა და გმირული რევოლუციური ბრძოლისა წარსულში.



თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზა არ წარმოადგენს მარტო რევოლუციონურ ეპოქაში აღზრდილი ლიტერატურული თაობების შემოქმედებას.

კონტრრევოლუციური კლასების განადგურებამ, მათი სოციალური პერსპექტივების დამსხვრევამ და იდეურმა ვანიარაღებამ, სოციალიზმის ძლევა-მოსილმა წინსვლამ, საბჭოთა საქართველოს მდიდარმა და მრავალფეროვანმა სინამდვილემ ძველი ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული იდეური პოზიციებიდან დასძრა და მუშათა კლასის მსოფლ-მხედველობას დაუახლოვა, მის ისტორიულ მიზნებსა და ამოცანებს დაუკავშირა რევოლუციის წინაღობინდელი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც ამაჟამად საბჭოთა მწერლობის მოწინავე რიგებში დგანან. ამავე დროს რევოლუციის პერიოდში აღიზარდა მთელი თაობა ახალგაზრდა მწერლებისა, რომლებმაც თანდათანობით და თანმიმდევრულად შესძლეს მუშათა კლასის მსოფლ-მხედველობის დაუფლება და სოციალიზმისათვის მებრძოლ ლიტერატურის ავანგარდში დადგომა.

ეს სხვადასხვა თაობისა და განსხვავებული იდეური პოზიციებიდან მოსული მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო ძალები დღეს შეადგენენ საერთო მიზნებით გამსჭვალულ, მუშათა კლასის დროშის ქვეშ მებრძოლ ქართულ საბჭოთა მწერლობის კოლექტივს, რომელიც აქტიურად არის ჩამოყალიბებული სოციალისტურ მშენებლობაში და ეწევა გულმოდგინე შემოქმედებითს მუშაობას დიდი სოციალისტური ლიტერატურის შექმნისათვის.



რევოლუციის წინაღობინდელი მხატვრული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა რიცხვს საბჭოთა მწერლობაში ეკუთვნის შალვა და დიანი. რევოლუციამდე იგი ცნობილი იყო მხოლოდ როგორც დრამატურგი და აგრეთვე ავტორი მინიატურებისა და წვრილი ნოველე-

ბისა. მისმა ფართო შემოქმედებითმა შესაძლებლობამ მხოლოდ საბჭოთა პერიოდში იჩინა თავი. მის კალამს ეკუთვნის დიდი ისტორიული რომანი „უბედური რუსი“, სადაც ასახულია მე-12 საუკუნის მსოფლიო ისტორია, თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქა. ამ რომანში ავტორმა გვიჩვენა თავისი შესანიშნავი ოსტატობა ისტორიული ყოფის, მოვლენების და სახეების მკვეთრ მხატვრულ ფორმებში ჩამოყალიბებისა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პირველ დიდ პროზაულ ნაწარმოებში ჯერ კიდევ ჩანდა ავტორის ძველი მსოფლ-მხედველობითი ტენდენციები, რაც გამოიხატა საქართველოს ფეოდალური წარსულის და ისტორიულ პირების ქარბად შეფერილ, რომანტიზირებულ ასახვაში; სამაგიეროდ შ. დადიანმა თავის უკანასკნელ ისტორიულ რომანში „ურდუმში“ გვიჩვენა გარკვეული ცდა თანამედროვე იდეური თვალსაზრისით წარსულ ისტორიული მოვლენების შეფასებისა. რომანი „ურდუმში“ უწინარეს ყოვლისა საინტერესოა თავისი თემატიკით, — მის შინაარსს შეადგენს სამეგრელოს გლეხთა რევოლუციონური ბრძოლა გასული საუკუნის ნახევარში. წიგნი დაწერილია ავტორისათვის ჩვეული ოსტატობით და საუცხოვო ქართული ენით.

უნდა აღინიშნოს შ. დადიანის მეშაობა, როგორც დრამატურგისა. შ. დადიანი ავტორია 32 პიესის — მათ შორის აღსანიშნავია „გუმინდელი“, „გეგეჭკორი“ და სხვ., სადაც მოცემულია საქართველოს წარსული ცხოვრება. უკანასკნელ ხანებში შ. დადიანმა დასწერა პიესა „ნაპერწყლიდან“, სადაც ასახულია გარკვეული პერიოდი საქართველოს ბოლშევიზმის ისტორიიდან, დიდი სტალინის ბრძოლა პირველი ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და მეშათა კლასის დარაზმვის საქმეში.

რევოლუციის წინაპროინდელ ოსტატთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი ბელეტრისტი ლეო ქიაჩელი. ჯერ კიდევ რეაქციის წლებში დაწერილი მისი ცნობილი რომანი 1905 წლის რევოლუციის თემატიკაზე — „ტარიელ გოლუა“, დღესაც ერთერთ პოპულარულ წიგნს წარმოადგენს საქართველოში. ლეო ქიაჩელისავე კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ნოველებისა, დაწერილი მისი შემოქმედებითი მეშაობის ადრინდელ პერიოდში. ამ დროს იგი ჯერ კიდევ განიცდიდა ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ჭარბ გავლენას, რაც გამოიხატა მის დეკადენტურ გატაცებებში. ამ იდეურ გავლენათა შედეგს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ლეო ქიაჩელმა თავის რევოლუციურ თემატიკაზე დაწერილ რომან „სისხლში“ სათანადო რეალისტური სისწორით ვერ ასახა სოციალური პროცესები და რევოლუციის მამოძრავებელი ძალები. მეშათე კლასის მსოფლ-მხედველობის დაუფლებამ და რევოლუციონურ თანამედროვეობასთან დაახლოვებამ ლეო ქიაჩელს უკანასკნელ წლებში საშუალება მისცა შეექმნა მთელი რიგი იდეურად და მხატვრულად ღირსშესანიშნავი ნაწარმოებებისა, როგორც მაგალითად ნოველა „პაკი აბა“ („კრეისერი შმიდტი“) და სულ ბოლო დროს დაწერილი რომანი საქარ-

თველოს საკოლმეურნეო მოძრაობის თემაზე — „გვადი ბიჭვა“.
 ლეო ქიაჩელი თანამედროვე საბჭოთა პროზაში სამართლებრივ მნიშვნელობა
 ერთერთ საუკეთესო ოსტატად. როგორც მწერალს მან მსგავსებას
 თემატიკური აქტუალობა, მხატვრის მახვილი თვალი, რეალისტური მანერა
 წერისა, მძაფრი, მკვიდრად შეკრული სიუჟეტის აგება ნაწარმოებში.

რევოლუციის წინადროინდელ მწერლების შორის საჭიროა აღნიშნული
 იქნეს აგრეთვე არ. ქუ მ ბ ა ძ ე. — ავტორი მთელი რიგი მოთხრობებისა.
 საბჭოთა პერიოდში მან დასწერა რომანი „უნასთა ბუდე“, — საბჭოთა
 სოფლის ცხოვრების თემატიკაზე.

ქართულ პროზაიკოსთა ძველ კადრებს მიეკუთვნებიან მწერალი ქა-
 ლები ნ ი ბ ო ნ ა კ ა შ ი ძ ე და მ ა რ ი ა მ გ ა რ ი ყ უ ლ ი. ნ. ნ ა კ ა
 შ ი ძ ი ს კალამს ეკუთვნის მთელი რიგი მოთხრობებისა, სადაც ასახულია
 რევოლუციის წინა პერიოდის გურიის გლეხობის ყოფა-ცხოვრება („ვინ
 არის დამნაშავე“ და სხვ.). მის კალამსვე ეკუთვნის საბავშვო მოთხრობე-
 ბის მთელი ციკლი. ამ დარგში იგი ამკვამდაც განაგრძობს ენერგიულ
 შემოქმედებითს მუშაობას. მარიამ გარიყულს ეკუთვნის მთელი რიგი
 პროზაული ნაწარმოებებისა, დაწერილი რევოლუციამდე. საბჭოთა პე-
 რიოდში მან მოგვცა მოთხრობა ქალის განთავისუფლების შესახებ ძვე-
 ლი ოჯახური ტრადიციების საღტეებიდან. უკანასკნელ წელს მან დასწე-
 რა რომანი ქართველ ებრაელთა საკოლმეურნეო ცხოვრების თემატიკაზე.

თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზის ოსტატთა დიდი უმეტესო-
 ბა საბჭოთა ეპოქაში არიან გამოსულნი სამწერლო ასპარეზზე. მათი შე-
 მოქმედებითი ზრდაც მკიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის
 საერთო ზრდასთან და განვითარებასთან. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ
 თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობა არ წარმოადგენს იდეურ
 თვალსაზრისით ერთნაირ ღონეზე მდგომ შემოქმედთა კოლექტივს.

მძაფრი კლასობრივი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში, რევოლუციის მიერ
 განადგურებულ სოციალურ ფენების ნამსხვრევების არსებობა, — გარკვე-
 ულ იდეურ-მხატვრულ გამოვლენას ჰპოულობს ზოგირად საბჭოთა პრო-
 ზაიკოსის შემოქმედებით მუშაობაში. მათ ნაწარმოებებში ჯერ კიდევ
 საკმაოდ გამოჩანს რევოლუციის მიერ დამარცხებული კლასების სულის-
 კვეთება და განწყობილებები. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს
 ისეთი თვალსაჩინო ოსტატის შემოქმედება, როგორიც არის კონსტ. გამ-
 სახურდია.

ქ. ვ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, როგორც მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ძალა,
 ჩამოყალიბდა საბჭოთა პერიოდში, რევოლუციონურ წლების ისტორიულ
 ეპოქაში. მისი მსოფლმხედველობა, როგორც ეს მკვეთრად დაახასიათა
 ამხანაგმა ლ. პ. ბ ე რ ი ა მ თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრი-
 ლობაზე, — „განისაზღვრებოდა აშკარად გამოხატული ფაშისტური ელ-
 ფერის მებრძოლი ნაციონალიზმით“. მთელი რიგი წლების მანძილზე

კ. გამსახურდია თავის ნოველებში („ტაბუ“, „ჯამუ“, და სხვა) გამოხატავდა რეაქციული კლასების მსოფლ-მხედველობას, რასისტულ-შოვინისტურ შეხედულებებს. ამ რეაქციული იდეების სისტემა განსაკუთრებით ახილავდა იდეოლოგიით გამომჟღავნდა მის დიდ ნაწარმოებში „დი ოზონოს“ დიმილიში“.

უკანასკნელ წლებში კ. გამსახურდიამ სცადა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა ძველი იდეური პოზიციებიდან წინ, თანამედროვე ცხოვრებისაკენ. მან დასწერა რომანი თანამედროვე რევოლუციონური სინამდვილის თემაზე — „მთვარის მოტაცება“, ამ ნაწარმოებს შინაარსს შეადგენს ახალი სოციალური გარემოს ყალიბობის პროცესები ქართულ სოფელში. მაგრამ ძველი მსოფლ-მხედველობითი ტვირთის არსებობა ავტორის შეგნებაში ვახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ რომანმა „მთვარის მოტაცება“ მ ვერ მოგვცა რეალისტური სურათი ჩვენი რევოლუციონური სოფლის სინამდვილისა, ვერ დაგვიხატა უტყუარი სახე იმ ახალი ადამიანებისა, რომლებიც ჰქმნიან ახალ ცხოვრებას, ახალ ქვეყანას, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ამ რომანში ავტორმა უფრო მეტის დამაჯერებლობით გამოკვეთა სახეები ძველი ფეოდალური არისტოკრატის გამოფიტული და სისხლნაკლები, რეაქციულად მოაზროვნე ნარჩენებისა, ვიდრე ტიპები ჩვენი სოფლის კომკავშირელის, კოლმეურნის და საერთოდ ახალი ადამიანისა.

ყველა ამ მიზეზების გამო, ცხადია, რომანი საცემით ვერ უბასუხებს ავტორის მიერ დასაზულ ამოცანას, — იგი ვერ გვაძლევს ჩვენი სოციალისტურად გარდაქმნილი სოფლის სწორ, რეალისტურ სურათს. წმინდა იდეური ხასიათის ჩაეარდნების გარდა, რომანს, მიუხედავად მთელი რიგი მაღალ მხატვრული ოსტატობით შესრულებული ადგილებისა და ეპიზოდებისა, თან ახლავს მიუღებელი მხარეები: ასეთია, ზედმეტი გატაცება არქაული, მაღალ-ფარდოვანი სტილით, ხშირი ისტორიულ-ალწერილობითი ხასიათს გადახვევანი, რაც ძალიან ანელებს რომანის დინამიურ გაშლილობას.

გარდა ზემოაღმოთვლილი ნაწარმოებებისა კ. გამსახურდიას ეკუთვნის წიგნი საბჭოთა უკრაინაში მოგზაურობის შესახებ — „უკრაინის თემი დიდი“. ბიოგრაფიული ხასიათის წიგნი გოეთეზე — „გოეთეს ცხოვრების რომანი“ და მთელი რიგი ნოველებისა. კონსტ. გამსახურდიას, როგორც მწერლისა და მოქალაქის წინაშე, ამჟამად დასმულია სერიოზული და გადაუდებელი ამოცანა საბოლოო იდეური გარდაქმნისა. ამ მხრივ მისთვის მეტად საგულისხმო გაფრთხილებას წარმოადგენს ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვები: „თუ კ. გამსახურდიას სურს იყოს საბჭოთა მწერალი, იგი უნდა განათავისუფლდეს თავისი ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ნაციონალისტური იდეებისაგან და განწყობა“.

ბილეებისაგან, უფრო დაუახლოვდეს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს“.

სიმბოლისტ-დეკადენტთა „ცისფერი ყანწების“, ჯგუფის ^{განუყოფილნი} თავისი შემოქმედების აღრინდელ ეტაპზე სერგო კლდიაშვილი და რაჟდენ გვეტაძე. მათი შემოქმედების სათავეები ჯერ კიდევ რევოლუციის წინა პერიოდში უნდა ვეძებოთ. ორივენი განიცდიდნენ თვითმიზნურ ესტეტობისა და დეკადენტური განწყობილებების უდიდეს გავლენას, რაც მკვეთრად მკლავნდებოდა მათ შემოქმედებაშიაც.

რევოლუციონურ სინამდვილესთან მოახლოვებამ სერგო კლდიაშვილს საშუალება მისცა თანდათანობით განთავისუფლებულიყო სიმბოლისტური პოეტიკის გავლენებისაგან. უკვე საბჭოთა პერიოდში იგი სწერს თავის პირველ დიდ მოთხრობას „პროვინციის მთვარეს“, სადაც ავტორის შემოქმედებას საფუძვლად უდევს რეალისტური მეთოდი მხატვრული აზროვნებისა. ს. კლდიაშვილის შემდგომ ნაწარმოებებში, როგორც მაგალითად „სევანურ მოთხრობებში“ და განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის თემაზე დაწერილ მოთხრობაში „ფერფლში“, უკვე ვხედავთ სიმწიფეში შესულ ოსტატს. მართალია, ამ ნაწარმოებებში სერგო კლდიაშვილს ჯერ კიდევ არა აქვს სავსებით დაუფლებული მეთოდი სოციალისტური რეალიზმისა; მას კიდევ იტაცებს სევანეთის წარსულ ყოფისა და ადათების ეგზოტიკური ასახვა, მას კიდევ ახასიათებს იმპერიალისტური ომის პრობლემების პაციფისტური ტრაქტოვკა და სხვ., მაგრამ თავის შემოქმედების სულ უკანასკნელ ეტაპებზე იგი უკვე გაბედულად დგება მუშათა კლასის მსოფლ-მხედველობითს პოზიციებზე და იძლევა იდეურ-მხატვრული ღირებულების ნაწარმოებებს თანამედროვე თემებზე. აღსანიშნავია ს. კლდიაშვილის მუშაობა უკანასკნელ წლებში დრამატურგიის სფეროშიდაც. მის კალამს ეკუთვნის კომედია „შემოდგომის აზნაურები“ და განსაკუთრებით აქტუალურ თემაზე, — კოლხიდის მშენებლობის მასალებზე, — დაწერილი პიესა „გმირთა თაობა“.

ს. კლდიაშვილი ითვლება ნოველის ერთ საუკეთესო ოსტატად. მას ახასიათებს მკვეთრი, ლაპიდარული სტილი, ლაკონიური, სადა ენა და მკვედრად შეკრული სიუჟეტის აგება ნაწარმოებში.

რაჟდენ გვეტაძემ მხოლოდ საბჭოთა პერიოდში მოგვცა თავისი პროზაული ნაწარმოებები. მანამდე იგი ცნობილი იყო მხოლოდ როგორც პოეტი. მისი ლექსები, როგორც რევოლუციამდე, ისე საბჭოთა პერიოდის პირველ ეტაპებზე გამოხატავდნენ დაცემულობის განწყობილებით შეპყრობილი პოეტის სულისკვეთებას. საბჭოთა სინამდვილესთან მოახლოვებამ და აქტიურმა მონაწილეობამ სოციალისტურ მშენებლობაში უდიდესი გარდატეხა მოახდინეს მის შემოქმედებაში. რ. გვეტაძემ საბჭოთა პერიოდში დასწერა მთელი რიგი მოთხრობებისა სამოქალა-

ქო ომის და რევოლუციონური თანამედროვეობის თემატიკაზე: „ეკ“, „ქიაკოკონა“, „ლაშაური საღამოები“, „ბეჭდვითი სული მოთხრობები“ და სხვ., როგორც ბელეტრისტები: „ჩემი“ ძეს ახასიათებს მძაფრი რეალისტური ხედვა და მიმზიდველი სტილი თხრობისა. ამავე დროს იგი ჯერ კიდევ არ არის სავესებით დაზღვეული ძველი მსოფლ-მხედველობითი — მხატვრული შეგნების ცალკეული რეციდივებისაგან, რაც ჩანს მის უკანასკნელ ნაწარმოებში — „ლაშაური საღამოებში“.

საბჭოთა მწერლის იდეური ყალიბობისა და მხატვრული ევოლუციის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს დემნა შენგელაიას შემოქმედება. ადრინდელ ეტაპებზედ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობისა ეს ბელეტრისტიც განიცდიდა მისტიურ-დეკადენტურ და ექსპრესიონისტულ განწყობილებების ქარბ გავლენას. ასეთი განწყობილებებით იყო დაწერილი მაგალითად მისი პირველი რომანი „სანავარდო“. სოციალისტურ სინამდვილესთან მკიდრო დაკავშირებამ, აქტიურმა შემოქმედებითმა მუშაობამ, მუშათა კლასის იდეების შეთვისებამ დ. შენგელაიას საშუალება მისცა თავი დაეღწია ექსპრესიონისტულ და შემდეგ ფუტურისტულ გავლენებისაგან (იგი ერთი წვერთავანი იყო ფუტურისტების — „ლეფელების“ ჯგუფისა) და მოეცა სავესებით რეალისტური რომანი „ბათა ქეჭია“. ეს ნაწარმოები იშლება ისტორიულ ფონზე ბატონ-ყმობის გაუქმებიდან მოკიდებული 1905 წლის რევოლუციამდე. იგი მიეკუთვნება იუმორისტული თანრის ნაწარმოებებს და დაწერილია მეტად მახვილი, მხატვრული ენით, მონოლოგის ფორმით. დემნა შენგელაიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი საინტერესო მოთხრობებისა სამოქალაქო ომის პერიოდის და თანამედროვე სინამდვილის თემებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი დიდი ნაწარმოები დემნა შენგელაიასი — მოთხრობა „ყრმობა“, რომლის შინაარსსაც შეადგენს ხალხთა ბელადის, დიდი სტალინის სიჭაბუკის წლები.

დემნა შენგელაიას მხატვრულ თავისებურებას და ღირსებას შეადგენს მეტად სურათოვანი ენა, მდიდარი სიტყვის მარაგი და მიმზიდველი თხრობის უნარი. სამაგიეროდ ბევრ მის ნაწერს ახასიათებს სუსტი სიუჟეტური აღნაგობა და ხშირად ზედმეტი გადატვირთვა სახეობრივი სამკაულებით.

უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა პროზაში განსაკუთრებით გაიზარდნენ და განმტკიცდნენ პროლეტარულ მწერალთა კადრები. მათი შემოქმედება მიემართება აღმავალი ხაზით და გვიჩვენებს ამ პროლეტარულ მწერალთა განუხრელს იდეურ-შემოქმედებითს ზრდას.

კონსტ. ლორთქიფანიძე თავისი შემოქმედების ადრინდელ ეტაპზე ცნობილი იყო უმთავრესად, როგორც პოეტი. გარკვეული ტენდენცია ფაბულიანი ნაწარმოებებისადმი მან გამოამჟღავნა ჯერ კიდევ

იმ ხანებში პოემით „მუშა-გამომგონებელი“, სადაც მან ასახა სოციალისტური წარმოების ენტუზიასტი, ხუთწლედის გმირი, გამომგონებელი მტშა. კ. ლორთქიფანიძის მთელი რიგი ადრინდელი მოთხრობებისა: „სანაპირო-ლი დედა“, „ფოტოგრაფი“ და სხვ. ერთგვარ მოსამსახურებელ ეტაპს წარმოადგენდნენ მისი რომანისათვის „იმერეთი“ („ძირს სიმინდის რესპუბლიკა“). ეს რომანი, რომლის მხოლოდ პირველი ნაწილი აქვს ავტორს ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებული, პირველი ნაწარმოები იყო ქართულ საბჭოთა პროზაში, სადაც მხატვრულად იქნა ასახული ჩვენი სოფლის სოციალისტური გარდაქმნა და საკოლმეურნეო მშენებლობის დასაწყისი პერიოდი. ავტორმა აქ, ახალ სოციალურ ურთიერთობათა და მოვლენების მხატვრულ გადმოცემაში, გვიჩვენა ნამდვილი რეალისტი მწერლის ოსტატობა. კ. ლორთქიფანიძის ეს პირველი რომანი მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს თანამედროვე ქართულ პროზაში, მიუხედავად ზოგიერთი შესამჩნევი იდეურ-მხატვრული ხასიათის დეფექტებისა, რაც თავის დროზე უკვე აღნიშნული იქნა კრიტიკის მიერ. ავტორს მკრთალად აქვს ასახული პარტიისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში, გარდა ამისა მას სქემატიურად აქვს მოცემული ზოგიერთი გმირი რომანისა. ნაწარმოებს აკლია აგრეთვე მტკიცე კომპოზიციური მილიანობა. მიუხედავად ამისა, „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ს საპატიო ადგილი უკავია თანამედროვე ქართულ პროზაში, როგორც მეტად აქტუალურ თემაზე დაწერილ ნაწარმოებს. კ. ლორთქიფანიძე ამჟამად ამთავრებს რომანის მეორე წიგნს. გარდა ამისა იგი აქვეყნებს ცალკე მოთხრობებსაც — მათ შორის აღსანიშნავია ნოველები საბჭოთა ბელორუსიის ცხოვრებიდან.

პროლეტარულ მწერალთა კადრებს ეკუთვნის პანტელეიმონ ჩხიკვაძე. მისი შემოქმედებითი ისტორია 7-მ წლით განისაზღვრება, მაგრამ ამ მცირე დროის მანძილზე მან შექმნა მთელი რიგი ნაწარმოებებისა აქტუალურ თემატიკაზე: „სართულები“, „მურზაყან და დეშქელიანი“, „ნაბიჯები“ და სხვ. პ. ჩხიკვაძის ზოგიერთ ადრინდელ ნაწარმოებში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში ყოფილ ლიტერატურულ დაჯგუფების შეხედულებათა სისტემაში. მოთხრობაში „რომანტიული ამბავი“ პ. ჩხიკვაძემ სცადა გაემართლებია ამ დაჯგუფების მანერ „თეორია“ იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა მწერლობის მთავარ ამოცანას წარმოადგენდეს არა ჩვენი სოციალისტური თანამედროვეობის, არამედ მომავლის, ზეალინდელი დღის ასახვა. თანამედროვეობისაგან მოწყვეტილად და თანამედროვეობისადმი დაპირისპირებულად გაგებული „მომავლის“ სახე-კი, ცხადია, ყალბი და დამახინჯებული უნდა გამოსულიყო. ასეც მოხდა და „რომანტიული ამბავის“ სახით ჩვენ მივიღეთ ჩვენს ზეალინდელ დღეზე, ჩვენს კომუნისტურ მომავალზე ყოვლად მახინჯი წარმოდგენა. ავტორი სოციალისტური საზოგა-



დღეების იდეალურ გმირად სახავს ადამიანს, რომელიც უმწეოა ვადლობას სიძნელეები და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ საბრძოლველად მას მხოლოდ თვითმკვლელობის გზა დარჩენია. ლიტერატურულ ნაყოფიერებასთან და აგრეთვე თავის დადებით მხატვრულ მხარეებთან ერთად პ. ჩხიკვაძე დაზღვეული არ არის გარკვეული დეფექტებისაგანაც. მათ შორის აღსანიშნავია ზოგიერთ ნაწარმოებში მეტისმეტი ვაჭიანურება თხრობისა, სტემატიურობა ტიპების მოხატვაში და სხვ. რაც იგრძნობა უმთავრესად ავტორის ადრინდელ ნაწარმოებებში.

საბჭოთა პერიოდში აღზრდილ და შემოქმედებით ჩამოყალიბებულ მწერლების რიცხვს ეკუთვნის ალ. ქუთათელი. მან დასწერა რომანი „პირისპირ“, სადაც პირველად ქართულ საბჭოთა პროზაში ასახულია საქართველოს სამოქალაქო ომების პერიოდი — მენშევიკების პატონობის ხანა და ბოლშევიკების ბრძოლა საქართველოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ხელისუფლების უღლიდან. ავტორს კარგად აქვს დაბატული მთელი რიგი სცენებისა და ეპიზოდებისა, როგორც ბატალური ხასიათის, ისე ყოფაცხოვრებითი მასალებიდან. ამ რომანის პირველი ნაწილი რამდენიმე წლის წინათ იქნა გამოქვეყნებული. მეორე ნაწილი, რომელიც ამჟამად დამთავრებული აქვს ავტორს და უკვე იბეჭდება, გაცილებით მაღლა სდგას პირველ ნაწილზე, როგორც თავისი იდეური სიმახვილით, ისე მხატვრული დამუშავებით. ძირითად დეფექტებს რომანის პირველი წიგნისას შეადგენს ბოლშევიკების ტიპების სტემატიური დამუშავება და მკრთალი ასახვა კომპარტიის ხელმძღვანელი როლისა მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა გმირულ ბრძოლაში.

თავისი გარკვეულად მოხაზული თემატიკით განკერძოებული ადგილი უკავია თანამედროვე საბჭოთა პროზაში ბელეტრისტ-დრამატურგს გ. ბააზოვს. მისი მოთხრობების და აგრეთვე უკანასკნელი რომანის „ფეთხაინის“ უცვლელ თემას შეადგენს საქართველოს ებრაელთა ცხოვრება, მათი ძველი ყოფისა და ჩვევების გარდაქმნა სოციალისტურ თანამედროვეობის პირობებში. გერცელ ბააზოვი, როგორც მწერალი, იმიტაც არის ღირსშესანიშნავი, რომ მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ის ითვლება პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ ებრაელ მწერლად, რომელმაც საქართველოს მშრომელ ებრაელთა ცხოვრება გაიხადა მხატვრულ დამუშავების ობიექტად და ამით თემატიური სიანლე შეიტანა ქართულ ლიტერატურაში. „ფეთხაინს“ თავის უმკველ ღირსებებთან ერთად, რაც უმთავრესად ებრაელთა ძველი ყოფის სურათების ცხოველ გადმოცემაში გამოიხატება, ახასიათებს მთელი რიგი იდეურად და მხატვრულად სუსტი მხარეებიც. აქ ვვლიხსნობთ უპირველესად ყოვლისა რომანის ვიწროდ მოხაზულ სოციალურ ფონს და ამ ფონზე მომქმედ მთავარ გმირს ნაწარმოებისას, ნათანს, რომელიც თავისი მსოფლ-

მხედველობით ძალიან ჩამორჩება თანამედროვეობის იდეურ დონეს. რომანში აგრეთვე სუსტად ჩანს პარტიის, ბოლშევიკების როლი, ებრაელობა ძველი ყოფის გარდაქმნის საქმეში. გაცილებით საინტერესოა აქვეყნებული აქვს აღებული გ. ბააზოვს უკანასკნელ პიესაში „იკვა რიტუალი“. აქ ასახულია ქართველ ებრაელთა საუკეთესო წარმომადგენლის, ახალგაზრდა ებრაელი ბოლშევიკის გმირული ცხოვრება, ბრძოლა და სიკვდილი 1905 წლის რევოლუციის დროს; მუშათა კლასის იდეებისათვის თავდადებული გმირის სახე ავტორს მეტად კარგად აქვს დამუშავებული. ამ პიესამ სამართლიანად მოიპოვა ქართული საბჭოთა საზოგადოებრივობის სიმპატია და ყურადღება.

პროლეტარულ მწერალთა კადრებს საბჭოთა პროზაში ეკუთვნიან აგრეთვე ე ლ ი ზ ბ. პ ო ლ უ მ ო რ დ ვ ი ნ ო ვ ი, ბ ო რ ი ს ჩ ხ ე ი ძ ე, ი. ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი.

ე. პ ო ლ უ მ ო რ დ ვ ი ნ ო ვ ი ს მოთხრობების შინაარსი ეხება საქართველოს მშორმელთა წარსულ რევოლუციონურ ბრძოლებს მენშევიკური ბატონობის პერიოდში. მისი უკანასკნელი მოთხრობა „ი ღ ვ ი ძ ე ბ ე ნ მ თ ე ბ ი“ შეიცავს საბჭოთა აქარის მშრომელთა თანამედროვე ცხოვრების მხატვრულ ასახვას.

ბ. ჩ ხ ე ი ძ ი ს მოთხრობა „დ ღ ე ბ ი“ აგრეთვე სამოქალაქო ომის თემაზეა დაწერილი. ამ მეტად საინტერესოდ დაწერილი მოთხრობის შინაარსს წარმოადგენს სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა ბრძოლა მენშევიკების დიქტატურის წინააღმდეგ. ბ. ჩხეიძემ „დღეებში“ მეტად კარგად დაგვიხატა ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძობა კავშირის ხალხებს შორის, კერძოდ ქართველ და ოს მშრომელთა შორის. ბ. ჩხეიძემ თანამედროვე საქართველოს ინდუსტრიალური თემატიკის დამუშავებაც სცადა მოთხრობაში „ფერო“. აღსანიშნავია ამ ავტორის მუშაობაც ქართულ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის დარგში, სადაც მას აქვს მთელი რიგი საინტერესო მოთხრობებისა.

ი. ლ ი ს ა შ ვ ი ლ მ ა უკანასკნელ წლებში მოგვცა თავისი პროზაული ნაწარმოებნი. მის კალამს ეკუთვნის რომანი ინდუსტრიალურ თემაზე „ვარდნილი“ და საკოლმეურნეო თემაზე „ძახილი მთაში“. ი. ლისაშვილი ეკუთვნის პროლეტარულ მწერალთა იმ რიცხვს, რომლებმაც ქართულ ლიტერატურაში შემოიტანეს თემატიკური სიახლე და ასახეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალური სახე, ახალი ადამიანები, ახალი სოციალური და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობანი. „ვარდნილში“ თავისებურ დადებით მხარეებთან ერთად აღსანიშნავია დამახასიათებელი ნაკლიც: სქემატიურობა ტიპაჟის და მოვლენათა ასახვაში წარმოადგენს იმ დეფექტს, რომელიც ავტორმა უნდა დასძლიოს შემდეგ შემოქმედებით მუშაობაში.

ქართულ საბჭოთა პროზაში აქტიურად მუშაობენ და ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან სინამდვილეს ასახვენ აგრეთვე მწერლები: ი. მ. ჯიქიაშვილი („კედელი“, „ნადევრდალი“), რ. ქორჭიაშვილი („მრავალფეროვნება“), ლ. ე. მეტრეველი (მოთხრობები) ა. კ. ბელიაშვილი (ნოველები), ა. რ. ჩაჩიბაია („გმირები“), ა. ლ. ჭეიშვილი („ლელი“), ს. თაყაიძე (მოთხრობები) და სხვ., რომელთა საინტერესო მუშაობის შესახებ ამ მოკლე მიმოხილვაში სამწუხაროდ შესაძლებლობა არა გვაქვს შევჩერდეთ.

ქართული პროზის განვითარებისათვის საბჭოთა პერიოდის მთელ მანძილზე დამახასიათებელია განუწყვეტელი იდეურ-მხატვრული ზრდა-განმტკიცება და შინაარსობრივ-თემატური დიაპაზონის გაფართოვება და გამრავალფეროვნება. ქართული საბჭოთა პროზის ოსტატებმა თავის შემოქმედებაში ასახეს მთელი რიგი პრობლემებისა, როგორც თანამედროვე რევოლუციონური სინამდვილიდან, ისე ჩვენი ხალხის წარსული გმირული ცხოვრებისა და ბრძოლის მასალებიდან. ახალი ადამიანის, ბოლშევიკის სახის მხატვრული ჩამოყალიბება, სოციალისტური ინდუსტრიისა და მუშათა კლასის თანამედროვე ყოფის ასახვა, ახალი, სოციალისტურად გარდაქმნილი სოფლის ჩვენება, 1905 წლის რევოლუცია, იმპერიალისტური ომის და სამოქალაქო ბრძოლების პერიოდი, ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრება და გარდასულ სოციალურ ფორმაციათა მხატვრული გადმოცემა — აი, ის მდიდარი და მრავალფეროვანი სხვადასხვაობა თემებისა, რომელიც ქართულმა პროზამ დაამუშავა თავისი განვითარების საბჭოთა პერიოდში. მაგრამ მიუხედავად ასეთი ფართე თემატური გაჭანებისა, მიუხედავად შეუჩერებელი იდეური ზრდისა და ოსტატობის თანმიმდევრული დაუფლებისა, მაინც გადატყობს უნდა ითქვას, რომ როგორც სავესებით სწორად მიუთითა საქართველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ, „მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ჩვენს გმირულ საბჭოთა სინამდვილეს ჯერ კიდევ არ უპოვნია მასში ღირსეული მხატვრული, სრულფასოვანი ასახვა“.

ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ ჩვენი მწერლობა გაზდეს ხალხური, რომ იგი დაუფლოს სოციალისტური რეალიზმის მეთოდს და ამით შესძლოს კაცობრიობის მოწინავე იდეების — ლენინ-სტალინის დიდი პარტიის იდეების ღირსეული გამოხატვა.

საქართველოს საბჭოთა მწერლობის ენერგიული შემოქმედებითი მუშაობა, მისი შეუჩერებელი იდეურ-მხატვრული ზრდა-განვითარება საუკეთესო საწინდარია იმისა, რომ იგი მიაღწევს თავის საპატიო მიზანს და შექმნის ჩვენი ისტორიული ეპოქის შესაფერს, დიდს სოციალისტურ ლიტერატურას.

დ. ჯანელიძე

ქართული საბჭოთა რეპეზუბლია

„დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცი წელი ეს არის წლები კაცობრიობის ისტორიაში სსრ კავშირის ხალხთა არნახული აღმავლობისა ახალი ცხოვრებისათვის. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროში დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი სოციალისტური სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში“ (ლ. ბერიძე).

ჩვენ ვცხოვრობთ დიად სტალინურ ეპოქაში, როდესაც ყველაზედ გაბედული და მიუწვდომელი ოცნებაც კი, რომელიც ხიბლავდა გარდასულ დროთა მოწინავე თაობებს, დღეს განხორციელებულია. — ოცნება ბენდიერი ჭვეციანის საამურ სინამდვილეთ იქცა და რამდენად გაუბედავად და პატარად სჩანს თავისუფლებისათვის მებრძოლი თაობის ოცნება — ბოლშევიკების გმირული პარტიის ხელმძღვანელობით შექმნის სინამდვილესთან შედარებით.

როდესაც გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართული სიმღერის ხორომ ჩეხი რატილის ლოტბარობით კონცერტები გამართა, ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე. — დღე მწერალი ილია ჭავჭავაძე ამას ოცნებობდა: „მე იმ კონცერტებზე ქართული ოპერის სუნი მომედინა. ვინ იცის, რამდენმა სხვადასხვანაირმა ფიქრმა და ოცნებამ გაიზბინა ჩემს ტვინში, როდესაც ყურს ვუვადებდი რატილის ხოროს სიმღერას. იქნება დადგეს ისეთი დრო, რომ ქართულ ენაზედაც დაიწეროს ოპერის მსგავსი რამ ჩვენს ძველ მატთანად“ (ტ. IV, გვ. 359).

— და დადგა კიდევ ეს დრო — საუკეთესო ოცნების ერთიასად განხორციელებული; და მართლაც, რომელი ქვეთამყოფელი გაბედავდა ოცნებებია, რომ ცარიზმისაგან დაწიხლულს და დევნილს ქართულ თეატრს ასეთი აყვავების ხანა დაუდგებოდა. ეხლა ხომ მოწინავე ქართუ-

ფი თეატრები საბჭოთა კავშირის საქვეყნოდ ცნობილ თეატრების მხატვრულ დონემდე ამაღლდნენ, და დაწინაურდნენ, მათ ხომ უზრუნველყოფილ-და და შეფასება დაიმსახურეს საბჭოთა კავშირის დელეგატების კომისიის კომისიის გასტროლების დროს. დიდი რეალისტი, იცნებაშიდაც თავშეკავებული და სინამდვილეს ჩაქიდებული ილია მხოლოდ ქართულ საოპერო სპექტაკლზე ოცნებობდა, საბჭოთა სინამდვილემ კი ამ ოცნებას წინ ვიუსწრო და დიადი ოქტომბრის ოცი წლის თავზე, საქვეყნოდ ცნობილი, უმაღლესი, ჯილდოთი აღჭურვილი ქართული საოპერო თეატრიც გვაქვს, მუსიკალური კადრების აღმზრდელი უმაღლესი სასწავლებელიც და სტუდიებიც, სიმფონიური ორკესტრებიც, თხუთმეტამდე ორიგინალური ოპერა, რომელთაგან ფალიაშვილის „ახესალომ და ეთერი“, „დაისი“ საბჭოთა კავშირის საოპერო თეატრებში იდგმება, როგორც რევოლუციით განთავისუფლებული ხალხის აყვავებული კლუბურის კლასიკური ნიმუშები.

ჩვენმა ქვეყანამ დაიწყო ინტენსიური მუსიკალური შემოქმედების ატმოსფეროში ცხოვრება, და ეს დიადი მიღწევები დაფუძნებულია ბორკილ აყრილი ხალხური შემოქმედების არნახული განვითარებაზე. ესლა ყოველ რაიონს, ყოველ კოლმეურნეობას ჰყავს ხალხური შემოქმედების გუნდი, კიდით-კიდემდე გაისპის ბუნდური ხალხის სიმღერა საამური ცხოვრების დამამკვიდრებელ დიად ბელადებზე ლენინსა და სტალინზე. ხალხთა სტალინური სამშობლოსათვის თავდადებასა და ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულებაზე. თუ რა დიდ მნიშვნელობას მიაწერენ ქართულ ხალხურ შემოქმედებას ეს ჩანს გახ. „პრაგდა“-ში დაბეჭდილი წერილიდან: „დაე გვაბატონ ანტიკური ეპოქის სწავლულმა მკვლევარებმა, — ქართული ხალხის საგუნდო ხელოვნება უფრო მდიდარია, ან, ყოველ შემთხვევაში, არ ჩამოუვარდება ანტიკურ ხელოვნებას! ქართული ხალხური მუსიკის საუკეთესო ნიმუშებზე უნდა ისწავლოს ყველა ჩვენმა კომპოზიტორმა და შემსრულებელმა“ (1937 წლის 9 იანვარი).

რა შეაბნელად სჩანს ჩაგვრა-მონობის წარსული! ცარიზმი დაუნდობლად ახშობდა უზარმაზარ იმპერიაში, — ხალხთა ამ საზიზღარ საპყრობილში, — მოქცეულ ერების მრავალსაუკუნოვან კულტურას. მტკად დამახასიათებელია, რომ მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლების ინტელიგენციის ცდა ქართული თეატრის აღდგენაზე საშიშრად იქნა მიჩნეული და მეფის ჯალათები მკაცრად იძიებდნენ კომედიის „უცნობი ნაცნობის“ წარმოდგენის საქმეს (ი. გოზალიშვილი „1932 წ. შეთქმულება“ გვ. 108, 153).

გასულ საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, გაქნილი და გაიძვერა თავადი ევრონიცოვი უკვეშევრდომილეს მოხსენებით იმპერატორს აჯე-

მპყრობელობასთან უთანასწორო ბრძოლაში; მაგრამ მაინც ქედმოხერხი, კედლიდან გლეჯს იმპერატორის სურათს, ზედ აწერს:

„დაეწვი შენი სამართალი
შენი კანონ-დებულება
შენი აზრი მოფიქრება
შენი მირონ ცხებულება“ —

ქარქინულის
გინგულირთუქა

და ბუხრის აგიზგიზებულ ცეცხლში შეუძახებს, თვითონ ჰკუიდან იშლება და საავადმყოფოში კედება უპატრონოდ.

დრამატურგ დავით ერისთავს შავრაზმელი პრესა აბეზლებს, და დაცინვით ურჩევნ მას, მისი „სამშობლო“-ს დადგმისას, სცენებზე გამოტანილი ქართული დროშები გადაფრუას ცირკს მიჰყიდონ — სამასხროდ გამოადგებათ.

თავაშვებული რეაქციის წლებში ჯგზო-უკვლოდ დაჰკარგეს შექსპირის ტრადიციების უბადლო მთარგმნელი, ქართული სცენიური მეტყველების დამდგინებელი, ქართული ენის დიდი ოსტატი ივანე მაჩაბელი.

ქართულ სცენის გამოჩენილ დრამატურგს და მსახიობს ასიკო ცვაბრელს (1857 — 1902) სილატაკეში აღმოხდა სული და მწერალთა პანთეონშიდაც კი ვერ დაკრძალეს, რადგან სამარის შესაძენად სამყოფი ქონებაც კი არ დარჩენია.

დასასრულ მეფის ჯალათებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ქართველი ხალხის დიდი მწერალი, თეატრის მოამაგე — ილია ჭავჭავაძე, — ასეთი იყო ქართული დრამატურგების დევნილი და წამებული ცხოვრება ცარიზმის დროს.

ეხლა კი ოქტომბრის რევოლუციით განთავისუფლებული ხალხი, სოციალიზმის გამარჯვებით საამურ ცხოვრებას დაწაფებულ მუშა და კოლმეურნე გლეხობა უდიდესი პატივით და ნდობით მოსაეს სოციალიზმის ერთგულ მწერლობას. ტფილისის რაიონის შთელი რიგი კოლმეურნეობების მიერ რესპუბლიკის სახალხო არტისტი მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი წამოყენებულია სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

თუ ცარიზმის დროს ქართული მწერლობა და დრამატურგია იდევნებოდა, უკეთეს დღეში იმ შავზნელ დროს არც არსებობის სახსარ მოკლებული თეატრი იყო.

რამდენჯერ ეანდარმერიას ქართული თეატრის სპექტაკლი შეუწყვეტია, გრიმ ჩამოუხსნელი აქტიორები სატუსალოში წაუქნამთ, ზოლო მაყურებელი ხალხი ქუჩაში გაუტრეკია, როდესაც რუსეთის იმპერატორი ქუთაისში უნდა მოთრეულყო, ქართული თეატრის დასი ეანდარმერიამ ქალაქიდან გააძევა. თავადაზნაურობაც მტრულად, ათვალისწუნებით ეკი-

დებოდა თეატრს და თვით გრ. ორბელიანიც აცხადებდა: „*ქართული თეატრი*“ ვარსაზამგრძობი ქართული თეატრისა ამ უამად დაწესებულ *„ლიბეტროპოლი“* დახარჯული ფული მგონია დაკარგულად... არა მგონია, რომ ჩვენი (სათავადაზნაურო) ბანკი იყოს ისე გასუტებული, რომ სამასი თუმანის უსარგებლოდ დახარჯვა ზრადრად მიაჩნდეს მას“ (ა. ცაგარელი — „*კომენდიები*“ 1936 წ. გვ. XI) — ე. ი. სათავადაზნაურო ბანკიდან ილიას მეოხებით გაღებული შემწეობაც მოუსპვთ ქართულ თეატრსო. სცენა ქველმოქმედებით ინახავდა თავს, და როდესაც რომელიმე თავადს ან პრეფერელს ქართულ თეატრს შეაბრალებდნენ, — სცენისათვის რამდენიმე თვის საარსებო ლუკმას გაავადებინებდნენ, — მთელი პრესა ფეხზე უნდა დამდარიყო, თვით ილიას ეს სიტყვები უნდა ეთქვა: „ერთმა კიდევ ქართველმა ამოდენა გულის სიკეთე და ჩვენი სიყვარული გამოიჩინა, რომ სამასი თუმანი შესწირა მაგ საქმეს „*დროების*“ სიტყვით და იმედია ამაზედ არ გაჩერდება ქართული გულუხვობა და სხვაც ბევრი შეძლებისამებარ ვაიმეტებს შესაწირავსა ამ მეტად სანატრელ და საკეთილო საქმისათვისო“. (ტ. VI, გვ. 46). ქართული თეატრი ცარიზმის დროს ამ ძუნწად გაღებულ შესაწირვით ძლიერ ითქვამდა სულს და ხშირად ჩვენი სცენის ბუმბერაზი ოსტატებიც კი იძულებულნი ხდებოდნენ თავის დამცირებასაც კი არ შორიდებოდნენ. — თვით ვასო აბაშიძე, ქართული თეატრის არსებობის დღეები რომ გაეხანგრძლივებია თავად მუხრანსკის ეახლა თურმე. მუხრან-ბატონმა ეს უთხრა: „აბ, შენ ის კომენდიანჩიკი ხარ აბაშიძე? მახსოვს! აბა, ერთი ბუქნა დაუარე და ფულს მაშინ მოგვემო“

ქართველი მოღვაწენი, სასცენო საქმის მოთაენი მუდამ ვალეზნი იყვნენ ჩაფლული და ხშირად მათი ანეგდოტური მდგომარეობა კარგათ ახასიათებს ცარიზმისაგან დევნილ ქართულ თეატრის მატერიალურ უწყობას.

მენშვეეების ბატონობის დროს დრამატიული შემოქმედება სრულიად მისწყდა, ოდნავ მნიშვნელოვანი პიესაც კი იმ ხანებში არ დაწერილა. თეატრი ისევე უსახსრო უმწეობაში, თავის ანაბარად იყო მიტოვებული, როგორათაც ცარიზმის დროს. სცენაზე ხალტურა მოკალათებულყო. — იდგმებოდა პსევდო-პატრიოტული მელოდრამები („*და-ძმა*“, „*ლევის ქალი გულჯევარ*“, „*სამშობლო*“, „*სამეგრელოს მთავარი ლევან*“), ყოფაცხოვრების ნატურალისტურად ამსახველი, რევოლუციურ პერსპექტივას მოკლებული პიესები („*მსხვერპლი*“, „*სტუმარ-მასპინძლობა*“, „*საბედისწერო დამბაჩა*“, „*იასონის ოინები*“.) მისტიურ-სიმბოლიური დრამები („*ბერლო-შმანია*“). დრამატურგის მნიშვნელოვანი კადრები, რომელნიც 900-ანი წლებიდან გამოვიდენ სამწერლო ასპარეზზე (ნ. აზიანი, შიუკა-შვილი, შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი) სდუმდნენ და მონაწილეობას არ იღებდნენ კავკასიის მოძმე ხალხებისადმი სიძულვილით მოწამული პიესების ჯღაბნაში.

თქმისა, გრძელი სიტყვის მოკლედ და ნათელი სისადადვის შესატყვისობა.

მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა პროლეტარული დრამატურგის გუგული ბუხნიკა შვილის „ქი მაგრამ“... რომელიც ჩვენს სინამდვილეში აქა-იქ კიდევ დარჩენილ ხლესტაკოვისებურ ტიპს ამხელდა. გუგული ბუხნიკა შვილი ამავე დროს ს. ერთაშვინდელსა და მ. გოგიაშვილთან ერთად ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს საკლებო და სასოფლო თვითმოქმედი დრამატული წრეებისათვის რეპერტუარის შესაქმნელად.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის აღმავლობის ამ პირველდაწყებით ეტაპისათვის დამახასიათებელია, რომ ის ანსახიერებს სოციალისტურ რევოლუციას, როგორც მზავრელი კლასების ბატონობის დამამხოველ, გამანადგურებელ ძალას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ახერხებს გვიჩვენოს მისი წინედიითი ძლევამოსილება. ამ დროის პიესებით სცენაზე კარგათ და მძლავრად გამოჩნდნენ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის მებრძოლი, თავდადებულ გმირთა სრულყოფილი სახეები, მაგრამ საბჭოთა მშენებლობის ასახვისას სცენაზე ფერმკთალად სიანან ომიანობით გაპარტახებული ქვეყნის მეურნეობის აღმდგენი და დიად განვითარებისაკენ დამძვრელი სოციალიზმის ქმედითი ძალები, ლენინს-ტალინიის პარტიის საამაყო შვილები.

ქართული საბჭოთა დრამატურგია თავის განვითარების ამ პირველდაწყებით ეტაპზე სამ ძირითად თემას ამუშავებს: 1) რევოლუციურ რომანტიკიდან—ზოგად-რევოლუციური მოტივების შემცველ პიესებს („მათრახის პანაშვიდი“, „პერეთის გმირები“, „ლისაბონის ტუსაღები“) და 1905 წლის თემას („როგორ“); 2) ოქტომბრის რევოლუციის თემაზე—თვითმპყრობელობის გამანადგურებელი მენშევიკების ბატონობის დამამხოველი უცხოელ ინტერვენტთა გამძევებელი—ჩაგრულ კლასების გამანთავისუფლებელი რევოლუციის ამსახველი პიესებს („ანზორი“, „თეთრები“, „ბაილ“, „შულამემ გადაიარა“, „სამნი“); 3- წარსულიდან შემოყოლილი, მიმალული და ნიღბ აფარებული სიმახინჯის, განადგურებულ სოციალურ ფენების ნაშთებიდან თავწამოყოფილ კლასობრივი მტრების დაუზოგავად მომხილებელ პიესებს („ყვარყვარე თუთაბერი“, „ხატკე“, „ქი მაგრამ“... „კაკალ გულში“).

მაგრამ ქართული საბჭოთა დრამატურგიის შემდგომ მძლავრ განვითარებას აფერხებდა მწერალთა სამხატვრო — სალიტერატურო ორგანიზაციებში გაბატონებული „რაპპის“ ტროცკისტულ-ბუხარინულ კონტრარევოლუციური აგენტურის მიერ დანერგილი ჯგუფობრიობა, კარჩავეტილობა, ძირგამომთხრელი „მოღვაწეობა“. „საქართველოს ლიტერატურულ ორგანიზაციებში წინათ ბატონობდა ჯგუფობრიობა, რომელიც ხრწნიდა მწერალთა კადრებს და აფერხებდა ქართული ლიტერატურულ

თეატრის სცენაზე. აზიანის „დრეზერტირკა“ თემატიკური სიხალით, ახალ სოციალურ კონფლიქტების ასახვით უთუოდ ყურადღებამ იმსახურა, მაგრამ მხატვრულ-იდეური სრულყოფა იმდენად ატრფენს, რომ მასალაზე ნამდვილი საბჭოთა სპექტაკლის შექმნა შეუძლებელია აღმოჩნდა.

რევოლუციონერ თანადროულობის ამსახველი პიესების ნაკლებობა 1926/27 წლამდე იყო საგრძნობი, ამ დროიდან კი მოძმე რესპუბლიკების მწერალთა პიესების თარგმნამ, ქართველ პროლეტარულ შემოქმედებით ძალების წამოზრდამ და ამ ძალებთან ერთად ქართველ დრამატურგთა ძველი თაობის ძირითადი ბირთვის ქართულ საბჭოთა რეპერტუარის შექმნისათვის გაცხოველებულ მუშაობაში ჩაბმამ — ჩვენს საბჭოთა თეატრებს აქტუალური პიესები მოუპოვა.

ქართული საბჭოთა დრამატურგია, ამ დროს — ცდილობს სოციალისტური რევოლუციის საკაცობრიო იდეებს გასწვდეს და სცენიური სახეებით ხორცი შეასხას ჩვენი ხალხის გმირულ წარსულს და თანამედროვე საბჭოთა სინამდვილეს. ქართული დრამატურგია ამ დროიდან ხდება მებრძოლი შემოქმედებითი ძალა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის და რევოლუციისადმი თავდადებას, ლენინის ტალინის პარტიისადმი ერთგულებას ნერგავს მშრომელი ხალხის შეგნებაში.

ქართული საბჭოთა რეპერტუარის შექმნისათვის პირველ დაწყებით მუშაობაში, ქართულ დრამატურგიას უეჭველი წარმატება და კვალისდამჩნევი მიღწევებიცა ჰქონდა, მაგრამ მან შეცდომები და მხატვრულ იდეური ჩავარდნები მიინც ვერ აიცილია. იმ დროს, როცა განადგურებული კლასობრივი მტრების ნაშთებს ვააქტიურება დაეტყობოდათ, — დრამატურგიაში ახალი და სალი სოციალისტური მოტივების გვერდით ზოგჯერ თავს იჩენდა ძველი და მახინჯი, — მტრულად მოპართული ბურჟუაზიული განწყობილებაც.

ახალ თემატიურ მასალაზე მომუშავე დრამატურგები სხვადასხვა მიდგომით, სხვადასხვა ხერხებსა სცდიდნენ ორიგინალური საბჭოთა დრამატურგიის ახალი ენარების მიგნებისა და დადგინებისათვის.

პირველი ქართული, საბჭოთა თანადროულობის შესატყვისი პიესა „როგორ“ პოეტმა კარლო კალაძემ დასწერა და დიდი წარმატებითაც იდგმებოდა წლების განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. წინათაც უნახავს ქართულ სცენას რევოლუციური წარსულის ამსახველი პიესები („მსხვერპლი“, „გამცემი“, „სულელი“ და სხვ.), მაგრამ ამათგან „როგორ“ გამოირჩევა გმირულ-რევოლუციური პათოსით, ოპტიმისტური განწყობითა და რევოლუციის მამოძრავებელი ძალების სწორი გამოსახიურებით. კალაძემ თუმც მკრთალად, მაგრამ მაინც პირველმა დრამატურგებიდან სცენიურად ასახა ბოლშევიკების გმირული

პარტიის ხელმძღვანელი როლი 1905 წლის რევოლუციაში — მესმეი-
კების მოლაღატურ პოლიტიკასთან დაპირდაპირებით.

კალაძემ თავის მეორე პიესაში („ხატიჯე“) სცადა დაეძლია აქარელი, ჩადრ ახსნილი, განთავისუფლებული საბჭოთა ქალის თემა. პიესა თუმცა არ იყო უნაკლო, მაგრამ მან მაინც შეაფსო საბჭოთა რეპერტუარი და თავის დროზე დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. — ამასვე ვერ ვიტყვით ამავე ავტორის მესამე პიესაზე „სახლი მტკერის პირას“, რომელიც ავტორს იდეურ-მხატვრულ მარცხად უნდა ჩაეთვალოს.

საბჭოთა კავშირში შემავალი ერების შემოქმედებითი ძალები გაიზარდნენ და მომწიფდნენ ხალხთა სტალინური მეგობრობის ძმური თანამშრომლობის ატმოსფეროში. ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაზე კეთილმყოფელი ზეგავლენა იქონია რუსეთის დიდი ხალხის საბჭოთა დრამატულმა მწერლობამ, მოძმე რესპუბლიკების დრამატურგთა პიესების ქართულ სცენაზე წარმატებამ. — ამ კეთილნაყოფიერი ზეგავლენის დამადასტურებელი მაგალითი სანდრო შანშიაშვილის „ანზორ“-ია, რომელიც ვსევ. ივანოვის „ჯავშნიან მატარებლის“ მიხედვით დაიწერა. სანდრო შანშიაშვილმა იმდენად ოსტატურად გადმოიტანა მოქმედების ადგილი ციმბირის ველებიდან კავკასიის მთებში, იმდენად გამოსცვალა პიესა მთიულური კოლორიტით, ყოფა-ცხოვრებითი დეტალების ჩვენებით, მეზრძოლი გამირების ახალი დახასიათებით, მოქმედების რიტმის გამძაფრებითა და სიტუაციებში მგზნებარე ტემპერამენტის შეტანით — რომ სრულიად ახალი და ორიგინალური პიესა დაიწერა. თუ რამდენად დროული იყო ს. შანშიაშვილის „ანზორ“-ის გამოჩენა ჩვენს სცენაზე, რამდენად მაღალი ღირსების სცენიური მასალა შეიძინეს მისი სახით ჩვენმა თეატრებმა, ეს იქიდანვე სჩანს, რომ იგი იქცა ნამდვილ სახალხო ნაწარმოებად. მთელი რესპუბლიკის კიდიდან-კიდიმდე ყველა თეატრებსა და კლუბებში იდგმებოდა. რუსთაველის თეატრში ასჯერ მეტად დაიდგა და მოსკოვში გასტროლების დროს „ანზორ“ მაყურებელთა არა ნაკლებ აღტაცებას იწვევდა ვიდრე მისი პირველი სახე — „ჯავშნიანი მატარებელი“.

„ანზორ“-ის შემდეგ სანდრო შანშიაშვილი საბჭოთა დრამატურგიის გზას აღარ ასცდენია. თემატიურად ისევე დროული და საინტერესო იყო „სამნი“, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა შეურყეველი ძმობისა და მეგობრობის გამომხატველ სპექტაკლად იქცა რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე.

შალვა და დიანი ჯერ კიდევ რევოლუციის წინაღობი-
ნდელ დრამატურგთა შორის გამოირჩევიდა, — ისეთი სრულყოფილი
ნაწარმოები, როგორიც არის „გუშინდელი“ მისი რეალისტური კალმის
შემონაქმედია. ცხადია, რომ ასეთი ხელოვანის საბჭოთა დრამატურგიისა-

კენ შემობრუნებას იმთავითვე საგრძნობი წონა და მნიშვნელობა ჰქონდა. — შ. დადიანი ქართული ენის მთელი სიმდიდრის მომხრეებით ზღლობს დრამატურგიის ხელოვნებას, თანაც ის ძველი ^{მეცნიერული} მეცნიერულ კირგადახდილი რევისორი და მსახიობია (საბჭოთა მთავრობის მიერ ამიტომაც რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო სახელწოდება აქვს მინიჭებული) და გასაგებია, რომ მისი პიესები უაღრესად სცენიურია, მეტყველების კილო ყოველთვის სცენიური ნოთხოვნის შესაბამისად ჟღერს, მესამე და მეოთხე ხარისხოვანი სახეებიც კი აქტიურთა აღმუშნებია, ხოლო სხარტად მოხატული სიტუაციები მაცურებელთა შეუქნელებელი ყურადღების მომხვეჭია.

საბჭოთა სინამდვილესთან გულწრფელად მისულ ოსტატს არ შეეძლო არ ეგრძნო რომ მისი რეალისტური წერის პესიმისტური კილო უნდა შეცვლილიყო და მან, შემოქმედებით სიძნელებითან შეუპოვრობის ჩვეულ ხელოვნის გაბედულებით სცადა სატირული კომედიის (პოლიტიკური ბუფონადის) ენარის შემოტანა ქართულ საბჭოთა თეატრის სცენაზე. მან დასწერა „კაკალ გულში“, რომელიც წლებების განმავლობაში იღვმებოდა მარჯანიშვილის თეატრში. ავტორმა შექმნა სახეები, რომელთა პროტოტიპები ოქტომბრის წინაღობრივ დრამატურგიაში არ მოიძებნებოდა (ყოველი მენშევიკი, უქნარა და მოლაყბე, პარტიის მიტმასნული, უვიცი და ყოყლოხინა კვექენაძე გულუბრყვილობით და უდარდევლობით დაბრმავებული კომუნისტი, მეჭრთამე პარასკიდი და სხვ.) — ეს სახეები თვითველი ცალკე და ყველანი ერთად ნაცადი ოსტატის ხელით იყვნენ გამოსახიერებულნი და მხილებულნი, მაგრამ ავტორისათვის ეს პირველი ცდა შინც მარცხით დამთავრდა, — ავტორმა საბჭოთა აპარატის ნაკლი სწორედ ვერ გაიგო და მიტომაც სიმართლეს აცდენილი სურათი ჩნდებოდა სცენაზე.

ამის შემდეგ შალვა დადიანი სცდილობს შექმნას ძველი, ნახევრად-პატრიარქალურ, ნახევრად ნატურალური ყოფისა და ახალი სოციალური გარემოს შეჯახებისა და ბრძოლის მასალაზე ახალი პიესა და მით მიზნად ისახავს საბჭოთა სცენაზე ტრადიციის ენარის დამკვიდრებას. მაგრამ ავტორის ეს ცდაც („თეთნულდი“) მარცხით დამთავრდა. ამ პიესაში სრულიად გაუგებარი და მიუღებელი იყო ძველზე ახლის გამარჯვების მოტივირება მხოლოდ შურისძიების გრძნობით. ძველი სენათი მისი მთავარი პერსონაჟის, — არგიდისა და ბაპების სახით სპექტაკლში წინა პლანზე მოექცა, თეატრის მთელი შემოქმედებითი ძალა და უნარი მის გამოსახიერებას ჰქონდა შელევული, ახალი კი სუსტად, სისხლნაკლულად სჩანდა და მეტად მკრთალად გამოხატავდა სოციალისტორ ეპოქის გმირის, ახალი ძალების სიმტკიცეს, შეუპოვრობას, დასახულ მიზნისადმი შეუდრეკელ მისწრაფებას და ქვეით ძლევაშოხილებას. თეატრმა დრამატული ნაწარმოების ნაკლის გამოსწორების ნაცვლად პიესის უარყო-

ფთი მხარეები კიდევ უფრო გაამძაფრა და შედეგად მივიღეთ იდეალური და მხატვრულად მიუღებელი სპექტაკლი. საბჭოთა სინამდვილესთან დაკავშირებული ახლო მისვლამ, მუშათა კლასის იდეურ პოზიციებზე უფრო მკვიდრად დადგომამ შალვა დადიანს საშუალება მისცა თავისი შემდგომ შემოქმედებით მუშაობაში მოეცა უფრო მაღალი იდეურ-მხატვრული დონის ნაწარმოებნი.

მხატვრული სიტყვის ოსტატმა დემნა შენგელაიამ მეტად დროულად და იდეურად გამართული პიესა დასწერა — „თეთრები“, რომელშიდაც ასახა უცხოელ ინტერვენტებისა და მენშევიკების მოკავშირე მეფის გენერლების აღვირაზსნილი თარეში, კლღონიად გადაქცეული მხარის უწყალოდ ცარცვა-გლეჯა და მუშათა გმირული ბრძოლა ინტერვენტების გასადევნად. „თეთრები“ წარმატებით იღვმებოდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. მარჯანიშვილისავე თეატრშივე დაიდგა ქართულ რეაქციულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის წინააღმდეგ მიმართული პიესა მწერალ ალექსანდრე ქუთათელისა: „შუალამემ გადაიარა“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკიერი დრამატურგის პოლიკ. კაკაბაძის შემოქმედება. მან საბჭოთა თეატრთან თანამშრომლობა „ლისაბონის ტუსალებით“ დაიწყო, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პიესა საბჭოთა მაყურებლისათვის ზოგად-რევოლუციური ფანტასტიურობით სრულიად უცხო აღმოჩნდა.

შემდეგ მის ნაწარმოებში უკვე ჩანს მომწიფებული დრამატურგის, დაოსტატებულ შემომქმედის უეჭველი ნიჭი და სცენიური ალღო. მისი „ყვარყვარე თუთაბერი“ ყოველმხრივ გამართული, პირველი სატირული შემონაქმედია. ფოლკლორში მოპოვებული ნილაბი აეტორმა ოსტატურად გამოიყენა ნამდვილი ხალხური, აზრიანი სანახაობის შესაქმნელად. თუ ნაცარქექია ზეპირსიტყვიერებაში ანსახიერებს ხალხს მოხიბვებასა და ჭკუას, როგორც ბოროტ ძალების (დევებისა) და მექთა-ხოვრების შენმუსვრელ ძალას, პ. კაკაბაძემ ეს ნილაბი მოიხმარა ცრუგმობის გამოსახატავად. რეალისტმა დრამატურგმა კარგათ მოფიქრებულ და ოსტატურად აწყობილ სიტუაციებში ყვარყვარე თუთაბერის გამოტარებით შესძლო ემხილება ცარიზმის გახრწნა და მენშევიკური ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ მოლაღატურა სახე, სიბეკე და უპრინციპობა. კომედია ცხადყოფს, რომ სწორედ ცარიზმისა და მენშევიკების გამხრწნელ ატმოსფეროში ჩნდება და ფართო სარბიელს პოულობს გაიძვერებისა და ვიგინდარების ცრუგმობობა, რისი აღკვეთაც მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეს ძალუძს. „ყვარყვარე თუთაბერი“ შესანიშნავი ნაწარმოებია თავის აფორისტული სტილით; — ყოველ ფრაზაში სჩანს დრამატურგის დაკვირვების უნარი მახვილი თვალი, ფაქტების მხატვრული გარდა-

თქმისა, გრძელი სიტყვის მოკლედ და ნათელი სისადავით მოკრის რსტა-
ტობა.

მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა პროლეტარული დრამატურგის
გუგული ბუხნიკა შვილის „კი მაგრამ“... რომელიც ჩვენს
სინამდვილეში აქა-იქ კიდევ დარჩენილ ხლესტაკოვისებურ ტიპს ამხელ-
და. გუგული ბუხნიკა შვილი ამავე დროს ს. ერთა-
წმინდელსა და მ. გოგიაშვილთან ერთად ბუერს და ნა-
ყოფიერად მუშაობს საკლუბო და სასოფლო თვითმოქმედი დრამატული
წრეებისათვის რეპერტუარის შესაქმნელად.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის აღმავლობის ამ პირველდაწყებით
ეტაპისათვის დამახასიათებელია, რომ ის ანსახიერებს სოციალისტურ რე-
ვოლუციას, როგორც მხაგრელი კლასების ბატონობის დამამხოველ, გა-
მანადგურებელ ძალას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ახერხებს გეჩივენოს მისი
წინდითი ძლევამოსილება. ამ დროის პიესებით სცენაზე კარგათ და მძლავ-
რად გამოჩნდნენ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის მებრძოლი,
თავდადებულ გმირთა სრულყოფილი სახეები, მაგრამ საბჭოთა მშენებლო-
ბის ასახვისას სცენაზე ფერმკთალად სჩანან ომიანობით გაპარტახებული
ქვეყნის მურწნობის აღმდგენი და დიად განვითარებისაკენ დამძვრელი
სოციალიზმის ქმედითი ძალები, ლენინ-სტალინის პარტიის საამა-
ყო შეილები.

ქართული საბჭოთა დრამატურგია თავის განვითარების ამ პირველ-
დაწყებით ეტაპზე სამ ძირითად თემას ამუშავებს: 1) რევოლუციურ რო-
მანტიკიდან—ზოგად-რევოლუციური მოტივების შემკველ პიესებს („მათ-
რახის პანაშვიდი“, „პერეთის გმირები“, „ლისაბონის ტუსაღები“) და 1905
წლის თემას („როგორ“); 2) ოქტომბრის რევოლუციის თემაზე—თვით-
მპყრობელობის გამანადგურებელი მენშევიკების ბატონობის დამამხოვე-
ლი უტხოელ ინტერვენტთა გამძევებელი—ჩაგრულ კლასების გამანთავ-
სუფლებელი რევოლუციის ამსახველი პიესებს („ანზორი“, „თეთრები“,
„ბაილ“, „შუალამემ ვადაიარა“, „სამნი“); 3- წარსულიდან შემოყოლილი,
მიმალული და ნიღაბ აფარებული სიმახინჯის, განადგურებულ სოცია-
ლურ ფენების ნაშთებიდან თავწამოყოფილ კლასობრივი მტრების დაუ-
ზოგავად მომხილებელ პიესებს („ყვარყვარე თუთაბერი“, „ხატოჯე“, „კი
მაგრამ“... „კაკალ გულში“).

მაგრამ ქართული საბჭოთა დრამატურგიის შემდგომ მძლავრ განვი-
თარებას აფერხებდა მწერალთა სამხატვრო — სალიტერატურო ორგანიზა-
ციებში გაბატონებული „რაპპის“ ტროცკისტულ-ბუხარინულ კონტრრე-
ვოლუციური აგენტურის მიერ დანერგილი ჯგუფობრიობა, კარჩაყე-
ტილობა, ძირგამომხრელი „მოღვაწეობა“, „საქართველოს ლიტერატუ-
რულ ორგანიზაციებში წინათ ბატონობდა ჯგუფობრიობა, რომელიც
ხრწნიდა მწერალთა კადრებს და აფერხებდა ქართული ლიტერატურულ



განვითარებას. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა „გარეთნოსადებულ პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“ (ლ. ბერია, „ქართული მწერალთა კონტრრევოლუციონერ ფაშისტის და მავნებელის ახმეტელის მიერ თეატრში შეუწყნარებელი ატმოსფეროს შექმნა (თვითკრიტიკის ჩახშობა, კოორპორატიული კარჩაკეტილობა, საბჭოთა საზოგადოებრიობისაგან მოწყვეტა), რასაც სხვა თეატრების ხელმძღვანელებიც ბაძავდნენ ზოლზე და ეს კი იწვევდა ქართულ სცენაზე ღრმა იდეურ-მხატვრულ ჩაყვარდნებს (აიხ. ლ. ბერიას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე — „კომუნისტი“, 1937 წ., № 115, 116).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებით ბოლო ედება ლიტერატურის განვითარების შეფერხებას და იწყება საბჭოთა ხელოვნების აღმავლობის ახალი ეტაპი. დიადი ბელადის მიერ საბჭოთა ხელოვნების არსის და მისი შემდგომი განვითარების ბრძნულმა განჭკვრეტამ შეაიარაღა შემოქმედნი სოციალისტური რეალიზმის ცხოველყოფილი მეთოდით. მშობლიურ სტალინის ძლევაშისილი კომუნისტური პარტიისა და მთავრობის შეუწელებელმა მზრუნველობამ და ყურადღებამ ხელოვნებისადმი ნაყოფი გამოიღო. სახალხოთ ქცეულ ხელოვნებას დაუდგა აყვავებისა და გაფურჩქვნის მზიანი დღეები.

ქართული საბჭოთა ხელოვნებაც განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. ქართველი კომუნისტები მის სტალინური ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრეტი ბერიას მეთაურობით სახელოვნო ორგანიზაციებში ნერგავენ ბოლშევიკური მუშაობის სტილს, სპობენ კოორპორატიულ კარჩაკეტილობით შექმნილ მცირე მიღწევებით დაკმაყოფილების მავნე განწყობილებებს, ალაფრთოვანებენ ხელოვნების მუშაკებს დიად საბჭოთა კულტურის სავანძურში აყვავებულ ქართული ხელოვნების წვლილის შესატანად. გამოჰყავთ ქართული ხელოვნება წვრიმალ თემატურ შეზღუდულობისაგან და თვითიული დარგი ვადაჰყავთ საკაცობრიო მნიშვნელობის სარეველოეუკო თემებზე სამუშაოდ. უდიდეს ყურადღებას აქცევენ კლასიკოსების მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისებას და საბჭოთა ქვეყნის მშრომელთათვის მის გამოყენებას, გზას უხსნიან ხალხური შემოქმედების არნახულ აყვავებას და ამის საფუძველზე მტკიცდება საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგში ხალხურობა და სისადავე.

„საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა მწერლებმა დასძლიეს და გაანადგურეს ბურჟუაზიულ ნაციონალისტური ტენდენციები“ (ლ. ბერია). ქართული საბჭოთა ლიტერატურის და დრამატურგიის წამყვან თემად იქცა სოციალისტური ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვება, მუშათა და კოლმეურნეთა ბედნიერი და საამური ცხოვრების თემა.

მე-19 საუკუნე. ქართული ლიტერატურა და დრამატურგია გვიხატავს სოფლის გაპარტახებისა და სილატაყის შემადრწუნებელ სურათებს. მელთა პერსონაჟები უმთავრესად თავის ბედისადმი მორჩილ წილში გატეხილ და სასოწარკვეთილ კაცია მუნჯადეს ემსგავსება. თუ გამოჩნდებიან ხოლმე კაცო ყაჩაღი, გაბრო, არსენა — უსამართლობის წინააღმდეგ რომ ხმასა იმაღლებდნენ და ხელს აღმართავდნენ, — ისენი ხომ იქვე — ბრძოლაში დაცემულნი და ხალხისაგან დატირებულნი მოსჩანან.

სოფელი სრულიად შესცვალა სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილებამ და აი პირველად ჩდება სცენაზე ახალი ცხოვრების სურათი — საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების ამსახველი ამაღლებელი პიესა, რაც უკვე მომასწავებელი იყო ქართულ საბჭოთა დრამატურგიის ახალი გეზის. ლიტერატურა, — თავის მძაფრი განვითარების ამ ახალ ეტაპზე — იწყებს სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილების ასახვას, საშოქალაქო ომების გმირთა გვერდით დრამატურგია ანსახიერებს სოციალისტურ მშენებლობის სახელოვან დამკერვლებსა და სტახანოველებს — შრომის ძლევამოსილ რაინდებს — ყოველგვარ დაბრკოლებათა და სიძნელეების გმირულათ გადაძლახებულ ძალას. პირველი სიტყვის თქმა ამ მხრით წილად ზედა პროლეტარულ პოეტსა და დრამატურგს ალიო მაშაშვილს.

ა. მაშაშვილის პიესა „განგაში“ დიდის წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე. ამ სცენიურ ნაწარმოებში დრამატურგმა ასახა, თუ როგორი დიდი სიძნელეების დაძლევით იმარჯვებს სოფლად საკოლმეურნეო წყობა. პირველად გამოჩნდნენ სცენაზე საკოლმეურნეო წყობის თავდადებულ მშენებელთა სახეები — პარტკოლექტივის მდივანი — კოლმეურნე საბა და შვებუელი წითელარმიელი ბონდო. საბა — პარტიის ფხიზელი თვალია სოფლად, ის გაბედულად და წარმატებით ებრძვის დაუდევრობას, უდარდულობას, უთაველობას, ის ორგანიზატორია, — კარგად ფლობს სიძნელეთა დასაძლევათ მასების დარაზმვის ბოლშევიკურ ოსტატობას. საბა ბოლშევიკური, სტალინური სფეხიზლით არის აღჭურვილი, ის კარგათ ამჩნევს მტრების ოინებს, კულაკებისა და მვენებლებს. საგან სწმენდს კოლექტივს. ბონდო შვებუელი წითელარმიელია, ავტორს კარგათ აქვს ხაზგასმული, რომ წითელ არმიაში ახალი ცხოვრების კულტურული მშენებელნი იწრთობიან, მიტომაყ არის, რომ სოფლად დაბრუნებულს ბონდოს შვებულ წითელარმიელს — ბევრ რამეზე შეუძლია თქვას: „მინახავს, ვიცეო“, — ამ თავის ცოდნას ის ხალხს ახმარს, გასაკვირის დროსაც კი არ შედრკება. ბონდო კლასობრივ მტრებთან მგზნებარე მებრძოლის ტიპია — ახალი ადამიანი, რომელსაც საზოგადო — სოციალისტური საკუთრება თავს უჩიენია და საკოლმეურნეო შრომით მოწეულ ყოველ ქულა ბამბას თვალის ჩინივით უფრთხილდება.

აღიო მაშაშვილმა მოახერხა ეჩვენებინა, რომ ინტერნაციონალიზმმა ხალხის მშობლიური გრძნობაა. დრამატურგმა მხატვრული სისრულით ჩააქსოვა ინტერნაციონალიზმის მოტივები საკოლმეურნეო მარჯვების ამსახველ პიესას.

ასევე წარმატებით დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე პროლეტარული პოეტისა და დრამატურგის პეტრე სამსონიძის პიესა „ს ა ლ ტ ე“, რომელშიდაც — საკოლმეურნეო წესწყობილებისათვის ბრძოლისა და გამარჯვების ამალღებულ ამბებია მოთხრობილი. პეტრე სამსონიძე ამ პიესაში სრულყოფილ სახეებად ანსახიერებს საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებისათვის მებრძოლი კომკავშირელთა ტიპებს, კარგად აქვს დრამატურგს გაგებულ და გამოხატული კულაკების ნიღბ აფარებული ვერაგობა და საშუალო გლეხობის მერყეობა.

ამავე თემაზე დასწერა გერცელ ბაახოვმა პიესა „მუნჯები ალ ა პ ა რ ა კ დ ე ნ“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის სცენაზედ წარმატებით იყო დადგმული.

გერცელ ბაახოვმა ქართულ ლიტერატურასა და დრამატურგიაში პირველმა ასახა ქართულ ებრაელთა ყოფაცხოვრება, რამაც მის მხატვრულ ნაწერებს მიზიდველი ორიგინალობა მოუპოვა. მან ნიჭიერი მწერლის გამბედაობით და დაკვირვებით ასახა ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხა. ძველ დრამატურგიაში ტრაფარეტულ სახედ იყო ქცეული მწერკიმაღე ებრაელის ტიპი, რომელიც პიესიდან პიესაში გადაჰქონდათ როგორც არშინისა და ფულის კაცუნას გამკილავი კარიკატურა. ბაახოვის პიესაში კი პირველად გამოჩნდნ რეალისტური კალმით დახატული ტიპები. დრამატურგმა ერთნაირ სისრულით დახატა და დაახასიათა როგორც მდიდარ ვაჭართა წრე—აგრეთვე მწერკიმაღე ხელოსანთა უმრავლესობა. პიესაში გამოჩნდნ ახალი ადამიანები ბედნიერი და საამური ცხოვრების მშენებლები, რომლებიც წინ აღუდგნენ თორის—მიერ მდიდრებისა და ხანმების სასარგებლო ქადაგებას: „მდიდარი არ გამოავლდება, ლარიბი არ დაცოტავდება“. დრამატურგმა დახატა, გამოასახიერა ახალი ცხოვრების ტიპები მიერ სეფიაშვილი, ნაყომი, დავით და მარიამ ყვითელაშვილები, რომელნიც წინაღუდგნ მდიდარ-ვაჭრებს, თავი დააღწიეს მათ უწყალო ექსპლოატაციას და კომუნისტური პარტიის ნაჩვენები გზით, საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით და ხელშეწყობით კოლმეურნეობა, — ბედნიერი და საამური ცხოვრების კერა გაიჩინეს. „მუნჯები ალ ა პ ა რ ა კ დ ე ნ“ — შესანიშნავი პიესა იყო, რამდენადაც ის რეალისტურად მოხველის პერსპექტივით გვიხატავდა საკოლმეურნეო წესწყობის შექრას და გამარჯვებას ებრაელთა ჩამორჩენილ ცხოვრებაში.

საბჭოთა დრამატურგის ერთ-ერთი წამყვანი თემაა ჩავრული კლასების განთავისუფლებისათვის ბრძოლა. ამ თემაზე დაწერილ პიესებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ს ტ ა ლ ი ნ ი გ ვ ა ს წ ა ვ ლ ი ს : „ჩვენ ბოლ-



შევიკები ყოველთვის დაინტერესებული ვიყავით ისეთ პიროვნებებში, როგორც არიან ბოლოტნიკოვი, რაზინი, პუგაჩოვი და სხვები. ჩვენ დაეთ, იმათ გამოსვლებში ჩაგრული კლასების სტიქიური აღშფოთების გამოხატულებას, ჩვენთვის ყოველთვის საინტერესო იყო ამდაგვარ გლეხურ აჯანყებათა პირველი ცდების ისტორიის შესწავლა“ (საუბარი გერმანელ მწერალ ლიუდვიგთან — „Большевик“, 1932 წ., № 8, გვ. 37). სტალინის ეს ნითითება ზდება საბჭოთა მწერლობისათვის გეზის მიმცემად ისტორიულ თემებზე, სწორედ ამ მიზანდასახულებით იწყება მუშაობა.

სანდრო შანშიაშვილმა დასწერა მთელ საბჭოთა კავშირში სახელმძღვანელო პიესა, დრამატული პოემა „არსენ“, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმატებით დადგმულ, ხალხის საყვარელ სპექტაკლად იქცა. ეს შესანიშნავი პოეტური დრამატული ნაწარმოები ამაღლებლად აგვიწერს არსენას ამბავს, დრამატურგი აბერხებს სოციალური ბრძოლების შინა ბუნება გადმოშალოს, გვიჩვენოს ფეოდალების მტარვალობა, მეფის გენერლებისა და ოფიცრების ვერაგობა. დიდი დრამატული და შემოქმედებითი ტაქტით, ზომიერებით არის გამოსახიერებულა სახალხო გმირის არსენას სახე, მიტომაც სჩანს ის გლეხური მოძრაობის მოძრაობის მეთაურის სრულყოფილ ტკბად. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-ან წლებში აკაკი წერეთელი სცდილობდა გამოეხატა არსენა სცენიურ სახედ, მაგრამ პიესა დაუმთავრებელი დარჩა. ალ. ყაზბეგმა 80-იან წლებში დასწერა პიესა „არსენა“, რომელმაც მთელი საქართველო შემოიარა და ყველგან იდგმებოდა. ყაზბეგის „არსენა“ ცარიზმის სულის შემხუთველ ცენზურულ პირობებთან შეგუებული ნაწარმოები იყო, ეს პიესა არსენას გვიხატავდა, როგორც ინდივიდუალურ პროტესტანტს, განთავისუფლებული ხალხის დრამატურგიამ კი „არსენა“ ასახა, როგორც გლეხური მოძრაობის მეთაური. შანშიაშვილის „არსენა“ თავისუფალია ყოველგვარ შეზღუდულობისაგან, გლეხთა აჯანყების ბუნება, მისი დამარცხების მიზეზები — ავტორს სწორედ აქვს გაგებული და მხატვრულად ოსტატური დამაჯერებლობით ასახული. განსაკუთრებით ამაღლებულია სცენა, როდესაც აჯანყებულ გლეხებთან მოაქვთ მტერთან ბრძოლაში დაღუპულ ვასია მიტროხინის სისხლით წითლად შეღებილი პერანგი და არსენა იტყვის:

„ჩემო ვასია!

შორის ქვეყნიდან ჩვენთან მოსულო,
ჩვენი ვარამი ვაიზიარე,
ჩვენ შემოგვწირე, შენი სიცოცხლე!
ძმებო უცქირეთ!.. საქმეზე მოვკდა!

ჯარში გავგზავნე მომხრე ენახა...
 ზოგეშველებოდნენ!

დიდი რუსეთის, მშრომელი შვილი,
 თვითონ დევნილო მხაგრელებისგან,
 ჩვენთვის იბრძოდი, ჩვენებრ ჩაგრული
 მუხლს ვუყრი ამ შენს სისხლიან პერანგს.“



ქართული
 ბიბლიოთეკა

ხალხის რა კეთილბოშოლი გრძნობებია ამ სიტყვებში გამოხატული, აქ სჩანს ნამდვილი ხალხური ინტერნაციონალური გრძნობა, რომელიც მუდამ თან სდევდა თავისუფლებისათვის ჩაგრულთა ბრძოლას.

დრამატურგმა ს. მთვარაძემ დასწერა პიესა „სვავების ზეიმი“ (თეატრად) აჭარელთა ცხოვრებიდან. პიესა წარმატებით იდგმება ბათუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. აჭარის ფაშებისა და ბუგების მტარვალობა დაკერაგობა, ორშრივი ღალატი და გამყვობა, ორგულობა და ორპირობა დამაჯერებლად არის მხილებული. ისტორიულად სწორედ არის ასანილი მუჰაჯირობა. ეს პირველი მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიდაც კარგად არის ასახული აჭარელი ხალხის ბრძოლა სამშობლოს გამყიდველ ფაშების წინააღმდეგ.

მთვარაძის პიესა გამოირჩევა მხატვრულად დამუშავებული ტექსტით. ყოველი სიტყვა და ფრაზა მხატვრული სიტყვის ლაკონიურობით არის მოზომილი და ხალხური სიბრძნით ნაკვში. სცენიურადაც გამართულია, სახეებიც ხორცშესხმულია და მოქმედებაც დამაკმაყოფილებლად არის განვითარებული. პიესის ნაკლი ის არის, რომ მომქმედ პირთა ზრახვები მეტის-მეტე გულახდილობით შეღავნდებიან, რაც არ შეიძლება დამაჯერებელი იყოს.

პოეტის და დრამატურგის ვიქტორ გაბისკერიას პიესაში „ლაქაშებს შორის“ სახეები გამოირჩევიან განცდების სიღრმით და ხორცშესხმულობით. ამგვამად იგი სწერს პიესას სამეგრელოს გლეხთა აჯანყების თემაზე.

პოეტის და დრამატურგის ი. მჭედლიშვილის პიესა „ოიანა ბუიანა“ მიღებული აქვს დასადგმელად მარჯანიშვილის სახ. თეატრს; ეს პიესა გვიხატავს კახეთის გლეხთა ბრძოლას მტარვალ ფეოდალების ანდრონიკაშვილებს წინააღმდეგ. პიესა დიდ ორიგინალურ ინტერესს და სცენიურ მიზიდველობას ქმნის ის, რომ მასში ჩაქსოვილია ხალხურ სანახაობათა ფორმები (ბერიკაობა და სხვ.). დრამატურგიულად ეს ხერხი სრულიად გამართლებულია. რაკი მათი პიესაში შემოტანა ფეოდალებთან ბრძოლით არის მოტივირებული.

გლეხთა აჯანყების თემაზე დასწერა აგრეთვე პიესა ახალგაზრდა ნიკიერმა დრამატურგმა გ. ვაბუნიამ „არსენა ოძელაშვილი“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა რაიონულ თეატრებში.

ისტორიის შესწავლის, ხალხის წარსულის ცოდნას ეხლო უფროდეს ყურადღება ექცევა. — მიტომაც არის, რომ ქართულმა საბჭოთა რევოლუციონარულმა მოძრაობამ ამ მხრითაც წარმართა თავის შემოქმედებითი მანძილს და დრამატურგმა იონა ვაკეელმა დასწერა პიესა „შამილი“, რომელიც დაიდგა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. ამ პიესაში ავტორმა ასახა მთიელების თავდადებული და ათეული წლებით გახანგრძლივებული გმირული ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. მიუხედავად პიესისა და დადგმის ზოგიერთი ნაკლისა, მაყურებელმა მაინც ნახა თავისუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი ამაღლებელი სპექტაკლი.

საბჭოთა პარტიოტიზმის თემაზე პიესები დასწერეს ალიო მაშაშვილმა, გ. ბააზოვმა და გ. მდივანმა.

საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალიზმის, ესპანეთის გმირულათ მებრძოლ ხალხთან სოლიდარობის ამსახველია რუსთაველის თეატრის სცენაზე დიდი წარმატებით დაგმული გ. მდივანის პიესა „ალკაზარ“. ამავე თემაზე დაწერილი ახალგაზრდა დრამატურგის კაკაბიშვილის პიესა „ადელანტი“ — იდგმება მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დრამატურგის სერგო კლდიაშვილის პიესა „გმირთა თაობა“. ეს პიესა, რომელიც წარმატებით იდგმება რუსთაველის თეატრის სცენაზე საბჭოთა ქართული დრამატურგიის კიდევ ერთი გამარჯვების მაუწყებელია. საბჭოთა ადამიანები, ახალი ცხოვრების მშენებელი გმირები ამ პიესაში დამაკმაყოფილი სრულყოფით და სისრულით არიან გამოასახლნი. შესანიშნავია კომუნისტების დიმიტრი გეგელიას და თედოს, უპარტიოების სიმონ კახიანისა და ეჭმის დამაჯერებელი და მომზიბღელი სახეები, რომელთაც უკვე მოიხვეჭეს მაყურებელთა სიყვარული და აღტაცება.

პიესა სიფიზლის თემაზეა, დაწერილი. ინტრიგა პიესაში ოსტატურად არის ჩაქსოვილი და განვითარებული, მიტომაც არის, რომ სპექტაკლს შეუენელებელი ყურადღებით უცქერის მაყურებელი. შესანიშნავია ფიზიკური ბოლშევიკების მეტად დროულად გამოსახიერებული სახე — პარტკომის მდივანი თედო, რომელზედაც დანაშაულზე წასწრებული მტერი ამბობს: „მარტო პარტკომის მდივანი მეგონა, ის კი ჩეკისტიც ყოფილაო“. ხალხის მტრების ასგზის საზიზარო, შენიღბული სახეც მეტად დამაჯერებლად არის მზილებული. ეს პიესა იმის მაჩვენებელია, რომ ქართულ დრამატურგია თავის დაგაგაკების ასაკში შედის და უკვე ძალა შესწევს ყველაზედ აქტუალურ თემებს სრულყოფილი ნაწარმოებებით გამოეხმაუროს.

პარტიის წევრი რომ მარტო წარსულ დამსახურებათა მიხედვით არ უნდა ფასდებოდეს, არამედ მისი დღევანდელი საქმიანობით, — ამ თემაზე პიესა „განურჩევლად პიროვნებისა“ დასწერა გერ-

ცელ ბააზოვმა, პიესა რამდენიმეთ სტემატიური აღმოჩნდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მის მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, აქვეყნებულა ინტერესი აქტუალური, აღმზრდელითი მნიშვნელობა მნიშვნელოვანია სიფხიზლის გამახვილების თემაზე დასწერა პიესა „მური“ ი. ეაკელმა, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა დაიდგას მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. ავტორი ამხელს ხალხის შტრების მავნებლებს სპეციალურ კულტურების განვითარების დარგში და გვიხატავს ბოლშევიკების ბრძოლისა, თავდადებული მუშაობისა და სიფხიზლის შთამავონებულ სურათებს.

ქართულ საბჭოთა ხელოვნების ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი წარმატებები დაკავშირებულია ამხანაგ ლავრენტი ბერიას შესანიშნავ მოხსენებასთან: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელის შრომამ ხელოვნების ყოველი დარგის მუშაკებს შთააგონა წარმატაცი და ძვირფასი, საპატიო და საპასუხისმგებლო თემები ბოლშევიკების გმირული პარტიის ისტორიიდან. შრომლიური ბელადის ცხოვრების და მოღვაწეობის ასახვა იქცა ხელოვნების მუშაკთა ოსტატობის პატივის და ძალუში შემოქმედების საყვარელ საქმედ. დრამატურგი შალვა დადიანი ამხანაგ ბერიას მოხსენების გაცნობისთანავე შემოქმედებითი აღზნებით სწერდა: „ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენება „აქ ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ჩვენი დრამატურგებისთვისაც დიდი სახელმძღვანელოა. აქ მოცემულა ვასალები წარსულის სინამდვილისა... სახელმძღვანელო ლამპარად უნდა ვიქონიოთ ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენება, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა აკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის მასალის დამუშავების საქმეში და რომელსაც ჩვენმა დრამატურგებმა შემოქმედებითი აქტიურობით უნდა უბასუხოთ“.

გერცელ ბააზოვმა დასწერა პიესა „იკვარჩინაშვილი“, რომელმაც ასახა 1905 წლის რევოლუცია და ბოლშევიკური პარტიის გმირული ბრძოლის ისტორიის ერთ-ერთი ეპიზოდი. პიესა დიდი წარმატებთ დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში. რევოლუციის სულით აღზნებული ამ სპექტაკლის ყოველი დადგმა გადაქცეულია ბოლშევიკ-გმირებისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის დემონსტრაციად.

შალვა დადიანმა დასწერა „ნაპერწყლიდან, რომელიც გვისახავს დიადი ბელადის ბრძოლის 900-ანი წლების დამდეგს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების გასამარჯვებლად კავკასიაში. პიესაში ნაჩვენები იქნება დიადი ბელადების ლენინისა და სტალინის სახეები. ოქტომბრის ოცი წლის თავთან დაკავშირებით ეს პიესა იდგმება როგორც რუსთაველის, ისე მარჯანიშვილის სახელობის თეატრების სცენაზე.

1905 წლის რევოლუციის თემაზე მეტად მნიშვნელოვანია პიესა დასწერა ვასო ეგნატაშვილმა („გზა გაყრილები“), რომელიც უკვე მიიღო დასაღვმელად მარჯანიშვილის თეატრის ამომწურავი ცოდნით და სიმართლის დამაჯერებელი ძალით, დრამატული თხრობის მხატვრულობით და მიმზიდველობით, ეს პიესა, უთუოდ ნიჭიერი დრამატურგის სახელს მოუხვეჭს მის ავტორს.

ბოლშევიკების გმირულ პარტიის ისტორიის თემებზე გაცხოველებით მუშაობენ ნ. ნაკაშიძე, ს. შანშიაშვილი („ფოლადაური“), გ. ბუხნიკაშვილი (პიესა სამოქალაქო ომების ლეგენდარულ გმირ კიკვიძეზე), ი. მჭედლიშვილი, ს. ერთაწმინდელი და სხ.

უდიდესი ყურადღება მიექცა კლასიკოსების მდიდარი ლიტერატურულ ნემგვიდრეობის ათვისებას და მის გამოყენებას საბჭოების ქვეყნის მშრომელთათვის.

შალვა დადიანმა ოსტატურად შესძლო ილია ჭავჭავაძისა და ეგნატე ნინოშვილის პროზაულ ნაწარმოებთა სცენიური გარდაქმნა. („ნინოშვილის გურია“ და „ჩატეხილი ხიდი“). შალვა დადიანმა იპოვა ახალი დრამატურგიული ხერხი, შექმნა ახალი სცენიური ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენა და გვიჩვენა, რომ შესაძლებელია ერთ სცენიურ ნაწარმოებში თავი მოუყაროს მწერლის შემოქმედების მთავარ ძაფებს და თეატრს მიაწოდოს კლასიკოსის ნაწარმოებთა მიმომზიღველი სპექტაკლისათვის საჭირო დრამატული მასალა. „ჩატეხილი ხიდიში.“ — სწერდა შალვა დადიანი, — მთავარია ილია. ის არც კი გამოდის, მაგრამ თქვენ თითქოს ერთ საღამოს ფურცლავთ მის უკვდავ ნაწარმოებს და ამ გადაფურცვლაში გეხმარებათ ავტორი, ხოლო თეატრი თავის ჯადოსნობით თითქოს პროექტორით აშუქებს მთავარ ადგილებს“.

აქ იმას აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ გეხმარება ავტორი-დრამატურგი კლასიკოსის ათვისებაში და სწორედ ამაში სჩანს, თუ რანდენად მაღლა დგას შალვა დადიანის ოსტატობა მონტაჟიორის ხელოსნობასთან შედარებით. პირველად, დრამატურგიის პრაქტიკაში შალვა დადიანს აპყავს პროზაიკულ და პოეტურ ნაწარმოებთა გასცენიურება დამოუკიდებელი დრამატურგიული ენარის სიმაღლეზე.

კლასიკურ პროზაიკულ ნაწარმოებთა გასცენიურების დროს საბჭოთა დრამატურგს აქტიური ჩარევა უხდება, მასალაში, მის მიზანს ამა თუ იმ ნაწარმოების უბრალო სცენიური ალიუსტრირება კი არ შეადგენს, არამედ ლიტერატურულ ნემგვიდრეობის კრიტიკული ათვისება ე. ი. მისი გამოყენება სოციალისტური ქვეყნის მშრომელთა საშინაურისათვის. და სწორედ ეს მიზანდასახულება განსაზღვრავს შალვა დადიანის მიერ შექმნილი ენარის არსებობის უფლებას და აუცილებლობას დრამატურგის სხვა ენართა გვერდით.

და მართლაც „ნინოშვილის გურიას“ და „ჩატეხილ ჯაღში“ დიდი საბჭოთა დრამატურგის—„კრიტიკულად ამთვისებელი“ შემომქმედის როლი, მაყურებლისათვის დახმარება. „ნინოშვილის გურია“ არის „ნინოშვილის ხიდი“, რომ ხალხურ სპექტაკლებად იქცენ, ხალხის ჩაგვრის-შინაგვრისა და მტარვალთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველ ამალელებელ სურათებად რომ იქცნენ, ეს ხომ იმ იდეური ძალის შედეგია, რომელსაც იჩენა შალვა დადიანი მასალის შერჩევასა, დალაგებასა და მის მხატვრულ ორგანიზაციაში. მარჯანიშვილის თეატრისათვის გურიის მშრომელებისაგან მიძღვნილ სიგელში „ნინოშვილის გურიის“ შესახებ ნათქვამია: „საბჭოთა სცენის საამაყო სპექტაკლია „ნინოშვილის გურია“, რომელიც მშრომელთათვის ძვირფასი შუქრის მოთხრობათა მიხედვით ასახავს გურიის გლეხობის მედგარ ბრძოლას მზავრელთა წინააღმდეგ. ეს გონივრულად მოფიქრებული და ოსტატურად განხორციელებული სპექტაკლი მშრომელ მაყურებელში იწვევს ბრძოლისა და შრომის ხალისს, ხელს უწყობს საბჭოთა მაყურებლის კულტურულ ზრდას, მაყურებელს საშუალებას აძლევს მხატვრულად წარმოიდგინოს გურიის გლეხობის შაებნელი წარსული და შეადაროს იგი ადამიანურ ცხოვრების გზაზე გამოსულ კოლმეურნეთა ცხოვრებას. ამ სპექტაკლს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს“ (იხ. კრებ. „ნინოშვილის გურია“, 1936 წ., გვ. 18). სწორედ ამ აღმზრდელობით მნიშვნელობით განიზომება შალვა დადიანის ამ მხრივ დაშახტრება. თანაც ამ სპექტაკლებმა თვით თეატრის განვითარებისათვისაც ითამაშეს განსაკუთრებული როლი.

ასევე წარმატებით დამთავრდა, სერგო კლდიაშვილის ცდა ერთ სცენიურ ნაწარმოებში მოეგროვებია დავით კლდიაშვილის ნაწერების პერსონაჟები. „შემოდგომის აზნაურებმა“ დიდი გამარჯვება ნახეს რუსთაველის თეატრის სცენაზე და მოსკოვშიაც საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი ამ ცდას მოწონებით შეხედა.

დრამატურგმა ს. მთვარაძემ დ. კონჭაძის „სურამის ციხის“ ფაბულის გამოყენებით დასწერა ტრალედია, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით იდგმება მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე.

მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორმა ჰ. გელეიშვილმა წარმატებით სცადა გაესცენიურებია დავით კლდიაშვილის ნაწარმოები („სამანიშვილის დედინაცვალი“). ავტორის მიერ თეატრის პირობების და ტექნიკის ცოდნამ პიესას მეტად მაღალი სცენიური ღირსება მოუპოვა, რამაც უზრუნველყო პიესის მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გამარჯვება.

ამ ხანად გაცხოველებული მუშაობა აქვთ დრამატურგებსა და რეჟისორებს „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურების საქმეში. რუსთაველის თეატრის მუზეუმში ინახება რეჟისორთა ჯგუფის კ. მარჯანი-

შვილის, კ. ანდრონიკაშვილის, დ. ანთაძის, მ. ქორელი, ა. ფალავას და გველესიანის მიერ გასცენიურებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, რომელიც ჯერ კიდევ 1924 წელს დადგმულიყო. ა. ფალავამ დამოუკიდებელი ტექსტიც დაამუშავა, რომელიც დრამატურგთა სექციაში იქნა განხილული და მოწონებული ეს ნაწარმოები გადაცემული აქვს რუსთაველის თეატრს. „ვეფხისტყაოსანი“ სხვა და სხვა ხერხით და მიდგომით გასცენიურება სცადეს დრამატ. შიუკაშვილმა, რეფ. ქურულმა, ვიორჯი მირიანაშვილმა, ჯაფარიძემ და სხვა.

„ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურება 1805 წლიდან დაიწყო, მწერალმა გოდერძიშვილმა პირველად სცადა ამ თემაზე ტრადიციის დაწერის შემდეგ კიდევ მრავალმა იღვაწეს, მაგრამ დადგმა მხოლოდ თამაზიშვილის „ვეფხისტყაოსანს“ ხედა წილად ტფილისისა და ქუთაისის სცენებზე 1895 წ. ეს დადგმა სკანდალური მარცხით დამთავრდა (თამაზიშვილის პიესის დადგმის შესახ. იხ. „ივერია“ 1895 წ. № 147, 103, 157, 164, 167).

ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სცენიურ ნაწარმოებად გარდაქმნა, მისი თეატრალურ სანახაობად განზორციელება საბჭოთა სცენის შემოქმედებით ძალას შეუძლია.

საბჭოთა ქართულ თეატრში უდიდესი ყურადღება მიექცა მსოფლიო კლასიკოსების თარგმნასა და სცენაზე დადგმის საქმესაც. — ითარგმნა და თეატრში დაიდგა პუშკინის დრამები, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, ბენჯონსონის „ველპონე“ (პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის თარგმანით), ლოპე-დე-ვეგას „სებრის წყარო“ (კოტე მაცაშვილის თარგ.), შილერის „ინტირანოს“ (შანშიაშვილის თარგ.), „ვერაგობა და სიყვარული“ (ი. ტატიშვილის თარგ.), ბოშარშეს „ფიგაროს ქორწინება“ (ი. გრიშაშვილის და მარიჯანის თარგ. და სხვ.).

აღიზარდა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს აღწევს ახალგაზრდა დრამატურგთა მთელი თაობა: დარისპანიშვილი, კაკაბიშვილი, ნახუცრიშვილი, გამრეკელი, რომელიც მთვარაძეს, ბააზოვსა და ბუხნიკაშვილთან ერთად წარმატებით მუშაობენ მოზარდ-მაცურებელთა თეატრის რეპერტუარის შესაქმნელად. მუსიკალურ მოძრავ თეატრისათვის მუშაობენ დრამატურგები: ფაშალიშვილი, ქორქია და ბელიაშვილი. აღსანიშნავი არიან აგრეთვე როდიონ ქორქია („ოქროს გული“), მ. გოგიაშვილი, თარხნიშვილი („მეგლისი“), გოგიაშვილის („მეწყერი“).

ქართული საბჭოთა დრამატურგია გაიზარდა, მომწიფების ასაკში შედის ქართულ საბჭოთა თეატრის აყვავებასთან ერთად. დრამატურგებისა და სცენის შემოქმედ მუშაებისადმი დიდ ყურადღებასა და მზრუნვე-



ლობას იჩენს პარტია და ხელისუფლება. წინათ არტისტი მწვერულზე ვალე, ყველასგან ათეალისწუნებული, ქველმოქმედების ზარალ მიტოვებული არსება იყო. სათეატრო მუზეუმში ინახება დოკუმენტი იმისა, თუ მენშევიკების ბატონობის ხანაში როგორ შიმშილობდა ქართული სცენის სიამაყე ვასო აბაშიძე ეკ.

„ოქმით. ამიერკავკასიის ბანკის მოსამსახურეთა, საზოგადო კრებისა, რომელიც შესდგა 1920 წ. 29 ნოემბერს დღის 3 საათზედ. კრებაზედ გამოცხადდა 20 მოსამსახურე ბანკისა...“

„კრების გახსნისას ი. მ. თურქიამ თავის მოკლე სიტყვაში ამცნო კრებას, თუ როგორ პირობებში იმყოფება ჩვენი თანამემამულე. საზოგადო მოღვაწე მსახიობი ვასილ აბაშიძე, რომელიც საჭროებს ნივთიერ დახმარებას, და თხოვს დამწსრეთ რამდენათაც შესაძლებელი იქნება დაეხმაროთ მას ფულის მხრივ: აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმით დაადგინეს: გადადოს თვითეულ მოსამსახურის თვიური ჯამაგირის 1% 1920 წ. დეკემბრის თვიდან და შეგროვილი ფული გადაეცეს ბ-ნ აბაშიძეს ყოველ თვიურად ყოველ ოც რიცხვს).“

კრების თავმჯდომარე (ხელის მოწერა).

მდივანი (ხელის მოწერა)“.

საბჭოთა ხელისუფლება კი ისევე, როგორც ყოველ დამსახურებულ ზუშაკს, ვასო აბაშიძესაც-დიდი ყურადღებით მზრუნველობით მოეკიდა და დიდი არტისტი თავის დღიურში 1922 წ. 5 ივლისს სწერდა:

„გავემზავრე დასასვენებლად და საექიმოდ ბორჯომში სახელმწიფო ხარჯზე. მომათესეს მიხეილის სასახლეში... იხილე სათეატრო მუზეუმის ხელნაწ. № 6 — 7).“

თუ წინად არტისტი, მწერალი დევნილი იყო და მშვიერ მწყურვალე. დღეს ის, ბედნიერი და ამაყი, ხალხის საყვარელ შვილად ხდება და მიტოვდა არის, რომ ხალხი, სიყვარულით აფასებს ხელოვნების მუშაკთა ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი და დრამატურგს შალვა დადიანს, რეჟისორს მიხეილ ქიათურელს და არტისტს აკაკი ხორავას და ლიტერატორს ვასო ევგნატაშვილს კოლმეურნეები, მუშები ასახელებენ სსრ კავშირის უზენაეს ორგანოების დებუტატობის კანდიდატებად.

ლიმიტი ბენაშვილი

ღენინი და სჯადინი ქართულ პოეზურ ფოლკლორში

ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე ხალხური გენიის მიერ საუკუნეების გრძელ მანძილზე შექმნილმა მხატვრულმა შედეგებმა ვერ ჰპოვეს შესაფერი მფარველი. წინაპართა ვაჟკაცური ხმა ინახებოდა მხოლოდ ზეპირსიტყვიანობაში და სიტყვიერად გადადიოდა თაობიდან თაობაზე. წარსულში ტანჯვა-წვალება, უფლებობა, საშინელი გაჭირვება აიძულებდა ხალხს შეეთხზა მწუხარე, მაგრამ გენიალური სიმღერები ცხოვრებაზე, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, ვაჟკაცობაზე, ეს სიმღერები თაობათა შეგნებაში შედიოდნენ და ყოველი თაობა დიდის სიყვარულით ინახავდა წინაპართა ხმას. ამ ხმაში ხალხის უნუგეშო ხედვრი ისმოდა:

„ეს ჩემი გული რასა ჰგავს?
ცასა ჰგავს შემოღრუბლულსა,
პირშავრულს დამძიმებულსა.
საწვიმრად გამზადებულსა;
ქალსა ჰგავს ქვარ-ყოფ მოშლილსა,
მამისას დაბრუნებულსა;
ხმალსა ჰგავს პატრონ-მამკედარსა,
პირიანგიანსა ოსერსა;
ცხენსა ჰგავს უპატრონოსა,
სადაცე ჩამოშვებულსა.
წისკვილს ჰგავს მიშლილ-მოშლილსა,
სათავე გადაგდებულსა.“

ამაზე უკეთესად, სრულყოფილად გამოხატვა საუკუნეების გრძელ მანძილზე ნაწამები ხალხის გულისა შეუძლებელია. ასეთი იყო ხალხის ცხოვრება წარსულში და მან სწორად გამოხატა ეს ცხოვრება თავის უკვდავ სიმღერებში.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ დაღწა ბორკილები, რომლებიც ხელ-ფეხს უბოროტდნენ ხალხს თავისუფლების დიდ შარავნაზე გამოსა-

სველელად. ბრწყინვალე სოციალისტურმა, შეძლებულმა ექსპონატმა შექმნა ახალი ყოფა, ახალი ურთიერთობა ადამიანთა შორის, ახალი ურთიერთობაში იქმნებოდა და იქმნება ახალი ხალხური პოეზია, ახალი ფოლკლორი ხალხურ ვაჟკაცურ გულწრფელ სიმღერებს დიდ ბელადებზე ლენინსა და სტალინზე, სოციალისტურ სამშობლოს სიყვარულზე, გმირობა-ვაჟკაცობაზე ახალი მარგალიტები შეაქვთ ფოლკლორის ისტორიაში. ჩვენი დროის გმირი ხალხური პოეზიის საგნად ხდება. ხალხური გენია ახალი ეპოქის ადამიანებს მოსაეს დიდების შარავანდედით, რათა მომავალ თაობებს გადასცეს ამ ადამიანთა თავდადება და ვაჟკაცობა ძველი ქვეყნის გარდაქმნის საქმეში.

დიდი ხალხის სიყვარული თავის სოციალისტურ სამშობლოსადმი, თავისი ბელადის დიდი სტალინისადმი. ეს წმინდათა-წმინდა სიყვარული შემომქმედ ფაქტორად გადაიქცა სოციალიზმის შენების საქმეში, მაგრამ არა ნაკლებ უყვარდათ და უყვართ პარტიას და ბელადს მასები, ხალხი.

ამ ურთიერთი ნდობისა და სიყვარულის ახალ ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს ამხანაგი სტალინის საბოლოო სიტყვა, წარმოთქმული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე 1937 წელს. „ძველ ბერძნებს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — თავიანთ მითოლოგიის სიტყვაში ჰყავდათ ერთი ახელგანთქმული გმირი-ანთეოსი, რომელიც, როგორც მითოლოგია გადმოქცემს, იყო პოსეიდონის — ზღვათა ღმერთის და გეის — მიწის ქალღმერთის შვილი. იგი განსაკუთრებულ სიყვარულს განიცდიდა თავისი დედის მიმართ. რომელმაც იგი შობა, გამოჰკვება და გამოზარდა. არ იყო ისეთი გმირი, რომელიც არ დაემარცხებინა მას — ამ ანთეოსს. იგი უძლეველ გმირად ითვლებოდა. რაში მდგომარეობდა მისი ძალა? იგი მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველთვის, როცა მას მოწინააღმდეგესთან ბრძოლა გაუჭირდებოდა, იგი ეხებოდა მიწას, თავის დედას, რომელმაც შობა და გამოკვება იგი და ახალ ძალას ლებულობდა. მაგრამ მას ჰქონდა თავისი სუსტი ადგილი — ეს იყო საშიშროება, რომ რამენაირად მოსწყდებოდა იგი მიწას, მტრები ითვალისწინებდნენ მის ამ სისუსტეს და უღარაჯებდნენ მას. და აი მოინახა მტერი, რომელმაც გამოიყენა ეს მისი სისუსტე და დაამარცხა იგი. ეს იყო პერკულესი. მაგრამ როგორ დაამარცხა მან იგი? მან მოსწყვიტა იგი მიწას, აიყვანა ჰაერში, დაუკარგა მას მიწის შეხების საშუალება და ამრიგად დააბრძო იგი ჰაერში.

ფიქრობ, რომ ბოლშევიკები მოგვეგონებენ ბერძნულ მითოლოგიის გმირს, ანთეოსს; ისინიც, ისე, როგორც ანთეოსი, ძლიერნი არიან იმით, რომ კავშირი აქვთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი შობეს, გამოკვებეს და გამოზარდეს, და სანამ მათ კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველნი დარჩნენ.

ამაშია გასაღები ბოლშევიკური ხელმძღვანელობის უძლეველობისა“.

ამაზე უფრო დიდი სიყვარული ხალხისა, ამაზე მეტი მტრისა მტრისა შეუძლებელია წარმოიდგინოს ადამიანურმა გონებამ. ბელმონტის უძლეველი აზრები დიდი სიხარულის შუქით ათბობენ ყოველი მშრომელი ადამიანის გულსა და გრძობას. ეს მშობლიური მზრუნველობა და სიყვარული ხალხისა გადაიქცა პოეზიის სათავედ, კერძოდ კი ხალხური პოეზიის სათავედ.

„მრავალ ენაზე და მრავალნაირად გამოსთქვამს მშრომელი კაცობრიობა თავის განუსაზღვრელ სიყვარულს საბჭოთა ხალხის დიადი შეილის მიმართ; ხალხური შაირი, პოეტის ლექსი, მხატვრის ფერადები, მოქანდაკის ხელით გამოკვეთილი მარმარილო, მებრძოლის თავგანწირვა და სიმამაცე, სტახანოველების მიღწევები, — ყოველივე ეს გამსჭვალულია სტალინისადმი სიყვარულით და სოციალისტური სამშობლოსადმი უდიდესი ერთგულებით. ამ გრძნობებით ანთებულა მილიონთა გულები და ეს გრძნობები მალალი და მრავალფეროვანი არიან, ისე, როგორც გვირული საქმეები, სტალინის შემოქმედებით გენიით შთაგონებულნი“ („პრავდა“).

ამ შთაგონებით იქმნებოდა და იქმნება შესანიშნავი ნიმუშები ქართულა ხალხური პოეზიისა.

ხალხური პოეზიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსები ლენინზე და სტალინზე. ლენინზე გამოთქმული ლექსების დიდი ნაწილი ეხება მის სიკვდილის ამბავს, რადგან იგი ყველაზე უფრო მწვავედ განიცადა მშრომელმა ხალხმა:

„მაინე მოვიდა რუსეთით:
ლენინი გარდიცვალა,
თავში დამეცა ბურვილი,
ფეხაშიდი გაიარაო.“

ლენინის, ამ დიდი ადამიანის სიკვდილი ისე მძლავრად მოქმედებს ხალხის გრძნობებზე რომ ამ უკანასკნელს საკმარისად არ მაიჩნია თავისი ადამიანური მწუხარება სამგლოვიარო განწყობილების გამოსახატავად. ზემოდასახელებული ხალხური ლექსის ავტორი, მაგალითად, მიმართავს ბუნების ძალას, იწვევს მას, რათა შეუერთდეს ადამიანთა გლოვას. ბუნებაც თითქოს შეისმენს კაცის ხმას:

„ციემა დაპბერა ნიავმა,
ფურცელი ჩამოჰყარაო,
ტყეში ხეებმა გაიგეს,
ტოტები დაიხარაო,
მთაში გაიგეს ფრინველთა,
გალობა აიკრძალაო.“

აზრის სიდიადით და ფორმის მონუმენტალობით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ლენინზე გამოთქმული ის ლექსები, რომლებშიც ლეგენდის ფორმით არის მოცემული ლენინის პიროვნება. ხალხის თავისუფლებისათვის და მისი სიკვდილი. ერთ ლექსში ლენინის დაბადება შედარებულია ცაზე ბრწყინვალე ვარსკვლავის გამოჩენასთან. თქმულების თანახმად, ეს ვარსკვლავი ყველა იმ ბოროტების მოწმე იყო, რომელიც ასე უხვად ევლინებოდა ხალხს ამ ქვეყნად. ამ ვარსკვლავს ყველაზე მეტად ადარებდა მშრომელი ხალხის უნუგეშო მდგომარეობა. მისი გაჭირვებული ცხოვრება. მნათობი ეძებს გმირს, რომელიც დაიხსნის ხალხს მტარვალთა ბრძკვალეებისაგან. ამ ძებნაში ის თვალს მოჰკრავს თოვლიან მთებში ერთ ქობს; ქობში სძინავს ყრმას. მანათობელი ვარსკვლავი ყრმას უამბობს ქვეყნის გაჭირვებას. ყრმა დაქაბუკდება და სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს ძველ, ბურჟუაზიისა და მემამულეების ქვეყანას. ჰაბუკი იმარჯვებს მტრებზე, ქმნის ახალ ქვეყანას, სადაც მშრომელი ხალხი თავისუფლად ცხოვრობს. ბოლოს იგი იღლება ბრძოლაში და კვდება. ხალხის წარმოდგენით ეს ჰაბუკი ლენინი იყო. თქმულება მთავრდება შემდეგი სიტყვებით:

„მნათობლო ვარსკვლავო!
ამბავთა მომწრე ამისა,
ეტყოდე დიდსა ლენინსა:
— შენი ქვეყანა ჰყვავისა;
ღვეაქაცდით და დავდექით,
როგორც დიდი კლდე სალისა,
გებულადობს ჯუღაიშვილი,
შენ რომ უხმობდი სტალინსა.“

ხალხურ ლექსებში ლენინს ხშირად მხეს ადარებენ და ამ შედარებაში უპირატესობას ლენინს ანიჭებენ, მაგრამ ეს შედარებითი უპირატესობა ლენინისა მხესთან ისე მომჯადოებლად და დამაჯერებლად არის ნათქვამი, რომ გულწრფელად გჯერა ლენინის უკვდავება მხესთან შედარებით:

„მზეო ნუ სტირი, ილიჩი
შეგვიმოსევი სხივებით,
შენი მგობრის ცხედარი
მოფინე მარგალიტებით.
ვით გაადრო, მაგრამ თქვენ შუა
დიდია განსხვავებაი,
შენ მარტო დღისით გვინათებ,
ეს კი ღამითაც მზე არი.
ლენინის მოვლინებამდე
მარტო შენ გყავდი ნუგეში;

ყველასგან მოძულებული
 ვთბებოდით შენსა უბეში.
 მაგრამ თბებოდა სხეული,
 სული კი იყინებოდა.
 ვინ ჩამოთვალოს, რამდენი
 მუშა უმწეოდ კედებოდა.
 ლენინის სხივნი კი გულის
 და სულის სიღრმეს სწედებოდა,
 მოყვარეს განსაკურნავად
 მტერს ლაზვირებით ხედებოდა.“



ლენინზე დაწერილ ლექსებიდან უეჭველად აღსანიშნავია მეორე ჯგუფი ლექსებისა, რომლებიც, როგორც სტილიდან სჩანს, შექმნილია საქართველოს მთიან რაიონებში. ეს ლექსებიც ლენინის სიკვდილის დღეებს ეხებოდა, მაგრამ აქ არის თავისებური, ვაჟკაცური გლოვა და მიმღეობა ამ სიკვდილისა:

„კარგსა რად მოჰკლავს სიკვდილი,
 შამშრალე იყო სხვისაო“.

მთის ხალხს სჯერა, რომ სიკვდილი ყოველთვის ემტერება კარგ ვაჟკაცს, მაგრამ მთიელებს, ვაჟის მსგავსად, სანუგეშოდ აქვთ მისივე სიტყვები:

„ათას ცოცხალსა ბევრჯერა
 ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“.

მთიელი ხალხის წარმოდგენით ლენინის სიკვდილის დროს „შეიკრა შავი ღრუბლები“, „დღემ პირბადე დაიხურა“, სულიერ და უსულო ბუნებაში ყველაფერი დადუმდა. მხოლოდ ერთგან, გუდამაყრის ხეობაში მწყემსი სამგლოვიარო კილოზე უკრავდა სალამურს — იგი ლენინს გლოვობდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს“ „კენესოდა სალამური“. ბოლოს სალამურის ხმაც მისწყდა და ბუნება მდუმარებამ მოიცვა. სადღაც გაისმა ქართული ნანა: აკვანზე მკერდით დაყრდნობილი დედა უმღერდა „ჩვილ ყრმას“, მაგრამ ეს იყო არა დასაძინებელი, არამედ გასალევიებელი „ნანა“:

„გაიღვიძეო პატარა,
 დედაი ზელით გატარებს,
 ნუთუ შენ არა გაშენია,
 რომ ეს ქვეყანა შენია
 გლოვობს ლენინს.
 ჩიტენიაო პატარა,
 დედაიმ, მისთვის გატარა —
 სტალინსა გაჰყვე მტკიცდო
 მიეცი სიტყვა ფიცითა.
 ...ფიცს აღარ ეღალატების“.

აღსანიშნავია მეორე ლექსიც — „თქმულება ლენინზე“. ბუნრის წინ დედა და შვილი საუბრობენ ლენინის შესახებ:



„შეილი ჰკითხავდა დედას:
მთიდან რომ ზავი მოქანავს,
არა ჰგლეჯავსა დეკასა?
ან ცივ მთაზედა დამრჩალსა,
არ სცივა იმა ბეჩავსა.“

აქ „დეკა“ ადამიანთა იმ სოციალური კატეგორიის ერთგვარი სიმბო-
ლიური ნიშანია, რომელიც წარსულში ასე უანგარიშოდ და უზომოდ
იტანჯებოდა როგორც ბუნების მიერ, იაე ბატონებისაგან. ამიტომ უპა-
სუხებს დედა:

„შეილო, წინადა სციოდა,
არვინა ჰყავდა ბატონი,
მხოლოდ სტანჯავდა, ეგ იყო,
ერთი წყვეული ბატონი.
ეხლა კი ახალ დრო არის,
იანიც აყვავდებიან.
ია, ვარდი და დეკანი,
ერთმანეთს დაუტკბებიან.“

ბოლოს დედა პირდაპირ ეუბნება შვილს:

„გულს ჩაინერგე ეს სიტყვა,
შეილო, გაზრდილო დედისა,
უკვდავი ლენინი არის
გამსსნელი ხალხის ბედისა.“

„ხალხის ბედის გამსსნელი,“ — ასეთია თვით ხალხის
წარმოდგენა იმ ადამიანზე, რომლის სახელიც ებოჭებეს, მილიონ თაობებს
გასწვდებდა. ამ ადამიანს ნამდვილი სიყვარულით უყვარდა ხალხი, რო-
მელმაც ტიტანური ბრძოლის შემდეგ გამოიყვანა თავისუფლების დიდ შა-
რაგზაზე. ხალხმაც თავის გულში უკვდავი ძეგლი დიდდგა ლენინის დიად
ხსოვნას. ამ ძეგლს ვერაერთარი ძალა ვერ შეარყევს, ვიდრე ქვეყანაზე
მშრომელი ადამიანის მოდგმა იარსებებს.

• •

ამხანაგი სტალინის შემომქმედი გენიით შთაგონებული ქართული ხალ-
ხური პოეზია განსაკუთრებული შარავანდელით მოსავს ამ დიდი მსოფ-
ლიო ისტორიული მნიშვნელობის ადამიანის პიროვნებას. ჩვენ აქ ფეხსა
ვდგამთ სრულიად უვლელ გზაზე, ჩვენ აქ ვკითხულობთ ნამდვილი პოე-
ზიით შემკულ მღელვარე აზრებისა და გრძნობების ჯერ კიდევ გამო-
უქვეყნებელ თავებს.

„როგორ გადიდო, როგორ ვსთქვა
შენი სადარი ლექსები...
რომ შოთა იყოს ცოცხალი,
უფროდ დავესცხები.“



ხალხის ეს თავიზიანი, გულწრფელი მოკრძალება სრულიად სამართლიანია. მართლაც, ამ დიდი ადამიანის პიროვნების მხატვრულ მოხაზვას ესაჭიროება ანტიური ჰომეროსის ან შოთა რუსთველის შემომქმედი გენია, რომ უფრო ახლო, უფრო სრულყოფილად იგრძნო ამ დიდი ადამიანის სულის ძალა.

მაგრამ ხალხურ პოეზიას აქვს ერთი თვისება, რომლის საშუალებითაც ჰფარავს იგი თავის ამ სუსტ მხარეს: იგი ზომიანე მეტად გულწრფელია და პირდაპირი. ამავე დროს მას ახასიათებს ელინური სინათლე და სიჯანსაღე. ეს თვისებები მკრეელი იარაღია ხალხური შემომქმედის ხელში. რომელი ცნობილი პოეტის ლექსს ჩამოუვარდება ქვემოთმოყვანილი ხალხური ლექსის ძალა და მოქნილება:

„არ მინდა ვოლგას გამსგავსო —
მდორეა, გაბლანტებული;
არც ამ ჩვენებურ არავსა —
გოგია აქაფებული.
არც მყინვარს ჰგებხარ თეთრწვერას —
ცივია უკარებელი;
არც კლდე ხარ, კაცის ურგები —
სალია, უტარებელი.
იქნება ოკეანე ხარ,
ლავეარდით დამძიმებული?
ან ჭარიშხალი, სპეროზს
კლდეებთან დაჭიდებული?
მაღალი მთების არწივო,
ცა მხრებით გაგიხვევია,
გაგიკვეთია ღრუბლები,
მზე ჭვეუნად გაგიხნევია,
მშრომელი ჭვეუნის აქვანი
მზრუნველად დაგირწევია,
საბუდრად მილიონების
გულეში აგირჩევია...
შენ ჩვენი აზრი, ფიქრი ხარ,
მიგვიძლვი გულეშს გვიალეზ,
ჩვენი გრძნობა და ცეცხლი ხარ,
გულში იმედად ფრთხიალებ.
ჩვენი დროშა ხარ, მიიბრძევი
და კალთებს მიაშრიალებ.
თუ გზას გადავცდით, დაგვიტევი,
ძაბილს არ დაგვიგვიანებ.“

სტალინზე დაწერილ ლექსებიდან თავისებურ შთაბეჭდილებას ახდენენ ის ლექსები, რომლებიც უნდა გამოხატავდნენ სიბერის ხანში შესული ადამიანის განწყობილებას ბელადისადმი. ამ ასპექტის განხილვას ღრმად სწამთ, რომ კარგი შეილის აღზრდა მშობლების განსაკუთრებით კი დედის მზრუნველობის შედეგია. ამიტომაც, რომ ამ ჯგუფის ლექსები ყოველთვის იწყება სტალინის მშობლების შექებით:

„შენი მშობელის ჭირიშე,
ვინცა გიმღერა ხანაო,
ვინც თავის კალთით გაზარდა
ბელადი შენისთანაო.
შენ მოგვიპოვე ცხოვრება,
შექმენი ოქროს ხანაო.“

მეორეს მხრით, დამახასიათებელია, რომ ამ ტიპის ლექსებში ადამიანები უფრო თავისუფლად, უფრო გაბედულად მიდიან ბელადის პიროვნებასთან. მაგრამ, რომ დაფარონ უხერხულობა, რომელიც თან სდევს ამგვარ გამბედაობას, ლექსის ავტორი პირდაპირ გვეუბნება: ლექსი მოხუცის გამოთქმულია და არა ახალგაზრდა ადამიანისა, რომელსაც საერთოდ უფრო მეტი მოკრძალება მართებსო:

„მოხუცდი, მაგრამ ეს გული,
კვლავ გადაშექცა ახალად,
აწი რომ მოვედო, არ ვჩივი,
რაკი მოვესწარ ამ ხანას
გულით სიცოცხლეს გისტრეგებ
ბელადს, ბრძენსა და ამხანავს.“

სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენენ ის ლექსები, რომლებიც ახალგაზრდა თაობის განწყობილებას გამოხატავენ. იქ არ მოსჩანს მოხუცი თაობის ის თავისებური სიდინჯე, რომელიც მათ ცხოვრების პრაქტიკულმა გამოცდილებამ შესძინათ. გამოცდილების ადგილს იჭერს სურვილი, მისწრაფება, მოძრაობა და მოქმედება. ახალგაზრდები უმღერიან მამაცთა თავგანწირვას და თვითონაც მზად არიან ამგვარი მოქმედებისათვის. ერთგვარი სიდინჯე, რომელიც ახასიათებს მოხუცი თაობის მიერ გამოთქმული ლექსების სტილს, იცვლება მღელვარე სტილით :

„შენით ვამაყობთ, ბელადო,
ჩვენი ხარ, განა სხვისაო.
ისე აეკაფოთ დუშმანი,
როგორც ტოტები ხისაო.“

ბელადის სიყვარულით შთაგონებული ეს ოთხი სტრიქონი ძალიერ ბევრის მთქმელია. რაოდენი გულწრფელობა, პატიოსნება და სიყვარულია, ფრაზაში: „ჩვენი ხარ, განა სხვისაო“. ეს მსოფლიო მსოფლიოზე შეიძლება ითქვას, რადგან იგი „ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია“.

სტალინზე შეთხზულ თქმულებათა შორის აღსანიშნავია ერთი თქმულება ლექსად, რომელიც ამ სტრიქონების ავტორს უამბო ქვემო ქედის მცხოვრებმა, მწყემსმა ნიკო ბიბილურმა. ამ ლექსს მწყემსები ხშირად დამღერიან ჩონგურზე. თქმულებაში ყურადღებას იქცევს, ერთას მხრით, შესანიშნავი სიუჟეტი, მეორეს მხრით ტიპების მკვეთრი გამოხატვა. ნაწარმოებში ორგანულად ერთიანდება მთავარი მომქმედი გმირის ორი ეპოქის მიჯნაზე გატარებული ცხოვრება.

ნაწარმოები იწყება ორმოცი წლის წინათ მომხდარი ამბით და მთავრდება კრემლის სასახლეში მწყემსების მიღებით — 1936 წელს. ამბავი მარტივად იწყება. მახარე წიკლაურის (მთავარი გმირია) მამა მწყემსი იყო კახეთში სიმდიდრით განთქმული გუგუთაშვილისა*). ერთ ღამეს შირაქის ველზე გუგუთაშვილის ცხვარს ლეკები დაეცემიან. იმართება ბრძოლა ლეკებსა და მწყემსებს შორის. ამ ბრძოლაში კედება მახარე წიკლაურის მამა. მამის სანაცვლოდ გუგუთაშვილს მწყემსად მიჰყვა 17 წლის ქაბუკი მახარე. ბევრი ტანჯვისა და შეურაცყოფის მოწმე და ობიექტი ხდება ახალგაზრდა მწყემსი. მახარეს მტრად გადაეციდება გუგუთაშვილის სარქალი გეჯა**). მტრობის შედეგად მახარე წიკლაური ხანჯლით ჰკლავს გეჯას და თვითონ ზაქათლის გზით დაღესტანში გადადის. იქ მწყემსად უდგება ერთ ქისტს — მურსალას. პირველ ხანებში მურსალა და მახარე „მშურად“ ცხოვრობენ. გადის წლები. იწყება სამოქალაქო ომი დაღესტანში. წითლები და პარტიზანები გააფთრებით უტევენ თეთრებს. მურსალა თეთრების მხარეზე იბრძვის. ერთ ღამეს მურსალას ბინაზე ხელფეხ-შეკრული მოჰყავთ კარგი შეხედულების ახალგაზრდა ვაქაკი. როგორც შემდეგ თავებიდან ირკვევა, ეს იყო წითელი პარტიზანების ცნობილი მეთაური მალსაგი. ლექსში შესანიშნავად არის გადმოცემული მახარესა და მალსაგის პირველი შეხვედრა.

გაზაფხულის მშვენიერი დილაა. აულის მოშორებით მიწურ ქოხში სხედან: მურსალა, მალსაგი და მახარე. უცებ მურსალა იშინვლებს ხანჯალს და ხელ-ფეხ შეკრულ მალსაგს გულზე დაადებს: „მალსაგ, თუ გინდა ცოცხალი დარჩე და შენი ღამაში ცოლი დაიბრუნო, გურჯის***) აა-

*) ხალხის გადმოცემით, გუგუთაშვილს ჰყოლია 40.000 სული ცხვარი და 300 მწყემსი

**) კაცის სახელია. სარქალი ცხვრის პატრონის მიერ დაყენებული მწყემსების უფროსი.

***) ივლისხმება სერგო ორჯონიკიძე.

ხელზე დაწერე წერილი, რომ შენ ხელს იღებ ბრძოლაზე". „მურსალ, ეგ არ იქნება“, — უპასუხებს მალსაგი. სიტყვის დამთავრებულ შემდეგ მურსალი მალსაგს, რომ მურსალამ მარჯვენა ხელი ხანჯლით მუქკვლევი მურსაგს-ცოტა ხნის შემდეგ მარცხენა ხელიც მოჰკვეთა. მაგრამ მალსაგს პირიდან კენესა არ აღმოხდენია.

მახარე შეწუხდა. შეაწუხებს, ერთის მხრით, მურსალას არაეაქციური მოქმედება ხელფეხ-შეკრულ კაცთან, მეორეს მხრით — მალსაგის უნუგეშო მდგომარეობა. მახარე სწრაფად წამოვარდება და ხანჯლის ერთი მოქნევით თავს გააგდებინებს მურსალს. მახარე მხრებზე შეიგდებს მალსაგს და გასწევს მთებისკენ. დაღამდება. მახარე მიწაზე დაასვენებს დაჭრილ ვაეკაცს:

„ვაეკაც ლომ შესადარები
წამოვაწინე მიწასა,
ტივილი დიდი ჰქონია,
ფეხითა ზრავდა ქვიშასა.
ადგომა სცადა ბეჩემა,
ლონე არ მოსდევს ტიალი.
გაჯავრდა ქისტეთის შვილი,
მიწაზე იწყო ტრიალი.“

გათენების ჟამს მალსაგი რალაც წერილს გადასცემს მახარეს, თვითონ კი კვდება. მახარემ მიცვალებულს ხანჯლით სამარე გაუთხარა და დამარხა. თვითონ კი წითლებისაკენ გაეშურა.

„ქელსა გადაედემ ოხერსა,
იდგა ხანჯლების ტრიალი,
ზოგან ყუმბარა სქდებოდა,
ხან ზარბაზანი ტიალი,
ვხედავდი, სისხლის ზღვა იდგა,
სიკოცხლე ველარ გავრობდა,
მოკლულ ვაეკაცის გულმკერდზე
ყვავი, ყორანი ხარობდა.“

წითლები იმარჯვებენ... დაღესტანში მყარდება საბჭოთა ხელისუფლება. ამ ბრძოლაში მახარე ახლო გაიცინობს სახელგანთქმულ „გურჯს“. „გურჯი“ მშობლიურ ენაზე მოუთხორობს მახარეს ლენინისა და სტალინის საგმირო საქმეების შესახებ.

„გული, გონება გამეხსნა
მის შეწვევით და ძალითა,
მივაგენ, რასაც ვეცებდი
ხორციით, სისხლით და ხმალითა.“

სად არ იფხიზლებს ჩაგვრულებს
 მათი სიტყვა და სახელი,
 აერთიანებს ტანჯულებს
 იმათი გადაძახილი.“



ბოლოს ლექსში მოცემულია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ამბავი საქართველოში. დასასრულ, მახარე ხდება ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობის მეცხეარეობის ფერმის დირექტორი. 1936 წელს მას იწვევენ კრემლში და აჯილდოვებენ ლენინის ორდენით. კრემლში მას ხედება ძველი ნაცნობი „გურჯი“

„გადამეხვია გურჯაი,
 ძმურად ჩამკონა ლოყასა.
 ჩემკენ დაიძრა ბელადი,
 თან მეგობრები მოჰყავსა;
 ქართულად გამარჯობა თქვა,
 თან ამბავს მკითავს მთისასა:
 „ღარ მღერო, მთიელი,
 საშობლო ხევესურისასა?“
 — მე როდი მქონდა საშობლო,
 ლატაკს პირ-მიწა შეყარა;
 ეხლა კი ყველაფერი მაქვს:
 მიწა, საშობლო, ქვეყანა.“

ამ სიტყვებით მთავრდება ლექსი.

თავისთავად ცხადია, რომ ამბის ასეთი სქემატიური გადმოცემა ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას ხალხური ლექსის შინაგან სიძლიერეზე, მაგრამ ამ სქემაშიაც ნათლად მოსჩანს ხალხის ფანტაზიის ძალა.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ხევესურების მიერ შეთხზულ ლექსებს სტალინზე. საერთოდ ხევესურეთი პოეტური ფოლკლორის ქვეყანად არის ცნობილი. ხევესურთა თავისუფალი და ლალი ფანტაზია ადვილად სძლევს დასამუშავებელ მასალას და პოეტური ფერებით ამკობს ყოველივეს, რასაც ახლო კავშირი აქვს გამირობასა და თავგანწირვასთან. ვაეკაცობა და სიმამაცე ხომ მარად უქცნობი თემებია ხევესურული პოეზიისათვის. ამ თვალსაზრისით უცქერიან ხევესურები სტალინის პიროვნებასაც.

„წამოვა მთის ხევესურები,
 ოღონ ხმა დასწედეს შენია,
 მხარზე ქართული თოფები,
 წელზე გამჭრელი ხმლებია.“

ან კიდევ:

„გაგვიძვხ, ჩვენო ბელადო,
დრო როცა დადგეს კდისაო,
თან ჩამოჰყვებით ყველით,
მუხლი გვაბია მგლისაო...“

ერყენული
ბიზნაიჩუთუქა

ხევსურული ლექსების დიდი ნაწილი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის თემებს ეხება. ხევსურებს უყვართ თავიანთი სამშობლო, მაგარა ვიწრო კლთხური გაგებით, არამედ ფართო, ინტერნაციონალური მნიშვნელობით. ხევსური აღარ ემტერება მოძმე, მეზობელ ერებს, რადვან შეგნებული აქვს თავისი დიდი მოვალეობა ხალხის წინაშე:

„მჯეროდეს, დიღო სტალინო,
მკლავს აღარ მოვჭრი ქისტასა!
დავამოზილეთ ურთერთსა
ხალხი ბჟრის და მთისაჲ.“

პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ინტერნაციონალური შეგნება დიდი რამეა ხევსურებისთვის. ხევსურმა შეიგნო, რომ სამშობლოს სიყვარული უნდა გამოდიოდეს საერთო საბჭოთა კავშირის სამშობლოს სიყვარულიდან, ისევე, როგორც ნაწილი მთელისაგან. ეს დიდი შეგნება მათში დანერგა სტალინურმა ბრძნულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ. ამ შეგნებათ ამბობს ხევსური უარს ქისტის მოკვლაზე, იგი ძმად ეფიცება ძველ მოწინააღმდეგეს. აქედან იწყება ამ ძველი ტრადიციის ნგრევა. ძველ დროში იყო ცალკეული შემთხვევები, როცა კარგ ვაჟაკს, თუ კი ის გმირულად მოკვდებოდა, მკვლელი არ სჭრიდა მარჯვენას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოქმედება სასტიკად ეწინააღმდეგებოდა თემში საყოველთაოდ მიღებულ წესსა და კანონს. ამ წესის დამრღვევს თემი სასტიკად უსწორდებოდა, მას მოელოდა ოჯახითურთ განდევნა თავის სამშობლო მიწა-წყალიდან. არა ერთი და ორი ვაჟაკი გამხდარა ამ კანონის მსხვერპლი. ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაური დიდებული სახეა კეთილშობილი რაინდისა, რომელიც მარტოდ-მარტო ალუდა საკუთარ თემს ამ საშინელი, კანონად მიღებული ტრადიციის დაცვის საქმეში. მაგრამ დამარცხდა ქეთელაური. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. თვითონ ცხოვრება ძველად ხელს უწყობდა ამ ბარბაროსულ ტრადიციას. ამრიგად, საქირო იყო ჯერ თვით ცხოვრების შეცვლა, რათა ტრადიცია განადგურებულიყო.

სტალინზე გამოთქმულ ყოველ ხალხურ ლექსსა და სიმღერაში მკითხველი გრძნობს ხალხის უდიდეს სიყვარულს კოლმეურნეობებისადმი. ხალხი დიდების შარავანდელით მოსავს კოლექტივებს, უმღერის მათ, რადვან კოლმეურნეობაში ხედავს საკუთარ ბედნიერებას:

„ცაზე მოვარე ამოსულა,
ნიშანია დარისა,
კოლექტივი გაძლიერდა,
ვენაცვალე სტალინსა!“



ინ:

„ჯულაშვილო, მე შენ ვაშენს
ვენაცვალე ყელშია,
დაწიხლული გლებ-კაცობა
შენ გამართე წელშია.“

დასახელებული ლექსები დიდი ხანია შევიდა ხალხის სიმღერების რეპერტუარში. ეს სიმღერები მეტად ინტიმური, ახლობელი და მშობლიურია. მას მღერიან ჩვენი ბედნიერი, სოციალისტური სამშობლოს ყოველ კუთხეში, ყოველ ოჯახში, იგი პოპულარული და გასაგები გახდა ყველასთვის, ვისაც უყვარს სოციალისტური სამშობლო, ვისაც სწამს და სჯერა მისი უძღვევლობა, ვინც ყოველ წუთს მზადაა თავი დასდოს სტალინის დიადი საქმისათვის.

დასასრულ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ხალხური პოეზიის ერთი უშესანიშნავესი ნიმუში *), რომელშიაც ბალადის ფორმით მოცემულია ბელადის პიროვნება. ამ ლექსს ერთგვარი თავისებურება შეაქვს ხალხურ პოეზიაში. ლექსი ფორმალური, მხატვრული ხერხებით ისეა შესრულებული, რომ მისი წარმომთქმელი უეჭველად მომზადებული, კულტურის მალალ საფეხურზე მდგომი ადამიანია, მაგრამ რატომღაც ავტორი ერიდება თავის პიროვნების დასახელებას. ერთ მომენტსაც უნდა გაესვას ხაზი: ლექსში არა მარტო უხვად არის გამოყენებული ხალხური პოეზიის თქმები, შედარებები, სახეები, არამედ თვით ლექსის სტილის საწყისებიც ხალხური პოეზიიდან მოდის. შეიძლება ამიტომ ამ ლექსის მთქმელმა ზედმეტად ჩასთვალა თავისი პიროვნების გამოჩენა. ჩვენთვის მაინც და მაინც საინტერესო არ არის პიროვნების დადგენა. ლექსი მკითხველამდე მივიდა, როგორც ხალხური პოეზიის ერთი საუკეთესო ნიმუში. მკითხველმაც იგი ისე მიიღო, როგორც ბევრი სხვა ბრწყინვალე შედეგრი ხალხური პოეზიისა.

საერთოდ ცნობილია, რომ ხალხური ლექსის გამომთქმელი ლექსის დასაწყისში ხშირად მიმართავს ბუნების ძალებს. შემოქმედებითს პროცესში იწვევს მათ. საუბრობს მათთან, როგორც ჩვეულებრივ, თავის თანატოლ ადამიანთან. ბუნების ძალებიდან მეტწილად იწვევენ ცის მნათობებს: მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს. ხალხი მთაში ხედავს მხატვ-

*) ლექსი გადმომცა ახალგაზრდა მოხევემ მალსაგიშვილმა. ლექსი მალსაგიშვილს ჩაუწერია მთიულეთში.

რულ შთამგონებელ ძალას. ჩვენს მიერ დასახელებული ლექსიც ცის/მნათობებისადმი მისალმებით იწყება.

ლექსი ცის/მნათობებისადმი მისალმებით იწყება.
 ეპიკურული
 გიგანტიზმი

„მოგესალმებით ცის მნათო,
 ცაე, წმინდაე, ვარსკვლავიანო;
 ნუ გამიწყობით, ნუ მიწყენთ
 სალამი დავაგვიანე.“

მაგრამ ამ კოსმიურ ამღერებიდან ხალხური ლექსის მიჭმელი, ისე მოხერხებულად, კანონზომიერად და უშუალოდ გადადის მიწიერ ამღერებაზე, რომ მკითხველის შეგრძნებაში შეუმჩნეველი რჩება უცაბედი ნახტომი ციდან დედამიწაზე:

„გრძნობა-ფიზიკაში ნალესი
 მინდა დღეს ავახშიანო.
 მოგროვდით, კარგო სიტყვებო,
 რაც გვეყანაზე თქვიანო.
 შენც, ჩემო ტყვილო ჩანგურო,
 ბეერი მნახველი ჭირისა;
 ბეერი დავმღერდა ვიქციო,
 მაგრამ კერძ ვახდა ჭირისა.
 ბეერს უთხარ მწარე პანგები,
 ამონაწები ნალველსა —
 არვინ გისმენდა, ტიალო,
 ესმოდი მხოლოდ მნახველსა.
 ახლა კი, ჩემო ჩანგურო,
 დვიძლ ძმაზე თანაზიარო,
 მინდა, რომ ახლა მაინცა
 სხვა გრძნობით ავახშიანო.
 იმღერე, როგორ შევედით
 კრემლის სასახლის თაღებსა,
 ჩვენ რომ ვნატობდით ყოველდღე
 თურმე ის გვიღებს კარებსა.
 მოვიდა ჩემთან ბელადი,
 ხელი დამადეა მხარზედა,
 მითხრა: „იმღერე, ბიჭაუ,
 ლექსი ჩონგურის ხმაზედა“.
 შეეხედე, ჩემი ძმა იყო
 ხორციით, სისხლით და ძვალთა.
 უთხარი: „ძეო კობაი,
 ველარა მცნობდა თეალითა?!“
 მითხრა: „როგორღა ვერა გცნობ,
 ჩემთან იბრძოდი მახვილით
 ერთი ხარ იმართავანი,
 მოსილი ხალხის სახელით“.
 პასუხი კარგად მომიგო,



როგორც შეფერის ბელადსა.
 შე ჩონგურ ავახშიანე,
 დამღერე ხელდახელადა:
 გავვიძებ, დიდო ბელადო,
 დრო როცა დადგეს ცდისაო,
 თან ჩამოგყვებით ყველაი—
 მუხლი გვაბია მგლისაო“.

არავითარ კომენტარიებს არ საჭიროებს ლექსი. იგი იმდენად ღრმა და ძალუმ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რომ ყოველგვარი ახსნა-განმარტება მხოლოდ გააფრმავებდა ლექსისაგან მიღებულ ესთეტიურ სიამოვნებას. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ფაქტია, რომ ერთგვარი მაგიური ძალით გვაჯადოებს და გვზიბლავს, გვათბობს და გვაცოცხლებს ეს ლექსი. ისევე, როგორც სტალინზე გამოთქმული სხვა შესანიშნავი ლექსები. ასეთია ხალხური შემოქმედების ძალა.

გაივლის წლები და საუკუნეები. კიდევ მრავალი თაობა ამღერდება სტალინის, ამ დიდი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ადამიანის შთამოვლენელი გენიით. როცა ჩვენი მომავალი ბედნიერი თაობები გადახედავენ წარსულს, იტყვიან: ოქტომბრის დიდი რევოლუციით დასრულდა ადამიანის ისტორიის კოშმარული პროლოგი და დაიწყო კაცობრიობის ნამდვილი ისტორია. ამ ისტორიის გენიალური შემომქმედნი იყვნენ ვლადიმერ ლენინი და იოსებ სტალინი.



ისტორიულ-კავშირული ნაკრები ქართულ საბჭოთა მწიგნობარში

1

ვრცელი და ხანგრძლივია იმ ბრძოლის ისტორია, რომელიც კაცობრიობის მოწინავე ადამიანებმა დაიწყეს მხედური წყობილების — კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორია უაღრესად კეთილშობილური ეპოქეა, სადაც სიტყვა არ სცილდება საქმეს. და იდეალურ გმირებად, რომლებსაც წარსულში თანამედროვე მწერალი პოულობს, მიიჩნევიან არა ისეთი ადამიანები, რომელნიც მხოლოდ „საკუთარი წარმოდგენით არიან რევოლუციონერები (ასეთ რევოლუციონერად მარქსი სთვლიდა ზიკინგენს). არამედ პირდაპირი, პრინციპიალური ადამიანები, რევოლუციის საქმის ბოლომდე ერთგული ადამიანები. ასეთი კეთილშობილური წინაპრები და შვილები მხოლოდ მუშათა კლასს ჰყავს. და მუშათა კლასის თვალსაზრისზე მდგომი მწერლის გატაცების საგნადაც ბუნებრივია, რომ ასეთი ადამიანები არიან. ცხადია აქედან, თუ რატომ გააკრიტიკეს ასე მკაცრად მარქსმა და ენგელსმა ფერდინანდ ლასალი, როცა ამ უკანასკნელმა თავის პიესაში შეთქმულად საუკუნის გერმანიის რევოლუციის შესახებ მოწიწებით მუხლი მოიდრიკა ფრანც-ფონ ზიკინგენის წინაშე. მარქსის აზრით, ზიკინგენი დაიღუპა, როგორც დაცემის გზაზე დამდგარი კლასის წარმომადგენელი. ლასალმა გვერდი აუხვია იმ დროინდელი გლეხური რევოლუციის ბელადს მიუნცერს და თავის იდეალიზაციის საგნად რაინდი ზიკინგენი გაიხადა. ამრიგად, ლასალმა თავისი პოლიტიკური ოპორტუნიზმის წყალობით ლიბერალურ-თავადური ოპოზიცია მალლა დააყენა პლემბურ-მიუნცერულ რევოლუციაზე. ლასალმა ვერ დაინახა რევოლუციური ხალხის ნამდვილი წინაპარი.

მარქსის ეს მითითება ლასალის მიმართ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს იმ მწერალმა, რომელიც ისტორიულ თემებზე მუშაობს. ეს კი აქამდე ბევრს ავიწყლებოდა: სწერდნენ რომანებს, რომელთაც რევოლუციის წარსულის ასახვის პრეტენზია ჰქონდათ, ნამდვილად კი ეს რომანები მთავარ გმირად ირჩევდნენ რომელიმე წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტს და შარავანდელით მოსავედნენ მას, ხოლო რევოლუციის

ნამდვილი ადამიანები ჩრდილში რჩებოდნენ: ასეთია, მაგ. თეოდორე ჯეჯელის „სისხლი“, მაგრამ ამაზე ქვემოდ...

რევოლუციის გამორულ წარსულს არა ერთი მგზნებარე ლექსი უძღვნა ვალაქტიონ ტაბიძემ. პესიმიზმი და სასოწარკვეთილების გრძობა მის შემოქმედებაში ოპტიმიზმით შესცვალა, და რევოლუციის ტალღებმა ეს დიდი პოეტი ახალი ქვეყნის მზიან ნაპირზე გაიყვანეს. ვალაქტიონი, როგორც პოეტი, ხელმეორედ დაიბადა რევოლუციაში. მან, როგორც ოდესღაც ჰეინემ, რომანტიზმის ცისფერი ყვავილი რევოლუციის მქუხარე სიმღერაზე გასცვალა. მის პოეზიაში ფანტასტიური ლურჯა ცხენების ნაცვლად ცხრაასწვიდმეტი წლის ბარიკადები გამოჩნდნენ.

ვალაქტიონი აღწერს თავის ლექსებში წარსულის რევოლუციური ბრძოლის ცალკეულ ეპიზოდებს, არალეგალური მუშაობის ეფექტურ სცენებს. ასე მაგ., „ეპოქაში“ მოთხრობილია გამორული თავგადასავალი ასოთამწყობისა, რომელსაც მატარებლით მიაქვს პროკლამაციები და რომელსაც თან მისდევენ და თვალს ადევნებენ ყანდარმები. ასოთამწყობმა ქვეანახშირით გამურული საბარგო ვაგონი მონახა, რომ არ მიექცია „ზედმეტად ცნობისმოყვარეთა“ ყურადღება. მაგრამ ყანდარმებს უკვე შემჩნეული ჰყავდათ იგი და მოხერხებულ მომენტს ელოდნენ, რომ ეტაცნათ ხელი. აი მატარებელი მიჰქრის გაშლილ ველებზე. ლიანდაგის მახლობლად გლეხები მიწას ხნავენ. ასოთამწყობი იღებს ხურჯინიდან პროკლამაციებს და ჰაერში ჰფანტავს. გლეხები ანებებენ გუთანს თავს და ამ მოწოდებებს კითხულობენ. აი სადგურიც. ასოთამწყობმა შეამჩნია, რომ ყანდარმები უკვე მისკენ მიდიან. ბევრი აღარ უფიქრია, ჩამოხტა და დაიშალა სადგურზე, წასვლისას კვლავ მოახერხა და შეახტა მატარებელს. კვლავ შეამჩნიეს იგი, წარბშეუხრელი მებრძოლი კვლავ ახერხებს ყანდარმების გაბრწყინებას. ბოლოს მატარებლის სახურავზე მოექცევა.

ამდენი დევნის მიუხედავად, ასოთამწყობი მზინც თავისას აღწევს. იგი ხელიდან გაუძვრება ყანდარმებს. მთელი ეს ამბავი ვალაქტიონის პოემაში მოთხრობილია ისე ნათლად და შეაფიოდ, რომ მკითხველს თვალწინ უდგება უშიშარი მებრძოლი რევოლუციონერის გამბედაობით და სიმამაცით აღსაყვთ ფიგურა.

მგზნებარე და მკაფიო სტრიქონებით ხატავს ვალაქტიონ ტაბიძე თავის „ეპოქაში“ პარიზის ცომუნის გამორულ დღეებს. პარიზის ცომუნა ტაბიძეს აღწერილი აქვს საერთოდ რევოლუციური მოძრაობის, ბრძოლის ვრცელ პერსპექტივაში.

გ. ტაბიძის მიერ კომუნაზე დაწერილ ლექსებში არის არა მარტო გულწრფელი პათოსი, არამედ ცოცხალი სურათებიც. არის არა მარტო კომუნის მოგონებით გამოწვეული პოეტური გატაცება, არამედ რეალისტურად დახატულია მშრომელი ადამიანის ბედობალიც იმ ქარიშხლიან დღეებში. 1871 წელს ბურჟუაზია მხეტრად გაუსწორდა მუშათა კლასს.

იმპერიალიზმის დღევანდელი ლაქები — ველური ფაშისტები არა მარტო აგრძელებენ ტიერის ტრადიციებს, არამედ უფრო შეუქცევლად. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიის ამ სისხლიან ისტორიის მხედრები მტკიცედ ური პოლიტიკური ამოცანაა.

ამ მხრივ შესანიშნავი პოემა დასწერა ვალერიან გაფრინდაშვილმა — „პარიზის კომუნა“. ეს პოემა ზრდის მკითხველის შეგნებაში კლასობრივ სიძულვილს მსოფლიო იმპერიალიზმისადმი. გაფრინდაშვილის პოემა თვალის გამჭირახი გადავლებით გვიჩვენებს მთელს ისტორიულ ეპოქას, გვიჩვენებს „ამბოხებულ პარიზს“ და „გარყენილ ვერსალს“. ამ პოემაში მართლაც მთელი მკერდით სუნთქავს ისტორია, ისმის მისი გმირული ნაბიჯების ხმა. კითხულობთ პოემას და გრძნობთ, რა გულწრფელად რა ახლოს მისულა რევოლუციის უკვდავ ადამიანებთან პოეტი. პოემის ყოველი სტრიქონი გაქვნილია მგზნებარე ლირიკული გატაცებით და უმაღლესი შურისძიების გრძნობით. გაფრინდაშვილის უაღრესად ემოციური და პოლიტიკურად მახვილი პოემა ახალი საფეხური იყო მის შემოქმედებაში. პოეტის ლირიკულმა ბუნებამ თავისი თავი ყველაზე მძაფრად გასინჯა და გამოსცადა ისეთ დიდ ისტორიულ თემაზე, როგორც პარიზის კომუნაა. და ეს გამოცდა გაფრინდაშვილმა ბრწყინვალედ ჩააბარა.

მაგრამ პოემაში ჩვენ პირველ რიგში გვიანტერესებს არა მარტო ის ფაქტი, რომ პოემის მხატვრულ ფორმას სახეების მრავალფერადიანობა და სიმძაფრე ახასიათებს. აქ მარტო ძვირფას მხატვრულ ჩუქურთმებთან არა გვაქვს საქმე. მთავარია ის, რომ პოემაში სწორად არის გაგებული მსოფლიო ისტორიული ტენდენცია, რომ პოემაში არა აბსტრაქტულად, არა ზერელებდ, არამედ დამაჯერებლობით ნაჩვენებია, რომ „სახელოვანი წინაპარი დიდი ოქტომბრის არის კომუნა“. ამ დედა-აზრის შინაგანი ხილვით განათებულია პოემის ყოველი სტრიქონი.

პოემაში მოსჩანს ორი ქვეყანა: ერთ მხარეს დგას კეთილშობილი პარიზი, რომელმაც წააქცია ეშაფოტზე უარესი ვანდომის სვეტი, უხეში ძალის, ყალბი დიდების, მილიტარიზმის ეს ძეგლი. ხოლო მეორე მხარეს — ვერსალის ბურჟუაზია და მისი პირსისხლიანი ძაღლები, რომელთა ურიცხვი ხროვა მიესია მუშათა კლასს. მეტად მძაფრად გვიხატავს პოეტი გენერალ გალიფეს — პირსისხლიან ფრანკოს ამ პროტოტიპს.

პოემაში ნაჩვენებია ისიც, თუ ვის და რას იცავს ეს სისხლიან ძალი — გალიფე. ეს არის, როგორც პოეტი ამბობს „ენდარმების, კოკოტკების და სპეკულიანტების გროვა“, გენერალ ტროშუს და ეიულ ფაფრის პარიზი, რომელსაც მარქსმა „მეძავი პარიზი“ უწოდა. ეს არის ოინბაზების, ბულვარებში მოხეტიალე ქალვაყების, მდიდარი, კაპიტალისტური, უქმი პარიზი თავისი ლაქებით, მაღალი წრის შანტაჟისტებით, ირლანდიელი აბსენტისტებით, ლიტერატურული ბოჰემით და მეძავი ქა-

ლებით. და ეს პარიზი, ამბობდა მარქსი, იყო მთლიანი სიცრუე. *რევოლუცი* კომუნის დროინდელი ერთი კონსერვატიული გაზეთის (ლონდონში გამოდიოდა) პარიზელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, იმ პერიოდში როცა დაქრილნი პერლაშეზის სასაფლაოს ლოდებს შორის სტენა-პლენდენგ, როცა ექვსი ათასი დამფრთხალი მემამბოხე კატაკომბების ლაბირინტში დაეხეტებოდა, როცა ქუჩებში უბედური ტყვეები მიჰყავდათ, რათა გუნდ-გუნდით დაეხერიათ. — აი ამ დროს ზეიმობდა მეძაფე პარიზი. ყავახანები სავსე იყო აბსენტის მსმენელებით და ბილიარდის მოთამაშეებით.

მდიდრული რესტორანების ცალკე კაბინეტებიდან მოისმოდა ორგანის ხმაურიო, — გვაცნობებს ამ ამბების ერთ-ერთი მომსწრე და მოწე.

აი სწორედ ეს მოვლენებია ასახული გაფრინდაშვილის პოემაში. მასში ნაჩვენებია, როგორ ნებივრობდა ბრებანთან ტეოფილ გოტიე მაშინ, როცა პარიზი სისხლისაგან იცლებოდა. გაფრინდაშვილს თავის პოემაში ასახული ჰყავს პარიზის კომუნის სახელოვანი ადამიანები: პოლონელი დომბროვსკი, რომელიც გმირულად დაიღუპა პარიზის ბარიკადებზე და რომლის ტრადიციებს დღეს აგრძელებენ ესპანეთის რესპუბლიკური არმიის ინტერნაციონალური ბრიგადის მებრძოლნი (ამ ბრიგადის ერთი რაზმი, რომელიც პოლონელებისაგან შესდგება, დომბროვსკის სახელს ატარებს,) დელეკლიუზი, როსელი. ღრმა შთაგონებით აქვს მეტადრე გადმოცემული გაფრინდაშვილის ლუიზა მიშელის მებრძოლი და თან ნაღვლიანი განწყობილებანი კომუნის დამარცხების შემდეგ. ეს არის პოემის მეცამეტე თავი — „ლუიზა მიშელის სიმღერა განდევნაში“.

რევოლუციური ბრძოლისა და რევოლუციის ისტორიის უკვდავ ტრადიციებს ეხება ალ. გომიაშვილის პოემა „ისევე ეძახიან გერმანიას“. ეს არის პოემა, რომელშიაც წარსული ეხმაურება თანამედროვეობას, რომელშიაც წარსულის მებრძოლნი მოუწოდებენ გერმანიის მშრომელ ხალხს, გადამწყვეტი იერიში მიიტანოს ველური ფაშისმის წინააღმდეგ. პოემის თემად ავტორს მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრის, გენიალური ადამიანის კარლ მარქსის ცხოვრება და ბრძოლა აუღია. ეს ხომ წარმტაცი თემაა, ეს ხომ ულამაზესი და გმირული ცხოვრებაა, — ცხოვრება ადამიანისა, რომელიც თავისი სიკბაუკის წლებიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მსოფლიო მუშათა მოძრაობის საჭესთან იდგა. სათავეში ედგა მოწინავე კაცობრიობის აზროვნებას.

პოემა „ისევე ეძახიან გერმანიას“ ეხება მარქსის ცხოვრების მხოლოდ ერთ პერიოდს. — 1848 წლის რევოლუციის დამარცხების პერიოდს, როცა რეაქციამ დახურა „ახალი რეინის გაზეთი“, რომლის რედაქტორადაც მარქსი იყო. ამის შემდეგ მარქსი იძულებული გახდა ეცხოვრა ლონდონში. პოემა ეხება ლონდონში ცხოვრების პერიოდსაც.

შვეეხვით უფრო დაწვრილებით იმ მოვლენებს, რომელთა ასახვასაც გომიაშვილი ცდილა თავის პოემაში,

1848 წლის პირველ ივნისს რეინის პროვინციის მთავარ ქალაქ კელნში გამოვიდა „ახალი რეინის გაზეთი“-ს პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი კარლ მარქსი იყო.

„ახალ რეინის გაზეთი“ იმ დროს ერთადერთი გაზეთი იყო გერმანიაში და თითქმის მთელ ევროპაში, რომელსაც მალლა ეჭირა პროლეტარიატის მებრძოლი დროშა.

და როდესაც 1849 წლის გაზაფხულზე მოახლოვდა გადამწყვეტი ბრძოლა, გაზეთის ტონი უფრო მედგარი, უფრო შეუპოვარი გახდა. გაზეთი მკაცრად ესხმოდა თავს რეაქციას, მოუწოდებდა მისებს გაენადღურებინათ კონტრრევოლუცია და მისი მეთაურები—პოპენცოლერნები.

„გერმანიის დანარჩენ ნაწილში, — სწერდა ენგელსი, — უკვირდათ, თუ როგორ მოუტირებლად ეწერდით ჩვენ ყოველივე ამას და ისიც პრუსიის პირველხარისხიდან სიმაგრეში, სადაც რვაათასიანი გარნიზონი იდგა“.

ბოლოს რეაქციამ რეინზედაც გაიმარჯვა. გაზეთის მთავარ რედაქტორს კარლ მარქსს წინადადება მისცეს, დაუყოვნებლივ დაეტოვებია პრუსიის საზღვრები.

1849 წლის 18 მაისი გაზეთის აღსასრულის დღე იყო.

აი ამ ეპოქას ეხება გომიაშვილის პოემა.

პოემაში გვხვდებიან რევოლუციის პოეტები (ჰეინე და ფრეილიგრატ), რომელნიც, მარქსის იდეებით აღფრთოვანებულნი, სწერდნენ მგზნებარე „ბრძოლით, შეტევით, ქარიშხალით და ამბოხებით“ აღსავსე ლექსებს.

პოემაში ავტორი ეხება მარქსის ცხოვრებას ლონდონში; გომიაშვილის პოემის ღირსება სწორედ ის არის, რომ იგი ცდილობს ასახოს მარქსის ცხოვრება პროლეტარიატის დღევანდელ ბრძოლების პერსპექტივაში. პოემის ყოველი სტრიქონი გაგენთილია რევოლუციის მგზნებარე პათოსით. პოემის ძირითადი აზრი ის არის, რომ 1848 წლის რევოლუციის დამარცხებით არ გათავებულა რევოლუცია, მუშათა კლასში არ ჩამქრალა ბრძოლის წყურვილი, რომ ბრძოლას კვლავ ახალი ენერჯით განაგრძობენ მებრძოლთა ახალი რაზმები:

„მსოფლიო იბრძვის, და ბრძოლაში კაპიტალიზმის
ისევ პირველი დამხრებთავე შენ იქნები, კარლ!“

სხვა პოეტურ ნაწარმოებებიდან, რომლებიც დაწერილია, რევოლუციური წარსულის შესახებ, უნდა შევჩერდეთ გიორგი ქუჩიშვილის ლექსებზე. ქუჩიშვილის ლექსების პირველ ტომში არის ნაწარმოებები, რომელნიც ღრმად და მთელი სისრულით გამოხატავენ წარსულის შავბნელ სინადვილეს და რევოლუციის ადამიანთა გამირულ ბრძოლას მის წინააღმდეგ, თხრობითი ენით დაწერილია ქუჩიშვილის პატარა პოემა „9 იანვარი“ იგი აგვიწერს სისხლიან ტრაგედიას, როცა მეფის ბრძანებით მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია დახვრიტეს. ქუ-

ჩიშვილი ამ ნაწარმოებში დამაჯერებელი მხატვრული ფერები ვეჭვობს. ვეჭვობს რუსეთის ცარიზმის მხედურ ბუნებას და ბარბაროსუნებს. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციური წარსულის შესახებ განვლილი წლების მანძილზე საუკეთესო პოემები და ლექსები გამოაქვეყნა სანდრო ეულმა. წელს გამოქვეყნდა ეულის პოემა „ქალადიდი“, რომელშიაც კონტრასტების სახით ნაჩვენებია წარსულის სურათები და მეორეს მხრივ ჩვენი მზიანი აწმყო.

რევოლუციის წარსულს და რევოლუციის ადამიანებს ეხება აგრეთვე რაქდენ გვეტაძის პოემა „მერკვილაძის დები“ და გრ. ცეცხლაძის „ოთხი მალხერი“. გვეტაძის პოემა შესანიშნავია იმით, რომ იგი ასახავს მშრომელი ქალის თავგანწირულ ბრძოლას ძველი წყობილების წინააღმდეგ. გრ. ცეცხლაძის „ოთხი მალხერი“ შეეხება პირველი რევოლუციის დროინდელ მშფოთვარე გურიას.

3

მხატვრული ლიტერატურა უნდა იცავდეს ისტორიულ სიმართლეს. თუ გადავხედავთ ისტორიას, თუ გონების თვალს გადავავლებთ მის მარშრუტებს, დავინახავთ მართლაც ქეშმარიტად ლეგენდარულ ბრძოლებს, გმირული სულის ადამიანებს. სწორედ მათი ასახვაა საჭირო. მწერლის მოვალეობაა — ცვადაცვალ გაჰყვეს ისტორიის რკინის ლოკას და მხატვრულ ტილოზე გვიჩვენოს ის ადამიანები, რომელთაც თავიანთი ცხოვრების გზა მუშათა კლასის მეტბოძოლ რიგებში ჰპოვეს, ხოლო თავიანთი სიცოცხლის მიზნად სოციალიზმისათვის ბრძოლა დაისახეს.

შეიძლება ითქვას, რომ დავით სულიაშვილს თავის შემოქმედების მანძილზე არჩეული აქვს ეს მრავალფეროვანი და ურთულესი თემა — რევოლუციის წარსული.

შესანიშნავად დაბატა დავით სულიაშვილმა რევოლუციური ბრძოლების, ბოლშევიკური იატაკქვეშეთის რიგითი მებრძოლი, გამოცდილი კონსპირატორი და პირდაპირი, გულწრფელი, თავგანწირული ადამიანი. ჩვენ ვგულისხმობთ მოთხრობას „ჩიკორს“, ეს მოთხრობა მთელი რეალისტური სინრულით და სინათლით გვიხატავს პროფესიონალურ რევოლუციონერის და უსპეტაკეს ადამიანს. მოთხრობის მთავარი გმირი ჩიკორია. მოუსვენარი და დაუცბრომელი ჩიკორი მზად არის სწრაფად შეასრულოს ყოველგვარი პარტიული დავალება. გარეგნულად ჩიკორი უბრალო ადამიანია, მის გარეგნობაში თითქოს არაფერი რომანტიული და გმირული არ არის. იგი დაბალი ტანისაა, შეუმჩნეველი, მას აქვს „ახლად გამოღვიძებული ბავშვის ცქრილა თვალები“ და „ტუჩებში მუდამ გაბნეული ღიმილი უთამაშებს“. მაგრამ აი ეს ჩიკორი დიდად საჭირო და აუცილებელი ადამიანია რევოლუციური ორგანიზაციისათვის, იატაკქვეშეთის

სული და გული — სტამბასთან მიჩენილი, არალეგარული ლიტერატურის გამამტანი, პროკლამაციების დამრიგებელი, კავშირი კომიტეტსა და პერიფერიებს შორის. და ყველა ამ საქმეს იგი გატაცებით ახრუჭავდა. ყოველი შესრულებული, კარგად ჩატარებული საქმე ახარებდას. მისი აზრით აქვს, რომ რაღაც შეუჩვენევი, უხილავი ძალა ემატებოდა, თითქოს ადიოდა კიბეზე. — მაღალსა და ფიანდაზებით დაფენილ მწვერვალზე. მიდიოდა, თითქოს სიცილი მზისა გულში ჩაფრქვევად მას.

ჩვენს წინაშე ახალი ტიპის ადამიანი დგას, ადამიანი მუშათა კლასიდან, რომელსაც რევოლუციური გატაცება ახასიათებს. მას მაცოცხლებელ ძალას აძლევს იდეა, რომელიც აღვიძებს აზრს, ამსხვრევს წარსულს, იძლევა პერსპექტივას, სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და ბოლომდე მიჰყავს დაწყებული საქმე. მისი მოქალაქობრივი ღირსება, მისი მორალური თვისებები და ყოფაქცევის პრინციპები იჭედება და იწრთობა ცარიზმთან დაუზოგავ ბრძოლაში. მისთვის სრულიად უცხოა უიდეობა, დაბნეულობა, მტაცებლური ანგარება, შური სხვა ადამიანის მიმართ, თვალმაქცობა, გულგრილობა სხვა ადამიანთა ტანჯვისა და გაჭირებისადმი, — ერთის სიტყვით, მისთვის უცხოა მთელი ის „მორალი“, რომლითაც სუნთქავს კაპიტალიზმი. ჩიკორის მთელი ცხოვრება მგზნებარე გატაცებაა. „მის გულში ათასი ზრახვებია ან თებულები, მისი არსება ერთი მიზნისკენაა გასწრადებული... და დიდებულთა არის, ვინც მთელი არსებით ერთს საქმეშია მიცემული“. „გაცნობისთანავე მისი კეთილი, სანდო სახე იმედს ჩაგვისახავს გულში. უცნაური ძალით მოგხიბლავდა სიცილით სავსე თვალები, სევდა და ბოღმას გაგიჭრებდა“.

აი მან, — გაჭირების და ტანჯვის შეიღმა — პირველად გაიცნო სოციალიზმის იდეოლოგია. „ამის შემდეგ ხშირად ჰქონდა ხოლმე საუბარი აღძრულ კითხვებზე. მაშინ ჩიკორის თვალები ფართოდებოდნენ, გული ჩქოლავდა და თითქო სადმე მივიწყებული სიმი აეღერებელიყოს, ისე თრთოდნენ მისი კუნთები“.

ქანდაკერიამ არალეგალური სტამბის კვალს მიაგნო. ჩიკორი მთელი ღამის განმავლობაში არ სტოვებს სტამბას. „არ ფიქრობს იმაზე, რომ ის საფრთხეშია, რომ შეიძლება თავისუფლება მოესპოს, ციხეს მიაღვეს, ბორკილებს, გადასახლებას“. ის განუწყვეტლივ სტამბაზე ფიქრობს, სარდაფში მდგარი „ამერიკანკა“ მის თვალში სხვა სახეს ღებულობს. ოცნება მისი იზრდება, ფართოდება, პატარა, ბნელი სარდაფის მაგიერ — ელექტრონით განათებული დიდი დარბაზი. ამერიკანკას მაგიერ — რიგრიგად ჩამწყობებულ დიდი საბეჭდავი მანქანები... ყოველი მანქანა მოძრაობს, თასმა სრიალებს, ბრუნავს, და ათასობით დაბეჭდილ ფურცლებს შრიალით და ფრენით ერთმანეთზე აწყობს. ეზოში აშვერილი ათასი ხელი მას ელოდება... ფურცლები ხელებში შრიალს დაიწყებენ



და გაქანდებიან ქუჩებისაკენ, მოედნებისაკენ, იმ ადგილებზე, სადაც ხალხია. ყველა კითხულობს, ყველას თვალები ეხიბება... და სხივი გულში ეფინება“.

ასე ოცნებობს ჩიკორი და თვალეში სიხარულის ცრემლი უთამაშებს. ასე იზრდებიან და ყვავილდებიან მისი იმედები უკეთეს მომავალზე. აი იგი თეატრის ჭანდარიდან დარბაზში პროკლამაციებს ისერის, კალათში არალეგალური ლიტერატურა ჩაუწყვია და კვერცხებით დაუფარავს, ან კიდევ მრავალრიცხოვან დემონსტრაციას მტრედების აფრენით აძლევს ნიშანს... გამორბის ციხიდან, უშიშრად უშვერს მკერდს მტრის ტყვიებს... და ყველგან, ყოველთვის თანამიმდევარია იგი, მონოლიტური და პრინციპული, თავგანწირული და საამაყო შვილი მუშათა კლასისა, რიგითი ჯარისკაცი პროლეტარულ რევოლუციისა.

იატაკვეშეთელების ბრძოლას და პროფესიული რევოლუციონერების ცხოვრებას ასახავს დ. სულიაშვილის „ნალევრდალი“. ეს ნაწარმოები ეხება ტფილისსაც, ქართლის სოფელსაც, ქიათურასაც. სადათ უბრალოდ, აჭრელებული მრავალსიტყვაობის გარეშე მოგვითხრობს მწერალი ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის პირველი აზვირთების შესახებ. გრძნობ, რომ ავტორი მართლაც კარგად იცნობს თემას, რომელზედაც სწერს. სულიაშვილი გვიჩვენებს მოვლენებს განვითარების პროცესში, გვიჩვენებს, როგორ იზრდება რევოლუცია, როგორ იბადებიან რევოლუციის ადამიანები... იგი ზედავს გზას, რომელსაც გადაიან ახალგაზრდა მებრძოლები სემინარიის თაღებიდან რევოლუციურ ბარიკადებამდე, სოფლებიდან — ნაძალადევამდე „სადაც დაკოფრილი ხელით ინთება პატარა ლამპარი და შუქით ნათლდება პატარა ეზოები“. აი სწორედ აქ ეს დაკოფრილი ხელები სჭედადენენ ბრწყინვალე მომავალს. „ნალევრდალის“ მთავარი გმირი — გოგია — პირველად ნაძალადევის მუშათა შორის იწყებს თავის პროპაგანდისტულ მუშაობას. ამ ხანებში იგი უკვე გამორიცხულია სასულიერო სემინარიიდან. რომანის პირველ თავებში სულიაშვილი ამ სასწავლებლის შესახებ მოგვითხრობს, მის კედლებში მოსწავლე ახალგაზრდობას მასწავლებლად მიჩენილი ჰყავდა პოლიციური რეჟიმის არამზადები, ანაფორაში გახეული ენდარმები. მაგრამ პლებეური ახალგაზრდობა მაინც თამამია, შეუპოვარი, ის სასკოლო სკამიდანვე ჩაბმულა რევოლუციურ მოძრაობაში.

„ნალევრდალში“ სულიაშვილის სხვა ნაწარმოებთან შედარებით, უფრო ფართოა სუბეტი და ტიპების გალერეაც მრავალფეროვანია. მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მტკიცე პროლეტარი — იოსები, პირველი მასწავლებელი ახალგაზრდა რევოლუციონერებისა, წარბშეუხრელი მებრძოლი, უძლევი ნებისყოფის ადამიანი, რომელსაც საჭმარისია შეხედო, რომ „შუტუნობი მოკრძალების“ გრძნობით აივსო. იოსებს ბრძოლის გზაზე არა მარტო გოგია, არამედ ათასობით სხვა ადა-

მიანიც გამოჰყავს. ესაა ადამიანი, რომელიც თეორიულადაც და პრაქტიკაშიაც მონოლიტური და ბოლშევიკურად თანმიმდევრულ სულიაშვილმა იოსების სახით ლენინ-სტალინის ბოლშევიკურადიის წარმომადგენელი დახატა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი რამ: ნათელია, რომ მებრძოლი რევოლუციონერისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. რევოლუციონერი ასევეტი როდია. იგი ყველაზე უფრო მომქმედი და ცოცხალი გრძნობების ადამიანია. ეს იცის სულიაშვილმაც, მაგრამ... როცა სიყვარულის გრძნობის გაშუქებაზე მიდგება ხოლმე საქმე, სწორედ იქ ვერ იჩენს იგი ორიგინალობას და სიმახვილეს. უკეთ რომ ვსთქვათ, მწერალს ამ საკითხის მზა-მზარეული ტრაფარეტი აქვს გამოქრილი, რომელიც თითქმის ყველა მის მოთხრობაში გვხვდება. სულიაშვილის მოთხრობების გმირების განცდების საგანს ყოველთვის უცხო წრის მოფუქსავატო ქალიშვილი წარმოადგენს, ასეა მაგ. „ჩიკორში“, ასევეა „ლოდინშიაც“. ამავე ტრაფარეტს იმეორებს სულიაშვილი თავის „ნაღვერდალში“, იმეორებს სრულიად არა საჭირო სიზუსტით და ერთფეროვნებით. იატაკქვეშეთის თამაში მებრძოლი გოგია რატომღაც უმწეო და ბეჩავია თავის სიყვარულში. საყვარელი ქალის წინაშე ფიქრდება და ეხა ებმება და ბოლოს საშინელი გაქირვების ფაშს უპატრონოდ სტოვებს ამ ქალს ქუჩაში, სადაც თარეშობენ გაველურებული ფანდარმები. შიატოვებს და მირბის... ქუჩაში ქალის გვამს წააწყდა. მოიჩვენა, ეგებ ელენე იყოსო (ქალი, რომელიც გოგიას უყვარდა). მაგრამ არც კი დააკვირდება... ეს უკვე წრეს გადასული სულმოკლეობაა. რომანის მთავარი გმირის დამახასიათებლად ეს კარგს მაინცა და მაინც არაფერს ამბობს: ეს, როგორც რუსული ანდაზა ამბობს, ერთი კოვზი კუპრია ერთ კასრ თაფლში.

ლირიკული განწყობილებითაა დაწერილი კეტრე სამსონიძის მოთხრობა „პირველი ქარტახილი“. ამ მოთხრობაში ავტორი 1905 წლის რევოლუციას ბავშვის თვალით და ბავშვის მოგონებით გადმოგვცემს. ეს თავისებური მიდგომა თემისადმი კარგ მხატვრულ ეფექტს იძლევა. ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ამ მიდგომითაა დაწერილი ვალენტინ კატაევის მნიშვნელოვანი რომანი „Белеет парус одинокий“ რომელიც შარშან გამოქვეყნდა და დადებითად იქნა შეფასებული. კატაევის რომანშიაც ასევე ცხრა წლის ბავშვის თვალითაა დანახული 1905 წლის რევოლუცია.

„პირველი ქარტახილის“ გმირების მოქმედების არე იმერეთის სოფელია. ბავშვმა შენიშნა პირველი რევოლუციის დასაწყისში, რომ სოფელმა თანდათანობით იცვალა ფერი და გლეხების დინჯი, დარბაისლური სჯა-ბაასი „შეყვარებულთა ფართულ ჩურჩულს დაემგზავს“. შეიძირვა წლის ბავშვს, მართალია, ამ ხანებში „არაფერი არ აინტერესებდა ქვეყნად, ვარდა რიკ-ტაფელობისა, ჭაკუნობისა და კენქაობისა“. მაგრამ მაინც ამჩნევს ამ უცნაურ გამოცოცხლებას. ავტორი გვიჩვენებს, როგორ

მწიფდება პატარა ბიჭების დათიკოს, ბაჩქორიას და სხვების შეგებებაში სტიქიური სიძულელი ძველი ქვეყნის წინააღმდეგ. ნდობით და სიყვარულით შესცქერიან ბავშვები რევოლუციონერ გენო გუდუშაძის წინააღმდეგური გულუბრყვილობით ცდილობენ გაერკვნენ იმ ფაქტში, თუ რას ხიზნავს „ცოციალისტობა“ და „რუს ხემწიფის წინააღმდეგ ბრძოლა“. ძველი სოფლის მწარე სინამდვილე კლასობრივი სკოლაა მათთვის, ისინი ხომ საკუთარ თვალთ ხედავენ, როგორ სჩაგრავს მათს მშობლებს სოფლის გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა ხროვა.

თავის საუკეთესო შვილები დარაზმა რევოლუციურმა გლეხობამ პირველი რევოლუციის პერიოდში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. სოფელმა მებრძოლებად წამოაყენა გამჭრიახი ვაშლებისა და თავისუფლების მოყვარული ამაყი სულის პატრონი ადამიანები. ეს ადამიანები საუცხოვოდ დაგვიხატა ლეო ჭიაჩელმა თავის რომანში „ტარიელ გოლუა“. რომანი გვიტაცებს სოფლის ცხოვრების ღრმა ცოდნით, გმირული ადამიანებით და რეალისტური პათეტიურობით. ტარიელი, მისი შვილი ლევანი, ბეჟანა, ტაგუ მართლაც ღვიძლი შვილები არიან 1905 წლის გლეხური მოძრაობისა. რომანში არის მეორე ხაზი — სიყვარული. ახალგაზრდა რევოლუციონერს ლევან გოლუას უყვარს ახლანურის ქალიშვილი თინა. მღელვარე გრძნობის ახალგაზრდაა ლევანი, იგი იტაცებს თავის სატრფოს, მაგრამ შემდეგში იძულებული ხდება თავისი პირადი გრძნობა დაუმორჩილოს საზოგადოებრივ ინტერესს განსაკუთრებით ემარჯვება ჭიაჩელს ტრაგიკული სცენების აღწერა. ასე ტრაგიკული და დამალონებელია ლევან გოლუას სიკვდილი რომელსაც მოღალატურად ესროლა ტყვია ავანტურისტმა და ბნელმა ადამიანმა გადალენდიამ. ავტორი აღწერს თუ როგორ გადაიარა ცეცხლით და მახვილით რეაქციამ სოფელზე, მაგრამ მაინც ვერ ჩაჰკლა მისი სიციცხლის ფეტქვა, ვერ ჩაჰკლა მისი რევოლუციური გაჭანება. საშინელი ოჯახური და სოციალური ტრაგედიებს შემდეგ მაინც ოპტიმისტურად თავდება რომანი. კვლავ ირანზეა ახალგაზრდობა საბრძოლველად და მის რიგებში კვლავ მოსჩანს მოხუცი ტარიელ გოლუა.

„ტარიელ გოლუა ისე იდგა მათს შორის, როგორც დროის ქარიშხლით ტოტებ-შემსხვრეული, აქა-იქ დაკორძებული, მაგრამ ფესვებ-მაგარი და ტანძლიერი ძველი მუხა სდგას ხოლმე ახალ ავარდნილ მწვანე ნორჩს ტყეში“.

ასე თავდება ეს შესანიშნავი რომანი.

„ტარიელ გოლუას“ შემდეგ ლეო ჭიაჩელმა გამოაქვეყნა ვრცელი რომანი „სისხლი“ მაგრამ ეს რომანი მეტად სისხლნაკლული და უფერული გამოდგა. გადაჭარბებული და აცრემლებული სანტიმენტალიზმი, გრძნობებით თავმომწონეობა, თეატრალური პოზიორობა და ისევ და ისევ „ტანჯული“ და „უბედური“ სიყვარული — აი რა ახასიათებს ამ რომანის გმირებს. მარტო ის რაღა ღირს, ავტორის სიყვარულის გრძნობის ასახ-

ვისას დასახმარებლად სიყვარულის ფანტასტური, „თვალეზიანე“ და „სახე გატანჯული“ ტყის დედოფალი გამოუწვია აჩრდილთა სამეფოდან. ახალგაზრდა რევოლუციონერს ანდრო ქარივაძეს ტყეში უკლებლად უნდა დაეძინა და ლამის კეთილი დედოფალი“. ქიაჩელი ამ სცენას ასე აგვიწვინებს: მთავარის შუქსა და ხეების ჩრდილის ფარდაზე იდგა, თეთრი უხვი თმა გაეშალა. ზოგი შიშველ მოლივლივე ტანზე შემოეფარა, ზოგიც ჰაერში შეეფინა“. ასე შეხვდა დედოფალი რომანის გმირს და საკმაოდ საქმიანი ინტერვიუც გაუმართა მას, ეს შეტად მოძველებული ხერხია. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნისინგი თავის „ჰამბურგის დრამატურგიაში“ სწერდა: „ყველა ძველ ხალხს სწამდა აჩრდილის მოვლინება. ამიტომ ცხადია, რომ მაშინდელ დრამატურგ მწერლებს უფლება ჰქონდათ ესარგებლად ამ რწმენით მაგრამ აქვს თუ არა ასეთივე უფლება თანამედროვე მწერალს? რასაკვირველია არა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ მისი ნაწარმოების სიუჟეტი ნასესხებია ძველი დროიდან? მაშინაც კი არ შეიძლება ასეთი უფლება ჰქონდეს“.

რომანის მთავარი გმირი არჩილ დადიანიანსავე სავსებით შემთხვევითი ადამიანია რევოლუციონერის მან თვითონაც არ იცის რა სწამს, საით მიდის. დადიანიან ჩვეულებრივი უნებისყოფი, უხერხემლო წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, თვით ავტორი ასე ახასიათებს მას: „ზღვისფერი თვალები აქვს არჩილს, მეოცნებე. ჯადოიანი მზერა აქვს. ხმა-გულითადი, არ ჰგავს მებრძოლს“ და შემდეგ: „არჩილი პარტიასთან უფრო ფსიქოლოგიურად იყო დაკავშირებული, განცდებით“ ეს მეოცნებე ჰაბუკი ვერც ერთ შემთხვევაში ოდნავადაც კი ვერ აბერებს გამოცდას ვერც „მებრძოლი რევოლუციონერის“ და ვერც „გმირის“ ხარისხზე. საკმარისია საყვარელმა ქალმა უბრძანოს - მიანებე თავი რევოლუციას და მე გამომყევით რომ ზურგი შეაქციოს ყველაფერს და თუ მას არ სჩადის, უბრალო შემთხვევის წყალობით (ვაიხსენოთ ცაცის საუბარი არჩილთან ქუთაისში, ფოთიდან დაბრუნების შემდეგ) ერთად-ერთი, რითაც არჩილი ყურადღებას იქცევს, ესაა მისი „უბედური სიყვარული“ ცაცასთან, მაგრამ ეს სინამდვილეში სიყვარული კი არა, რაღაც მწვანე-ლურჯი თვითგვემბა, სულისა და ზორცის წამება...

მაშ რატომ არის ეს არჩილი მთავარი და ისიც დადებითი ტიპი ისეთი რომანისა, რომელიც დაწერილია რევოლუციის წარსულის ასახვის პრეტენზიით?

ავადმყოფური გრძნობებით გამსჭვალულნი არიან არა მარტო ეს გაკრიკლებული და ნატიფი ინტელიგენტები, არამედ თვით გლეხი რევოლუციონერი ანდრო ქარივაძეც კი. ანდროს დაავალეს ციხის უფროსის, ჯალათი აბლანდიას მოკვლა. ანდრო ვაკეკატურად ასრულებს ამ დავალებას. ყველაფერი ეს ძალიან კარგია. მაგრამ საოცრება ამის შემდეგ იწყება: ჯალათის მოკვლის შემდეგ ანდრო „მიუწვდომელ ექსტაზის ფორული სიამის სახეზე გამოხატვით“ „უცნაური მღვდელმოქმედების

ნსვავსი წესის დაცვით“ თითს აწებს მოკლული ციხის უფროსის ბენქურ სისხლში და შემდეგ ლოკავს ამ სისხლს.

ავტორმა — სცადა ნიკოს სახით — ბოლშევიკის ტიპი დაეხატა, მაგრამ ეს ცდა სრული მარცხით დამთავრდა. ნიკო კარიკატურაა ბოლშევიკის ტიპთან შედარებით, ნიკო ავანტიურისტს უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ მებრძოლს. იგი სრულებით არა ჰგავს იდეურ მებრძოლს. იგი ავანტიურისტულ თავდასხმას აწყობს მატარებელზე, რასაც ზიანის შეტი არაფერი არ მოაქვს რევოლუციისათვის.

მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას ეხება პ. ჩხიკვაძის „მურზაყან დადემქელიანი“. სხვა საკითხებთან ერთად ყურადღებას იქცევს ცარიზმის მსხვილ მოხელეთა ტიპების და მოქმედების აღწერა. ოსტატურადაა ნაჩვენები ვორონცოვის მაკიაველური პოლიტიკა სვანეთის უფლისწულის მურზაყანისადმი, რომანში ნაჩვენებია აგრეთვე საქართველოს არისტოკრატის დეგრადაცია და მშრომელი გლეხობის ტანჯვით აღსავსე ცხოვრება.

უკანასკნელად შევჩერდებით დემნა შენგელიას მოთხრობა „იმამზე“, რომელიც შამილის ეპოქის ბრძოლებს ეხება. დახვეწილი და ძარღვიანი ენით არის დაწერილი ეს მოთხრობა. ცოცხლადაა დახატული ჰასაიურტის ციხის გარნიზონის შეტაკებები ამბოხებულ მთიულლებთან. კარგადაა აწერილი მთიულლებთან შეტაკების სცენები, გარნიზონის ოფიცერთა კარჩაკეტილი ცხოვრება. მოთხრობა ყურადღებას იქცევს არა მარტო თავდასასვლელი ბატალური სურათების აღწერით, არამედ თავისი ღრმა პოლიტიკური და სოციალური დედა-აზრით. საინტერესო ტიპია გარნიზონის ოფიცერი თენგიზ დარბაშია, რომელიც, სამშობლოდან „ბედის საძიებლად“ გადახვეწილი, შამილს ებრძვის. ჩასაფრებული წევს ტყეში თენგიზი და ასეთ ფიჭრებს მისცემია:

— რა უნდოდა, რისთვის მოვიდა აქ, როცა მისი ვალატაკებული, უქალამნო სახლი წელს იწყვეტს იქ, სამშობლოში, განუზომელი ჯაფით და ქაპანწყვეტით ბატონყმობის კითების ქვეშე? როცა მისი საუკეთესო შეილებით ივსება ქობულეთის, ტრაპიზონის და სტამბოლის მონათა ბაზრები? მშრომელ გლეხობას წელი სწყდება ჯაფაში, ქაპანწყვეტაში და პირუტყვივით იცვლება მწვევრებში და მეძებრებში? როცა... რუსის მუჟიკიც ამავე დღეშია და ერეკებიან რეკრუტებით ამ შორეული ბასურმანულ მიწისა და ცის დასაპყრობად?”

1905 წლის რევოლუციის ზოგიერთი ეპიზოდები კარგად დახატა შენგელიამ თავის რომანში — „ბათა ქექია“.

მრავალი ცხარე და თავგანწირული ბრძოლის მოწმენი არიან ვანგლილი ეპოქები. განსაკუთრებით მეცხრამეტე და მეოცე საუკუნე. ხალხ-

მა თავისი ბრძოლის მეთაურად გმირთა ურიცხვი ფალანგა წამოშალა, რომელმაც ლეგენდარული ბრძოლა გააჩაღა ძველ ქვეყანასთან. ურიცხვი გმირი აღზარდა ხალხმა თავის აკვანში, თავის მიწურ ქუჩებში, სოფლებში-ლემულისებურ სარდაფებში, სოფლებში და ქალაქის განაპირა უბნებში. ეს ახალი ტიპის გმირები არიან. მათ წინაშე იჩრდილება ძველი დროის გმირი, რომელსაც ადიდებენ ანტიურ ტრაგედიებში, საშუალო საუკუნეების ტრუბადურების სიმღერებში და მე-19 საუკუნის რომანტიულ დრამებში.

სად, რომელ ეპოქაში, რომელ კლასს ჰქონია ასეთი გმირული, დაუშრეტელი, ასეთი წარმტაცი და დიდებული წარსული, როგორიც აქვს მუშათა კლასს, კომუნისტურ პარტიას? შედარებაც კი არ შეიძლება არავისთან, არ შეიძლება იმიტომ, რომ ეს სულ სხვა ისტორიაა, კაცობრიობის ახალი ისტორიაა. განუწყვეტელ ბრძოლებში წარმოიშვა და განვითარდა ლენინ-სტალინის უძლეველი, ფოლადისებური პარტია. რევოლუციურ ბრძოლებში აწრთობდა თავის რიგებს, ებრძოდა მტრებს და წინ მიდიოდა ბოლშევიზში. ამ ისტორიის შესწავლის საქმეში უძვირფასესი განძია ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენება „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ამხანაგ ბერიას მოხსენება ნათელ შუქსა ჰფენს ჩვენი პარტიის ბრძოლისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს. ამხანაგ ბერიას წიგნში ვეცნობით დიდი სტალინის დაუღალავ ბრძოლას და მუშაობას ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებისათვის. ამხანაგ სტალინის ბიოგრაფია განუყრელი ნაწილია ბოლშევიკების უძლეველი პარტიის წარმტაცი და აღმაფრენი ისტორიისა, ნათელი შუქურაა ლენინური გვარდიის შარავანდედით მოსილ ისტორიის გზებზე.

ამხანაგ ბერიას მოხსენება, როგორც „პრავდა“ აღნიშნავდა, „დეტალურად გვაცნობს ყოფილ მეფის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის დიდ ფაქტიურ მასალას და ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის განვითარებას. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლაზე, საიდანაც გამოვიდა დიდი ლენინის ყველაზე უფრო მახლობელი თანამოსაქმე, მისი ყველაზე უფრო ერთგული და თანამიმდევარი თანამებრძოლი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხანაგი სტალინი. იგი გვაცნობს პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის ნამდვილ გმირ მებრძოლებს, ამიერ-კავკასიის რევოლუციურ-მარქსისტულ-ინტერნაციონალური ფრთის საუკეთესო წარმომადგენლებს, ამხანაგ სტალინის უახლოეს მეგობრებსა და თანამშრომლებს. ამავე დროს იგი დაუნდობლად ამელავნებს მუშათა კლასის ყველა მტერს, ყველა მოღალატეს, ვისთანაც შეტაკება და შეუბრძობელი ბრძოლა უხდებოდათ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა“.



ამხანაგ ბერიას მოხსენება მხატვრულ შემოქმედების ყველა დარგისათვის მასალისა და შთაგონების დაუშრეტელი წყაროა, წარმტაცებელი უხვი არსენალია. ხელოვნებამ მხატვრული სახეების ენაზე უნდა სიტყვას ის, რაც მეცნიერების ენაზე თქმულა პარტიის ისტორიის შესახებ დაწერილ წიგნებში. ამხანაგ ბერიას მოხსენებამ უკვე უდიდესი შემოქმედებითი სტიმული მისცა ქართულ მხატვრობას და სკულპტურას, ქართულ პოეზიას და ბელეტრისტიკას, თეატრს და დრამატურგიას. ეს გასაგებიც არის. ამხანაგ ბერიას მოხსენება ხომ ისეთ თემებს აყენებს შემოქმედების წინაშე, რომლების მსგავსი არ ღირსებია არც ერთი ეპოქის ხელოვნებას. აი თემები, მოვლენები, რომლებსაც დახარბდებოდა წარსულის ყველა გენიოსი, აი ადამიანები — სტალინი, კეცხოველი, წულუკაძე, წმინდა ფოლადით ნაქედი ადამიანები. ასეთ გმირებს ინატრებდა შექაპირის კალამი და ლეონარდო და-ვინჩის სამხატვრო ფუნჯი. ეს გმირები თვით ისტორიამ გამოაქანდაკა, გაზარდა ისინი პროლეტარულ დემონსტრაციებზე, იატაკქვეშეთში, ცხარე ბრძოლებში ძველი ქვეყნის წინააღმდეგ. აირჩია მხატვრული შემოქმედების თემად ამ ლეგენდარული ადამიანების ცხოვრება, რომელთაც ლავეარდოვანი ცის ტატნობამდე ასწიეს კომუნისმის დროშა, იმ შთის არწიეთა ბრძოლა, რომელთაც დარაზმეს მუშათა კლასი და დაღუწეს ძველი ქვეყნის ბორკილები, — ეს ბედნიერებაა, რომელიც სტალინური ეპოქის მწერლის საამაყო ხვედრი გახდა. იმ რომანებისა და მოთხრობების უმრავლესობა, რომლებსაც ზემოთ ვეხებოდით, დაწერილია ამხანაგ ბერიას მოხსენების გამოქვეყნებამდე. მაგ... „სისხლი“ გამოქვეყნდა 1927 წელს, ბევრად მასზე უფრო ადრე დაიწერა „ტარიელ გოლუა“. ესევე ითქმის სხვა მწერლების ნაწარმოებებზედაც. გასაგებია, რომ ისტორიულ-რევოლუციური წარსულის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში ღათი ავტორები სწორად ვერ ამუშქებდნენ წარსულს, ვერ ამჩნევდნენ მთავარს, ხშირად ზერელეობით და მოვლენათა ზედაპირზე ცურვით კმაყოფილდებოდნენ. დღეს ეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ჩვენი პროზაიკოსების შემოქმედებითს ლაბორატორიებში ბოლშევიზმის დიადი ისტორიის მხატვრული ასახვისათვის. დემნა შენგელიამ უკვე დაწერა დიდი მოთხრობა „ყრმობა“. მოთხრობაში ასახულია ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სიყრმის წლები; გაცხოველებით მუშაობენ მთელი რიგი სხვა მწერლებიც.

ამომწურავი და დაუშრეტელია ეს თემა, რომელიც შთაგონებისა და აღფრთოვანების ცეცხლით ანთებს მწერალს, ზრდის მკითხველის რევოლუციურ თვითშეგნებას და განუსაზღვრელად აფართოვებს საბჭოთა ლიტერატურის ჰორიზონტს.



ტყე

მრ. ასტვაცატუროვი

სამოქალაქო ომი მხაფხულ ღიფიაჰუჩაში

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავის დიდი მიღწევებით ხვდება საბჭოთა მწერლობა. არ არსებობს თითქმის არც ერთი თემატიკური სფერო, რომელსაც საბჭოთა მწერლის კალამი არ შეხებოდეს. განსაკუთრებით საპატიო თემას ზეენი მწერლებისათვის წარმოადგენს სამოქალაქო ომი. კერძოდ, რუსეთის მხატვრულ ლიტერატურაში შესანიშნავად აისახა სამოქალაქო ომის ბოხოქარი ხანა. რუსეთის მუშათა კლასმა და გლეხობამ დიდი გმირული და მამაცური ბრძოლები ჩაატარეს შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ. რუსეთის სამოქალაქო ომის ისტორია ის დაუშრეტელი წყაროა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ეყოფა მწერლობას თემად.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღიდანვე რუსეთის კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ, ესერ-მენშევიკებმა, უცხოეთის იმპერიალისტების დახმარებით, გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს გამარჯვებულ პროლეტარიატს. ისინი ცდილობდნენ სისხლში ჩაეხშოთ პირველი სოციალისტური რევოლუცია და შეეფერხებინათ ისტორიის წინსვლა. მსოფლიო ომისაგა განადგურებული რუსეთი შიმშილში ლადავდა სულს. რევოლუციურ რუსეთს არა ჰქონდა პური, ტანსაცმელი, საკმაო იარაღი. მტერი კი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული და შემოსილი იყო... მაგრამ რევოლუციური ხალხი განამტკიცა, გაამხნევა და ზღაპრულ გმირად აქცია იმის შეგნებამ, თუ რატომ და რისთვის იბრძოდა ის. ამ ხალხმა თავისი რევოლუციური შეგნებითა და სიმტკიცით დაძლია ყოველგვარი სიძნელე, სამუდამოდ გაანადგურა მშვიდობიანობისა და სამართლიანობის მტრები და შექმნა პროლეტარიატის დიქტატურის მზიანი ქვეყანა.

სამოქალაქო ომის ეს უძლიერესი და წარმტაცი რომანტიკა დიდი უშუალობით, მხატვრული ოსტატობით, ძლიერი ექსპრესიითა და ისტორიული სიმართლით არის ასახული რუსეთის საბჭოთა მწერლობაში. ამის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ ფურმანოვის „ჩაბაევი“, სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი“, ფადეევის „განადგურება“ და „უკანასკნე-

ლი უღვგედან“, შოლოხოვის „წყნარი დონი“, ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და სხვა. ამ მწერლებმა ჩააყენეს „საბჭო-ვინისონის, კორჩაგინის და სხვათა სახით შექმნეს უკვედამტკ“ ტანტანტანტან-თი ნაწარმოებებით თაობიდან თაობას გადაეცემა ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის გმირული ამბები.

სამოქალაქო ომი დაუშრეტელ თემატიკურ წყაროდ გადაიქცა აგრეთვე ქართული საბჭოთა ლიტერატურისათვისაც. მენშევიკური დიქტატურის მთელი პერიოდი ნამდვილი სამოქალაქო ომის პერიოდი იყო. „დემოკრატიულ“ საქართველოში უაღრესად გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობა, ეკონომიური დიფერენციაცია, ნაციონალურმა შუღლმა უკიდურეს წერტილს მიაღწია. საქართველო საერთაშორისო იმპერიალიზმის სათარეშო ასპარეზად გადაიქცა. რუსეთის ყოფილი კოლონია ქართველმა მენშევიკებმა დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნების კოლონიად აქციეს. მენშევიკების ფარფაშს საქართველოს მუშათა კლასმა და გლეხობამ რევოლუციონური ბრძოლით უპასუხა.

მთელს საქართველოს მოედო აჯანყებები, რევოლუციური გამოსვლები, ვაფიცვები.

რუსეთისა და საქართველოს სამოქალაქო ომების პერიოდს ასახევენ საბჭოთა მთელი რიგი მწერლების მხატვრული ნაწარმოებნი. ამ ნაწარმოებებიდან უნდა აღვნიშნოთ: ვალ. ტაბიძის, ლეო ქიაჩელის, ს. კლდიაშვილის, ბ. ჩხეიძის, რ. გვეტაძის, ს. ჩიქოვანის, დ. შენგელაიას, ა. ჭუთათელის, ა. ჯაჯანაშვილის, რ. ქორჭიას, ვიორგი კაჭახიძის, აკ. ბელიაშვილის და სხვათა მხატვრული ნაწარმოებნი.

* * *

ვალ. ტაბიძემ, რომელიც ჩვენი დროის ყველაზე უფრო თვალსაჩინო პოეტი, უშუალოდ განიცადა ოქტომბრის დღეები რუსეთში. მანამდე პესიმიზმის სენით შეპყრობილი პოეტი თავდავიწყებით გაიტაცა ოქტომბრის დიადმა რევოლუციამ. პირველი ლირიკული გამოცახილი რევოლუციამ ვ. ტაბიძის საბრძოლო პათოსით დაწერილ ლექსში კპოვა („დროშები ჩქარა“). სამოქალაქო ომი თავისებურად აისახა ვალ. ტაბიძის პოემა „ჯონ რიდი“ და შემდეგ უფრო მეტი პოლიტიკური სიმკვეთრით — „ეპოქაში“. „ჯონ რიდი“ გადმოგვცემს სამოქალაქო ომის პირველ დღეებში პოეტის მიერ განცდილ ქაოტიურ განწყობილებებს. იქ არ არის ისტორიული მოვლენების ღრმა ასახვა, სიუჟეტური თანმიმდევრობით, მაგრამ მინც, პოეტი ძირითადად სწორად გადმოგვცემს ზოგიერთი მოვლენის არსებით ხასიათს.

უფრო მეტი ლირიკული სითბოთი და პოეტური განცლით აქვს ვალ. ტაბიძეს მოცემული ბავშვის გმირობა სამოქალაქო ომის დროს „ეპო-

ქაში“. პოემის ერთ ადგილას პოეტი წითლებისა და თეთრობის შეტაკების ერთი შემთხვევის პლასტიურ სურათს იძლევა. ამ შეტაკებისას წითლებმა გზა გადაუჭრეს თეთრებს. ამ დროს თეთრებს შენამუსეწით ჩაუვარდათ ხელში ერთი ბოლშევიკის ბავშვი, რომელსაც თან შეჭრის და ყუმბარები. ბავშვი ნამდვილი გმირის მოფიქრებას იჩენს, უსხლტება ხელიდან მტერსა და სიხარულით მთრთოლვარე გულით მირბის წითლეზისაკენ.



დემნა შენგელაიამ ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა სამოქალაქო ომის სურათების მხატვრული ჩვენებისათვის. მან დასწერა სამოქალაქო ომის თემაზე მოთხრობების კრებული „ცხრა თვალი“, სადაც მწერალი აგვიწერს ხან რუსეთის სამოქალაქო ომის ვითარებას, ხან ისევ მენშევიკურ საქართველოს სინამდვილეს უბრუნდება.

დემნა შენგელაისათვის, როგორც მხატვრისათვის, დამახასიათებელია პოლიტიკური სიმახვილე იდეურობა. „ლეფელთა“ ჯგუფის დაშლინ შემდეგ შენგელაია ახდენს იდეურ და ფორმალურ გადაიარაღებას, ემიჯნება ფორმალიზმს, „ლეფურ“ სენს, და წვრილბურჟუაზიულ ბუნტარულ განწყობილებას. ამის შემდეგ მწერლის მხატვრული სიტყვა, სტილი შედარებით უფრო დახვეწილია და პოლიტიკურად მახვილი. მაგრამ ამ კრებულში შესული მოთხრობები უფრო ადრინდელ (1929 წ.) ხანას ეკუთვნიან. აქ მკაფიოდ მოსჩანს „ლეფური“ განწყობილებისაგან განთავისუფლების ცდები. ეს ითქმის უმთავრესად ფორმალიზმის გავლენაზე. ფორმალიზმისაგან დ. შენგელაია სწრაფად არ განთავისუფლებულა. „ცხრა თვალი“, მხატვრული ხერხების თვალსაზრისით, ფორმალისტური სტილის გავლენით არის დაწერილი, თუმცა ეს გავლენა ისე ხაგრძნობი აღარ არის, როგორც წინათ იყო.

მწერალს მხატვრული ოსტატობით აქვს მოცემული ცალკეული ამბები, ყოფითი დეტალები. ხშირად მიმართავს იგი ხასიათებისა და სიტუაციების დაპირისპირებას, რაც ნაწარმოებს პოლიტიკურ და მხატვრულ დამაჯერებლობას შატებს. მაგრამ ფორმალისტური შეზღუდულობა არ აძლევს მწერალს საშუალებას ადამიანთა სილუეტები მკვეთრად მოხაზულ ტიპებად ჩამოაყალიბოს, ცალკეული ამბები, ეპიზოდები დასრულებულ სურათებად განავითაროს, ხასიათები დამთავრებული სახით ჩამოაყალიბოს. დემნა შენგელაია არ იჭრება სამოქალაქო ომის მოვლენათა სიღრმეში, არ ახდენს ამ ომის აზრის გაშლას მრავალფერადად, იგი „ძუნწობს“, როგორც მხატვარი.

ნაწარმოების ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ავტორს ოსტატურად აქვს დაჭერილი და გადმოცემული სამოქალაქო ომის ზოგი-

ერთი დამბახასიათებელი დეტალი, რომელშიაც სურს დაინახოს, როგორ ადობრივი ვითარების მთელი აზრი. დ. შენგელაია კმაყოფილია „პატარა“ ამბების აღწერით. ამ „პატარა“ ამბებში სურს მას გამოხატოს დიდი მოვლენის აზრი, რასაც ხშირად აღწევს კიდევ.

შემშლილი, იარაღის სიმცირე, სიტიტელე, სუსტიანი ზამთარი, ძლიერი მტერი, რეაქციის ძალები, — ყოველივე ეს აძნელებს რევოლუციური ხალხის გამარჯვებას, მაგრამ ხალხის გმირობას, თავდადებას ადამიანური უფლების მოსაპოვებლად ვერავითარი სიძნელე და წინააღმდეგობა ვერ აკავებს. ბოლშევიკები ქალაქს ქალაქზე იღებენ. დამფრთხალი თეთრგვარდიელები გარბიან.

თეთრგვარდიელები ჯაერს ტყვეებზე და მშვიდობიან გლეხებზე იყრიდნენ. ზერტდნენ, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდათ. მაგრამ ბრძოლის საბოლოო მიზნის შეგნება მასებს უდიდეს ენერჯიას და ენტუზიაზმს უნერგავდა. უბრალო გლეხიც კი მამაცურად ხედებოდა სიკვდილს და ამით უკანასკნელ რევოლუციურ ვალს იხდიდა სამშობლოსა და შთამომავლობის წინაშე.

რევოლუციის ბანაკიდან დ. შენგელაია არ გამოჰყოფს ცალკე ტიპებს და არ მოსავს მათ გმირობის შარავანდედით. უმთავრესად მასას აღწერს იგი და ამ მასის მოქმედებაში სურს დაინახოს გმირობა. ამასთან ერთად მწერალს საუკეთესოდ აქვს მოცემული დალუპვა ძველი ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული, თაობისა, რომელსაც სპობს და ანადგურებს ცხოვრების რკინის ლოჯიკა. ბარამანდია (ბონდარჩუკი) წარჩინებული წრიდან არის გამოსული. იგი ემზადება საშვედრო კარიერისათვის რუსეთში, მაგრამ ამ დროს მოუსწრებს რევოლუციის ქარტეზილი და ფრონტზე გადაისვრის, როგორც კონტრრევოლუციური ძალების ხელმძღვანელს. ბონდარჩუკი მხეცივით იბრძვის პარტიზანების წინააღმდეგ შორეულ ციმბირში. პარტიზანები გმირულად ეკვეთებიან მტერს და სასტიკად დაამარცხებენ.

ბარამანდი-ბონდარჩუკი ილუბება. ამ დალუპვას იგი ადრევე გრძობს და მეტად ტრაგიკულად განიცდის. ბარამანდია ძველი ყოფის სიმბოლოური ტიპია. ამ ტიპის ტრაგედიაში მწერალი იძლევა ძველი ყოფის დალუპვის ისტორიულ აუცილებლობას. ბარამანდიის ცხოვრებით დემნა შენგელაიამ გვიჩვენა იმ წოდებისა და დროგადასულ ეპოქა ბიოგრაფია, რომელნიც განადგურებულ იქნენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მიერ.

რუსეთის სამოქალაქო ომის სურათების პარალელურად დემნა შენგელაია იძლევა მენშევიკური საქართველოს სინამდვილის სურათებსაც. მაგრამ მწერალი აქაც მხოლოდ დეტალებზე ჩერდება და მიზნად არ ისახავს მთელი მენშევიკური ეპოქის ჩვენებას: ეს ეპოქა „ცხრა თველში“ ნაჩვენებია „დემოკრატიული“ რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისის ზოგადი აღწერით. „დემოკრატიულ“ მთავრობას ფებქვეშ

ნიადაგი ეცლებოდა, მაგრამ იმედს მაინც არა ჰკარგავდა, დიდი ხანის შემდეგ ნიადაგი იმპერიალისტებისაკენ ექირა. ინგლისელები ისე განაგებდნენ საქართველოს როგორც საკუთარ კოლონიას. მთავრობა ეწვევდა მშენებლებს და ყოველგვარ დახმარებას უწევდა თეთრგვარდიელებს. დენიკინელი გენერალი ნათიევი ბათუმში მოხალისე თეთრგვარდიელთა არმიას აღგენდა ვრანგელის დასახმარებლად.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად ძლიერდებოდა „დემოკრატიული“ რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი. „არ იყო პური, არ იყო ფართალი, არ იყო ბინა, არ იყო შეშა“. „იყო შიმშილი, სიცივე, ხვრეტა, ქუქყი და ხვალინდელი დღის უიმედობა“.

იზრდებოდა მუშებისა და გლეხების რევოლუციური განწყობილება, მაგრამ მენშევიკური საქართველოს სინამდვილის აღწერისას დემნა შენგელაია არ იძლევა ქართველი მუშებისა და გლეხობის საბრალო განწყობილების ზრდას. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა მენშევიკური „დემოკრატიის ტყვიისფერი ცა გამხმარ ყაყარით მოლუნული აფრქვად გადმოჰყურებდა ქვეყანას“, ამ ქვეყნის შიგნით თავს იყრიდა რევოლუციის ღრუბლები და ნამდვილ ქარიშხალს ამზადებდა. შიმშილობასა და სიღატაკესთან ერთად იზრდებოდა აჯანყება, გაფიცვა. ეს კი მეტად მკრთალად არის ასახული მოთხრობაში. არა სჩანს იმ მოვლენათა ლოგიკური პროცესი, რომლებმაც მოამზადეს ნიადაგი პროლეტარიატის დიქტატურის ბრწყინვალე გამარჯვებისათვის საქართველოში.

• •

ეს ნაკლი განსაკუთრებით იგრძნობა ს. კლდიაშვილის „ფერფლში“. ამ ნაწარმოებში მენშევიკური ხანა „პასიური“ ხედვის არეშია გადამტყდარი და ხალხის მებრძოლი სულისკვეთება ვერ პოულობს მძაფრ გამოხატულობას.

სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“ ყოფის აღწერის მხრივ სახულისხმო ნაწარმოებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორმა ამ ნაწარმოებში ყოფა და პოლიტიკური კონფლიქტები სუსტად დააკავშირა ერთი შეორესიან. ავტორმა თავისი მხატვრული ძალა და საღებავები მოახმარა გლეხთა და ჯარისკაცთა ყოფის აღწერას მსოფლიო ომის პერიოდში. აქ იგრძნობა ამ ყოფის ღრმა ცოდნა, უშუალობა, მწერლის რეალისტური ხედვის ფართო პორიზონტი.

„ფერფლში“ სერგო კლდიაშვილმა პროზაულ ნაწარმოებებიდან ყველაზე უფრო მკვეთრად გამოამჟღავნა სიმბოლიზმის ვალენისაგან განთავისუფლების ეფექტური ცდა, საზოგადოებრივი მოვლენების რეალისტური დანახვა. მწერლის მხატვრული აზროვნების კონცეპციამ ამ ნაწარმოებში უკვე მამოლოოდ გარკვეული სახე მიიღო.

მწერალმა თავისი ნაწარმოების საფუძვლად გლეხობის ტყველური და „ობიექტური“ განცდები აიღო. შეეცადა, ამ განცდების აღწერისას რაც შეიძლება „ობიექტური“ ყოფილიყო, არ „გადაეარდნილი“ მწერლის რივი ბრძოლის „უკიდურესობაში“. ეს „ობიექტივიზმი“ მკაცრად შეიქმნა ლის შემოქმედებაში დარჩენილი იყო ძველი ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურის გავლენით და მან თავისი უკანასკნელი გამოვლენა „ფერფლში“ ჰპოვა.

ნაწარმოების მთავარი ფონი მსოფლიო ომია. ძირითადი კენძი ომის გულშია მოთავსებული და ყველა კონფლიქტი მის გარშემო ტრიალებს. ომი, მეფის მთავრობა, ბურჟუაზია, მენშევიკური „დემოკრატია“ და ბოლშევიკები, — ასეთია ნაწარმოების სუბეტური, ხაზი.

მწერალმა სწორად მიაგნო ამ ეპოქის ძირითად კენძს — მსოფლიო ომის იმპერიალისტურ ბუნებას. იგი ხედავს, რომ ამ ომით დაინტერესებულნი არიან მხოლოდ ექსპლოატატორული კლასები, ბურჟუაზია, რომელიც ახალ კოლონიებს ეძებს და ცდილობს მოახდინოს ბაზრების ხელახალი განაწილება. ამ ფონზე შლის მწერალი თავის სურათებს და ომისადმი დამოკიდებულებით ააშკარავებს მენშევიკური „დემოკრატიის“ ბურჟუაზიულ ხასიათს. ეს მომენტი ავტორს მეტად მოკლედ, მაგრამ საკმაოდ მხატვრული სიძლიერით და ფსიქოლოგიური გამარჯვებით აქვს მოცემული.

ჯარისკაცისა და გლეხის ოჯახი ტრაგედიის ფსიქოლოგიურად დამატული და პლასტიური გამოკვეთილებით დახატული სურათები ხიბლავენ მკითხველს, და გადაჰყავთ იგი მსოფლიო ომისა და პირველი რევოლუციის ეპოქაში, როგორც უშუალო მონაწილე, აქტიური მოქმედი. ამაშია ნაწარმოების მხატვრული ძალა და მწერლის ოსტატობა.

უცნობი ჯარისკაცის დღიური რომანში წარმოადგენს ჯარის ყოფაცხოვრების ეპოპეას. ამ „დღიურით“ იგრძნობა, თუ როგორია ჰერმარტი ფაქტების ძალა. მწერალი ომისა და ჯარის ყოფას აგვიწერს იმ ჯარისკაცის თვალით, რომლისთვისაც ქვეყანა უკვე ფულუროა და დაცლილი, მაგრამ მაინც გვაგრძნობინებს სიმართლის დიდ ნაწილს. ჯარს მოსწყინდა სანგრები, არაადამიანური ცხოვრება, სისხლის ღერა, დალილა ჯარისკაცი ოცნებობს სახლზე, ცოლსა და შვილებზე... ამ ოცნებაში თვალგახედილს „მიეძინება“ დაუტრებელს, საყუთარი და მოძმის სისხლით დამბალს.

კარგად არის მოფიჭრებული ზოგიერთი ტიპი (კერძოდ, ქართული ბურჟუის პიმენ ლანჩის ტიპი), დეტალი და სიტუაცია. ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ახალგაზრდების ჯარში გაწვევის ტრაგედია, უცნობი ჯარისკაცის დღიურებით გაშუქებული.

მწერალს მხატვრული ოსტატობით აქვს გამოაშკარავებული მენშევიკების ბურჟუაზიული ბუნება, მენშევიკური რესპუბლიკის „დემოკრატიის“ 20. „მნათობი“ № 10.

მის" სიყალბე. აქ კარგად არის დაპირისპირებული ბურჟუაზია და დრო-
ბი გლეხის ინტერესთა სხვაობა. ინტერესთა დაჯახების შედეგად შეიქმნა
სადა ხერხით გვიჩვენებს ს. კლდიაშვილი ჩამორჩენილნი და დაჯახების
ხის დათიას პოლიტიკურ გამოფხიზლებას.

რევოლუცია მოხდა. მეფის ტახტი დაეშო. თითქოს ეს სასიხარულო
მოვლენა უნდა ყოფილიყო დათიასათვის. სახელმწიფოს სათავეში მენ-
შევიკური მთავრობა მოექცა. უცბად არ შეუძლიან დათიას გაერკვეს ვა-
თარებაში. მაგრამ აგერ პიმენ ლანჩა, რომელიც მეფის დროს სისხლსა
სწოვდა და სოფლიდან აყრით და გაუბედურებით ემუჭრებოდა, გახა-
რებულა ახალი მთავრობით. დათია გაშტერებული მისჩერებოდა გახა-
რებულ ლანჩას და თავში შემადრწუნებელი ფიჭრები უტრიალებდა: რა
საერთო შეიძლება იყოს დათიას და ლანჩას სიხარულს შორის?

„ის, რაც ლანჩას უხარია, შეუძლებელია დათიას სიხარულს საგანიც იყოს...
დათია იქედან ზომავდა ყველაფერს, რაც გარშემო ხდებოდა...
დათიას და ლანჩას სიხარული ერთმანეთს არსად არასოდეს არ შეხვდება...
შხოლოდ ეს იყო ვერჯერობით ნათელი მისთვის. სხვა ყველაფერი შეორეხარის-
ხოვანია. დანარჩენი ყურადღების ღირსი არ იყო.
პარმენ ლანჩას და დათიას სიხარულს ერთი ბუდე არასოდეს ექნება, ერთმანეთის
მტრები ერთად როგორ მოთავსდებიან...“

ასე შეიგრძნო დათიამ პირველი რევოლუციის შედეგი... და კიდევ
უფრო გაერკვა, როცა „დემოკრატიული“ რესპუბლიკის ორატორებისა-
გან შხოლოდ ცარიელი ფრაზები ესმოდა თავისუფლებაზე და ამ ფრა-
ზების იქით ვერაფერს ხედავდა.

„შხოლოდ ცარიელი თავისუფლება! რით უნდა შეივსოს ის?“ — აწუ-
ხებდა დათიასთან ერთად ყველას. პასუხს კი ოფიციალური პირებიდან
ვერავინ იძლეოდა. კვანძი გაიხსნა და მთელი საიდუმლოება ხელისგულ-
ზე გადაეშალა დათიას, როდესაც მოისმინა ჭადაგება ომის გაგრძელების
საპირობებაზე. დათია საბოლოოდ გამოფხიზლდა, მოაგონდა თავისი ორი
ბიჭი და აღშფოთებამ შეიპყრო. „ძველის და ახლის გარჩევას აღარა-
ფერში ხედავდა“. ახალიც დაუნდობელი და „ისეთივე სისტილიანი და
გაუმადლარი“ იყო, როგორც ძველი.

„არა, დათიას ის არ სჭირია“.

მწერალი აღარ ანვითარებს ამბავს, არ იძლევა პასუხს, თუ სად უნ-
და ედიოს დათიამ გამოსავალი. მაგრამ პასუხი თითქოს კითხვის მოხდუ-
ნილად დასმანია მოცემული. ეს კითხვა ნაწარმოების შემდგომი სუბიექტური
გაშლის ფოკუსად უნდა გადაქცეულიყო. ამის შემდეგ ყოფის სურათების
სფეროდან მწერალი ლოგიკურად პოლიტიკური ცხოვრებისა და ბაძო-
ლის სურათების აღწერაზე უნდა გადასულიყო. მაგრამ ეს არა ხდება.

ეს ნაკლი ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე წითელი ხაზით გასდევს.
მწერალმა ვერ დააკავშირა ყოველმხრივად ყოფილი ცხოვრება საზოგა-



ღივრები განვითარების პოლიტიკურ სფეროსთან. თავიდანვე აღებული ტემპი ბოლომდე უცვლელი რჩება. ამ გარემოებამ დიდწილად განაპირობა ნაწარმოებს. ვერ მოგვცა მან აღებული ეპოქის ყოველმხრივი სურათი და ასახვა. ცალკეულ შემთხვევებში შესამჩნევი გახდა უკან დახევა რეალიზმის პრინციპებიდან.

მსოფლიო ომი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწარმოებში ასახულია ერთი კუთხით. რამდენადაც კარგად ესმის მწერალს ომის იმპერიალისტური ხასიათი და რამდენადაც მუქ ფერებში იძლევა საზოგადოების უფლებო ნაწილის ყოფას, იმდენად ნაკლები წარმოდგენა აქვს იმ ისტორიულ ბრძოლებზე, რომლებსაც აწარმოებდნენ ლენინი და ბოლშევიკები მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის. ომის გარშემო წარმობული პოლიტიკური ბრძოლა და მოვლენებზე არსებული შეხედულების სხვადასხვაობა, რომელიც ადრინდელის გაგრძელებას და შემდგომად განვითარებულის საფუძველს წარმოადგენს, მთავარი დამახასიათებელი მომენტი იყო მსოფლიო ომის ეპოქისა. მსოფლიო ომის ყველა ფრონტზე, ზურგადან ცეცხლის ხახამდე, ქალაქად და სოფლად ჯარისკაცებსა და „მშვიდობიან“ მოსახლეობას იპყრობდა და კლასობრივ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ლენინის ძლევათმოსილი ლოზუნგები: „იმპერიალისტური ომი გადავაქციოთ სამოქალაქო ომად“.

ამ ლოზუნგმა და ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლამ ცარიზმისა და ყველა ჯურის ყალბი „სოციალისტების“ წინააღმდეგ, ბოლშევიკების მიერ მენშევიკების ლალატის გამოაშკარაებამ მოამზადა ცარიზმის დამხობა და სამოქალაქო ომი.

სერგო კლდიაშვილს „ფერფლში“ ომის დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ეს დამახასიათებელი მხარე არა აქვს მოცემული. აღწერა მსოფლიო ომისა ამ დიდი ისტორიული მოვლენის გარეშე შეუძლებელია. ეს არის არსებითი გადახვევა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდისაგან, ეს ნიშნავს მას, რომ რაღაც მნიშვნელოვანი სთქვა, მაგრამ მთავარი მაინც უთქმელი დაგრჩეს.

ნაწარმოებში სუსტად არის მოცემული მასების აქტიობა. მასების უკმაყოფილება არ გადადის აქტიურ მოქმედებაში არსებულის შესაცვლელად. მოცემულია უკმაყოფილება, მაგრამ არა სჩანს სათანადო რელიეფურობით რევოლუციური ძალა. ნაწარმოებში სუსტად არიან წარმოდგენილი რევოლუციური ტიპები, რევოლუციური სიტუაცია მკრთალად არის დახატული. თებერვლის რევოლუცია „მოულოდნელად“ ხდება. მწერლის სიტყვით, ეს რევოლუცია ჰგავდა იმას, რომ „დაიძინო ზამთრის ღამეში, გარედან ქარბუქის ღრიალი გესმოდეს, დილით კი გაიღვიძა და ვითხრან: პურია სამკალი, ვენახში მწიფე მტენებია საკრეფი“.

და, აი, ეს ქარბუქი, რომელსაც ქარიშხალი მოჰყვა და რომელმაც დაამხო მეფის ტახტი, დროებითი მთავრობა, საქართველოში კი აღვა-

„დემოკრატიული“ რესპუბლიკა პირისაგან მიწისა, „ფერფლში“ ხრანანს.

მენშევიკების დიქტატურის აღწერისას მწერალი მარჯვედ მენშევიკებს მის განკარგულებაში არსებულ მხატვრულ საშუალებებს. მწერალი წერტილს სვამს იქ, სადაც იწყება გლეხების სწრაფი პოლიტიკური გამოფხზღება, არსებულის გადაფისება. საჭირო იყო მწერალს ეჩვენებინა მათი გმირული ბრძოლა ფლიდი „დემოკრატიის“ წინააღმდეგ ისეთივე ძლიერი მხატვრული ოსტატობით, როგორითაც მოგვეცა ამ ადამიანთა რევოლუციამდელი ყოფის სფერო. ნაწარმოები ისე თავდება, თითქოს დიდი მხატვრული ტილოს პირველი წიგნი იყოს. ავტორმა უნდა მოგვეცეს „ფერფლის“ მეორე წიგნიც.



კლასობრივი ურთიერთობისა და ბრძოლის მხატვრული ასახვის თვალსაზრისით, საინტერესო ნაწარმოებია რა ედენ გვეტაძის „თოვ“. „თოვ“ აგებულია ფართო თემატიურ სუბეტზე და დაწერილია მხატვრული ოსტატობით, მძლავრი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით. მოთხრობის ფონად აღებულია ცარიზმის უკანასკნელი პერიოდი, მენშევიკური საქართველო და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები. ნაწარმოების ტიპები — სოციალურად სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები — მოქმედებენ ამ სამ ეპოქაში და მათი ურთიერთობის ფონზე. გამომავარაგებულია ცალკე აღებული ეპოქის და ისტორიული მოვლენის კლასობრივი ბუნება.

„თოვს“ მთავარი ტიპები არიან შემამულე თავადი ყაფლანი, მისი მოჯამაგირე მირზა და სოფლის ჩვეულებრივი გლეხობა. ნაწარმოები ორი მთავარი ხაზით ვითარდება: პირველი გვიჩვენებს ყაფლანისა და გლეხობის ყოფას სამი ეპოქის მანძილზე, მეორე — მოჯამაგირის მირზას გმირობას. მირზა არ არის მოცემული მკვეთრ რეალისტურ ხაზებში, მისი სახე დახატულია სადა ფერებით. ჩვეულებრივი მოჯამაგირე, რომელმაც ადამიანთა სოციალური ურთიერთობის საფუძველზე შეიგნო თავისი კლასობრივი ამოცანები და ჩაება აქტიურ მუშაობაში, ხდება მკითხველის საყვარელ გმირად. ყაფლანი დიდი შემამულე იყო. მას ეკუთვნოდა ბორჯომის ხეობის ნახევარი. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ყაფლანმა უცხოეთი მოიარა და იქ ნახულის მსგავსად ოჯახი ტფილისში მოაწყო. ყაფლანის მამა სოფელში ცხოვრობდა და მამულის შემოსავალს შეიღწეოდა. ყაფლანი ყოველგვარი შრომა-გარჯის გარეშე მსუბუქ ცხოვრებას ეწეოდა, ზაფხულს რუსეთის საუკეთესო კურორტებზე ატარებდა. მაგრამ როდესაც მამა მოუკვდა, ყაფლანმა არ დასტოვა „სამშობლო კერა“ და სოფელში დასახლდა, იქ განაგრძო თავისი „ტკბილი“ ცხოვრება: „მუდამ მოღბენილი ყაფლანი, სტუმრების საამოდ და გასაკვირად,

ზაფხულის მთელიანი ღამეში ქეიფს ხან ტანისკართან დამხრებულ მსუქან ტივებზე ატარებდა, ხან ბელბელის ციხესთან, ხან კიდეც ტყეში მასწავრონო ნადირობის შემდეგ“. ყაფლანი ცოტა ადრინდელი ეპოქის დამახასიათებელი ტიპია, მაგრამ ისეთი პარალელური ხაზებით აქვს ავტორს გამოკვეთილი ამ ტიპის პორტრეტი, რომ ფეოდალიზმის ნარჩენების უკანასკნელ ამოკენესასთან ერთად მთელი ძალით გვაგრძნობინებს იგი იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის დაკემას, რომელთანაც დაკავშირებული იყო ყაფლანი მორალურ-პოლიტიკური ძაფებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ყაფლანის ყოფის პარალელურად მწერალი მუქ და დამაჯერებელ ფერებში იძლევა გლეხობის უუფლებო მდგომარეობას. განსაკუთრებული მხატვრული ოსტატობით აშიშვლებს ავტორი მენშევიზმის ბურჟუაზიულ ჭუნებას. რევოლუცია მოხდა, ყაფლანი შეშინდა. ის რევოლუციის სასტიკ განაჩენს მოელოდა, მაგრამ ამოდ... მენშევიზმი, რომელიც პირველი რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოს სათავეში მოექცა, ყაფლანის კერძო საკუთრების საიმედო დამცველი აღმოჩნდა და მან ოდნავადაც არ შელახა ყაფლანის მსუყე ცხოვრება. პირიქით, მენშევიზმმა ყაფლანის დუნე ცხოვრებას ცრუ პატრიოტული სიამაყე შემატა. მშრომელი ნასა კი კვლავ წელში მოხრილი დარჩა უუფლებობისა და ექსპლოატაციისაგან.

მენშევიკური საქართველო სისაძაგლის უღაბნოს დაემსგავსა. მშრომელი ხალხის ინტერესებს, ნაციონალური ბურჟუაზიის გარდა, ფეხქვეშ სთელავდნენ უცხოეთის იმპერიალისტები. მწერლის სიტყვით რომ ვთქვათ, „ინგლისელებს უხეშად ეჭირათ თავი — არაკის ეპუეზოდნენ, არც მთავრობას აგდებდნენ შინცდამაინც რამედ“. ქვეყნის შიგნით უფრო ვაძლიერდა კლასობრივი კონფლიქტი. მუშათა გაფიცვები და გლეხთა აჯანყებები საქართველოს ყველა კუთხეს მოედო.

რადენ გვეტამე მთელ ამ სიტუაციას ხატავს როგორც საქართველოს ოქტომბრის რევოლუციის ობიექტური წინაპირობას.

მოთხრობა თავდება! საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების აღწერით. მწერალს ღრმად აქვს განცდილი და ათვისებული პროლეტარული რევოლუციის არსებითი მხარე. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ექსპლოატატორული კლასები და ფართო შემოქმედებითი ასპარეზი გადაშალა მშრომელი ხალხისათვის.

რადენ გვეტამის „თოვს“ განსაკუთრებული ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იქ მკითხველი ნათლად ხედავს სამი ეპოქის მანძილზე მომქმედ სრულყოფილ ტიპებს ყაფლანი არის დრომოქმული საზოგადოების წარმომადგენელი, მენშევიზმი — ამ საზოგადოების უკანასკნელი აპოლოგია, მირზა — კლასობრივი უკულმართობის წინამდებ მებრძოლი

ბოლშევიკი, შეურიგებელი და ბოლომდე თანმიმდევარი, მერჯულაძის სახით რაედენ გვეტყვიან შექმნა რევოლუციონერის მხატვრულმა ნაშრომმა „თეო“ გლეხობის წარსულისა და სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილი ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია.

სამოქალაქო ომის თემაზევე აგებული ბორის ჩხეიძის „დღეები“. ამ მოთხრობაში აწერილია სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა გმირული ბრძოლა მენშევიკური მთავრობის, მისი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

მენშევიკური რეჟიმის ზოოლოგიური შოვინიზმის სიმწვავე განსაკუთრებით ეროვნულმა უმცირესობებმა განიცადეს ჩვენში. მენშევიკებმა ააოხრეს, დაარბიეს, ცეცხლი წაუკიდეს და ნაცრად აქციეს მთელი სამხრეთ-ოსეთი, ოსეთის ეპოპეა წარმოადგინეს სამოქალაქო ომის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს საქართველოში. ამ ომის დროს ერთმანეთს შეხედნენ არა ოსი და ქართველი, არამედ ორი კლასი-ჩაგრული და მჩაგვრელი. ქართველ მენშევიკებთან ერთად მშრომელ ოსებს ებრძოდნენ ოსი მემამულეები. ბრძოლის ეს მთავარი, კლასობრივი მომენტით სანუკუთესოდ აქვს მოცემული ბ. ჩხეიძეს. მწერალს კარგად აქვს შესწავლილი სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის მიზეზები. იგი მოვლენათა სწორ ანალიზს იძლევა, ამიტომ „დღეების“ მიხედვით ძალიან ბევრის გაგება შეძლება „თვით ეკონომიური დეტალების მხრივაც“.

მოთხრობაში ავტორს მთავარ გმირებად გამოყენებული ჰყავს ორი ტიპი, ორივე ოსი და სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი: ჯინიყაშვილი-ღარიბი, შეგნებული გლეხი და ბითარიშვილი-შეძლებული მიწათმფლობელი, გაქნილი მენშევიკი.

ჯინიყაშვილს შეგნებული აქვს, რომ გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მენშევიკების ბატონობის დასობით და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. იგი ხდება ამ საქმის აგატორად და ორგანიზატორად. ამას გარდა, მწერალმა ჯინიყაშვილის გვერდით მოგვცა გიკაევი — ბაქოს საწარმოებში გამობრძმედილი ზომა, ბოლშევიკი. მუშა-ბოლშევიკის ტიპის გამოყვანით ჩხეიძემ ნაწარმოებში ხაზი გაუსვა პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს გლეხთა გამართვის უფლებებელ მოძრაობაში.

„დღეებში“ ხაზგასმულია რევოლუციური მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათი. აქ ბრძოლის საერთო ფრონტზე ბუნებრივად უკავშირდებიან ერთმანეთს ქართველები და ოსები: ლომსაძეები და ჯინიყაშვილები, გიკაევი და ბარჯაძეები. „ერთ საერთო საქმეს მიჰყავდა ეს ხალხი ერთი მეორესთან და ერთად იბრძოდნენ“.

ბ. ჩხეიძისათვის „დღეები“ უფოოდ სეროზული ნაწარმოებია. იქ გამოამჟღავნა მან პირველად თავისი მხატვრული ძალა და მოვლენათა

მარქსისტულ-ლენინური გააზრების უნარი. მაგრამ, როგორც ვერცხლ-ნაწარმოები, „დღეები“ არ არის დაზღვეული სქემებითი მნიშვნელობების განსაკუთრებულ ნაკლად მიგვაჩნია ადამიანთა ფსიქოლოგიის, განცდების სუსტად ჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ დამაკმაყოფილებლად არის მოცემული ყოფილი ფონი.

ლეო ქიჩელს, როგორც კარგ ბელეტრისტს, მხატვრული სიტყვის ოსტატს, იცნობენ უმთავრესად ორი ნაწარმოებით: „ტარიელ გოლუასი“ და „სისხლით“. ძალიან იშვიათად იხილავენ ამ მწერალის პატარა მოთხრობებსა და მხატვრულ ნოველებს. არსებითად კი ამ მოთხრობებსა და ნოველებში არანაკლები ძალით არის გამომვლავნებული მწერლის მხატვრული ძალა. ქიჩელის ყველა ნოველა დაწერილია დიდი მხატვრული ოსტატობით. მხატვრულობით, იდეური სიმბავილით, გმირის ზნეობრივ-ფსიქოლოგიური განცდით ეს პატარა მოთხრობები და ნოველები არ ჩამოუვარდებიან „ტარიელ გოლუას“. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია მოთხრობა „ჰაკი აბა“.

„ჰაკი აბა“-ს თემა აღებულია სამოქალაქო ომის პერიოდიდან; იგი „ტარიელ გოლუასს“ და „სისხლის“ ერთგვარ თემატიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. „ტარიელ გოლუასში“ და „სისხლში“ ავტორმა გვიჩვენა ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლა 1905 წლის რევოლუციისა და მისი დამარცხების პერიოდში. „ჰაკი აბა“-ში მწერალმა რუსეთის სამოქალაქო ომის ერთგვარი მხატვრული პანორამა შექმნა. ეს მოთხრობა ორავინალურად არის დაწერილი. მწერალს უნდა გვიჩვენოს რუსეთის სამოქალაქო ომის ძლიერი სურათი. ამისათვის იგი არ მიმართავს ბრძოლის უშუალო აღწერას, ფრონტებზე წითლებისა და თეთრგვარდიელების შეჯახებას. მოთხრობის თემად ავტორი იღებს ბოლშევიკების კრეისერის „შდმიდტის“ ქ. სოხუმის ნავთსადგურში მისვლის ამბავს. ამ ამბის ფონზე შლის იგი მკითხველის წინაშე სამოქალაქო ომის გმირულ სურათებს. ეს სურათები დახატულია უბრალოდ და ძლიერი შთაგონებით. მწერალი აღწერს კრეისერის მეთაურს კუზმა კილგას, რომელსაც მტრებმა მეტსახელად „მრისხანე“ შეარქვეს. კუზმა მრისხანის სახეზე აღბეჭდილია სამოქალაქო ომის გმირული ისტორია.

ამის პარალელურად დიდი მხატვრული სიძლიერით გვიჩვენა მწერალმა ძველი ქვეყანა, რომლის წარმომადგენელიც არის მეფის დაშლილი ჯარის ოფიცერი, აფხაზი თავადი უჯუშ ემბა. ეს ოფიცერი ომის დროს ავსტრიის ფრონტზე იბრძოდა, შემდეგ სამოქალაქო ომის ცეცხლში ტრიალებდა, ებრძოდა ბოლშევიკებს და ძლივს შეინარჩუნა სიცოცხლე. ჩამოვიდა აფხაზეთში და თან ჩამოიტანა „სიყრმიდანვე მისი საოცნებო ოფიცრის ეპოლეტები და ოფიცრისავე წმ. გიორგის ოქროს ორდენი“. სამოქა-

ლაქო ომიდან ემზამ წამოიღო აგრეთვე შიში, რომელიც მოსვენებას არ აძლევს, ძილშიაც ბოლშევიკები ელანდება და სულს უფრთხილს. ლექს-ცა ემზა გაიგებს სოხუმში კრეისერ „შმიდტის“ მოსვლას, დაიწყება შისი ნამდვილი სულიერი ტრაგედია. აქ ქიაჩელმა დიდი მხატვრული ძალით გვიჩვენა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა და იმედ დაჯარგული ადამიანის შინაგანი სამყარო.

„პაკი ამბა“ პოლიტიკურად გამართული და მხატვრულად კარგად დაწერილი მოთხრობაა სამოქალაქო ომის თემაზე.



სამოქალაქო ომის თემაზევე სიმონ ჩიქოვანს აქვს ძლიერი ექსპრესიით და მოვლენების პოეტური განცდით დაწერილი რამდენიმე ლექსი („რევოლუციური მინდვრების შესახებ“, „სამოქალაქო ომებიდან“, „მოსკოვი ოქტომბერში“ და სხვ.). ამ პატარა ლექსებში პოეტი მხატვრული ოსტატობით გვაგრძნობინებს იმ ეპოქას.

ლექსში „სამოქალაქო ომებიდან“ სიმონ ჩიქოვანი უღიარალო გლახობის გმირული ბრძოლის საუცხოო სურათს ჰქმნის:

პოემაში „ბედი რესპუბლიკა“ სიმონ ჩიქოვანმა, პოეტური ქრონიკის სახით, მოგვცა „დემოკრატიული“ რესპუბლიკის უკანასკნელ დღეების რამდენიმე სურათი. ამ პოემას არა აქვს მთლიანი ფაბულა. ავტორს არა ჰყავს გამოყვანილი იქ ცოცხალი ადამიანი. პოემის გმირია მენშევიკების „რესპუბლიკა“, ხოლო შინაარსი — მენშევიკური „დემოკრატიული“ სამოთხის აღსასრული, მოცემული კომიკურ მდგომარეობაში. ამ პოემაში ძირითადად სწორად არის გადმოცემული „დემოკრატიის“ უკანასკნელი „ისტორია“. მაგრამ ძლიერ პოეტურ ადგილებთან ერთად პოემას ახასიათებს სტემატიზმი მთავრობის გაქცევის აღწერის გადმოცემაში.



განსაკუთრებულად განზილვის ღირსია ალ. ქუთათელის რომანი „პირისპირ“. ეს წიგნი ვრცელი მხატვრული ეპოპეის პირველი ნაწილია. ავტორს აღებული აქვს მენშევიკების ბატონობის პირველი წლები. რომანი უსათუოდ რეალისტური ხედვით არის დაწერილი. აქ იგრძნობა ავტორის მიერ ეპოქის დამახასიათებელი ისტორიული მოვლენებისა და განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ფსიქოლოგიური სამყაროს ცოდნა. ძლიერის დამაჯერებლობით აქვს ქუთათელს გადმოშლილი ინტელიგენციის ამ ნაწილის მორალურ-ფსიქოლოგიური სამყარო. მაგრამ რამდენადაც ძლიერად აქვს ავტორს მოცემული ეს უკანასკნელი, იმდენად სუსტად არის დახატული რევოლუციურ-პროლეტარული ინტელიგენციის ინდივიდუალურა სახეები. ჩვენის აზრით, აქ აღარა სჩანს ადამიანის ხულის ცოდნის ისეთი უშუალობა, როგორც პირველ

შემთხვევაში. ამიტომ ინტელიგენციის ეს მეორე ბანაკი, რომელიც მოცემული უნდა იყოს როგორც გმირი რომანისა, სუსტად უნდა გამოიხატოს ამის შედეგად ის სოციალური კოლიზია, რომელსაც ჰქმნის ავტორი ინტელიგენციის ამ ორი ბანაკის დაპირისპირებით, ნაყლებად მძაფრია და კლასობრივად ნაყლებად მახვილი.

ნაწარმოების ნაკლად მიგვაჩნია ის, რომ სუფეტური კვანძი გადატანილია ინტელიგენციის სხვადასხვა ბანაკის მოქმედების ცენტრში და არა მასების ცხოვრებასა და მოქმედებაში. ეს გარემოება იწვევს სოციალური კოლიზიისა და ნაწარმოების ფაბულის დინამიკის შესუსტებას. ნაწარმოებში ძალიან ბევრი კონტრარეველუციური ტიპია გამოყვანილი. ამას ზიანი მოაქვს ნაწარმოების რეალისტურ-რევოლუციური განწყობილების მკვეთრად გამოხატვისათვის. მწერალი თავის განკარგულებაში არსებულ ფერებს ხარჯავს ამ ტიპებზე და ნამდვილი გმირის-ბოლშევიკის სახე უშთავრესად ბიოგრაფიულადაა მოხაზული. ავტორს რომ უფრო ძლიერად მოეცა რევოლუციური ტიპები, მასა, მაშინ გაცილებით უფრო გამართლებული იქნებოდა ფეოდალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ასეთი სიმრავლე. ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, როგორც ნაკლი, ისიც, რომ ქუთათელს ნაწარმოების მთავარ გმირად გამოყვანილი ჰყავს არა ბოლშევიკი მახათაძე, არამედ ფეოდალური ოჯახის ნაშიერი, დრომოქმულ ტრადიციებზე აღზრდილი, სანახევროდ ფუქსავატი ინტელიგენტი კორნელი მხეიძე. კორნელი შეიძლება დამაჯერებელი ტიპია თავისი ხასიათებით, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს მთავარი გმირი, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ მას არა აქვს რაიმე იდეალი, მისი პოლიტიკური აზროვნების არე მეტად შემოზღუდულია. ესეც რომ არ იყოს, რევოლუციური ეპოქის ამსახველი მხატვრული ნაწარმოების გმირი შეუძლებელია იყოს განწირული ფენის ადამიანი. ეპოქა გმირად აყენებს იმას, ვინც მის მოწინავე იდეას ემსახურება.

მოუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში შედარებით სუსტად არის დახატული მახათაძე, რომანის გმირად ობიექტურად მაინც ის მოსჩანს. შოწინააღმდეგე ბანაკის მუქ ფონზე რელიეფურად აღიზარდება ბოლშევიკ მახათაძის რევოლუციური ფიგურა. ნაწარმოების განსაკუთრებულ მხატვრულ ღირსებად მიგვაჩნია ის სატირული მანერა, რომელიც დროგადასული ეპოქის ინტელიგენციის აღწერისას უფრო ცხადსა და სშვარას ხდის ამ ინტელიგენციის განწირულებას.

მწერლის მხატვრული ძალა, რეალისტური ხედვა და აღებული პერიოდის ისტორიული სიმართლე განსაკუთრებულ ძალით გამოიმკვამნდა შამქორის ბრძოლისა და ალექსანდროვის ბაღში ბოლშევეკირი შიტინგის დახვრეტის აღწერისას. მხოლოდ აქ შეიძლება იგრძნოს მკითხველმა რომანტიკა იმ გმირული ბრძოლებისა, რომლებსაც ეწეოდნენ ბოლშევიკები ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ საქართველოში.

ძირითადად ეს რომანი სწორად გადმოგვცემს რევოლუციურ მართა განწყობილებას, ფეოდალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ქვეყნურობას, მენშევიზმის ბურჟუაზიულ ბუნებას და „დემოკრატიული რევოლუციის პუბლიკის გახარწის დასაწყისის მისი არსებობის პირველ წლებშივე.

* *

ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ ძირითადი ნაწარმოებნი, რომლებიც ებზოდნენ სამოქალაქო ომის თემას და შეძლებისდაგვარად ვუჩვენეთ, თუ როგორი იდეურ-მხატვრული სიძლიერით არის ასახული ქართული საბჭოთა მწერლობის მიერ ის დიდი ისტორიული ეპოქა, რომელმაც, მაქსიმ გორკის სიტყვით, „დასაწყისის მისცა ახალ მსოფლიო ისტორიას, მშრომელი ხალხის ცხოვრების ახალ სოციალისტურ ფორმას“.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ნაწარმოები (მათ შორის ისინიც, რომლებიც ამ წერილის განსაზღვრული ფარგლების გამო ვერ განვიხილეთ), ერთად აღებულნი, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა მივცეს თანამედროვე საბჭოთა მკითხველს იმ დიდი გმირობისა, ვაჟაკობისა და თავდადების შეუდარებელ ნიმუშებზე, რომლებიც გვიჩვენებს რუსეთისა და საქართველოს მშრომელთა მთავარი ღვაწლისა და ესერ-მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნისათვის. მრავალ უმნიშვნელოვანეს მომენტს სრულიად არ შეეხებიან ჩვენი მწერლები, ზოგი მომენტი კი ძალიან მკრთალად და ზოგადად აქვთ გაშუქებული.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ ვერ ასახა მთელი თავისი დამახასიათებელი მხარეებით მსოფლიო ომი, როგორც ჩვიდმეტი წლის რევოლუციებისა და სამოქალაქო ომის ერთგვარი პროლოგი.

თანამედროვე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მხოლოდ გლაქტიონ ტაბიძემ მონახა მსოფლიო ომის ვითარების შედარებით სრული რეალი. „ეპოქაში“ ლირიკული სიტბოთი და ჩვეული რევოლუციური ექსპრესიით, მეზობლი რიტმით გააშუქა მან იმპერიალისტური ომის ეპოქა. მან არაჩვეულებრივი ძალით გვიჩვენა „საბრალო და დაღალული ჯარისკაცის“ მხნეობა და მამაცური რევოლუციური ბრძოლა ომის წინააღმდეგ. მაგრამ ეს არის მხოლოდ ზოგადი ასახვა იმპერიალისტური ომის საერთო ფონისა. ყველა დეტალის სრულყოფილად დახატვა კი ჯერ კიდევ დაუძლეველ ამოცანად სდგას მწერლობის წინაშე.



ისევე შეიძლება ითქვას სამოქალაქო ომის თემატიკაზე დადგენილი მრავალ-
ბული ლიტერატურა, როგორც ზევით დავინახეთ, ძირითადად ეხება იმ პერიოდს,
როდესაც ალწერილობით კმაყოფილდება და სუსტად გვიხატავს მუშათა და
გლეხთა მასას, რომელიც, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების
ხელმძღვანელობით, საკუთარი ძალის შეგნებითა და გამარჯვების ამაყი
რწმენით ანადგურებდა ადგილობრივი და უცხოეთის იმპერიალიზმის
აგენტებს, ჰქმნიდა და ამაგრებდა საბჭოთა სახელმწიფოს.

სამოქალაქო ომი რუსეთსა და საქართველოში მწვევე სიტუაციაში
მიმდინარეობდა. ასეთი დამაბული კლასობრივი ბრძოლა რუსეთისათვის
პირველი მოვლენა არ იყო, მაგრამ სამოქალაქო ომის თავისებურება ის
იყო:

„რომ დარაზმული როგორ მზეობა
იბრძოდა წითელ დროშასთან ერთად
მთელი მშრომელი მოსახლეობა“ (ვალ. ტაბიძე).

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში პირველად რუსეთის სამო-
ქალაქო ომმა წამოაყენა მოსახლეობის უმრავლესობა, მასა, მოძრაობის
შეგნებულ და დარაზმულ გმირად. ამ გმირის ჩვენებისათვის მხატვრულ
მწერლობას არ ეყოფა კლასიკური ლიტერატურის ტრადიციული საღე-
ბავები. წინაისტორიულ ეპოქაში, როცა პროლეტარიტი არ იყო ამაღ-
ლებული კლასობრივი შეგნების მწვერვალამდე, როცა არა ჰყავდა მას
საკუთარი პარტია, როგორც ბელადი მშრომელი კაცობრიობის გამანთა-
ვისუფლებელი მოძრაობისა, ხალხი თავის რიგებიდან გამოჰყოფდა ერ-
თულ გმირებს, ერთეულ მებრძოლებს კლასობრივი უთანასწორობის წი-
ნააღმდეგ. ეს გმირები და თვით დაზარალებული ხალხი სტიქიურად იბრძო-
დნენ. ვარდა ობიექტური ისტორიული პერსპექტივისა, არ გააჩნდათ მათ
ფართო მიზანდასახულობა და უახლოესი ბრძოლის კონკრეტული გზები.
რეალისტური კლასიკური ლიტერატურა და ფოლკლორი გვიჩვენებდნენ
ამ ცალკეულ გმირთა „თავგადასაყვას“ და ხალხის სტიქიურ ბრძოლებს.

თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას კი ეს არ ეყოფა. მან თავისი
მხატვრული აზროვნების სფერო უნდა შეავსოს იმ მდიდარი გამოცდი-
ლებით, რომელიც დააგროვა მუშათა კლასის შეგნებული ბრძოლის
გზამ. საბჭოთა ლიტერატურამ უნდა გვიჩვენოს სამოქალაქო ომის ცალ-
კეული გმირები, როგორც მასების დამარაზმველი ორგანიზატორები, ბე-
ლადები. მაგრამ პარალელურად ამისა და უმთავრესად უნდა გვიჩვენოს
მასის გმირობა, როგორც დამახასიათებელი თანამედროვე კლასობრივი
ბრძოლისა.

ზევით განხილულ მხატვრულ პროდუქციაში კი შედარებით სუსტად
არის გაშუქებული რუსეთის სამოქალაქო ომის ეს მხარე.

რაც შეეხება სამოქალაქო ომის აღწერას საქართველოში, უნდა აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები ეხება მის წარსულში მხარეს. სამოქალაქო ომის ჩვენება საქართველოში უნდა მოხდეს მუშათა გაფიცვებისა და რევოლუციურ გლეხთა მასობრივი აჯანყებების მხატვრული ასახვით. მენშევიკური საქართველო გაბეჭდილი იყო სამოქალაქო ომის ცეცხლის ალში. არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, სადაც არ ყოფილიყო მუშათა გაფიცვები და უუფლებო და ექსპლოატირებული გლეხობის აჯანყება. მხოლოდ ამ აჯანყებებისა და გაფიცვების ფონზე შეიძლება აისახოს საქართველოს სამოქალაქო ომის ნამდვილი და მხატვრულად ძლიერი სურათი, შეიქმნას „მასისათვის სიმღერა კარგი“, რომელიც „უკვდავებისაქენ გზას გაიკაფავს“. მხატვრულ პროზასა და პოეზიაში ეს აჯანყებები, გაფიცვები და ბრძოლები არ არის ასახული საკმაო სისრულით და სიძლიერით.

ყველაზე სუსტად არის ნაჩვენები საბჭოთა პატრიოტიზმი. სამოქალაქო ომის დროს მთელი მშრომელი ხალხი აღფრთოვანებული იყო პატრიოტული გრძნობით. ეს იყო საბჭოთა პატრიოტიზმი, სადაც ბუნებრივი ძალით იყო გადანასკვეული ერთმანეთთან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესი. სამოქალაქო ომის ცეცხლის ალში გამოიქვედა პროლეტარიატის დიქტატურისადმი უანგარო ერთგულება, აქ გამტკიცდა მშრომელთა მასებში საკუთარი სამშობლოს შეურყეველი ძლიერების შეგნება.

რუსეთის სამოქალაქო ომმა წარმოშვა ისტორიაში პირველი ქვეყანა, რომელიც არის მსოფლიო პროლეტარიატის პირველი სამშობლო და რომელმაც თავის არსებობის პირველ დღიდანვე მოიპოვა ქვეყნის ყველა კუთხის მშრომელის სიყვარული და თანაგრძნობა.

ამ თემატური გეზით განვითარებული მხატვრული მწერლობა შესძლებს მხოლოდ ნამდვილად ასახოს სამოქალაქო ომის დიდი ეპოქა და უთხრას სიმატლევ როგორც თანამედროვე საბჭოთა მკითხველს, ისე მომავალ თაობებს.



ირაკლი აბაშიძე — „ლიბანბი“ გამომცემლობა „მედიკალი“

ირ. აბაშიძის ახალგაშობულ ლექსების კრებულში თავმოყრილია ავტორის უმთავრესად უკანასკნელი პერიოდის პოეტური პროდუქცია. ამ კრებულში მოთავსებული მრავალი ლექსი მკითხველის ყურადღებას იმუშავებს თავისი მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსებით.

ამ მხრივ პირველყოელისა საგულისხმოა მისი ლექსი „სურგვი კიროვი“. ხალხის მტრებისა, ფაშისტურ-ტროცკისტულ-ბუხარინულ ჯაშუშების მიერ ვერაგულად მოკლული ამხანაგი კიროვის უკვდავი სახე და საქმე პოეტურად და სწორად არის გააზრებული. რევოლუციური ალტაეებით საცე შირონინი დგას წითელ მოედანზე მშრომელი ხალხის მოამაგის, დიდი ბელადის გვერდით. იგი გადასცქერის უზარმაზარ, უდიდეს სადარაჯოებს და რუხი მაზარით გამოსულ ბრძენ ბელადს ეხლაც ესმის საყვარელი ადამიანის, კიროვის ლითონივით გამძლე ხმა:

„ისეც ცოცხალი, მზიარული, განუგმირავი,
დიდ ლენინგრადის ალტაეებსა ისეც მოიტანს...
დედაქალაქში ესალმება ზემს კიროვი
და გადასცქერის გაბარებულ წითელ მოედანს“.

დიდი ბელადის, სტალინის ამხანაგი და დაუდგრომელი თანამებრძოლი ეხლაც ცოცხალია ჩვენს წარმოდგენაში და ავტორი მოხდენილად ამბობს:

„თითქოს ბელადი თანამებრძოლს ახლაც აქ ელის, მისი რკინის ხმაც საყვარელი ესმის ლოდინში“.

ლექსები „გმირი“, „შეიქმენ გმირი“ — „დიდი გაზაფხული“ ბელადის საყვარულით გამთბარი სტრიქონებით არის დაწერილი:

„იმ კაცს დიდება, ვინაც შრომა უსიხარულო
ბედნიერების და გმირობის საქმედ გაზადა“.

პოეტი ალტაეებს გამოსთქვამს სტალინის გენიით აღბეჭდილ დიადი ეპოქისა და საბჭოთა ქვეყნის წინაშე.

ავტორს „ქვეყნების ბედის სარდლის და კაცთა უკეთეს მიზნის მხატვრის“ დიადი სახე ასე წარმოუდგენია:

„შინ მოიტანა ქვეყნად მართალი
თავისუფლება და გაზაფხული...
კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი,
მზეს მზე დაერქვა, ვარდებს ვარდები,
მან ამოაშრო ცეცხლად ნადები
საუტუნეთა გულში ნადევი“.

ავტორი ეძიებს და ჩენი მშენებლობის ყოველ დარგში პოულობს ჩენი გმირული ეპოქის უთვალავ გმირებს, რომლებიც გადაქარბებით და გმირულად ასრულებენ იმ დაველებებს, რომლებიც ჩენი დიადი სამშობლოს დეველებიც არის და ამავე დროს მთელი მშრომელი კაცობრიობისაც. ამ დაუცხრომელ და უშიშარ გმირთა სახელები გაისმის ჩენი თვალუწყვენი სამშობლოს კიდით-კიდემდე:

„ჩაის ველებზე, მალაროში, ქარხნის ღუმელთან, ძირს და ჰაერში იქედება გმირთა სახელი“.

კერძოდ საქართველოს ამდენი გმირი არასდროს არ ჰყოლიაო — ამბობს ავტორი და ეს ჭეშმარიტებაა.

„მაგრამ არასდროს დარაზმული გმირი ამდენი, **ერქინული გამარჯვებისთვის საქართველოს, ჯერ არ ჰყოლია**“ **გენერალთა**

გაზრებული სენტენციები და შეხედულებანი ამა თუ იმ მოვლენაზე, აფორიზმები პოეტის მეტად დიდ ღირსებას შეადგენენ:

„შოლოდ ვაეცაყებს, შოლოდ მარჯვეთ და გამბედავებს
გაუნაწილებს ეს ქვეყანა გმირთა სახელებს.“

დიდი გაზაფხულის გაივლება რევოლუციისთან, გაზაფხულის მოახლოება, მისი მოსვლა და დიდი ბელადის სტალინის მიერ გაჩაღებულ ამ თავისუფლებასა და გაზაფხულში დაინახვა ეხლაც ცოცხლად ამართულ წულუკიძის და კეცხოველის სახისა მეტად მოხდენილად, ორიგინალურად და მხატვრულად აქვს შესრულებული პოეტს.

ფაშისტურ ქვეყნების ურდოების და მისი ერთგული ჭოფაკის გენერალი ფრანკოს მიერ ჩადენილი უმსგავსოებანი ესპანეთში სამართლიან აღშფოთებას იწვევს ავტორში იგი ზედაეს ესპანეთის ხალხის თავგანწირულ ბრძოლას მტრებთან, მას ვერ მოუნებებია ფაშისტური ხროვის სისხლიანი და საშინელი საქმეები:

„როგორ? ჯალათის ბინძურ ხელებით
დაკლან, აყარონ ხალხი ხიზნებით?
უნდა აღმართოს საღრჩობელები?
ეს მით არასდროს არ ეღირსებათ.“

ი. ამაშიძის ეხერხება როგორც პირად განცდათა გადმოცემა, ღირიულ ხაზებში ვაშლა ლექსისა, ასევე პოლიტიკური პამფლეტიც. მის ლექსებში ეპოსის ელემენტებიც მოიპოვება. მაგალითად ეპიურ ნაწარმოებად შეიძლება ჩითვალოს „გადარჩენის ბალადა“. ავტორი აქ ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანის ექსპედიციის და 1931 წელს ამ ექსპედიციასთან ერთად წასულ თავის ძმის ამბავს მოგვითხრობს. ჩვენს გმირულ ქვეყანას და ეპოქას, ცხადია, უფრო ღრმად ასახავს ეპიური ნაწარმოები, ვიდრე ღირიული. სამწუხაროდ ი. ამაშიძის „გადარჩენის ბალადას“ აქვია ოსტატობა. იგი მოიკოტლებს, როგორც ენის მხრივ, რითმისა და რიტმის აგრეთვე უხერხულ თქმებით, მაგალითად: ავტორი ამბობს რომ ჩვენმა მოყვარემ დაქარგა შროფლორისი შეილიო „ათარბებს (?) ფრონტზე, ტრაპეზუნდის თუ ჯანდაბის (?) იქეთო“. ავტორის დედა „სტიროდა რალაც სიმწარის განცდით(?)“. „სცოცხლობდა მამაც დიდძალი (?) კაცი“, ან კიდევ:

„ასე მგზავრობდნენ მგონი ჩუქაშნი მიწის ხმელეთზე“ — (?) „აი, ხეთებიც, ოკიანეში, ფიქრთა ზღუაში ჩვენც უგზრო-ტყველო და ევხეტებიო“... (?) „ირაკლი ამაშიძის უკანასკნელ წლებში დაწერილი ლექსები უფრო ნათელი, გამჭვირვალი, საკმაოდ ორიგინალურია და რითმებისა და რიტმის მხრივაც უფრო გამართული თქმეცა იდენტ და ფორმალურ ჩაფარებებიდან არც ისინი არიან საცხებით დაზღვეულნი.“

ზედმეტია ლამაზაკი იმის შესახებ, თუ როგორი გარეწარი უნდა იყოს ადამიანი და ის მიწერალო, რომელსაც დიადი საბჭოთა სინამდვილე, თავისი საყვარელი სამშობლო არ აღაფრთოვანებს, მაგრამ ამ აღფრთოვანებას ესაჩიროება შესაფერისი ფორმა გამოთქმისა. ყველაზე საწიში რამ არის პოეტისათვის ყალბი პათოსი და გაუბრალოება, ირაკლი ამაშიძე, რომლის ლექსებსაც ახასიათებს ჩვენი ქვეყნის გულწრფელი სიყვარული, აღაგალობ ზაინც ყალბი პოეტური პათოსის ტყვეობაში ემწყვდევდა. მე მრედელობაში მიქვს პირველი ლექსი „ზღვა“. ამბობკრებული ზღვა ადამიანად წარ-

მოუდგენია ავტორს, სურს ხელი ჩამოართვას და დამშვიდებით ესაუბროს მას ჩვენი ქვეყნის გარეთ, კაპიტალისტურ მსოფლიოში არსებულ სოციალურ უკეთესობაზე.

ასეთივე უცნაური მისვლაა სამყაროსთან აგრეთვე ლექსში: „ვეფხისტყაოსნის“ სამაგიეროდ საკმაოდ ორიგინალურად, საინტერესოდ, — იდეურად მხარს უჭერდა იქვე შესრულებული და დაძლეული მას ლექსში: „ორი ირემიზ ქანდაკების გორაზე“. კომკავშირის გორაზე ლითონისაგან გაკეთებული ორი ირემის ქანდაკია აღმართული, თითოეულ მონეტაზე ირმებმა ნახეს სამშვიდობო მთა და „სამუდამო თავშესაფარი“. მთი თვალწინ უცხო სანახაობა იშლება: გაირადდნებული ქალაქი მთის ქვეშ, ხოლო მთაზე: მზიარული ხალხის ცეკვა-თამაში და ფერხული. ნახეს ირმებმა ქვეყნად პირველი თავისუფლება ნებადართული“. „შეეს ბრინჯაოში სახეშეცვლილი“ ირმები თითქოს ცოცხლებიან, იწყებენ ყვირობს ვით საყვირები და ამცნობენ ყველას ჩვენს ქვეყანაში დანახულ ბედნიერებას, შრომას, სიხარულს.

„და გამყვიარ ხმით ყოველ ლამეში
თავს დაჰყვირიან ტყილისს ირმები“.

საესებით დაძლეულია აგრეთვე „ნარიყალა და მიიდანის“ გასაუბრება და ნარიყალის ციხის გამგადასულ ადამიანად წარმოადგენა.

სამკითხა ახალი ქალაქი, მისი მიიდანიც ისე გამოიკვალა, რომ ნარიყალა ველარა სცნობს ძველ ალაგს:

„ძირს გადაშლილი ადგა ქალაქი
და ამაყურად ვეფხი ტიტანი“...

და:

„ძველ მიიდანისკენ გზებს ეკითხება
ახალ მიიდანის გზებზე შევალღბს“...

ლექსები: „სირგვი კიოვი“, „დიდი გაზაფხული“, „ორი ირმის ქანდაკი კომკავშირის გორაზე“, „ნარიყალა და მიიდანის“ ი. აბაშიძის საუკეთესო ლექსების რიცხვის მიტყუთენებიან.

საერთოდ: ირაკლი აბაშიძის ლექსების წიგნი ავტორის შემოქმედებითი ზრდის უღაო მაჩვენებელია.

ალ. ძუთათელი

„უცხოელი და რუსი პოეტები“

გიმი ბაჩიაჩილაძის თარგმანი

ოთხი წლის წინათ ქართულ პრესაში პირველად დაიბეჭდა ახალგაზრდა პოეტის გივი გაჩეჩილაძის თარგმანები, რომელთაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს თავისი შინაარსიანი პოეტური სტრიქონებით და უღაო ტექნიკური ღირსებებით. ახლა ეს თარგმანები თავმოყრილია პატარა, ლამაზად გამოცემულ კრებულში და ჩვენ საშუალება გვაქვს მთარგმნელის პოეტურ შესაძლებლობაზე გარკვეული აზრი შევიმუშავოთ.

მთარგმნელის ნამუშევრის ღირსება ორ ძირითად თვალსაზრისით უნდა შეფასდეს. პირველი ენის კანონზომიერებებიდან გამომდინარეობს, ეს არის ის ელემენტარული მოთხოვნილება, რომელსაც მკითხველი სამართლიანად დაუყენებს ყოველ თარგმანს. მწერალმა თავის ენაზე უნდა მონახოს ადეკვატური ლექსობრივი ელემენტები და სინტაქსური წყობის თავისებურებანი. ცხადია, ჩვენ ვერ ჩავთვლით დამაკმაყოფილებლად თარგმანს, თუ პოეტმა შეცვალა ნაწარმოების საგნები და უხეშად დაარღვია სინტაქსური წყობის კანონები. ეს ამოცანა, რომელიც ერთი შეხედვით ძნელი გადისა-

მეტეტი არ არის, მეტად რთულდება მხატვრული ნაწარმოების თარგმანში. რისთვისაც ევალება ზედმიწევნით დაიცვას პოეტური სტილის ნოქლეტიკობა პლექსის ადეკვატობაც. არსებითად ამ ორი პრინციპის უკუწყობის საფრთხის თარგმნის პრობლემას.

პოეტური ნაწარმოების სტილი უაღრესად სრული ცნებაა. აქ ადგილი არ არის ვილაპარაკოთ მის კომპონენტებზე. მე საკიროდ მიმაჩნია ვაიხსენო ერთი მომენტი. არც ისე იშვიათად ვხვდებით ადეკვატურ თარგმანებს, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთები იმსახურებენ ნამდვილ პოეზიის სახელს. ეს იმით აიხსნება, რომ ლექსიკური ადეკვატობის გარდა, თარგმანში უნდა მოისმოდეს რიტმების ის შინაგანი პულსაცია, ენით აღწერადი პოეტური მუსიკა, რომელიც ორიგინალს ანიჭებს მხატვრულ სურნელებას. კორნელი ჩუკოვსკი წერს: „თუ პოეტმა „დაამახინჯა“ არა ცალკეული სიტყვები და ფრაზები, არამედ მთელი ნაწარმოების კოლორიტი, თუ მან ამაფეთქებელი ლექსების მაგიერ მოგვცა ტრავიკული. მოლივლივე ლექსების მაგიერ—ხორკლიანი, ჩვენ თითქმის უძღური ვართ დავემტკიცოთ რიგით მკითხველს, რომ მას ყალბი თარგმანი მიაჩვენს“ („Искусство перевода“, 28).

აღნიშნულის მიხედვით მოკლედ განვიხილოთ გ. გაჩეჩილაძის თარგმანები. ამოდ შევეცდებით მის კრებულში შესულ ავტორთა შორის მოგვეჩვენო რაიმე საერთო ენა მსოფლმშვედველობის, პოეტური კულტურის ან სტილის თვალსაზრისით. ისინი ექვთენიან სხვადასხვა ქვეყნებს, ეპოქებს, პოეტურ სკოლებს. კლასიკურ მწერლობის დიდი კარიფები, ფრანგი პარნასელები და დეკადენტები, რესპუბლიკური ესპანეთის მებრძოლი პოეტები, თანამედროვე დასავლეთის ავტორები და სხვანი თითოთოროლა დამახასიათებელი ლექსით შესულან ამ პატარა კრებულში.

მე ფიქრობ, რომ მთარგმნელს ყველაზე მეტი სიძნელე ამ ეპოქებსა და პოეტური სტილების მრავალფეროვანებაში ხეტილის დროს უნდა შეხვედროდა... არსებობს არტიტული ამბულა. ეს იცის თეატრის ყოველმა მყურებელმა. უთუო არსებობს პოეტური ამბულაც, ამიტომ გაცილებით უფრო ადვილად სწევებს ამოცანას ის მთარგმნელი, რომელსაც თავისი პოეტური გემოვნებისათვის შეურჩევია ავტორები. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოეტებს არა აქვთ ფართო ესთეტიკური აღქმის უნარი. მე ვილაპარაკებ მხოლოდ სიძნელეზე და იმ საფრთხეზე, რომელიც ამ სიძნელიდან გამოიშინარეობს. ეს საფრთხე შემდეგია: ადვილად არის მოსალოდნელი, რომ სხვადასხვა ეპოქის და სტილის პოეტები ერთმანეთს დაემსგავსებინან. გ. გაჩეჩილაძის თარგმანებში ეს სიძნელე უთუოდ გადალახულია, თუ მწედველობაში არ მივიღებთ საერთო ტონის მეტად თხელ, გამჭვირვალე ფერადს, რომელიც გაჰყარავს ავტორსა და ლექსებს. რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის არის მოსალოდნელი და ამდინად აუცილებელიც.

გ. გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილი ლექსებისათვის დამახასიათებელია სწორი ქართული მეტყველება. არსად არაა დარღვეული ჩვენი მდიდარი და მრავალფეროვანი ენის წესები. ლექსის ფორმალური ელემენტების გადმოცემისათვის პოეტს არსად არ გაუწიარეს სწორი მეტყველების ნორმები. (ცნობილია, რა ზოროტად იყენებს ზოგიერთი) პოეტური ლიცენცია ამ პატარა კრებულიდან მართებულად არის განდევნილი.

მაგრამ მთარგმნელის ძალი მარტო ამ ენობრივ ელემენტებში როდი გამოსკვივის. გ. გაჩეჩილაძის ლექსებში მკითხველს ახარებს ქართულ ლექსის სილამაზე. პოეტი მეტად ფაქიზად ეპყრობა მხატვრულ მეტყველების ინსტრუმენტს, ფრთხილად და გემოვნებით არწევს სიტყვებს. მოხდენილად ავებს სახეებს. თუ მისი თარგმნილი ლექსები ერთმანეთსა ჰგვანან, უწინარეს ყოვლისა იმ გამართული, გაკრიალებული სტრიქონებითა, რომლებსაც ნათელი შინაარსი ახასიათებს. ეს



არის გ. გაჩეჩილაძის თარგმანების თავისებურება. შეიძლება საყვედური გვეთქვა პოეტისათვის, რომ მის მიერ თარგმნილ პოეტებში ყველანი კლასიკურად ნათელი და გამოკვეთილი არიან — პუშკინიც და ბოლდერიც, გოგოტიანიც და ლეკონტი დე ლილიც. მაგრამ საყვედური მართებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთარგმნელი თავისი ზოგიერთი ავტორის ბუნდოვან სახეებს მათი შინაგან სხივით არ გააშუქებდა. ეს ამოცანა საუცხოვოდ არის გადაჭრილი.

ბუნებრივია გვევი, რომელიც დაებადება მკითხველს: ხომ არ შესწირა პოეტმა ქართული ლექსის სილამაზეს ადეკვატური თარგმანის პრინციპები. რა თქმა უნდა, ყველა ლექსი და, თუ გნებავთ, ყველა ავტორი თანაბარი ადეკვატობით არ არის გადმოცემული, მაგრამ უმეტესობა უთუოდ უნაკლოა. საერთოდ პოეტურ თარგმანში ადეკვატობა მათემატიკური გარკვეულობის შემცველი ცნება არ არის. ადეკვატობა პროზულემაა, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში დიდი ენერჯის პოეტიც ვერ მოუტრევა, გარდა ამისა, მხატვრული ნაწარმოების ადეკვატობას სპეციფიკური ბუნება აქვს. ხშირად აქ საკითხს სიტყვათა პირდაპირი გადათარგმნაკი არ სწყვეტს, არამედ სახეების გადატანა. არის შემთხვევები, როდესაც საქმარისთა ლექსიკური ადეკვატობა სახეების ადეკვატობის მისაღწევად, მაგრამ არ არის იშვიათი ისეთი შემთხვევები, როდესაც პოეტური სახეები იღუპებოან ასეთი თარგმანის დროს. გ. გაჩეჩილაძის თარგმანებში ორივე ზერხს შევხვდებით და პოეტი უმეტესად მაქსიმალურ ეფექტს აღწევს.

რაოდენ ადეკვატურია მისი თარგმანები, ამას ორიოდ მგალითი გამოარკვევს. ავიღოთ ლეკონტი დე ლილის „შუადღე“, რომელიც ერთერთ საუკეთესო თარგმანს წარმოადგენს.

ორიგინალი:

Midi roi der ètès, epandù sur la plaine,
Tombe en nappè d'argent des hauteurs du ciel bleu.
Tout se tait: L'air s'emboile et brûle sans haleine;
La Terre est assoupie en sa robe de feu.

პოეტის თარგმანი:

შუადღე, მეფე ზაფხულთა, გაშლილი ველად,
ვერცხლის ზეწრად ვარდება ეს სიმალიდან.
ყველაფერი სდუმს. პაერი ვარვარებს და იწვის სულ-
მოუთქმელად;

მიწა თავის ცეცხლის კაბით მიძინებულთა.

ლექსად:

შუადღე, მეფე ზაფხულების, გაშლილი ველად,
კიდან მზის ზეწრად დაცემული მინდვრებს ედება.
სდუმს ყველაფერი. ზეცა იწვის სულმოუთქმელად;
მიწარე მიწის სამოსელზე ცეცხლი ენთება.

ლექსის ამაზე უკეთესი თარგმანა წარმოუდგენელია. ასეთივე ძალით არის გადმოცემული პუშკინის ლექსი: „იგი ჩერკეზის ქალი არ არის“.

ლექსად:

Нет, не черкешенка она,
Но в дали Грузии от века
Такая дева не сошла
С высот угрюмого Кавказа.
Нет, не агат в глазах у ней,
21. „მნათობი“ № 10.

იგი ჩერკეზის ქალი არ არის;
საქართველოში აღზად აროდეს
არ უნახიოთ ქალი ამგვარი
ყაზბეგის მწვერვალს გამოჰპაროდეს.
გიშერი არ აქვს, მაგრამ შე მკერა —

Но все сокровища востока
Не стоят сладостных лучей
Ее полуденного ока.

აღმოსავლეთის ყველა სკრუპული
მისი თვალების შუადღის მკვრივი
ფერს დაუკარგავს და დაამტკიცებს.

თარგმანი შესრულებულია ყველა პოეტური ელემენტის გადმოცემით. რითმების წყობა, რიტმის ნაკადი განსაკუთრებით პუშკინისათვის დამახასიათებელი enjambement დატულია ზედმიწევნით და უნაკლოდ. ის ორიოდე ლექსიკური შენაცვლება, რომელიც გვხვდება თარგმანში, სრულიად არ არღვევს პოეტურ სახეს, პირიქით ამცვეთრებს მის კონტრებს.

თარგმნილი ლექსების უმეტესობას ახასიათებს სახეების სწორი გადმოცემა. მაგრამ გვხვდება სუსტი ადგილებიც. მათი გასწორება აუცილებელია და არც არის ძნელი. მაგალითისათვის ავიღოთ პუშკინის მეორე შესანიშნავი ლირიკული ლექსი: „ა. პ. კერნისადმი“. მისი პირველი სტროფი უფრო მოხდენილად აქვს გადმოცემული გ. გაჩეჩილაძეს, ვიდრე კ. კიკინაძეს:

Я помню чудное мгновенье:
Передо мной явилась ты,
Как мимолетное виденье
Как гений чистой красоты.

კ. კიკინაძის თარგმანი

წამი ძვირფასი აღმიდგენია:
მახსოვს ანაზად გიხილე შენა,
ეთ სილამაზის წმინდა გენია,
როგორც ოცნების ლანდური ჩენა.

ამ თარგმანში პოეტის სურვილმა — შეენარჩუნებია სიტყვა „гений“, გამოიწვია მხატვრული სტილის თვალსაზრისით პუშკინისათვის სრულიად უცხო, ნაძალადევი სტრიქონი: „წამი ძვირფასი აღმიდგენია“. გ. გაჩეჩილაძემ ამჯობინა ამ სიტყვისთვის არ გაეწირა პუშკინის სტრიქონისათვის ბუნებრივი სინათლე:

მე წამიერი მახსოვს შვეწენბა
ჩემს უიმედო სევდით წვალემას
ეთ წარმავალი რამ მოჩვენება,
ეთ სილამაზის წმინდა ხატება.

ამას ვერ ვიტყვით მეორე სტროფზე, რომელიც გაჩეჩილაძეს პირდაპირ უთარგმნია და სტრიქონების სინათლე დაუჩრდილავს. იმ პუშკინის ლექსი:

В томлених грусти безнадежной,
В тревогах шумной суеты,
Звучал мне долго голос нежный,
И снились милые черты.

გ. გაჩეჩილაძე თარგმანი

ამ ქვეყნიური აღრზაური
ჩემს უიმედო სევდით წვალემას
ეს იზმრებოდა ნაზი ხმაური
და ძვირფას ხაზთა იღუმალემა.

სრულიად გაუგებარია, რომ „ნაზი ხმაური“ ა. პ. კერნის ლაპარაკს ნიშნავს „ძვირფასი ხაზები“ კი მისი სახის მოხაზულობას. კ. კიკინაძის თარგმანში ამ სტროფის ნაკლი არ ახასიათებს:



როდესაც ნაღველს მასმევედნენ დღენი,

როცა იმედი გულში ჰჭრებოდა,

ხმა მშვენიერი მესმოდა

სახე წარმატაჲ მესიზრმე

კრებულში წარმოდგენილი ლექსების უმრავლესობა სანიმუშო ადეკვატობით და პოეტური ტექნიკით არის გამოძირწილი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფორმალური ელემენტების სიფაქიზე დედნების რიტმი შენარჩუნებულია მაქსიმალური შესაძლებლობით.

შთარგმნელს დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს რომელი ლირიკოსის ვალერი კატულის ლექსთა სპეციფიკური მეტრის ექსპერიმენტური გამოვლენა.

ვერ დავეთანხმებით პოეტს გოეთეს ლექსის — Wanderers Nachtlied-ის თარგმანში, რომელიც არღვევს ორიგინალის შინაგან მუსიკას.

მომეყვს გოეთეს ლექსი:

Über allen Gipfeln
Ist Ruh,
In allen Wipfeln
Spürst Du
Kaum einen Hauch;
Die vöglein schweigen im Walde.
Warte nur, balde
Ruhest Du aush.

ამ ლექსის საყურადღებო თარგმანი მოგვცა კონსტანტინე გამსახურდიამ — ექვსი სტრიქონი და 23 სიტყვა (იხ. „გოეტის ცხოვრების რომანი“, გვ. 337).

დადუმებულან მთებო, ველუბო,
აღარ მოისმის არსიდან ჩქამო,
აღარ ვივიან ტყის ფრინველებო,
სოფლემენ თხემები ღამე ნასეამო.
არ აკრთობს სმენას მცირედი ფშვენაც,
მოიცა ცოტა, დაცხრები შენაც.

პირდაპირ მათემატიკური ეკვივალენტობის მიუხედავად, თარგმანს აკლია ის ტეხილი რიტმული წყობა, რომელიც გოეთეს ლექსს იწვევითი სილამაზით მოსაეს. გ. გაჩეჩილაძის თარგმანში დატულია ეკვილინეარობა და აქცენტი გადატანილია ტეხილ რიტმზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ელერა გოეთეს ლექსისაგან საგრძნობლად არის დაშორებული.

გოეთეს „Mignon“ („Kennst du das Land?“) უფრო ძლიერია. ამ ლექსის პირველი შესანიშნავი თარგმანი ეკუთვნის ს. ფაშალიშვილს („ლომისი“, 1922 წ. № 2).

შინაგანი რიტმის გადმოცემის ხმით შეუდარებელია ედგარ ალან პოს „ზარები“. ამ ლექსში გაისმის ზარების ნამდვილი რეკა, რომელიც ხან შარხილების სრიალს მოგვეგონებენ, ხან საქორწინო სიხარულს, ხან კი ურუდ და მგლოვიარედ გუგუნებენ. აელერებული სტრიქონები ისე მკვირცხლად და მსუბუქად მისდევენ ერთმანეთს, როგორც მუსიკალური ნაკადები მოხდენილ ჰანგებში.

საერთოდ გაჩეჩილაძის თარგმანებში გარკვევით იგრძნობა ემოციური ტონი. ეს დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

ეს პატარა კრებულო პოეტის უღაო გამარჯვების მომსწავებელია. ჭარბიველი მკითხველი გაეცნობა მასში კულტურულად თარგმნილ უცხოეთის კლასიკური მწერლობის ნიმუშებს, რომელთა შესწავლას ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს.

სივანით და სიღრმით. ეს ხერხი სხვა ლექსიკონებშიც არის ნახმარი, მაგრამ არა იმ ოდენობით, როგორცაც სარეკენზიო ლექსიკონში. აქ ეს ხერხი უფრო ფართოდ არის გამოყენებული და თარგმნა ფრაზეოლოგიაში მართებულია. ვინაიდან რუსული უთარგმნელი გამოთქმების სათარგმნელად ქართული ანდაზებზეა საყრდენი, რამდენადაც, ბევრ შემთხვევაში, ფრაზეოლოგია შეცდომებისაგან ვერ არის დაღვეული. მაგალითად:

Он дошел до полюса — პოლუსს მიაღწია; картофель не дошел — კარტოფილი არ შეიწვია; рожь доходит — ჭვავი შეიფუდება (სიტყვასთან „дойти“).

პირველი ფრაზა უნდა გადაითარგმნოს: პოლუსზე მივიდა (дошел — მივიდა და არა მიაღწია — достиг).

მეორე და მესამე ფრაზაში ორივე თარგმნა სწორია, მაგრამ ისეა თითქოს „дошел“ სიტყვასთან „კარტოფილი“ ნიშნავდეს შეწვეს, ხოლო სიტყვასთან „ჭვავი“ — დამწიფებას, ნამდვილად კი ამ სიტყვას ორივე მნიშვნელობა აქვს და აქაც და იქაც ორივე მნიშვნელობით შეიფუდება იქნას ხმარებული. გაუგებრობა რომ არ მოხდეს, ასეთ შემთხვევაში მეტი დახუსტებაა საჭირო.

Один алах знает — ერთმა ალახმა უწყის (სიტყვასთან „зета“).

Один ერთს ნიშნავს, მაგრამ მუდამ ამ აზრით კი არ იხმარება. ხშირად ნიშნავს „შხოლოდ“, „მარტო“ (ზოგჯერ „ცარიელსაც“ — я ем один хлеб — ცარიელა პუოს გვამ). — აქ სჯობდა — „შხოლოდ (მარტო) ალახმა იცის“, თორემ ასეც გამოდის — ერთმა ალახმა იცის, ორმა (ან მეორემ) კი არა.

Я пришел к выводу — დავასკეენი.

სჯობდა — მივედი დასკენამდე. „დავასკეენი“ კი არის я заключил.

Марксистская переоценка всех ценностей — ყველა ღირებულების მარქსისტული გადაფასება (სიტყვასთან „переоценка“).

„გადაფასება“ ფასის გადაქარბებასა ნიშნავს. ამ ფრაზაში კი „переоценка“ ხელახლად შეფასებას გულისხმობს. ცხადია, აქ მართებულია დიდგვული.

ბევრი ამისთანა მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, მაგრამ დასახასიათებლად ესეც კმარა.

ბევრია აგრეთვე სიზუსტეს მოკლებული, ზოგჯერ არასწორი სიტყვით, ცალკეული სიტყვების თარგმანი.

аборт — მუცლის მოშლა; мучились მოწყვეტა.

მეორე მნიშვნელობა სწორია. მუცლის მოშლა აბორტი არ არის, არამედ იგუჟკარაც კუჭის მოშლა, ფელარიათობა.

абрикос — ჭერამი, გარგარი.

курага — ჭერამი.

Абрикос გარგარია, курага კი — ჭერამი. ამიტომ „абрикос“-ის „ჭერამი“-თ თარგმნა უმართებულოა, ისიც იშვავრად, რომ „ჭერამი“ პირველ შესატყვისად იყოს ნახმარი.

საერთოდ, ლექსიკონში არ არის დაცული ის წესი, რომ სათარგმნელ სიტყვასთან პირველად ის სიტყვა იყოს დასმული, რომელიც მისი უახლოესი შესატყვისია.

аврал — საყოველთაო, საერთო.

ამ სიტყვას ასეთი მნიშვნელობა შხოლოდ გადატანითი აზრითა აქვს. ეს სიტყვა ინგლისურია, სახელითა კომანდაა. ნიშნავს „ყველაზე ზემოთ“ (ამოდით) (გეგმის ბაქანზე). იხმარება დიდი ვასაჭირის დროს. ლექსიკონში ეს სიტყვა ისეა თარგმნილი, რომ სწორ წარმოდგენას ვერ მოგცემს.



амур — სიყვარული.

ესეც გადატანილი მნიშვნელობისაა. ამერი სიყვარულის ღმერთი იყო (ბერძენ-ბისა). აქ საკმეს ვერ შევლის ის, რომ ეს სიტყვა პატარა ასოთი იწყება, მაგრამ მაზ ბავშვსაც ნიშნავს.

бабник — მუსუსი.

მუსუსი რისამე მოყვარულს ნიშნავს და არა მარტო ქალების მოყვარულს. აქ უნდა ყოფილიყო — ქალების მუსუსი.

байка — თეთოთი.

თეთოთი თხის ბანლის ქვეშითა თმაა, ნაზი. აქედან — ამ თმისაგან ნაქსოვს თეთოთი ეწოდება. ხოლო „ბაიკა“ მატყლისაც არის და ბაშბისაც. ქორეილობა კი ერთ-ნაირია.

бандероль — ბანდეროლი, გარებაბთა.

ეს „გარებაბთა“ გაკეთებული სიტყვაა. ასეთ რამეს უნდა მოეერიდოთ. არ უნდა გაფრბოდეთ საყოველთაოდ მიღებულ სიტყვების ხმარებას, ასე ვთქვათ „ინტერნაციონალურს“, მაგ. — ტელეფონი, ვაგონი, ბანდეროლი. გაკეთებული, მოგონილი სიტყვა მხოლოდ სპეციალური მიზნებისათვის თუ გამოდგება, ისიც აუცილებელ შემთხვევაში. ზოგად ცხოვრებაში ასეთი სიტყვა თავს ვერ დაიჭერს და მალე მოკვდება (მაგ. ელსმენი, რონოდა, მჟიდა და მისთ.). ენასაც წარყვინს.

барабан — დაფდაფი, დაფი.

დაფი დაირაი (დაირა თურქულია, ნიშნავს წრეს, რკალს).

винная ягода — ლეღვი.

სწორია. მაგრამ, სწერია სიტყვასთან „винный“ — „ღვინისა“. ნამდვილად კი აქ სიტყვა „винная“ წარმოსდგება არა სიტყვისაგან „вино“, არამედ სიტყვისაგან „вина“ — დანაშაული. **винная ягода** — დანაშაუდი (დანაშაულის) ხილი (ხილი) (ვითომ, ევამ ადამი ლეღვით შეაქდინაო). რომ არ გამოიწვიოს, ეს სიტყვა გადატანილ უნდა იქნას სიტყვისგან „вина“.

ამისთანა მაგალითი მრავალია ვერ არის, მაგ., დაუსტებულად თარგმნილი სიტყვები **молотыбна, молотить, скот, скотина, подохнуть** და სხვ.

მაგრამ ყველაფერი ეს დაუსტების საკითხებს უფრო ეკუთვნის, ვიდრე ძირითად შეცდომებს.

ქარგია, რომ ინფინიტივი თარგმნილია ინფინიტისავე სახით და არა პირველი პირით, როგორც ხშირია ხოლმე ლექსიკონებში, მაგ., პროფ. ახვლედიანისა და დოქტორდანიშვილის ლექსიკონში. ეს უქანასკნელნი სწერენ, მაგ., „**делаят** — ვაკეთებ“. სარეცენზოო წიგნში კი სწერია „**делаят** — ვეთება (აკეთებს)“.

ამ ორში პირველი ზურხის ნაკლი ის არის, რომ რუსულის არმყოფად ერთბაშად ვერ გავრკვევა სიტყვის მნიშვნელობაში, რადგან **делаят** „ვაკეთებ“ კი არ არის, არამედ ზნაა — „ეთება“. სარეცენზოო წიგნი ასეთ გაუგებრობას არ გამოიწვევს. რასაკვირველია, სჯობდა აქაც დასმული ყოფილიყო ასო ზ (ზნა).

ქარგია, რომ ლექსიკონში შეტანილია დავიწყებას მიცემული სიტყვები: კურო (ბუღა ქართული არ არის, თათრულია), კიკო (ტუზი), ხანაგა (ობოლთა სახლი) და სხვ.

ეს ლექსიკონი, პროფ. ახვლედიანისა და დოქტორდანიშვილის ლექსიკონთან ერთად საფუძვლად უნდა დაედოს ლექსიკონისათვის მომავალ მუშაობას. დანარჩენი აწ არსებული ლექსიკონები მხოლოდ ნედლ მასალად გამოდგება.

წიგნის გარეგნული სახე ვერ არის დამაკმაყოფილებელი — ქალაქი ცუდია, კორექტორული შეცდომები ბლომადაა, კაზმა ვერ არის მტკიცე. ფასი 22 მანეთი ამოდენა მოცულობის წიგნისათვის დიდი არ არის, წიგნი გარეგნულად სათანადოდ რომ იყოს გაფორმებული.

ი. ტაბიშვილი



შინაარსი

83

ლავერენტი ბერია — ხალხთა ერთიანი ოჯახი	5
მეთაური — ოცი წელი	15

მხატვრული ლიტერატურა

ხანდრო ეული — გმირი (ბალადა)	31
ვარლამ შურული — ლავერენტი ბერიას (ლექსი)	34
იოსებ ვრიშაშვილი — ფოლადის კაცი და ილია (ლექსი)	36
ბორის ჩხეიძე — ხაფთან (მოთხრობა)	37
კარლო კალაძე — წითელი ჯარის ასელა მყინვარზე (ლექსი)	45
პანტელეიმონ ჩხიკვაძე — ახალი ცხოვრებისაკენ (მოთხრობა)	47
გიორგი კაჭხიძე — შეილისშვილის აკვანთან (ლექსი)	58
როდიონ ქორქია — ცრემლი და შაქარი (ეპიზოდი შჩორსის ცხოვრებიდან)	60
სიმონ ჩიქოვანი — სიმღერა არჩევენებზე (ლექსი)	66
ილო მოსაშვილი — ვის ეუმღერით (ლექსი)	68
დავით გაჩეჩილაძე — სიმღერა არჩევენებზე (ლექსი)	69
იეთიმ გურჯი — ოცი წელი (ლექსი)	70
კალე ბოზოხიძე — განახლებული ოდიში (ლექსები)	72
ვასო გორგაძე — სიმღერა სამშობლოსა და წითელ არმიასზე (ლექსები)	74
ლევო ქიაჩელი — გვადი ბიგვა (რომანი, გაგრძელება)	76
იაკინთე ლისაშვილი — ძახილი მთაში (რომანი, გაგრძელება)	96
ალ. ქუთათელი — პირისპირ (რომანი, გაგრძელება)	139
ალ. ჭეიშვილი — ლელო (რომანი, გაგრძელება)	170

კ რ ი ტ ი კ ა



33

ბეს. ულენტი — ქართული საბჭოთა პოეზია	207
ლევან ასათიანი — ქართული საბჭოთა პროზა	236
დიმ. ჯანელიძე — ქართული საბჭოთა დრამატურგია	243
დიმ. ბენაშვილი — ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში	270
გიორგი ნატროშვილი — ისტ.-რევოლუციური წარსული ქართულ საბჭოთა მწერლობაში	286
ერ. ახტვაცატუროვი — სამოქალაქო ომი მხატვრულ ლიტერატურაში	300

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

აღ. ქუთათელი — პოეტის გზა	317
გ. ნადირაძე — უცხ. და რუსი პოეტები, გ. გაჩეჩილაძის თარგმანი	319
ი. ტატიშვილი — რუსულ-ქართული ლექსიკონი	324

